

38369

675 /
1969 / 2.

3. 1969

საქართველოს სსრ
გეოცირკულა კვანძების

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР



1969

Майдане

(Вестник)

ОРГАН ОТДЕЛЕНИЯ
ОБЩЕСТВЕННЫХ НАУК
АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

3

48

ИЗДАТЕЛЬСТВО -МЕЦНИЕРЕБА-
ТБИЛИСИ 1969

გაცემა

საქართველოს სის მეცნიერებათა აკადემიის
საზოგადოებრივ მეცნიერებათა
გაცემულების რეგისტრი

11127.

3

48

გამოცემა = მეცნიერება =
თბილისი 1969



ს ა რ ე დ ა პ ც ი მ ჳ მ ა გ ი ა

ალ. ბარამიძე (მთავარი რედაქტორი), პ. გუგუშვილი, გ. მელიქიშვილი,
ე. მეტრეველი ვ. ფანჩევიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე),
ალ. ფრანგიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე),
გ. ჩუბინაშვილი, გ. წერეგთელი, ნ. ჭავჭავაძე

პასუხისმგებელი მდივანი ნ. ებრალიძე

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Барамидзе А. Г. (главный редактор), Гугушвили П. В., Меликишвили Г. А.,
Метревели Е. П., Панчвидзе В. Н. (заместитель главного редактора),
Прангшивили А. С. (заместитель главного редактора), Чавчавадзе Н. З.,
Чубинашвили Г. Н., Церетели Г. В.

Ответственный секретарь Н. Эбралидзе

წ ე რ ი ლ ი პ ი

კონსტანტინე გამრევილი

პეტერი უილსონის ინდუიდუალისმის გამახის პრიზისათვის

(წარმოადგინა საქართველოს სსრ შეცნერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის)

ჩვენი შრომის მიზანი არ არის ჰეგელის ფილოსოფიის ინტუიტივისტური გაგების კრიტიკა საერთოდ. იგი შეეხება მხოლოდ რესული ბერძუაზიული იდეალისტური აზრის ერთ-ერთ წარმომადგენელს ი. ა. ილინს, რომელიც — ს. პარტმანთან, რ. კრონერთან, ვ. გლოუნერთან და სხვებთან ერთად — ჰეგელის ნაზრევის ინტუიტივისტური გაგების ნაკადშია გაერთიანებული. ეს უკანასკნელი გარემოება ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში უკვე აღინიშნა!

ჰეგელის ფილოსოფიის ილინისტური გაგების უარყოფით შეარეებულ მსჯელობისათვის საჭიროა, მოკლედ გადმოვცეთ ილინის შეხედულებების ძარითადი ნაწილი სპეცულატური აზროვნების შესახებ. იგი ასე მსჯელობს: ჰეგელის შპხედვით, განსჯითი აზრი, აზროვნება მიმართულია ემპირიულ-კონკრეტულზე, სპეცულატური — ზეგრძნობადზე. სპეცულატური არ ეკვრის ემპირიულ-კონკრეტულს, როგორც თავის შინაარსს. ამისგან განსხვავებით განსჯითი აზროვნება სუბიექტურია, გარედან უდგება საგანს, ორი მხარის გარევანი მიშართება; იგი ისეთი თვითმყოფია, როგორც საგანი. სპეცულატური აზროვნებისათვის დამახასიათებელია საგანთან უშუალო ერთიანობა, შერწყმა, სუბიექტ-ობიექტის სპეცულატური იგივეობა, რაც ჰეგელი ესმის ემპირიულ-ფილოლგიურად და მეტაფიზიკურ-ონთოლოგიურად. ემპირიულ ცნობიერებაში თარი სფეროა: ერთი — სუბიექტური, დაქვემდებარებული, ცხოველურია, მეორე — ობიექტური, გაპატონებული, ღვთაებრივია. პირელში არის გრძნობადი შეგრძნებები, აღქმები, მშეგერეტელობანი, წარმოლგენები, აფექტები და სხვა, ანუ ცველაფერი სუბიექტური. მეორე ყოველივე ამისაგან თავისუფალია და სუბსტრუქტორია. ეს ემპირიული ცნობიერება, ერწყმის ჩა საგანს, კარგავს ყოველივე სუბიექტურს. აზროვნება და საზრისი (საგანი) განსხვავებული არიან. პირველი — სუბიექტური, ფინქიური, დროული, რეალური, კონკრეტული, ერთეული, არაგანმეორებადია, მეორე — ზეფსიქიკური, ობიექტური, ზედროული, იდეალური, იგივეობრივი, აბსტრაქტული, საყოველთაო და განშევირებადია. შერწყმის შედეგად, ეს განსხვავება იშლება და ვიღებთ ჰეგელის ცნებას, რომელიც ერთდროულად რეალურიცაა და იდეალურიც. ზოგადიცა და ერთეულიც, იგივეობრივიცა და ცვალებადიც, აბსტრაქტულიცა და კონკრეტულიც; ე. ი. საზრისიც იცვლება, ამასთან აზროვნებს კონკრეტულ-მშეგერეტელობითი შენარევებიც შეაქვს საზრისში, რაც სპეცულატური აზროვნებისათვას

¹ მ. ჭ ე ლ ი ძ ე, ჰეგელის დიალექტის კრიტიკის ძირითადი თავისებურებანი ზურუუაზიულ ფილოსოფიაში, თბილისი, 1966.

არანაკლები მნიშვნელობისაა. აზროვნება წარმოსახვითი უნარის თანამოქმედების გარეშე ისევ განსჯითი, ცუდი აზროვნება იქნებოდა. მხოლოდ მისი შეშვეობითაა აზროვნება ზეგრძნობადის შინაგანი ჭვრეტა, მისი ძალით კრიგავს აზრი უსახურობას და ხდება ხატოვანი, ამიტომ — სპეცულატური. მაგრამ საგნისა და მისი შემცირებისადმი ასეთი მიღვიმა გაურკვევლობაა, რაც ძირითად ფენომენლოგიურ შეცდის შეგელის ფილოსოფიაში. ამ გარემოების შედეგია, მათბა ი. ა. ილინი, ფორმალური ლოგიკის კანონების შეგელისეულა კრიტიკა და მიუღებელი მოძღვრება ცნებაზე და დიალექტიკაზე.

ი. ილინის ეს თვალსაზრისი შეგელის ნააზრევის მცდარი გაგებაა. აკრიტიკებს რა ილინს, პროფ. კ. ბაქრაძე ამ მიმართებით აღნიშნავს, რომ ილინი შელინვას მიხედვით ამასინჯებს პეგელის ფილოსოფიას, როდესაც მისი ისე-დაც შესტრიფიცირებული დიალექტიკა არსთა ჭვრეტად, ხოლო პეგელი ინტერიტივისტურ მიაჩნია. იგი თვლის, რომ პეგელის დიალექტიკა მომენტის სახით შეიცავს ინტუიციას და გაუგებრობას ეს მეთოდი ინტელექტუალურ ჭვრეტაზ და წმინდა აღწერად გმირაცხალო, ვინაიდან პეგელის ცნება, საგანი განვითარებაშია, რაც კატეგორიების დედუქციაში, დამტურებაში, დასაბუთებაში მღვმარეობს.

ლოგიკურისა და ჭვრეტის დამოკიდებულებას პეგელთან ეხებოდა, აგრეთვე. ამ განისვენებული პროფ. ს. წერეთელი. იგი აღნიშნავდა, რომ პეგელის ლოგიკური გაყალბებულია, რაღვან ეს უკანასკნელი მას მიაჩნია გამჭვირვალე რეალობად, რომელმიც ლოგიკური თავის შემოქმედებას და თვეის თავს ჭვრეტს, იგი გარდუვალი რეალობა და პეშმარიტებაა, სუბსტანციაა, საგნის არსებაა, ხოლო რამდენადც თბიერტური ტოტალობაა, ინტელექტუალურ ინტუიციას და მის სავანს წარმოადგენს. ამასთან ლოგიკური გაყალბებულია სხვა გარემოებებითაც.

ი. ილინს აკრიტიკებს და ამავე საკითხს იყვლებს მ. ჭელიძე ზემოქსენებულ სადოქტორო დისერტაციაში. იგი აღნიშნავს, რომ ილინი დიალექტიკას, შელინვას უკრიეტურად, ჭვრეტის საზღვრებში ათავსებს და შემეცნებითს მნიშვნელობას უკარგავს. ავტორი ცხადყოფს, რომ პეგელის თვალსაზრისი მეცნიერების შესაძლებლობის თვალსაზრისია, რაც პრინციპულად ეწინააღმდეგება ინტუიციას. მაგრამ, მისი აზრით, პანლოგიზმი პეგელთან იწვევს ლოგიკურში ალაგიკურის შეჭრას. წმინდა აზრის განვითარების პროცესი გადაქცეულა იდეის მიერ თავისი თავის ინტელექტუალურ ჭვრეტად. ამიტომ დიალექტიკას გააჩნია ირაციონალურ-მისტიკური მხარე.

სამივე ეს მსჯელობა ცნობს აზრს: პეგელის ლოგიკურში მოცემულია ჭვრეტა, ინტუიცია მხოლოდ მომენტის სახით. მაგრამ ეს პეგელის ნააზრევის ჩვენი ანალიზით უნდა დავამტკიცოთ და უარყოთ ილინის შეხედულება, რომ პეგელის აზროვნების არსება არს მხატვრული ხედვა.

ზემოთ ჩვენ მოვლედ მოვხაზეთ ილინს აზრი პეგელის სპეციულატურ აზროვნებაზე, მაგრამ როგორ ესმის მისი ბუნება, თვით პეგელის?

ამის შესახებ თავის აზრს იგი წარმოგვიდგენს „ლოგიკის მეცნიერების“, „შესავალში“ და „წინასწარ ცნებაში“. პეგელი აქ პირველ რიგში იმას აღნიშნავს, რომ განსჯისაგან განსხვავებით, სპეციულატურ აზროვნებას უცილებლობა, დასაბუთება ახასიათებს, რასაც ილინი უგულებელყოფს. პეგელი ამბობს: „თუ აზროვნებას რაიმეს დასაბუთების უნარი უნდა ქონდეს, თუ ლოგიკამ უნდა მოითხოვოს, რომ მოცემული უნდა იყოს დასაბუთებანი და მას სურა-

დასაბუთება გვასწავლოს, მაშინ მას უწინარეს ყოვლისა თავისი საქუთარი, მის-თვის დამახასიათებელი შინაარსის დასაბუთების უნარი, ამ შინაარსის აუცი-ლებლობის დანახვის უნარი უნდა ქონდეს². ასეთი აზროვნება ნამდვილ სპე-კულატურ აზროვნებად მიჩნია ჰეგელს. ასეთ აზროვნებაში გონი თავის თავს საგანად იხდის, აზროვნება თავის თავთან მიღის, მას სხვა საგანი არა აქვს, გარ-და თავისი თავთან, მაგრამ განსაზი ამ მიზანს ვერ აღწევს, იტლართება წინააღ-ძდებლაში, რომელიც უნდა დაძლიოს. ამ დაძლევით იქმნება ჰეგელის სუ-ბიექტ-ობიექტის იგივეობა. იგი არის აზროვნების თავის თავთან მისულ „ულ-მესი აზრით“, თავის თავის საგანად გახდომა, ამით თავისუფლება და აუ-ცილებლობა. ეს აზროვნება „მოქმედი ზოგადობაა“, მიმართება „მე“-სი თავის თავთან. იგი გააზრება და საგანთა მიმართ ისეთი მოქმედებაა, რომელიც მათს გრძნობად შინაარსს ცვლის. გარდაიქმნება რა საგანი შემეცნებაში, აზროვნება სწოდება ზოგადს, რაც იგივე ზოგადის შექმნა, კეშარიტის შექმნა, ამიტომ საგანთა კეშმარიტი ბუნება აბსოლუტური სუბიექტის ნაწარმოებია, იგი ობიექ-ტური აზრია, რომელიც თვით სამყაროშია. ობიექტური აზრის მიერ თავისი თავის შემეცნება არის ამავე დროს თვით ამ აზრის შექმნა როგორც პროცესი. შექმნა ობიექტური აზრისა, რომლის არსებობასაც ჰეგელი ცნობს. ობიექ-ტური აზრი თვით იქმნის თავის თავს. აზრის ანტოლოგიურ-მეტაფიზიკური რეფლექსია კი ვლინდება სუბიექტ-ობიექტის ემპირიულ-ფსიქოლოგიურ იგი-ვეობაში, თუ ილინის გამოთქმებს ვიხმართ. მოკლედ ასე მსჯელობს ჰეგელი სუბიექტ-ობიექტის იგივეობაზე. ამ მსჯელობაში იგი არსად არ იხსენიებს აზ-რისა და ჭვრეტის შერწყმას, საზრისისა და აზროვნების შერწყმას, ჰეგელის აზროვნების სპეციულატურობა ილინისებური შერწყმიდან კი არ უნდა გამო-ვიყვანოთ, არამედ იგი უნდა აისხნას აზროვნების თავის თავთან ყოფნით, უსასრულოს შემეცნებით, განსაზღვრებათა მათს დაპირისპირებაში წერდობით, აუცილებლობით.

მაგრამ ჰეგელი ხომ ცნობს წმინდა, ინტულექტუალურ ჭვრეტს და ხშა-რად აიგივებს მას წმინდა აზროვნებასთან. რა შეიძლება ამაზე ითქვას და რა-შია ი. ილინის თვალსაზრისის სიყდბე?

ჰეგელის მიხედვით არსებობს განსჯითი ანუ სასრული და სპეციულატური (წმინდა) ანუ უსასრულო აზროვნება. პარალელურად არსებობს მჭვრეტელო-ბის ორი სახე: გრძნობადი და წმინდა მჭვრეტელობა. განსჯითს აზროვნებას-თან შეკიდროდა დაკავშირებული ცნობიერების გრძნობადი შინაარსი (მაგა-ლითად, „ეს ფოთოლი მწვანეა“), გრძნობადი ჭვრეტა — ოწმენა განსჯის იგი-ვური არაა, მასგან განსხვავებულია და მასთან თანამოქმედებს, ფიქრობს ჰეგე-ლი. მაგრამ განსჯითს აზროვნებასთან მარტო ასეთი მჭვრეტელობა არ თანა-შოქმედებს, რაც ჩანს ჰეგელის მერი უშუალო ცოდნის თეორიის კრიტიკიდან. ამ კრიტიკაში ჰეგელი ილინშნავს, რომ ჭვრეტი მიღებული უშუალო ცოდნის თეორიისშიც, რამდენადაც იქ საგანად არის უსასრულო, ლიქროთი, ზეგრძნობადი და სხვა ისეთი რამე, რომელთა უშუალო ჭვრეტა, რწმენა, გამოცხადებაა შე-საძლებელი. ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა ჭვრეტაზე, როგორც გრძნობად წარმოდგნაზე, არამედ სხვაგვარ ჭვრეტაზე, ღმერთის, უსასრულოს ჭვრეტა უნდა იყოს მოაზროვნე, ინტელექტუალური ჭვრეტა. მაგრამ უშუალობის ფორმა ანუ აბსტრაქტული მჭვრეტელობა (რომელიც უშუალობის თეორია-

² ვ გ ე ლ ი, ლოგიკის შეცნიერება, თბილისი, 1962, გვ. 127.

შია აღიარებული) თავის შინაარსს ცალმხრივად ხდის, უსასრულოს სასრულოდ, აშიტომ მისი შინაარსი არაჭეშმარიტია და განსჯის პრინციპებს ემორჩილება. „აბსტრაქტული აზროვნება (მარტოლექტირებელი შეტაფიზიკის ფორმა) და აბსტრაქტული მჭვრეტელობა (უშუალო ცოდნის ფორმა) ერთი და ოგვეა“³ (აյ პრინციპების ეგივეობაზეა ლაპარაკი). ნათელია, რომ ჰეგელი განსჯი წარიდა, მოაზროვნე ჭვრეტის მოქმედებს ცნობს. მაგრამ აზროვნება, აგრეთვე, სპეციულატურიცაა. ამიტომ მოაზროვნე ჭვრეტა იქაც მოქმედებს. მაშიასადამე. წარინდა ჭვრეტა, რომელსაც არა აქვს გრძნობადი შინაარსი, ჭვრეტა უმაღლესი აზრით განსჯაშიც მოქმედებს და სპეციულატურ აზრშიც. აქედან გასაგებია. რომ ჰეგელისათვის აზროვნების სპეციულატურობა არ მდგომარეობს აზრისა და ჭვრეტის შერწყმაში, იგივეობაში, როგორც ამას ილინი ამტკიცებს. ჰეგელთან ჭვრეტისა და აზროვნების აბსოლუტურ გაიგვებაზე კი არ უნდა ვილაპარაკოთ, არამედ მათს პარალელურ აზსებობასა და მოქმედებაზე, სპეციულატური აზროვნების ბუნება ჭვრეტით არაა გაპირობებული. ჭვრეტა სხვა ფუნქციას ასრულებს ჰეგელის ფილოსოფიაში.

ილინის მტკიცებას, რომ ჰეგელის აზროვნება არის საგნის ანტელექტურულურ-მხატვრული ხედვა, უარყოფა, აგრეთვე, შემდეგი გარემოება: ჰეგელი „ლოგიკის შეცნიერებაში“ არჩევს აზრის ობიექტისადმი სამ დამოუკიდებულებას იმ შინინით, რომ გამოიყანოს თავისი ლოგიკის, სპეციულატური აზროვნების თვალსაზრისი. ამ მიმართებით იგი მსჯელობს საერთო ჯამში განსჯითს აზროვნებასა და მის პრინციპებზე. აქ იყულისხმება როგორც აბსტრაქტული განსჯითი აზროვნება, ისე აბსტრაქტული მჭვრეტელობა (უშუალო, ინტუიციური ცოდნა). ორივენი ერთსა და იმავე პრინციპებს ემორჩილებიან და ორთავეურ ერთნაირად უარყოფს ის თვალსაზრისი, რომელიც „ლოგიკაშია“ განვითარებული.

გამოთვემს რა შეხედულებას, რომ ჰეგელის აზროვნება ხატოვანია, ილინს საილუსტრაციოდ მოყავს „არსის“ და „არარს“ კატეგორიები და იღნიშნავს. რომ ძათი მოაზრება შეუძლებელია, თუ ამავე დროს არ წარმოვისახეთ; იგი აქ მისიყვეს აზრს — „რაც არ წარმოიდგინება, ის არც მოიაზრება“, რის კატეგორიული წინააღმდეგიც არის ჰეგელი. მისთვის არსებობს ისეთი რამ, რაც არ წარმოიდგინება, ასეთია აზრი. იგი უაზრობად თვლის აზრის წარმოდგენას. მაგრამ ჰეგელისათვის ისაა დამახასიათებელი, რომ „არსზე“ შესეღლობს, როგორც სუბსტრატზე, რომელიც თვალს ეჩვენება, ან „ქმნადობაში“ ლაპარაკობს ქმნადობის წარმოდგენაზე, რომელიც შეიცავს „არსის“ და „არარს“ წარმოდგენებს და ა. შ. ასეთ შემთხვევებში ჰეგელის მიერ ადგილი აქვს გრძნობადი მჭვრეტელობის გამოყენებას. „არსი“, „არარა“, „ქმნადობა“ აქ წარმოდგენებია, რომელთაც ჰეგელი ხმარობს, რათა თავის მსჯელობას გარკვეულობა მიუმატოს. ისინი განსხვავებული არიან შესაბამისი ცნებებისაგან, მაგრამ მათ ილინი ამ ცნებებთან, წმინდა აზრთან აიგრვებს და ლებულობს ხატოვან აზრს. ჰეგელის აზროვნება აბსტრაქტულია, მაგრამ იგი გრძნობად მასალასთანაა გადაწყვლი მთელ ლოგიკაში და როცა ილინი ამბობს, რომ ჰეგელის აზროვნება მჭვრეტელი აზრის მუშაობაა, სწორედ ამ გარემოებას ასახავს, ამით გრძნობად წამოსახვას იგი წმინდა ჭვრეტაში ურევს, რითაც ეწინააღმდეგება თავის თავს.

³ ღ ქ ვ ე, გვ. 175.

ილინს ამგვარად ესმის ჰეგელის ლოგიკის არა შარტო ცალკეული კატეგორიები, არამედ მთელი ლოგიკურიც; მისი აზრით, სპეციულატური კონკრეტობის შექმნის მთელი პროცესი ხილვადი, ხატოვანი პროცესია. ეს იგივე შეცდომაა მთელი ლოგიკურის მიმართ და სწორედ ასეთი გაგების გამო აურიტაკებდა ფ. ენგელი შელინგს, როდესაც წერდა: „შელინგს არა აქვს უნარი ჩასწერდეს იდეას მის კონკრეტობაში და უკანასკნელი ყოველთვის წარმოუდგება მის ცნობიერებას ანტრაქციის ფორმაში, რომელიც თავის მხრივ დაუყოვნებლივ ხორციელდება გრძნობად სახეში ისე, რომ ეს ქაოსური ნარევი აბსტრაქციისა და გრძნობადი წარმოლენისა აწარშობს შელინგის სქოლისტიკურ-მისტიკური შეტაფიზიკური აზროვნების დამახასიათებელ ნიშანს“⁴. ეს სოტუკვები, ცხადია, შეიძლება გადატანილ იქნეს ილინზეც, რომელიც ჰეგელის ლოგიკას შელინგისებურად იგებს.

მარქსისტული ლიტერატურიდან ზოგიერთმა მსჯელობამ შეიძლება გათვალისწინებინოს, რომ ჰეგელის კატეგორიები შეიძლება გავიგოთ გრძნობად-ზეგრძნობადად. მაგალითად, კ. მარქსი მსჯელობს, თუ როგორ მიიღება ჰეგელის მიერ ზოგადი წარმოლენენა — „ნაყოფი საერთოდ“ — და მისგან როგორ იწარმოება კონკრეტული საგნები. ამ მსჯელობაში ყოველთვის ლაპარაკია წარმოლენენაზე და არა ცნებაზე. შეგრამ ეს არა გაუგებარი, რადგან, როგორც თქვა, ჰეგელი „ლოგიკში“ ცნებებიდან ყოველ ნაბიჯზე წარმოლენებზე გადადის და ისე მსჯელობს. სწორედ ამაზე მიუთითებდა კ. მარქსი ახალგაზრდა ჰეგელიანელების კრიტიკაში: „იგი (ბაუერი კ. მ.) იყენებს ჰეგელის ჯადოსნურ აპარატს. რომელიც მეტაფიზიკურ კატეგორიებს, ამ სინამდვილიდან განყენებულ აბსტრაქციებს, აიძულებს გამოხტენ ლოგიკის ფარგლებიდან, სადაც მსინი გათვალისწინებილი არიან ჭმინდა აზრის „მარტივ“ ელემენტში და მიიღონ ბუნებრივი ან აღამიანური არსებობის განსაზღვრული ფორმა, ანუ აიძულებს მათ ხორცი შეისხან“⁵. ამ მსჯელობიდან ჩანს, რომ აბსოლუტის მიერ „ლოგიკში“ გრძნობადის რეპროდუქციის მოქმედება, რითაც ჰეგელი ლოგიკურის ბუნებას აყალბებს, კ. მარქსი მიაჩნია ლოგიკის ფარგლებიდან გამოსვლად. კ. მარქსი ჰეგელის სპეციულატურ აპარატში უშვებს გრძნობადი წარმოსახვის მოქმედებას, მაგრამ მას არ მიაკუთხნებს ლოგიკურის სფეროს. ამას ამტკიცებს კ. მარქსის სხვა მრავალი მსჯელობა აღრეული ნაშრომებიდან.

ჰეგელი ინტუიტივისტია, იგი არ არყვებს შემეცნების საზღვრებს, — ამბობს ილინი, — და ამის ერთ-ერთ არყვენტად ის მიაჩნია, რომ თითქოს ჰეგელს არა აქვს ჭეშმარიტების კრიტერიუმი, უფრო სწორად — ის, რაც თითქოს კრიტერიუმად ითვლება მასთან, თავის როლს ვერ ასრულებს. ერთ-ერთ ასეთ კრიტერიუმად ჰეგელის ფილოსოფიაში ილინს მიაჩნია „დავწყება თვით-დავიწყების შესახებ“. მისი აზრით, ეს ნიშნავს სუბიექტის მიერ ობიექტური აზრის უშუალო ხედვის თანმხლებ გარემოებას. ეს ხედვა ისეთი ძალისაა, რომ სუბიექტი თვითდავიწყებით იძირება ზედროულ-ზევრცეულ აზრში, ხდება სუბიექტ-ობიექტის ზემოთ დახსასიათებული შერწყმა, ყოველი სუბიექტურისა და რეფლექსის მოსპობა. ეს იგივე შემეცნებითი მოქმედებაა და სუბიექტი მასში თავს ივიწყებს. ხედვა რომ ასეთი ინტენსივობის არ იყოს, სუბიექტი განასხვავებდა თავის თავს საგნისაგან, ე. ი. მოახდენდა რეფლექსის თავის თავზე, მის

⁴ К. Маркс, Ф. Энгельс, Сочинения, 1929, т. 2. стр. 133.

⁵ ი. ქ. ვ. ვ. 152.

მჟღედებაზე, რეფლექსიაზე და გარეცვევდა შემეტნების საზღვრებს; ამის შედეგად საგანთან უშუალო ერთიანობა მოიხსნებოდა, ვერ განხორციელდებოდა ინტუიცია. ეს თვითდავიწყება ისეთია, რომ სპეციალურ აზროვნებაში არც მასზე ხდება რეფლექსია, როგორც კი იგი რეფლექსის ყურადღებას მიიკყრობს, ინტუიცია აღარ გვაქვს. ასეთი აზრი აქვს ილინისათვის „დავიწყებას თვითდავიწყების შესახებ“ ჰეგელის მსჯელობაში. მაგრამ ილინის აზრი, რომ იგი ჰეგელისათვის ჭეშმარიტების კრიტერიუმია, მცდარია, რაღაც „დავიწყება თვითდავიწყების შესახებ“ ფსიქოლოგიური გარემობაა და იგი არ შეიძლება იყოს და არც არის ჰეგელის ფილოსოფიაში ჭეშმარიტების კრიტერიუმი. ჰეგელი მკაცრად აკრიტიკებდა უშუალო ცოდნის თეორიას ფსიქოლოგიურის ჭეშმარიტების კრიტერიუმად მიღებისათვის. ჭეშმარიტების მეორე კრიტერიუმად ჰეგელთან ილინი თვლის აზროვნების იგივებას, საყოველთაობას, „იდენტურობას ყველა ინდივიდუში“, მაგრამ არც „იგივეობა“, „იდენტურობა“ და მათთან გათანაბრებული „საყოველთაობა“ და „ზოგადობა“ მიაჩნია ჰეგელს ჭეშმარიტების კრიტერიუმად. იგი ასე მსჯელობს: „მე“ არის თავისთვის და თავისთვის ზოგადი და საერთობაც ზოგადობის ერთ-ერთი ფორმაა, ყველასხვა ადაშიანს ჩემთან საერთო ისა აქვს, რომ ისინი არიან „მე“, ისე როგორც ყველა ჩემს შეერთნებებს, წარმოდგენას და ა. შ. საერთო ისა აქვს, რომ ყველა ისინი ჩემია“⁶, „მე“, ჰეგელის აზრით, „წმინდა მომართებაა“, იგივეობაა თავისთავთან. იგი „აბსტრაქტული ზოგადობის არსებობაა“⁷. ამ მსჯელობიდან ჩანს, რომ ჰეგელისათვის იგივეობა, იდენტურობა და მათს მსგავსად, აბსტრაქტულად გაგებული საყოველთაობა და ზოგადობა გარეგნული რამა ნამდვილი ზოგადობისათვის და, ცხადია, მათ ჰეგელი კრიტერიუმად ვერ ჩათვლის. შისთვის აზროვნება იმიტომ კი არა ჭეშმარიტი, რომ იგივეური, იდენტური და საყოველთაო, არამედ — იმიტომა იგივეური, იდენტური და საყოველთაო, რომ ჭეშმარიტია.

ჟრიტიკებდა რა უშუალო ცოდნის თეორიას, ჰეგელი აღნიშნავდა, რომ იგი ცოდნის ფაქტს, საყოველთაო შეთანხმებას ღებულობს ჭეშმარიტების კრიტერიუმად და არა აზროვნების ბუნებას. იგი თვლის, რომ, საყოველთაო არსებული რომ იცოდეს როგორც აუცილებელი, აზროვნებისათვის საჭმარისი არაა საყოველთაო შეთანხმება, ამისათვის საჭმარია ცნობიერების გამოკვლევა შისგან შემოხვევითის ჩამოცილებით, რითაც ნაპოვნი იქნება ცნობიერების თავისთვად და თავისთავის ზოგადი, ანუ მისი ბუნება. სწორედ მას იყვლევს და ასაბუთებს ჰეგელი და არა იდენტურობას, იგივეობასა და აბსტრაქტულად გაგებულ საყოველთაობასა და ზოგადობას, რაც ამ აუცილებლობის გარეგნული ჩანარეა. მას აღმოჩენს ჰეგელი არა მრავლის ურთიერთ შედარებისა და იგივეობა-იდენტურობის პოვნის გზით, არმედ აზროვნების, როგორც თავისთვად და თავისთვის ზოგადის, შესწავლით. ასეთი ზოგადობა, აუცილებლობა არის, ჰეგელის მასტერით, ჭეშმარიტების კრიტერიუმი. კონკრეტულად როგორ შეიძლება ვამსჯელოთ ჰეგელის ფილოსოფიაში ჭეშმარიტების ჯე კრიტერიუმზე?

ჰეგელი ონტოლოგიისტია ჭეშმარიტების გაებაში, მაგრამ თუ დავაწეულებთ მას გამოთქმებს ჭეშმარიტების შესახებ, მივიღებთ ოთხნაირ აზრს: 1. ჭეშმარიტება არის ცნება, აზრი, საგანი, ლოგიკური, ღმერთი, აბსოლუტი, რეალო-

⁶ ჰეგელის ლოგიკის მეცნიერება, გვ. 77.

⁷ ჰეგელი, გვ. 78.

ბა, ე. ი. მთელი. 2. ჭეშმარიტება არის შემმეცნებელი სუბიექტის აზრის თანხმობა ობიექტურობისთან, საგანთან. 3. ჭეშმარიტება არის სასრული საგნებას თანხმობა თავის ცნებასთან. 4. ჭეშმარიტება არის შემცენებელი სუბიექტის აზრის თანხმობა სასრულ საგნებთან. ამის შესაბამისად კრიტერიუმზეც კონკრეტულად უნდა ვიმსჯელოთ.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „იდენტურობა“, „იგივეობა“ და მათებრ გაეგბული „ზოგადობა-საყოველთაობა“ არ არის ჭეგელისთვის ჭეშმარიტების კრიტერიუმი, მაგრამ ილინი ზოგადობის ჭეგელისებურ გაეგბას უახლოვდება, როდესაც მსჯელობს აზროვნების, როგორც შემოქმედი სტიქის, ზოგადობა-საყოველთაობაზე. მოუხელავად ამისა, მას საქმის არსი მაინც ყურადღების გარეშე ჩერება, ზოგადობის აბსტრაქტულ გაეგბას ვერ სცილდება ჭეშმარიტების კრიტერიუმზე მსჯელობაში. იგი მსჯელობს აზროვნების სტიქის „ზოგადობაზე“, მაგრამ აბსტრაქტული იგივეობის გაეგბაზე იქთ. არ მიღის. ასეთი ზოგადობა მხოლოდ იგივეობაზე გველაპარაკება. კიდევ მეტი: თვით ის „ზოგადობა“, რომელზეც ჭეგელი მსჯელობს, უფრო იგივეობაზე მიუთითებს; მაგრამ აზრი იმიტომ კი არაა ჭეშმარიტი მასთან, რომ ზოგადია, თუმცა ამ ზოგადობის გარეშე არ არსებობს. ჭეშმარიტება აზრისათვის უფრო არსებითა გულისხმობს, ვიდრე იგივეობას, კერძოდ — განსხვავებას, წინააღმდეგობას. ჩაც ჭეგელის მეტაფიზიკურია აზრისათვისა და მასთან გამოიყენებოდეთ. ეს მეტაფიზიკური აზრია საგანი და ჭეშმარიტება. იგი მოძრავი გონია, რომელიც ახლებს თვითგანსაზღვრებას, მჟღლილოგიკური პროცესი თვითგანსაზღვრების პროცესია, ყოველი ახალი განსაზღვრება განსხვავებულია და აუცილებლობით გამომდინარების წინა ლოგიკურიდან, აუცილებლობით ეთანხმება მას. ჭეშმარიტება ეს ლოგიკურია, ამ განსხვავებულ განსაზღვრებათა თანხმობაა. აუცილებლობა კი ამ თანხმობის განსაზღვრები ფაქტორი და კრიტერიუმია. ონტოლოგიურად იგი (აუცილებლობა) ონტოლოგიური აუცილებლობაა, ლოგიკურად — დასაბუთებაა, ლოგიკური აუცილებლობა. გარკვეული აზრით, აუცილებლობა უდრის დასაბუთებას, ვინაიდან ჭეგელი ონტოლოგიურსა და ლოგიკურს აიგივებს. ჭეგელის ონტოლოგიურის განსაზღვრებები თავის თავს ასაბუთებენ. ისეთ აზრს, რომელიც თავის თავს ვერ დასაბუთებს, აუცილებლობა არა აქვს, ის ობიექტური ჭეშმარიტება არაა. ჭეგელი ასაბუთებს აზრს, ლოგიკს, მთელი ლოგიკური დასაბუთებაა. ასეთ აზრიდან მიაჩინა ჭეგელს თავისი აზრი, რომელიც არსიცა. ეს მისი არსებობა აუცილებლობითა განსაზღვრული. ამ გზით მივდივართ აზრის, როგორც ობიექტური ჭეშმარიტების და ობიექტურად არსებულის, აღიარებამდე ჭეგელის მიხედვით. ასე შეიძლება ვიმსჯელოთ ჭეშმარიტებაზე და მის კრიტერიუმზე ამ გაეგებით ჭეგელის ფილოსოფიაში.

რაც შეეხება ჭეშმარიტების მეორე და მესამე გაეგბას, ისინი ონტოლოგიურ გაეგბაზე დაიყვანებიან, ხოლო ფორმალურ ჭეშმარიტებას ჭეგელი ყურადღების ღირსად არა თვლის.

არანაკლებ აყალბებს ილინი დაილექტიკას. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, ერთის მხრივ, რომ მას ღიალექტიკა შეცდომის რეზულტატად მიაჩინა და ამიტომ უარყოფის ღირსად არა თვლის. მაგრამ, მეორეს მხრივ, როგორც იგი მოცემულია ჭეგელის

⁸ ჩვენ აქ არ ვმსჯელობთ იმ რაციონალურზე, რაც ჭეგელმა ჭეშმარიტების კრიტერიუმის საკითხში მოგვია (იბ. ვ. ი. ლენინის «ცილისოფიური რვეულები», პროფ. კ. ბ ა ჭ რ ი - ჭ ი ს «სისტემა და მეთოდი ჭეგელის ფილოსოფიაში»).

ფილოსოფიაში, ქვეითდება ილინთან ამ ფილოსოფიის მეორეხარისხოვან მო-
შენტამდე, ნაწილამდე. ილინი ასე წერს: „აუცილებელია დავადგინოთ, რომ
დიალექტიკა არ არის ჰეგელის ფილოსოფიის არც მთავარი და არც უმაღლე-
სი მიღწევა; და რომ ლოგიკურ წინააღმდეგობათა მოძებნა და კულტივირება
არასოდეს არ იქნება ჰეგელის ჭეშმარიტი მიმდევრის საქმე“⁹.

ილინი თვლის, რომ მოძრავ საზრისს ობიექტურად ახასიათებს დიალექ-
ტიკა, რომელსაც ჰეგელი ინტუიტივისტურად ჩასწვდა; მას სპეციულატურ ჭვრ-
ტაში გამოეყავადა ცნება თავის ცვალებადობაში. ამ მსჯელობის აზრი ის არის,
რომ ილინი ორ მეთოდს ცნობს ჰეგელის ფილოსოფიაში: ერთს, — საგნის მე-
თოდს — დიალექტიკას და მეორეს, — სუბიექტის შემეცნებით ინტუიტიური
ხედვის მეთოდს. იგი წერს: „მაშასადამე, თავისი ფილოსოფობის მეთოდით
ჰეგელი ცნობილ უნდა იქნას არა დიალექტიკოსად, არამედ ინტუიტივისტად.
უფრო სწორად, ინტუიტურად მოაზროვნე ნათელმხილველად. თუ მეთოდში
ვიგულისხმებთ ფილოსოფოსის მიერ განხორციელებული შემეცნების სახესა და
წესს, ჰეგელი დიალექტიკოსად შეიძლება ცნობილ იქნეს სრულიად გარეგნუ-
ლი, განსკითი აზრით“¹⁰. დიალექტიკა საგანმია და მისი აღმოჩენის შედეგად
ხდება სუბიექტის კუთვნილებად, სუბიექტ-ობიექტის მეთოდად. ვაგრამ ამ
მსჯელობით ილინი თავის თავს ეწინააღმდეგება, რადგან, მისი აზრით, დიალექ-
ტიკა სუბიექტის და საზრისის შერწყმის შედეგად, ამასთან ცნობიერების შეაქვს
მოძრაობის საწყისი სტატიკურ საზრისში. შემდეგ, ილინი სხვაგან ინტელექ-
ტუალურ ინტუიციას ამიერებულ მიიჩნევს, იგი წერს: „ინტელექტუალური
ინტუიცია არის გონება, რომელიც თვით ქმნის და შეის თავის თავს, და ამ
მხიშვნელობით, თვით არსებული პირველრეალობაა“¹¹. ასეთ უაზრო წინააღ-
მდეგობას შეიცავს ილინის ეს თვალსაზრისი. გარდა ამისა, მას უარყოფს თვით
ჰეგელის არაერთი მსჯელობა დიალექტიკაზე, როგორც ყოვლის მომცველ მე-
თოდზე. ასე, მაგალითად, ჰეგელი ერთგან წერს: „რეფლექსის საყოველოთაობის
თანახმად, მას (დიალექტიკას, კ. მ.) იგებენ როგორც მეთოდს ყველაფრისა-
თვის; იდეის საყოველოთაობის თანახმად კი, იგი არის იმდენადვე სახე, წესი თა-
ვისი თავისი მცოდნე ცნების შემეცნებისა, რამდენადაც იბიექტური სახე და
წესი (ან უფრო სწორად, სუბსტანციალობა) საგნებისა, ანუ ცნებებისა, რამ-
დენადაც უკანასკნელი წარმოლენება და რეფლექსის, უპირველეს ყოვლისა,
სხვად ეჩვენება“¹². ასეთი და მსგავსი აზრი ჰეგელს არაერთი აქტს გამოიწვუ-
ლი. მაშასადამე იგი მსჯელობს არა ინტუიციაზე, როგორც მეთოდზე, არამედ
დიალექტიკაზე და სპეციალციაზე, როგორც მისი ფილოსოფიის მეთოდზე.

ილინის მიერ დიალექტიკის გაყალბება ჰეგელის ფილოსოფიის მთელი
რიგი საკითხების განხილვის დროს ხდება. ამ გარემოებს აქვს აღვილი, აგ-
რეთვე, დიალექტიკისა და ფილოსოფიის დამოკიდებულების შესახებ
ჰეგელის თვალსაზრისის განხილვისას, იყენებს რა ამ საკითხის განხილვას თა-
ვისი ინტუიტიური თვალსაზრისის გასამაგრებლად, ილინი აღნიშნავს, რომ
ფილოსოფიურ-ლოგიკური კანონები იგივეობისა და წინააღმდეგობისა შეურიგე-
ბელი წინააღმდეგობის კანონებია, რასაც არ შეიძლება დაქვემდებაროს ცვა-

⁹ И. А. Ильин. Философия Гегеля как учение о конкретности бога и человека. М., 1919, стр. 119.

¹⁰ ი ქ ვ ვ, ვ 3 . 127.

¹¹ ი ქ ვ ვ, ვ 3 . 82.

¹² Гегель, Сочинения, 1937, т. VI, стр. 299.

ლებადი „საზრისი“, რომელიც თვით ქმნის ახალ განსაზღვრებებს. ილინი მსჯელობს დალექტიკურ წინააღმდეგობაზე და იბობს, რომ იგი სპეკულატურ აზრშიც არსებობს. ილინი მას თოთქოს ანიჭებს ყოველი ჭოძრაობისა და განვითარების წყაროს მნიშვნელობას, მაგრამ შემდგომ მსჯელობაში აქვეითებს შეორენარისხოვანის დონემდე და მას ადგილზე ათავსებს სპეკულატური კონკრეტობის კანონს.

ილინის აზრით, წინააღმდეგობრივ მხარეთა შერჩების წვდომა შეუძლებელია ფორმალური აზროვნების ფარგლებში დარჩენით, რადგან განსხა მოწყვეტილია საგანს და არ შეუძლია გაიგოს საზრისის დალექტიკური ბუნება. იგი ჰეგელის აზრს განსჯითი და სპეკულატური აზროვნების წინააღმდეგობის შესახებ აქაც იყენებს თავისი ინტუიტივისტური კონცეფციის გასამაგრებლად. ილინი წერს: „დალექტიკური პროცესის მხოლოდ ადეკვატური ჭრეტა უხსნის შემეცნებას იშის შესაძლებლობას, რომ გამოვიდეს განსჯითი სფეროდან და „დარწმუნდეს“ იმაში, რომ ფორმალურ-ლოგიკური კანონების კომპენტენცია შემოსაზღვრულია“¹³. ილინის ინტუიციის, მჭვრეტელი აზროვნების გარეშე ვერ წარმოუდგენია ფორმალური აზროვნების კომპენტენციის შემოსაზღვრა, ის, რომ ჰეგელი ყოველგვარი ინტუიციის მოშველიების გარეშე ვლებს ზღვარს ფორმალურ-ლოგიკურ და დიალექტიკურ აზროვნებას შორის. ამით ილინი ამასინჯებს ჰეგელის ფილოსოფიაში ამ ორგვარი აზროვნების დამოუიდებულების აზრს.

დიდ ყურადღებას უთმობს ილინი საყოველთაოსა და ერთეულის საყითხის განხილვას. გარმოსცემს რა ამ საკითხზე ჰეგელის შეხედულებას, ილინი აქაც თავისი ინტუიტივისტურ თვალსაზრისს ატარებს. იგი აღნიშნავს, რომ საყოველთაოსა და ერთეულის ერთიანობა იგივე კონკრეტობას, სპეკულატური ტოტალობას წარმოადგენს და შემმეცნებელი სუბიექტისათვის იგივე ინტუიციური შემეცნების საგანია. როგორ ხდება ზოგადისა და ერთეულის, მათი ერთიანობის ეს წვდომა? იგი ასე უპასუხებს: „მაზროვნეს, რომელიც კანტის კატეგორიებსა მიჩვეული, აქ, როგორც ადრე, ყველაზე უფრო უხსნის ინტელექტუალური ინტუიციის იდეა. თუ კანტის მოძღვრების მიხედვით, ერთეული გრძნობადი მჭვრეტელობის საგანია, საყოველთაო კი — განსჯითი აზრის საგანი, ჰეგელის მიხედვით, მჭვრეტელ აზრს ჭვრეტისას საქმე აქვს ერთეულთან, ხოლო აზროვნების სახით იგი მოპარიულია საყოველთაოზე. თუ აზრი ემთხვევა ჭვრეტას, მაშინ საყოველთაო უნდა დაემთხვეს ერთეულს“¹⁴. ასე აერთებს ილინი საყოველთაოსა და ერთეულს შემეცნებაში. მაგრამ აქ წინააღმდეგობა ძნელი საპოვნელი არაა. ჰეგელისათვის არა მარტო საყოველთაო, არამედ ერთეულიც აზრია და რაღა საჭიროა ჭვრეტა, მის შემეცნებას აზრი ისევე შეძლებს, როგორც საყოველთაო შემეცნებას. შემდეგ, თუ აზროვნება მიმართულია საყოველთაოზე, ხოლო ჭვრეტა ერთეულზე, მაშინ ილინი უარყოფს თავის აზრს, რომ საყოველთაოს წვდომა ხდება მჭვრეტელი აზროვნებით.

საერთოდ, მეთოდზე მსჯელობის დროს ილინი შიდას დიალექტიკის სუბიექტივისტურ გავებამდე, რაც უკვე ნაჩვენებია ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში.

¹³ ი. ი ლ ი ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

¹⁴ ი ქ ვ ა მ, გვ. 97.

დიალექტივისა და ლოგიკის დამახინჭებული გავება იღინის მიერ გულისხმობს ჰეგელის ფილოსოფიაში დიალექტივურისა და სპეცულატურის, დიალექტივისა და სპეცულაციის დამოკიდებულების არასწორ გავებას, რასაც აქ არ განვიხილავთ.

ზემონათქვამი შეიძლება მიღებული იქნეს როგორც მხოლოდ ძირითადა იღინის მიერ დიალექტივის დამახინჭებაში.

იღინის მიერ ჰეგელის „ლოგიკის“ და დიალექტივის ონტუიტივისტური გავების სიყალტეს არანაკლები სიცხადით ავგისხნის შუალობისა და უშუალობის დამოკიდებულების ჩვენება „ლოგიკაში“, რომლის თვალსაზრისი ჰეგელშა განსჯისა და უშუალო ცოდნის თეორიის კრიტიკიდან გამოიყეანა.

ჰეგელის ფილოსოფიაში შუალობა-უშუალობის დამოკიდებულება სხვა-დასხვა ასპექტით შეიძლება განვიხილოთ, რადგან მას უნივერსალური წასიათო აქვს. ამ მიმართების საყოველთაო მნიშვნელობაშე ჰეგელი ასე მსჯელობს: „არაფერი არა არც ცაზე, არც ბუნებაში, არც სულმი, არსად, რაც არ შეიცვალეს იმდენადვე უშუალობას, რამდენადაც გაშუალებას, ასე რომ, ეს ორი განსაზღვრება განუყრელი აღმოჩნდება“¹⁵. მაგრამ შუალობისა და გაშუალების ძეცნიერულ განხილვად მას თავისი „ლოგიკა“ მიაჩნია. აქ ყველაფერი შუალობა-უშუალობის ერთიანობაა, ყოველი ლოგიკური მსჯელობა ასეთია.

ამის ჩვენება მრავალ მაგალითზე შეიძლება. ავილით თვით დასაწყისი. ჰეგელის დასაწყისი, როგორც ცნობილია, უშუალობას წარმოადგენს, მაგრამ ივამხოლოდ უშუალო არა. დასაწყისი, თუ ლოგიკაში დასაწყისია და უშუალოდ ითვლება, იგი, მეორეს მხრივ, რეზულტატია მთელი იმ პროცესისა; რომელიც: „სულის ფენომენოლოგიაშია“ აღწერილი. ჰეგელი ასაბუთებს აგრეთვე დასაწყისს, რომელიც „არსია“, მაგრამ ეს დასაბუთება იგივე გაშუალებაა. დასაწყისი იმითაცა გაშუალებული, რისი დასაწყისიცაა, მთელი ლოგიკის სისტემით, იგი აუცილებლობითა განსაზღვრული და არა ჩვენი ნებით, — ფიქრობს ჰეგელი. მთელ ლოგიკაში დასაწყისიდან ბოლომდე ძევს ერთი საფუძველი, რომელიც ყველა განსაზღვრებას სუბიექტია, პირველი განსაზღვრებაც, „არსი“ — დასაწყისიც მისგანაა დამოკიდებული, გაპირობებული, გაშუალებული.

შემდეგ, დასაწყისი განხილება, როგორც საფუძველი, რომლიდანაც გამოდიან და რომელსაც უკან უბრუნდებიან, ამიტომ, როგორც საფუძველი, ივასევ გაშუალებულიცა.

დასაწყისი შუალობა-უშუალობის ერთიანობაა, მაგრამ იგი არსებითად აღებული უნდა იქნეს მის ცალმხრივობაში — უშუალობაში, როგორც დასაწყისი. ამ ცალმხრივობაშია მისი უშუალობა, ის ცალმხრივი აღებულობაა, განუსაზღვრელია, აბსტრაქტულია, მარტივია, ანალიზის არ ევემდებარება, რადგან შინაგანი მიმართებანი არა აქვს, ე. ი. კონკრეტული არ არის; ასეთი რომიყოს, მის შიგნით იქნებოდა გვადასვლა პირველიდან შეკრიფომზე. მის ცალმხრივობაში აღებული დასაწყისი უშუალოა, ხოლო გაშუალებადან მთელთან კავშირში. მაგრამ რაც ითქვა დასაწყისის შესახებ, ძირითადში იგივე ითქმის ლოგიკის ყველა კატეგორიაშე. ლოგიკა კატეგორიების წრეა, რომლის დასაწყისს დასასრული ემთხვევა. ესენი ყველანი განსხვავდებიან მეტნაკლები კონკრეტულობით, მაგრამ შუალობა-უშუალობის თვალსაზრისით ერთნაირად ხა-

¹⁵ ჰეგელი, დასახ. ტომი, გვ. 50.

სიათდებიან. მაგალითად, „არსი“ მის ცალმხრივობაში უშუალოა, მაგრამ იდეა. რომელიც ყველა განსაზღვრების ერთიანობაა, მის ცალმხრივობაში ასევე უშუალობაა. მართლაც, იგი სინის ყოველ გაშუალებასა და უშუალობაში გადადის.

ჰეგელის მთელი ლოგიკა, ერთის მხრივ, შუალობა-უშუალობის. დიალექტიკა — შუალობის მოხსნა და გაშუალების დადგენა, გაშუალების მოხსნა და უშუალოს დადგენა. ფილოსოფია წრეა, ის მთელია, მაგრამ იგი წრეთა წრეა. მთელი რიგი დამოუკიდებელი მთელებისაგან შედგება, თვითეულ მათგანში იდეა განსაჯუთრებულ ელემენტია, რომელიც უცილებელი მომენტია მთელში. ისინი აუცილებლობით გადაღიან ერთმანეთში. ის მთლიანდ აუცილებლობაა, ეს აუცილებლობა დიალექტიკა, მოძრაობა, გადასვლა: „აუცილებლობა თავისთავად არის ერთიანი, თავისთავის ივივური, მაგრამ შინაარსით სავსე არსება, რომელიც თავის თავში ისე ვლინდება, რომ მისი განსხვავებანი იღებენ დამოუკიდებელ ნამდვილთა ფორმას, და ეს იგივური არის ამავე დროს. როგორც აბსოლუტური ფორმა, უშუალობის მოხსნის მოქმედება გაშუალებაში და გაშუალება უშუალობაში“¹⁶, აქედან გამომდინარეობს, რომ თუ უშუალო არის აბსტრაქტული მიმართება თავისთავთან და არ ხასიათდება აუცილებლობით, შინაგანი აუცილებლობით, გადასვლით, მოძრაობით, ცალკე აღებული გაშუალებაც, თავის მხრივ, არ იძლევა აუცილებლობას, რადგან მხოლოდ ფაშუალებული მხოლოდ დამოუკიდებულია სხივისაგან, არა აქვს დამოუკიდებული არსებობა და პეიტომ აუცილებლობა, ეს უკანასკნელი თავის თავშე უნდა იყოს დაშყარებული, ე. ი. მხოლოდ გაშუალებული არ უნდა იყოს, უშუალობასც უნდა წარმოადგენდეს. ასეთია როგორც მთელი ლოგიკური, ისე ყოველი წრე და კატეგორიაც.

ჰეგელის აზრით, ამ უშუალობა-შუალობის ჯაჭვში უშუალობას სხვადასხვა ფორმით ვხვდებით; იგი ზოგიერთ მათგანს ჩამოთვლის, ესენია მაგალითად, „არსი“, „მუნაარსი“, „არსება“, „სინამდვილე“, „ობიექტურობა“ და სხვა. ეს უშუალობანი ერთმანეთს უკავშირდებიან, მაგრამ დამოუკიდებლობით, გარემდებარებით ხასიათდებან და ამაშია მათი აუცილებლობა ლოგიკაში, როგორც შუალობა-უშუალობის ერთიან სისტემაში. ისინი განიხილებიან, როგორც თავისთავთან მარტივი იგივეობა, აბსტრაქტული მიმართება, როგორც სხვა სხვისაგმი, როგორც რაიმე არსების მქონე, დამოუკიდებელი, როგორც ისეთი, რომლისაგანაც შეიძლება გამოსვლა (ყოველი უშუალობა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც პირველი, რომლისაგანაც შემდეგზე გადადიან), როგორც არსებული, როგორც თავისთავში ჩაკეტილი და დამთავრებული, როგორც ცალმხრივობა, როგორც გაშუალების მოხსნილი სახით შემცველი. ასეთია „არსიც“, „არსებაც“, „სინამდვილეც“, „ცნებაც“; „მსჯელობაც“ და ა. შ.

ასე შეიძლება ვიმსჯელოთ შუალობა-უშუალობის შესახებ ჰეგელის ლოგიკურში.

შუალობა-უშუალობის გნოსეოლოგიურადაც განიხილავს ჰეგელი. იგი აბსოლუტურად უშუალო ცოდნას არ ცნობს: ამ მიმართებით აქრიტიკებდა რა უშუალო ცოდნის თეორიას, იგი აღნიშნავდა, რომ ყველაზე რთული მათემატიკური გადაწყვეტილებანი, რომლებიც მათემატიკოსს უშუალოდ ქვეს, მიღებულია ხანგრძლივი მუშაობის შედეგად, ასევე ლმერთის შესახებ რაიმე ცოდნა.

¹⁶ ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, გვ. 327.

ასევე რელიგიაში, ზნეობაში, მოქმედებაში და ა. შ. ყველა სფეროში ეს ცოდნა გაშუალებულია. ჰეგელს, მაშასადამე, ცოდნა, მისი განვითარება, შუალობა-უშუალობის ერთიანობად წარმოუდგენია. გამოსავალი ცოდნის განვითარებაში უშუალობაა, აბსტრაქტულობა, აქედან მიღის შემეცნება კონკრეტულისაკენ, შუალობითისაკენ. მისი აზრით, პირველი უნდა იყოს ის, რაც მარტივია, გამოყოფილი კონკრეტულისავან, ასეთ ფორმაში აქვს საგანს თავისთავისადმი მიმართებაში მყოფის, უშუალოს ფორმა, რომელიც ცნების მსგავსია. ის პირველი მომენტია, მაგრამ მომდევნო უკვე განსაკუთრებულია, რომელზეც გადაჯინ. ცოდნის განვითარება არის გზა აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ, რაც ჰეგელს ლოგიკაში აქვს მოცემული. მაშასადამე, ცოდნის წინსვლის ეს პროცესი შუალობა-უშუალობის დიალექტიყაა. ლოგიკა ხომ ემთხვევა შემეცნების თეორიას.

ჰეგელი ბუნებაშიც. ე. ი. დევის გარეენობაშიც, ხედავს შუალობა-უშუალობის დიალექტიყას. განხილავს რა მაგალითად, შესაძლებლობისა და სინაზ-დევილს კატეგორიას, იგი სინამდვილის შესახებ ამბობს, რომ მას ყოველ გარემოებაში წინამდღვრად სხვა სინამდვილე აქვს, მითაა გაშუალებული. ამა თუ იმ სინამდვილეში რაიმე გარკვეული პირობები მომავალი სინამდვილის წინამდღვარია. ყოველი სინამდვილე, შესაძლებლობა, ხსნის რა თავს, გადადის ახალ სინამდვილეში. ახასიათებს რა სინამდვილეს, როგორც აქეთს. ჰეგელი წერს: „ასეთი სახისაა საერთოდ სინამდვილის პროცესი. იგი არის საერთოდ არა მარტო უშუალოდ არსებული, არამედ როგორც არსებოთ არსი, იგი არის თავისი საკუთარი უშუალობის მოხსნა და ამის მეოხებით იგი გაშუალებს თავის თავს თავის თავთან“¹⁷. ასეთ უნივერსალურ ხასიათს ანიჭებს შუალობა-უშუალობის დამკიდებულებას ჰეგელი. მაგრამ ყველა ამ ფორმიდან მეცნიერულს, როგორც ითქვა, მხოლოდ ლოგიკურ ასპექტში განხილვას უწოდებს.

შუალობა-უშუალობის ამ დახსაიათებიდან ჩანს, რომ ინტუიცია, ჭვრეტა ჰეგელისათვის უშუალობის ერთ-ერთი ფორმაა. ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება გამოვთქვათ აზრი ჰეგელის ფილოსოფიაში, კერძოდ „ლოგიკაში“, წმინდა ანუ ინტელექტუალური მჭვრეტელობის მნიშვნელობისა და ფუნქციის შესახებ.

ჰეგელი ხშირად ამბობს, რომ წმინდა აზროვნება წმინდა ჭვრეტა და პირუკუ, მაგრამ, როგორც ითქვა, აქ აზრისა და ხედვის შერწყმასთან არა გვაქვს საქმე, როგორც ეს ილანს მიაჩნია. საერთოდ, აზროვნების განვითარებაში ჰეგელი განსჯითსა და სპეციალურ საფეხურებს და, შესაბამისად, აბსტრაქტულ და კონკრეტულ ჭვრეტას ცნობს. მას ფაქტურად აზროვნებისა და ჭვრეტის. როგორც მთელისა და მომენტის, ერთგვარი დუალიზმი აქვს. პირველი შემეცნებაა, მეორე შემეცნების პროცესის მომენტის მნიშვნელობას ღებულობს, ერთი რაციონალურია, მეორე ირაციონალური.

კონკრეტულად რა ფუნქცია და დანიშნულება აქვს წმინდა ჭვრეტას ჰეგელის ფილოსოფიაში? „ლოგიკაში“ გადმოცემული პროცესი არის არა მარტო ლოგიკური, არამედ ონტოლოგიური და შემეცნებითი პროცესი, „ლოგიკას“ აქვს აგრეთვე რელიგიურ-თეოლოგიური შინაარსი. ამიტომ მასში უშუალობის მნიშვნელობის შესახებ შეიძლება სწორედ ამ ასპექტებით ვიმსჯელოთ.

¹⁷ ი ქ 3 ვ, გვ. 320.

ჩეგელებრივი შემეცნებითი პროცესის გამოსავალი ერთნობადი სინამდვი-ლეა, რომელიც ცოცხალ განჭვრეტაში გვაქვს მოცემული. ამით იწყება შე-მეცნების პროცესი. მაგრამ ვინაიდან „ლოგიკაში“ გრძნობადი სინამდვილე მო-სინილია, გრძნობად განჭვრეტასაც არა აქვს ადგილი. ამიტომ ჰეგელი ამ დანა-კლისის კომპენსაციის ცდილობს. მატერიალური სინამდვილის ადგილზე სვამის ონტოლოგიაზირებულ აზრს, ხოლო გრძნობად ჭვრეტას მისი სურრგატით — წმინდა ანუ ინტერიტუალური ჭვრეტით ცვლის. მაგრამ არს თავისი თვისე-ბები აქვს და პირველ რიგში ის, რომ არსა, არსის ფორმა აქვს, განსაზღვრუ-ლობა, თავის თავისადმი მიმართება ახსიათებს, რასაც ჰეგელის აზრით უშუა-ლობა ქმნის. იმისათვის, რომ ამ თვისებით აღიჭურვოს აზრი, ე. ი. არსად და-სახოს, ჰეგელი ლოგიკურს მოსავს ამ უშუალობით. მაშასდამე, წმინდა ჭვრე-ტა, ჰეგელის მიხედვით, ხდის აზრს არსად, უფრო ზუსტად, იგი ეზმარება ჰე-გელს ლოგიკურის გარკვეულობა არსის გარკვეულობად დასახოს ასე შეიძ-ლება ვიმსჯელოთ წმინდა ჭვრეტის ონტოლოგიურ დანიშნულებაზე.

ლოგიკურ უშუალობაზე ზევით ვიმსჯელეთ და აქ მოკლედ აღენიშნავთ, რომ ჰეგელის აზრით, ლოგიკური აუცილებლობაა, რაც დასაბუთებას ნიშნავს, შას ქმნის შუალობა-უშუალობა მათს ერთობაში. გაშუალება მიმართების აღ-მნიშვნელია, ხოლო უშუალობა ლოგიკურს გარკვეულობა-განსაზღვრულობაა. თუ გაშუალება გადასცლა, მოძრაობა, დიალექტიკა, უშუალობა ამ მოძრაობის მომენტია, მიმართება თავის თავისადმი, გარკვეულობაა მოძრაობაში. აქედან — ამ გავებით ჰეგელის ლოგიკური უშუალობა არა ინტუიცია, ინტელექტუალუ-რი ჭვრეტა.

11172

თუ ლოგიკს განვიხილავთ როგორც შემეცნების პროცესს, მაშინ უშუა-ლობის ცნებაში ჭვრეტის სახით სხვა შინაარსს ვნახულობთ. „ლოგიკა“, რო-გორც შემეცნების წინსვლა, შუალობა-უშუალობის ერთიანობაა, რომლის უშუალობის მომენტები ჭვრეტას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ჭვრეტა ცოდ-ნის არსებობის ფაქტის აღნიშვნელია. ჭვრეტის, როგორც უშუალო ცოდნის, ცნობა ჰეგელთან ცოდნის განვითარების რეზულტატს, მიღწეული ცოდნის, როგორც ფაქტის, არსებობას აღნიშნავს. ასეთი ცოდნა აქვს ამა თუ იმ დარეში ყოველ მოცემულ მომენტში კოველ ინდივიდს და მას ჰეგელი ფსიქოლოგი-ურს უწოდებს. ჰეგელი „ლოგიკაში“ ამ უშუალო ცოდნას საერთო-საკაონბ-რით ცოდნამდე აფართოებს და მეტაფიზიკური სუბიექტის შემეცნებითი მოქ-მედების მომენტად სახავს და წმინდა, ინტელექტუალური ჭვრეტის ცნებით გა-მოხატავს.

მაგრამ ლოგიკა გაიგება არა მარტო როგორც ცნების განსაზღვრებათა გაშლა, ცოდნის წინსვლა, ონტოლოგიური პროცესი, არამედ მას რელიგიურ-თეოლოგიური შინაარსიც ეძლევა ჰეგელის მიერ. იგი განიხილება. როგორც ღმერთი, აბსოლუტური სუბიექტი, რომელიც განვითარების ყოველ საფეხურ-ზე ჭვრეტს თავისთავს. ჰეგელის ამ აზრში ასახულია მისწრაფება ღმერთის და-საბუთებისა, მეორეს მხრივ, მას სურს ლოგიკურ განვითარებას ჩაწენას ისტო-რიაში არსებული ღმერთის ფაქტი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ჰეგელმა ინტუიცია მაინც დატოვა თავის ფილოსოფიაში, თუმცა სასტიკად გაკრიტიკა ინტუიტი-კიზე. აღნიშნული შინაარსის მიხედვით, მასთან ჭვრეტის საგანია ცოდნა, ონტოლოგიური, რელიგიურ-თეოლოგიური, ე. ი. მისტიკური, მაგრამ ეს საგანი

ხომ ლოგიკურია? ე. ი. ჭვრეტა ლოგიკურის ჭვრეტაა. საყითხავია: თვით ჭვრეტა ლოგიკურია? — არა! მერე როგორ ასრულებს ლოგიკური არალოგიკურ მოქმედებას? ამას ჰეგელი იმით ხდის შესაძლებელს, რომ ლოგიკურს სუბიექტად წარმოიდგენს და ჭვრეტის სახით მისთვის უცხო ფუნქციას უჩენს, რითაც ლოგიკურს აყალბებს. მაშასადამე, ჰეგელთან ლოგიკური ჭვრეტს თავის თავს, მაგრამ ეს არა მთავარი და განმსაზღვრელი ჰეგელის მიერ ლოგიკურის გაგებაში, ჰეგელის ფილოსოფიაში მას დაქვემდებარებული მომენტისა და სუსტი ტენდენციის მნიშვნელობა აქვს. ასე უნდა გვესმოდეს ჭვრეტის მნიშვნელობა და შინაარსი ჰეგელის აზროვნებაში და არა ილინისებურად, რომელიც ჭვრეტას ლოგიკურის არსებად თვლის და ინტუიტივისტურად ამახინჯებს ჰეგელის ფილოსოფიას.

ზიგი გარაზიშვილი

მაგისტრის ცისხემაჯი რამაზონის მოქმედების უსიქოდოგიური ანალიზი

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახ.
ფსიქოლოგის ინსტიტუტი)

მეცნიერებისა და ტექნიკის მძლავრმა განვითარებამ ფსიქოლოგის და
სხვა ანთროპოლოგიური მეცნიერებების წინაშე ახალი პრობლემები დააყენა.
კერძოდ, დღის წესრიგში დადგა ადამიანის შრომითი მოქმედების საფუძვლიანა
ანალიზის საკითხი. ადამიანი შეისწავლება, როგორც მართვის სისტემის რგო-
ლი. ამ ვითარებამ განსაზღვრა ახალი მეცნიერული დისციპლინის — საინჟინ-
რო ფსიქოლოგის — აღმოცენება და განვითარება.

ადამიანს შეუძლია მაღალმწარმოებლურად იმუშაოს მხოლოდ იმ შემ-
თხვევაში, თუ მას უნარი და საშუალება აქვს ოპტიმალურად გამოიყენოს არ-
სებული ტექნიკური საშუალებები. მისათვის ერთ-ერთ ყველაზე აუცილებელ
პირობას წარმოადგენს ის, რომ ეს საშუალებები საუკეთესოდ ეხამებოდნენ
ადამიანის ფუნქციონალურ შესაძლებლობებს.

თუ საინჟინრო მეცნიერებებს საქმე აქვთ მექანიზმების კონსტრუქციის
თვალსაზრისით მოწყობილობათა გაუმჯობესებასთან და სრულყოფასთან, საინ-
ჟინრო ფსიქოლოგია დაინტერესებულია მოწყობილობათა ადამიანისათვის
მორგებაში, ითვალისწინებს რა ადამიანის ფსიქოლოგიურ შესაძლებლობებს და
შეზღუდულობებს.

წარმოებაში ადამიანის როლი და აღვილი იცვლება ახალი მანქანა-იარა-
ღების დანერგვისთან დაკავშირებით. ზოგიერთი ოპერაცია, რომელსაც აღრე
ადამიანი ასრულებდა, თანდათან მანქანას გადაეცემა. წარმოებაში ადამიანის
მთავარ ფუნქციად რჩება პროგრამირება, მართვა და კონტროლი.

ადამიანს უხდება უფრო მეტი ობიექტების ერთდროული მართვა. თვით
მართვა კარგავს კონტაქტურ ხასიათს და გადაიცევა დისტანტურად. თანა-
შედროვე ტექნიკა აიძულებს ადამიანს იმუშაოს გაცილებით სწრაფად.

შრომის პირობების შეცვლასთან დაკავშირებით წამოიჭრება საკითხთა
რიგი, რომელთა გადასაჭრელად საჭიროა ადამიანის ფსიქიური პროცესების
ღრმად შესწავლა. სისტემის საიმედოობისათვის უფრო მნიშვნელოვანია არა
მხოლოდ ოპერატორის აღქმის, აზროვნების, მოქმედების ცალკეული ფუნქ-
ციონალური შესაძლებლობების გაება, არამედ მისი მოღვაწეობის ერთ
მთლიანობაში შესწავლა. აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნეს ყველა მხა-
რე, რომელზეც დამოკიდებულია ოპერატორის მუშაობის წარმატება.

სისტემა „ადამიანი-მანქანის“ ნორმალური მუშაობისათვის და მისი პრო-
ექტირებისას წამოჭრილი მრავალი პრაქტიკული ამოცანის გადასაწყვეტაზ

აუცილებელია ოპერატორის მოქმედების ფსიქოლოგიური ანალიზი. ეს ანალიზი შემდეგი სახის შეიძლება იყოს¹:

1. ოპერატორის მოქმედებას აპტომალური ორგანიზაცია. ეს დაღი პრობლემაშეიცავს კერძო საკითხებს:

ა) ადამიანსა და მანქანას შორის ფუნქციების განაწილება. ამ საკითხის გადაჭრა მოითხოვს ადამიანსა და მანქანს შესაძლებლობათა შესწავლას, ინფორმაციული მოდელების შექმნას, ადამიანის მიერ შესასრულებელი ზოგიერთი ოპერაციის ალგორითმების შედგენას, რომლებიც შესაძლებელია გადაეცეს მანქანას.

ბ) სისტემში ადამიანთა ურთიერთობის გადაწილება. ცალკეულ ოპერატორებს შორის ფუნქციების სწორად განაწილებას არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება, ვიღრე ფუნქციების განაწილებას ადამიანსა და მანქანას შორის. როცა საჭმეებება კოდირებული ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის საკმაოდ სწრაფ პროცესს, ამ შემთხვევაში რომელიმე ოპერატორის შეფერხება ისევე გამოიწვევს სისტემის მუშაობის დაზღვევას, როგორც მანქანის რომელიმე დეტალის მწყობრიდან გამოსვლა.

გ) ადამიანის გამტარუნარიანობა. საჭიროა ინფორმაციის სხვადასხვა სენსორულ მოდალობებზე განაწილების შესწავლა. მასთანვე დაკავშირებული ეფექტური კოდირების, ალგორითმიზაციის და სხვ. ოპერაციები.

დ) ოპერატორის მუშაობის სიზუსტე და საიმედოობა. საჭიროა შესწავლილ იქნას დაღლა, სტრესის მდგომარეობა და სხვ. (მათი აღმოცენების პირობები, დინამიკა, რეაგისტრაციის მეთოდები, შესასრულებელ მოქმედებაზე გავლენა და ა. შ.).

2. სწავლების აღეკვატური და ეფექტური მეთოდების შემუშავება. ამის წინაპირობას წარმოადგენს ოპერატორის მოქმედების ანალიზი.

3. ასევე ოპერატორის მოქმედების საჭმაოდ ზუსტი და კონკრეტული ანალიზის გარეშე უაზრობაა პროფშერჩევის პრობლემის გადაწყვეტა.

ოპერატორის მუშაობას ხშირად თან სდევს ფსიქიური დაძაბულობა, რასაც იწვევს საშიმროების, კონფლიქტის, დაბრკოლების, წარუმატებლობის და ა. შ. სიტუაციები. იგი შეიძლება წამოიჭრას ისეთი რთული სისტემების მუშაობისას, რომელთა ექსპლოატაცია მოითხოვს ზუსტ, სწრაფ და კოორდინირებულ მოქმედებას. ფსიქიური დაძაბულობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ოპერატორის მოქმედების ეფექტურობას. სტრესის დროს ადამიანი კარგავს ნორმალური შრომის უნარს.

ამიტომ სისტემა ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ მოქმედების ყველა ეტაპზე ოპერატორს აძლევდეს ნორმალური ფუნქციონირების საშუალებას.

ზინქენკო და სმოლიანი² აჩხევენ მართვის ავტომატიზირებულ სისტემაში ოპერატორის მოქმედების შემდეგ ძირითად ეტაპებს:

I ეტაპი: იმ ინფორმაციის აღქმა, რომელიც მოდის მართვის ობიექტების, გარემო პირობების და თვით სისტემის შესახებ. ამ ეტაპს მიეკუთვნება სიგნალების შემჩნევა, მათი ერთანაობიდან ყველაზე შეისვნელოვანის გამოყოფა, გაშიფრვა (დეკოდირება). ოპერატორს უქმნება წინასწარი წარმოლგენა ობიექტების მდგომარეობის შესახებ.

¹ Инженерная психология под ред. Леонтьева А. Н., Зинченко В. П. и Панова Д. Ю., М., 1964.

² Зинченко В. П., Смолян Г. Л., Человек и техника, М., 1965.


II ეტაპი: ინფორმაციის შეფასება ანუ დაპირისპირება მოცემულ ინფორმაციასა და რეალურ სიტუაციას შორის. ამ ეტაპზე წარმოებს ინფორმაციის ანალიზი და განზოგადება, გამოიყოფა კრიტიკული ობიექტები და სიტუაციები და წინასწარ ცნობილ კრიტერიუმებზე დაყრდნობით განისაზღვრება ობიექტთა რიგითი თანმიმდევრობა, რომლებიც საჭიროებენ მომსახურებას.

III ეტაპი: ჩატარებული ანალიზისა და სხვა ცნობილი მონაცემების საფუძველზე აუცილებელ მოქმედებათა შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

IV ეტაპი: მიღებული გადაწყვეტილების შესრულება განსაზღვრული მოქმედების ან შესატყვისა განკარგულების გაცემის გზით.

პირველ ორ ეტაპს შეიძლება ეწოდოს ინფორმაციული ძებნა, რომელიც გულისხმობს მოდელისა და რეალური პროცესის შედარებას, დეკოდირებას იგი განიხილება როგორც მზადება გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედებისათვის. ამ ამოცანის გადაჭრის გარეშე უაზრობაა ოპერატორის შემღვიმი შუშაობა. შესამე და მეოთხე ეტაპი შეიძლება გაერთიანდეს მომსახურების გაებით.

ამ ვითარების გამომხატველი სქემა შემდეგი სახის შეიძლება იყოს³:



სადაც საქმე ეხება ძებნას და აღმოჩენას, იქ უპირატესობა აღამიანს ეძლევა. არის ოპერატორის მოქმედების ისეთი სახეები, სადაც მთავარია შესასრულებელი მოქმედებები, ხოლო ინფორმაციის მიღება და შეფასება, აგრეთვე გადაწყვეტილების გამოტანა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს (ტელეგრაფისტების, ტელეტაიპისტების და სხვ. შრომა).

ასეთი სისტემების ალგორითმიზაცია და მოდელირება შედარებით აღვილია და მათი მთლიანი ავტომატიზაციაც უფრო აღრე განხორციელდება.

ამ ტიპის ოპერატორთა მოქმედების ოპტიმიზაციის განსაზღვრელად გამოიდის ისეთი ფსქოლოგიური მახასიათებლები, როგორიცაა რეაქციის დრო, სენსორორენალული კოორდინაციის ტიპი, მოძრაობითი აქტის აგების დროითი პარამეტრები და თავისებურებები, სხვადასხვა ლოგიკური ოპერაციების შესრულების სისტრაფე და სხვ.

ოპერატორის მოქმედებაში მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების პროცესები. ეს პროცესები (გულისხმობენ გადაწყვეტილების მიღებას) ძალზე რთულია, მაგრამ არსებობს მათი სისტემატიზაციის ცდები. ამ მხრივ საინტერესოა ლ. ფოგელის სტატია „გადაწყვეტილების ინტელექტუალური დონეები“⁴.

³ Инженерно-психологические требования к системам управления, под ред. Зинченко В. П., Минервина Г. Б., Мунипова В. И. и др., ВНИИТЭ, М., 1967.

⁴ Инженерная психология под ред. Зинченко В. П. и Панова Д. Ю., М., 1964.

ამოცანის სირთულის მიხედვით ლ. ფოგელი განასხვავებს აზროვნებითი მოქმედების რამდენიმე ტიპს (ან დონეს).

პირველ ტიპს მიეკუთვნება დედუქციური გადაწყვეტილება, რომელშიც იგულისხმება დაპროგრამირებული (ალგორითმული) პროცესები. ასხვავებენ დედუქციის სამ სახეს: ა) მიზნობრული (ელემენტარული), რომლის დროსაც განსაზღვრულ შემავალ სიგნალს შეესატყვისება განსაზღვრული რეაქცია. მაგალითად, წითელი ნათურის ანთებისას ოპერატორს მოძრაობაში მოჰყავს გარკვეული ბერკეტი; ბ) შაომტიმიზირებული, რომლის დროსაც განსაზღვრული პრიტერიუმებით მიიღწევა გამოსავალი მოქმედების ოპტიმიზაცია. მაგალითად, თვალდევნის ოპერაციის დროს ეკრანზე სიგნალის მდგომარეობას, რომელიც სიგნალის შესაბამისი უნდა იყოს. გ) ადაპტიური, რომლის დროსაც საპასუხო შოქშედების ფორმირება ხსება შემავალი სიგნალების ცვლილების გათვალისწინებით. მაგალითად, ეკრანზე სიგნალის გადაადგილების აჩქარების საპასუხოდ ოპერატორი აჩქარებს კურსორის მოძრაობას.

დედუქციური გადაწყვეტილება საკმაოდ საიმედო მხოლოდ მაშინაა, როცა ხმაური არ ამახინჯებს გამოსახატავ სიტუაციას და სიგნალების აღქმა საიმედოა.

მეორე ტიპს მიეკუთვნება აბდუქციური გადაწყვეტილება. ნაცნობი ძიებით უნდა მოინახოს მიზეზი. იგი დედუქციურისაგან განსხვავდება შედარებითი განუსაზღვრელობით. ასეთია, მაგალითად, ხმაურში სიგნალის შემჩნევის სტატისტიკური ამოცანის გადაწყვეტა.

მესამე ტიპი ინდუქციური გადაწყვეტილებაა, როცა რაიმე შემთხვევებისათვის საჭიროა მოიძებნოს სახელმძღვანელო წესი, რომელიც მოიცავს ასეთსა და მსგავს შემთხვევებს. მრავალ ცნობაზე დაყრდნობით ოპერატორი შეიმუშავებს და გამოსცემს განკარგულებებს. ასეთია, მაგალითად, ეროვნობრტის დისპეტჩერის მუშაობა. ის ითვალისწინებს ფაქტორთა რიგს, რომელთა შესახებ ინფორმაციას ღებულობს ინდიკატორებით და აძლევს პილოტებს მმართველ ინფორმაციას. გადაწყვეტილებისას ოპერატორი ეყრდნობა სიგნალების კლასიფიკაციის იმ კრიტერიუმებს, რომლებიც გამოიყოფა აღქმის პროცესში. გადაწყვეტილების ამ დონეზე განსაკუთრებულ როლს თამაშობს პერცეპტული პროცესების ოპტიმალური ორგანიზაცია.

მეოთხე ტიპს მიეკუთვნება პროგნოზული გადაწყვეტილება. სიტუაციის წინასწარგანვიტრეტა არის „ადამიანი-მანქანა“ სისტემაში ადამიანის მთავარი ამოცანა. პროგნოზირების აუცილებლობა გაპირობებულია არა მხოლოდ ოპერატორის გადასაწყვეტ ამოცანათა პასუხისმგებლობით, არამედ სისტემში შემავალი ტექნიკური საშუალებების ცნობილი ინერციულობით. ობიექტის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ოპერატორს ეჭლევა რამდენადმე შეგვიანებით. ინფორმაციული ძებნა, გადაწყვეტილება და საშემსრულებლო განკარგულების გაცემა ასევე მოითხოვს განსაზღვრულ დროს. ამიტომ გარემოების ანალიზის დროს ოპერატორი არა მხოლოდ იმ სიტუაციიდან უნდა გამოიღოდეს, რომელიც მან შექმნა მიღებული ინფორმაციის ბაზაზე, არამედ უნდა ითვალისწინებდეს იმ სიტუაციასაც, რომელიც შეცვლის მის წინამორბედს.

შდგომარეობის წინასწარგანვიტრეტა ხორციელდება რამდენიმე ეტაპად: ინდუქციური მსჯელობის გზით აიგება პიპოთეზა, დედუქციური გზით ამ პიპოთეზიდან ფორმირდება შედეგები და დგინდება გადაწყვეტილების შედეგი,

რომელზე დაყრდნობითაც იქმნება მომავალი სიტუაციის წარმოდგენა (ჩატი). ასეთი ტიპის გადაწყვეტილება განმსაზღვრელია ისეთ სისტემებში, რომლებიც განიცდიან დაბრკოლებებს, ანდა როცა არ არის საკმაო ინფორმაცია ობიექტის ნამდვილი მდგომარეობის შესახებ.

საინჟინრო ფსიქოლოგიისათვის მეტად მნიშვნელოვანია ოპერატიული აზროვნებისა და აღვარითმების კვლევის საჭითხი. ამ საჭითხებს საჭიაოდ ფართოდ იხილავს ვ. პუშკინი:

აღვარითმი შეიძლება ეწოდოს ოპერატორის თანამიმდევრული მოქმედების სქემას, რომელიც იძლევა სამართავ იბიექტში პროგრამიდან ყოველგვარი გადახრის აღვეთის საშუალებას.

დღიდ სისტემებში პერიოდულად ხდება გადახრა პროგრამიდან, რაც იწვევს სისტემის ნორმალური ფუნქციონირების დარღვევას. ასეთ პირობებში ოპერატორს უჩდება ახალი ამოცანის გადაწყვეტა, რომ სისტემას ნორმალური მუშაობის საშუალება მისცეს.

ასეთ სიტუაციაში ამოცანის გადაწყვეტის პროცესს ოპერატიული აზროვნება ეწოდება. იგი წარმოადგენს ამოცანის გადაწყვეტისა და მოქმედების ახალი სქემის შედგენის სპეციფიკურ პროცესს.

ოპერატორული აზროვნების მექანიზმის გახსნის გარეშე არ შეიძლება მთლიანად გადაიჭრას ისეთი მნიშვნელოვანი პრაქტიდული საჭითხები, როგორიცაა ოპერატორის შრომითი მოქმედების რაციონალიზაცია, წარმოების დისტანციური მართვისათვის საჭირო მუშავთა მომზადების მეთოდების შემუშავება, სადისპეტიჩერო საშუალებისათვის პროფეშირება და სხვ.

დისპეტიჩერის ოპერატიული აზროვნება წარმოადგენს სისტემაში ინფორმაციის გადამუშავების ძირითად რეალს. ამ შემთხვევაში დისპეტიჩერის აზროვნება ასრულებს შემდეგ ფუნქციებს: მარეგულირებელ ღონისძიებათა დაგეგმვას, კონტროლს და რეგულირებას, წარმოების პროცესში დარღვევების აღვეთის ამოცანის გადაწყვეტას, დიაგნოსტიკურ ფუნქციებს და ა. შ.

დაგეგმვა — ეს არის აზროვნებითი მოქმედება დროის განსაზღვრულ მონაცემები სამოქმედო გეგმის შეღვენძისათვის. ოპერატორმა, მართალია, იცის ძირითადი გეგმა და ის ცვლილება, რომელსაც ადგილი აქვს ცვლის დაწყების წინ, მაგრამ ამ მონაცემებს ის უფარდებს დინამიკურ სიტუაციას და ადგენს გეგმას განსაზღვრულ, მოკლე დროში მუშაობისათვის.

ოპერატიული დაგეგმვისათვის აჩსებითად აჩსებული სამოქმედო ვარიანტებიდან აპტიმალურის ამორჩევა. ამას კომპინატორულ პლანირებასაც უწოდებენ.

კონტროლს და რეგულირებას მაშინ მიერაოთ, როცა საჭირო ხდება შემუშავებული გეგმის შესრულების უზრუნველყოფა და სამართავი იბიექტების ყველა ფგუფზე დაკვირვება.

საკონტროლო მოქმედება გულისხმობს ოპერატორის მზადყოფნის მაღალ ხარისხს, რათა ყოველ საჭირო მომენტში ჩაერიოს სისტემის მუშაობაში და აღვეთოს პროგრამიდან გადახრა. ასეთი გადახრის აღმართობა კი საკმაოდ დიდია.

ამოცანის გადაწყვეტა:

სისტემის მართვისას ხშირად აქვს აღგილი პროგრამისა და რეალურა

სიტუაციის წინააღმდეგობას. ამ პირობებში ვხვდებით ორი სახის გართულებას. ერთ შემთხვევაში, ოპერატორისათვის საერთოდ უცნობია შესასრულებელი მოქმედების საშუალება, რამდენადც არც მის პრაქტიკაში და არც ინსტრუქციაში ასეთი სიტუაცია გათვალისწინებული არ ყოფილა; მეორე შემთხვევაშიც სიტუაცია არ არის ჩვეულებრივი, მაგრამ ოპერატორის ცოდნის არსენალში არის ისეთი საშუალებები, რომელთა კომბინაციითაც შესაძლებელი ხდება ამ ამოცანის გადაწრა. რაც შეეხება პირველ შემთხვევას, ოპერატორს უხდება ახალი საშუალების აღმოჩენა ამოცანის გაზასაწყვეტად.

დიაგნოსტიკურ მოქმედებას ადგილი აქვს ავარიულ სიტუაციებში. დიაგნოსტიკური დიაგნოზის პროცესი მიმდინარეობს ოპერატორის შემაღებული ნაწილების თანამიმდევრული შემოწევების გზით.

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ მართვის ავტომატიზებულ სისტემებში იპერატორის მოქმედების ეტაპები. მკვლევართა აზრით, აჩვებობს ოთხი ძირითადი ეტაპი, და ისინი ფიქრობენ, რომ ამ ეტაპებში ამომწურავად აქვთ დახასიათებული სისტემაში იპერატორის ყოველგვარი მოქმედება.

ჩვენი აზრით, ასეთი დაყოფა არ შეესაბამება საჭმის რეალურ ვითარებას. მას აკლია სიზუსტე და სისრულე. უზუსტობა გვშოიხატება იმაში, რომ ერთმანეთთან გაიგივებულია ორი ისეთი განსხვავებული ცნება, როგორიცაა ამოცანის გადაწყვეტა და გადაწყვეტილების მიღება. ისინი ფაქტურად იხილავენ ამოცანის გადაწყვეტას (მიუთითებენ ლ. ფოგელის სტატიას, რომელშიც განხილულია ამოცანის გადაწყვეტის სხვადასხვა დონე) და ოპერატორის მოქმედების მესამე ეტაპად მიიჩნევენ გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო ამოცანის გადაწყვეტის ეტაპს, რატომდაც, დუმილით უვლიან გვერდს. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ორი აქტი ერთდროულად ხორციელდება, რაღაც ერთი აზროვნების პროცესს შეესაბამება, მეორე კი — ნებელობისას. ამ ორი განსხვავებული ფსიქიური აქტის გაერთმნიშვნელოვანება ყოვლად დაუშვებელია, რაღაც იგი გაურკვევლობას და აზრის დამახინჯებას იწვევს. ისმება კითხვა: რომელი აქტით ხორციელდება ოპერატორის მოქმედება?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ოპერატორის მოქმედებისათვის დამახასიათებელია როგორც ამოცანის გადაწყვეტა, ერთი მხრივ, ისე გადაწყვეტილების მიღება, მეორე მხრივ. ეტაპობრივად თუ განვიხილავთ, პირველი უნდა უსწრებდეს მეორეს.

შახთლაც, პირველი ორი ეტაპის შემდეგ (ინფორმაციის აღქმა, ინფორმაციის შეფასება) მესამე ეტაპზე უნდა იყოს ამოცანის გადაწყვეტის პროცესი. როცა ადგილი აქვს პროგრამისა და რეალური სიტუაციის წინააღმდეგობას, შაშინ თავს იჩენს პრობლემური სიტუაცია, რომლის დასაძლევად საჭირო ხდება ახალი ამოცანის გადაწყვეტა. ასეთი ვითარება დიდ სისტემებში არცონია მშენებად.

შეოთხე ეტაპი იქნება აუცილებელი მოქმედების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რაც ხდება ჩატარებული ანალიზის, გადაწყვეტილი ამოცანის და სხვა ცნობილი მონაცემების საფუძველზე. მისთვის ცნობილი შესაძლებლო-

⁶ Зинченко В., Смолян Г., Человек и техника, М., 1965; Инженерная психология под ред. Леонтьева А., Зинченко В. и Панова Д., М., 1964.

ბებიდან ოპერატორმა უნდა აირჩიოს (თუ ალტერნატივასთან აქვს საქმე) ან მიიღოს შემდგომი მოქმედების გზა. გადაწყვეტილების სწორად და სწრაფად შეიღებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოპერატორის შემდეგი მოქმედების წარმატებით განხორციელებისათვის.

უკანასკნელი, მეხუთე, ეტაპი იქნება მიღებული გადაწყვეტილების შესრულება.

ჩევნი აზრით, ოპერატორის მოქმედების ეტაპების ასეთი დაყოფა აღმოფხვრიდა ასეთებულ უზუსტობას და თავიდან აგვაცილებდა გაუგებრიბას.

ქვემოთ მოვიტანთ ადგილებს სხვადასხვა ნაშრომისან, სადაც ნათლად ჩანს უზუსტობანი, რომელთა გარშემო გვსურს გავამახვილოთ ყურადღება.

ა. ლეონტიევი⁷ წერს: ავტომატიზირებული სისტემის ოპერატორი „აღიქვმდს, ინახავს მესისერებაში და გადამუშავებს სშირად თავისი მოცულობით ძალზე დიდ ინფორმაციას, ... აფასებს მიმღინარე ვითარებას და სისტემის მდგომარეობას, იღებს გადაწყვეტილებას და მართვის ამა თუ იმ ორგანოს საშუალებით იძლევა ბრძანებას. მისი ურომითი მოქმედების მთავარ შინაარსს ჟეალგენერაციური ფსიქიური პროცესები — აქტიური აღქმა, მეხსიერება, აზროვნება“.

აქ შესაბამსობაა დამყარებული გადაწყვეტილების მიღებასა და აზროვნებას შორის, რაც უდავო შეცდომაა. გადაწყვეტილების მიღება ნებელობის აქტია და არა აზროვნების.

ზინქენცო და სმოლიანი⁸ იხილავენ რა ოპერატორის მოქმედების სხვადასხვა ტიპებს, აღნიშნავენ: „მესამე ტიპს მიეკუთვნება ისეთი ფუნქციები, რომლებშიც პირველ პლანზე გამოდის ინფორმაციის ანალიზი და გადაწყვეტილების მიღება. ოპერატორის ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი ამოცანა და მისი გადაწყვეტის ხერხები, მზად უნდა იყოს გაუთვალისწინებელი ფუნქციების შესასრულებლად“.

ამ ეპიზოდში ნათლად ჩანს ამოცანის გადაწყვეტისა და გადაწყვეტილების შედების ცნებების გაიგივება. გაუთვალისწინებელი ფუნქციების შესრულებისას ოპერატორი წყვეტს ამოცანას, ხოლო გადაწყვეტილების მიღება შემდგომ ეტაპია. აქ ეს ორი ცნება ერთი მნიშვნელობით იხმარება.

შემდეგ იგივე ავტორები, როგორც ლაპარაკობენ სისტემის სამედიობაზე, წერენ მხოლოდ ამოცანის გადაწყვეტის შესახებ. „ამოცანის გადაწყვეტის დრო დამყიდებულია ბევრ ცვლადზე (ამოცანის ტიპზე და ხასიათზე, გადაწყვეტის ალგორითმზე, მსგავსი ამოცანის გადაწყვეტის ჩვევაზე და ა. შ.)“. იქვე ვკითხულობთ: „შესაძლოა... ისე მოეწყოს ოპერატორის სწავლება და დამუშავდეს ამოცანის გადაწყვეტის ხერხები, რომ იპერატორი გადაწყვეტას უკვე აღქმის ეტაპზე „ხედავდეს“ (გვ. 17—18).

ნ. მაიზელი⁹ იხილავს რა ოპერატორის მოქმედებას ინფორმაციული მოდელით, აღნიშნავს: „ამ არაპირდაპირ (წშირად არჩევითი ხასიათის) ინფორმაციაზე დაყრდნობით იგი აფასებს საკონტროლო ობიექტის მდგომარეობას და იღებს გადაწყვეტილებას“.

⁷ Леонтьев А. Н., Что такое инженерная психология, «Инженерная психология. Беседы по актуальным проблемам науки», М., 1967. стр. 7.

⁸ Зинченко В., Солян Г., Человек и техника, М., 1965. стр. 25.

⁹ Инженерно-психологические требования к системам управления, под ред. Зинченко В., Минервина Г., Мунинова В. и др. ВНИИТЭ, М., 1967, стр. 13.

ამავე საყითხოს გამო ზინჩენკო, მაიხელი და სხვ.¹⁰ აღნიშნავენ, რომ მო-
დელიდან მიღებულ „ცნობებზე დაყრდნობით ოპერატორი არჩევს და გეგმავს
ოპერაციებს, ცვლის მათ თანმიმდევრობას, იღებს გადაწყვეტილებას, არჩევს
მოქმედების ყველაზე ეფექტურ ხერხს და ა. შ.“ იქვე ვკითხულობთ: „შინაგან
მოდელზე“ დაყრდნობით ოპერატორი იღებს გადაწყვეტილებას საშემსრუ-
ლებლო მოქმედების ხასიათისა და სისტემის შესახებ“.

შემდეგ ეს აზრი ასეა განვითარებული: „ზოგიერთ შემთხვევაში სწორი
მოქმედებისა და სარწმუნო გადაწყვეტილების მიღებისათვის საკმარისი არაა
სიტუაციის აღქმა, აუცილებელია მისი, როგორც პრობლემური სიტუაციის
აღქმა. შართლაც, მდგომარეობის შეფასება, რომელიც წინ უსწრებს გადაწყ-
ვეტილების მიღებას, არის ოპერატორის მიერ ამოცანის განსაზღვრა და ფორ-
მულირება. ამოცანის ფორმულირება დაკავშირებულია ინფორმაციის გარდა-
ქმნასთან, ყველაზე არსებითას და მნიშვნელოვანს გამოყოფასთან. რაც უფრო
ცოტა გარდაქმნები უნდა შესრულოს ოპერატორმა და რაც უფრო ადვილად
არჩევს არსებითას და მნიშვნელოვანს მოღელში, მით უფრო სწრაფად და
ზუსტად შესრულდება ამოცანის გადაწყვეტის პროცესი“.

ზემომუცვანილ მაგალითებს თუ დავაკვირდებით, კიდევ ერთხელ ნათლად
დავინახავთ, რომ უმართებულოდაა გაეგებული და ერთმანეთთან გაიგივებული
ამოცანის გადაწყვეტისა და გადაწყვეტილების მიღების ცნებები.

აღნიშნულ საყითხთან დაკავშირებით მოვიყვანო კიდევ ერთ მაგალითს
ზინჩენკოს და სმოლიანის ნაშრომიდან¹¹: „დიდი ხნის განმავლობაში ტრადიცი-
ული შრომის ფსიქოლოგია ძირითადად ვითარდებოდა როგორც მოძრაობითი
აქტების ფსიქოლოგია, ხოლო აზროვნების პრობლემები (გადაწყვეტილების
მიღება) რჩებოდა ზოგადი და ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ობიექტიდ“.

ამ მაგალითში ყველაფერი ნათელია — აზროვნებაზე საუბრისას გულის-
ხმობენ გადაწყვეტილების მიღებას.

აღნიშნულ საყითხებთან ახლოს დგას ვ. პუშკინის გამოკვლევა ოპერატიუ-
ლი აზროვნების შესახებ. იგი თუმცა ოპერატორის მოქმედების ეტაპებს არ
საზღვრავს ისე, როგორც ზემოდისახელებული ავტორები, და ამდენად არც
იძეროებს მათს შეცდომებს, მაგრამ ჩვენთვის მისი ნაშრომი იმდენადაა საინ-
ტერესო, რამდენადაც წინა პლანზე აყენებს ამოცანის გადაწყვეტის პროცესს
და ამ საკექტური სწორ პოზიციაზე დგას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვ. პუშკინი არ განიხილავს გადაწყვეტილების
მიღების პროცესს.

ამრიგად, ვ. პუშკინი მხოლოდ ამოცანის გადაწყვეტის განიხილავს, ხოლო
სხვები აერთმნიშვნელოვანებენ ამოცანის გადაწყვეტის და გადაწყვეტილების
მიღებას. ჩვენი აზრით, არც ერთს არ უნდა ჰქონდეს სიზუსტის და სისრულის
პრეტენზია.

ზემოთ უკვე ჩამოვაყალიბეთ ამ საკათხზე ჩვენი პოზიცია, რომლის სა-
ფუძველზე სისტემაში ოპერატორის მოქმედება იყოფა არა ოთხ, არამედ ხუთ
ეტაპად.


¹⁰ Инженерная психология под ред. Леонтьева А., Зинченко В. и Панова Д., М., 1964, стр. 125—126.

¹¹ ვ. ზინჩენკო, ვ. სმოლიანი, დასახ. ნაშრომი.

- I — ინფორმაციის ღლება;
 II — ინფორმაციის შეფასება;
 III — ამოცანის გადაწყვეტა;
 IV — გადაწყვეტილების მიღება აუცილებელი მოქმედების შესახებ;
 V — მიღებული გადაწყვეტილების შესრულება.

ჩეენ ვთიქმაბოთ, რომ მართვის ავტომატიზირებულ სისტემაში იპერატორის მოქმედების ამგვარი დაყოფა უფრო ზუსტად და სრულად ასახვეს საქმის გეთარებას.

დღასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მდგომარეობის გამომზტკელი ძველი სქემა (სქემა 1) აღარაა დამატაყოფილებელი და საჭიროა მისი სრულყოფა. გარდა იმისა, რომ ახალი სქემა ხუთეტაპიანი იქნება, კიდევ ერთ გარემოებას უნდა მიეკცეს ყურადღება. ძველ სქემაში ინფორმაციის აღქმა და ინფორმაციის შეფასება გაერთიანებულია ინფორმაციული ძებნის კატეგორიაში, რაც, ჩვენის აზრით, არაა დამატაყოფილებელი. ინფორმაციის აღქმაც და ინფორმაციის შეფასებაც თავისთავად უფრო ფართო ცნებებია, ვიზრე ინფორმაციული ძებნა და ამდენად მათი ასეთი ურთიერთდამკიდებულება მართებული არ უნდა იყოს. ჩვენის აზრით, უფრო რეალური იქნება, თუ ინფორმაციულ ძებნას შევცვლით ინფორმაციის დამუშავების ცნებით. ახალი სქემის საბოლოო სახე ასეთი შეიძლება იყოს:



მუშაობის სასიათის მიზედვით „აღამინი-მანქანა“ სისტემები ერთმანეთი-საგან საგრძნობლად განსხვავდებიან. არჩევენ დეტერმინირებულსა და არა-დეტერმინირებულ სისტემებს¹².

დატერმინირებულია ისეთი სისტემები, რომელთა მუშაობა მიმღინარეობს მტკიცე პროგრამის მიხედვით. ეს სისტემები პროგრამით გათვალისწინებული ფუნქციების გარდა არაფერს არ ასრულებენ და გაუთვალისწინებელი სიტუაციის შამოჭრის შემთხვევაში უბრალოდ წყვეტენ მუშაობას. ეს სისტემები ფუნქციონირებენ მხოლოდ მყარად განსაზღვრულ ნორმალურ პირობებში. ასეთა, მაგალითა, ტელეთონიზმის აუტომატიზაციის საკმარის სისტემა.

არა დეტერმინირებული შეიძლება ეწოდოს სისტემას, რომელსაც არ გა-
აჩნია მრავალი სამოქმედო პროგრამა.

აგი ხასიათდება მუშაობის პროცესში ისეთ სიტუაციათა სიმრავლით, სა-
დაკვირვების წინაშე დაყურებული ამოქანის დამაკამაყოფილებელი გადაწრის

¹² Инженерная психология под ред. Зинченко В. и Панова А.

უზრუნველყოფა მტკიცე პროგრამის არ შეუძლია. ასეთ შემთხვევაში, დავა-ლების შესასრულებლად აუცილებელია ოპერატორის ჩარევა, რომელიც იღებს ამა თუ იმ გადაწყვეტილებას. ასეთი ხასიათისაა გემების, თვითმფრინავების, მანქანების და სხვ. მართვის სისტემები.

ამ სისტემებში ადამიანის როლი განსხვავებულია.

თუ დეტერმინირებულ სისტემებში ადამიანის როლი ძირითადად შემო-იფარგლება სისტემის მუშაობაზე დაკვირვებით და ტექნიკური მომსახურე-ბით, არადეტერმინირებულ სისტემებში ადამიანი ჩართულია როგორც მისი უმნიშვნელოვანესი ორგანული რგოლი, რომლის გარეშეც სისტემის მუშაობა საერთოდ შეუძლებელია. საინჟინრო ფსიქოლოგიისათვის მეტი მნიშვნელობა აქვს არადეტერმინირებული სისტემების შესწავლას. სწორედ მათი პროექტი-რებისას უყვენებენ მაქსიმალურ მოთხოვნებს ადამიანს, სწორედ ამ შემთხვევა-შია საჭირო მისი ფსიქო-ფიზიოლოგიური თავისებურებების ყოველმხრივ გათვალისწინება.

არადეტერმინირებული სისტემები იყოფა ორ ქვეჯგუფად. პირველს მი-ეკუთხნება სისტემები, რომლებშიც მხოლოდ დროდადრო წარმოჭრება აოპერა-ტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო სიტუაცია. ჩვეულებრივ პირობებში ამ სისტემებს შეუძლიათ ავტომატური მუშაობა. აოპერატორი მუ-შაობაში ერთვება ავარიის, რაიმე ნაწილის მოშლის და სხვ. შემთხვევებში. იგი უნდა გაერკვეს შექმნილ სიტუაციაში, მიიღოს გადაწყვეტილება და აღადგი-ნოს სისტემის ნორმალური მოქმედება. ასეთ ვითარებას „თამაშის სიტუაციას“ უწოდებენ.

შეორე ტიპის სისტემებში თამაშის სიტუაცია მუდმივად არსებობს. ასეთია ის სისტემები, რომელთათვისაც გარემო პირობების მდგომარეობა არასრულა-და ცონბილია. მათთვის ტიპიურია სისტემის გადასაწყვეტი ამოცანების მიმართ გარემოს საწინააღმდეგო მოქმედება. მართვის ასეთ სისტემებს შეიძლება ეწო-დოს „თამაშის სისტემები“. ასეთ სისტემებში ძირითადი (გადაწყვეტი) რგო-ლია ადამიანი, რადგან მხოლოდ მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება წინა-აღმდეგობრივ პირობებში და წინაშრაო უწნობ გარემოებაში.

სისტემის მიერ ამოცანის შესრულება შეიძლება განვიხილოთ როგორც რაიმე ქცევის განხორციელება. ეს ქცევა შეგუებითია. ქცევა სრულდება ან ცვალებადი პირობებისადმი სისტემის მოსარგებად, ანდა იგი ცვლის გარემო პირობებს სისტემის ამოცანების შესასრულებლად. ამაში შედის თვით სისტე-მის შენარჩუნება.

თამაშის სისტემებს აქვს თავისებურებანი, რომლებიც განსაზღვრავენ ოპე-რატორის მუშაობის სირთულეს და პასუხისმგებლობას:

1. ცვალებად პირობებთან შეგუება, ე. ი. ისეთი დავალებების სიჭარე: რომელთათვის არ არსებობს ალგორითმები ანდა მათი შედგენა, პროგრამირება და რეალიზაცია ძალზე შრომატევადი და ძვირადლირებულია.

2. ქცევის ახალი ფორმების შემუშავების აუცილებლობა, ე. ი. შემუშა-ვება ისეთი ფორმებისა, რომლებიც პროექტირებისას დეტალურად არ იყო განსაზღვრული.

3. ინფორმაციული, ლოგიკური და შესრულებითი პროცესების განსა-ზღვრულ დროში შესრულება. სწორი, მაგრამ დაგვიანებული მოქმედება შე-ცდომის ტოლფასია.

4. სისტემის სხვადასხვა კომპონენტის მუშაობის კოორდინაციის აუცილებლობა და სირთულე.

5. სისტემის კვანძების მომცველი უკუკავშირების სიჭარბე.

ამ თვისებურებათა რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ აღმიანის და მანქანის ერთდროული მუშაობისას. სისტემის ნორმილური მუშაობისათვის უცილებელია აღმიანისა და მანქანის შორის ფუნქციების სწორი განვითილება.

თანამედროვე სისტემებში ოპერატორს უფრო მეტად უხდება დისტანციური მართვა. სისტემის მუშაობისა და გარემო პირობების შესახებ იგი ინფორმაციას იღებს სხვადასხვა სახსი ინდიკატორებისაგან.

სამართავი ობიექტების შესახებ ინდიკატორებით მიღებული მონაცემები, რომელიც ახასიათებენ გარემოს, თვით სისტემის მდგომარეობას და გამოიხატებიან ამა თუ იმ ხელსაწყოზე, ქმნიან ინფორმაციულ მოდელს. მოდელით მოქმედებისას ოპერატორი აწარმოებს მიღებული ინფორმაციის მულტივარიულ მოდელს რეალური სამართავი იბიექტებისადმი. ასეთ შედარებაზე დაყრდნობით ოპერატორი არჩევს და გეგმავს ოპერაციებს, ცვლის მათ თანმიმდევრობას, გამოაქვს გადაწყვეტილება, რჩევს მოქმედების ყველაზე ეფექტურ ხერხს და ა.შ.

ყველა მოდელს აქვს რაოც საერთო — რამე სტრუქტურის არსებობა (სტატიური ან დინამიური), რომელიც მსგავსია სხვა სისტემის სტრუქტურისა. შტოფი თვლის, რომ მოდელი ყოველთვის წარმოადგენს სინამდვილის ასახვის ან რეპროდუქციის ხერხს.

მოდელი წარმოადგენს აბსტრაქციას, რომელშიც შემონახულია სისტემისათვის დამახასიათებელი ყველა თვისებურება, დამოკიდებულება, ურთიერთობა, ფიზიკურ იბიექტებს შორის კავშირი, რომელიც მისთვის არსებითია.

ამ აზრით მოდელი აღადგენს სინამდვილეს გამარტივებული სახით და წარმოადგენს თვისებურ იდეალიზაციას.

მოდელის მონაცემები უნდა იყოს თვალსაჩინო. ოპერატორს უნდა ჰქონდეს საშუალება მოდელიდან მიღებული ცნობები აღიქვას სწრაფად და მოქმედი ცველი ანალიზის გარეშე. ეს პირობები აუცილებელია გადაწყვეტილების სწრაფად მიღებისათვის. თვალსაჩინო მოდელი შეიძლება იძლეოდეს წარმოდგენას სივრცითი მიმართებების შესახებ და სხვ.

ადვილი აღქმისა ან „კითხვისათვის“ მნიშვნელოვანია მოდელის სტრუქტურის ორგანიზაცია. აქ ლაპარაკია სხვადასხვა მახასიათებელთა დაწყუფებაზე, რაც იძლევა მთლიანი სიტუაციის სწრაფი და ზუსტი აღქმის საშუალებას.

მოდელს უნდა ახასიათებდეს სიმჭიდროვე. მასში მოცუმული უნდა იყოს არსებითი, ძირითადი, ხოლო უძნიშვნელო დეტალები უგულებელყოფილ უნდა იქნეს.

ინფორმაცია იბერატორს ეძლევა არა ნატურალური, არამედ კოდირებული სახით. აქ დგება ეფექტური კოდირების პროცესი, რომლის წარმატებით გადაჭრა საშუალებას მისცემს ოპერატორს, სასწრაფოდ მიიღოს, გადამუშავოს და გადასცეს ინფორმაცია.

ამჟამად მიუთითებენ კოდირების ორგაზ სისტემაზე. პირველ სისტემაში არჩეული პირობითი ნიშნები ან ინდიკაციის სხვა საშუალებები მაქსიმალური ზრდისხით უნდა გვავინებდნენ გამომხატველ იბიექტებს. შეორე სისტემა, რომელიც გამოხატულია ასოების, ციფრებისა და სხვა პირობითი ნიშნების საშუა-

ლებით, სულაც არ გვაგონებს რეალურ სიტუაციას, უფრო აბსტრაქტულია ძნელია მის თქმა, თუ რომელი სისტემაა უკეთესი. შესაძლებელია და რეალურადაც ხორციელდება ორივე სისტემის გაერთიანება.

დღევანდელ პირობებში საინკირო ფსიქოლოგიის ცენტრალური ამოცანაა საინფორმაციო მოდელებისათვის საჭირო მოთხოვნათა შემუშავება და ისეთი მოდელების შექმნა, რომლებიც მაქსიმალურად გაითვალისწინებენ ოპერატორის ფსიქოფიზიოლოგიურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. საინკირო ფსიქოლოგიის სხვა ამოცანები აქვთ უნდა იქნეს გამოყვანილი.

ინფორმაციული მოდელების შექმნისას აუცილებელია მართვის მთლიანი სისტემის დაგეგმვა, ვინაიდან ცალკეული კვანძების დამატებულობების კონსტრუირება არ იძლევა მთლიანი სისტემის ნორმალური მუშაობის გარანტიას. მოდელის შექმნისას წინასწარ უნდა იქნეს დადგენილი ინფორმაციის რაოდენობრივი და თვისობრივი მახსიათებლები, ინფორმაციის მიღებისა და ამოცანის გადაწყვეტისათვის საჭირო დრო; განსაზღვრულ დროში გადასაწყვეტ აძოცანათა რაოდენობა; ოპერატორის საპასუხო მოქმედებათა სირთულე და სხვ. ეს ყველაფერი საჭიროა მისთვის, რომ ინფორმაციული მოდელი შეთანხმებული იყოს ოპერატორის გადასაწყვეტ ამოცანებთან. შეთანხმებულობის პრინციპი იმას გულისხმობს, რომ ოპერატორს მხოლოდ აუცილებელი ინფორმაცია უნდა ეძლეოდეს.

მართვის სისტემის ავკარგიანობის განსაზღვრისას ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება მის სიზუსტეს და სამედიოობას. ამან ნათელი გახდა, რომ შეუძლებელია წარმატებით გადაიჭრას ტექნიკური პრობლემები, თუ არ მივიღებთ შესდეველობაში მოცემულ სისტემაში ადამიანი-ოპერატორის როლს. ცხადია, რომ უნდა შემუშავდეს და შეიქმნას არა ვიწრო ტექნიკური სისტემა, არამედ სისტემა „ადამიანი-მანქანა“, რომელშიაც პარმონიულად იქნება შერწყმულად ადამიანისა და მანქანის ძლიერი მხარეები.

„ადამიანი-მანქანა“ სისტემაში ფუნქციების რაციონალური განაწილება შეიძლება უნდა იყოს არა მხოლოდ მართვის სისტემის ეფექტურობის და საიმედოობის ამაღლებისაკენ, არამედ ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებისა და ტექნიკურ მოწყობილობათა მმართველად მისა გარდაქმნისაკენ.

მართვის სისტემის განვითარება აყენებს რა ახალ მოთხოვნებს ადამიანის წინაშე, აგრეთვე ცვლის შრომის პროცესის შინაარსს: იგი ბევრად ართულებს, ამდიღის და ინტელექტუალურს ხდის შრომას და ამდენად გვევლინება ადამიანის შემდგომი ფსიქიკური განვითარების უმნიშვნელოვანებს ფაქტორად. სწორედ ამიტომ წარმოვიდგება საინკირო ფსიქილოგია შრომის ფსიქოლოგიის წამყვან დარგად, ხოლო ტექნიკურ და ანთორპოლოგიურ მეცნიერებათა კაშირი — ტექნიკისა და წარმოების შემდგომი განვითარების აუცილებელ პირობად.

იონებ უთურაშვილი

სამართლებრივი მინისტრის განცილება აღმოსავლეთ საქართველოში
 (XIX ს-ის ბოლო — XX ს-ის დასაწყისი)

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჭავახიშვილის სახ.
 ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის)

წინამდებარე სტატიაში, რომლის მოცულობა შეზღუდულია, ჩვენ ვერ
 განვიხილავთ სავაჭრო მეთამბაქოეობის განვითარების ყველა საკითხს, ან თუნ-
 დაც ყველა ძარითად საჭიროს. მით უმეტეს, რომ ამის საჭიროება დიდად არც
 იგრძნობა, — საქართველოს მეთამბაქოეობის განვითარების პროცესის მრავა-
 ლი მხარე შესწავლილი და წარმოდგენილია ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა პროფ. პ. გუგუშვილის ნა-
 შრომები, რომლებშიც სახალხო მეურნეობის სხვა დარიგებთან ერთად, სავაჭრო
 მეთამბაქოეობის განვითარების ამსახველი სურათი ფართო ჭრილშია წარმოდ-
 გენილი¹. კვლევა-ძიებაში ჩაბმული დადგინდალი მასალის ანალიზის საფუძველზე
 ავტორმა სავსებით ბუნებრივად მიიღო დასკვნა, რომლის მიხედვითაც, პირვე-
 ლი მსოფლიო ომის დაწყების წინა პერიოდში „მეთამბაქოეობა არსებითად
 მთლიანად სავაჭრო ხასიათს ატარებდა“².

სავაჭრო მეთამბაქოეობის მრავალი საჭიროი შესწავლაში მნიშვნელოვანი
 წვლილი შეიტანეს აგრეთვე ავტორებმა — ვ. მოჩალოვმა³, ა. სურგულაძე⁴,
 ი. ანთელავამა⁵, ი. ბახტაძემ⁶, დ. ცინცაძემ⁷ და სხვ.

ამასთან, ზოგიერთი საკითხი, მათ შორის სოფლის მეურნეობაში კაპიტა-
 ლისტურ ურთიერთობათა განვითარების ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხები,
 როგორიცაა, კერძოდ, თამბაქოს ფოთლის მწარმოებელ მეურნეობათა ეკონო-

¹ პ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და
 მთერყავკასიაში, თბილისი, 1941; მისივე, საქართველოსა და ამირერყავკასიის ეკონომიკური
 განვითარება XIX—XX სს., მონოგრაფიები, ტ. 4, წინგი 1, თბ., 1965.

² პ. გუგუშვილი, მონოგრაფიები, ტ. 4, წინგი 1, გვ. 195.

³ В. Д. Мочалов, Крестьянское хозяйство в Закавказье к концу XIX в., Москва, 1958.

⁴ ა ბ ე ლ ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, სასაქონლო ურთიერთობის განვითარება საქართველოს
 სოფლის მეურნეობაში XIX ს. მეორე ნახევარში, ბათუმი, 1959.

⁵ И. Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в XIX в., т. II, Тбилиси, 1962; И. Г. Антелава, Э. А. Орджоникидзе, Э. В. Хостария, К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, Тбилиси, 1967.

⁶ И. В. Бахтадзе, История культуры табака в Грузии и перспективы ее восстановления в старых табаководческих районах, Тбилиси, 1948.

⁷ დ. ცინცაძე, სავაჭრო-სამრეწველო მეთამბაქოეობის განვითარება საქართველოში
 მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტო-
 რიისათვის, I, თბილისი, 1966.

შიური ხასიათისა და თქმბაქოს ნედლეულის წარმოებაში სხვადასხვა ტიპის მეურნეობათა ხვედრითი წონის შესახებ, ყოველმხრივ გარკვეული არ ჩანს.

ვფიქრობთ, რიგი საკითხების არასათანადო სიღრმით დამზადების შედევრია თანამედროვე ისტორიოგრაფიაში წარმოშობილი მოსაზრება, რომელიც მიიჩნევს, რომ სოფლად წარმოების კაპიტალისტური ფორმა XIX ს-ის ბოლოსათვის მხოლოდ იბადება, უპირატესობას კი სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალი ინარჩუნებს. სასაქონლო წარმოების ბაზად სოფლის მეურნეობაში მარტივი სასაქონლო მეურნეობებია დასახელებული. მიჩნეულია, რომ XIX ს-ის დასასრულის აღმოსავლეთ საქართველოში არ იყო შომწიფებული პირობები დაქირავებულ შრომაზე დამყარებული მსხვილი შეთამბაქოური მეურნეობის მოსაწყობად, რის გამოც სავაჭრო მეთამბაქოება ამ დროისათვის თითქოს გადასულა გლეხთა ხელში, რომლებიც პატარ-პატარა პლანტაციების გაშენებით ქმაყოფილდებოდნენ⁸.

შართლაც, რა ძირითადი ტიპის მეურნეობები გვხვდება სავაჭრო მეთამბაქოებაში, როგორია ამ მეურნეობათა ხვედრითი წონა? აი, კითხვები, რომელიც დასაბუთებულ პასუხს მოითხოვენ.

ამ დარგის შესწავლისათვის, რამდენადაც ის ინტერესს იწვევს თავისი ხვედრითი წონითა და მნიშვნელობით სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროცესის საერთო წარმოებაში, საყურადღებო მონაცემები მოიპოვება გუბერნიის მაზრების, მხარის აღმინისტრაციის ანგარიშებისა და მიმოწერებში, ცალკეულ სტატისტიკურ კრებულებში, იმდროინდელ პერიოდივაში, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ნაშრომებში. მაგრავ მაინც მთავარსა და ცველაზე ღირებულ წყაროს წარმოადგენს ამიერკავკასიის სააქციზო უწყების ყოველწლიური ანგარიშები, სადაც ამ დარგის შესახებ, განსაკუთრებით, XIX ს-ის 90-იანი წლებიდან შედარებით დაწვრილებით ცნობები მოიპოვება.

*

* *

ჩვენი ისტორიუმების მიერ მიკვლეული მასალა მოწმობს, რომ კახეთშა სასაქონლო თამბაქოს მემამულები ჯერ კიდევ XIX ს-ის 30-იან წლებში მდგრადდებდნენ. კერძოდ, მემამულე სოლომონ გურგენიძეს 1838 წელს თავის მეურ-

⁸ მაგალითად, ვ. მოჩალოვი ზემოდასახელებული ნაშრომში წერს: «в табаководстве, являвшемся одной из быстро развивавшихся отраслей торгового земледелия, вполне проявилась тенденция роста и укрепления позиций торгово-ростовщического капитала и зарождения капиталистических форм производства» (стр. 434). «Земледельческий капитализм в канце XIX в. не занимал еще преобладающего места в сельском хозяйстве края. Основу экономики составляло не капиталистическое, а мелкокрестьянское и мелкобуржуазное товарное земледелие, т. е. в значительной мере торговое земледелие простых товаропроизводителей, простое товарное хозяйство» (стр. 451). XIX ს-ის 80-იანი წლებიდან,—წერს ავტორი,—«промышленное табаководство постепенно стало переходить в руки крестьян, которые заводили небольшие табачные плантации...Это объяснялось тем, что крупное табаководческое хозяйство могло веситься рационально только с помощью наемного труда. Но такое хозяйство в условиях Восточной Грузии оказывалось менее выгодным, чем эксплуатация крупным капиталом мелких крестьян-табаковедов кабальными методами в форме подобной рассейянной мануфактуре» (стр. 421).

ხეობაში 15 ათასი სიგარა დაუმზადებია⁹. მეორე ცნობით, ამავე მემამულებ
1843 წელს დესეტინაზე 100 ფუთი თამბაქო მიუღია და მაშინვე გაუყიდია¹⁰.

სასაქონლო მეთამბაქოეობის განვითარებისადმი ერთგვარ დაინტერესებას
იჩენს მაშინდელი მმართველობა, რომელიც რუსეთის თამბაქოს შრეწველობი-
სათვის საჭირო ნედლეულის მწარმოებელი ბაზის შექმნას ამიერკავკასიაშიც
ვარაუდობდა. ამ მიზნით გასული საუკუნის 40-იანი წლების შუახანებში ამე-
რიკაში შეუძნიათ თამბაქოს თესლი და საქართველოში გამოუგზავნიათ. კა-
ხეთში თამბაქოს თესლი მემამულებისათვის დაურიგებიათ¹¹.

შეთამბაქოეობის განვითარებისათვის ზრუნავდა „კავკასიის სოფლის შე-
ურნეობის საზოგადოება“, რომელიც იქტერდა ამერიკული და თურქული ჯიშის
თამბაქოს თესლს და ურიგებდა ორგანიც „საზოგადოების“ წევრებს, ისე დაინ-
ტერესებულ პირებს. მეთამბაქოეობის საქმის უკეთ წარმართვის მიზნით, უცხო-
ეთიდან მოპყავდათ სპეციალისტები. მაგალითად, 1850 წლიდან „საზოგადო-
ებას“ დაქირავებული ჰყოლია გამოცდილი მეთამბაქო — პამბურგელი მი-
ხავდი. შიხაელს 1851 წ-ს ზაფხული ბორჩალოში, „კავკასიის სოფლის მეურ-
ნეობის საზოგადოების“ ნამდვილი წევრის დ. ორბელიანის მამულში გაუტა-
რებია. თამბაქოს საქმის სპეციალისტს სხვა მეურნეობებიც მოუნახულებია.
შიხაელი თურმე ძალიან აქებდა ბორჩალოს ნიადაგს და იქაურ თამბაქოს¹².

კახეთში ტრაპიზონის თამბაქოს დად ფართობზე მოყვანა პირველად 1863
წელს¹³ სცადეს. ამ წელს სოფ. ვეჯიში (სილნალის მაზრა) თავად ანდრონიკ
ანდრონიკუშვილს თამბაქო 2 დესეტინის ფართობზე გაუშენებია. მემამულეს
თამბაქოს საქმის სპეციალისტები ტრაპიზონიდან მოუწვევია. ეს პარტიალის-
ტები კახეთში მოყვანილ თამბაქოს მაღალ შეფასებას აძლეველნენ¹⁴. ანდრონიკა-
შვილის წამოწყებას დადებითი შედეგი გამოუღია და მეორე წელს კახეთში
20-მდე ასეთი პლანტაცია მოუშენებიათ¹⁵. ამავე დროს არსებობდა შრავალი
სხვა წერილი პლანტაცია¹⁶. სილნალის მაზრის მემამულები ამ ხანებში თამბა-
ქოს საქმაო მსტვილ პარტიებს მოსკოვის ბაზარზეც კი გზავნიდნენ¹⁷.

ამავე პერიოდში ვითარდება სავაჭრო მეთამბაქოეობა დასავლეთ საქარ-
თველოში. მეურნეობის ამ დარღმა შემდგომში განსაკუთრებულ წარმატებას
აფხაზეთში მიაღწია¹⁸.

შიურედავად სავაჭრო მეთამბაქოეობის ერთგვარი შარმატებისა, 60-იან
წლებში თამბაქოს შემოტანა დიდად სჭარბობდა გატანას. სახელდობრ, საკა-
რახტინო-საბაქო დაწესებულებათა გვლით ამიერკავკასიაში თამბაქოს შემო-
ტანა-გატანის ასეთი სურათია:

⁹ დ. ცინცაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 92.

¹⁰ ა. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

¹¹ იქვე.

¹² Записки Кавказского общества сельского хозяйства, 1855.

¹³ თურქული ჯშის თამბაქოს მოყვანს საქართველოში დიდი ხნის ისტორია ჰქონდა.
რ. ერისთავი 1889 წელს აღნიშნავდა, რომ არასწორია მტკიცება თითქოს ჩვენში თურქული
ჯშის თამბაქო მხოლოდ 15—20 წლის წინა შემოვიდა. სინამდვილეში აჭარასა და გურიაში
ძველი ღროიდანვე მოპყავდათ თამბაქოს ორი ჯში: აღგილობრივი და თურქული (Труды
Кавк. общества сельского хозяйства, 1889).

¹⁴ Записки Кавк. общ. сел. хоз., 1863, III, стр. 75.

¹⁵ Записки Кавказ. общ. сел. хоз., 1864, IV, стр. 50.

¹⁶ ა. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

¹⁷ პ. გუგუშვილი, მინოგრაფიები, ტ. 4, წიგნ I, გვ. 77.

¹⁸ იქვე, გვ. 138; 157—159.

3. „მაცნე“, № 3, 1969.

შემოუტანიათ

გაუტანიათ

1865 წ.	45.613	ფუთი	11	გირვანქა	903	ფუთი	20	გირვანქა
1866 წ.	46.184	"	28	"	657	"	10	"
1867 წ.	51.192	"	4	"	725	"	30	"

ეს ციფრები ერთის მხრივ გვაცნობს თამბაქოზე ამიერკავკასიის ბაზრის მოთხოვნილებას, მეორეს მხრივ კი, ჩანს, რომ სოფლის მეურნეობის ეს დარღვეულში ჯერ კიდევ არა მდგარა იმ დონეზე, რომ დაეკმაყოფილებინა აღვილობრივი მოთხოვნილება, — თამბაქოს შემოტანა-გატანის ბალანსი ძალზე პასიურია. ამავე დროს თამბაქოზე მოთხოვნილება მნიშვნელოვანი სტიმული უნდა ყოფილიყო ჩვენში მეთამბაქოების შემდგომი აღმავლობისათვის.

შეთამბაქოება ამიერკავკასიაში თანდათან მნიშვნელოვან მასშტაბს აღწევს, და თუ ადრე შემოტანილი თამბაქოს რაოდენობა სჭირდობდა, შემდეგ სურათი მკვეთრად შეიცვალა: პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში ამიერკავკასიიდან საზღვარგარეთ და რუსეთში გაჰქონდათ თითქმის ნახევარი მილიონი ფუთი თამბაქო (1911 წ-ს — 482.138 ფუთი, 1912 წ-ს — 446.653 ფუთი)¹⁹. თუ რამდენად დიდი იყო მოთხოვნილება საზღვარგარეთ ამიერკავკასიის ზოგიერთ რაიონში მოყვანილ თამბაქოზე, ჩანს თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ ბათუმიდან და სოხუმიდან მარტო ალექსანდრიაში გაუგზავნიათ: 1911 წ-ს — 45.258 ფუთი, 1912 წ-ს — 63.369 ფუთი²⁰.

რაც შეეხება, კერძოდ, ამიერკავკასიის შეთამბაქოების ერთ-ერთ ძირითად რაიონს — თბილისის გუბერნიას — აქ მოყვანილი თამბაქო უმთავრესად თბილისისა და ბაქოს თამბაქოს ფაბრიკებში მუშავდებოდა. თუმცა თამბაქოს ნაწილი სხვაგანაც გაჰქონდათ. ამ რაიონიდან თამბაქოს ნედლეული გაუტანიათ²¹:

	1910 წ.	1911 წ.
მხარის სხვა აღგილებში	18.769 ფუთი	14.084 ფუთი
იმპერიაში	9.224 "	13.466 "
საზღვარგარეთ	647 "	4.224 "

სულ 28.640 ფუთი 31.774 ფუთი

1872 წელს შემოტანილ თამბაქოზე ბაჟი გადიდა და ნაცვლად 5%-ისა (რაც ფუთზე დახლოებით 25 კაბ-ს შეადგენდა), ფუთზე 2 მანეთი დაწესდა. ამის გამო ჩვენში თამბაქო გაძვირდა და 1873 წლიდან მნიშვნელოვნად გაფართოვდა ტრაპიზონისა და სამისუნის თამბაქოს მოყვანა. 1877 წელს ბაჟმა ფუთზე 14 მანეთს მიაღწია. პრაქტიკულად ეს ლონდონის უწხოეთიდან თამბაქოს შემოტანის აკრძალვას ნიშნავდა. ამიერიდან თამბაქოს ნედლეულის წარმოება უფრო სწრაფად იზრდება. უკვე 1873 წ-ს ალმოსაველობის საქართველოს 26 სოფელში 283 დეს. ფართობის 203 პლანტაცია ყოფილა, საიდანაც მიუღიათ 14.125 ფუთი თამბაქოს ფოთოლი²².

¹⁹ Отчет по Закавказскому акцизному управлению, Тифлис, 1913, стр. 148.

²⁰ ი ქ 3 ე.

²¹ ი ქ 3 ე, 1912, გვ. 164.

²² საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (საქ. ცსს), ფონდი 370, საქმე 36, ფურც. 33, 1874—1875 წწ.

თბილისის გუბერნიის აღმინისტრაცია 1878 წლის ანგარიშში აღნიშნავდა: „უკანასკნელ ორ-სამ წელწუთში შეიმჩნევა მისწრაფება მეთამბაქონბის განსავითარებლად, რომელიც ყოველწლიურად ძლიერდება და მნიშვნელოვნობის აღწევს. ამჟამად თბილისის, სიღნაღის, თელავის, თიანეთის მაზრებში და შულავერის აღმინისტრაციულ განყოფილებაში მოიპოვება 207 პლანტაცია 535 დღეს. საერთო ფართობით მოპყავთ უმეტესად თურქული თამბაქო, აგრეთვე წეკო“²³. ამ 207 პლანტაციიდან 129 პლანტაცია სიღნაღის მაზრაზე მოდიოდა, რაც მთელი ფართობის $\frac{3}{4}$ -ზე მეტს შეადგენდა (410 დღესტ.). ზემოდასახელებულ წელს სულ მიუღიათ 19 ათასი ფუთი თამბაქო, რომლის ღირებულება, გუბერნიის აღმინისტრაციის ანგარიშით, 250 ათას მანეთს უდრიდა. ამ რაოდენობიდან 15 ათასი ფუთი თამბაქო 200 ათასი მანეთისა, სიღნაღის მაზრაზე მოდიოდა. აქ თამბაქო ძირითადად ორ მიკრორაიონში — ლაგოდეხისა და სიღნაღის რაიონებში მოპყავდათ. ეს გარემოება იმაზეც უნდა მიუთითებდეს, რომ 70-იან წლებში, თუ უფრო ადრე არა, მეთამბაქონბის სპეციალიზებული რაიონები სავსებით ჩამოყალიბებული სახითაა წარმოდგენილი.

აღმოსავლეთ საქართველოს მეთამბაქოურ მეურნეობაში მიღებული ნედლეული თითქმის მთლიანად ბაზარზე გადიოდა; ხოლო თამბაქო რაკი ისეთი პროდუქტია, რომლის შინამოხმარება პლანტაციებიდან მიღებულ წონითს ოდენობასთან შედარებით ძალზე უმნიშვნელოა, ამ შინამოხმარებაზე დახარჯული თამბაქოს რაოდენობა ანგარიშში შეიძლება არც ჩავაგდოთ.

სავაჭრო მეთამბაქონბის სწრაფ განვითარებაზე მიუთითებს სოფ. ვეგინის მაგალითიც, რომელსაც ასახელებს და ფურცელაძე. თუ აქ 1883 წელს სულ 3 პლანტაცია კოფილა 7 დღეს. ფართობზე, უკვე 1885 წელს 9 პლანტაციაა 77 დღეს.-ზე გაშლილი²⁴. ეს პლანტაციები უპირატესად მეწარმეებს ჰქონიათ მოწყობილი იქარით აღებულ მიწაზე. მათი პლანტაციების საშუალო სიდიდე 2, 3, 5 და ზოგჯერ 20 და 30 დღეს. შეადგენდა.

1891 წ-ს აღმოსავლეთ საქართველოში მოყვანილ თამბაქოს საერთო ღირებულება 290.930 მანეთია ნაანგარიშევი. აქედან 268.140 მანეთის თამბაქო სიღნაღის მაზრაზე მოდიოდა. 1900 წ-ს გუბერნიის მოუყვანიათ 53.321 ფუთი თამბაქო. ამ წელს ფუთი თამბაქოს ფასი შეადგენდა 5-10 მანეთს, ისე რომ, ამ წლის თამბაქოს ნედლეულის საერთო ფასი დაახლოებით 400 ათას მანეთს უდრიდა. 1905 წელს მიუღიათ 107 ათასი ფუთი თამბაქო. იმ წელს გაფიცების გამო ფაბრიკები ხშირად არ მუშაობდნენ და თამბაქო იაფი ყოფილა: თითო ფუთი თამბაქოს საბაზრო ფასი 4-5 მანეთს შეადგენდა. ამ დაბალი ფასების მიხედვით, თამბაქოს საბაზრო პროდუქციის ღირებულება დაახლოებით 480 ათასი მანეთია, 1900 წლის ფასების მიხედვით ეი — 800 ათას მანეთის შეტე.

ბაზარზე თამბაქო უმეტესად თავის ნამდებილ ღირებულებაზე ნაკლებად იყიდებოდა და, ცხადია, მოყვანილი თამბაქოს სრული ღირებულება არაა მოსავლის რაოდენობა გამრავლებული საბაზრო ფასზე. ამ არითმეტიკული მოქმედებით მხოლოდ მოყვანილი თამბაქოს საბაზრო ფასს ვიგებთ.

რა თქმა უნდა, თამბაქოდან ფართობის ერთეულზე მიღებული შემოსავალი ყოველთვის ერთი და იგივე არ ყოფილა. შემოსავლის სიდიდეს სხვადასხვა ფაქტორები განსაზღვრულენ, რომელთა შორის საბაზრო კონიუნქტურას უკანასკნელი აღვილი როდი ეკუთვნოდა. მაგალითად, 1891 წლის ცნობით შემო-

²³ საქცესა, ფ. 17, საქმე 9001, ფურც. 30, 1879 წ.

²⁴ Труды Кавк. общ. сел. хоз.-ва, 1885, № 4.

სავალი დესეტინაზე 559 მან. 48 კაპ. ყოფილა²⁵. გასავალს (თამბაქოს მოყვანა-დაძულებაზე გაწეული ხარჯი) 116 მანეთს ანგარიშიბრნენ, მაშასადამე, სუფთა შემსაცალს 443 მანეთი შეაღვენდა. 1903-1904 წწ.-ში იმ პლანტაციებში, სა-დაც საზიარო წესით აწარმოებდნენ საქმეს, მოზიარეებს დარჩენიათ სუფთა შეძლესავალი დესეტინაზე 200 მანეთის რაოდენობით (თითოეულ მხარეს). გარდა

ცხრილი 1

წლები	პლანტაციები		თამბაქოს ფოთლის მოლიანი სოსაფლიანობა (ფუთობით)
	რიცხვი	საერთო ფარ- თობი(დესეტ.)	
1873	203	283	14 125
1875	271	127	5 980
1876	110	59	4 617
1878	207	535	19 000
1879	384	590	—
1883	1 064	279	13 938
1884	472	288	19 672
1885	2 269	562	37 884
1886	840	651	50 268
1887	1 063	397	23 518
1888	1 017	336	19 572
1889	1 975	208	12 383
1890	2 773	348	26 044
1891	3 221	520	31 396
1892	2 512	467,5	27 719
1893	1 902	391	28 573
1894	791 ²⁶	363	27 061
1895	617 ²⁷	318,1	24 781
1896	842 ²⁸	384,5	22 566
1897	947 ²⁹	420	37 130
1898	1 214	490,5	40 628
1899	1 366	507,6	39 040
1900	1 754	633,7	53 321
1901	1 138	360,4	18 999
1902	1 883	730,8	58 312
1903	2 073	843,7	79 347
1904	2 670	1,008	61 988
1905	3 066	1,320	107 005
1906	1 522	586	32 954
1907	906	371	83 221
1908	530	366,6	25 877
1909	911	593,7	49 906
1910	1 427	983	65 436
1911	1 809	1054,7	83 689
1912	1 163	778,6	49 584
1913	1 071	706	47 989
1914	1 708	1315	107 389
1915	1 923	1343	110 931
1916	2 471	1527	126 355
1917	—	1687	—
1918	118	154	17 233
1919	664	156	11 372
1920	—	170	10 000
1921	—	210	—

²⁵ საქ. ცსა, ფ. 17, საქმე 8769, ფურც. 38—39, 1892 წ.

²⁶ იმას გარდა იყო 965 საოჯახო პლანტაცია, სულ 1.756 პლანტაცია.

²⁷ საოჯახო პლანტაციებთან ერთად იყო 1921 პლანტაცია.

²⁸ საოჯახო პლანტაციებთან ერთად იყო 2.406.

²⁹ საოჯახო პლანტაციებთან ერთად — 2.731.

ამისა, 300 მანეთი გადადებული იყო თამბაქოს მოყვანაზე გაწეული ხარჯის დასაფარავად (მოხვნაზე, მუშაქელის დაქირავებაზე, ინვენტარზე და სხვ.), ანუ თითო დესეტინის შემოსავალი 700 მანეთს უდრიდა. სხვა შემთხვევაში შემოსავალი მეტი ან ნაკლები იყო, საერთოდ კი მერყეობდა 600-800 მანეთს შორის.

* * *

შეთამბაქოელის ყურადღებას შევაჩერებთ აღმოსავლეთ საქართველოს მეთამბაქოურ შეურნეობაში მომხდარ რაოდენობრივ ცვლილებებზე. აქვე უნდა ითვას, რომ თამბაქოს პლანტაციების აღრიცხვისას სათანადო ორგანოები განსახვავებდნენ საოჯახო (სამეურნეო) და სამრეწველო პლანტაციებს³⁰. მიუხედავად საოჯახო პლანტაციების სიმრავლისა, მათ მცირე ფართობი ეკავა და მიღებული პროდუქციაც უმნიშვნელო იყო.

მოვიტანთ მონაცემებს, რომელიც ასახავს აღმოსავლეთ საქართველოს შეთამბაქოური შეურნეობის რაოდენობრივი მაჩვენებლების დინამიკას³¹. ამასთან, 1894 წლის მდგრად მოტანილი ყველა სახის პლანტაციების რიცხვი, 1894 წლიდან კი — მხოლოდ სამრეწველო პლანტაციებისა (ცხრილი 1).

შოტანილი ყველა მაჩვენებელი, სიზუსტისა და უტყუარობის მიხედვით, ერთ დონეზე არ დგის. საქმე ისაა, რომ სააქციზო უწყებაში მხოლოდ 90-იანი წლების შუა ხანებიდან შეძლო აღრიცხვის შესაფერის დონეზე დაყენება. მანამდელი ციფრები კი (განსაკუთრებით 1887 წლამდე) არცთუ იშვიათად სავაჭრულო მონაცემებია.

ცხრილი მოწმობს, რომ დასახელებულ პერიოდში (1873-1917 წწ.) თამბაქოს ნედლეულის წარმოება მნიშვნელოვნად გაფართოებულა და საერთო აღმავლობას განიცდიდა. ამავე დროს შეთამბაქოური მეურნეობის აღმავლობა გარკვეული ზიგზაგებით ხსნიათდება და განვითარება-აღმავლობის საერთო ფონზე დაქვეითების პერიოდებიც შეიმჩნევა. ასეთებად ჩვენ გვესახება: 1) პერიოდი 1873-1878 წლებს შორის, 2) 1886-1896 წწ., 3) 1906-1908 წწ. და 4) 1918-1920 წწ.

თამბაქოს ნათესების ფართობისა და მოსავლის შემცირება 1875-1876 წწ.-ში, ვფიქრობთ, შედეგი იყო სააქციზო სისტემისა, რაც ამიერკავკასიაზე გაუსრულებით 1873 წ.-ს 1 ივლისიდან. ამიერიდან უმეტესად უმაღლესი თამბაქოს მოყვანა იყო ხელსაყრელი, თანაც მეტ-ნაკლებად მსხვილი მაშტაბის შეურნეობაში, შემდეგში კი მაღალმა ბაჟმა შემოტანილ თამბაქოზე (1877 წ.) ხელი შეუწყო თამბაქოს ნათესების მნიშვნელოვან გაფართოებას.

თამბაქოს ფართობისა და მოსავლის მოცულობის შემცირება შეორება პერიოდში (მოსავლის მოცულობით 1885 წ.-ს მხოლოდ 1897 წ. გაუთანასწორდა) აისხნება 1886 წ.-ს დაწყებული კრიზისით. ამ წელს კახეთის თამბაქოს მოსავლის $\frac{2}{3}$ გაუყიდავი დარჩენილა³². უყრანაში, ყუბანის ოლქში, შავი ზღვის-პირეთში და სხვა ადგილებში, მეთამბაქოური მეურნეობის გაფართოების შედეგად, ჩვენს თამბაქოზე რუსეთის მრეწველობის მოთხოვნილება შემცირდა,

³⁰ პლანტაციას, რომლის ფართობი 50 კვ. საჟ. არ აღმატებოდა, საოჯახო ანუ სამეურნეო პლანტაცია გულდებოდა. 50 კვ. საჟ. მეტი ფართობის მქონე პლანტაციებს კი — სამრეწველო.

³¹ ცნობები ამოკებილია: 1873—1894 წწ. გუბერნიის აღმინისტრაციისა და სააქციზო უწყების ანგარიშებიდან, 1895—1914 წწ. ამიერკავკასიის სააქციზო სამათველოს ყოველწლიური ანგარიშებიდან, 1915—1920 წწ. — «სტატისტიკური კრებული 1909—1921».

³² პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, მონოგრაფიები, ტ. 4, წ. 1, გვ. 84.

დაეცა აქაური თამბაქოს ფასი. აღმოსავლეთ საქართველოს მთავარი მეთამ-ბაქოური რაიონის — კახეთის — თამბაქოს მეურნეობა ისედაც დაშორებული იყო რუსეთის სამრეწველო ცენტრებს (რასაც რკინიგზის კახეთის შტრის უქონ-ლობა კიდევ უფრო საგრძნობს ხდიდა) და კონკურენტებთან ბრძოლაში მარცხს განიცდიდა.

დაქვეითების მესამე პერიოდი დაახლოებით 1906—1908 წწ.—ზე მოდის. ამ დროს თამბაქოს ფაბრიკები დაიდი წყვეტილებით მუშაობდნენ, რაც აფერხებ-და ნედლეულის დამუშავებას. მკვეთრად მცირდება მოთხოვნილება თამბაქოს ხედლეულზე (1906 წ.—1 იანვრისათვის ალაზნის ველზე ჩატოლილი იყო 160 ათასი ფუთი თამბაქი), რაც, ცხადია, აისახა ნათესი ფართობის შემცირებაში.

თამბაქოს მეურნეობის დაქვეითების მეოთხე პერიოდი (1918—1920 წწ.) ვფიქრობთ, უპირველეს ყოვლისა რუსეთის და ამიერკავკასიისა სხვა მხარეები-საგან საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განცალკევების შედეგია.

ცხრილი აგრეთვე ცხადყოფს, რომ მთელ პერიოდში მატულობს პლანტა-ციების რიცხვი, რაც ამ დარგში მიწათმოქმედთა ფართოდ ჩატოს შედეგი იყო. ამასთან პლანტაციების რიცხობრივი ზრდა არ ნიშნავს მეთამბაქოებრივი წვრილმწარმოებლურ გლეხთა მეურნეობრივი ტიპის გამარჯვებას³³. ამ პე-რიოდში არ შეიძლება გლეხობაზე ლაპარაკი, როგორც მხოლოდ წვრილმწარ-მოებლებზე, — გლეხობის კლასობრივი ღიფერენციაცია უკვე მომხდარია და წვრილმწარმოებელი გლეხობის გვერდით არსებობენ და მოქმედებენ გლეხთა შეტ-ნაკლებად მსხვილი მეურნეობანი. საკმარისია გავახსენოთ, რომ ჭერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში სოფ. ვეგინში კულაცების — ალ. ჩახთაძის და სტ. დავითაშვილის თამბაქოს პლანტაციები 4-4 დესეტინაზე იყო გადაჭიმუ-ლი³⁴. არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ, მიუხედავად მნიშვნელოვანი რა-ცხობრივი ხევდრითი წონისა, წვრილმწარმოებლებს თამბაქოს წარმოებაში გა-დაწყვეტი როლი არ ეკუთვნოდათ. გარდა ამისა, პლანტაციების ზრდა სრუ-ლიადაც არ ნიშნავს მას, რომ ჩვენში დაქირავებულ შრომაზე დამყარებულ მსხვილ მეურნეობათა შექმნისათვის შესაფერისი პირობები არ არსებოდა. პლანტაციების რიცხვი საგრძნობლად იზრდებოდა არა მარტო ჩვენში, არამედ რუსეთშიც³⁵. 70-იანი წლების შუახანებიდან ვიდრე XX ს-ის დასაწყისამდე

³³ ვ. მოჩალოეს აზრით 80-იანი წლების შემდევ «Промышленное табаководство постепенно стало переходить в руки крестьян, которые заводили небольшие табачные пла-тации» (М о ч а л о в, указ. соч., стр. 421).

³⁴ ა. სურგულაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 59.

³⁵ კერძოდ, შემაგებელი ცნობებით, რაც პ. ნარდენსა აქვს მოტანილი რუსეთის მიმართ შემდეგნაირად ისახება (მოვაჭვს მხოლოდ ყოველი მეხუთე წლის მაჩვენებელი):

წლები	პლანტაციები		მოსავალი (ფუთობით)
	რიცხვი	ფართობი (ფე.)	
1877	95 536	49 490	3 555 082
1880	146 664	35 331	2 253 814
1885	199 515	58 018	3 302 559
1890	635 494	44 458	3 992 983
1895	538 532	48 846	4 377 436
1900	476 635	47 359	4 253 604
1905	439 403	70 357	5 927 252
1908	341 966	63 023	5 758 294

(Н. А. Нардэн, Статистика табаководства и табачного промысловства в дорево-люционной России, М.—Л., 1927, стр. 5).

პლანტაციების რიცხვი უფრო სწრაფად იზრდებოდა ვიდრე მათი საერთო ფართობი. ამის გამო პლანტაციების საშუალო სიდიდე მცირდება. აღმოსავლეთ საქართველოში პლანტაციების საშუალო სიდიდე უდრიდა. 1873 წ. — 1,39 დეს., 1875 წ. — 0,46 დეს., 1878 წ. — 0,53 დეს., 1878 წ. — 2,58 დეს., 1879 წ. — 1,53 დეს., 1884 წ. — 0,61 დეს., 1885 წ. — 0,24 დეს., 1891 წ. — 0,16 დეს., 1895 წ. — 0,16 დეს., 1897 წ. — 0,15 დეს. და ა. შ. ჩუსეუთში: 1877 წ. — 0,51 დეს., 1895 წ. — 0,09 დეს., 1896 წ. — 0,09 დეს.

70-იან წლებში პლანტაციების შედარებით მეტი საშუალო სიდიდე მიუთითებს იმაზე, რომ შეთამბაქოეობაში, როგორც წესი, მსხვილი მწარმოებლები სჭარბობენ. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ჯერ კიდევ 60-იანი წლების პირველ ხანებარში პლანტაციებთან ერთად ჩვენში მრავალი წვრილი პლანტაცია არსებობდა. ხოლო 70-იან წლებში მათი რიცხვის შემცირება უფრო აქციზის მოქმედების გამოცელებით უნდა აიხსნას. შემდეგში (30-იანი წლების დასაწყისიდან) პლანტაციების რიცხვი იზრდება, ჩანს მეთამბაქოეობაში ებმება წვრილ-მიწათმოქმედი გლეხობა.

თამბაქოს ნედლეულის წარმოებაში წვრილ მიწათმოქმედთა ჩაბმა, რასაც არა მარტო ლოკალური, არამედ საერთო სამშერიო ხასიათი ჰქონია, არ უნდა შიუთითებდეს მსხვილ მეურნეობათა მნიშვნელობის დაცემაზე. მართალია, პლანტაციების საშუალო სიდიდე საგრძნობლად შემცირებული ჩანს, მაგრამ ეს მაჩვენებლები ე. წ. საშუალო სიდიდის ამსახველ მონაცემთა რიგს განეკუთვნება და არ გამოდგება იმ მოსაზრების დასადასტურებლად, რომ წვრილი შეურნეობა თამბაქოს წარმოების საერთო მოცულობაში თითქოს უპირატესობას აღწევს.

*

* *

მეთამბაქოური მეურნეობის განვითარებაში დიდ ხოლოს ასრულებდა სამრეწველო კაპიტალი (თამბაქოს მეფაბრიკებისა) და სავაჭრო კაპიტალი (თამბაქოს საბითუმო სავაჭრო საწყობების მფლობელთა და სხვა ვაჭრებისა)³⁶.

თამბაქოს მეფაბრიკები და საბითუმო საწყობების მფლობელნი (აგრეთვე სხვა ვაჭრები) ერთი მხრივ თვითონ აწყობდნენ თამბაქოს პლანტაციებს, მეორე მხრივ კი საკრედიტო ურთიერთობებს ამყარებდნენ პლანტატორებთან და შათ თამბაქოსაც ყიდულობდნენ³⁷.

ამ მხრივ დამახასიათებელია სილნალის მაზრა. ამიტრკავკასიის სააქციზო უწყების ხელმძღვანელი 1900 წლის ანგარიშში აღნიშნუდა: „მაზრის მეთამბაქოებით უმრავლესობას არ გაჩინდა რა კაბიტალი, სარგებლობდა საწყობების ბეჭატრონებთა და მეფაბრიკეთა მიერ გაცემული სესხით. ასებობდა ორი სახის სესხი: აღაზნის გალმა მხარეში (ლაგოდების რაიონი) სესხი გამცემს უნდა დაპირუხნებოდა, ხოლო აღაზნის გამოლმა მხარეში სესხი ფულის პატრონს აღარ უბრუნდებოდა. პირველ შემთხვევაში პლანტატორი იღებდა დესეტინაზე 250-

³⁶ В. С. Щербачев, Обзор табаководства в России. Вып. I, СПб., 1889, стр. 105 — 106.

³⁷ «Многие из складчиков и фабрикантов заинтересованы в самом хозяйстве своими капиталами или непосредственно как плантаторы или выдачею крестьянам вперед денег на обработку плантаций». (Обзор отраслей промышленности в Закавказском крае, служащих источником косвенных налогов и поступление акцизного по краю дохода за 1903 г., Тифлис, 1904 г., стр. 121).

300 მანეთს, რაც საჭირო იყო საიგარო ქირის გადასახდელად და მიწის დასამუშავებლად. თამბაქოს გაყიდვის შედეგად მიღებული ფულიდან, პირველყოვლისა, ვალი დაიფარებოდა, ხოლო დანარჩენი თანხა პლანტატორსა და კრედიტორს შორის შუაზე იყოფოდა. მეორე შემთხვევაში დესეტინაზე სესხად გაიცემოდა 100-150 მან., რაც პატრონს აღარ უბრუნდებოდა, მაგრამ თამბაქოს გაყიდვით მიღებული მთელი თანხა შუაზე იყოფოდა პლანტატორსა და სესხის გამცემს შორის. ასეთ პირობებში თამბაქოს მოყვანას ბევრი გლეხი და პლანტაციების ყოფილი შუშა³⁸ მისდევდა.

ასეთი სხვაობა მეურნეობის თავისებურებებით იყო გამოწვეული. გამომამეტი თანხა ეძლეოდა პლანტატორს, ვიდრე გამოღმა. რაღგანაც ლაგოდეხის რაიონში პლანტაციების უდიდესი ნაწილი იჯარით აღებულ მიწაზე იყო მოწყობილი, საჭირო იყო საიგარო ქირის გადახდა. გამოღმა მხარეში პლანტატორთა უმრავლესობას საეუთარ ან სანადელო მიწაზე მოჰყავდა თამბაქო და საიგარო ქირის გადახდა არ სჭირდებოდა. გაღმა მსხვილი მეურნეობები იყო მოწყობილი, რაც მნიშვნელოვან თანხას მოითხოვდა მუშების დასაქირავებლად, გაშოლმა კი შედარებით პატარა მეურნეობები ჰქონდათ და შეიძლებოდა ბევრ მათვანები საქმე ოჯახის წევრთა შრომით წარმართულიყო.

პლანტატორებზე ფულის გაცემით სამრეწველო კაპიტალი და სავაჭრო კაპიტალი თითქო ითავსებდა საბანკო კაპიტალის ფუნქციას, რამდენადაც დაფინანსება კაპიტალისტ საქმოსნებს ეხებოდა, რომლებიც დაქირავებულ მუშახელს იყენებდნენ, ხოლო პროდუქციას ბაზრისთვის ამზადებდნენ. წვრილიწარმოებლური მეურნეთა დაფინანსებისას კი კაპიტალი სავაზშო ფორმით გამოდის და ეწევა მათს ექსპლოატაციას, მაშინ როცა პირველ შემთხვევაში სესხად გაცემული კაპიტალის მფლობელები მონაწილენი ხდებიან პლანტაციებში ჩაბმული დაჭირავებული მუშახელის ექსპლოატაციისა, მათ ხელში გადადის მუშახათა მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულების ერთი ნაწილი.

შაგრამ სამრეწველო (მეფაბრივები) და სავაჭრო კაპიტალი წვრილგლებურ მწარმოებელთა ექსპლოატაციას ეწეოდა წარმოების გარეთაც. პლანტაციებიდან მიღებულ თამბაქოს ფასს ადებდნენ მეფაბრივები და საწყობის შეპატრონე შემსყიდველები. ფართოდ ყოფილა გავრცელებული საქომისიო სისტემაც³⁹.

*

* *

სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგში წარმოებითი ურთიერთობის ხასიათისა და დონის განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა არა იმდენად სავაჭრო კაპიტალის მოქმედების შესწავლა, რამდენადაც წარმოების

³⁸ Отчет заведующего акцизными сборами Закавказского края о ходе акцизного дела в 1900 г., СПБ, 1902, стр. 111.

³⁹ «Что касается цен, то надо заметить, что таковые вообще устанавливаются не табаковедами, а скупщиками из фабрикантов и складчиков или их комиссионерами. При малом числе табачных фабрикантов и складчиков в крае, отсутствие между ними конкуренции, чаще всего даже прямое между ними соглашение относительно цен на табак и распределение районов, ставит плантаторов подчас в безвыходное положение. Большинством табакопромышленников для закупки табака практикуется комиссионная система». (Отчет о ходе акцизного дела в Закавказском крае и Закаспийской области за 1894 г., СПб, 1896, стр. 43).

ჩასიათის გარევევა. საკითხის ამ ასპექტში განხილვისათვის, პირველყოვლისა, საჭიროა მეურნეობათა დაჯგუფება, რასაც ნათესი ფართობის მიხედვით მოვახდენთ. ეს დაგვეხმარება იმის დადგენაში, თუ რა სახის ეკონომიური წყობა იყო გაბატონებული ჩვენს მეთამბაქოორბაში.

შკვლევარისათვის ფრიად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ვ. ი. ლენინი რუსეთის პირობებში, თუ ნათესები 0,10 დეს. არ აღემატებოდა, წვრილსა და უწყვრილეს მეურნეობებზე ლაპარაკობს, ხოლო 1 დესეტ. მეტი ფართობის მებატონებზე მსჯელობისას კი მეურნეობათა კაპიტალისტურ ხასიათზე მიგვანიშნებს⁴⁰.

ვ. ი. ლენინის მითითებებზე დაყრდნობით და ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების სპეციფიკის გათვალისწინებით, ცფიქრობთ, შესაძლებელია აღმოსავლეთ საქართველოს მეთამბაქოორბაში მეურნეობათა შემდეგი ჯგუფების გამოყოფა: უწყვრილესი (ვისი თამბაქოს ნათესი 50 კვ. საუენს, ანუ 0,02 დესეტ. არ აღემატებოდა), წვრილი (0,02-0,50 დეს.), მეურნეობანი 0,5-1 დეს. ფართობზე და 1 დეს. მეტი ფართობის მქონე მეურნეობანი.

ყველა იმ მეურნეობის მიზანს, რომლის ფართობი 50 კვ. საჟ. აღემატებოდა, სასაქონლო თამბაქოს დამზადება შეადგენდა. ისე რომ ამ მეურნეობათა შეირ დამზადებული პროცესი (მათ შორის უწყვრილესი მეურნეობების პროცესის ნაწილი) მთლიანად სავაჭრო ბრუნვაში ხდებოდა. ამის გამო, ვფიქრობთ, მეურნეობათა დასახელებული ჯგუფების ეკონომიური ტიპის განსაზღვრა მეურნეობაში გამოყენებული სამუშაო ძალის ხასიათის მიხედვით უნდა მოხდეს. ამ თვალსაზრისით დაკვირვება ცხადყოფს, რომ ერთ დესეტინაზე ნაკლები ნათესი ფართობის მქონე მეურნეობები, როგორც წესი, წვრილგლეხური საქონელმწარმოებელი მეურნეობებია, რომლებიც პირად შრომას ემყარებიან (ყოველ შემთხვევაში ყველა წვრილი მეურნეობა და იმ მეურნეობათა უდიდესი ნაწილი, რომლებსაც 0,5-1 დეს. ნათესი ჰქონდათ). რაც შეეხება ერთ დესეტინაზე მეტ ფართობზე გაშლილ მეურნეობებს, ისინი ჩვენ კაპიტალისტური ტიპის მეურნეობებად გვესახება (ყოველ შემთხვევაში 2 დეს. მეტი ნათესის მქონე ყველა მეურნეობა და 1-2 დეს. მთლიანებით უდიდესი ნაწილი).

მეურნეობები 1 დეს. ნაკლებ ფართობზე, ჩვეულებრივ, გლეხთა მიერ იყო მოწყობილი, შესხვილ მეურნეობათა შორის კი შეძლებულ გლეხებთან ერთად გვხვდება სხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებიც, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ თამბაქოს მეფაბრივეები და თამბაქოს საბითუმო საწყობების მფლობელნი.

იმ შეურნეობათა დღით ნაწილი, რომელსაც ერთ დესეტინაზე მეტი მიწა ჰქონდა, კაპიტალისტურ საწყისებზე იყო მოწყობილი. ეს იმიტომ, რომ თამბაქო შეტად შრომატევადი კულტურა და თამბაქოს მეურნეობები დაქირავებულ შრომას ემყარებოდა. კახეთის მეთამბაქოების რაიონებში, მოხუცი მეთამბაქოების თემით, თითო დესეტინა თამბაქოს ნათესის დამუშავებისათვის აუცილებელი იყო მუდმივად მომუშავე სამი კაცი, ამათ გარდა ცალკეული ოპერაციების ჩატარებისას (შეტეხვა, შოზიდვა, ანემისვა და სხვ.) საჭირო იყო დღიური მუშებიც. სულ ერთად, მუდმივზე გადაყანით, ერთ დესეტინა თამბაქოს პლანტაციას ესაჭიროებოდა 4 მომუშავე, 1 მასილან 1 სექტემბრამდე. სხვა პერიოდში კი უფრო ნაკლები. სულ კი სამუშაო წელიწადში ერთი დესეტინის

⁴⁰ ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 345—346.

დასამუშავებლად საშუალოდ 3 კაცი ივარაუდება. ამგვარად, იგულისხმება, რომ 1-2 დეს. ფართობის მქონე მეურნეობაში სეზონზე 4-8 დაქირავებული მუშა საქმიანობდა ერთდროულად.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ვ. ი. ლენინი წმინდა კაპიტალისტურს უწინდებს ბადენის (გერმანია) გლეხთა 24 მეურნეობას 71 მოჯამავირით, ე. ი. მეურნეობებს, რომლებზეც საშუალოდ 3-3 მოჯამავირე მოდიოდა⁴¹.

ვფიქრობთ, ინტერესმოყლებული არ იქნება ზოგიერთი ზეპირი გადმოცემა კახეთის (განსაკუთრებით ლაგოდეხის რაიონი) თამბაქოს პლანტატორთა შესახებ.

ლაგოდეხის მხარეს მეთამბაქოებას უმთავრესად ეწეოდა ქიზიყიდან (ვაკირი, საქობო, ბოდგისხევი, ჭუგაანი, ტიბაანი, მიჩზაანი და სხვ.) მოსული გლეხობა. აქ ისინი ქირაობდნენ მიწას და ფარლულებს, ქირითვე ახვევინებდნენ მინდობას, შემდეგ კი ჩათილს რგავდნენ. სამუშაოდ (დარგვა, თოხნა, შეტეხვა, ახებსვა, გაშრობა, ფოთლის დახარისხება — ე. წ. „დამატი“ და სხვ.) დაქირავებული მუშახელი პლანტატორებს უმთავრესად ქიზიყისავე სოფლებიდან მოჰყვადათ, თუმცა ამ საქმეში აღგილობრივი მუშახელიც გამოიყენებოდა. მოსული პლანტატორები უმეტესად 2-5 დეს. ფართობზე წყობდნენ მეურნეობას, იშვიათად — ერთ დესეტინაზე. პლანტატორებს, როგორც წესი, აქ ოჯახი არ შოჰყავდათ, იშვიათად რომ ვინძეს ოჯახის ზოგიერთი წევრი წამოეყვანა. ლაგოდეხის რაიონში გლეხებსა და მეფაბრივებსაც ჰქონდათ მოწყობილი თამბაქოს მეურნეობა. რევოლუციის წინა ხანებში ათავდე ასეთი მეურნეობა იქნებოდა. მათ დიდი პლანტაციები და საკუთარი ფარლულები ჰქონდათ, ჰყავდათ ზედამხედველები და საქმეს მთლიანად დაქირავებულ შრომაზე ამყარებდნენ. როგორც ეს ვაჭარ-მრეწველები, ისე ალაზნის მეორე მხრიდან მოსული მეწარმეები პლანტაციებს იჯარით აღებულ მიწაზე აწყობდნენ.

სილნალის მეთამბაქოურ რაიონში კი თამბაქო უმთავრესად აღგილობრივ გლეხებს მოჰყვადათ, თანაც უპირატესად საკუთარ მიწაზე. შეღარებით დიდ პლანტაციებს დაქირავებული შრომით ამჟამაზე მეურნეობა იქნებოდა. ერთ დესეტინა პლანტაციას დნელად მოუვლიდა ოჯახი თავისი ძალებით.

ალაზნის ორივე მხრის პლანტატორები საჭირო კრედიტს ვაჭარ-მრეწველებიდან და კულაკებიდან ღებულობდნენ.

ახლა კი შევეცდებით უფრო ახლოს გავეცნოთ სხვადასხვა ტიპის მეურნეობათა ხველრითი წონის საკითხს.

წყაროებში სხვადასხვა ფართობის მეურნეობებზე ცნობები წარმოდგენილია შემდეგი სახით: ცალკეა გამოყოფილი 0,2 დესეტინამდე ფართობის მქონე პლანტაციები (ე. წ. საოჯახო პლანტაციები), ხოლო ცალკე ყველა დანარჩენი პლანტაცია (ე. წ. სამრეწველო პლანტაციები). ამასთან უკანასკნელთა შორის განკერძოებულია პლანტაციები, რომლებიც 0,02-1 დეს., 1-2 დეს., 2-4 დეს. და ა. შ. შეიცავენ.

გერ ერთმანეთს შევადაროთ უწვრილესი (ე. წ. საოჯახო) და დანარჩენი (ე. წ. სამრეწველო) პლანტაციების რიცხობრივი მაჩვენებლები⁴² (ცხრილი 2).

მოტანილი ციფრები მოწმობს, რომ რიცხობრივად 1902 წლამდე სჭარ-

⁴¹ ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხ. ტ. 5, გვ. 227.

⁴² ციფრობრივი მაჩვენებლები მოკრებილია საქციზო უწყების შესატყვისი წლების ანგარიშებიდან.

ბობს უწვრილესი მეურნეობა, ხოლო ამ წლიდან დაწყებული მათი რიცხვი საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლებს შეადგენს. 1905-1907 წწ-ის რევოლუციის შემდგომ პერიოდში, — მეთამბაქოეობის საერთო აღმავლობის პირობებში ძლიერ მცირდება უწვრილესი პლანტატონების რიცხვი და 1909-1913 წწ-ში მათი რაოდენობა მეხუთედამდე (20,5%) ჩამოდის.

ზემოთ უკვე მიუთითოთ, რომ ნედლეულის ძირითად მწარმოებლად ითვლებოდა ლაგოდეხისა და სიღნაღის რაიონები, რომლებზეც მოდიოდა აღმოცხვილი 2

წლები	უწვრილესი პლანტაციების (0,02 ლე. ნაკლები ფართობით) რიცხვი	დანარჩენი პლანტაციების (0,02 ლე. მეტი ფართობით) რიცხვი
1894	965	791
1895	1 304	617
1896	1 564	842
1897	1 757	974
1898	1 918	1 214
1899	1 803	1 366
1901	1 746	1 138
1902	1 495	1 883
1903	1 449	2 073
1909	349	911
1910	424	1 427
1911	381	1 809
1912	276	1 163
1913	225	1 071

სავლეთ საქართველოს თამბაქოს საერთო პროდუქციის 87-90 %. საქართველოს სხვა რაიონებისაგან განსხვავებით, მეურნეობები აქ შედარებით დიდ ფართობებზე იყო მოწყობილი, ხოლო წვრილსა და უწვრილეს მეურნეობებს ძალზე ნაკლებად შეხვდებოდით⁴³. ამგვარად, წვრილი და უწვრილესი პლანტაციების უდიდესი რაოდენობა მოდიოდა ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯიალონისა და სხვა მაზრებზე.

მიუხედავად, თვით XX ს-ის დასაწყისამდე, უწვრილესი პლანტაციების რიცხობრივი სიჭიახბისა, მეთამბაქოეობაში მათი ხვედრითი წონა ყოველთვის უმნიშვნელო იყო⁴⁴.

სანამ წარმოვადგენდეთ კონკრეტულ მასალას მეურნეობათა სხვა ჯგუფების შესახებ, უნდა შევნიშნოთ, რომ შედარებით საიმედო მონაცემები, რომლებიც თამბაქოს ნედლეულის წარმოებაში მეურნეობათა ტიპების ხვედრითი წონის განსაზღვრას საშუალებას მოგვცემენ, 1899 წელსა და მომდევნო პერიოდს ექვება. ამასთან, წყაროების ეს მაჩვენებლები ლაგოდეხისა და სიღნაღის მეთამბაქოური რაიონების მდგომარეობას ასახავს.

1899-1900 წლებისათვის მეურნეობები კი არა, მხოლოდ პლანტაციებია ფართობის მიხედვით დაჯგუფებული. ეს გარემოება მეურნეობათა ტიპებზე შეჯელობისას ამცირებს მასალის ღირებულებას, რამდენადაც პლანტაციების

⁴³ «В обоих районах очень мелких насаждений не имеется вовсе» (отчет заведующего акцизными сборами в Закавк. крае и Закаспийской области о ходе акцизного дела в 1899 г., СПБ, 1900, стр. 100).

⁴⁴ მაგალითად, 1895 წ. უწვრილეს მეურნეობებს ეკავათ საერთო ფართობის 1,38% (323,6 ლესეტინიდან 5,5 დესეტინა), ხოლო მოსავალში მათი ხვედრითი წონა 1,49% შეადგენდა (25,157 ფუთიდან 376 ფუთი). 1896 წელს კი მათზე მოდიოდა: ფართობის 1,71% (391,2 ლესეტინიდან 6,7 დესეტინა) და მოსავლის 1,33% (28,952 ფუთიდან 386 ფუთი).

რიცხვი აღმატებოდა მეურნეობათა რიცხვის. ცნობები, რომელთა შიხედვითაც ეკონომიურ ერთეულად პლანტაცია კი არა, მეურნეობაა წარმოლენილი, 1901 წლიდან მოიპოვება. 1901-1904 წლების წყაროებში მოტანილი მასალა აჯგუფებს ალაზნის გაღმა და გამოღმა მნის მეურნეობებს ნათესი ფართობის მიხედვით, იქვეა ნაჩვენები მეურნეობათა ამა თუ იმ ჯგუფის საერთო ფართობი. 1905-1914 წლების წყაროებში წარმოლენილია ამა თუ ამ ჯგუფში შემავალ მეურნეობათა რიცხვი, მაგრამ აღარ მოიპოვება ჯგუფის მეურნეობათა საერთო ფართობის მაჩვენებელი, ამიტომ მეურნეობათა ტაბების ხვედრითი წონის საკითხის გასარკვევად განსაკუთრებული მნიშვნელობისა 1901-1904 წლების მონაცემები.

1899-1900 წლების მაჩვენებლების საფუძველზე ფართობის მიხედვით პლანტაციების დაჯგუფება ასე წარმოდგება (ცხრილი 3).

ცხრილი 3

წლები	პლანტაციები (0,02—1 დეს.)		პლანტაციები (1 დეს. მეტი ფართობით)		ს უ ლ	
	რიცხვი	ფართობი (დესეტ.)	რიცხვი	ფართობი (დესეტ.)	რიცხვი	ფართობი (დესეტ.)
ლაგოდეხის რაონი						
1899	154	10,5	68	170	222	180,5
1900	8	4,5	62	171,5	70	176
სიღნაღის რაონი						
1899	644	80	124	210	768	290
1900	171	85,2	159	314,3	330	399,5

ორივე რაიონში ერთად საერთო ფართობი (დესეტ.):

წლები	0,02—1 დეს. ფართობის პლანტაციების	1 დესეტინ. მეტი ფართობის პლანტაციების
	1 დესეტინ. მეტი ფართობის პლანტაციების	1 დესეტინ. მეტი ფართობის პლანტაციების
1899	81,5	380
1900	89,7	485,8

დასახელებულ ორივე რაიონში თამბაქო 1899 წელს 990 პლანტაციაში შოუკუპანით, 1900 წელს კი 400-ში. 1899 წელს ერთ დესეტ. ნაკლები ფართობის სამრეწველო პლანტაციებს ეჭირათ 81,5 დეს., ხოლო 1 დეს. მეტი ფართობის შემნე პლანტაციებს — 380 დეს. ამგვარად, 1 დესეტ. მეტი ფართობის მეტნე პლანტაციებს საერთო ფართობის 82% სჭრიათ. 1900 წელს 1 დესეტინამდე ფართობის მეტნე პლანტაციების საერთო სივრცე 89,7 დეს. ყოფილა, ხოლო 1 დესეტ. მეტი ფართობის პლანტაციებისა — 485,8 დეს. მაშასადამე, ამ უკანასკნელი სახის პლანტაციების ხვედრითი წონა 84%-ს შეაღენდა. შედარებით მსხვილი (1 დეს. მეტი) პლანტაციების ხვედრითი წონა განსაკუთრებით საგრძნობი იყო ლაგოდეხის რაიონში, სადაც ის შეაღენდა: 1899 წელს 94%-ს, 1900 წელს კი — 97%-ს.

ვფიქრობთ, აშკარაა, რომ წარმოების საერთო მოცულობის მხრივ XIX-X XX სს-ის მიჯნაზე წვრილებური კი არა, არამედ გაბატონებული იყო ისეთი პლანტაციები, რომელთა მფლობელებსაც საქმის წარმართვა დაჭირავებული შრომის გარეშე არ შეეძლოთ.

როგორც ვთქვით, 1901-1904 წწ.-ის მაჩვენებლები გაცილებით სრულად წარმოაგვიდგენს განსხვავებული ეკონომიკური წყობის მქონე თამბაქოს მეურნეობების ხევდრითი წონის სურათს, სახელმობრ (ცხრილი 4):

Georgo 4

წლის წელი	მ ე უ რ ნ ე ო ბ ე ბ ი									
	0,02—1 დესტ.			1—2 დესტ.				2 დეს. მეტი ფართობით		
	შეუჩ. რიცხვი	პლანტ. რიცხვი	საერთო ფართობი (დესტ.)	შეუჩ. რიცხვი	პლანტ. რიცხვი	საერთო ფართობი (დეს.)	შეუჩ. რიცხვი	პლანტ. რიცხვი	საერთო ფართობი (ლეკ.)	
1901	7	14	4	28	54	34	15	50	47	
1902	8	10	4	40	—	—	61	—	—	
1903	12	15	10	31	54	42	60	239	242	
1904	22	41	11	33	97	50	44	280	190	
			ს ი ღ 6 ი ღ 0 ს ი ღ 6 ი ღ 0 ს ი ღ 6 ი ღ 0 ს ი ღ 6 ი ღ 0							
1901	98	213	52	67	233	91	18	85	60	
1902	139	320	71	124	—	—	39	—	—	
1903	115	230	60	162	580	225	68	343	194	
1904	172	386	101	218	785	303	77	387	206	

წყარო 1902 წელზე არ გამოყოფს ცალკე 1-2 დეს. მქონე და ცალკე 2 დეს-ზე მეტის მქონე მეურნეობების საერთო ფართობებს. ერთად კი, 1 დეს-ზე მეტი ნატესის მქონე მეურნეობებს სჭერიათ ლაგოდების რაონში 270 დეს. (1 დეს-ზე ნაკლების მქონე მეურნეობებს სულ ეკავათ 4 დეს.), ხოლო სიღნალის მაჩარაში შესატყვევისათ 294 დეს. და 71 დეს.

რათა უფრო თვალსაჩინო გახდეს ცხრილის მონაცემები, პროცენტებით გამოვსახავთ მეურნეობათა ჭგულების მიერ ღავავებულ ფართობს. ამ ჭგულებში საერთო ფართობი ასე ნაწილდებოდა პროცენტებში (ცხრილი 5):

ବ୍ୟାକୁଳ 5

წლები	0,02—დეს. მეურნეობები	1-2 დეს. მეურნეობ.	მეურნეობანი 2 დეს. მეტი ფართობით
ლ ა გ ვ დ ე ხ ი ს რ ა ი თ ნ ი			
1901	4,6	40	55,3
1902	1,46	98,4	
1903	3,4	14,2	82,3
1904	4,4	20	75,6
ს ი ღ ნ ა ღ ი ს რ ა ი თ ნ ი			
1901	25,6	44,8	29,5
1902	19,4	80,6	
1903	12,5	46,9	40,7
1904	16,4	50	34

ხოლო თუ არივე რაიონს ერთად ავიღებთ, აღმოჩნდება, რომ მთელ ფარ-თობში სჭირია ($\%$) (%): (კტრილი 6):

რაც შეიქმნა მომიღვნო პერიოდს (1905-1914 წწ.), წყაროებით ამოკრე-

ბილი მასალა ორივე რაიონზე ასეთ სურათს წარმოგვიღენ (ცხრილი 7):

მიუხედავად იმისა, რომ 1905-1914 წწ.-ის წყაროებში ფიქსირებული არ არის ამა თუ იმ ჯგუფის მეურნეობათა ნათესების საერთო ფართობი, ჩვენ მაინც

ცხრილი 6

	0,02—1 დეს. მეურნეობებს (ანუ მარტივი სასაქონლო მეურნეობები)	მეურნეობებს 1 დეს. მეტი ფართ. (ანუ კაპტალისტ. ტიპის მეურნები).
1901	19,4	80,6
1902	11,5	88,5
1903	9	91
1904	9,3	90,7

არა გვაქვს საფუძველი კაპიტალისტური ტიპის მეურნეობათა ხვედრითი წონის რაიმე შემცირება ვივარაუდოთ. პირიქით, ისტორიული პროცესის მსვლელობა სწორედ რომ ამ მეურნეობათა ხვედრითი წონის შემდგომ ზრდაზე მიუთითებს.

ცხრილი 7

წლები	მ ე უ რ ნ ე ი მ ი ბ ი ნ ი						ს უ ლ
	0,02—1 დეს.		1—2 დეს.		2 დ. მ ე ტ ა ფ ა რ თ .		
	რიცხვი	ფართობი	რიცხვი	ფართობი	რიცხვი	ფართობი	მ ე უ რ ნ . პ ლ ა ნ ტ . რ ი ც - ხ ვ ი რ ი ც - ხ ვ ი ფ ა რ თ ი ბ ი (დეს.)
1905	246	—	367	—	199	—	812 2 467 1 203
1906	144	—	157	—	66	—	367 877 454
1908	27	—	76	—	57	—	160 276 320
1909	84	—	107	—	106	—	297 572 538
1910	118	—	179	—	176	—	473 1 041 876
1911	438	—	188	—	139	—	765 1 403 938
1912	308	—	133	—	92	—	533 911 723
1913	297	—	171	—	70	—	498 735 616
1914	283	—	146	—	183	—	612 1 368 1 212

დაქირავებულ შრომაზე დამყარებულ მეურნეობათა შორის რიცხობრივად სჭარბობდნენ 1-2 დეს. და 2-4 დეს. მქონე მეურნეობები. მათ ხელშივე ჩანს.

ცხრილი 8

	1-2 დეს.	2-4 დეს.	4-6 დეს.	6-10 დეს.	10 დეს. მეტი
1903 წ.	193 267	105 260	13 58	5 35	5 83
1904 წ.	251 353	107 185	8 39	2 15	4 53

ნათესი ფართობის დიდი ნაწილი. დიფერენცირებული მაჩვენებლები სიღნალის მაზრის მიმართ მოგვეპოვება (1903-1904 წწ.). ამ მხრივ ასეთი ვითარება ყო-

ფილა (ჩაზს ზემოთაა მეურნეობათა რიცხვი, ხაზს ქვემოთ — ფართობი დესეტინობით) (ცხრილი 8):

ამავე დროს გვხვდება ჩვენი პირობებისათვის ძალიან მსხვილი მეურნეობანი:⁴⁵ ამ მეურნეობებში ერთდროულად რამდენიმე ათეული მუშა იყო დასაქმებული. მაგალითად, მეურნეობაში, რომლის ფართობი 38 დეს-ს უდრიდა, სამუშაო პროცესში დაახლოებით 140-150 მუშახელი მაინც იყო საჭირო.

* *

*

ზემოთ მოტანილი მონაცემების განხილვამ გვიჩვენა:

განხილული პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოში სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალი გადადიოდა თამბაქოს ნედლეულის მწარმოებელ მეურნეობაში. ეს ფაქტი იმდენად სავაჭრო და საგახშო კაპიტალის დამოუკიდებელი განვითარების ტენდენციის გაძლიერებას კი არ ნიშნავს, რამდენადაც სავაჭრო მეთამბაქონბის ძირითად რაიონებში კაპიტალის ამ ფორმების სამრეწველო კაპიტალისადმი დაკვემდებარებულ ძალად, მის აგენტად გადაჯდევის ტენდენციის გაძლიერებას მოასწავებს.

სასაქონლო თამბაქოს მწარმოებელი მეურნეობანი ორი ძირითადი ეკონომიკური ტიპისა ჩანან: ა) წვრილგლებური საქონელმწარმოებელი მეურნეობანი და ბ) სასაქონლო-კაპიტალისტური მეურნეობანი. პირველ ტიპს ძირითადად განკუთვნებიან 1 დეს-ზე ნაკლები ფართობის მქონე მეურნეობები, მეორეს — 1 დეს-ზე მეტი ფართობის მქონე მეურნეობათა უდიდესი უმრავლესობა.

თამბაქოს ნედლეულის წარმოებაში ხვედრითი წონით კაპიტალისტურ საწყისებზე მოწყობილი მეურნეობანი აღმატებოდნენ წვრილგლებურ საქონელმწარმოებელ მეურნეობებს (მარტივი სასაქონლო წარმოება). კერძოდ, მონაცემებით, რომლებიც ასახავენ აღმოსავლეთ საქართველოს ძირითად მეთამბაქოური რაიონის — კახეთის (რომელზეც მოდიოდა აღმოსავლეთ საქართველოს თამბაქოს ნათესების თითქმის 9/10) ვითარების (1901-1904 წწ.), ერთ დესეტი-ნაზე მეტი ფართობის მქონე მეურნეობებზე მოდიოდა ნათესების 87-88%. ამასთან, მარტო 2 დეს-ზე მეტი ფართობის მქონე მეურნეობებს სჭერიათ საერთო ფართობის ნახევარზე მეტი (თითქმის 53%).

⁴⁵ სიღნალის მაზრაში 10 დესეტ. მეტი ფართობით მეურნეობათა რიცხვი შეადგენდა: 1903 წ.—5 მეურნეობას (მათგან 1 მეურნეობა 26 დეს. ფართობზე), 1904 წ.—4 (აქედან, ერთი—22 დეს.), 1905 წ.—3 (აქედან ერთი—20 დეს.), 1906 წ.—1 მეურნეობა 16 დეს., 1908 წ.—2 (მათში ერთი—14 დეს.), 1910 წ.—3 (თითოეული 10-12 დეს. ფართობზე), 1911 წ.—3 (მათში ერთი 22 დეს.), 1912 წ.—1 მეურნეობა 14 დეს. ფართობზე, 1913 წ.—1 მეურნეობა 24 დეს., 1914 წ.—13 (მათგან ერთი—26 დეს. და ერთიც 38 დესეტ. ფართობზე). (მონაცემები ამოკრებილია ამიერკავკასიის სააქციზო სამმართველოს შესატყვისი წლების ანგარიშებიდან).



Georgian Encyclopedia

ერაყის კართველი ქადაგებების ზონას შეის ისპონტირან
(ალი ფაუს)

(წურბოდგინა საქართველოს სსრ მცნობებათ აკადემიის ივ. ჭავახიშვილის სახ.
ისტორიის, აზერბაიჯანისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის)

სულეიმან ფაშა ბუიუქს ანუ სულეიმან დიდს (1722-1802) სამი ვაჟი (ბე-
ნათ საიდი, საიდ ბეგი, სალიკ ბეგი)¹ და რამდენომე (4?) ქალიშვილი ჰყავდა.
მათის გარდაცვალების დროს ვაჟები მცირეშლოვნები² ყოფილი; ქალიშვილ-
თაგან კი უფროსი, სახელად ხატიჯე, ცოლად ჰყავდა ქაპია³ ალი ფაშას, მეო-
რე — სელიმ აღას, ბასრას მუთასალიმს⁴, მესამე — ნასიფ აღას (საფაშოს გამ-
გებლის სასახლის უფროსს — ქეთხუდას), ხოლო მეოთხე — ხაზინდარ დაუდ
აღას. მცირეშლოვნი ვაჟიშვილები საფაშოს გამგებლად არ გამოლებოდნენ
და, მაშასადამე, ძალაუფლებისათვისაც ისინი ერთმანეთს მეტოქეობას ვერ
გაუწევდნენ. ეს გარემოება უფლებას აძლევდა ფაშას სიძეებს, როგორც მის
ერთგვარ მემკვიდრეებს და თანაც საფაშოში ყველაზე მაღალი თანამდებობის
მოხელეებს, თვითონ უფიქრათ ერაყის ხელისუფლების სათავეში მოქცევაზე
ამავე დროს სულ უფრო აშკარა ხდებოდა, რომ მათ გარდა საფაშო ხელისუფ-
ლების დაკავება სურდათ იენიჩების აღას, სულეიმან ბუიუქის დავთარდარს,
მარტინის მუთასალიმს და არაბული ტომის, შაუვის წარმომადგენელს, რომე-
ლიკ საფაშოს საგარეო საშეთა უწყებას განავებდა.

რაც შეტი დრო გადიოდა, შეღომარებობა მით უფრო რთულდებოდა; და 1802 წელს, როცა 80 წელს მიღწეული, ხანგრძლივი ავადმყოფობისაგან დაუძლურებული სულეიმან ბურუჟი დღე-დღეზე სიკვდილს ელოდა, დაძაბულობან უმაღლეს წერტილს მიაღწია.

ტახტის შაბდებლებმა, რომლებიც იენიჩრების აღასა და შავუის ტომის ჭარბობაზე განლაგონლის გარდა, ტომით პატრიკელები იყვნინ, შეადგინეს ჰავთაკიან-

* ასეთი სათაურო აღრეც დაიბეჭდა წერილი («მაცნე», 1965, № 6 და 1966, № 2), რომელშიც ვეხებოდით ერაყის მმართველი ქულებენგბის ანუ მალუქების ქართული დინასტიის ფუქებდებლის — სულეიმან ფაშა ბულუქის ცხოვრება-მოღვაწეობას. წინამდებარე ნაშრომში კი შეეხებით ამ დინასტიის მეორე თვალსაჩინო წარმომადგენლის ალი ფაშას ცხოვრება-მოღვაწეობას (რის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯერ არაფერი დაწერილა) და ერაყის პოლიტიკურ მფლომარეობას 1803—1807 წლებში.

^۱ C. L. Huart, Histoire de Bagdad, Paris, 1901, گز. 162.

² S. H. Longrigg, *Four Centuries of Modern Iraq*, Oxford, 1925, 22, 219.

⁴ სანდაციის ან იდეოლოგიური მმარტვალო. ბასრის მოთხავალიში შალაშის უფროსიც იყო და

— კარგისა და უნალეთის მიღწევები. ცხოვის სულილის კადერის უფრო უძველესი დროის მთელი არაბული ერაყის გამგებელიც.

თი ჯგუფები, რათა გაეჩაღებინათ დაუნდობელი ბრძოლა, რაც, ალბათ, იქამდე გასტანდა, სანამ ერთი მათგანი არ დაამარტებდა სხვებს, ანდა საფაში არ და- სუსტრებოდა და მას გარეშე ძალა არ დაეფუთლებოდა. ერთი სიტყვით, 1747 წელს ერავში სულეიმან აბუ ლაილის შექმნილსა და სულეიმან ბუიუქის მიერ განმტკიცებულ მამლუქთა რეჟიმს, ახლა, ნახევარი საუკუნის შემდეგ, დაღუპვა შოლოდა, მაგრამ მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ საქმე სულ სხვანაირად შეატრიიალი.

დაახლოებით 50 დღის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სულეიმან ფაშა ბუიუქისა საბოლოოდ დაკარგა იმედი განკურნებისა „და როცა სიკვდილი მოახლოვ- და, მომაკვდავემა იხმო სიძენი... ალი ფაშა თავის შემცვლელად დაინიშნა და მისცა ზოგიერთი რჩევა-დარიგება, ხოლო დანარჩენებს აცნობა, რომ აუცილებ- ლად (საჭიროა) დაექვემდებარონ მას (ალის) და დაეხმარონ ერთმანეთს“⁵.

ფაშას ამ გადაწყვეტილებამ რამდენადმე გაარკვია საღავო საკითხი, თუ ვის უნდა დარჩენოდა ხელისუფლება.

ალი ფაშა სიმარის სიცოცხლეშივე შეუდგა საფაშოს მართვა-გამგებლო- ბას. სხვა მოქალაქებმა მიიღეს სულეიმან ბუიუქის რჩევა და მხარი დაუჭირეს ალი ფაშას აღზევებას. ამით მდგომარეობა ბალდადში საგრძნობლად გაუმჯო- ბესდა, მაგრამ სისხლის ღვრის საფრთხე ჭერ მაინც არსებობდა, რაღაც სუ- ლეიმანის გადაწყვეტილებით ისიც ცხადი გახდა, რომ ძალაუფლება ერაუში მის შეძლებაც მარლუქთა ხელში რჩებოდა. ეს ამბავი კი განსაკუთრებით აღვევებ- და ოსმალეთის სულთანს, ავრეთვე, მამლუქთა რეჟიმით უკმაყოფილო პირებს, კერძოდ, იენიჩერებს და მათს მეთაურს აპმედ აღას. ამ უკანასკნელმა გადა- წყვიტა ალი ფაშასთვის ხელისუფლების ჩამორთმევა და 2 აგვისტოს ინგლი- სის ბალდაღელ რეზიდენტს სთხოვა ბრიტანეთის სტამბოლელი ელჩის ხელით სათანადო შრომარისის წერილი გადაეცა სულთან სელიმ III-სათვის. თვითონ კი საომრად მოეშვადა, ჩაიკეტა ქალაქის ციხე-სიმაგრეში⁶ და 7 აგვისტოს, სუ- ლეიმანის გარდაცვალებამდე ერთი საათით ადრე, სროლა აუტეხა სასახლეს.

ბრძოლა ოთხ თვეს გაგრძელდა და ბოლოს ალი ფაშას გამარჯვებით დამ- თავრდა. განსაკუთრებით დაიღი დამშარება გაუწია ალის მოსახლეობამ, რო- მელშაც მხარი დაუჭირა მას, როგორც ქულემენების დინასტიის წარმომადგე- ხელს, ტახტის კანონიერ მექვიდრესა და საფაშოს ფაქტიურ მპრანებელს⁷.

დაახარცებული აპმედ აღა თავისი 14 მოკავშირით შეიძყრეს და სიკვდი- ლით დასაკვეს. ბალდადი დამშვიდებული და ახლა უკვე ალი ფაშას ბედი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რა პოზიციას დაიკავებდა ოსმალეთის ცენტრალური ხე- ლისუფლება მის მიმართ, როგორ შეხედავდა ბოლო თხის მანძილზე ბალ- დადში მომხდარ აპმებს.

სულეიმან ბუიუქის სიკვდილმა და საფაშოს დედაქალაქში დაწყებულება არეულობამ სულთნის წინაშე (სტამბოლში) პირველ რიგში დაყენა საკითხი იქნა შესახებ, თუ ვინ უნდა ყოფილყო ბალდადის ვალი. სელიმ III-ის ბრძა- ნებით, უფრო ადრე, ვიდრე ალი ფაშასა და მის მოწინააღმდეგე აპმედ აღა შორის გამართული ბრძოლა ღამთავრდებოდა, ბალდადის საფაშოს გამებლად

و لما قارب درجة الاختصار دعا اليه صهرة... فجعل على باشا خلفا له و نصحته بعض النصائح و نبه اليه بذوق الانفياض له، و ان يعاضد الواحد الآخر (المحامى عباس العزاوى، تاريخ العراق، ج ٦، ص ١٤٦)

⁵ تاریخ جودت، ج ٨، ص ٢٦١ - ٢٦٢.

⁶ ს. 3. ლ თ 6 8 6 0 8 0, დასახელებული ნაშრომი, გვ. 221.

⁷ 4. „მაცნე“, № 3, 1969.

დაინიშნა შაქლან ფაშა⁸. მაგრამ ქალაქის მოსახლეობამ, რომელიც აპმედ ფაშას დროიდან (1723-1748 წწ.) მიჩვეული იყო გზეგზებლის თვითონ არჩევას, აქერადაც არ უდალატა თვის წესს. მან უარი უთხრა შაქლანს ბალდადში შეშვებაზე და სულთანს სთხოვა, საფაშოს მმართველად დაემტკიცებინა სულეიმან ბუიუქის ქაპია აღი ფაშა⁹. რაჩივ მიუღებელიც არ უნდა ყოფილიყო ოსმალეთის ხელისუფლებისათვის ბალდადელთა ამნაირი საქციელი, იმპერიის საგარეო და საშინაო მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ გამოგზავნილ თხოვნაზე უარს ვერ იტყოდა.

ეს ის დროა, როცა ევროპის პოლიტიკური რუკა ცვლილებებს განიცდიდა, როცა ბევრმა სახელმწიფომ ვეღარ გაუძლო ნაპოლეონ ბონაპარტის სამხედრო ძლიერებას და არსებობა შეწყვიტა. საქმე ისე მიღიოდა, რომ თუ მდგომარეობა არ შეიცვლებოდა, დახავსებული ოსმალეთიც მათს ბეღს გაიზიარებდა. ამ მხრივ საგულისხმო გაკვეთილს წარმოადგენდა ფრანგების ლაშქრობა (1798 წ.) ეგვიპტესა და სირიაში. ამიტომ ისმალეთის ხელისუფლება ახლა იმედის თვალით უყურებდა რუსეთს და ელოდა მისგან „თავისი ოლქების დაცვას საფრანგეთის (ავი) ზრახვებისაგან“¹⁰.

რუსეთის დიპლომატია სარგებლობდა ამ შემთხვევით და ფრთხილად თავის საქმეს აკეთებდა¹¹. სტამბოლში დაისვა საკითხი 1774 წელს რუსეთ-თურქეთს შორის დადებული ქუჩუქ კაინარჯის საზაო ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ¹². ა. იტალინსკის დავალებული ჰქონდა მოლაპარაკება გაემართა ოსმალეთის მთავრობასთან იმის შესახებ, რომ ამ უკანასკნელს ხელი აეღო და-სავლეთ საქართველოზე და კმაყოფილებით შეხვედროდა რუსი ჯარის შესვლას ამ მხარეში¹³. რაც შეეხება საქართველოს უმაღლეს მმართველსა და მთავარ-სარდალს გენერალ პ. ციციანოვს, ის ახალციხის შემორჩებასაც აირჩებდა¹⁴.

ასეთ საგარეო ვითარებასთან ერთად ოსმალეთის მთავრობას ქვეყნის საშინაო მდგომარეობაც ვერ ჰქონდა მტკიცე და სათანადო მოგვარებული. იმპერია უკვე ხრწინის პროცესში იყო და ამის შეჩერება აღარ შეიძლებოდა, თუ ცენტრალური ხელისუფლება არ განამტკიცებდა ეკონომიკურ-მატერიალურ ბაზას, რისთვისაც საჭირო იყო სახელმწიფოს შიგნით სათანადო ცვლილებების ძოხდენა, უწინარეს ყოვლისა კი „იენიჩირის ჯარისა“ და ღრმოვნებული სამხედროთ ლენტრი სისტემის გაუქმება. მაგრამ ამის გაკეთება არც იოლი საქმე იყო და ვერც მშვიდობიანი გზით, უმტკიცნელად მოხერხდებოდა. ამისათვის

⁸ ა ბ ბ ა ს ა ლ-ა ზ ზ ა ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

⁹ А. А д а м о в, Ирак арабский, СПБ., 1912, გვ. 396—397. აღი ფაშას, ბალდადელთა თხოვნაზე სტამბოლში უარით რომ არ ეპასუხათ, სულეიმან ფაშა ბუიუქის ქონებიდან 60.000 გირგანება სტერლინგი გაუგზავნია საჩუქრად სულთანისათვის (ს. პ. ლ თ ნ გ რ ი გ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 222).

¹⁰ Отношение гр. Воронцова к кн. Цицианову, от 5-го августа 1803 года. «Акты собранные Кавказскою археографическою комиссию», т. II, გვ. 873—4 (შემდეგ მოკლე «АКАК»).

¹¹ Н. Д у б р о в и н, История войны и владычества русских на Кавказе,, т. IV, გვ. 89.

¹² ა. კ ი ვ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია (XIX საუკ.), თბ., 1954, გვ. 53.

¹³ Всеподданейший рапорт кн. Цицианова, от 17 марта, 1803 г., № 33 (АКАК, т. II, გვ. 453—4).

¹⁴ Отношение гр. Воронцова к кн. Цицианову от 5-го августа 1808 года (АКАК, т. II, გვ. 873—4).

აუცილებელი იყო სამხედრო ძალა, რათა მისი საშუალებით ხელისუფლებას თავგასული ფეოდალები დაემორჩილებინა.

სელიმ III-მ თავისი რეფორმების ფატარებისას (1786-1793 წწ.) სწორედ ამ მიზნით დაიწყო არმიის რეორგანიზაცია, ეკროპულად გაწვრთნილ-შეიარაღებული და დისციპლინირებული რეგულარული ჯარის — „ნიზამ-ი ჯედიდ“¹⁵ შედგენა, სამხედრო ბინებისა და სასწავლებლების შენება, საარტილერიო პარკის მოწყობა-გაფართოება, გემსაშენი, ქვემენების ჩამომსხველი და ფენტის ქარხნების აგება და საზღვაო ფლოტის შექმნა¹⁶. მას უნდოւდა აგრეთვე ცვლილებების შეტანა სამოქალაქო მმართველობაშიც¹⁷. მაგრამ ეს ყველაფერი საჭიროებდა დიდძალ თანხას, ხაზინა კი, კარგა ხანია, ვეღარ ფარავდა სახელმწიფო ხარჯებს.

ფინანსურ კრიზისს შედევგად მოჰყვა ის, რომ დაიწყო გადასახადების გადიდება¹⁸ და ამასთან დაკავშირებით გლეხთა მღელვარების ზრდა, რადგან ეს გადასახადები ბოლოს და ბოლოს ძირითადად გლეხების უნდა გაეღო. გლეხების მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდა ისიც, რომ ისინი სახელმწიფოს გარდა გადასახადს უსდიდნენ აგრეთვე ფეოდალებს, რიგალიებს (სახელმწიფო მოღვაწეებს) და სხვა დიდებულებს: „რიგალიები და არისტოკრატები, — ანიშნავს რუმელის ყაზასქერი (მუსლიმიანთა სასულიერო მეთაურის — შეიხულისლამის შემდეგ ყველაზე დიდი თანამდებობის პირი ისმალეთის მიპერიაში) თათარჯიპ აბდალაჰ ეფენდი სულთნისაღმი გაგზავნილ თავის მოხსენებითს ბარათში (ლიაპა), — ხარჯვენ სასახლეების შენახვაზე უზარმაზარ ფულს. ამისათვის... ღებულობენ ქრთამებს და ეწევიან ფამოძალუას. თავიანთ მალიქანებში (Malikane — მამული), მუკატაებში (مُقَاتِعَة — დიდი საიდან რო მამული) და ზეამეთებში (Zeamet — ლენი) ისინი მულთაზიმისაგან (مُلْتَزَم — მეიჯარე): ღებულობენ სამხერ-ოთხერ მეტს, ვიდრე ეკუთვნით, და თანაც 40-50 წლით ადრე. ამის გამო ხალხი უძლურდება მძიმე გადასახადებისაგან“¹⁹.

მუსლიმანებზე უარეს მდგომარეობაში იყვნენ სხვა რწმენის ხალხები. მაგალითად, ბოშებისგან ჯიზის (სულადი გადასახადი არამუსლიმანებზე) იღებდნენ 100-100 პიასტრს, ნაცვლად დაწესებული 4-5 პიასტრისა²⁰. აუტანელ პირობებში ჩაყენებული გლეხები ბოლოს იძულებული ხდებოდნენ აყრილიყვნენ, სახლ-კარი მიეტოვებინათ და გადახვეწილიყვნენ. „ისინი, — განავრძობს აბდა-

¹⁵ ახალი რეგულარული ჯარის გარდა «ნიზამ-ი ჯედიდი» ახალ სისტემასაც ნიშნავდა: სელიმ III-ის საკანონმდებლო აქტი ამ ახალი სისტემის შექმნის შესახებ გამოვიდა სისტოვისა და იასის საზავო ხელშეკრულების (1791—1792 წწ.) დადების შემდეგ. პირველი აქტი, რომელიც 1792 წელს გამოვიდა, აუქმებდა თიმარებსა და ზეამეთებს, ხოლო 1793 წელს გამოსული სამხედრო აქტებით უფრო ვრცელ რეორგანიზაციას ითვალისწინებდა.

¹⁶ კოლას, ისტორია ტურცია, СПБ, 1882, გვ. 68.

¹⁷ А. Миллер, Краткая история Турции, 1948, გვ. 41—42.

¹⁸ დაწესდა გადასახდელად: ერთ ოყა (= დაახლოებით 3 გირვანქას, 1,225 კგ) ღვინოზე 2 ფარა (= ყურუშის 1/40. ყურუში ანუ გრიში = პიასტრს); ოყა არაყვე — 4 ფარა; მატყლის მომცემ ცხოველებზე დამატებით 1 ფარა სულზე. ოყა ნედლ ბამბაზე 1 ფარა, ხოლო ნართზე 2 ფარა; ოყა ანატოლიურ სამელნე თხილზე — 1 ფარა; 1 ოყა რუმელის ჩიტყურძენაზე — 2 ფარა და სხვ.

¹⁹ Миллер, А. Ф., Мустафа паша Байрактар, М.-Л., 1947, გვ. 87.

²⁰ ი ქ 3 ე, გვ. 89.

ლაპ ეფენდი, — ცოლიან-შვილიანაძე დღე და ღამე შუშაობენ, მშიერ-მწყურ-ჟალნი, უეხშიშველნი და მხოლოდ იმისათვის, რათა გადასაზადები გადაიხადონ, მაგრამ ამასც ვერ ახერხებენ, რადგან აღარ შესწევთ ძალა და ხალხს უხდება... მშობლიური მიწა-წყლის და სახლის მიტოვება; ადგილებისა და სოფლების უძრტესობა დანგრეული და გავერანებულია, ბევრი უცხოეთშიც კი გაიქცა²¹.

მშობლიური მოსახლეობისა და სოფლის მეურნეობის გაპარტახების შედე-გად: უფრო მკვეთრად კლებულობდა სახელმწიფოს წლიური შემოსავალი. ეცე-მოდა ფულის კურსი²², უარესდებოდა ფინანსური მდგომარეობა, ძლიერდებო-და შინაგანი დალური და ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ჯერ კიდევ აღრე, XVIII საუკუნის 90-იან წლებში დაწყებული ბრძოლები რუშელიაში, ანატოლიაში, არაბეთის ნახევარუნძულზე, ეგვიპტეში, სირიაში და სხვაგან.

მართოლია, ეგვიპტეში ნაპოლეონ ბონაპარტის ინტერვენცია დამარცხდა, ომი დამთავრდა, უცხოეთის ჯარები გაყვანილ იქნა და თურქეთ-საფრანგეთის 1801 წლის, აგრეთვე, ინგლის-საფრანგეთის 1802 წლის საზაო ხელშეკრულე-ზათა საფუძველზე ეს მხარე მთლიანად ისმალეთს დაუბრუნდა, შინაური ბრძო-ლა იქ 1803 წელსაც არ იყო დამთავრებული. ამჯერად დავა მიმდინარეობდა უკვე იმის გამო, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ეგვიპტის ფაქტიური გამგებელი, სტამბოლის წარმომადგენელი ფაშა, თუ ფრანგებთან იმში კველაზე მეტად დაზარალებული, ომამდე ამ მხარის ფაქტიური ბატონ-პატრონი მამლუქი ბე-გები. სელიმ III-ის ბრძანებით ეგვიპტეში მმართველად გაიგზავნა დაწარი ვაზა-რი მეპედ ხოზჩევ ფაშა, რომელსაც დაგალებული ჰქონდა მამლუქების საბო-ლოო მოსპობა-განადგურება. ამავე დროს, სულთნის ბრძანებით აიკრძალა ეგ-ვიპტეში კავკასიელი ტყვე-მონების შეყვანა-გაყიდვა იმ განზრახეთი, რომ მამ-ლუქ ბეგებს არ შესძლებოდათ თავიანთი რიგების შეესება და გაძლიერება. შიუხედავად ასეთი ღონისძიებებისა, მამლუქებმა მუპამედ ალფისა და ისმან ბარდისის მეთაურობით დაამარცხეს ხოზჩევ ფაშას არმია (1803 წელს), ალბა-თა კორპუსის მეთაურის მუპამედ ალის ხელშეწყობით შევიწნენ კაიროში და აღადგინეს თავიანთი ძალაუფლება ეგვიპტეზე. რაც შეეხება ხოზჩევ ფაშას, ის შეიძინეს და შეის ალ-ბალადმა (კაიროსა და ბეგების უფროსმა) იბრაჰიმ ფა-შამ (ი. სინჯიკაშვილმა) სიკვდილით დასაჯა. ასეთივე შედეგით დასრულდა ხოზ-ჩევის შემდეგ მამლუქთა ძალაუფლების დასამხობად სტამბოლიდან ეგვიპტე-ში გაგზავნილი ალი ჯეზარ ფაშას ლაშქრობაც²³.

რუშელიაში სელიმ III-ის წინააღმდეგ შეუპოვრად იბრძოდა იქნიჩინების შფარეველი, ვიდინის ფაშა ფაზეანდ ღლლუ ბოსნიელ ალი ბეგ ვადაიჩისთან ერთად, სერბიელთა დაიებისა (იენიჩების უფროსები) და კირჯალიების (ჯა-რიდან ღათხოვნილი, უმიწევწყლოდ დარჩენილების) აქტიური მხარდაჭერით²⁴.

სერბიაში მზადდებოდა სიფაპიების (ფეოდალები) და რაიების (გლეხები) ანტიოსმალური ბრძოლა ყარა გიორგის მეთაურობით.

²¹ ი ქ 3^ე, გვ. 87.

²² 1800 წელს პიასტრი უდრიდა 2 ფრანკს, ხოლო 1803 წელს — 1 ფრანკსა და 60 სანტიმს (M. J. M. J. ouapi, Turquie, Paris, МДССХЛ, გვ. 276).

²³ А. Б. К л о т-Б е й, Египет в прежнем и нынешнем своем состоянии, СПБ, 1843, ч. I, გვ. XIV.

²⁴ ქ. Р а и к е, История Сербии по сербским источникам, М., 1876, გვ. 97—98, 106.

ალბანეთში წარმატებით იძრძოდა ალი ფაშა თეფედენელი (იანინოელი), რომელმაც 1800-1803 წლებში დამარცხა სულიოტები, დაიკავა ალბანეთთან ერთად ეპირი, მორეია, აგრეთვე ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-და-სავლეთი ნაწილის სხვა ოლქები და შექმნა სრულიად დამოუკიდებელი სა-მეფო²⁵.

სტამბოლში გრძელდებოდა იენიჩერების მღელვარება. ისინი მოითხოვდნენ „ახალი სისტემის“ გაუქმებას და უარს ამბობდნენ რუმელიაში საომრად წასვლაზე.

არაბეთის ნახევარკუნძულზე ვაპაბიტებმა იმდენად გააფართოვეს საომარი შოქმედება, რომ 1802 წლის შემდგომაზე დაიკავეს ჰიჯაზის მნიშვნელოვანი ნა-წილი, დაეუფლნენ მექას, გაძარცვეს ის და, იმას გარდა, რომ ოსმალეთის იმპე-რის ჩამოაცილეს ეს ტერიტორია, ამავე დროს საბოლოოდ შელახეს თვით სელიმ III-ის, როგორც სულთნის, ხალიფასა და მუსლიმანური სამყაროს უწმინდესი ქალაქის დამცველ-მფარველის ავტორიტეტი²⁶. იმავე 1802 წელს ბრძოლები დაიწყო აგრეთვე ქურთისტაში, დიარბექირში და, ბოლოს, ბალ-დადში²⁷.

იმპერიის ასეთი რთული საშინაო და საგარეო ვითარება რომ არა, ბალდა-დის საყითხი შეიძლება სულ სხვაგვარად დასრულებულიყო. მაგრამ ეს გარე-მოება ოსმალეთის ხელისუფლებას პირდაპირ უკარნახებდა, რომ მიეღო ბალ-დადელთა თხოვნა საფაშოს გამეგებლად ალი ფაშას დანიშვნის შესახებ. ეს მის-თვის სასარგებლო იქნებოდა თუნდაც იმიტომ, რომ ამგვარი დათმობით შეიძ-ლებოდა როგორც მშვიდობის აღდგენა ერაყში, ასევე მისი არმიის გამოყენება ვაპაბიტების წინააღმდეგ. ამ მოსაზრებით სულთანმა სელიმ III-მ შეცვალა თუ-ვისი პირველი გადაწყვეტილება და უკვე 1803 წლის 11 იანვარს (ჰიჯრით — 1217 წ-ის რამაზანის 17-ს) ალი ფაშა ბალდადის გამგებლად დაამტკიცა.

* * *

როგორც აღვნიშნეთ, ალი ფაშა წარმოშობით ქართველია²⁸. წერილობითი წყაროებიდან ჩანს, რომ ის დაბადებულია აფხაზეთში²⁹ დაახლოებით 1762 წელს³⁰, სახელად ჰრევეია იოსები³¹. სოციალური წარმოშობით ყმა გლეხის ოჯახიდან უნდა იყოს გამოსული, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ თვითონ იოსები ერთი აფხაზის, ვინმე მადად ბეგის მონად არის მოხსენიებული³².

²⁵ Е. Феоктистова, Борьба Греции за независимость, СПБ, 1863, გვ. 10—11 და შემდეგ.

²⁶ А. Адамов, Ирак арабский, გვ. 397.

²⁷ ა-ლ-მ უ ა რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 162. L. A. Саганцеев-ი მიიჩნევს, რომ ალი ფა-შა დაბადებული უნდა იყოს ბესარაბიაში (იხ. მისი Histoire de Wahabis, Paris, 1810, გვ. 111), მაგრამ ეს შეცდომაა.

²⁸ J. B. Rousseau, Description du Pachalik de Bagdad, Paris, 1808, გვ. 22; А. Адамов, Ирак арабский, СПБ, 1912, გვ. 397.

²⁹ ა-ლ-მ უ ა რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 162. L. A. Саганцеев-ი მიიჩნევს, რომ ალი ფა-შა დაბადებული უნდა იყოს ბესარაბიაში (იხ. მისი Histoire de Wahabis, Paris, 1810, გვ. 111), მაგრამ ეს შეცდომაა.

³⁰ تاریخ دوحت الوزراء ذیل کلشن خلفاء، بغداد ۱۸۳۵ ص ۲۳۹—

³¹ «AKAK», თ. III, გვ. 424 დ 519.

³² «...Madad Beg of Abaza race...and son of a Caucasian whoose slave 'Aly had been in childhood (S. H. Longrigg, დასახ. ნაშრომი, გვ. 224).

ჭერ დაუდგენელია, თუ როდის ან რა ვითარებაში მოუხდა იისებს თავისი საქართველოდან — საქართველოდან წასვლა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ იგი ძალიან ახალგაზრდა მიუყვანიათ ბაღდატში³³ და ჩაუტიცხავთ სულეიმან ფაშას „ქართულ გვარდიაში“. იქ მანლუქთა სასწავლებელში მიიღო მან შესაფერისი ეგანათლება და შემდეგ დაწინაურდა.

სამოღვაწეო სპარეზზე აღი გამოდის XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან. ჯერ საფაშოს ხაზინადარია, 34 წლისამ მიიღო ქავიას³⁴ თანამდებობა, ხოლო 6 წლის შემდეგ ბალდაცის საფაშოს გამგებელი გახდა.

ამი ფაშამ, როგორც პარაბული წყაროები გადმოვცემენ, „საუკეთესოდ იცოდა ყურანი, იყო მორწმუნე, ღვთისნიერი, კეთილი, კაცომიყვარე, ხალი-სიანი, განათლებული, კარგი შესახედაობის, მამაცი, შეუდრევებილი, ფიცხე-ლი“³⁵. მაგრამ ამ ადამიანს ჰქონდა აგრეთვე ისეთი თვისებებიც, რომლებიც ი. რუსოს თქმით, „ჩრდილს აყენებდნენ“ ყოველივე აქ დადგებითს, რაც მას გააჩნდაო³⁶. მას ახასიათებდა რელიგიური ფანატიზმი, პიროვნეობა და პატივ-შოვარეობა³⁷. რა თუშა უნდა, ზოგი რამ, ალბათ, მისი ბუნებიდან კი არ გამოძინარეობდა, არამედ ნაკარნასევი იყო აუცილებლობით, მდგომარეობითა და იმ დროს არსებული პოლიტიკური სიტუაციით. ალის არ შეეძლო მშვიდად ძილი, თუ გვერდით სხდავდა ვინმე მის ტოლს ან მასზე უფრიოსს. გარდა ამისა, განსაკუთრებით მოღვაწეობის პირველ ხანებში, მას „ძალიან უყვარდა ომები“, რის გამოც ზრალს სცენტრინ „უზომო სისხლის ღვრაზში“³⁸.

სპეციალურ ლიტერატურაში ალი ფაშის სახელი სხვადასხვა ფორმით გვხვდება. მაგალითად, ა. ადამოვთან ბაღდადის გამგებლად 1802 წლიდან მოისხენიება „ჰაფიზ ალი“, „ჰაფიზ ფაშა“ და „ჰაფიზ ალი ფაშა“³⁹. ა. ადამოვი-შაგან განსხვავებით, ხურმიდ ეფენდი ბაღდადის იმავე ხანის მმართველად იხსენიებს „აბუ ლაფლარ ალი ფაშას“⁴⁰, ხოლო გრაფი გუდოვიჩი 1806 წლის 21 აგვისტოს ბარონ ბუდბერგისამდი გაგზავნილ წერილში (№ 24) — „იუსუფ ალი ფაშის“⁴¹.

აღნიშნული გარემოების გამო ბუნებრივად იბადება რამდენიმე კითხა: ჯერ ერთი, ხომ არ ცდებიან დასახულებული ავტორები, როცა ფრთი და იმავე პროვინციის შართველს ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა სახელით იხსენიებენ? ამ კითხვაზე პასუხი გაცემული იქნება, თუ ყველა სახელისა და თითოეული სიტყვის მნიშვნელობა-რაობას გავიგებთ. დასახულებულ ავტორებთან ყველგან ჩანს „ალი ფაშა“, ე. ი. ერთი და იგივე პიროვნება, ერთი და იგი-

³³ ၄၅ ၬ ၁, ထာစာန. ၃၉၈၂၊ ၂၃: ၂၃.

³⁴ ჰავიად ყოფნისას მისი წინამდებობით ნეკდში, გავაძირების წინააღმდეგ მოეწყო ორი დიდი ლაშქრობა, რომელთა შესახებ დაწვრილებით იხ. უურნ. «მაცნე» 1966, № 2, გვ. 152—153.

³⁵ و حفظ القرآن الكريم، وهو ذو دين و ورع، يحب الصالحةاء و العلماء... وكان خفيف الروح، أديباً، سجى الطبع، شجاعاً صعب المراس... (دوحت الوزراء، ١٣٩—١٤٠) عباس العقاد، تدبّر العَدَلِ، ص ٦، ١٢٩.

³⁶ ପାଦ ରୂପ କିମ୍ବା ଲାଙ୍ଗୁଳି, ନାଶିରନ୍ଧୀ, ୩୩, ୨୨.

37 8122

³⁸ օ ձ մ: գ լլ. լ ա ր ո, բասակ. ն ա թ հ., զ զ. 162.

³⁹ କୁଣ୍ଡଳ ପାତ୍ର, ମହାଦେବ, ୧୯୫୩, ୩୩୩, ୧୦୨.

⁴⁰ Хуршид-Эфенди, Сияхет наме-и худуд, СПБ, 1877, стр. 202.

⁴¹ «АКАК», т. III, 33, 519.

ვე ჩინით, რაც საკმარისია იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ მათი ცნობების სისწორეში, — იმაში, თუ ვის გულისხმობენ ისინი ბალდადის გარებლად 1803-დან 1807 წლამდე. რაც შეეხება დანარჩენ სიტყვებს, ალი ფაშას სახელთან ერთად რომ გვხვდება, — ამათგან „იუსუფი“ ქართული „იოსებ“-ის თურქულ-არაბული შესატყვისია, ხოლო „ჰაფიზ“-ი და „აბუ ლალდარ“-ი ალი ფაშას მეტსახელები, მისი მუდმივი ეპითეტებია, რომელიც „თითქვის შეეხორცენ“ ამა თუ იმ ადამიანის სახელებს, მათთან ერთად იხმარებიან“. ჰაფიზი (არაბ. حَفِظ — სწავლული, მზრუნველი, ყურანის მცოდნე⁴², არის აგრეთვე ღმერთის ეპითეტიც⁴³) ალი ფაშას, ალბათ, შეარქვეს იმის გამო, რომ მან ზეპირად იცოდა ყურანი. რაც შეეხება „ღალდარ“-ს (عَدَارَة), ეს სიტყვა ნიშნავს დაუნდობელს, ვერაგს, ტირანს⁴⁴, საომარ ტანსაფრელს, საჭურველს, „ზოვნი ამბობენ ის ინდური იარაღის ერთ-ერთი სახეობაა“ და ვას **جَمْد وَكَتَاز** საც უწინდებენო“⁴⁵. დერვიშ ფაშას ცნობით კი, „ეს სმლის მსგავსი ორლესული სწორი“⁴⁶ მახვილია (ხანგალი — ბ. ს.), რომელიც იმავე ავტორის გადმოცემით, ალი ფაშას მეტსახელი უნდა გამსდარიყო „იმის გამო, რომ ის (ამ) ღალდარს ატარებდა“⁴⁷. თუ აქ „ღალდარის ტარებას“ გავიგებთ გადატანითი მნიშვნელობით — მუხანათობის, მტარვალობის სამშოლოდ, მაშინ შესაძლოა, ალი ფაშას ეს სახელი რქმეოდა ხსიათის გამო, ხოლო თუ ასე არაა, მაშინ კი ეს უნდა ყოფილიყო იარაღი — ხანგალი, რომელსაც ის მუდამ თან ატარებდა და ამით გამოირჩეოდა სხვებისაგან⁴⁸.

* * *

ალი ფაშას მმართველობამ სულ ხუთ წელიწადს გასტანა. ეს მონაცემთა წინააღმდეგ კლ. უარისა, რომელიც ამბობს, რომ „იყო სრული სიწყნარის პერიოდი“⁴⁹, ერაყის ისტორიაში უნდა ჩაითვალოს, როგორც საშინაო აშლილობის, საგარეო ბრძოლებისა და ყოველივე ამის შედეგად დაწყებული ამ ქვეყნის საერთო დაქვეითების ხანად.

ამ დროს ქვეყნის შიგნით მიმდინარეობდა აჯანყებები. ერთმანეთს ედავებოდნენ ცალკეულ ტომთა ბელადები. ქურთისტანი მოითხოვდა დაშოუკიდებლობას, აჯანყებულთა წინააღმდეგ დაუცარისმლად მოქმედებდნენ საფაშო ხე-

⁴² В. Гиргас, Словарь к арабской хрестоматии и корану. Казан, 1881.

⁴³ E. W. Lane, Arabic-English lexicon, London, 1865.

⁴⁴ ვ. გორგასა, დასახ. ნაშრომი; დ. А. Магазаник, Турецко-русский словарь, М., 1945; სულხან-ბაბუა თარიღის განვითარებული სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობის, აჯანყებულთა წინააღმდეგ დაუცარისმლად მოქმედებდნენ საფაშო ხე-

— برہان قاطع (۱۸۷۳، ۲. II).

و هي نوع سيف له حدان، وليس فيه انحناء (تقدير درويش باشا، نقل الى اللغة العربية و طبع في مطبعة الحكومة بمقداد، سنة ۱۹۵۳، ص ۱۹—۲۰).

— (أبى عذارة) لا به كان يحمل الغدارة... (۱۸۷۳، ۲. II).

عشائر العراق (۱۸۷۳، ۲. II, ۸۳, ۸).

⁴⁸ დერვიშ ფაშას ცნობიდან ჩანს, რომ ეს უნდა ყოფილიყო ქვირფასად მოქედილი და აღვილობრივ მცხოვრებთავის უცხო იარაღი, რომელიც უჩუქებიათ ბალდადის გამგებლიად თვის.

⁴⁹ კლ. უარისა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 162.

ლისუფლების ინტერესთა დამცველი რაზმები. საფაშოში მშვიდობის დარღვევითა და მუდმივი ბრძოლებით, რაც ასუსტებდა ხელისუფლებას, სარგებლობდნენ მეზობელი სახელმწიფოები (ირანი, ვაპაბიტების სამეფო) და ხელსაყრელი მომენტის გამოყენებით ცდილობდნენ, როგორმე მოქმედიათ ერაყი თავიათი გავლენის სფეროში, ერეოდნენ მის საშინაო საქმეებში და ესხმოდნენ თავს.

ასეთ პირობებში ბალდადის ფაშას უხდებოდა როგორც თავისი სახელოს საშინაო ამბების მოგვარება, ასევე გარეშე სახელმწიფოთა თავდასხმების მოგერიებაც. თუმცა ხდებოდა ისეც, რომ ის ზოგჯერ თვითონაც ემზადებოდა მეზობელ სახელმწიფოებზე თავდასასხმელად, ხან თავისი ნებითა და ინსციატივით, ხან კიდევ მისი სიუზერენის დაუინებითი მოთხოვნითა და ძალაურისებით.

ზემოაღნიშნული არახელსაყრელი საგარეო ვითარება და სამხედრო რეფორმების შედეგად შექმნილი რთული საშინაო მდგომარეობა ისმსალების ცენტრალურ ხელისუფლებას ართმევდა იმის საშუალებას, რომ თავისი შეიარაღებული ძალები გაეგზავნა სამხრეთში, არაბეთის ნახევარუნძულზე, ვაპაბიზმის რელიგიურ სამოსელში გამოხვეული ძლიერი სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობის წინააღმდეგ. არა და, ვაპაბიტების სამხედრო წარმატებები ნეკლში, ჰიჯაზში და მათს მიერ შეწამული ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს დაკავება (რომ შემდეგ შეეძლოთ კავშირის დამყარება ზემო ეგვიპტის ტერიტორიაზე მოქმედ მამლუქებთან და ერთიანი ძალით ბრძოლის წარმართვა ისმალების წინააღმდეგ) სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა თურქების ბატონობას არა მარტო არაბეთში, არამედ მესოპოტამიასა და მთელ მცირე აზიაშიც. საშიშროების თავიდან ასაცილებლად სტამბოლში 1803 წელს შიილეს გადაწყვეტილება, რომლითაც არაპი „პურიტანების“ დამარცხებას, მათს მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ისმალთა ძალაუფლებისა და სულთნის (ამავე დროს ხალიფის) ავტორიტეტის აღდგენა-განმტკიცებას სელიმ III ავალებდა ვაპაბიტების სახელმწიფოს მოსაზღვრე ქვეშევრდომი პროვინციების — დამასჭის, ალეპოს, ჭიდას და ბალდადის ფაშებს⁵⁰. მაგრამ ბალდადის საფაშოში იმ დროს ადგილი ჰქონდა შძლავრ აჯანყებებს, რომლებიც თანდათან ფართოვდებოდა და საშიშ მღვარეობაში აყენებდა საფაშო ხელისუფლებას. ამიტომ ალი ფაშამ გადაწყვიტა პირველ რიგში ქვეყნის საშინაო საქმეების მოგვარება, აჯანყებულთა დასჯა-დამორჩილება და საფაშოში მშვიდობის აღდგენა. ამ მიზნით მან 1803 წელს, იღაშქრა ქურთისტანში, დაიმორჩილა და დახარკა აჯანყებული ბილბასის ტომი, ჩაქრო მუჰამედ ფაშა ჰილალის მეთაურობით დაწყებული მღვარება. მოსულში, დაწყნარა ჭებელ სინჯარის მხარე, ტელაფარში სიყვდილით დასჯა აჯანყებული შამარის ტომის ბელადი (1798/9 წ. ნეკლის ლაშქრობის მონაწილე), მოღალატე მუჰამედი აშ-შაუვი ძმითურთ და შემოდგომაზე დაბრუნდა ბალდადიში.

აჯანყებების ჩაქრობით ალი ფაშამ მოახერხა ერაყში სიმშვიდის აღდგენა. საფაშოს ტერიტორიის გაერთიანება და თავისი ხელისუფლების განმტკიცება. შემდეგ იგი შეუდგა ვაპაბიტების წინააღმდეგ სალაშქროდ მზადებას, არმიის, შეგროვებას, სურსათ-სანოვაგით, იარაღ-საჭურველითა და გადასაზიდი საშუალებით მის მომარგებებას. მაგრამ ვიდრე ამას მოასწრებდა, ვაპაბიტების სახელ-

⁵⁰ ა. ა დ ა მ ო ვ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 398.

მწიფოში მოხდა ერთი საყურადღებო ფაქტი, რომელმაც მღვმარეობა მკვეთრად შეცვალა: მას, ვინც აქამდე თავდასხმას ამზადებდა, დაცვაზე უნდა ეზრუნა, ხოლო მეორე მხარე კი პირიქით — შეტევაზე გადავიდა.

საქმე ისაა, რომ 1803 წლის 4 ნოემბერს (1218 წ.-ის რაჯაბის 18-ს, ჰიჯრით) ერთმა ირანელმა, სახელად აღან მულამ, — რომელმაც 1801 წელს ქერბელაზე ვაპატიტების თავდასხმისას დაღუპული თავისი 3 შეილის სისხლის აღების მიზნით ვაპატიტობა მიიღო და ამირის მოსამასახურე გახდა, — მოკლა ვაპატიტების სახელმწიფოს მეთაური აბდ ალ-აზიზი. მა უკანასკნელის ვაჟმა და ტახტის მემკვიდრემ სუუდმა მიმის მკვლელობში ბრალი დასდო ბალდადის ფაშას ჰაფიზ ალის და იმავე წლის დასასჩულს თავისი ლაშქრით ერაყის დასაპყრობად გაემართა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. იგი ბასრა-ზუბაირის მისადაგმებთან გამართულ ბრძოლაში დამარცხდა⁵¹. ამ თავდასხმაში დაარწმუნა ბალდადის ფაშა, რომ საჭირო იყო უფრო ენერგიული მოქმედება ვაპატიტების წინააღმდეგ და 1804 წლის მიწურულს 15000-იანი ლაშქრით ბალდადიდან სამხრეთისაკენ დაიძრა, ჰილეში დაბინავდა და იქ გამოიზამთრა. გაზაფულზე, იმის შიშით, რომ არაბეთის უსიცოცხლო, უნაყოფო ველებში ვერ უზრუნველყოფდა თავის ლაშქარის წყლითა და სურათ-სანოვაგით, ალი ფაშამ მიზან-შეუწონლად მიიჩნია მთელი ჭარს გაგზავნა და დაადგა პარტიზანული ბრძოლის გზას, რითაც მისდა უნებურად ვაპატიტებში საქმე გაუიოლა. ჰილედან გავზავნილ ბალდადის ლაშქრის მცირე რაზმებს თავს ესხმოდნენ უდაბნოს კარგად შეგუებული იბნ სუუდის მხედრები და ანადგურებდნენ მათ 5 თვეზე მეტი წნის გამშავლობაში, სანამ ქურთისტანში ხელახლა დაწყებულშა აჯანყებებმა არ აიძულა ალი ფაშა, თავისი ნახევრად განადგურებული ლაშქრით დაბრუნებულიყო ბალდადში.

მას შემდეგ, როცა ალი ფაშა დაბრუნდა ბალდადში და შეუდგა აჯანყებული ქურთების დაწყნარებას, ვაპატიტები სუუდის ვაჟის, აბდალაპის მეთაურობით არა ერთხელ შეკრნენ ერაყის ტერიტორიაზე, მაგრამ წარმატება ვერ ნახეს. სამავეეროდ იბნ სუუდის ამ ხანებში შემოიმტკიცა მასტაფი, 1804 წლის დასასრულს დაიკავა ქ. მედინა, განამტკიცა თავისი ხელისუფლება ჰიჯაზში (ჯიდას გამოკლებით) — მუსლიმანთა წვინდა ადგილების შეეყანაში, მომლოცველთა ჭარავნებს გადაუკეტა მექა-მედინაში შესასკლელი გზები, დააწესა მათზე ბაჟები, უჩვეულოდ გაზარდა თავისი სამეფო, ძალა, ავტორიტეტი და ბოლოს ბრძანება გასცა, მექა-მედინის მეჩეთებში ხალიფა-სულთნის ნაცვლად მისი სახლი მოეხსენიებინათ⁵².

იბნ სუუდის ამ ბოლო ღონისძიებაშ და უფრო მეტად კი იმან, რომ შეწყვეტილი იქნა „ჰაჯი“ (მომლოცველთა მოსვლა შექა-მედინაში), შეაშფოთა როგორც ისმალეთის ხელისუფლება, ასევე სხვა მაპმადიანური ქვეყნები. სტამბოლში სულთნის სახელზე ყოველი მხრიდან მოდიოდა თხოვნა, რომ სელიმ III-ს მიეღო გადამწყვეტი ზომები მექა-მედინიდან ვაპატიტების გასაძევებლად.

რამდენადაც ეს თხოვნა ისმალეთის იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების ინტერესებსაც შეესაბამებოდა, სულთნის დივანში განხილვისას მიიღეს.

⁵¹ L. A. Carancéz, დასახელებული ნაშრომი, გვ. 52—53 და შმდ.

⁵² ოქვე, გვ. 66—67 და შემდ.

ის და 1806 წელს სელიმ III-ის ბრძანებები ფაეგზავნა ალეპოს, ჭიდას, დამასკოს და ბაღდადის გამგებლებს გაპატიტების წინააღმდეგ საომარი მზადების შესახებ. პირადად ალი ფაშას წინადაღება მიეცა, თავს დასხმოდა იბნ სუუდის სახელმწიფოს ერაყის მხრიდან იმ ანგარიშით, რომ უზრუნველეყო თურქეთის არმის შესვლა და წარმატებები ჰიჯაზის ტერიტორიაზე⁵³.

მაგრამ ამჯერადაც, ისე როგორც მანამდე, ალი ფაშა საფაშის შინაური აშჩების მოგვარებით იყო დაყავებული და სტამბოლიდან მიღებული ბრძანების შესასრულებლად აღარ ეცალა. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, 1805 წელს, როცა ბაღდადის არმია ვაპატიტებს ეომებოდა, ყარაհილანის ბეგმა აბდ არ-რაჰმა ფაშა ბაბანმა (აღრე სულეიმანიეს ყოფილმა გამგებელმა, რომელიც ალი ფაშა თანამდებობიდან გადააყენა) დაწყო მეზობელი სანჯაყების დაპყრობა ქურთისტანში. ის თავს დაესხა ქოს სანჯაყის (*کوی سنجاعی*) გუბერნატორს მუჰამედ ფაშას და სასტიკად გაუსწორდა მას, ალთუნ კუპრისთან (Altun Kupri) დაამარცხა სულეიმანიეს ფაშა ზალედი, დაიკავა შეპრიზორის დიდი ნუშილი, განუდგა ბაღდადის ფაშას და მოემზადა მასთან საბრძოლველად. თავისი სახელის ჩრდილო ნაწილში შექმნილმა ახეთმა სერიოზულმა ვითარებამ აიძულა ალი ფაშა, შეეწყვეტა საომარი მოქმედება ვაპატიტებთან და თავისი არმიის ნარჩენებით გაეშურა აბდ არ-რაჰმანის დასასჯელად. გადამწყვეტი ბრძოლა მოწინააღმდეგეთა შორის მოხდა ქირქუქის მახლობლად და დასრულდა ბაღდადელთა გამარჯვებით. ბრძოლაში დამარცხებული ქურთების ლაშქარი ალი ფაშას დანებდა, ზოლო მათი მეთაური ბრძოლის ველიდან გაიქცა და ერთხანს თავს აფრიცხდა ბილბაის ტომის⁵⁴ იმ იმედით, რომ ეს უკანასკნელი დაეხმარებოდა, მაგრამ, როცა დახმარება ვეღარ მიიღო, წყალობის სათხოვნელად ირანს გაემგზავრა⁵⁵.

ირანში ამ დროს ქერიმ-ქან ზენდის გარდაცვალების შემდეგ ტაქტის მაძიებელთა შორის გაჩაღებული ბრძოლა და შინაფეოდალური არეულობა უკვე დამთავრებული იყო. XIX საუკუნის დამდეგისათვის ფათჰ ალი შაჰმა (იგივე ბაბა-ქანმა) თავის ხელისუფლებას დაუმორჩილა ხორასანი, აქამდე ნადირ-შაჰის შვილიშვილს რომ ეკავა; მან დროებით ზოლო მოულო ქვეყნის დაქაშაქსულობას, მოახერხა ერთიანი სახელმწიფოს შექმნა და საომარი მოქმედება გადაიტანა ქვეყნის გარეთ. ჩრდილოეთში ის აქტიურად ებრძოდა რუსეთს და თავდადებით იცავდა კავკასიის მიტაცებულ მიწა-წყალზე შექმნილ თავის სამულობელოებს. დასავლეთში კი იგი სარგებლობდა ისმალეთის იმპერიის საერთო კრიზისით და აპირებდა ერაყ-ქურთისტანის თურქული ნაწილების დაპყრობას. ამიტომ, გასააგებია, რომ ასეთ დროს დახმარების სათხოვნელად აბდ არ-რაჰმან ფაშას გამოცხადებას შაჰის გარზე განსაუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ირანის ხელისუფლებისათვის. ეს იყო ყველაზე ხელსაყრელი შემთხვევა, რომელიც საბაშს აძლევდა შაჰს, ჩარეულიყო ისმალეთის საშინაო საქმეში და განეხორციელებინა თავისი გეგმები ერაყ-ქურთისტანს მიმართ.

⁵³ ა. ა დ ა მ ო ვ ი, დასახელებული ნაშრომი გვ. 400.

⁵⁴ ბილბაი—მომთაბარე ტომი ჩრდ. ერაყში, ეკავა ნაწილი თურქეთის ტერიტორიისა და ნაწილი ირანისა. ის არც ერთ სახელმწიფოს ემორჩილებოდა და არც მეორეს.

⁵⁵ ი. ბ. რ უ ს ო, დასახ. ნაშრომი, გვ. 104—105; J. R ich, Narrative of a Residence in Koordistan, London, 1836, Vol. I, გვ. 384.

ლტოლვილი ფაშა პატივით იქნა მოკებული თეირანში და, რაღაც ირანი მაშინ რუსეთს ეოშებოდა, პირველ ხანებში აბდ არ-რაჰმანს ის აქმარეს, რომ სათანადო გასამრჯელო დაუწესეს და საიმედო თავშესაფარი მიუჩინეს, ხოლო, როცა 1806 წელს ორან-რუსეთს შორის საზავო მოლაპარაკება დაიწყო, ბაბა-ხანმა სხვა წყალობაც არ მოაკლო მას. წერილებით მიმართა როგორც ალი ფაშას, ასევე სელიმ III-ს, რომელებსაც სოხოვა აბდ არ-რაჰმანის დაბრუნება ქურთისტანში და სულეიმანიეს გამგებლად მისი დანიშვნა⁵⁶. ამავე დროს მან თავის უფროსი ვაჟი მუჰამედ ალი შირზა ქერმანშაჰის გენერალ-გუბერნატორის პისტიც დანიშნა, საგანგებო უფლებებით აღჭურა, დიდალი ლაშქარი ჩააბარა⁵⁷ და ერაყის საზღვართან დაფლომა უბრძანა.

ირანის ხელისუფლების ამგვარ მოქმედებას ალი ფაშა, ცხადია, გულგრილად ვერ შეხვდებოდა. მან უფრო ადრე, ვიდრე სტამბოლიდან რაიმე განკარგულებას მიიღებდა, უარყო შაპის წინადადება და თავისი ლაშქრით საფაშოს აღმოსავლეთ საზღვრის გასამაგრებლად გაემართა, ქ. ხანეკინში (خانقين) დაბანაჟდა და შაპის ვაზირის, მირზა შაპისათვის გაგზავნილ საპასუხო წერილში თავის მხრივ ირანის მთავრობას მოსოხვა, რომ აჯანყებული აბდ არ-რაჰმანი გადაეცა ბალდადის ხელისუფლებისათვის⁵⁸.

გარდა ამისა, შან ხორს გამგებელს, ჯაფარ ყული-ხანს გაუგზავნა შიკრიკი წერილით, რომელშიც, სხვათა შორის, საერთო მტრის წინააღმდეგ მოქმედებისაენ მოუწოდებადა⁵⁹.

ამნაირად, ომი ერაყსა და ირანს შორის და, მაშასადამე, ირანსა და ოსმალეთს შორისაც, 1806 წლის გაზაფხულზე გარდაუვალი გახდა. ოსმალეთმა დაიწყო ომისათვის მზადება. მაგრამ ეკროპაში მიმღინარე აჩებმა, კერძოდ კი რუსეთ-საფრანგეთის შორის მდგომარეობის გამწვავებამ, ნაპოლეონ ბონაპარტის კარნახით ოსმალეთი ჩააბა რუსეთთან ომში⁶⁰. ეს გარემოება კი სხვასთან ერთად ხელს უშლიდა ოსმალეთს, დაეწყო ომი ირანთან. აღბათ, აიტომ ამ-ჯობინა სელიმ III-მ უკან დახევა და თავის ქვეშევრდომ ალი ფაშას აცნობა, რომ სასწრაფოდ დაბრუნებულიყო ბალდადში.

სანამ სტამბოლში ირანთან ომის საკითხი გადაწყდებოდა, ამასობაში შაპის ხელისუფლებსაც ეცვალა გუნება. რუსეთთან საზავო ხელშექრულების ჩაშლამ, ასევე იმანაც, რომ საფრანგეთის დიპლომატია მას ურჩევდა ოსმა-

⁵⁶ ი. ბ. რ უ ს ო, დასახ. ნაშრომი, გვ. 105; იხ. აგრეთვე «Les representations a faire a Joussouf Pacha et au Grange Visir du Sultan de Roum» («АКАК», т. III, გვ. 520).

⁵⁷ რუსის სიტყვით, ეს ლაშქარი 29 000 კაცისაგან შედგებოდა (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 105). გვ. მიორ ნესვეტავის აზრით კი მისი რიცხვი 30.000 უნდა ყოფილიყო («АКАК», т. III, გვ. 520).

⁵⁸ ი. ა. დ ა მ ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 401.

⁵⁹ Письмо гр. Гудовича к барону Будбергу, от 30-го августа 1806 года, № 35 (АКАК 1869, т. III, გვ. 520).

⁶⁰ «К султану же писал французский Бонопарте, соглашая его иметь с Росснею войну, уверяя, ежели согласен будет на оное, то взамен Крым и отдан будет Сультану. Секретарь говоря сие, уверял меня, что Султан на такое предложение согласен, однако же сего не обнаруживает и имеет переписку секретную как с французами, так и с пашами, а собираясь всем войсками предписано в Карс». Выписка из письма от 22-го сентября из Караклиса, полученного в Тифлисе 24-го того же сентября от К. Р. Аршагова при дистанции Памбакской находящегося за переводчика («АКАК», 1869, т. III, გვ. 524).

ლეთთან ბრძოლის დაწყების მაგიერ რუსეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების გავრცელებას, ფათალი შაპს ხელი აღებინა ერაყ-ქურთისტანის დაპყრობის განხორციელებაზე; მაგრამ მიუხედავად ამისა, ბაღდადის ფაშამ ომი თავიდან მაინც ვერ აიცილა. მაშინ, როცა აგი თავისი არმიით ქ. ხანკინიდან საფაშოს დედაქალაქში დაბრუნდა, აბდ არ-რაჰმან ფაშა ირანის სამხედრო რაზმებით ჭურთისტანში შეიჭრა. ამავე დროს ერაყს ომის საფრთხე დაემუქრა სამხრეთი-დანაც. გახშირდა ვაპაბიტა თავდასხმები ბასრის რაიონში. ასე რომ, აღი ფაშა იძულებული იყო, თავისი არმიის ერთი ნაწილი სამხრეთის საზღვრის გასამაგრებლად გაეგზავნა, ხოლო მეორე — ჩრდილოეთით, აბდ არ-რაჰმანის წინააღმდეგ საომრად⁶¹.

აღი ფაშას მოქმედებას იმ დროს სისტემატურად ადვენებდა თვალს ირა-ოსმალეთს შორის მდგომარეობის გამწვავებით დაინტერესებული რუსეთის დიპლომატია, რომლის ზოგიერთი მოღვაწის მიმოწერაში სათანადო ცნობებს ვპოულობთ ერაყ-ქურთისტანის ამ ბრძოლების შესახებაც. ამ შეჩრივ საყურადღებოა 1806 წლის 17 სექტემბერს პოლკოვნიკ სიმონოვიჩის მიერ საქართველოში ჯარების უფროს, გენერალ-ლეიტენანტ ნესვეტავეისაღმი გაგზავნილი შოხესენებითი ბარათი, რომელშიც ის ქურთისტანის აშების შესახებ იტყობინება, რომ „ბალდადის ფაშამ ორ ბრძოლაში გაანალებურა სპარსელები“⁶².

უფრო გვიან, 24 სექტემბერს, ყარსიღაძინ დაბრუნებული კ. არშაგოვი კი ამავე კომპანიის შესახებ წერდა: „ბალდადის ჭარს არაერთხელ ჰქონდა შეტაცება სპარსელებთან და პირველიად სპარსელებმა დაკარგეს 14.000 კაცი ... ხოლო მეორეჯერ სპარსელებმა დახოცეს ბევრი ბალდადელი თურქი“⁶³. სხვა ცნობებითაც დასტურდება, რომ აბდ არ-რაჰმანის წინააღმდეგ გაზიანილ აღი ფაშას 30000-იან ლაშქარს, ქაპია სულეიმან ბეგის (ტომით ქართველი იყო) მეთაურობით, პირველად მართლაც გაუქარჯვია და უკუცელეულ მტერს ირანის ტერიტორიაზე შეკეყოლია⁶⁴. მაგრამ შემდეგ, როგორც რ. ვატსონი აღნიშნავს, და-მარცხებულა: „თურქები დამარცხდნენ და სპარსელებმა მოსულის მისაფრთხამდე სდიდეს“⁶⁵. შემდეგ კი იმასაც დასძენს, რომ ბალდადის არმიის მეთაური სპარსელებს დაუტყვევებიათ და თეირანში გაუგზავნიათ, ხოლო შაპი შეუწყინარებია, გაუთავისუფლებია, „და ამის საზღაურად აბდ არ-რაჰმანისათვის შეკრიზორის გინერალ-გუბერნატორობა დაუმტკიცებიათ“⁶⁶.

იმ ღროს, როცა ჰაფიზ ალი ფაშას ხელის ქნევა უხდებოდა ჩრდილოეთი და სამხრეთით მოძალებულ მტრებთან, ბაღლადში შეიქმნა ოპოზიციური ჯგუ-

⁶¹ յը մօ 1806 թվու 4 օստի զօնից օրովայս (օֆ. А. И. Иоанни сяи, Присоединение Закавказья к России и международные отношения в начале XIX столетия, Ереван, 1958, հ. 3, 133).

⁶² Рапорт полк. Симоновича к ген.-М. Несветаеву от 17-го сентября 1806 года, № 298 («АКАК», 1869 г., т. III, 83. 524).-

⁶³ Выписка из письма от 22 сентября, из Караклиса, полученного в Тифлисе 24-го того же сентября, от К. Р. Аршагова при дистанции Памбакской находящегося за переводчика («АКАК», 1869 г., т. III, стр. 524).

⁶⁴ А. Адамов, დასახელებული ნაშრომი, გვ. 402.

⁶⁵ R. Watson, A History of Persia from the begining of the XIX century to 1858, London, 1866, p. 155.

66 Q 1 3 2.

ფი, რომელსაც სათავეში ეღგა 1804 წელს ბათუმიდან ჩასული, ალის ყოფილი ბატონი, მადად ბეგი⁶⁷.

ალ-მუჰამადი აბბას ალ-აზზავის ცნობით, „ის საიდუმლოდ შეუთანხმდა მუსტაფა აფხაზის, აგრეთვე სხვა მისთანებს, და მათ რვა თუ ცხრა კაცმა პირობა დადგეს, მოეკლათ ვაზირი“⁶⁸. ხოლო სანამ მის მოკვლის განახორციელებდნენ, შეთქმულების ერთ-ერთმა მოთავემ, ალი ფაშას ქვისლმა ნასიფ ალამ, შულეიმან ბუიუქის გარდაცვალების შემდეგ ბალდადის საფაშოს გამგებლის პოსტის დაკავებას რომ ლამობდა, ქალაქში აგიტაცია გაიჩარა და ალის ბრალი დასდო დალატში, ვაპაბიტებთან კავშირსა და უნაყოფო სისტემის ღვრაში.

1807 წელს შეთქმულებმა მოახერხეს ფაშას მსახურთა გარკვეული ნაწილის მოსყიდვა და 29 აგვისტოს⁶⁹ (1222 წ-ის 24 ჭუმადა სანიეს, პიჯრით), როცა პაფიზ ალი სასახლეში დილის ლოცვას ასრულებდა, მამად ბეგმა იგი ხანჭლით განგმირა. ალი ფაშა დასაფლავებულია სასახლის მასლობლად⁷⁰, მის მიერ-ვი აგებულ შედრესეში⁷¹.

როგორც ვრწმუნდებით, ალი ფაშას მმართველობის წლები იყო განუ-შევეტელი ბრძოლის ხანა ერაყის ისტორიაში და ხსიათდებოდა ქვეყნის როგორც პოლიტიკური, სევე ეკონომიკური დასუსტებით. პოლიტიკურად ეს გამოიხატა ბალდადის საფაშოდან ქურთისტანის ფაქტიური ჩამოშორებით (1806 წელს). ეკონომიკურად კი იგი იმაში მდგომარეობდა, რომ ის გაუთავებელი ომები, რომლებიც ერაყის გამგებელს ჰქონდა გარეშე თუ შინაურ მტრებონან, მოითხვდა ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის მობილიზაციას, ე. ი. არმიის რიგების ზრდას, ასე თან სდევდა, ერთი მხრივ, საქალაქო ცხოვრებისა და სოფლის შეურნეობის დაცემა, ხოლო, მეორე მხრივ, გაიზარდა სახელმწიფო ხარჯები და მოთხოვნილება სურსათ-სანოვაგესა და საბრძოლო აღჭურვილობაზე, ურომლისოდაც ალი ფაშას მიერ ფრანგულ ყაიდაზე შექმნილ ახალ არმიას არც მოქმედება შეეძლო და არც არსებობა. ასეთი აუცილებლობით საფაშოში დაწყო ფულადი გადასახადის ზრდა და მან 7,5 მილიონ პიასტრს მიაღწია⁷².

თუ ამასთანავე გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ფულადი გადასახადის გარდა მოსახლეობა იხდიდა მრავალი სახის ნატურალურ გადასახადსაც, მაშინ გასაები იქნება, თუ რაოდენ მძიმე უნდა ყოფილიყო ბალდადის საფაშოს მოსახლეობის მწარმეობელი ფენების მდგომარეობა.

ალი ფაშას საბრძოლო გზის ერთი თვალის გადავლებითაც კი შეიძლება დაგრაწმუნდეთ, რომ იგი სამხედრო ნიჭით დიდად ჩამოუვარდებოდა წინამორბედ გამგებლებს, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი მაინც საკმაოდ ფრთხილი და წინდახედული მოლვაშე იყო, რომელმაც თავისი მოქმედებით არა მარტო მემკვიდრეობით მიღებული ტერიტორიის დაცვა შეძლო სიცოცხლის ბო-

⁶⁷ ს. პ. ლ თ ნ გ რ ი გ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 224, იხ. აგრეთვე «შევდეთის ისტორია», (ტ. III, გვ. 268).

⁶⁸ فاتقق في الخفاء مع مصطفى الباذة و أمثاله و هم ثمانية او تسعة تحالفوا على اغتيال الوزير (المهتمي عباس العزاوى، تاريخ العراق، جـ٦، صـ١٧٨)

⁶⁹ ლონგრიგის აზრით, 18 აგვისტოს, ხოლო აქედ ჭვედედისა კი 20 აგვისტოს.

⁷⁰ ა ლ-მუჰამადი აბბას ა ლ-ა ზ ა ვ ი ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 179.

⁷¹ (ტ. VIII, გვ. 269).

⁷² ი. ბ. რ უ ს ო, დასახელებული ნაშრომი, გვ. 30.

ლო ხანებამდე, არამედ დააინტერესა რუსეთის საიდუმლო დიპლომატია. თუმცა ჯერჯერობით საამისო მასალები გვკალია, მაგრამ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ჰაფიზ აღი ფაშას დროიდან ბაღდადის გამგებელ ქართველ ფაშებსა და კავკასიის რუს ხელისუფალთა შორის იწყება პოლიტიკური ურთიერთობის დამყარება⁷³, რაც აშკარად ჩანს მისი გარდაცვალების შემდეგ, სულეიმან ფაშა „ქუჩუქის“ გამგებლობის დროს (1807-1810 წლები).

⁷³ ამ მხრივ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს გრაფ გულოვიჩს მიერ ბარონ ბუდბერგისადმი გაგზვნილი წერილი (1806 წ. 30 აგვისტო, № 35), რომელშიც სხვათა შორის ნათქვამაა: «Командующий войсками в Грузии ген-. М. Несветаев от 11 августа уведомил меня, что и Джрафар-Кули -Хану Хойскому, находящемуся у нас, от Багдадского бегларбека Али-паши прибыл посланник с письмом в котором он... приглашает Джрафар-Кули-Хану Хойского к себе для действия против Баба-Хана» («АКАК», 1869 г., т. III, გვ. 520). აგრეთვე გენ.- მაიორ ნესვეტაევის მიერ ბარონ როზენსადმი გაგზ. მოხს. ბარათხ (1806 წ. 25 სექტ. № 22), სადაც ნესვეტაევი წერს: «Считаю нужным отправить лазутчика в Багдад увериться в сражениях Турецких с Персиянами и что там происходит» («АКАК», 1869, т. III, стр. 524).

ჯუნის ონიანი

სვანები მაყვამობა-კვირიამობა

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას წევრ-კორესპონდენტმა
გ. ჩიტაიშვილი)

სვანეთის სულიერი ყოფის ამსახველ, მრავალსაუკუნოვანი წარსულის შემონაბეჭდის და მათში შემორჩენილ სარწმუნოებრივი ზასიათის გაღმონაშოთებს, რომლებმაც ჩვენს ეპოქამდე მოაღწის, ქართველი ხალხის მდიდარი ისტორიული წარსულის შესწავლის საქმეში გარკვეული მეცნიერული ღირებულება აქვთ, რამდენადაც „რელიგიური რწმენების ისტორიულ ჭრილში შესწავლა საშუალებას იძლევა აღმოგაჩინოთ მათი განვითარების ეტაპები. რომლებიც საზოგადოებრივი წყობილების ფორმებს შეესაბამება“¹.

„მურყვამობა-კვირიამობა“ (სვანურად „ლიმშრყუმამთ-ლიკურჩელ“) თავისი შინაარსით წინაქრისტიანულ ხანაში ჩამოყალიბებული იგრარული დღე-სასწაულია, რომელშიც კომპლექსურადაა მოცემული მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებასთან, ნაწილობრივ ნადირობასთან, დაყავშირებული რწმენა-წარმოადგენები.

„მურყვამობა“ რომელიც სრულდებოდა ქვემო სვანეთში (ჟანუნდერი, სასაში), ცნობილი გახდა არსენ ონიანის აღწერილობით². ქავე დღესასწაულს აღნიშნულ სოფლებში უწოდებდნენ აგრეთვე „კვირიამობას“ და „მურყვამობა-კვირიამობას“. ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ სახელწოდება „მურყვამობა-კვირიამობას“³.

როგორც ცნობილია, ა. ონიანისეული აღწერილობის არათანმიმღევრულობაზე თავის დროზე ი. ჯავახიშვილმა მიუთითა⁴, რის შემდეგაც არს. ონიანმა უკეთესად შეძლო ამ დღესასწაულის ფიქსირება⁵, მოუხედავად ამისა, იგი დღემდე სრულად არ არის აღწერილი. იგივე ითქმის „მურყვამობა-კვირიამობის“ ზემოსვანური ვარიანტების (აღბა ლალრალი და სხვ.) შესახებაც (აღმწერნი: ს. მაკალათია, ევნ. გაბლიანი). არ არის აღნიშნული, რომ „კვირიას საგა-

¹ В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое-графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, стр. 11.

² ა რ. ს. ო ნ ი ა ნ ი ა, ლუშნუ ამბჯარ..., პეტროგრადი, 1917, გვ. 20—23.

³ მურყვამობა (ლიმშრყუმამთ ე. ი. კოშკობა) ერქვა თოვლის კოშკის აშენება-წაქცევის. წესს და იგი მიურყვამობა-კვირიამობის ერთ-ერთ მთავარ რიტუალს წარმოადგენდა.

⁴ ი. გ. ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი 1, თბ., 1960, გვ. 65.

⁵ ა რ. ს. ო ნ ი ა ნ ი, ლიმშრყუმამთ, ხელნაშვ., 1934, გვ. 7-11, ინახება საქ. სსრ მცცნ. აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაში.

ლობელი“ ამ დღეობებზე პირველად შესასრულებელ რიტუალს წარმოადგენდა და სხვ.

„მურყვამობის“ მეცნიერული ანალიზი პირველად მოგვცა ი. ჭავახიშვილ-შარ, რომელმაც იგი განიხილა ა. ონიანის⁷, ეგნ. გაბლიანის⁸ და ს. მაკალათიას⁹ ნაშრომთა მიხედვით. სხვადასხვა დროს ამავე საკითხზე ყურადღება გაამახვილეს რ. ერისთავმა¹⁰, შ. ამირანაშვილმა¹¹, ვ. ბარდაველიძემ¹², მ. ჩიქვაძე¹³, დ. ჯანელიძემ¹⁴, ჯ. რუხაძემ¹⁵ და სხვ.

გ. ჩიტაის უშუალო დავალებით 1963-1967 წლებში შევკრიბეთ მასალები (ზემო და ქვემო სვანეთში), რამაც გამოვლინა „მურყვამობა-კვირიაობის“, როგორც ბუნების აღორძინების საგაზაფხულო დღესასწაულის, მთელი რიცი ახალი ვარიანტები. ამ ვარიანტების ნაწილი სრულიად უცნობი იყო (ქვემო-სვანური „ლიდეშლუნალი“ — დათვობია და „ლიკურჩელი“ — კვირაობა), ნა-წილი კი არასრულად ფიქსირებული (ქვემოსვანური „ლიბეროლული“ — ბერი-კაობა, ზემოსვანური „აღბა ლალრალი“ — აღბის თამაშობა-სანახაობა, „ლა-პრობა-კერასრობა“ და ა. შ.).

„მურყვამობა-კვირიაობა“ საგაზაფხულო ავრარული დღეობების საკმაოდ მოზრდილ ციკლს აერთიანებდა. მასში შედიოდა ქვემოსვანური „მურყვამობა-კვირიაობა“ (ლიბერურულამბლ-ლიკურჩელ), „კვირიაობა“ (ლიკურჩელ), „ბერი-კაობა-გონგაობა“ (ლიბეროლალ-ლიგონგაუბლ), „დათვობია“ (ლიდეშლუნალ); ზემოსვანური „აღბა ლალრალი“ (აღბის თამაშობა-სანახაობა), „ლამპრობა-კეისრობა“ ანუ სკიმონობა-კეისრობა (სუმინიშ-კესრობ) და „ლალმის კრივი“ (ლალმი ჯგუფი).

„მურყვამობა-კვირიაობის“ ელემენტების და მათი დანიშნულების წარმოჩნდისათვის საჭიროა მოპოვებული მასალის ანალიზი. საანალიზოდ ვიღებთ ძხოლოდ ქვემოსვანურ „მურყვამობა-კვირიაობას“. ეს დღესასწაული 8 სავალ-დღებულო წესსაგან (რიტუალისაგან) შედგებოდა¹⁶.

⁶ ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63—76

⁷ არს. ო ნ ი ა ნ ი, ლუშნუ მბჯრ..., გვ. 20-23.

⁸ ეგნ. გ ა ბ ლ ი ა ნ ი, ძველი და ახალი სვანეთი, თბ., 1925, გვ. 126.

⁹ ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფალოსის კულტი საჭართველოში, «მიმოხილველი», 1926, გვ. 122-139.

¹⁰ რ. ე რ ი ს თ ა ვ ი, ვაკეტი ისტორია, 1898. ცრ. 106.

¹¹ შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, გვ. 22—50.

¹² ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1. ახალი წლის ციკლი, მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, VI, თბ., 1953, გვ. 288-292.

მისივე, „მურყვამობის“ და „აღბა-ლალრალის“ აღწერილობები, ხელნაშერები, 1931-1935 წწ.

¹³ მ. ჩ ი ქ ა ვ ა ნ ი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1952, გვ. 275.

¹⁴ დ. დ ჯ ა ნ ე ლ ი დ ვ ე, გრუზიური თეატრის ხალხური საწყისები, თბ., 1948.

¹⁵ ჯ. რ უ ხ ა ძ ე, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, საღისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1954.

¹⁶ „მურყვამობა-კვირიაობა“ ყველიერის ხუთშაბათს იწყებოდა და გრძელდებოდა დიდ-მარხვის პირველ ორშაბათმდე (ჩათვლით), რომელსაც სვანეთში შავ ორშაბათს ეძახდნენ. ამ დღეს იმართებოდა დღესასწაულის მთავარი წესები: ქვირია, მურყვამობა (კუშქობა), ჭი-დაობა, აღრევილად, მელია-ტელეფია, ვიორგისხვარი, ხეჭე და სხვ.), ხოლო წინა ოთხი დღე ძირითადად სამზადისისათვის იყო განკუთხილი (კუშების აშენება, ნაძვის ხის მოტანა, მოჭიდვების შეჩევა და სხვ). შავ ორშაბათს სვანეთში უწოდებულენ აგრეთვე უკუნ ღოშ-დიშ-ს «უკუნი» ბნელი, შავი, მეშეუ ფხუ ლადშლ-ს (შავი გაზაფხულის დღე).

„მურყვამობა-კვირიაობის“ მთავარი ცერემონიალი სოფ. უახტნდერში ტარდებოდა და შესრულების ხასიათის მიხედვით რიტუალები ორ ჯგუფად იყო გაყოფილი. პირველი ჯგუფის (კვირიას სიმღერა, მურყვამობა, ჭილაობა, აღრეკილა, მორილ-მიაქელა) შესრულების დროს ლაშეთის სოფლების ერთი ნაწილი (კახუნდერი, ჩუკული, ლემზაგორი) ეჭიბრებოდა მეორე ნაწილს (სა-საში, შეტეცი, ლეკოსანდი, მაულდი).¹⁷ მეორე ჯგუფი (მელია-ტელეფია, ხეწე, გიორგის ჯვარი) კოლექტიურად სრულდებოდა.

პირველად, მზის ამოსვლის წინ, ერთი მხრივ სასაშის, მეორე მხრივ უახტნ-დრის გუნდი ერთდღოულად ასრულებდა კვირიას საგალობელს¹⁷. ხალხის რწმენით, ამ დღეს კვირიას სიმღერის კარგად შესრულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც იგი უზრუნველყოფდა ოჯახის ბედნიერებას, უხვ მოსავალს და სასურველ ამინდს. საგალობლის შინაარსი ასეთი იყო:

ცის მონაწილე ხარ, კვირია,
მიწის მონაწილე ხარ, კვირია,
მზევ ცისა, კვირია,
ბერო წყლისა, კვირია.

მეორე ვარიანტი:

მზევ ცისა, კვირია,
მიწავ წყლისა, კვირია,
ცის მონაწილე ხარ, კვირია,
მიწის მონაწილე ხარ, კვირია,
. . . ო კვირია, ასე მარჯვნივ!..

ზემოსვანური ვარიანტი:

მზევ ცისა, კვირია,
მიწავ წყლისა, კვირია,
ჰო, კვირია, მზევ კვირია,
მიწავ, კვირია...

აქ მოტანილი სასიმღერო ტექსტების შინაარსი უნდა მიუთითებდეს კვირიას, როგორც აგრარული ღვთაების, ბუნებასა და ფუნქციაზე, მის კავშირზე მიწასთან, წყალთან, მზესა და ცასთან. კვირიას ბუნების მთავარი საწყისი მიწა და წყალი უნდა იყოს. ამას უნდა ასაბუთებდეს ეპითეტები „ბერ(ი) წყლისა კვირია“ და „მიწა წყლისა კვირია“¹⁸. აქ ზოგადად გადმოცემულია აზრი, რომ კვირია ღეღამიწის ღვთაებაა და ამავე საფუძველზე იგი დაკავშირებულია მზესა და ცასთან ე. ი. ყველა იმ საწყისთან, რომელიც უზრუნველყოფს ბუნების აღორძინებას, სიცოცხლის განახლებას, ნაყოფიერებას და უხვ მოსავალს. კვი-

¹⁷ სასაშის გუნდი «საკვირიო გორაზე» (ლაკურჩელ-გოლად) ამბობდა სიმღერას. ეს გორა არის ტყიანი ბორცვი, რომლის თავზე ნასყდრალია.

უახტნდრის მომღერლები კვირიას და ცაცხვთან ასრულებდნენ. საკვირიო გორა ამ ცაცხვიდან ნახვარი კილომეტრითა დაცილებული.

¹⁸ «მიწა-წყლისა კვირიას უნდა გამოხატავდეს იმავეს, რასაც ფშავ-ხევსურული ეპითეტი «ხმელთ მოურავი», რადგანაც მიწა-წყალი ერთი ცნებაა და, ქართველი ტომების რწმენით, იგი გამოხატავს ხმელეთს, საცხოვრებელს, სამკვიდროს. სვანური ეპითეტიც (ბერ/ი/ წყლისა კვირია)» მსგავსი უნდა იყოს აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა წარმოდგენისა იმის შესახებ, რომ კვირიას კარავი ზღვის პირას ედგა. შძრ. იფარში (ზემო სვანეთი) ახალ წელს ოჯახის უფროსი, მექვლე კალოზე თოვლის კოშეს შემოვლის დროს ლოცულობდა «წლის შემცველი ღმერთის—«ბასილ ზღვის კალანდის» სახელზე. ვ. ბარ დავით ი ე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, გვ. 110.

რიას, როგორც აგრძელების, ბუნებას თვით სიმღერის დანიშნულებაც ადასტურებს.

ეს საგალობელი ძირითადად თოვლის კოშკის, აგრძელებე, ეკლესიის შენობის შემოვლით სრულდებოდა, მას სვანურ სიმღერებში ყველაზე მაღლა აყენებდნენ, რაც კვირია ღვთაების მნიშვნელობაზეც უნდა მიუთითებდეს.

თუ კვირია ბუნების მთავარი ძალების თანამონაწილედ ითვლებოდა, მაშინ, ბუნებრივია, მისი უპირველესი მოვალეობა ნაყოფიერების გამოწვევა ყოფილიყო. ამიტომაა, რომ კვირიასადმი მიძღვნილი დღეობების მთავარ შინაარსს და დანიშნულებას ხალხი ითითაღლური პერსონაჟების მოქმედების საშუალებით გაშონატავდა.

კვირიას საგალობლის შესრულებასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული დღესასწაულის მეორე წესი „მურყვამობა“ (კოშკობა). ეს იყო თოვლის კოშკის აშენების და წაქცევის წეს-ჩვეულება, რომელიც ზემო და ქვემო სვანეთში ერთი და იმავე დანიშნულებისათვის, დაახლოებით ერთნაირად სრულდებოდა. თუ ამ დროს თოვლი არ იყო, მაშინ ნაძვის ხეს აღმართავდნენ და კოშკის მაგიერ მისი წაქცევის ცერემონიალს ასრულებდნენ (სასაში, უახუნდერი). საითაც კოშკი (ან ნაძვი) წაიქცეოდა, ხალხის ჩრდილი, საქამაო ნალექი და უხვი მოსავალი იმ მხარეზე მოვიდოდა (ე. ი. „დაეყრებოდათ“ უხვად შარცვლეული და სხვა მოსავალი). ამიტომ იყო, რომ კოშკის თავისკენ (თვალის მხარეზე) წამოქცევა მოწინააღმდეგ ჯგუფისათვის დიდ გამარჯვებად ითვლებოდა¹⁹.

თოვლის კოშკის აგებას, მოსავლიანობის დაბედების გარდა, სხვა დანიშნულებაც ჰქონდა. ვინც კოშკს უწინ ჩაუყრიდა საფუძველს, ან თავზე დგნალის ხის ჯვარს გაუკეთებდა, მას „აუცილებლად ვაჟი შეეძინებოდა“.

ზემოსვანური „აღბა ლალრალის“ მურყვამობის რიტუალში თოვლის კოშკი თავზე დაამაგრებდნენ ფიჭვის ან ნაძვის ხის ბოძს, რომელსაც გამოაწყობდნენ შამაჟაცის მსგავსად (ქუდის მაგიერ კალათას ან საცერს დაახურავდნენ, წვერებს გაუკეთებდნენ და ჩამოჰკიდებდნენ ხისგან გაკეთებული სარცხვინერ ასოს გამოსახულებას, ხისავე ხმალს და სხვ.).

სვანური თოვლის კოშკის (ან ნაძვის) წაქცევის წესის მსგავსია სამეგრელოს სოფელ ბანდაში ნააღდგომევის ორშაბათს „ჭვენიერობის“ დღესასწაულზე ეკლესიის ეზოში ხის მოგლეჭის სცენა („ჯაში სოფუა“)²⁰.

შროიგად, კვირიას სიმღერის მსგავსად, მურყვამობაც (კოშკის აშენება-წაქცევა) იმართებოდა მოსავლის სიუხვის, კარგი ამინდის და შვილობრივობის (ვაჟების) მონიჭების მიზნით. მურყვამი, ნაძვი, ფალოსით შორთული ბოძი უნდა იყოს სიცოცხლის, ნაყოფიერების ხე.

„მურყვამობა-კვირიაობაში“ საკულტო ხეებად ითვლებოდა ნაძვი, ფიჭვა, დგნალი და არყი. სვანეთში ყველა მოსახლეს ჰქონდა კალოზე არყის ხის უზარ-

¹⁹ ქართლ-კახურ ბერიკაობა-ყევნიბაში წამქცევი მოჭიდავე გამარჯვებულად ითვლებოდა, მაგრამ მოწინააღმდეგეს რომელ მხარეზე წაქცევდა, ამას არ აძლევდნენ მნიშვნელობას. შდრ. ივ. ჭ ა ვ ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

²⁰ დღესასწაულზე «კირილეესონის» გალობით ამოაძრობდნენ ხეს (ეს ხე ყველაზე დიდი უნდა ყოფილიყო), ეკლესიის გარშემო შემოატარებდნენ და ბოლოს აყუდებდნენ სალოცავის ახლოს. ტორების ნამტვრევები ყველას მიჰქონდა შინ, როგორც წმინდა ნაწილები.

ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1961, გვ. 371-378.

მაზარი კეტი, რომელიც სიუხვის და ბარაქის მომტანად ითვლებოდა. ეს ხე „ამაღლებას“ უნდა მოეჭრათ და მოეტანათ ტყიდან²¹.

რელიგიის ცნობილი ქართველი მკვლევარი ვ. ბარდაველიძე მიუთითებს, რომ, ხალხური რწმენით, ხეში ღვთაება ცხოვრობდა²². თუშებში ალვის ხესთან ასოცირებული იყო ლაშარის ჯვარი, ხოლო „ჩვეულება მთლად შიშველი ბავ-შვის, რომელსაც ერთი წელიც არ შესრულებია, წმინდა ხის ქვეშ შეგორებისა არსებითად არის სიმულაცია ხისგან ბავშვის დაბადებისა. ასეთი ხე — „დამბა-დებელი“ ბავშვებისა, თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ტოტემური ხე“²³.

დროშის ტარადაც საკულტო ხეს იყენებდნენ. „აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში დროშა ითვლებოდა არა მარტო ღვთაების უდიდეს სიმბოლოდ, არამედ მის განსახიერებადაც“²⁴. ასეთივე უნდა ყოფილიყო სვანების რწმენაც. ამას უნდა ადასტურებდეს „მურყეამობა-კვირიაობაში“ დროშების (ქვ. სვანეთი) და „დურშახს“²⁵ (ზემო სვანეთი) სავალდებულო ტარების ცერემონიალი. დროშა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გენეტურად დაკავშირებული იყო საკულტო ხესთან²⁶. დროშები რელიგიურ დღეობებზე, საღვთო საგნის როლის გარდა, ძალაუფლების ნიშნის მატარებელიც ყოფილა²⁷.

სიცოცხლის ხის მოტივს სვანეთში თოვლის კოშკის, ნაძვისა და ბოძის გარდა სხვა პარალელებიც მოეპოვება. გ. ჩიტაას აზრით, სიცოცხლის ხის მოტივისა სვანეთში საახალწლოდ შესრულებული გრაფიკული გამოხატვება — „თხები ჭამენ ფიჭეს“, რომელსაც ქალები ხატვენ, ხოლო ნახატი პრიმიტიული ტექნიკით სრულდება, რაც ამ მოტივის უძველეს წარმოშობაზე მიუთითებს²⁸. სიცოცხლის ხის და მისი სიუჟეტის ანალოგებს წარმოადგენს საქართველოში დიდად გავრცელებული ხის კულტი საზოგადოდ; კერძოდ — ხევსურული მეგრელაურის მირონიანი მუხა, ფშაური ლაშარის ჯვრის ოქროსშიბიანი ბერმუხა, მცხეთის „სვეტიცხოველი“, მარტვილის ჭყონდიდი, მეგრული „კელაპტარი“ (მიცვალებულის ხე), ბავშვის სახელზე ხის დარგვის ჩვეულება გურაში, დასავლურ ქართული ჩიჩილაკი, ხემხვივანი (ვაზის) და მრავალი სხვ.²⁹

²¹ „ამაღლება (სვ. «ანლება») ქვ. სტილით მაისის ბოლო რიცხვებში ტარდებოდა. ამ დღეს ღმერთს ეხვეწებოდნენ მოსავლის სიუხვეს. დიდი კეტის გარდა ტყიდან ყველა ოჯახს მოაქმნდა არყის შეფთვლილი ტოტებისაგან დაწნული იმდენი გვირგვინი, რამდენი ყანა და სათიბიც ჰქონდა. ამ გვირგვინს «ფიჩუნდი» ერქვა და იგი ყანის ნაყოფიერების გაღიდების მაგიური უნარის შემთხვედ ითვლებოდა. მას თითო ცალს ყველა ყანაში და სათიბში ამაგრებდნენ.

²² В. Б а р д а в е л и д з е, Древнейшие религиозные верования..., стр. 61.

²³ ი ქ ვ ე, გვ. 65.

²⁴ ი ქ 3 ვ.

²⁵ დურშახ (დროშა) იყო ფიჭების ხის დიდი კეტი, რომელსაც თავზე ჰქონდა ლითონის ბუნიები (ბურთული) და წითელი აბრეშუმის ნაჭრები ეკიდა. აღბა ლალრალის დღესასწაულზე ეს კეტი გამარტულ უნდა ეტარებანათ სოფლიდან სოფლამდე, რაც ფიზიკურად საშუალო შეძლების კაცს არ შეეძლო. ამიტომ «დურშახს» დამკავებლად ფიზიკურად ძლიერ მამაკაცს არჩევდნენ (კეტი სიგრძით 10-12 მეტრამდე აღწევდა).

²⁶ ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ქ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

²⁷ ს. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, ქართული დროშები, საქ. სრ მეცნ. აკადემიის მოამბე. XII, ტ, № 6, 1951, გვ. 378.

²⁸ გ. ს. ჩ ი ტ ა ი ა, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, ენიმქის მოამბე, ტ. X, თბ., 1941, გვ. 313-320. მისივე, ლაზური ორნამენტი, ძეგლის მეგობარი, 1967, № 12, გვ. 77—79.

²⁹ ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ქ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 77—79. იქვე, გვ. 54-81.

სვანური „სიცოცხლის ხის“ მოტივი, საქართველოს გარდა პარალელებს პოულობს მცირე აზის ქვეყნებში, მესოპოტამიასა³⁰ და ეგვიპტეში.

არცვევა, რომ თოვლიანი ხე (მურყვამი), ნაძვი, ნაყოფიერების ემბლემებით მორთული ბოძი, უნდა ყოფილიყო ნაყოფიერების ღვთაების გამომსახველა მსგავსად იმისა, როგორც ძველი ბერძნები თავკანს სცემდნენ ღიონისე-ხეს. რომელსაც გამოსახავდნენ შიშველი ბოძის სახით, უხელოდ, მანტია წამოხურულად, თავზე ფოთლების გროვით და წვერით³¹. ეგვიპტეშიც ბოძების გაშართვა ხდებოდა რამდენიმე ღვთაების (მინას, ამონის და ოზირისის) სახელზე. ამათგან მინას ბოძი გააზრებული იყო, როგორც ფალოსი, ოზირისისა კი — როგორც მისი ჩონჩხი³². მინას და ამონის კულტები ნაყოფიერების ღვთაება ოზირისის კულტს დაუკავშირდნენ და ამ საფუძველზე მათი ბოძები ფალოსებად იქნა გააზრებული³³. ასევე ცნობილი იყო მცირე აზიაში ატისის, პალესტინში აშერის და სხვა ღვთაებათა ბოძები³⁴.

ჩვენს შორეულ წინაპრებს სწამდათ, რომ ცოცხალ და არაცოცხალ საგნებში ცხოვრობდა ღვთაება, როგორც სული ტანში. ისტორიის გრძელ მანძილზე ფეტიშისტური რწმენების ბუნების განვითარებულ კულტთან შერწყმს ნიადაგზე ბოძები (მცენარეები, თოვლის კოშკი, ქვის სვეტები) აღამიანმა გაიაზრა, როგორც ღვთაების გარეგანი გამოხატულება. გერმანელი მეცნიერი კ. ზეთე აღნიშნავდა, რომ ადამიანი თვითონაც აკეთებდა ღვთაების ადგილსამყოფელს³⁵. როგორც ჩანს, იგივე ხდებოდა საქართველოშიც. ვითინი³⁶ (ადამიანის სიმაღლის სალოცავი ნიში, კოშკი) და ცნობილი ციხე-კოშკები თავდაპირველად შენდებოდა, როგორც საკულტო ნაგებობანი, ღვთის საცხოვრებლად (სვანეთში ბარბალ დოლაშის სალოცავი კოშკში იყო მოთავსებული, თუშეთში, ფშავება და ხევსურეთში სალოცავები იგივე კოშკებია). საქართველოს ფარგლებს გარეთ დამოწმებულია მსგავსი პარალელები. მესოპოტამიაში ცნობილი ციხე-კოშკები — ზიკულატები საკულტო ნაგებობებს წარმოადგენდნენ და ა. შ.

მურყვამს (კოშკს) რომ სიუხვესთან, ბარაქასა და მოსავლის დაზინვა-დახვაებასთან აქვთ კაშშირი და რომ იგი ნაყოფიერების სიმბოლოა, ამას ადასტურებს სვანეთში გავრცელებული სახალწლო რიტუალი: კალოზე, შუა აღგილას, თოვლის „ზვინის“ ან კოშკის დადგმა და მასზე დატოტვილი ხის დამაგრება, რაც უხვი მოსავლის დაბევების მიზნით კეთდებოდა. ამ კოშკს, რომელ-

³⁰ ამავე მოტივს ჰვავს ურარტუს მეფის, არგიშტი პირველის (მე-8 საუკუნ. ჩ. ერამდე) მუზარადე გამოყვანილი გამოსახულება იხ. Всемирная история, т. 1., М., 1955, стр. 526.

³¹ Дж. Фрезер, Золотая ветвь, вып. III, М., 1928, стр. 102.

³² Ю. Францов, Фетишизм и проблема происхождения религии, М., 1940, стр. 23—25.

³³ იქვე, 88. 25.

³⁴ იქვე, 88. 26.

³⁵ K. Seeth, Urgeschichte und älteste Religion der Ägypter, Leipzig, 1930, s. 15.

³⁶ «ვითინი»-ი ეს არის ქვითკირის პატარა კოშკი (რომელიც სიღილით განსხვავდება დიდი ციხე-კოშკებისაგან); იგი ხატის, ჯვრის, საერთოდ, ღვთაების საბრძანებელ ადგილად ითვლება. სიღილით იგი არ განსხვავდება მურყვამობა-კვირიაობისა დროს აშენებული თოვლის კოშკისაგან და, ჩანს, მათი ახლო პარალელია. მის შემდგომ განვითარებას უნდა წარმოადგენდეს დიდი ციხე-კოშკები.

საფიქრებელია, კოშკების, როგორც ცათმწვდენი ნაგებობების, სახით ქართველი ტომები გამოხატავდნენ ღვთაების გარეგანი გამოხატულების (კოშკის) მიმართებას ცასთან, რომელიც ღვთაებათა ასტრალიზაციის გარკვეულ საფეხურზე მათს ადგილსამყოფელად იქნა მიჩნეული.

საც კალოზე დგამდნენ, მურყვამს ეძახდნენ. ვვარაუდობთ, რომ აქ უნდა ჰქონდეს სათავე სვანეთში ნამდვილი ციხე-კოშკების საკულტო ნაგებობად (ოჯახის სიმრავლის, მოსავლის სიუხვის მონიჭების სხეულზე სალოცავად) გაღაქცევას. ეს უფრო სარწმუნოდ ხდის იმ აზრს, რომ ნაყოფიერების ღვთაებას ღაუკავშირდა ოჯახის ღვთაების ფუნქციებიც, რასც ამაგრებს ფშავ-ხევსურულ მასალებში ფიქსირებული კვირის ეპითეტები — „ხმელთმოურავი“ და „კარავიანი“, რომელიც ამ ღვთაებას მიწიერ სამყაროს და საკხოვრებელ ბინასთან აკავშირებს“³⁷. ხოლო ოჯახთან მიმართებით კვირის, როგორც ნაყოფიერების მამაკაცი ღვთაების, ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია უნდა ყოფილიყო შვილობრავლობის (ვაჟიშვილების) უზრუნველყოფა. შეიძლება ამით აიხსნებოდეს სვანეთში არსებული წესი: — შვილმრავალი ღრმად მოხუცი მამაკაცის გასვენების დროს ასრულებდნენ კვირის საგალობელს, რაც კვირია ღმერთის „დამსახურების“ სამადლობელი უნდა ყოფილიყო.

რაჭის სოფელ სორში „ნაციხურობის“ სახელწოდებითაა ცნობილი ხატობა — დღესასწაული. იგი ტარდებოდა ნააღმდგომებს, სამი კვირის განმავლობაში ყოველ ორშაბათს. საღაც ეს დღეობა იმართებოდა (გაღმოცემით), იქ ციხე და ეკლესია იღვა. „ნაციხურობა“ სოფელ სორის ვაჟების ბეღზე იყო დაწესებული. დღესასწაულის დასასრულს დღეობის მონაწილენი ქალები და ქაცები — ფეხით და ფეხსულით ათენებდნენ ღამეს³⁸.

„ნაციხურობა“ მიღებულია სიტყვისაგან „ციხე“, როელიც კოშკის სინნიშია. სახელის ამდაგვარი წარმოება (ნაციხურობა) მიუთითებს იმაზე, რომ არსებულა დღესასწაული „ციხობა“ (შრდ. კოშკობა, მურყვამობა — „ლიმირუყუშამბლ“) და მის გამეორებას მომდევნო პერიოდში ეწოდებოდა „ნაციხურობა“ (ე. ი. „ციხობის“ გამეორება). სვანეთში დღემდეა დარჩენილი რელიგიური დღეობების სახელწოდებათა მსგავსი წარმოება. დანიშნულ დროს ჩატარებული დღეობის გამეორება (განახლება) ხდებოდა მეორე ან მესვიდე-მერვე დღეს. ასე მაგალითად, „ლიგერგ“, ქაშურები — ნაქშაურები, მურყვამობა — „ნამურუკუშამბლ“ და ა. შ.

„ნაციხურობა“ სვანური „ნამურუკუშამბლის“ შესატყვისი ჩანს და მიუთითებს იმაზე, რომ არა მარტო სვანეთში ტარდებოდა ეს დღეობა რამდენიმეკერ წელიწადში, არამედ — საქართველოს სხვა კუთხეებშიც, რაც უნდა მიუთითებდეს ამ დღეობებზე სადიდებელი ღვთაების ვეგეტატოურობაზე. ის ფაქტი, რომ „ნაციხურობა“ ვაჟების ბეღზე იმართებოდა, კადევ უფრო სარწმუნოს ხდის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ეს დღესასწაული „მურყვამობა-კვირიაობის“ ერთ-ერთი ვარიანტი იყო.

„მურყვამობა-კვირიაობის“ რიგით მესამე შესასრულებელ „საგალდებულო წესს“ წარმოადგენდა „ჭიდაობა“. ამ დღესასწაულისათვის მოჭიდავე ფალავნების წროვნას ერთი თვით ადრე იწყებდნენ. დღესასწაულის დღეს მოწინააღმდეგ ბანაკებად დაყოფილ სოფლებს (ერთი მხრივ, სასაშის, მეორე მხრივ, უახუნდრის, მეთაურობით) გამოჰყავდათ მოჭიდავეები და ერთმანეთის პირისპირ აყენებდნენ. ყველაზე ძლიერ მოჭიდავეებს „კეისრებს“ ეძახდნენ.

³⁷ ვ. ბარ დავით ელია ქართული ტომების ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის განვითარების ერთი უძველესი საფეხურთაგანი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. X, თბ., 1959, გვ. 169.

³⁸ Н. М и н д е л и, Селение Сори, СМОМПК, XIX, გვ. 116-117.

ბრინჯაოს საყვირის დაკვრით „სუმრის“³⁹ მეთაური ჭიდაობის ნიშანს იძლეოდა. გამარჯვებულ „კეიისარის“ თავისიანები „ფაშას“ ძახილით ხელში აიყვანდნენ და მოედანს შემოატარებდნენ. ჭიდაობაში გამარჯვებას დიდ მნიშვნელობას აძლევდა ხალხი. ამ რიტუალის დანიშნულება ნაყოფიერების გამოწვევა უნდა ყოფილიყო ისევე, როგორც უს ზემოსვანურ „აღბა ლალალაშია“ („საქმისახს“ და „ყაენის“ ჭიდაობა). მოჭიდავე ფალავნები ითიფალური პერსონაჟების განმასახიერებელნი უნდა ყოფილიყვნენ. ამას ადასტურებს, აგრეთვე, სოფელ ლაზირის „ლამპრობა-კეიისრობის“ მთავარი პერსონაჟი „კეიისარი“, რომელიც ნაყოფიერების გამოწვევის მიზნით ისეთსავე ილეთებს ასრულებდა, როგორსაც — ბერიკა, საქმისად და ყაენი. ჭიდაობის ამგვარ ხსიათსა და დანიშნულებაზე უნდა მიუთითებდეს ამ დღეობის ყველა მონაწილის „მიწაზე გაგორების“ სავალდებულო წესი. დღეობის ყველა მონაწილეს „სუმრის“ მეთაურისათვის უნდა ეთქვა: „გმრავლდით“ და თან ერთხელ მაინც მიწაზე უნდა გაგორებულიყო. როგორც ჩანს, მიწაზე გაგორებას მაგიური მნიშვნელობა ჰქონდა და მიწის ნაყოფიერების გამოწვევის მიზნით სრულდებოდა⁴⁰. მიწაზე გაგორების ჩვეულება უნდა დადებოდა საფუძვლად ჭიდაობას, რითაც ეს წესი თავისი შინაარსით და დანიშნულებით მურყვამის წარცევის რიტუალს ემსგავსება.

დღესასწაულის მე-4 წესი იყო „აღრეკილაც“. ეს სიმღერა-ფერხული სრულდებოდა ორი თანაბარრიცხოვანი გუნდისაგნ (რვა-რვა ან თორმეტ-თორმეტი მამაკაცი), რომლებიც ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. თითოეულ გუნდს თავის მეთაური ჰყავდა. მეთაურს ხელში ჭოხი ან წკნელი (იშვიათ შემთხვევაში ხის ხმალი) ეკავა. სიმღერას იწყებდა ერთ-ერთი გუნდი, რომელიც ემუქრებოდა მეორე გუნდს თავზე, ბეჭებზე, მყერდზე, მუცელზე, სასქესო ორგანოებზე, თეძოებზე და ფეხებზე ცემით. მეორე გუნდი ზუსტად იმასვე იმეორებდა, რასაც პირველი ამბობდა. სიმღერის ტექსტი იწყებოდა ასე: „აღრეკილაც წავი-ვიდა და მოგვიყიდა, შეგჩა და მისი შეგჩა და მისი, ... ამას (ე. ი. ჭოხს) დაგარტყამთ“ და ა. შ. ჩამოთვლიდნენ ადამიანის ყველა ასოს, როგორც ზემოთ არის ნათქვამი. სიმღერის დამთავრებისთანავე მოპირდაპირე მხარეები ერთშეანეთს ეცემოდნენ, ძლიერი და სწრაფი მიწოლით მწერივის გარღვევას ცდილობდნენ, თუ მწერივს გაარღვევდნენ, მაშინ მოპირდაპირე გვუფიდან ტყვედ მიჰყავდათ იმდენი მომღერალი, რამდენსაც მოახერხებდნენ, სიმღერა ისევე, როგორც „ბრძოლის სცენა“ რამდენიმეჭერ მეორდებოდა. ორივე გუნდი ცდილობდა, აგრეთვე, ერთმანეთისათვის წაერთვათ ქუდი, ქამარი, ჩოხის მასრები

³⁹ დღეობის ყველა მონაწილეს ერთად სუმრა ერქვა, ხოლო მეთაურს, რომლის განკარგულებითაც სრულდებოდა ყველა რიტუალი, „სუმრის მეთაური“ ეწოდებოდა. სუმრა რთული სიტყვაა. იგი მიღებული ჩანს სსუფი მარა-საგან, რაც სუფისკაცს, სუფი ზეიმის მონაწილეს ჰქონა. თვით სიტყვა სუფ (ზემო სვ. სუფი) საუფლო-დან უნდა იყოს მიღებული; მიუთითებს იმაზე, რომ იგი რელიგიური ტერმინი იყო და ეკლესიის კუთვნილი ტერიტორიის სახელწოდებად იხმარებოდა.

⁴⁰ ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე ს საახალწლო კულის რიტუალში (ზემო სვანთი) დამოწმებუბული აქვთ მსგავსი ჩვეულება. ცულზე შემჭდარ ბავშვს კერის ირგვლივ სამჯერ შემსატარებდნენ, რის შემდეგაც ცულის დამტარებლები მიწაზე დაეცემოდნენ, ცულსაც და ბავშვსაც ძირს დასცმდნენ. ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნომუშები, თბ., 1953, გვ. 114.

შდრ. ჭ. რ უ ხ ა ძ ე, ქართველთა სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, სადისერტაციო ნაშრომი ისტ. მეცნ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ.. 1954.

და სხვ. „პრძოლის“ მსგავსი სცენები სრულდებოდა ზემოსვანურ „აღბა ლალ-რაოსა“ და „ლამპრობა-კეისრობაშიც“.

ი. გავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ადრეკილას“ ფერხულის დაცული ნაწილის სიტყვები დამარცხებული მხარის მეთაურის გამაწბილებელ სიმღერას უნდა წარმოადგენდეს, ხოლო ამ ფერხულის პირველი და უკველია, მთავარი, სახელდობრ, გამარჯვებული მხარის „ადრეკილას“, მაგიდებელი ნაწილი, ამჟამად დაკარგული უნდა იყოს ან ჩაწერილი არ არის“⁴¹. საქმე ისაა, რომ აქ ორი ჯგუფი, ორი გუნდი არის ერთმანეთთან დაპირისპირებული ისევე, რომ გორც კოშკის წაქცევის, ჭილაობის და კვირას საგალობლის ჩიტუალებში და გამარჯვების საკითხი წყდება იმის სასარგებლოდ, ვისაც „ბრძოლის“ საფუძველზე გუნდის წევრთა შეტი რაოდენობა რჩება. ამ ჩიტუალსა და „მურყვა-მობა-კვირაობის“ დანარჩენ წესებში, ორ ჯგუფს შორის „ბრძოლის“ ინსცენირება ერთ-ერთი ყველაზე ძველი კომპონენტი ჩანს. იგი უნდა იყოს გამომხატველი სქესთა შორის ოდესლაც „ნამდვილად არსებული შეგიბრებისა და ბრძოლისა, რომლებმაც დროთა განმავლობაში დაკარგეს პირვანდელი მნიშვნელობა და სარიტუალო ხასიათი შეიძინეს“⁴².

რაც შექება „ადრეკილახს“ ი. ჯავახიშვილმა იგი მიიჩნია ითითალობის გა-
მომხატველ სახელად⁴³. გუნდის მეთაურების ხელში დაკავებული ჯოხები (ან
ხის ხმლები) და თვით სასქესო ორგანოებზე ცემით დამუქრება პარალელი უნდა
იყოს მელია-ტელეფიას მეთაურის (ჯუხ-ჯუხის მთქმელის) ჯოხის (ან წერტილის)
და ზემოსვანური „საქმისახს“, ხის შემფურებისა, რომლებითაც ჩხვლეტდნენ
დღეობის მონაწილეებს (უმეტესად ქალებს). ანალოგიური წესი ვ. ბარდავე-
ლიძის მიერ დადასტურებულია სენიორში, რაჭა-ლეჩხუმშა და ქართლში. ახალი
წლის წინა ღამეს სარიტუალო განატეხების ღორის კანჭით და სუფთა ჩხირით
ჩხვლეტა, მკვლევარს სქესობრივი აქტის გამომხატველი და გამრავლებისათვის
წარმოებულ მაგიურ მოქმედებად შეიჩნია⁴⁴.

„აღრევილაში“, ისე როგორც სხვა რიტუალებში, ბევრი რამ დაკარგული და შეცვლილია, მაგრამ დარჩენილი ნაწილიც წარმოდგენას გვაძლევს მის ფალიკურ ხასიათზე. ჩანს, იგი ორგანული ნაწილია ნაყოფიერების ღვთაები-სადმი მიძღვნილი აგრძარული დღესასწაულისა.

შელია-ტელეფია⁴⁵ (მე-5 წესი) „მურყვამობა-კვირიაობის“ ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო სანახაობას წარმოადგენდა.

„მეღლია-ტელეფიას“ გვუფის (რომლის რაოდენობა არ იყო განსაზღვრული) წინამძღოლად ხუმრობისა და მსახიობობის უნარის მქონე კაცს ირჩევდნენ. მას ბეროლისა და საქმისადან მსგავსად გამოაწყობდნენ; ჩამოჰკიდებდნენ სარცხვთხოელი ასოს ხის გამოსახულებას, ხელში წენელს ან ჭოხს მისცუმლნენ და

⁴¹ օ. չոշոեն ջոլո, լասակ. ճամկամու, 88. 73.

⁴³ ი. გვ. ვაკენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67 (1928 წ. გამოცემა).

⁴⁴ ბ- ბ ა ლ დ ა ვ ე ლ ი ძ ე , ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნი-
მუშები, 1953, გვ. 134.

45 მელია-ტელეფონს სახელშიც ბით საბაკშივ თამაში ღემდე სრულდება ლაშქრებ-ჩულურში. მსგავსი საბაკშივ თამაში, «მელია-კურკუტბიბის» სახლით, ლეჩხუმშიც იღოდნენ.

ძონძებს შემოახვევდნენ. ერთმანეთის უკან დამდგარი მონაწილენი სიმღერა-რეჩიტატივით ირგვლივ უვლიდნენ მინდოოს (სუფს.). „ჯუხ-ჯუხის“ მოქმედი ეშუქრებოდა ქალებს, რომ მათთან სქესობრივ ურთიერთობას დაამყარებდა და თან ჯოხს უქნევდა „ჯუხ-ჯუხის“ (ჯუჭ-ჯუჭის) ძახილით. მწერივში დამდგარი მამაკაცები შემოსახებდნენ: „მელია-ტელეფია, ოჰ, ოჰ, დაქლა ლაქ-ელია (თხასთან სქესობრივი კავშირის დამყარება), ელია და მელია, ჩიტიც მოგვიწველია, კათხა ჩაგვიწვეპნია“⁴⁶... „მელია-ტელეფიას“ სიმღერის სრული ტექსტის აღდგენა ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა, მაგრამ აქ მოყვანილი მასალითაც ირკვევა, რომ „მელია-ტელეფიას“ ჩიტუალს ფალიკური ხასიათი ჰქონდა და იგრ ნაყოფიერების გამოწვევის მიზნით სრულდებოდა. ჯუხ-ჯუხის⁴⁷ ძახილი, ჯოხით ჩხვლეტა, თხასთან სქესობრივი ურთიერთობის გამომხატველი სიტყვების გაშიშვლებული ფორმით წარმოთქმა, „მელია-ტელეფიას“ მეთაურის მიერ ფალისის ხელში დაკავება ამტკიცებს, რომ „მურყვამობა-კვირიაობის“ წეს-ჩვეულებებიდან ამ რიტუალში ყველაზე დამახასიათებელია ითიფალური მოტივები.

„მელია-ტელეფია“ რთული სიტყვაა. მისი ახსნა პირველად სცადა ივ. ჯავახიშვილმა. ტელეფია მან ქართულ სიტყვად აღიარა და გავლო პარალელი ტულაობასთან, რომელიც საბას სიტყვით „ფუვილით ძვრას“ ნიშნავდა და, მეორე მხრივ — „თევზთა პეპლვას“ ე. ი. სქესობრივ კავშირს⁴⁸.

ი. ჯავახიშვილმა, მას შემდეგ, რაც ძ. წ. მე-14 საუკუნის ხეთური ლურს-მული ტექსტი აღმოჩნდა, რომელშიაც ნაყოფიერების ღვთაება ტელეფინუშა იხსენიება, სვანური ტელეფია ტელეფინუშს ღუკავშირა⁴⁹. სვანურ ტელეფიას და ეტრუსკების ტელეფასს შორისაც დიდი მსგავსება შეინიშნება⁵⁰.

საფიქრებელია, რომ მართლაც ერთმანეთს უკავშირდებოდნენ პროტო-ხეთების ტელეფინუში (ტელეფინი), ეტრუსკების ტელეფასი და სვანური ტელეფია, მაგრაც საყურადღებო ჩანს შედარება სიტყვების — „მელა, მელა კურ-კუტალა“ და „მელია-ტელეფია“, — აქ ერთი და იმავე შინაარსის გამოხატვას-თან ხომ არა გვაქვს საქმე..

„მელია-ტელეფიაში“ რომ ნამდვილად მელიას სახით შელა იგულისხმება და არა სხვა, მას ადასტურებს ამავე სახელწოდებით დღემდე არსებული სა-

⁴⁶ წინადადებები — «ელია და მელია, ჩიტიც მოგვიწველია, კათხა ჩაგვიწვეპნია» — გამეორებულია ცნობილ სვანურ სიმღერაში — «ია ქალდი ბებუცია». ეს სიმღერა თავისი შინაარსით, განსაკუთრებით ბილწისტყვაობით, უწმაშური ხასიათის გამოთქმებით დიდ მსგავსებას ავლენს «მუყვამობა-კვირიაობისა რიტუალებთან». ამ სიმღერაში უძველეს მოტივებთან ერთად ჩართულია ახალი ამბებიც: დაღიანის სტუმრობა, გურიელის გაქცევა და სხვ. (საფიქრებელია, რომ «ია ქალდი ბებუცია» ოდესლაც სრულდებოდა, როგორც «მურყვამობა-კვირიაობის» ორგანულანდწილი და ამ საფუძველზე მოხდა სიტყვებისა და წინადადებების გადატანა ერთან დან მეორეში).

⁴⁷ „ჯუხ-ჯუხ“ ანუ ჯუჭ-ჯუჭ უნდა იყოს ქართული «ძუ»-ს შესატყვისი (ს. ჯუჭ-, ჯუძ-ს სვანური ეკვივალენტია). ჩანს იგი სქესობრივი აქტისებენ წამქეზებელი შეძახილია, ისევე, როგორც ღორების კერძილობის (მაკინტლობის) ღროს «ექშ-ექშ», ხოლო ხარ-ფურისა ზაჰ-ზაჰ (შდრ. ძ. ქართ. ზუება, ს. ლიზალშობა) დედალ-მამალი ცხვრისა, «დუხ-დუხ» და ა. შ. ამ სიტყვების წარმოთქმას მაგიური მნიშვნელობა ჰქონდა უხვი ნაყოფიერების გამოწვევისათვეს.

⁴⁸ ი. ჯავახის სახელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 68 (1928 წ. გამოც).

⁴⁹ ი. ჯავახის სახელი, გვ. 243—250.

⁵⁰ შ. ამი რანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ. 1961, გვ. 23; შდრ. M. Schachermeyer, Telesphas und Etrusken, Wien, 1924.

ბავშვი თამაშობა „მელია-ტელეფია“. მისი შინაარსი ასეთია: ბავშვები და-ეწყობიან მწკრივად. წინ დააყენებენ ყველაზე მაღალ ბავშვს, რომელსაც ლაშ-ხეთში „ტელეფიას“, ხოლო, ხოლურში „ბაბას“ ეძახიან. ერთ-ერთ ბავშვს აირჩევენ მელას როლის შემსრულებლად. „მელა“ მივა „ტელეფიასთან“ და ეკითხება: „კვიცი დამეკარგა და ხომ არ გინახვსო“, „ტელეფია“ უარით ის-ტუშრებს, მაშინ „მელა“ ეჯახება „ტელეფიას“ მწკრივს, რათა ერთ-ერთი ბავშვი ტყვედ ჩაიგდოს და თავისთან გააჩეროს; თუ ბავშვი წაართვა, მაშინ ცდი-ლობს, კვლავ ხელთ იგდოს ტყვე, ასე გრძელდება მანამ, სანჯ არ გადატყდება გამარჯვების საყითხი. თამაშის დასასრულს გამარჯვებულად ითვლება ის, ვი-საც მეტი ბავშვი დარჩება⁵¹. ეს საბავშვო თავისი შინაარსით უფრო მე-ტად ჰგავს „ადრეკილას“, ვიდრე სხვა რიტუალებს, რაც „მელია-ტელეფიას“ და „ადრეკილას“ იგივეობაზე უნდა მიუთითებდეს. ეს ადასტურებს ი. ჯავა-ხიშვილის ვარაუდი იმის შესახებ, რომ თავდაპირველად „ადრეკილა“ „მელია-ტელეფიას“ დღესასწაულის ერთ-ერთი ნაწილი უნდა ყოფილიყო⁵².

ტელეფია ითათალური პერსონაჟია, რომლის შესახებაც უფრო დაწვრი-ლებით სხვაგან გვექნება საუბარი, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა მელიას (მელას) მნიშვნელობის გარკვევა.

სვანეთში მელას კულტის არსებობას⁵³ უნდა აღასტურებდეს „აულ-მაუ-ლის“ რიტუალი, რომელიც ყველაზროს კვირს იმართებოდა (ლაშეთში ამ რიტუალს „მელიის ტაბლა“ ეწოდება). ამ ღღეს დიასახლისი აცხობდა დიდ ხა-ჭაპურს, რომელიც ბავშვებს უნდა წაელოთ ყანაში ან ტყის პირს. ისინი ღმიერთს ეხევწებილნენ, რომ მელა აერიდებინა მათი ქათმებისათვის, ტაბლას კი იქვე ტოვებდნენ მელასთვის.

შსგავსი რიტუალი დამოწმებულია რაჭაში სახელწოდებით „მელა-კურკუ-ტალობა“, რომელიც აქ დიდმარხებს პირველი კვირის შაბათს იმართებოდა. აქაც ტაბლებს ყანაში ან ტყის პირს შეულოცავდნენ მელას სახელზე. კვერებს ბავშვები მაღლა (პატარში) ისრობნენ და თან იძახდნენ: „მელა, მელა კურკუ-ტალა, თხის სურა და სამოსელა, ჩვენს ქათმებსა ნურას ერჩი, სხვის ქათმები წაიღეო“⁵⁴. აქ წარსათებმელში „მელა-კურკუტალა“ უნდა ნიშნავდეს „ფალო-სიან მელას“ ე. ი. ხვად მელას („კურ“ სვანურად ხვადს ნიშნავს), ხოლო კუტა-ლა მამრობითი სასქესო ორგანოს სახელი ჩანს).

ზექმომოყვანილი შედარებილან ჩანს, რომ ლეჩხუმური „მელა-კურკუტო-ბია“ (საბავშვო თამაში) და რაჭალი „მელია-კურკუტალობა“ (რიტუალი) ერთ-ნაირი სახელწოდებებია და ორივე სვანური „მელია-ტელეფიას“ ვარიანტი უნდა იყოს⁵⁵.

⁵¹ ლეჩხუმში (სოფ. ზოგიში) ასეთივე საბავშვო თამაშობა იცოდნენ „მელა-კურკუტობიას“ სახელწოდებით. აქაც ერთ-ერთი ბავშვი მელას როლს ასრულებდა, ხოლო ყველაზე მაღალ ბავშვს მწკრივის თავში დააყენებდნენ და მას „მეტაურს“ ეძახდნენ.

⁵² ი. ჯავახიშვილი, გვ. 63.

⁵³ სვანეთველოს გარდა, მელის კულტი ცნობილი იყო სხვა ქვეყნებშიც. ჩინეთში ნოვე-ლებიც კი იწერებოდა დედაკაცებისა და მელების სიყარულზე, ხოლო საბერძნეთში დიონისეს (თხის გარდა) მელის სახითაც სცემდნენ თაყვანს.

ვაკანალიების დროს თრაკიელი ქალები (მენადები) ატარებდნენ მელების ტყავს და უწოდებდნენ ბასარას, თვით დიონისეს კი — ბასარეუსს (ან ბასაროსს) ე. ი. მელას.

⁵⁴ ს. მ. გ. ა. ლ. ა. თ. ი. ა, მთის არჭა, თბ., 1930, გვ. 64-65.

⁵⁵ დ. ჯ. ა. ნ. ე. ლ. ი. ძ. ე. ს. მე-19 საუკუნის 50-იან წლებამდე თბილისში ცნობილი «იალის თამაშობა», პანტომიმური სანახობა, მიაჩნია, აგრეთვე მელია-ტელეფიას» შემდეგდროინდელ სახედ. დ. ჯ. ა. ნ. ე. ლ. ი. ძ. ე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბ., 1948, გვ. 100-109.

„მელია-ტელეფიას“ სასიმღერო ტექსტში დამოწმებული თხასთან სქესობრივი ურთიერთობის გამომხატველი სიტყვები, დღესასწაულის სხვა ითიფალური პერსონაჟებისათვის (ბერლი, სქმისახ, ყაუნი, კეისარი), თხის ტყაპუჭის ჩატმის საგალდებულო წესი, აგრეთვე თხასთან დაკავშირებით არსებული მოელი რიგი წეს-ჩვეულებები, საგულვებელს ზღვის სვანეთში თხის კულტის არსებობას და მის მცირებო კავშირს ნაყოფიერების დღესასწაულებთან.

საქართველოში თხის კულტის ძველთაგანვე არსებობაზე უნდა მიუთითებდეს, როგორც ი. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ეფთვმე მთაწმიდლის, მიერ მე-6 მსოფლიო საეჭლესიო კრების კანონების ქართულ თარგმანში მოხსენიებული ღვთაება „ბოჩი“, რომელიც მას ვაცი//ვაჩი-საგან ე. ი. მაშალი თხის სახელისაგან მომდინარედ მიაჩნდა⁵⁶.

სოფ. ჩუკულში ერთ-ერთ სალოცავ ტყიან ადგილს „ლედცა“ ჰქვია. აქ ყოველ გაზაფხულზე ასრულებდნენ ლოცვა-ველრებას მოსავლისა და საქონლის სახელზე („დაც“, „დაცელ“ — თხა; ლედცა ან ლედცელ (ა) — სათხებო ადგილი). მსგავსი ქართული სიტყვა რაჭაში არსებული სალოცავის სახელწოდება „სათხეურა“⁵⁷.

სვანეთში ცნობილია თხასთან დაკავშირებით სხვა წეს-ჩვეულებებიც. როცა ადამიანი წყალში დაიხრიბოდა და ვერ იპოვიდნენ, უბედური შემთხვევის ადგილს წყალში თხის ცოტხალ ციკანს აგდებდნენ და მას „ჩაძირავდა“ იქ, სედაც ადამიანი იყო ჩაძირული. სვანური გაღმოცემით, ადამიანს ეშმაკი ახრჩიბს და, თუ მას თხას შესწირავენ, მხოლოდ იმ შემთხვევაში უბრუნებს მკვდარს თავის პატრიონს. აღნიშნული წესი შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ თხაოდეს წყლის სულსაც განსახიერებდა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კვირია ერთ-ერთ სასიმღერო ტექსტში მოხსენებულია ეპითეტით „ბერი წყლისა კვირია“ („ბერ ლიციშ კვირია“), მაშინ კიდევ უფრო სარწმუნო გახდება თხისა და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების⁵⁸ ნაყოფიერების ღვთაების კულტთან კავშირი.

ზემო სვანეთში თხა შეიწირებოდა ლახირში (ლაპრობა-კეისრობის აგრძელებულ დღესასწაულზე), კალაში წმ. კვირიკეს (ლაგურკას სალოცავებში), ხოლო ქვემო სვანეთში — სოფელ მახაშში (წმ. კვირიკეს სალოცავში). ლახირში შეწირულ თხას კლავდნენ, ხოლო კალასა და მახაშში ცოცხლად უშვებდნენ. სვანეთში სხვა შემთხვევაში თხის რომელიმე ღვთაების სახელზე შეწირვა დღემდე დადასტურებული არ არის.

თხის კულტის არსებობა დასტურდება საქართველოს სხვა კუთხეებშიც. რაჭულ „მელა-კურკუტალობას“ სიტყვები — „მელა-მელა კურკუტალა, თხის

⁵⁶ ი. გ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80 (1928 წ. გამოც.).

შდრ. სვანეთში დღემდე დაცულია სახელები «ბოჩი» (ჩოლური) და «ბოჩიკ» (ლენტეხი, ლაშხეთი), რაც პირტყვას ზოგად სახელად იხმარება

⁵⁷ თხასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ ურქო თხას სვანეთში «დუალას» უწოდებენ (საქართველოს სხვა კუთხეებში კი «დოლა თხას»); ასეთი თხა სვანეთში გრძელებულად ითვლებოდა.

⁵⁸ თხის კულტის სიძლიერეს სვანეთში ხელს უწყობდა, ჯერ ერთი, მისი დიდი სამეურნეო მნიშვნელობა და, მეორეც, მისი მოშენებისათვის არსებული საუკეთესო პირობები, განსხვავებით ცხერისაგან, რომლის მეურნეობა საზამთრო საძოვრების უქონლობის გამო, ძალზე შეზღუდული იყო. გარდა მისა, თხის კულტის სიძლიერეზე ყველაზე მკაფიოდ მეტყველებს სვანური სიცოცხლის ხის მოტივი 『თხები ჭამენ ფიჭვს』.

სურა და სამოსელა“ საყურადღებოა იმითაც, რომ აქ მელია და თხა ერთადაა ნახსენები ისევე, როგორც „მელია-ტელეფიაში“, ხოლო თხის სურა (იგივე სურო) და სამოსელი უნდა მიუთითებდნენ სუროს და თხის ტყავის სამოსის, როგორც ნაყოფიერების სიმბოლოთა, მაგიურ მნიშვნელობაზე. რაჭაში ცნობილი იყო თხის შეწირვის რიტუალიც, ხოლო სამეგრელოში გვალვა-დელგმის საწინააღმდეგო რიტუალში მთავარ მნიშვნელობას აძლევდნენ თხისა და მისა ფიტულის შეწირვას.

თხა, თხის ფიტული ან მისი გამოსახულება, ბუნების აღორძინებასთან რომ იყო დაკავშირებული, ეს, ქართველი ტომების გარდა, აფხაზთა და ჩერქეზთა ყოფაშიაც დასტურდება⁵⁹.

თხა ნაყოფიერების ღვთაებად მიაჩნდათ ძველ ებრაელებს, ხოლო საბერძნეთში ის გაღმიერთებული იყო პანის სახით და დიდ ღვთაებად ითვლებოდა⁶⁰. ჯიტომაც თხის ტყავის ჩაცმა განსაკუთრებულ ძალას აძლევდა ადამიანს. ათენში დიონისე გამოხატული იყო, აგრეთვე, თხის სახით და მას სე მოიხსენიებდნენ: „ის, რომელსაც აქვს თხის შავი ტყავი“⁶²; სუმერული თამუზის საგაზაფხულო დღესასწაულის ერთ-ერთი მონაწილე თხის ნიღაბსა და ტყავს ატარებდა.

თხის სიშავე დაკავშირებულია მიწის ნაყოფიერებასთან⁶³. ამავე აზრით ეწოდებოდა დიდმარხვის პირველ ორშაბათს „შავი ორშაბათი“⁶⁴ (ლაშეთი, ჩულური).

ამრიგად, „მურყვამობა-კვირიაობაში“ თხისტყავგადაცმული პერსონაჟების მონაწილეობა, თხასთან სექსუალური ურთიერთობის გამოხატვა, მისი წყალთან და ბუნების ნაყოფიერებასთან დაკავშირება, კვირიას ბერის ეპითეტით მოხსენება, ჩვენი აზრით, უნდა მიუთითებდეს კვირიას კულტთან თხის კავშირზე, რაც, თავის მხრივ, სვამის საკითხს კვირიას „ბოსელ-ბოსლასთან“ კავშირის შესახებ.

„მელია-ტელეფიას“ მოსდევდა ორი ან სამსართულიანი ფერხული-სიმღერა, „მორილ-მიაქელა“ (მე-6 სავალდებულო წესი). აქაც, როგორც „მელია-ტელეფიაში“, სათაურად ორი სახელი გვაქვს — „მორილ“ და „მიაქელა“. ეს სიმღერა-ფერხული შეჯიბრის სახით ტარდებოდა. ზედა სართულის მეფერხულენი ექუმრებოდნენ. ქვედა სართულის მეფერხულეთ, რომ მოსტეხენ თავს, ბეჭები, ბეჭერის, თეძოს, ფეხს. ასევე მუქარით უპასუხებდნენ ქვედა სართულის მეფერხულენი. ბოლოს ქვედა სართულის შეფერხულენი გაიწევდნენ და ბეჭებზე მდგომ მომღერლებს ჩამოყრიდნენ. მსაგვსი სიმღერა-ფერხული, სახელწოდებით „მურამულდი ქელა“, როგორც საბავშვო თამაში, დამოწმებულია მხოლოდ

⁵⁹ გ. რ უ ხ ა ძ ე, აგრარული კულტები, სოფელი აკურა, გ. რ უ ხ ა ძ ი ს, ან. ლ ე კ ი ი - შ ვ ი ლ ი ს, ი. ჭ ყ ო ნ ი ა ს თანავტორობით, თბ., 1964, გვ. 134.

⁶⁰ ლ. შტერნბერგი, დასახ. ნაშრ., გვ. 414.

⁶¹ ი ქ ვ ე.

⁶² გ. ფ რ ე ზ ე რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

⁶³ გ. რ უ ხ ა ძ ე, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საწესო ნიღაბი, მასალები საქ. ეთნოგრაფიისათვის, ტ. VIII, 1955, გვ. 195.

⁶⁴ აღმოსავლეთ საქართველოშიაც (ქართლ-კახეთი) აშ დღეს შავ ორშაბათს უწოდებდნენ. მსგავს სახელწოდებას წარმოადგენდა ხევსურების კუმეტი დღე და ა. შ.

უშეგულში. იგი აღწერილი აქვს ბეს. ნიუარაძეს⁶⁵, და „მორილ-მიაქელას“ მსგავ-სი სიმღერა-ფერხული ჩანს.

სვანეთში მუავე წყალს ორი სახელწოდება აქვს: „სგიმ“ და „მორელ“, „მორილ“ იგივე „მორელ“ უნდა იყოს. „მიაქელა“, ჩანს, იგივე მიქელ (მიხეილ) შთავარანგელოზია, რომლის შოვალეობას წყაროს წყლების მფარველობაც შე-ადგენდა. ანალოგიურ ვითარებას ადასტურებს ვ. ბარდაველიძე აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებშიც, მათ მიერ „ნალექებსა და წყალთან... ასოცირებულია ადგილობრივ ღვთაებათა დიდი ნაწილი, მაგალითად „მიქელ წყაროს-თავისაც“, „გიორგი ნალვარიშვერიი“, „გიორგი ნიალვრის პირისაც“, „პეტრე ნალვარის პირისაც“, „მიქელ-წყალშუისაც“⁶⁶ და ა. შ.

სვანური „მიაქელა“ და ფშავ-ხევსურული „მიქელი“ ერთი და იგივე უნ-და იყოს, ხოლო „მორილი“⁶⁷ მიქეილის (მიხეილის), როგორც მუავე წყლისა და წყაროს წყლების მფარველი ღვთაების, ეპითეტი ჩანს.

„მორილ-მიაქელას“ სიმღერა-ფერხული შეიძლება ასახავდეს წყლის დახ-სისათვის გადახდილ შითიურ ბრძოლას. სვანეთში იშვიათია მოინახოს თქმუ-ლება, ზღაპარი, ლეგენდა, რომ მასში ზღვაზე და წყალზე არ იყოს ლაპარაკი. შავ ორშაბათს (რომელ დღესაც „მორილ-მიაქელა“ სრულდებოდა) სვანეთსა და ლეჩებუმში იცოდნენ წყლის გველეშაპისაგან დამხსნელი მითიური გმირების — უიველივას და მისი შეილის — ვაჟინას — სახელზე ქრის პურის და წყლის კურთხევა⁶⁸.

„მურყყამობა-კვირიაობის“ ერთ-ერთ „წესს“ (რაგით მეშვიდეს) წარმო-ადგენდა „გიორგის ჯვრის“ სიმღერა-ფერხული. სიმღერის ტექსტის მოკლე შინაახსი ასეთია: გიორგის ჯვრის ცხერვაშის მუავე წყალი უსვამს, მთის საუ-კეთესო ბალახი უჭამია (ამ მთას აიმღერის მიხედვით ელვაში პქვია). ელვაშს ქვემოთ წყალი გამოდის. ჯ წყალზე დგას წასქვილი, რომელშიც ქალი იმყო-ფება. ამ ქალს დიდი სასქესო ორგანო (Vulua) აქვს, მას „უტევს“ მამაკაცის თორმეტი სასქესო ორგანო, მაგრამ მაინც ვერ აქმაყოფილებენ.

სიმღერაში სექსუალობა საკმაო გაშრევლებული ფორმითაა ასახული. ამას-თანავე, არა ჩანს (რადგანაც ტექსტი ნაკლულია), თუ რა მიმართებაშია ამ ქალ-თან გიორგის ჯვარი. შესაძლებელია, ამ სიმღერის პირვანდელი სახელი „გი-ორგის ჯვარი“ არცი ყოფილიყო ეს სახელწოდება მას შემდეგ უნდა გაჩენი-ლიყო, რაც კვირიას ფუნქციების გარკვეული ნაწილი წმ. გიორგის უნდა დაყავ-შირებოდა. წმ. გიორგის კვირიასთან დაკავშირების საფუძველზე შეიძლება აიხსნებოდეს ლაშეთსა და ჩოლურში „კვირიას საგალობლის“ წმ. გიორგის სახელობისად მოსხესენიებაც.

⁶⁵ ბ. ნიუარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ალ. რობაჭიძის რედაქციით და წინასიტყვაობით I, ნაკვ., თბ., 1962. გვ. 134.

⁶⁶ В. Бардавелиძე, Древнейшие религиозные верования..., стр. 105.

⁶⁷ შესაძლებელია სიტყვაში «მორილ» ვეძა წყლების მფარველი ღვთაების სახელი იგული-სხმებოდეს.

⁶⁸ უიველივას და ვაჟინას სახელზე ცეცხლთან ძლიერ ახლოს დადგმულ სუფრაზე ქერის პურს დებდნენ წყლით გაგსებულ ჭურჭელთან ერთად და ოჯახის უფროსი მამაკაცი დაილო-ცებოდა ასე: «რას ხეცი გააჩინა, ხეცის ტერი უივერა, უიველივა და მის შეილ ვაჟინას შოონდოს» ამ წარმოსათქმელს მა მაკაცი სამჯერ იმეორებდა. ოჯახის დიდ-პატარა წევრი მასთან ერთად იმეორებდა სტყვას 『შოონდოს』. ამის შემდეგ წყალს აქცევდნენ, პურს მოსტეხდნენ ნაწილს და გადაგდებდნენ.

„მურყვამობა-კვირიაობის“ დღესასწაულის ბოლოს სრულდებოდა მე-8 სავალდებულო წესი — „ხეწე“. ეს სიმღერა-ფერხსული ნადირობის სცენას გამოხატავდა. მისი შინაარსი ასეთია (სრული ტექსტი ჭერ არ არის შოკვლეული):

„ვინ ხარ, შენ ხარ, მე ვარ.
ხეწეს ჰყავს კახაბერი.
კახაბერი ვარ, მონადირე ვარ.
უნადირობ ჭანგულდაშში,
ვკლავ ხარჯიხვებს.
არჩევებს არ ვაღრულობ.
ვკლავ ხარჯიხვებს,
დედალი ჯიხვები დანავარდობენ...“ (დასეირნობენ).

ტექსტის შინაარსიდან ჩანს, რომ კახაბერი (მონადირე) ხეწეს ჰყავს და იგი მხოლოდ ხარჯიხვებს კლავს, საფიქრებელია, რომ კახაბერს ხარჯიხვების ხოცვა დაუსჯელავ ვერ ჩაუვლიდა. ამ მხრივ იგი არ უნდა უპირისპირდებოდეს ზემოსვანურ ბეთქილს და რაჭველების (ღებელების) ივანე ქვაციხისელს.

თვით სახელი ხეწე ვის ან რას გულისხმობს, ძნელი სათქმელია. შესაძლებელია, იგი რომელიც ღვთაების ტაბუირებული სახელი იყოს (შდრ. სვანური „ხეწე“ — ნახო, შეხედო, „ლიწედ“ — შეხედვა).

საგაზაფხულო აგრარულ დღესასწაულებში სამონადირეო ყოფის ამსახველი ელემენტები ძალზე ღარიბადაა წარმოდგენილი, რაც, სამონადირეო მეურნეობასთან შედარებით, მესაქონლეობის და მიწათმოქმედების უპირატესი მნიშვნელობით უნდა აიხსნებოდეს.

დაღუპული მონადირის მოსახენიებელ რიტუალებს და ფალიქური (ტოტებისტურ-ორგიასტული) ხასიათის წეს-ჩვეულებებს, ზოგი მეცნიერის აზრით, საერთო წყარო ასაზრდოებდა⁶⁹. ამით უნდა აიხსნებოდეს „მურყვამობა-კვირიაობაში“, სამონადირეო კულტის ამსახველი წეს-ჩვეულებების არსებობა („ბეთქილი“, ლაშეური „დათვობია“, „ხეწე“ და ა. შ.).

„მურყვამობა-კვირიაობის“ დღესასწაულზე სრულდებოდა აგრეთვე საბუმარო სიმღერები — „თავგი დავნაყე, დავნაყე“, „რაც საჩალვადროდ წასულა“) („ციცულ ლაქერთე ემჩედლი“), რომლებიც სხვა დროს არ სრულდებოდა.

ამ დღესასწაულზე სრულდებოდა აგრეთვე არასავალდებულო სიმღერა-ფერხსულები: „ლილე“, „ლოგუშედა“, „იაუ ქალდი ბებუცია“, „ჯგერაგ“, ამირანის ფერხსული, ცეკვები, სპორტული შეჯიბრებები — თოვზე გასვლა, რბენა და სხვ.

ამრიგად, ირკვევა, რომ „მურყვამობა-კვირიაობა“, რომელიც აგრარულ კულტის ასავდა, მიძღვნილი იყო კვირიასადმი. ამ ღვთაების ნაყოფიერების ძალას ასახიერებდნენ ქვემოსვანური ტელეფია, აღრეკილად და ბეროლი (ბერიკა), ზემოსვანური — საქმისაც, კეისარი და ყაენი, აგრეთვე ზოომორფული არსებები — თხა, მელა და ა. შ.

„მურყვამობა-კვირიაობაში“ ჩანს ნაყოფიერების კულტის სამიწათმოქმედო კულტზე გადასვლა, რაც საქართველოში მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარების ეპოქას უნდა უმთხვეოდეს. აგრარულ კულტში ფალი-კურმა რიტუალებმა ცენტრალური აღგილი დაიკავეს, რადგანაც ფალოი, რო-

⁶⁹ ი. ს ე მ ი ო ნ ი ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 439.

გორც ნაყოფის მომცემი, ნაყოფიერების ღვთაების მთავარ სიმბოლოდ იქნა წარმოდგენილი. ამ ეპოქაში ნაღირობამ თანდათან დაკარგა აღრინდები სამეურნეო მნიშვნელობა. ამ პროცესის ამსახველი მოტივებიც ჩანს ამ მისტერიალურ სანახაობაში.

საქართველოში მიწათმოქმედების დაწინაურების ნიშნები უკვე ნეოლითურ კულტურაში შეინიშნება⁷⁰, ხოლო საქართველოს „მთაში მეტალურგიისა და მესაქონლეობის დაწინაურება აღრე ბრინჯაოს ხანაში ისახება და მომდევნობერიოდში უფრო მაღალ საფეხურზე აღის“⁷¹. გ. მელიქიშვილის აზრით, ბრინჯაოს ხანაში დასავლეთ საქართველოს ბარში წამყვან როლს მიწათმოქმედება ასრულებდა მაშინ, როცა აქ, მთის ზოლში, წამყვანი იყო მესაქონლეობა. ამასთან ერთად, ბარშიც, რამდენადაც არქეოლოგიური მასალის მიხედვით შეიძლება მსჯელობა, მოსახლეობა მისდევდა მესაქონლეობას ისევე, როგორც ამ პერიოდში მთის ზოლის მოსახლეობისათვის უცხო არ იყო მიწათმოქმედება⁷². ო. ჯაფარიძის აზრით, შეუა ბრინჯაოს ხანაში იწყება პირველყოფილი საზოგადოების რღვევის პროცესი⁷³, რასაც ემთხვევა, აგრეთვე, გვაროვნული არისტოკრატიის გამოყოფა, დიდი სატომო კავშირების შექმნა და ვრცელ ტერიტორიებზე ერთგვაროვანი კულტურების არების შექმნა⁷⁴. ამავე ხანაში საქართველოში სამიწათმოქმედო კულტურებიდან თესავდნენ ხორბალს, ქერს, ფეტეს. დაწყო განვითარება მევენახეობამ. ამავე დროს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მესაქონლეობას. შინაური საქონლიდან აშენებდნენ ცხვარ-თხას, ძროხას, ღორს, ცხენს⁷⁵. სწორედ ამ ეპოქაში (აღრე და შეუა ბრინჯაოს ხანა) დიდი სატომო კავშირების და საერთო-ქართველური კულტურის არეალის შექმნის პროცესში უნდა ჩამოყალიბებულიყო ნაყოფიერების საერთო ქართველური ღვთაების, კვირის, კულტი. ამ კულტს შეეგუა უძველესი პერიოდიდან შოძდინარე არა მარტო ფალიკური, არამედ ისეთი რიტუალებიც, რომელთაგან ბევრი სრულდებოდა ისე, რომ მათ დაკარგული ჰქონდათ დანიშნულება და ინერციის ძალით განაგრძობდნენ ასებობას. ამის ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ იმ ვაჟების საჯდომზე მუგუზლით ცემა, რომელიც პირველად იწყებდნენ მონაწილეობას აგრარულ დღესასწაულში, ან მამაკაცების თმის ცეცხლით შეტრუსვა (ზემოსვანური „ლამპრობა-კეისრობა“ და სხვა). აღნიშნული ელემენტები შორეული ინიციაციების გაქვავებულ რუდიმენტს შეიძლება წარმოადგენდნენ.

ნაყოფიერების ღვთაების კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები განიცდილენ ევოლუციას, პირველ რიგში ის სოციალური პირობების შესაბამისად, რომელთა წიალიდანაც ისინი საზრდლობდნენ და ვითარდებოდნენ. „აღამიანები, რომელიც ანვითარებენ თავიანთ მატერიალურ ურთიერთობას, ამ თავიანთ სინამდვილესთან ერთად ცვლიან აგრეთვე თავიანთ აზროვნებას და

⁷⁰ ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველი ტომების ისტორიისათვის, ლითონის წარმოების აღრეულ საფეხურზე, თბ., 1961, გვ. 241.

⁷¹ ი ქ ვ ე, გვ. 247.

⁷² გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ღ ი, საქართველოს კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955, გვ. 42.

⁷³ ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

⁷⁴ გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ღ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

⁷⁵ Г. М е л и к и ш в и л и, О происхождении грузинского народа, Тб., 1952, стр.

თავიანთი აზროვნების პროდუქტებს“⁷⁶. შრომითი ჩვევების დიდი მარაგი, მისი რაციონალური პროგრესი თანდათან აადვილებდა ადამიანთა საზოგადოების აზროვნების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას. ამასთან დაკავშირებით პრიმიტიული წარმოდგენები, რომლებიც ოდესლაც სერიოზულად სწამდათ გაშარ-ჟების, დაცინვის ობიექტი ხდება. ამით უნდა აიხსნას „მურყვამობა-კვირიაობის“ ზოგი რიტუალის საბავშვო თქმაშობად გადაქცევა. ამასთან ერთად, ამ დღესას-წაულის ზემოსვანური გარიანტის სახელშოდება „აღბა ლაღრალი“ თვით გა-მოხატავს იმ აზრს, რომ იგი გართობა-თამაშობაა და არა, ვთქვათ, რელიგიური დღესასწაული. აյ შეგვიძლია გამოვიყენოთ კვლავ მარქსის სიტყვები იმის შე-სახებ, რომ „ყოველი მითოლოგია სძლევს, იმორჩილებს და ასახიერებს ბუნე-ბის ძალებს ფანტაზიაში და ფანტაზიის საშუალებით, მაშასადამე, იგი ისპობა მათზე ნამდვილ ბატონობასთან ერთად“⁷⁷. ასე დაემართა ბევრ წარმართულ (აგრეთვე ქრისტიანულ) რწმენას, მათ შორის ბუნების აღორძინებისადმი ში-ძლვნილ დღესასწაულებსაც. მიუხედავად იმისა, რომ ამ დღესასწაულებში, გად-მონაშთების სახით, მყროლად, მაგრამ მაინც იყო წარმოდგენილი რელიგიურ-ბისტივური ხასიათის მოტივები. ხალხი მათ (დღესასწაულებს) საერთო ხსიათს აძლევდა და ახდენდა საყუთარი ნიჭის და უნარის დემონსტრირებას. ქრის-ტიანული რელიგიის მორალთან შეუთავსებელი წესების შესრულება, მასიური, სახალხო ხსიათი აგრარულ დღესასწაულებს, „წმინდა“ ქრისტიანულ დღესას-წაულებთან შედარებით, უპირატესობას აძლევდა, რაც შას ეროვნული კულ-ტურის მთელი რიგი კარგი ტრადიციების შემანარჩუნებელ და განმავითარე-ბელ საშუალებად ხდიდა. პირველ რიგში ეს ეხება ისეთ შესანიშნავ ჩვეულე-ბებს, როგორიც იყო საუკეთესო სიმღერა-ფერხულების და ცეკვების შეგიბ-რის სახით შესრულება, სპორტის სხვადასხვა სახეებში (ჭიდაობა, „ბრძოლის“ სცენები, კრივი, რბენა და სხვა) ხალხის უნარის და ძალის გამოვლენა, თეატ-რალობის მთელი რიგი საინტერესო ელემენტების შენარჩუნება-განვითარება და სხვა.

⁷⁶ ქ. მარქ ს. ი, და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, გერმანული იდეოლოგიდან, სახელგამი, თბ., 1948, გვ. 95.

⁷⁷ ქ. მარქ ს. ი, პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკისათვის, თბ. 1932. გვ. 35.

30ლენ ქორიძე

გესახიონ გაბაშვილის ეროვა ჩუსეთში

(1787-1791 ჭლებში)

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჭავახიშვილის
სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა)

დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში ბესიკის რუსეთში ელჩობის საკითხი
სათანადოდ გაშუქებული არ არის**.

მართალია, აღნიშნული თემის შესასწავლად მცირე შასალა მოიპოვება,
მაგრამ მანაც შესაძლებელია რუსეთში ბესიკის მეთაურობით გამგზავრებული
ელჩობის შემადგენლობისა, ამოცანებისა და შედეგების გარკვევა, მარშრუტის
დიდი ნაწილისა და ქრონოლოგიური ჩარჩოების დაღვენა.

1783 წლის გოორგიესკის მფარველობითი ტრაქტატის გაფორმებით აღ-
მოსავლეთ საქართველო საბოლოოდ დაუკავშირდა რუსეთს. იმერელი პატ-
რიოტებიც რუსეთთან მფარველობითი კავშირის გაფორმებას ცდილობდნენ.
ამ მიზნით იმერეთის მეცე დავით გიორგის ძემ 1784 წლის სექტემბერში რუ-
სეთში ელჩობა გავზავნა (მაქსიმე კათალიკოსი, ჰურაბ წერეთელი, დავით კე-
ნიხიძე), თუმცა ამაოდ; თურქეთთან ურთიერთობის გამწვავების გამო პეტერ-
ბურგში მფარველობითი ტრაქტატის გაფორმებისაგან თავი შეიყავეს!

რუსეთის თავშეკავებული მოქმედება, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა მისი სა-
გარეო პოლიტიკის გეგმებიდან იმერეთის საკითხის მოხსნას. იმერეთთან დასა-
კავშირებლად რუსეთი ხელსაყრელი საერთაშორისო სიტუაციის შექმნას ელო-
დებოდა. რუსეთ-თურქეთის მოსალოდნელი მეორე ომის საზავო პირობების
პროექტში (მუხლი 2) გათვალისწინებული იყო იმერეთის თურქეთისაგან გა-
თვისუფლება².

თურქეთი ითვალისწინებდა რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის მიზნებს
და ყოველმხრივ ცდილობდა მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლას³. მისი

* წაკითხულია მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის,
არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკ-
თა სამეცნიერო კონფერენციაზე 1968 წლის აპრილში.

** ახლახან გამოქვეყნდა გ. გაჭარაძის მონოგრაფია—«ბესიკი დიპლომატიურ სარბილებე».
ამ ნაშრომით სარგებლობა ამჯერად, სამწუხაროდ, არ მოგვიხერხდა, რაღაც ჩვენი წერილი
უკვე მზად იყო გმოსაქვეყნებლად.

¹ АВПР ф. Сношения России с Грузией, 1774-1795, оп. 110/3, д. 457, лл. 144, 149, 150.

² ЦГВИА, ф. ВУА, д. 2374, л. 437.

³ ЦГВИА, ф. 52, оп. 1/194, д. 350, ч. 5. лл. 63-64; ვრცლად იხ. Н. Смирнов,
Шеих Мансур и его турецкие вдохновители, Журн. «Вопросы Истории», 1950, № 10.

გავლენით გახშირდა ლეკ-ოსმალთა ბანდების თარეში იმერეთის სამეფო საზღვრებზე⁴.

რუსეთ-თურქეთის უთანხმოებანი აღმოსავლეთში საქართველოს ბეჭანაც მციდროდ იყო დაკავშირებული და ომს ამზადებდა. ამიტომაც ოსმალთაგან საქართველოს დასაცავად რუსეთის მიერ ჩატარებულ ლონისძიებებს (გაფრთხილება, შიმართვა, მოლაპარაკება) სასურველი შედეგი არ მოჰქმნდა.

დავით იმერთა მეფე დაუინებით ცდილობდა გამოსავლის პოვნას. იგი 1786 წლის ივლისში შეეცადა ერეკლესთან საერთო ენის გამონახვას, მაგრამ უშედებელი, თბილისიდან დაბრუნებული ელჩი ისებრი დაატყვევულ⁵. მდგომარეობას ფრიად ართულებდა ის გარემოება, რომ საქართველოს საკითხი ამ დროს საერთაშორისო (აკადემიის, თურქეთის, რუსეთის, ინგლისის, საურანგეთის, პოლუსის, შვეცაისა და პოლონეთის) ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული. იგივე საკითხი, როგორც სწორად მიუთითებს ჯევდეთი, რუსეთ-თურქეთის ომის გამოწვევის მთავარი მიზეზი იყო⁶; ეკატერინე II-ის განცხადებაშიც, რომელიც მან გააცეთა რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებასთან დაკავშირებით (1787 წლის 9 სექტემბერს), ომის გომოქვევ უმთავრეს მიზეზთა შორის სწორედ ქართლკახეთის სამეფოს მფარველობაში მიღებაა დასახელებული⁸.

დროის შოგების მიზნით გ. პოტიომკინმა ეკატერინეს ყირიმის დათმობა ურჩია. იმპერატორმა არ მიიღო ეს წინადადება და სხვა ხერხებს მიმართ; პორტასთან დააწყო მოლაპარაკება 1783 წლის გიორგიევსკის ტრაქტატის გაუქმების შესახებ, მაგრამ აღარათერი გამოუვიდა⁹.

ახალი ვითარების შესაბამისად ამოქმედდა იმერეთის სამეფო კარი და ბესარიონ გამაშვილის (ბესიკის) მეთაურობით ელჩობა გაგზავნა რუსეთში¹⁰ — 1787 წლის მაისის ბოლოს.

ელჩობაში შედიოდნენ: სვიმონ გაბაშვილი, ანტონ გაბაშვილი¹¹, ლევონტი ნიუარაძე, ივანე ამირანაშვილი, დათუკა გრძელიძე, ივანე მეგრელი და ივანე

⁴ ცГВИА, ფ. 52, იუ. 1/194, დ. 366, გ. I, ლ. 78. ბურნაშვილის 1786 წ. 24 აგვისტოს მოხსენება პ. პოტიომკინისადმი.

⁵ ამის დასადასტურებლად 1786 წლის აგვისტოს 25 სტამბოლში გამოცემული ბრძანების მაგალითიც ქმარა, რომელიც ქართველ ტყვეთა ევვიპტეში წაყვანას და აზის პროვინციებში მათი გაყიდვის აკრძალვას ეხმადდა (АВПР, ფ. Сношения России с Турцией, დ. 675, ლ. 31-32 (1/12 сентябрь, 1786 გ.). ბრძანება ქალალზე დაწერილი დარჩა.

⁶ АВПР, ფ. Сношения России с Грузией, оп. 110/2, 1774-1804 გრ., დ. 18, ლ. 103-112.

⁷ Джевдეთ პაშა, Описание событий в Грузии и Черкесии по отношению к Отоманской Порте (1774-1784, «Русский архив», 1888, кн. I, стр. 39); აგრეთვე Сб. РИО, т. 26, 1878, стр. 530-536.

⁸ ცГВИА, ფ. ВУА, დ. 257, ლ. 4.

⁹ Сб. РИО, т. 47, 1885, стр. 60.

¹⁰ ელჩობის მეთაურად ბესიკის დანიშვნა შემთხვევით არ მოხსდარა, ქართველი და ახოვანი ვაკეაცი, ზედმიშვენით განათლებული და უცხო ენების მცოდნე, დავით გიორგისძის სანდო პირვენებაც იყო (ტახტისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში გაბაშვილებმა მას დაუჭირეს მხარი). იგი გავლენით სარგებლობდა იმერეთის სახელმწიფო საქმეებში. მეცე მას «მარად კეთილსაგონის ძმას» უწოდებდა (ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, მეექვსე გამოცემა, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს, და თ. თ თ ფ უ რ ი ა ს რედაქციით, 1962, თბ. გვ. 210, ქვემოთ ასე: ბ ე ს ი კ ი, თხზ. სრული კრებული).

¹¹ ელჩობის სიის ქართული ნაწილი დაბეჭდა ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე მ, 1936 წელს. მონაცემება ამ სიის რუსული თარგმანი (АВПР, ფ. Сношения России с Грузией, 1774-1804, დ. 18, ლ. 471-472); აქვეა მეორე სია საზრდოს აღნიშვნით (ფურც. 472). სიები შედგენილი

მიქელაძე¹². ელჩობის მიზანი იგივე იყო, რაც წინამორბედისა, მაგრამ წინა ელჩობისაგან განსხვავებით ბესარიონ გაბაშვილის მისიას შედარებით ხელსაყრელ პირობებში მოუხდა მუშაობა.

1787 წლის 29 მაისს გ. პოტიომკინისადმი¹³ ვადასაცემ მეფის წერილში¹⁴ ელჩობის მიზნებსა და ამოცანებზე კონკრეტულად არაფერია თქმული, უნდა ვითიქროთ, რომ იმერეთის სრულუფლებიან დესპანს პირობების შესაბამისად უნდა ემოქმედნა. ისე კი ელჩობის ძირითადი მიზანი რუსეთის მფარველობაში იმერეთის მიღება იყო.

აქერეთიდან ელჩობის გამგზავრების სამი თვის შემდეგ (1787 წ. 13 აგვისტოს) რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყო. ასეთ საერთაშორისო ვითარებაში სწორ ისტორიულ პერსპექტივებზე დამყარებულ ბესიქის ელჩობას¹⁵ დადებითი შედეგები უნდა გამოეღო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

ახალ ვითარებაში ელჩობის ძირითადი მიზნები და ამოცანები ნაშილობრივ შეიცვალა; წინა პლაზე დადგა დასავლეთ საქართველოდან თურქეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების გაშლის ამოცანა.

რუსეთი არ აპირებდა საქართველოს მხრიდან თურქეთის წინააღმდეგ მოის წარმოებას. ამიტომ გიორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული საქართველოში მყოფი ჯარიც გაიწვიეს. პოტიომკინისა და ზუბერვის გეგმები — მფლობელობა-მფარველობა გაევრცელებინათ მთლიანად საქართველოზე და მის მეზობლებზე — ჩაიშალა; თურქეთმა დროულად მიიღო საწინააღმდეგო ზომები და კავკასიის მაპამაღიანი მფლობელები რუსეთის წინააღმდეგ აამოქმედა. ამიტომ რუსეთისათვის ხელსაყრელი არ იყო მეორე ფრონტის გახსნა.

როგორც წინა ომში, ასევე ახლაც აქერეთის სამეფო (და საქართველო მთლიანად) რუსეთის ერთგულ მოკავშირედ გამოვიდა. გიორგიევსკის ტრაქტატი იმერეთს არ ეხებოდა, მაგრამ რუსული ორიენტაცია საკმაოდ ძლიერი იყო. ამიტომ ოსმალეთმა ომის გამოცხადებისთანავე დაიწყო პროვოკაციული საომარი მოქმედებანი იმერეთში.

უნდა იყოს 1791 წ. დეკემბერში, ყოველ შემთხვევაში ბესიქის გარდაცვალების შემდეგ, რადგან საბუთის სათაურია: «მიცვალებულის იმერეთის ელჩის დარჩომილნი». ანტონ გაბაშვილი ასტრახანიდან 1791 წლის გაუგზავნია მაქსიმე კათალიკოსს წერილებით (АВПР, Ф. Сношения России с Грузией, 1774-1804, д. 18, л. 471). 1792 წლის ჩანაწერებში ვკითხულობთ: «Курьер Грузинской артилерией Капитан Туркистанов и Имеретинской чиновник Габашвилов прибывшие прошлого 791-го и его светлости с депешами» (АВПР დასახ. ფუნდი, ფურც. 507).

უწყისში მოხსენიებული ელჩობის მდივანი გაბაშვილი» (იქვე, ფურც. 472) აშკარაა, რომ ანტონ გაბაშვილია; ამის შესახებ ქვემოთ.

¹² ივანე მიქელაძე რუსეთის სამსახურში მყოფი ქართველი ოფიცერი უნდა იყოს და არა იმერეთიდან ჩასული ელჩი (АВПР. Ф. Сношения России с Грузией, 1774-1804, д. 18, л. 472).

¹³ საქართველოსთან ურთიერთობის საკითხები უშუალოდ გ. პოტიომკინს ევალებოდა (АВПР, ф. Сношения России с Грузией, оп. 110/2. д. 18, л. 103).

¹⁴ ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, 1960, თბ., გვ. 191—192 (დასავლეთ საქართველოს საბუთები); ცГВИА, ფ. 52, ი. 1/194, დ. 416. გ. I, ლ. 395.

¹⁵ «ესპერლად ვიცოდით, რომ ეს დროები და საქმე შემოვიდოდა და გამოცხადდებოდა», — სწერდა ბესიქი 1788 წლის 2 ივნისის წერილში რუსეთის მოხელეს (იხ. ბესიქი, თხზ. სრული კრებული, გვ. 195).

1787 წლის ივნისის ბოლოს (თუ ივლისის დასაწყისში) ბესიკი ეკატერინო-გრაფში შეხვდა პავლე პოტიომკინს და წერილი გადასცა, ხოლო 12 ივლისს მოზღვები მაქსიმე კათალიკოსი მოინახულა¹⁶.

პ. პოტიომკინმა იმერთა ელჩობა მეფის წერილით მოზღვიდან კრემენ-ჩუგში გრ. პოტიომკინთან გაისტუმრა¹⁷.

1787 წლის აგვისტოს ბოლოს იმერთა ელჩობა კრემენჩუგში¹⁸ (უკრაინა) ჩავიდა¹⁹. ბესიკმა აქ დაიწყო დაუცხრომელი დიპლომატიური საქმიანობა. გაბაშვილი 1788 წ. 2 ივნისის წერილით²⁰ რუსეთისაგან მოითხოვდა დასავლეთ საქართველოდან ოსმალთა წინააღმდეგ ძლიერი ფრონტის გახსნას, რუსეთ-საქართველოს მხედრობის დაუყოვნებლივ და ეფექტურ ამოქმედებას: „... თაორების სამტროს დროებს ჩვენ ვეღარ ვნახავთ ამისთანას... და თუ ახლა, ამისთანას დროს, ჩვენი მეფე და მისი მხედრობა აქედამ ახლაც (იგულისმება 1784-1786 წლების ელჩობის შედეგები — ვ. ქ.), უპასუხოდ დარჩნენ, ვიცი რომ შტერსი სიმაგრეს შეიმატებენ და ჩვენც უიმედოს ფიქრით სიმარჯვეს ვეღარ მივიდებთ და ახლანდელი საქმის სიადვილე მერმე სიძნელეში შევა“²¹. ეს მოთხოვნა ორივე ქვეყნის ინტერესების თვალსაზრისით სწორი და სამართლიანი იყო. მხოლოდ ამ ღონისძიების განხორციელებით შეიძლებოდა მიღწეულიყო ასმარანის აღრიცხვის მისწრაფებების აღავგვა, მიტაცებული აჭარა-ქობულეთის, ახალციხის და საქართველოს კუთვნილი სხვა მიწა-წყლის გამოხსნა, ავრეთვე, ბალკანეთზე რუსეთის ჯარისთვის მდგომარეობის შემსუბუქება.

დესპანს კარგად მოეხსენებოდა, რომ რუსეთი წინააღმდეგი არ იქნებოდა, თუ საქართველო საკუთარი ძალებით დაესხმოდა თავს თურქეთის სამფლობელოებს ამიერკავკასიაში, ვინაიდან ამით რუსეთის მდგომარეობა შემსუბუქდებოდა ბალკანეთში. ამიტომ ბესიკი სრულიად სამართლიანად მოითხოვდა რუსეთის მხრივ პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას²².

დავით იმერთა მეფეს რუსეთის სარდლობისათვის საიდუმლო ცნობებიც გაუგზავნია თურქთა სამხედრო მოქმედების გეგმის შესახებ²³.

იმერეთის პოლიტიკისების ელჩობაზე დამყარებული იმედების განხორციელება იგვიანებდა. რუსეთის დიპლომატები იმერეთის ელჩებთან პირისპირ შეხვედრასაც ცი ერიდებოდნენ²⁴.

¹⁶ ЦГВИА, ф. 52, оп. 1/194, д. 416, ч. I, л. 392, მაქსიმე კათალიკოსის 1787 წლის 12 ივნისის წერილი პ. პოტიომკინს.

¹⁷ ი ქ ქ ე, ფ. 391.

¹⁸ სხვათა შორის ამ დროს კრემენჩუგში იმყოფებოდნენ ერეკლეს ქენი მირიანი და ანტონი, გ. ჭავჭავაძე, კაპიტანი გაბრიელ არეშოვი (ალბათ არეშიძე), გაიოზ არქიმანდრიტი (ალბათ გაიოზ რეზტორი) და ერეკლეს ოფიციალური რწმუნებული სულხან თუმანიშვილი. როგორც ბესიკის იმდროინდელ ლექსებიდან ჩანს, მას მიმოსულა და პოტური მიმოწერა პეტონდა მირიანთან და ქართლ-ჯანეთის სხვა წარმომადგენლებთან.

¹⁹ ЦГАДА, разр: XI, д. 948, лл. 232—233, აგრეთვე, разр. XV, д. 192, лл. 6, 7, 7 об; АВПР, Ф. Сношения России с Грузией, 1774—1804, д. 18, л. 141.

²⁰ ბესიკმა ეს წერილი გაუგზავნა პოტიომკინის კანცელარიის უფროსს ვ. ს. პოპოვს (ა. იოსელიანს აღრესატი ბურნაშევი პგონია, შდრ. მასალები. საქ. და კავკ. ისტორიისათვის; ნაკვ. 34, 1964, გვ. 85—93).

²¹ ბ ე ს ი კ ე, თხზ. სრული კრებული, გვ. 195.

²² იქვე.

²³ იქვე, გვ. 194.

²⁴ იქვე, გვ. 196.

1789 წლის მაისში დავით მეფემ მოყითხვის წიგნი გაუგზავნა რუსეთში შეცვლის და დაბრუნება ურჩია²⁵.

1789 წ-ის 14 ივნისს წერილით იმერთა მეფე ელჩის აცნობებდა აფხაზეთის შთავართან ურთიერთობის გაუმჯობესებას, რომელსაც რუსეთის მფარველობის შობოვების დაპირიდა. ამიტომ მეფე ბესიქს მიუთითებს იღვაწოს ამ საკითხის შოსაგვარებლად, რადგან აფხაზეთის საქმე „არის დიდი შესამატი დიდისა რუსეთისათვისნ“²⁶. მეფისაგან დამოუკიდებლად 1789 წ-ის 2 ივლისს ბესიქს მოსკოვიდან წერილს უგზავნის მაქსიმე კათალიკოსი და სწერს იბრძოლოს იმერეთთან ერთად აფხაზეთის რუსეთის მფარველობაში მიღებაზე²⁷. 1789 წ. 2 ივლისს მაქსიმე კათალიკოსმა წერილი მისწერა გ. პოტიომპინსაც და სთხოვა ეღვაწა იმერეთის გამოხსნისათვის²⁸.

პოლიტიკური და დიპლომატიური შოსაზრებებით, რუსეთი საქართველოსთან ურთიერთყავშირს არ წყვეტდა. იგი იმერეთის სამეფოს გზადგაზა აწვდიდა ომის მიმდინარეობის ცნობებს და ამით ცდილობდა თავის მხარეზე შეენარჩუნებინა ქართველ პოლიტიკოსთა სიმპათიები და მისწრაფებანი: „... პეტრე თეკლოს, — წერდა დავით მეფე ბესიქს, — რომელიც ლინიაზედ იმყოფება ჩვენთვის წიგნი მოეწერა, ყოვლად მოწყალე ხელმწიფის გამარჯვება და ციხეების აღება ეხარებანა“²⁹.

XVIII ს-ის 80-იანი წლების დასასრულს რუსეთის მთავრობა დასთანხმდა ერეკლეს იმერეთში ტახტის კანონიერი შემკვიდრის დავით არჩილისძის გამეფებაზე. ამ გეგმას მიერჩნენ ზ. წერეთელი, ს. ლეონიძე და იმერელთა უმრავლესობაც.

1789 წ-ის 8 აგვისტოს ბესიქმა გ. პოტიომპინს პირადი მიღება სთხოვა³⁰. იმავე წლის 14 ოქტომბერს კრემენჩიუგიდან გასულ ბესიქს ეჭედავთ კიშინოვში (ალბათ, გ. პოტიომპინის ნებართვით). მიიღო თუ არა პირადად გ. პოტიომპინმა იმერეთის ელჩობის მეთაური, ამის თქმა ძნელია. ის კი ფაქტია, რომ 1789 წ-ის 10 სექტემბერს გ. პოტიომპინის კანცელარიას მიუღია იმერთა შეფის 1789 წ-ის 14 ივნისის და მაქსიმე კათალიკოსის 1789 წ-ის ივლისში მოსკოვიდან ბესიკისათვის გვიმოგზავნილი წერილები³¹.

1789 წ-ის სექტემბერში ბესიქს გ. პოტიომპინისადმი წარდგენილი მოხსენებითი ბარათით ასეთი წინადადებები წამოუყენებია:

²⁵ ბ ე ს ი კ ი, თხ. სრული კრებული, გვ. 210. წერილს აქვს დ. კვინიხიძის მინაწერი: ასევე გვეცინდი, მაგრამ თქვენ უფრო ღილი ხანი დაიგვიანეთ (იქვე, გვ. 211).

²⁶ ცГАДА, რაპ. XI, დ. 948, ლ. 52—59.

²⁷ აქვე, ლ. 60—61.

²⁸ აქვე, რაპ. XV, დ. 192, ლ. 14—15; მაქსიმე კათალიკოსს მეორე წერილიც გაუგზავნია (1789 წ. ივლისი) ბესიკისათვის (როგორც ჩანს, ბესიქის 1789 წ. 11 ივლისის წერილის პასუხსაც). მაქსიმე კათალიკოსის წერილები ახალს არაფერს შეიცვენ, მისი აზრები იმერეთის ღიბლომატების აღრე მიღებული გადაწყვეტილებების ანარეკლია მხოლოდ. მასალები იმერეთიდან მიღებული ცნობების დასადასტურებლად და კათალიკოსის პოზიციის გასარჩევებად გმოდგებოდა, რასაც ელჩობის სწორი თრიენტირებისათვის მაინც ღილი მნიშვნელობა ჰქონდა.

²⁹ ბ ე ს ი კ ი, თხ. სრული კრებული, გვ. 211.

³⁰ ცГВИА, ფ. 52, იპ. 194, დ. 20, ზ. 5, ლ. 46.

³¹ ცГАДА, რაპ. XI, დ. 948, ლ. 58—61, აგრეთვა რაპ. XV, დ. 192, ლ. 14—16.

1. იმერეთი რუსეთის მხარეზე ომში ჩაებმებოდა, ხოლო რუსეთს იმერეთის მიერ მოში დაპყრობილი აღგილები ტრაქტატით უნდა დაემტკიცებინა.

2. იმერეთის ომში ჩაბმის დროს რუსეთი ქართულ სამეფოს მხოლოდ საჭურვლითა და დიპლომატიური მხარდაჭერით უნდა დახმარებოდა („არცა სხვითა კადრებითა, არამედ მხოლოდ ოდენ სიმართლითა და საჭურულითა და ერეთუშ საზრდელითა“).

3. იმერეთის მეფე დავითი რუსეთის ერთგულებისათვის დაიმედებული უნდა ყოფილიყო მფარველობით და დაეჭილდობინათ ორდენით.

4. იმერეთის მეფეს უნდა მისცემოდა განკარგულება აფხაზეთის საკითხზე, რადგან აფხაზეთზე იყო დამოკიდებული ყუბანის პოზიციების სიმტკიცე („ვინაითგან იგინი უიმათოდ ყოვლის მათის ღონისძიების შეუძლებელ არიან“).

დასასრულ, ბესიქს ეჭვი შექვინდა ერეკლეს დიპლომატების მტრულ მოქმედებაში და ითხოვდა ყველა წერილის თარგმნას გ. პოტიომკინთა³².

ერეკლესთან დამოკიდებულებას (აღრესატის დაუსახლებლად) ბესიკი ეჭება 1789 წ. 14 ოქტომბრისა და 1790 წ.-ის 8 მარტის წერილებში³³.

დავით არჩილის ძის მოსალოდნელი გამეფებით შეწუხებული დავით გიორგის ძის მომხრე ბესიკი, რა თქმა უნდა, ყოველმხრივ შეეცდებოდა რუსეთან ერეკლეს ურთიერთობის გამწვავებას. ბესიკის ამგვარი მოქმედება პიროვნულ ამბებთან იყო დაკავშირებული. ამასვე აპირობებდა ერეკლეს დაპლომატიის პერსპექტიულობა და იმერეთში შექმნილი შდგომარეობაც³⁴.

როგორც პოლიტიკოსი და დიპლომატი, ბესიკი ცდებოდა, როდესაც ერეკლეს მტრული მოქმედებით ცდილობდა რუსეთის მფარველობაში იმერეთის აყვანის შეფერხების მიზეზის ახსნას; სინამდვილეში რუსეთ-იმერეთის ურთიერთობის დროებითი შესუსტება გამოწვეული იყო მხოლოდ რუსეთის პოლიტიკური და დიპლომატიური მოსაზრებით.

ბესიკის ცდა, რუსეთის დახმარებით მიეღწია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან თურქთა წინააღმდეგ აქტიური სამხედრო მოქმედების გაშლი-სათვის, უშედეგო გამოდგა; რუსეთის სარდლობა თავს იკავებდა და მტრის წინააღმდეგ მხოლოდ საკუთარი ძალებით გამოსვლების მომხრედ აჩებოდა. იმერეთს კი უჭირდა რუსეთის სამხედრო დახმარების გარეშე თავის დაცვა.

კიშინიოვიდან ბესიკი კვლავ კრემენჩუგში დაბრუნებულა და 1789 წლის 5 დეკემბერს მოხსენებითი ბარათი შეუდგენია გ. პოტიომკინისათვის გადასაცემად³⁵. ამ დოკუმენტში წამოყენებულია ასეთი წინადაღებები:

³² ЦГАДА разр. XV, д. 192, л. 5.

³³ ბ ე ს ი კ ი, თხ. სრული კრებული, გვ. 196-197, 200-202.

³⁴ ჩანს, ბესიკს არ სცოდნია დავით გიორგის ძის ტახტიდან გადაყენება (1789 წ. ივლისი). გრ. პოტიომკინის ეს ამბავი ჯარების სარდალ სალტიკოვის 1789 წლის 18 აგვისტოს გიორგივ-სკიდან გაგზავნილი წერილით ეცნობა (ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 520, лл. 10—14). 1790 წლის 9 იანვრის ბარათით ბესიკს პოტიომკინისათვის იმერეთში დაბრუნება უთხოვია, 9 მარტს კი—ივანე მიქელაძის ასტრახანში მაქსიმე კათალიკოსთან გაგზავნა (ЦГАДА, разр. XV, д. 192, л. 13). მიზანი ალბათ იმერეთის ამბების სწორად შეტყობით იყო და არა მაქსიმე კათალიკოსის დარიგება, ერეკლეს რომ შეცდომაში არ შეეყვანა, როგორც საბუთში წერია (იქვე); ცნობილია, რომ დავით გიორგის ძემ კვლავ შესძლო ტახტზე დროებით დაბრუნება, ხოლო ცოტა ხნით იმერეთი არეულობამ და „უუფროსობამ“ მოიცავა.

³⁵ ЦГВИА, ф. 52, оп. 194, д. 20, ч. V, л. 50. ეს მოხსენებითი ბარათი იმ დროს აღრესატს არ გადასცემია. ამის შესახებ იხ. ქვემოთ.

1. ოსმალთა დივერსიული საქმიანობის და ტყვეობით ვაჭრობის ასალაგმა-ვად ახალციხეს, ბათუმსა და ფოთში რუსეთის საკონსულოების გახსნა („რათა არღა შეიძლოს ოთამანის ქარმან დაფარული მტერობანი არცა გარეგნით, არცა შინაგან ქვეყანასა ჩვენსა“, „რათა დააყენოთ ჩვენის ქვეყნების ტყვის გა-ყიდვა“).

2. აფხაზეთის თურქთაგან განთავისუფლება და იმერეთის მსგავსად მის მფარველობაში მიღება. ამასთან, ბათუმისა და ფოთის განთავისუფლება.

3. ადგილობრივ ნავსაყუდლებზე რუსეთის სასარგებლოდ ვაჭრობა-აღებ-მიცემობის გაძლიერება³⁶.

რუსეთის დახმარებითა და მფარველობით იმერეთი იმედოვნებდა ოსმა-ლეთის მიერ შიტაცებული მიწების დაბრუნებას და ქვეყნის დამოუკიდებლო-ბის უზრუნველყოფას.

აღნიშნული წერილი დაწერილია შექმნილი რთული საერთაშორისო მდგო-მარეობის ბრწყინვალედ ცოდნის და გააზრების საფუძველზე.

ბესიკმა კარგად იცოდა, რომ თურქეთი რუსეთთან ბრძოლაში მარტო არ იყო; ამიტომ, სრულიად სამართლიანად, თურქეთთან ომის პირობებში სთავა-ზობდა რუსეთს საიდუმლო კავშირის გაფორმებას და მთლილ ამის ზემდეგ ღლუთქვემდა „იმერეთიდან დაფარულს ძალის შემატებას... ოსმალთა ვნებასა ზედა“. ბესიკ მხოლოდ „ამ სახის დადებით“ მიაჩნდა შესაძლებლად იმერეთის რუსეთის მხარეზე ომში ჩაბმა და ბათუმისა და ფოთის ოსმალთაგან განთავი-სუფლება. ეს უკანასკნელი მოსაზრება არ იყო რეალურ საფუძველს მოკლე-ბული, რადგან თურქეთის მთელი ძალები თავიზურილი იყო ბალკანებში და თავრიზში³⁷; მხოლოდ ჯარების უმნიშვნელო რაოდენობა იმყოფებოდა დასვ-ლეთ საქართველოს შევიზღვისპირა ციხეებში, როგორც ჩანს, იმერეთს ასეთა პოლიტიკით რუსეთ-ერკლეს ურთიერთობის შესუსტებაც სურდა.

რუსეთმა იმერეთთან საიდუმლო ხელშეკრულების გაფორმებას თავი მო-არიდა, რადგან თურქეთთან ზავის დადება ეჩქარებოდა და იმერეთის ომში ჩაბმის მომხრედ არ გამოვიდა. 1789 წელს, ერეკლე მეფის ბრძანებით, დავით ბატონიშვილის მიერ თურქეთის ტერიტორიაზე მოწყობილი სამხედრო რეიდი³⁸ იმერეთის აღნიშნული პოლიტიკის საწინააღმდეგოდ ჩატარებულ აქტად გვე-სახება. ამით ერეკლე ხახს უსვამდა ამიერკავკასიში მის ძლიერებას და რუსე-თის ყურადღებას თავისკენ იზიდავდა.

1789 წელს აფხაზეთ-იმერთა კათალიკოსმა და ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ მაქსიმე მოსკოვიდან ბესიკს ბარათი გაუგზავნა, რომელშიც ლაპა-რაკი იყო რუსეთ-თურქეთს შორის მოსალოდნელ ზავზე. მაქსიმე აფრთხილებ-და ელჩს რუსეთ-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკების დროს „შერიგებაში რომ ჩვენი კაცი არ დაესწროს, ჩვენთვის ავია... უშენობა კი არ იქნება“³⁹. კათალი-

³⁶ ბესიკი, თხ. სრული კრებული, გვ. 198—199; აგრეთვე, საქ. სახ. მუზეუმის ისტო-რიული დოკუმენტები და არქივები, II, თბ., 1953, გვ. 14—15. ცГВИА, ფ. 52, იუ. 194, დ. 20, ჩ. V, ლ. 50.

³⁷ ცГВИА, ფ. 52, იუ. 1/194, დ. 481, ლ. 81.

³⁸ დ. ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამოცემა, თბ., 1941, გვ. 20.

³⁹ ა. იოსელიანი, ბესიკი და რუსეთ-ოსმალეთის ომი (1787—1791), გაზ. «ლიტერა-ტურა და ხელოვნება» 11. XI. 51. ცГАДА, რაზ. XI, დ. 948, ლ. 61.

კოსის რწმენით, რუსეთი იმერეთს გამოიხსნდა და სამშობლოში სიხარულით დაბრუნდებოდა⁴⁰.

1789 წლის 2 ივლისს შერილით მაქსიმე კათალიკოსი გრ. პოტიომპინს სთხოვდა, ელვაწა იმერეთის გამოხსნისათვის⁴¹.

რუსეთს ომის ჭარმოება მძიმე პირობებში უზღდებოდა. შვედების შემოტევების შეჩერება საგრძნობ სახსრებსა და ძალებს ნოქავდა. პოლონეთის სამეფოშიაც მღელვარება დაიწყო და იქ პრუსიისათვის თვალყურის დევნება იყო საჭირო, რათა მას შექმნილი მღვიმარეობა არ გამოეყენებინა და პოლონეთის ტერიტორიის მიტაცება არ დაესწრო. 1789 წელს საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციაც დაიწყო, რამაც ფეოდალური რუსეთი დააფიქრა, ამას უნდა დაემატოს ის მიზეზები, რომლებმაც პუგაჩოვის აჯანყება გამოიწვია რუსეთში.

1791 წ-ს „საბერძნეთის პროექტის“ და „ამიერკავკასიის გეგმის“ ქომაგი პოტიომპინი გარდაიცვალა. სპარსეთშიც წინათ არსებული მღვიმარეობა შეიცვალა; ირანის გასაერთიანებლად მძვინვარე ბრძოლა მთავრდებოდა — აღამაშად-ხანი მოწინააღმდეგებს ზედიზედ ამარცებდა და ამიერკავკასიის ხალხების კვლავ დამონებას ლამობდა. ასეთ პირობებში რუსეთს იმერეთზე ფიქრიც კი არ შეეძლო და თურქეთთან ზავის დადგებას ესჭრაფოდა.

1790 წლის 9 იანვარს იასში პოტიომპინის სახელშე მოხსენებაში ბესიკი დაუინებით ითხოვდა „მსწრაფლ ჭასვლას მამულად მისდა“; იგი შერდა: „... აღრე მოხდეს ჭასვლა ჩემი და ამით უმტეს მარგებლობას ელოდეთ, რომელ არს ძხრი კეთილი მეფისა ჩემისა და სამსახური იმისის იმპერატორების დიდებულებისადმი და აგრეთვე უმცირესი დაყენებაი ჩემი და უპასუხობა მასცემს სიმძიმესა კეთილსა აზრსა მისსა მღვიმარეობისამებრ მამულისა ჩვენისა. შეისათვის უმდაბლესად ვითხოვ თქვენის უგანათლებულესობისაგან, არ დააგდოთ მეფე ჩვენი უპასუხობა და ამით წარუმართოთ საზოგადო ვარგებლობა, აგრეთვე აუწყოთ აზრი იმისა და მშვიდობისა საზოგადოსა მტერსა ზედა და შეცემს შეტყობინებით დრო მეფესა ჩემსა, რათა ამით უკვე აღიღოს დროინად თვისი ზომა და საქმიად აჩენოს შეკრულება და ერთგულება თვისი რუსეთს“⁴².

გამოდის, რომ მიუხედავად მაქსიმე კათალიკოსის ჩემებისა — დარჩენილიყო და მოსალოდნელ საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობა შეიღო, ბესიკი იმერთა მეფის მითითების თანახმად, რუსეთის მთავრობას კატეგორიულად სთხოვდა პასუხით სამშობლოში გასტუმრებას⁴³.

ბესიკი თავისი დაბლომატიური სვლებით ცდილობდა, ერთი მხრივ, აეძულებინა რუსეთის მთავრობა დაუყოვნებლივ ეპასუხა იმერთა მეფის თხოვნაზე

⁴⁰ ქვევა.

⁴¹ ЦГАДА, разр. XV, д. 192, лл. 14-15.

⁴² ბესიკი, თხ. სრული კრებული, გვ. 199-200.

⁴³ 1789 წ. მაისის შერილით დავით ვიორგის ქეგაბაშვილს რუსეთიდან დაბრუნებას ურჩევდა (იხ. ბესიკი, თხ. სრული კრებული, გვ. 210); იმავე წელს მაქსიმე კათალიკოსი დესპანს რუსეთში დარჩენას და წინასწარ საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღებას ავალებდა. როგორ შევუთავსოთ ეს ორი ფაქტი ერთმანეთს? რა უფლება პეტრი კათალიკოსს ელჩისათვის ასეთი მითითება მიეცა? კათალიკოსის შერილი დაწერილია იმ დროს (1789 წ. 2 ივნისი), როცა იმერეთის ტახტისათვის ბრძოლა გაჩაღებული. როგორც ჩანს, რუსეთში მოქმედ ბესიკის ელჩიბის საქმიანობას ხელი რომ არ შეშლოდა, კათალიკოსს უტვირთა დროებით იმერეთის საგარეო პოლიტიკური ხელმძღვანელობა. შესაძლებელია ისიც, რომ იმერეთის პოლიტიკური ელჩიბისამდი უფრადღებობის შაშის გამო რუსეთს უმაღავდნენ კიდეც მეფის გადაყენებას.

და ამით ცდილობდა წარემართა „საზოგადო მარგებლობა“ მისთვის, ხოლო, შეორე მხრივ, დინჯად სთხოვდა რუსეთს ომის და მშვიდობის სკითხზე „მიეცეს შეტყობინებით ღრმ იმერეთის მეფესა, რათა ამით უკვე აღიღოს დროიანად თავისი ზომა და საკმაოდ აჩვენოს შეკრულება და ერთგულება თვისი რუსეთს“. საფიქრებელია, რომ იმერეთში არსებული შინა აშლილობა თავის გავლენას ახდენდა ბესიკის კატეგორიულ მოთხოვნებზე. ბესიკსაც ააღელვებდა იმერეთის ტახტზე ერეკლე შეფის შვილიშვილის მოსალოდნელი გამეფება; იმერეთის შინა აშლილობის ამბები ბესიკს აუცილებლად ეცოდინებოდა, რადგან მეფისა და კათალიკოსის მიერ გამოგვავნილი წერილების მომტანი უეჭველად სრულ ინფორმაციას გადასცემდა საგვნგებო დესპანს იმერეთის საშინაო მდგომარეობის შესახებ. გარდა ამისა, ელჩს უეჭველად დასჭირდებოდა საზავო მოლაპარაკება-ში მონაშვილეობის მიღებისას იმერეთის პოლიტიკოსთა აზრი და სათანადო მითითებული.

1790 წელს „ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული“ ხელ-შეკრულება დაიდო, ერეკლე II-სა, ერთი მხრივ, ხოლო სოლომონ II-სა, გრა-გოლ დადიანსა და სიმონ გურიელს შორის, მეორე მხრივ — „ეს იყო საერთო შტრის წინააღმდეგ სამხედრო კავშირის პირობა ერეკლეს მეთაურობით“⁴⁴.

1790 წელს იაშში რუსეთ-თურქეთის საზავო მოლაპარაკების მიმდინარეობის დროს ქართველ მეფე-მთავართა შეკავშირება პოლიტიკურ-დიპლომატი-ური მოსაზრებებით იყო ნაკარნახვი. დასაულეთ საქართველოს სამეფო-სამ-თავროების რუსეთის მფარველობაში შესვლის სურვილმა საქართველოს გაერ-თიანების იდეის წამოყენება გამოიწვია. მეფე-მთავართა 1790 წლის ტრაქტატი ერეკლემ რუსეთის საზავო დელაგაციის ხელმძღვანელს ა. ბეზბოროდკეს გა-უგზავნა⁴⁵. რუს დიპლომატებს იგი თურქეთთან საზავო მოლაპარაკების წარმო-ების დროს უნდა გამოეყენებინათ. იგი რუსეთს უფლებას აძლევდა საქართვე-ლოს ყველა სამეცნ-სამთავროს საქმეები მოეკითხა, მათი სახელით ელაპარა-კნა და ემოქმედნა.

ამრიგად, საქმე ეხებოდა არა ტრაქტატის რეალურ ძალას (ასეთი ძალა მას, სამწუხაროდ არც აღმოაჩნდა), არამედ საკითხის ფორმალურ მხარეს, ოფიცი-ალური დაცულენტის არსებობას, არც დიპლომატებს მოქმედების საშუალებას მისცემდა.

ეს იყო იშვიათად მოფიქრებული სკლა, დიპლომატიური სიბრძნის სამაგა-ლითო ნიმუში. ჩვენ ვერ დავადგინეთ, ვინ იყო ამ დიპლომატიური იდეის ავ-ტორი⁴⁶. გვგონია, რომ იგი იმერეთისა და ქართლ-კახეთის პოლიტიკოსთა ერ-თობლივი თანამშრომლობის ნაყოფი იყო.

იშვიალის აღების შემდეგ იაშში (რუსმინეთი) გამართულ წინასწარ საზა-ვო მოლაპარაკებაში ბესიკს მონაშვილეობა მიუღია, — წერს ავთ. იოსელიანი⁴⁷.

⁴⁴ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, საქარ-თველოს ისტორიის საკითხები, II, 1965, გვ. 236.

⁴⁵ Н. Г р и г о р о в и ч, Кანცлер, князь А. А. Безбородко в связи с событиями его времени, т. II, СПб., 1881 (Сборник РИО, т. 29), стр. 131.

⁴⁶ ვიცით მხოლოდ, რომ ხელშეკრულების დამუშვებასა და გაფორმებაში დიდი წვლი-ლი შეიტანა სოლომონ ლეონიძემ (Акты Кавказской Археографической Комиссии.) გვ. 323—324; აგრეთვე პ. იოსელიანი, ცხოვრება გოორგი შეცამეტისა, თბილისი, 1936, გვ. 23.

⁴⁷ ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ბესიკი და რუსეთ-ოსმალეთის ომი, იხ. გაზეთი «ლიტერატურა და ხელოვნება» 11/XI—1951 წ. ბესიკს საზავო მოლაპარაკებაში მონაშვილეობა არ მიუღია (გაზ-დაიცვალა 1791 წ. 24 იანვარს); წარმომაღვნების შესარჩევად წინასწარი თათბირი კი 1791.

ამის დამადასტურებელ საბუთებს მკვლევარი არ მიუთითებს. ის გარემოება, რომ 1790 წლის დამდეგიდან ბესიკი იასში გადავიდა (პოტიომენის ბანაკის გადანაცვლებასთან დაკავშირებით) ავთ. ისესელიანის მოსაზრების დასატეკი-ცებლად ვერ გამოღება. სინამდვილეში იმერეთის დიპლომატების მოთხოვნები საზავო კონფერენციაზე არ განუხილავთ⁴⁸.

1791 წ.-ის 27 სექტემბერს იმერეთის კათალიკოსმა მაქსიმემ გ. პოტიომენის თხოვნით მიმართა ზავის დადებისას არ დავიწყებოდათ იმერეთი და აფხაზეთი⁴⁹.

უფრო ადრე რუსეთს თავი შეასხენა ერეკლემაც.

ქართველ პოლიტიკოსთა აზრით დასავლეთ საქართველოს საკითხს იასის საზავო ხელშეკრულების მომზადების პერიოდში დიდი აღგილი უნდა დაეკავებინა. ოსე გაბაშვილის (ბესიკის ძმა) ცნობით, დავით გიორგის ძის ელჩობაში გ. პოტიომენითან მოლაპარაკებაში დიდ წარმატებას მიაღწია. ეკატერინე II-ის სახელით პოტიომენმა ბესიკს 12000 ჭარის საცისა და იმერეთის მეფე-დედოფლისათვის სამეფო ნიშნების ძვირფასი კომპლექტის გაგზავნა აღიარებული იყო, რუსეთის ჯარი შავი ზღვით აფხაზეთში უნდა გადასულიყო, მაგრამ ჯერ ბესიკის. ხოლო შემდეგ გ. პოტიომენის გარდაცვალებამ საქმის ვითორება მკვეთრად შეცვალა და ბესიკის დიპლომატიური მისიის წარმატებას ფასი დაუკარგა⁵⁰.

წერილში აღნიშნული ცნობები მეტად ბუნდოვანია და არასწორია; ოსე გაბაშვილმა ისიც კი არ იცის, თუ სად და როდის გარდაიცვალა მისი ქმა⁵¹. მით

წ. აგვისტოში დაწყო. მოლაპარაკება უნდა დაწყებულიყო 6 ოქტომბერს (ავპრ, ფ. ხოშნების მისი დაწყების თარიღი). მისი უდიდებულესობის ყ-დ მოწყალის კელმწიფის ეკატერინის წინაშე.

მაშინ ებოძებინა შესაწევნელად წინააღმდეგომთა მტერთა ზ-ა მხედრობა თორმეტი ათასი, და ერთი დენერალ მაიორი. ამას გარდა წყალობა და ნიშნები სამეფო:-

გვირგვინი სამეფო. სკიპტრი სამეფო. პორფირი სამეფო. ლურჯი კავალერი, ლერბი სა-დავითო სახლისა სამეფო. ღროშა სამეფო. ძვირფასი ბეჭედი. საათები ბრილიანტით მო/ო-ჭვილი სხუა და სხუა.

და თქვენის უმაღლესობისათვეს სადედოფლო ნივთები ებოძებინა შესაბამი თქვენისა დიდად მშვენიერებისა. ესენი მახსოვეს რომელიც ამაში აღწერილი არის ნიშნები. და თუ სხუა ნივთები რამდენ ყოფილიყო ბეჭითად აღარ მახსოვს. და ესენი ყოველივე დიდმან კნაზამის ძმას ბესარიონს აჩვენა და ჩაბარა, უნდა წამოსძღვროლა ზემო ოქმულს ლენერალ მაიორს ჩემი ძმას ბესარიონ, და შავი ზღვით აფხაზეთს უნდა გამოსრულ იყუნენ. ჩემს ძმას ბესარიონს შეემთხუა უბედურება და გარდაიცვალა. იმ უამად კრემენჩიკის ქალაქს და მუნ დაამარხვინა დიდმან კნაზამის (sic) სამიტროპოლიტოსა სობორისა შ-ა მერმეთ ჩემი ბიძაშვილი სეიმონ მოემზადებინა წამოსასვლელად ბესარიონის მაგივრად და ამის მზადებაში დიდი კნაზიც გარდაიცვალა, და ესრეთ დაშთა ამდენი მოწყალება მისის დიდებულების კელმწიფის ეკატერინისი:» (იხ. 1. ზაქარია არქიმანდრიტის და ოსე გაბაშვილის წერილები იმერეთის ყოფილ დედოფალ ანნას მიმართ (1814-1824 წ.წ.) 2. ოთან ხელაშვილის რონინი; ხელნაწერის უფლებით, პუბლიკორი და რედაქტორი სარგის კაკაბაძე, თბილისი, 1959 წ., გვ. 33).

⁵¹ ბესიკი გარდაიცვალა 1791 წლის 24 იანვარს ქ. იასში, როგორც ამას ზუსტად ვვარწ-მუნებს მისი საფლავის ქვის წარწერა; ქვა ამჟამად იასის ისტორიულ მუზეუმშია მოთავსებული. (Л. Бенеш, Грузинский поэт и дипломат в Ясах. Журн. «Руминия», 1966, №8, стр. 33.).

უმეტეს, მას ვერ მოვთხოვთ მოლაპარაკების ნამდვილი, კონკრეტული ფაქტების ცოდნას.

საარქივო მასალები ასეთი მოლაპარაკების შესახებ ღუშან. წყალობის მაძიებელ ოსე გაბაშვილს ბესიკის თაყვანის მცემელ, იმერეთის ყოფალი დედოფლის ანა ოჩელიანის სამებლად და გულის მოსაგებად დაჭირდა გაბაშვილის ელჩობის დამსახურების ასეთი გაზვიადება, სინამდვილეში კი ბესიკის ელჩობას წარმატება არ ჰქონია⁵².

ოსე გაბაშვილის აღნიშნული წერილი ზოგიერთი მკვლევარისათვის (აღ. ბარაშიძე⁵³, ს. ცაიშვილი⁵⁴, გ. ლეონიძე⁵⁵, ა. იოსელიანი⁵⁶) ბესიკის ელჩობის შედეგების არასწორი შეფასების საფუძველი გახდა.

ბესიკის ელჩობის შედეგების ამგვარი გაგება ეწინააღმდეგება ცნობილი დოკუმენტებისა და ბესიკის ლექსების შინაარსს.

სინამდვილეში საქართველოს ინტერესების დაცვა რუსეთისათვის მეორე-ხარისხოვანი საქმე იყო. ეს აშეარად ჩანს ა. ბეზბოროვკოს და ოსტერმანის 1788 წლის 16 დეკემბრის მოხსენებიდან. ისინი ეკატერინე II-ს ეკითხებოდნენ: „Самый затрудительный пункт споров с Портою есть дело о части Грузии, владеемой царем Ираклием... если Порта настоитъ будет на сей пункт как непременный для нее, то неужели для онаго разорвать мирные переговоры“⁵⁷.

აშეარაა, თურქეთს იასში რომ რუსეთისაგან დაუინებით მოეთხოვა ქართლ-კახეთის მთარველობაზე ხელის აღება, მას მძიმე შედეგები მოჰყვებოდა რუსეთ-იმერეთის ურთიერთობის განვითარებისათვისაც.

შეცვლილ ვითარებაში რუსეთის მთარებობამ ქართულ სამეცო სამთავროებთან ურთიერთობის გადასინჯვა გადაწყვიტა. ეკატერინე II-მ 1791 წლის 2 ოქტომბერს რუსკრიპტით ა. ბეზბოროვკოს დავალა აეწონ-დაეწონა აზიის საშეულო-სამთავროებთან ახლო კავშირის მიზანშეწონილობა; ეკატერინე უბრძანებდა: „Собрать подробные сведения о каждом из азиатских посланцев находящихся при покойном князе (იგულისხმება გ. პოტიომები, ვ. ქ.) купно мнением его, кого из них (по соображению обстоятельство, относящихся до მათ კავშირის სამთავროებთან) препроводить в С.-Петербург“⁵⁸.

⁵² გ. მაჭარაძე, რუსეთში ბესიკის ელჩობის საკითხისათვის (თეზისბი), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კაფედრის სამეცნიერო სესია, 1965, გვ. 17-19.

⁵³ აღ. ბარაძე ძე, ბესიკიონ გაბაშვილი, იხ. ბესიკი, თხზ. სრული კრებული, 1962, თბილისი, გვ. 12.

⁵⁴ ს. ცაიშვილი, 1962, თბილისი, გვ. 74.

⁵⁵ «ლიტერატურული გაზეთი», 29. VI, 56.

⁵⁶ «ლიტერატურა და ხელოვნება» 11, X—51.

⁵⁷ Григорович А. А., Безбородко, II. 523; აგრეთვე «Архив Государственного Совета», т. I, ч. 1, лл. 645-646.

1791 წ. 18 ნოემბერს ა. ბეზბოროვკო, რომელიც პოტიომების გარდაცვალების (1791 წ. 5/16 ოქტომბერი) შემდეგ ხელმძღვანელობდა იასში საზავო ხელშეკრულების გაფორმებას, საგარეო საქმეთა კოლეგის წევრს ა. ბარკოვს სწერდა: «Меня затрудняет проект о Грузии (იგულისხმებოდა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველო—ვ. ქ.). Он ничего не значит. Я бы мнения, чтобы его не упоминать, а самому после с собой решиться: по здравому рассудку и пользе» (Архив князя Воронцова, кн. XIII, М. 1879, стр. 230).

⁵⁸ Григорович А. А., Безбородко, II., 130.

ბეზბოროდკომ, ცხადია, იცოდა იმერეთში არსებული არაშეარი მდგომარეობის შესახებ. იგი 1790 წლის ერეკლეს მიერ გაგზავნილ ტრაქტატში⁵⁹ უკუკველად დაინახავდა მხოლოდ ქართლ-კახეთის სიძლიერეს. მართლაც იგი შედარებით ერეკლეს სამეფოთ დაინტერესდა და დასავლეთ საქართველოს საკითხი ჩრდილში მოექცა. საზავო მოლაპარაკების არცერთ სხდომაზე ერთხელაც კა არ უხსესნებიათ დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები და ოუ აღმოსავლეთ საქართველო ახსენეს, რა თქმა უნდა, მასში რუსეთისათვის ერეკლეს სამეფოს სარგებლიანობის შინაარსი იყო. რუსეთის მთავარი უყრადღება იმ დროს ბალკანეთისაკენ იყო მიეცეული: ისტორიულად მის ინტერესებს დუნაისის მიმდევარი და ბალკანეთი უპასუხებდა და სწორედ აქეთკენ იყო რუსეთის სამხრეთისაკენ სწრაფვის მთავარი მიმართულება; კავკასია კი ამის განხორციელების ხელის შემწყობ და მეორე რიგის ამოცას შეადგენდა. ამიტომაც „Вопрос о Грузии... в Яском договоре был обойден“⁶⁰.

1791 წლის 29 დეკემბერს (1792 წ. 9 იანვარი) იასში ბეზბოროდკომ ხელი მოაწერა თურქეთთან საზავო ხელშეკრულებას. ბესიკი ამ დროს ცოცხალი აღარ იყო.

ზავის დადებაში განსაზღვრული როლი ითამაშა ინგლისმა, რომელმაც შხარი დაუჭირა თურქეთს. ამიტომ კავკასიის საკითხი არც დასმულა განსაზილელად საზავო კონფერენციაზე მთელი სიგრძე-სიგანით.

იასის სამშვიდობო ხელშეკრულებაში დაადასტურა კაინარჯის ზავის პირობების ის მუხლი, რომელიც საქართველოს ეხებოდა (მუხლი 2). და თურქეთს დაავალა დაემტკიცებინა ფირმანით ახალციხისა და სხვა მოსაზღვრე ფაშებისათვის, რომ „ни тайно ни явно ни под каким видом не оскорбляли и не беспокоили земель владеемых царем Карталинским“ (მუხლი 5). თურქეთი კისრულობდა აგრეთვე ტყვეების დაბრუნებას (მუხლი 8)⁶¹. ყველა ეს ვალდებულება თურქეთს, საშუალებას უსპობდა ჩარეულიყო ქართული სამეფოს საშინაო საქმეებში. გიორგიევსკის ტრაქტატი თურქეთს არ უცვნია. რუსეთის დიპლომატიას ეს საკითხი არც აღუძრავს ევროპაში შექმნილი მდგომარეობის გამო.

ზავის პირობებში იმერეთის სამეფოზე ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი. თავისთვალი, კაინარჯის ზავის დადასტურება დასავლეთ საქართველოს თურქეთის გაფლუნის ქვეშ დატოვებას გულისხმობდა.

* * *

ბესარიონ გაბაშვილი ვერ მოესწრო რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრებას; ბესიკის დიპლომატიური მისია, რომლის ძირითად ამოცანას იმერეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შეუვანა შეადგენდა, ისევე უშედეგოდ დამთავრდა, როგორც მისი წინამობრბედი ელჩობა. 1787-1788 წლებშიც კი, როცა

⁵⁹ ერეკლე მეფემ 1790 წ. მეგობრობის ტრაქტატის ტექსტის ასლი წერილთან ერთად გაუგზავნა თავის წარმომადგენელს გაიოზ არქიმანდრიტს, რომელმაც ის 1791 წ.-ის 24 აგვისტოს ა. ბეზბოროდკომ გადასცა (АВПР, ф. Сношения России с Грузией. 1774-1804, д. 18, л. 143).

⁶⁰ Очерки истории СССР. XVIII век. II половина, 1959 г., 386. მტკიცება იხ. აზავიგნის გვ. 370.

⁶¹ Т. Юзефович. Договоры России с востоком. стр. 41—49.

რუსეთის თურქეთის წინააღმდეგ ოშში მოკავშირე სჭირდებოდა, პოტიომეკინ-მა არ მიიღო ბესიყის წინადადება თურქეთის წინააღმდეგ ოშში იმერეთის ჩაბ-მის შესახებ, რუსეთის სამეფო კარმა იმერეთს საიდუმლო კავშირის დადება-ზედაც უარი უთხრა.

1790 წელს სუვოროვის წარმატებებმა თურქეთი წელში გატეხა, მაგრამ რუსეთი ამის გაფართოების მაგივრად ზავის დადებას ესტრაფოლდა, რადგან წინა პლანზე საფრანგეთის ბურუაუზიული რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხმა წამოიწია. ცხადია, ასეთ პირობებში იმერეთის წინადადებაზე დათანხმება ოსმალეთთან ამის გაფართოებასა და გაჭირნურებას გამოიწვივდა. ეს კი რუსეთის ინტერესებს არ შეესაბამებოდა.

რუსეთის სამსახურში მყოფმა მთავარმა თარჯიმანმა სვიმონ ეგნატაშვილმა შუამდგომლობა იყისრა და სპეციალური წერილით მოახსენა რუსეთის კნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს ა. ბეზბოროვკოს (რომელიც პოტიომეკინის გარდაცვალების შემდეგ უშუალოდ განაგებდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხებს), რომ იმერეთიდან წარმოგზავნილი ბესარიონ გაბაშვილის ძმა, სვიმონ გაბაშვილი გარდაცვლილი დესპანის მოვალეობის შესრულებას შეუდგა⁶².

იმერეთის ელჩობის შედეგებზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს თვით ელჩების მძიმე მატერიალური მდგომარეობა, რომელიც მათ შეექმნათ ჯერ კიდევ თურქეთთან ზავის დადებამდე (ე. ი. 1791 წლის 29 დეკემბრამდე).

1791 წლის 3 დეკემბრის თარიღით „იმერეთის დესპანის ძმა (სენატდვილეში კი ბიძაშვილი), სვიმონ გაბაშვილი⁶³ მოხსენებას უდგენს „ბრწყინვალე

⁶² АВПР, Ф, Сношения России с Грузией, 1774—1804 гг. оп. 110/2, д. 18, л. 133.

ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ბესიყის გარშემო, თსუ შრომები, 1936, გვ. 157, ბ ე ს ი კ ი თხზულებათა სრული კრებული, გვ. 211.

სვიმონ გაბაშვილი ბესიყის ძმა არ ყოფილა, როგორც ეს ჰკონია ა. მარკოვას (იხ. О. М а р - к о в а, Россия, Закавказье и международное отношение в XVIII веке., М., 1966.).

ბესიყის ღვიძლი ძმა ოსუ სვიმონ გაბაშვილს უწოდებს ბიძაშვილს (ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ბესიყი, გვ. 071). ბესიყის ბიძაშვილად იცნობს სვიმონს რუსის მიტროპოლიტი იოანეც, რომელიც პირადად შეხვდა ისში იმერეთის ელჩებს (მიმოსვლა ანუ მგზავრობა იოან რუსისა მიტროპოლიტი, პ. იოსელიანის გამოცემა, ტფილისი, 1852, გვ. 111).

აკად. ა. ლ. ბარამიძის სამართლიანი შენიშვნით, სვიმონ გაბაშვილის ბესიყის ძმად გამოცხადება დიპლომატიური მოსაზრებებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ის გაბაშვილიც იყო და ბესიყის ახლო ნათესავიც (ბიძის შვილი). ბესიყის ძმად გამოცხადებით სვიმონის კანდიდატურას ელჩობის თანამდებობაზე, რასაკვირველია, მეტი სიმტკიცე მიეცემდა რუსეთის მთავრობის თვალში (თსუ შრომები, I, 1936, გვ. 154).

მაგრამ როგორც ბესიყ გაბაშვილის მიერ კიშინოვში 1789 წლის 14 ოქტომბერს შედეგინ წერილიდან ჩანს (წერილი გ. პოტიომეკინისადმი იყო მიწერილი), მასთან იმყოფება მისი ძმა (ბ ე ს ი კ ი, თხზ. სრული კრებული, გვ. 197). ძმში რომ აქ ბესიყი სვიმონს არ გულისხმობდა, გვარწმუნებს რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში დაცული ერთი საბუთი, რომელსაც სათაურად აქვს «მიცვალებულის იმერეთის ელჩის დარჩომილნი», სადაც ჩამოთვლილა «იმერეთის ელჩის მაგივრი სვიმონ გაბაოვი, მის უგანათლებულესობასთან კათალიკოსისაგან გამოგზავნილი ანტონ გაბაოვი, ლევონტი ნიკარაძე, ამირანაშვილი ივანე, ლასხნებილი დავით, დათუა გრძელიძე, ივანე მეერელი; პეტერიჩივ აფიარი ივანე მიქელაძე (АВПР, Ф. Сношения России с Грузией. 1774—1804. оп. 110/2, д. 18, л. 471).

ვფიქრობთ, რომ სწორედ აქ დასახლებული ანტონ გაბაშვილი იყო ბესიყის ძმა, რომელიც ჯერ კიდევ 1776 წელს ჩანს იმერეთის სამეფო კარის მდივნად (გ. ლ ე თ ნ ი ძ ე, ბესიყი, თბ., 1953, გვ. 101).

⁶³ სხვათა შრომის, ქუთაისის მუზეუმში დაცული ერთი საბუთიდან (№ 1417) ჩანს, რომ სვიმონ გაბაშვილი უნდა ყოფილიყო ბესიყის ღვიძლი ბიძის, დავითის შვილი. ბესიყისა და სვიმონისათვის თავადობა უბოძებიათ, ოდეს წარავლინეს «უმაღლესისა კარისადმი» ე. ი.

ლრაფს“ (ე. ი. ბეზბოროდკოს)⁶⁴, ამ მოხსენებით შუქი ეფინება ბესიყის ელჩობის ბოლო პერიოდს.

1. ბესიყს კრემენჩუგში ყოფნისას გამოუტხადებია პოტიომკინისათვის „ყოველივე მისი ე. ი. იმერთა მეფის სათხოველი“ (წერილს დართული აქვს ეს „სათხოველი“).

2. იმერეთის ტახტიდან დავით გიორგის ძის პირველი გადაღვისათვავე (1789 წ.) გამეფებულ დავით არჩილის ძეს (სოლომონ II-ს) შიქრიკი გაუგზავნია რუსეთში ბესიყთან და ელჩობის რწმუნებანი „პირველივე აზრი და სათხოველი“ წერილობით დამტკიცებადა⁶⁵. აქ ნახსენები სოლომონ II-ის წერილი პოტიომკინისადმი ჯერ არ არის ნაპოვნი, მაგრამ მის მიერ კურიერის გამოგზავნა და „პირველი აზრი და სათხოველის“ წერილობითი დამტკიცება ეჭვება არ იშვევს. იმერეთიდან გამოგზავნილი კურიერი ბესიყის ძმა „მის უგანათლებულესობასთან კათალიკოსისაგან გამოგზავნილი ანტონ გაბაოვი“ უნდა იყოს. იგი ბესიყთან ორჯერ ნამყოფი ჩანს:

1789 წლის 14 ოქტომბერის გრ. პოტიომკინისადმი მიწერილი ბესიყის წერილის ერთი ადგილი „...ვითხოვ, რათა ნება მომცეთ გასტუმრებათ დმისაჩემისა, რომელიცა მყოფ თბს ჩემთან აკავშირის — ვ. ქ.), თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც ადასტურებს ანტონ გაბაშვილის ბესიყთან ყოფნას. შესაძლებელია, ანტონს მოეტანოს ბესიყისათვის დავით გიორგის ძის 1789 წლის მაისით დათარიღებული წერილი და იმერეთის ამბები.

შეორედ ანტონი, 1789 წლის ბოლოსა თუ 1790 წლის დასაწყისში ბესიყთან სოლომონ II-ის დავალებით უნდა გამგზავრებულიყო („ეგრეთვე იმის სიმაღლეს (სოლომონ II — ვ. ქ.) კურიელი გამოეგზავნა...“). მისი გაგზავნით იმერეთის სამეფო კარი დავით გიორგის ძის ტახტიდან გადაყენებით აღელვებულ ბესიყსაც დამშვიდებდა და ახალი მეფისადმი ნდობასაც გაძლიერებდა. „შემდგომი კვლევა-ძიება და სოლომონ II-ს პოტიომკინისადმი მიწერილი წერილის პოვნა ამ საკითხებში შეტანას.“

შემდეგ კი ანტონ გაბაშვილს, როგორც „იმერეთის კურიერს“, რუსეთში მოღვაწე მაქსიმე კათალიკოსის 1791 წლის წერილები ჩაუტანია იასში. ამიტომაცა იგი „მის უგანათლებულესობასთან (გ. პოტიომკინთან — ვ. ქ.) კათალიკოსისაგან გამოგზავნილი ანტონ გაბაოვი“⁶⁷.

3. ბესიყის გარდაცვალებისთანავე რუსეთის მთავრობას ელჩებისათვის გაწერებული ულფის მიცემა შეუწყვეტია.

4. სვიმონ გაბაშვილს უთხოვია საქართველოში გაშვება. ს. ლაშქარაშვილის პირით პოტიომკინს პასუხად უბრძანებია: „მცირედს ხანს მომიცადეო და პეტერბრუსიდამ რომ გამოვბრუნდები, დაუყოვნებლივ გაგისტუმრებ სრულის პასუხითო“⁶⁸. გაბაშვილის ამ ცნობიდან ერთხელ კიდევ ნათლად ჩანს, თუ რო-

რუსეთს. შემდეგ კი სოლომონ II 1800 წლის თარიღით უმტკიცებს თვალობას ზაქარიასა (ბესიყის მამის) და დავითის (სვიმონის მამის) შთამომავლობას.

⁶⁴ АВПР, Ф. Сношения России с Грузией, 1774—1804, оп. 110/2, д. 18, л. 141; აგრეთვე თუ შრომები, I, 1936, გვ. 158; ბესიყი, თხ. სრული კრებული, გვ. 212—213. ЦГВИА, Ф. ВУА, д. 36/611, лл. 41—42—44—46.

⁶⁵ ბესიყი, თხ. სრული კრებული, გვ. 213.

⁶⁶ იქვე, გვ. 197.

⁶⁷ АВПР, Ф. Сношения России с Грузией, 1774—1804, д. 18, л. 471.

⁶⁸ ბესიყი, თხ. სრული კრებული, გვ. 213.

გორ აჭიანურებდა რუსეთის მთავრობა იმერეთის ელჩობის თხოვნაზე პასუხის გაცემას და ხელსაყრელი მდგომარეობის (ე. ი. თურქეთშე გამარჯვება) დადგო-მადლენებას იმერეთში დაბრუნების ნებასაც კი არ აღლევდა. ამ მოქმედე-ბაში ჩვენ იმერეთის, და საერთოდ საქართველოს, მიმართ რუსეთის პერსპექ-ტიულ მიზნებს ეხედავთ. რუსეთის მთავრობას არ სურდა ასეთ კრიტიკულ მო-შენტში უპასუხოდ გაესტუმრებინა იმერეთის ელჩი, შიშობდა, რომ იმერეთს თურქეთის მხარე არ აერჩია და რუსეთის მომავალ გეგმებს (შავ ზღვაზე გაბა-ტონებას) ამით დაბრკოლება არ შექმნოდა.

5. წერილს დართული „აზრი და სათხოველი“ არსებითად ის განახლებუ-ლი ძირითადი დოკუმენტი იყო, რომელიც ბესიქმა მოხსენებითი ბარათის სა-ხით კრემენჩუგში გამზადა გ. პოტიომკინისათვის წარსადგენად 1789 წლის 5 დეკემბერს (ალბათ, 1789 წ.-ის სექტემბერში პოტიომკინისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში წამოყენებულ წინადადებებზე პასუხის გაუცემლობის, თუ სხვა შიზეზების გამო, მაშინ არ წარუდგენია). ბესიქის გარდაცვალების შემდეგ იგი სვიმონ გაბაშვილს (ალბათ, 1791 წლის ოქტომბრამდე) გ. პო-ტიომკინისათვის წარუდგენია. მოხსენებითი ბარათი ბესიქის ხელითაა დაწერი-ლი: „ბრწყინვალეო ღრაფო, — წერდა სვ. გაბაშვილი ა. ბეზბოროვი 1791 წ. 3 დეკემბერს, — ეს პუნქტები მის უგანათლებულესობას კრის (გ. პოტიომ-კინს — ვ. ქ.) მივართვი, როგორც მისი (ბესიქის — ვ. ქ.) ანდერძი მქონდა, რო-დესაც ჩემი ქმა მიიცვალა, იმისი კელით დაწერილი და კვალიდ თქვენს ბრწყინ-ვალებას განუახლება⁶⁹. როგორც ჩანს, ვერც ბესიქს და ვერც მის შემცვლელ-ვერ მიუღია რაიმე პასუხი გ. პოტიომკინისაგან, ამიტომ ს. გაბაშვილს გ. პო-ტიომკინის სიკვდილის შემდეგ — 1791 წ. 3 დეკემბერს იგი განუახლებია, სა-განგებოდ დაუსათაურებია და მიურთმევია ა. ბეზბოროვიდოსათვის.

მსგავსების მიუხედავად დასახელებული ორი დოკუმენტი ერთმანეთისა-გან მაინც განსხვავდება ზოგიერთი პუნქტით, ამიტომ ჩვენ ორივეს ვიყენებთ და ვიხილავთ⁷⁰.

⁶⁹ АВПР, Ф. Сношения России с Грузией, 1774—1804, д. 18, л. 141.

მიღებული დასკვნები ბუნებრივად სვამის საკითხს პროფ. ა. ცაგარლის 1791 წლის 3 დე-კემბრის თარიღით დაბეჭდილი საბუთის შესახებ. ცნობილ სერიაში «Грамоты и другие»... ტექსტის გამოქვეყნებისას ქართულ დედანით რუსული თარგმნისათვის მიუცია უცარატესობა, რამც განაპირობა მისი შეცდომება. 1. წერილის აღრესატად ცაგარელს მიუ-ჩნევია პოტიომკინი, რომელიც ამ პერიოდისათვის მკვდარია. სინამდვილეში ექვეთ იგულისხმება ა. ბეზბოროვი, 2. ალნიშნული საბუთით ბესიქი ცოცხალი ჩანს 1971 წლის 3 დეკემბერს, რაც არ არის სწორი. ქართულ დედანზე მინაწერით ცხადი ხდება, რომ მოხსენების ტექსტი თავ-ის დროზე ბესიქს ჩაუწერია. მისი ხელნაწერი სვიმონს დარჩენია «ანდერძად» და ჯერ პოტიომ-კინისათვის წარუდგენია, ხოლო ამ ჟაგანსკენილის გარდაცვალების შემდეგ განუახლებია და ბეზბოროვისათვის მიურთმევია, ე. ი. 1791 წლის 3 დეკემბერს მოხსენების წარმდგენი იყო სვიმონ გაბაშვილი და არა ბესიქი, როგორც ეს ა. ცაგარელს აქვს აღნიშნული (Грамоты, II, B, II, СПБ, 1902, стр. 70—71).

⁷⁰ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის Hd №13916 ფონდ-ში დაცული ბესიქის 1789 წლის 3 დეკემბრის მოხსენებითი ბარათის ტექსტი პირველად გმო-აქცევენა (მართალია, შეცდომებით) შ. ბურგანძემ (საქართველოს ისტორიული დოკუმენტები, თბ., 1953, 14—15), ხოლო სვიმონ გაბაშვილის მიერ წარდგენილი «აზრი და სათხოველი» კი აკად. ბარამიძემ (თსუ შრომები, I, 1936, გვ. 159). შემდეგ აქედან გაღმობებდა ბესიქის თხეუ-ლებათა სრული კრებულის მექვესე გამოცემში, დედანი კი დაცული მოსკოვში, რუსეთის საგარეო პლიტიკის არქივში (АВПР, Ф. Сношения России с Грузией: 1774—1804, оп. 110/2, д. 18, лл. 137—138).

1791 წლის წარდგინებაში შეღარებით შერპილებულია ი მერეთის მოთხოვნები, რაც გამოიწვია რუსეთის მიერ იმერეთის მფარველობაში შიულებლობამ და რამე წარმატების მიღწევის უმედობამ, და თუ მაინც იმერეთის სასარგებლო საკითხებს უყენებენ რუსეთის დიპლომატიას, მასში დღედღეზე მოსალოდნელი იასის ხელშექრულებაში იმერეთის სასარგებლო მუხლების შეტანის შინაარსი იყო ჩადებული.

როგორც აღნიშული გვაქვს, „სათხოვარი პუნქტების“ გაცნობისას ქართულ დედანს უპირატესობა აქვს რუსულ თარგმანთან შეღარებით. ამიტომაც ანალიზისათვის მივმართავთ მხოლოდ ქართულ ტექსტს. ქართული დედანი (დაწერილი და ხელმოწერილი სკიმონ გაბაშვილის მიერ) იწყება მიმართვით: „ბრწყინვალეო ღრაფო, მოწყალეო კელმწიფევ!“ მიმართვის შემდეგ მოდის სათარი: „აზრი და სათხოველი მეფისა ჩვენისა“ (იგულისხმება უკვე სოლომონ II). ეს სათხოველი ჩამოყალიბებულია 7 პუნქტად (ისე როგორც რუსულ თარგმანში). აი, ეს პუნქტებიც:

„1. რომელიც საქართველოს და რუსეთს შუა შეკრულება და ტრაქტატი დაიდვა, ეგრეთვე მეფე ჩვენი ითხოვს.

2. და შემდგომი სამეფო ნიშნები სრულებით, რომელიც მის სიმაღლეს მეფე ირაკლის ებოძა.

3. ახალციხეს დასვათ რუსეთის კონსული, რათა არღა შეიძლოს ოთამანის კარშან დაფარული მტერობა არცა გარეგანით, არცა შინაგან ქვეყანასა ჩვენისა.

4. ბათუმს — გურიას ნავთსაყუდელზედ და ფოთს — ოდიშის ნავთსაყუდელზედ სიტყვა ითქვას. და თუმცა ნებით გაუშვან, უმჯობესია ჩვენთვის, და თუ არა, იმ ორს ადგილსაც რუსეთის კონსული დასვათ, რათა დააყენოთ ჩვენის ქვეყნების ტყვის გაყიდვა იმ ადგილებში და ეგრეთვე სავაჭრო რუსეთის ნავებიც მოვილოდნენ ამ ხსენებულს ნავთსაყუდელებზედ.

5. აფხაზეთი დაიდვას თავისუფლად, რომელნიც ოსმალის ხმლით დაპყრობილნი არ არიან, და ნება მიეცესთ მათ, რომელთაცა საქმე ჩვენ ვიცით, რომ მალე აღირჩევენ ქრისტიანობას და ისინიც, როგორც ჩვენ, საფარველსა ქვეშე რუსეთისასა შემოვლენ და უხლომოდ მორჩილებას მიიღებენ და ესეც დაიდვას, რათა ამ აფხაზეთის ნავთსაყუდელებზედაც რუსეთის ნავებმა ივაჭროს, რომლითაცა თქვენ მალე ნახავთ სარგებელსა არამცირედსა.

6. უკეთუ უმაღლესმან კარმან რუსეთისამან დასდევას ახლავ მფარველობა იშერეთზედა, ის უმჯობესი იქმნება, და უკეთუ რომლისამე საქვეყნიეროს გასინჯვით ახლა განცხადება არ ამჯობინოს, შაშა საიდუმლო შეკრულობა დაიდვას იშერეთსა და რუსეთს შუა, რათა სარგებლობა ორთავე დრომდინ საიდუმლოდ და დაფარულად მოშაკობდეს.

7. და რათა აქმდეს (sic) მას შეკრულებისა და გახსნისა ნება ომისათვის შაპერადიანთა ზედა, ასეთუ მიზეზითა ამით რუსეთი დაფარუ(ლ)ს ძალს შეიმატებს ოსმალთა ვნებასა ზედა, და არც ექმნება გისმე მიზეზი, როგორც თაომანის კარს, ეგრეთვე სხვათა ქვეყანათა, რომლითა შთელი ქვეყანა რუსეთს ვერ უსაყვედურებენ და ამ სახის დადებით იმერეთის ძალით ადვილად წაერთმევის ხსენებული იგი ბათუმიც და ფოთიც“⁷¹.

⁷¹ АВПР, ф. Сношения России с Грузией. 1774-1804 гг. оп. 110/2. д. 18, лл. 137—138. ს. გაბაშვილის მიერ წარდგენილი «სათხოვარი პუნქტების» თავში დამატებული ორი მუხლი მხოლოდ ტექსტიბრივად ასხვავებს ბესიკისეულ წარდგინებას, რაც იმავე ბარათის

იმერეთის ელჩობის ზრახვები ნათელია. ქართველ პოლიტიკოსებს სურდათ რუსეთიშერეთს შორის გეორგიევსკის ტრაქტატის მსგავსი ხელშეკრულების გაფორმება და უოფელი ღონით ცდილობდნენ მომავალი მფარველის დაინტერესებას. ბოლოსდაბოლოს, ისინი „საიდუმლო შეკრულობაზედაც“ თანახმა იყვნენ. მაგრამ სამხედრო ფეოდალურ რუსეთს ამ დროს სხვა საზრუნვი გაუჩნდა დას. ეკროპაში და ამიერკავკასიაში აქტიური მოქმედებისათვის ვეღარ მოიცალა.

მე-6 მუხლის შინაარსით ბათილდება. აგრეთვე მე7- მუხლში შეტანილი მცირე რედაქციული ცვლილება («და ეს თუ ამჯობინოთ, რათა აქვდეს მეფეს იმერეთისასა თვით უფლება ვითარცა შვენის თვითმპურობელს») არსებითად არაფერს ცვლის, მით უმეტეს, რომ ტრაქტატი არ იღება).

ГЕОРГИЙ ТЕВЗАДЗЕ, МАМЕДАЛИ ПАШАЕВ

ИЗ ИСТОРИИ ЖЕЛЕЗНОДОРОЖНИКОВ ЗАКАВКАЗЬЯ

(Представлено Институтом истории, археологии и этнографии им. Ив. Джавахишвили
АН Грузинской ССР)

Коммунистическая партия Советского Союза уделяла и уделяет большое внимание изучению революционного прошлого, как наилучшего средства воспитания молодежи на революционных традициях. Партия провела огромную работу по изданию документов, отдельных трудов, монографий и статей по проблемам партийной и гражданской истории, как на русском, так и на языках национальных республик¹, в том числе и Закавказья. Однако, авторы этих работ не ставили перед собой задачу всестороннего освещения революционной борьбы железнодорожников и ограничились тем, что на общем фоне рабочего движения дали некоторые сведения о революционных выступлениях на железнодорожном транспорте.

¹ Очерки истории Коммунистической партии Грузии, Т., 1957; Очерки истории Коммунистической партии Азербайджана, Б., 1963; Очерки истории Коммунистической партии Армении, Е., 1964; Революция 1905—1907 гг. в Грузии (сборн. статей) Т., 1955; Рабочее движение в Баку в годы первой русской революции. Документы и материалы. Б., 1956; История Азербайджана, т. 2, Б., 1960; Азербайджан в годы первой русской революции (сборник статей), Б., 1956; Революционное движение в Армении 1905—1907 гг. Сб. документов и материалов, Е., 1955; Ф. Махарадзе. 1905 г. в Закавказье, Т., 1927; Г. Хачапуридзе. Революция 1905—1907 гг. в Грузии, 1955; Г. Жавания, Большевистская печать в Грузии в период первой русской революции, Т., 1955; И. Мелкадзе, Имеретино-Мингрельский комитет РСДРП и революция 1905—1907 гг. в Западной Грузии, Т., 1960; Я. Хуцишвили, Революция 1905—1907 гг. в Грузии, Т., 1955; Л. Эбанoidзе. Большевистские организации Грузии в период революции 1905—1907 гг. Тб.; Парсамян, Революционное движение в Армении 1905—1907 гг., Е., 1955; Ю. Качарова, Рабочие главных мастерских Тбилиси З. К. В. Ж. Д. в революции 1905—1907 гг. Труды Тбилисского Гос. университета, т. XXI, стр. 213; Г. Брегвадзе, Ю. Качарова, М. Церцвадзе, Из истории революционного движения Тбилисского паровозно-вагоноремонтного завода им. Сталина, Т., 1955 г. З. Ибрагимов. Революция 1905—1907 гг. в Азербайджане, Б., 1955; М. Казиев, Из истории революционной борьбы бакинского пролетариата 1905—1910 гг., Б., 1956; А. Раевский. Большевики и меньшевики в Баку в 1904—1905 гг., Б., 1930; П. Валуев, Большевики Азербайджана в первой русской революции, Б., 1963; М. Сариков, Борьба бакинского пролетариата в период русской революции, Б., 1965 г.; Б. Ю. Самедов. Распространение марксизма-ленинизма в Азербайджане, часть II, Б., 1966.

Еще не имеется обобщенной научно разработанной монографии об участии железнодорожников Закавказской железной дороги в революции 1905—1907 гг. В отдельных статьях², которые посвящены революционной борьбе железнодорожников Закавказья, не отражена полная картина этой борьбы, недостаточно освещены и отдельные вопросы, в том числе весенняя стачка рабочих Закавказской ж. д., «которая проходила с обычной для Кавказа стойкостью и солидарностью». Освещение этого вопроса помогло бы более глубокому изучению истории первой русской революции вообще, конкретно участию в ней одного из передовых отрядов рабочего класса — железнодорожников Закавказья.

თან შედარებით, მრეწველურ საწარმოებში 1950 წ.-ს 1,4-ჯერ, 1955 წ.-ს — 2,5-ჯერ და 1960 წ.-ს — 3,5-ჯერ მეტი პროდუქცია იქნა გამოშვებული. წლითი-წლითი იზრდებოდა აგრეთვე მთლიანი და საქონლური პროდუქციის ოდენობაც, პროდუქციის თვითღირებულება კი მცირდებოდა.

1960-სა და მომდევნო წლებში, როცა მთავრობის დადგენილებით საერთო საჩვებლობის ავტოტრანსპორტის გამგებლობას გადაეცა ყოფილი უწყებრივი დაქვამდებარების მრავალი ავტომობილი, სარემონტო საწარმოებს კიდევ უფრო მეტი საზრუნვავი გაუჩნდა. საჭირო იყო ასესებული ტექნიკური ბაზის სრულყოფა და შემდგომი განვითარება. ამ მხრივ დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული თბილისის № 7 ავტოსარემონტო ქარხანაში. მაგალითად, 1964 წელს ქარხანამ ექსპლოატაციაში გაუშვა ძრავების ახალი სამქრო, სადაც კაპიტალური რემონტის მთელი ციკლი ერთ შენობაში მიმდინარეობს ნაკადული მეოთხდით. საამქროს ტექნიკური აღჭურვილობა უპასუხებს ავტოსარემონტო წარმოების თანამედროვე მოთხოვნებს.

განსაკუთრებით მაღალმწარმოებლური მუშაობით ხასიათდება 1965—1967 წლები. ქარხანაში მრავალი ტექნიკური სიახლის განხორციელების შედეგად სახელმწიფოს 11,2 ათასი მანეტი დაეზოგა; ქარხანაში დღეისათვის დიდი მასშტაბის რეკონსტრუქციული სამუშაოები მიმდინარეობს, მათი დამთავრება 1970 წლისათვის არის გათვალისწინებული. ამ ღონისძიების შედეგად საწარმოს ტექნიკური ბაზის სიმძლავრე სულ ცოტა 40 პროცენტით მაინც გაიზრდება.

თუ რამდენიმე წლის წინათ ავტოტრანსპორტის მრეწველურ საწარმოთა რაოდენობა 3 ერთეულით განისაზღვრებოდა და მათ შორის შედარებით სრულყოფილი წარმოებრივ-ტექნიკური ბაზა მხოლოდ № 1 ავტოსარემონტო ქარხანას ჰქონდა, დღეისათვის მდგომარეობა შეიცვალა. ამჟამად სისტემის 7 სარემონტო ქარხანა, რომელთაგან 2 ახლად იგებულია (ცხინვალისა და საგარევოს ავტობუსებისა და საბურავების სარემონტო ქარხნები), საქართველოს სსრ წახალხო მეურნეობის მთელი ავტოტრანსპორტისათვის დიდ ტექნიკურ ძალასა და დასაყრდენს წარმოადგენს.

რესპუბლიკის საერთო საჩვებლობის ავტოტრანსპორტის სარემონტო საწარმოთა კოლექტივები დიდ მონდომებასა და ზრუნვას იჩენენ ადგილებზე ყველა იმ უბნისა თუ საამქროს ტექნოლოგიური გაწყვბილობით მაქსიმალურად აღჭურვისათვის, რომლებიც განმსაზღვრელ როლს ასრულებენ ადამიანის მძიმე ფიზიკური შრომის შემსუბუქების, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების და საერთო სახელმწიფოებრივ დავალებათა ვალაზე აღრე და გაღაწარებებით შესრულების საქმეში.

შარტო 1966-1967 წლებში შეკონვენციურის 274 რაციონალიზატორისა და გამომგონებელის 437 წინადაღებიდან 420 იქნა მიღებული, აქედან 373 უკვე დაინტერგა. საერთო ეკონომიკურმა ეფექტმა 119 ათას მანეტს მიაღწია.

საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტროს სისტემის მრეწველური დაწესებულებები 1963-1967 წლებში შემდეგი საწარმოო მაჩვენებლებით ხასიათდებინ (იხ. ცხრილი).

როგორც ცხრილიდან ჩანს, სისტემის აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მოცემულ პერიოდში შინიშვნელოვნად გააუმჯობესეს თავიანთი წარმოებრივი მაჩვენებლები. მაგალითად, თბილისის № 2 ავტოშემკეთებელმა ქარხანამ 1967 წელს, 1963 წელთან შედარებით, 1,7-ჯერ მეტი ავტომობილი შეაკეთა. თბილი-

გ ვ 3 ბ ვ 0 გ ვ 3 0 5 0 1 3 0 7 0 1 3 0

საქართველოს სსრ აუტოტრანსპორტის სამინისტროს მრეწველურ საწარმოთა მუშაობის ზოგიერთი მაჩვენებელი 1963-1967 წლებში⁴

საწარმოთა დასახელება	სარემონტო პროდუქციის ძირითადი სახეები	ს ა წ ა რ მ თ თ მ ა ჩ ი კ ნ ე ბ ლ ე ბ ა						ს ა ს ა ქ ი ნ ი ლ ი კ ნ ე ბ ლ ე ბ ა		
		გამოშვებული პროდუქცია (ყა- ლობით)	საერთო პროდუქცია მოღიანად (ათას მენეთობით)	სასაქონლი პროდუქცია მოღი- ანად (ათას მანეთობით)	1963	1965	1967	1963	1965	1967
თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხანა	ავტომობილები ქ რ ა ვ ე ბ ი	5202	—	5278	4927,0	—	5373,0	3921,0	—	4480,0
	ქ რ ა ვ ე ბ ი	2811	—	3069						
თბილისის № 2 ავტოსარემონტო ქარხანა	ავტომობილები ქ რ ა ვ ე ბ ი	294	—	466	730,0	—	749,0	691,0	—	697,0
	ქ რ ა ვ ე ბ ი	1150	—	1553						
გუდაუთის ავტოსარემონტო ქარხანა	ქ რ ა ვ ე ბ ი	2916	—	2837	408,0	—	802,0	331,0	—	760,0
	ქ რ ა ვ ე ბ ი									
ქუთაისის ავტოსარემონტო ქარხანა	ქ რ ა ვ ე ბ ი	1438	—	2448	347,0	—	568,0	331,0	—	568,0
	ქ რ ა ვ ე ბ ი									
საგარეფოს საბურავების სარემონტო ქარხანა	ს ა ბ უ რ ა ვ ე ბ ი	—	34242	47894	—	637,0	793,0	—	637,0	793,0
	ს ა ბ უ რ ა ვ ე ბ ი									
განარაბის საბურავების სარემონტო ქარხანა	ს ა ბ უ რ ა ვ ე ბ ი	—	9603	16615	—	226,0	490,0	—	226,0	490,0
	ს ა ბ უ რ ა ვ ე ბ ი									

⁴ საქართველოს სსრ აუტოტრანსპორტის სამინისტროს მრეწველურ საწარმოთა სამართველოს წლიური ანდარიშებიდან.

სის № 1 და № 2 ავტოსარემონტო ქარხნებში გარემონტებული ძრავების რაოდენობა შესაბამისად 1,1-ჯერ და 1,3-ჯერ გაიზარდა. დიდ წარმატებებს მიაღწია უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მახარაძის საბურავების შემკეთებელმა ქარხანამ, სადაც 1967 წელს, 1966 წელთან შედარებით, 7 ათასი ერთეულით შეტყი საბურავი გარემონტდა, 2-ჯერ უფრო მეტად გაიზარდა როგორც შთლიანი, ისე საქონლური პროდუქციის რაოდენობა.

ცხრილში მოტანილი ციფრები იმასაც მიუთითებენ, რომ 1967 წელს თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხანაში ავტომობილების თითქმის იგივე რაოდენობა გარემონტდა, რამდენიც 1963 წელს; გუდაუთის სარემონტო საწარმოში კი ბოლო ხანებში გამომუშავებული პროდუქციის (გარემონტებული ძრავების) რაოდენობა შემცირდა კიდეც. პირველი შემთხვევა ქარხანაში წარმოებული რეკონსტრუქციით შეიძლება აიხსნას, ხოლო შეორე — გამოსაშვები პროდუქციის ნომერულატურის ცვალებადობით.

საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის და, კერძოდ, მრეწველური საწარმოების შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით 1966-1967 წლების ხუთწლიანი გეგმა მინშვენელოვან პერსპექტივებს ისახავს, ამ გეგმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის ობერვლის დადგენილების შესაბამისად, უახლოეს წლებში ცხინვალში, ქუთაისსა და დუშეთში მთელი სიმძლავრით ამჟავდება სამი ახალი ავტოსარემონტო ქარხანა, რომელთა საპროექტო სიმძლავრე ითვალისწინებს 400-600 ავტომობილსა და 1500 მსუბუქი ტაქსის შეკეთებას წელიწადში. გათვალისწინებულია, აგრეთვე, წნორში აშენდეს საგარაულ გაწყობილობათა დამატებადებელი მძლავრი ქარხანა.

დაბოლოს, ზოგიერთი შენიშვნა ავტოტრანსპორტის მოძრავი შედგენილობის კაპიტალური რემონტის ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდებზე.

ავტომობილების კაპიტალური რემონტის საყიროება წარმოიშვა საავტომობილო მრეწველობის განვითარების მომენტიდან. ამასთან, ავტომობილის ავტოგატების, ძარის, ჩარჩოსა და საბაზისო დეტალების გაპიროვნება ამ პერიოდში არ ხდებოდა, ე. ი. რემონტი სრულდებოდა ე. წ. ინდივიდუალური წესით. შემდგომში, როდესაც ავტომობილების წარმოებამ მიღლო მსხვილსერიული და მცსობრივი ხასიათი, კაპიტალური რემონტების მოთხოვნილებაც მკვეთრად გაიზარდა, მისი დაკმაყოფილება შეიძლებოდა მხოლოდ მრეწველური რემონტის ორგანიზაციის გზით, რომელიც შეესაბამებოდა მასობრივი წარმოების პირობებს. ამასთან დაკავშირებით (როგორც უკვე აღვნიშნეთ), ჩვენს ქვეყანაში ავტოპარკის არსებული რაოდენობის შენარჩუნების მიზნით, 30-იანი წლების დასტყვისში შეიქმნა ავტოსარემონტო ქარხნების ქსელი, რომელთა მუშაობას საფუძვლად დაედო ავტომობილების გაუპიროვნებელი კაპიტალური რემონტის სისტემა, ანუ დეტალების ურთიერთშემცველელობის პრინციპი.

კაპიტალური რემონტის ამ სისტემით მუშაობის პირობებში, წლების განმავლობაში, მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მობოვებული. დღეისათვის ქარხნებში საწარმოო პროცესის დადი ნაწილი სპეციალიზებულია. მაღალ-ძრავებულური გაწყობილობა-დანადგარები საშუალებას იძლევა მკვეთრად გაიზარდოს შრომის შრარმობლურობა და მუშაობის სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები.

მაგრამ მთავარი — ავტომობილების რემონტის (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) ხარისხის გაუმჯობესება და მათი მუშაობის ხანგრძლივობის ამა-

ღლების მეტად საყურადღებო, სახელმწიფო ებრივი მნიშვნელობის საკითხი გერ კიდევ მოუგვარებელი რჩება.

ჩვეულებრივად, ამ დეტალზე სარემონტო საწარმოების ხელმძღვანელობის ან კოლექტივის „მოუქნელ“ მუშაობას მიაწერენ ხოლმე (ზოგჯერ სამართლიანადაც), მაგრამ, ჩვენი აზრით, ძირითადი მიზეზი თვით რემონტის არსებულ სისტემაში უნდა ვეძიოთ.

საქმე ისაა, რომ ავტომობილის კაბიტალური რემონტის თანამედროვე სისტემა დამყარებულია დეტალების სრულ გაუპიროვნებლობაზე. გასარემონტებელი ავტომობილის მთლიანად დაშლის შემდეგ ხდება დეტალების დახარისხება დამტკიცებული ტექნიკური პრიობების შესაბამისად. დაწუნებული ნაწილი, როგორც უვარგისი, უტილში იგზავნება, სანაცვლოდ ასაწყობად კი ახალს იყენებენ. გაცვეთილი დეტალების უმრავლესობა გადაეცემა სხვადასხვა საამქროს აღსაღენად, ხოლო ნაკლებად გაცვეთილი დეტალები, იმავე ტექნიკური პირობების მიხედვით, გარემონტებას არ საჭიროებს და „ვარგისაღ“ ითვლება. ამ სამი ჯგუფის დეტალებისაგან, რომლებიც ტექნიკური პირობების მიხედვით ურთიერთშემცვლელები უნდა იყვნენ, ხდება კვინძების დაკომპლექტება. მაგვარად, საბოლოოდ, თითოეული კვანძი როგორც სხვადასხვა ავტომობილიდან მოხსნილი, ისე ახალი დეტალებით კომპლექტდება.

ავტომობილის ახალი დეტალების უმეტესობა (კბილანები, საკისრები, ლილვები, კარტერები, ნახევარღერძები, ჩარჩო და სხვა) მუშაობის გარკვეული ვაღის გავლის შემდეგ უვარების ხდება. დეტალების სხვა ნაწილი გამოდის მწყობრიდან გაცვეთის ან ერთსა და იმავე დროს დაღლილობისა და გაცვეთის შედეგად. პირველ კაბიტალურ რემონტამდე ავტომობილის თიოეული დეტალი დაღლილობის ან გაცვეთის გამო ამოწურავს მუშაობის მთლიანი ვაღის (რესურსის) განსაზღვრულ ნაწილს, რომელიც პირველ და მეორე კაბიტალურ რემონტებს შორის გარდენისას კიდევ უფრო მცირდება და ა. შ.

დეტალების გაუპიროვნებლობის შემთხვევაში, რემონტის შემდეგ აწყობილ თითოეულ აგრეგატში აღმოჩნდება ხოლმე სულ სხვადასხვა რესურსის შეკნე დეტალები, რის გამო მათი გამოსვლა მწყობრიდან ერთდროულად არ ხდება. გარდა ამისა, სხვადასხვაგვარად გაცვეთილი დეტალების შეუღლებისას ზედაპირების ხელმეორედ მიმუშვების პროცესი მეტად ძნელად მიმდინარეობს და ცვეთის ინტენსივობაც საგრძნობლად გაზრდილია.

ავტომობილის რემონტის ხარისხზე განსაკუთხებით მავნედ მოქმედებს ეგრეთწოდებული „გაურემონტებლად ვარგისი“, მაგრამ მაინც უკვე გაცვეთილი დეტალების გაუპიროვნებლობა. ამ კატეგორიის დეტალების არსებობა გამორიცხავს ურთიერთშემცველობის პრინციპს, რომლის ბაზაზეა აგებული გაუპიროვნებელი რემონტის სისტემა.

ავტომობილების გაუპიროვნებელი რემონტის სისტემა თავის დაღის ასვამს ავტოსატრანსპორტო მუშარნეობის საქმიანობასა და შოთარების მუშაობასაც. ქარხნები ავტომობილებს გასარემონტებლად იღებენ მათი ხნოვანების, გარბენისა და დეტალების გაცვეთის მდგომარეობის შეუზღუდვად. ამის შედეგად შედარებით ახალ ავტომობილს, რომლის საექსპლოატაციო ხნოვანება შეიძლება 3-4 წელს არ აღემატებოდეს, გარემონტების შემდეგ ძალიან მცირე მუშაობის უნარიანობა აქვს, ხშირად გამოდის მწყობრიდან, მოითხოვს სათადარივო დეტალებისა და სხვა საექსპლოატაციო მასალების დიდ ხარჯს და 20-30 ათასი კილომეტრის გავლის შემდეგ ისევ კაბიტალურ რემონტს საჭიროებს.

წინათ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ავტომობილების რაოდენობა მცირე იყო და სახალხო მეურნეობა მათს ნაკლებობას განიცდიდა, თითოეული ავტომობილის მუშაობის უნარიანობის ნებისმიერი გზით შენარჩუნება გამართლებული იყო, ვინაიდან ჩვენს მრეწველობას არ ძალუდა უზრუნველყო ავტოპარკის ზრდა და აღდგენა. ახლა კი, როდესაც ავტომობილის მრეწველობა მნიშვნელოვნად განვითარდა და ქვეყანა არ განიცდის ავტოპარკის სიმცირეს, რემონტის ასებულმა მეთოდმა დრო მოჭამა (შეიძლება ითქვას მიუღებელობა) და იგი უნდა გადაისინჯოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

1. ავტომობილზე აგრეგატების გაუპიროვნებლობა, რომელიც რემონტის აგრეგატული მეთოდის დროს არის მიღებული და რომელიც უარყოფით გავლენას არ აძლენს ავტომობილის ხანგამდლეობაზე და ამავე დროს ზრდის პარკის ტექნიკურად შზადყოფნის კოეფიციენტს, ყველან უნდა დაინერვოს.

2. აგრეგატებში ყველა დეტალის გაუპიროვნებლობა მათი კაპიტალური რემონტის დროს, როგორც წესი, არ უნდა მოხდეს. ავტომობილის თითოეული შოდელისათვის საჭიროა დადგინდეს ისეთი შეუღლებული დეტალების ნომენკლატურა, რომელთა განკომპლექტება რემონტის დროს დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული.

პარლო ზუღაია

გენერალური ზეთის ცენტრის საკითხები

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი)

ტუნგო უძველესი კულტურაა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე ტუნგოს ხის მერქანს და ზეთს მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა ჩინეთში. ტუნგოს ნაყოფისაგან გამოხდილ ზეთს წყლისა და ატმოსფეროს მავნე გავლენისაგან დასაცავად აფრების, ქსოვილების, ტყავისა და ქაღალდის გასაუღენთად და ნავების შესაღებად იყენებდნენ. კირში ასრული ზეთით ღებაგლენენ საცხოვრებელ სახლებსაც, ხოლო დამწვარი ზეთისა და თესლის ნაჭუჭისაგან ამზადებდნენ ცნობილ ჩინურ ტუშს და მელანს; თანანაყოფსა და კოპტონს იყენებდნენ სასუქად, მერქნისაგან კი კეთდებოდა მუსიკალური ინსტრუმენტები, ავეჭი და სხვა საოჯახო ნივთები. იაპონიაში უძველესი დროიდან ტუნგოს ხის მერქნისაგან ამზადებდნენ ფეხსაცმელებსაც, რომლებიც მიუხედავად სიფაშრისა, სატარებლად მსუბუქი, წყალშეუვალი იყო და დეფორმაციას არ განიცდიდა. მერქნისაგან ამზადებდნენ, აგრეთვე, ნახშირს ოპტიკური ლინზებისა და დიაფრაგმების გასაკრიალებლად¹.

ტუნგოს და მისი ზეთის შესახებ ცნობამ ჩინეთიდან ევროპაში პირველად XIII საუკუნეში, მარკო პოლოს მეშვეობით შემოაღწია, თვით ზეთი კი ევროპაში პორტუგალიელმა ვაჭრებმა შემოიტანეს მე-16 საუკუნეში (კერძოდ, 1616 წელს)². შიუხედავად ამისა, ტუნგოს ზეთის წარმოებას და მოხმარებას ფართო გავრცელება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე არ ჰქონია; ამ პერიოდიდან მრეწველობის სათანადო დარგების ზრდა-განვითარებამ შესაბამისად გაზარდა მოთხოვნილება ტუნგოს ზეთზე. ჩინეთი მხოლოდ ბუნებრივ ნარგავთა ექსპლოატაციით ველარ აკმაყოფილებდა ტუნგოს ზეთის მოთხოვნილებას.

პირველი მსოფლიო ომისა და ომის შემდგომ პერიოდში, სამხედრო ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებით, ტუნგოს ზეთზე მოთხოვნილება კიდევ უფრო გაიზარდა.

მეორე მსოფლიო ომის წინ ჩინეთი თითქმის ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელიც მსოფლიო ბაზარს ტუნგოს ზეთით ამარავებდა. ამერიკის შეერთებული შტატები კი ამ ზეთის ძირითად მომხმარებლად ითვლებოდა. 1923-1927 წლებში ჩინეთის ყოველწლიური ექსპორტი 50-54 ათას ტონას შეადგენდა, შემდეგ წლებში კი 53-71,6 და 86,7 ათასამდე ტონას, ხოლო 1937 წ-ს — 103 ათას ტონას.

¹ გრ.ქარ ჩავა, ტუნგოს წარმოების შემდგომი განვითარების შესახებ, უზრნ. «საქართველოს ეკონომისტი», 1963, №3, გვ. 33.

² ე. სვანიძე, ტუნგოს ხე, თბ., 1947, გვ. 3.

ნას მიაღწია. ამერიკის შეერთებული შტატების წლიური იმპორტი ამავე პერიოდში 36,6-62,4 ათასი ტონის ფარგლებში შერყეობდა, ეს ტუნგოს ზეთის მსოფლიო მომზარების 69-72%-ს შეაღენდა.

ამის საიმუსტრაციოდ საქმარისია მოვიყვანოთ ჩინეთ-იაპონიის ომის შინაწლის მონაცემები. 1936 წელს ჩინეთიდან ექსპორტირებული იყო სულ 86,7 ათასი ტონა ტუნგოს ზეთი, ამ რაოდენობიდან ცალკეულ ქვეყნებში შეზიდული იყო:

აშშ-ში	— 62,3	ათასი ტონა	ანუ	72 %
პორტუგალიაში	— 6,0	— „ —	—	7,9 %
გერმანიაში	— 4,3	— „ —	—	4,9 %
ინგლისში	— 3,8	— „ —	—	4,4 %
საფრანგეთში	— 3,7	— „ —	—	4,3 %
ჰოლანდიაში	— 1,6	— „ —	—	1,9 %
იაპონიაში	— 1,0	— „ —	—	1,2 %
დანიაში	— 0,9	— „ —	—	1,0 %
ნორვეგიაში	— 0,7	— „ —	—	0,8 %
შვეცარიაში	— 0,6	— „ —	—	0,7 %
ავსტრალიაში	— 0,6	— „ —	—	0,7 %
ბელგიაში	— 0,5	— „ —	—	0,7 %
იტალიაში	— 0,1	— „ —	—	0,5 %
არგენტინაში	— 0,1	— „ —	—	0,5 %
სხვა ქვეყნებში	— 0,5	— „ —	—	0,7 %

მრეწველობის სათანადო დარგების ზრდა-განვითარებასთან დაკავშირებით, ჩინეთს უკვე აღარ შეეძლო ამ ძეირფას პროდუქციაზე მსოფლიო ბაზრის გაზრდილი მოთხოვნილების მთლიანად დაუმატოვილება. მოთხოვნილებასა და შიწვდებას შორის გარღვევამ გამოიწვია მომხმარებელთა შორის კონკურენციული ბრძოლა, და, აგრეთვე, ზეთის ფალსიფიკაცია ჩინეთში. ამასთანავე, ჩინეთში ტუნგოს ნაყოფის გადამუშავება პრიმიტიული წესით წარმოებდა, რის გამოც ზეთი დაუწენდელი, ჭუჭყიანი იყო და ძვირიც ჭდებოდა. ამ გარეშემობამ პომხარებელი ქვეყნები, პირველ რიგში კი აშშ, აიძულა, თვითონვე მოეკიდათ ხელი ტუნგოს ზეთის წარმოებისათვის.

ამერიკის კონტინენტზე (კერძოდ, აშშ-ში), ინგლისსა და სხვა ქვეყნებში ტუნგოს მრეწველური პლანტაციების გაშენება 1920 წლიდან დაიწყო, თუმცა ამავე ქვეყნებში მისი დანერგვის ცდებს ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულიდან ვეგიდებით, მაგრამ იმდროინდელმა ცდებმა დადებროი შედეგი ვერ გამოიღო.

აშშ-ში პირველი მრეწველური პლანტაცია, 2 ჰექტარამდე ფართობზე, 1913 წელს გაშენდა. შემდეგში ტუნგოს ფართობების სწრაფი ზრდა 1923-1930 წლებიდან დაიწყეს, 1936 წელს მისი ფართობი უკვე 30.000 ჰექტარამდე, ხოლო 1939 წლისათვის 70.800 ჰექტარამდე გადიდდა. აშშ-ს ყველა შტატში 1944 წლისათვის ტუნგოს ნარგავთა ფართობი დაახლოებით 47.400 ჰექტარს აღწევდა.

უცხოეთის ქვეყნებიდან ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ მომდევნო ადგილი, ტუნგოს მრეწველური ნარგავების ფართობების მიხედვით, აესტრალიას, ახალ ზელანდიას და ინდოეთს ეკუთვნის. საქმაოდ დიდ ინტერესს იჩენდნენ ამ კულტურისადმი ომამდელ წლებში საფრანგეთი, იტალია, ჰოლან-

დია, ინტენსიურად ვითარდებოდა ტუნგოს კულტურა სამხრეთ ამერიკის ქვეყნებშიაც, მაგალითად, არგენტინაში, პარაგვაში და ბრაზილიაში; საფრანგეთი ტუნგოს კულტურას აშენებდა თავის ყოფილ კოლონიებში — ალჟირში, ტუნისში, მარკომანიაში, ახალ კალიდონიაში, მადაგასკარზე, ინდოჩინეთში, ჰოლანდია ტუნგოს კულტურას ავტოცელებდა ინდოეთის კუნძულებზე.

* * * ტუნგოს ხე საქართველოში სხვა ქვეყნებზე უწინაარეს, მათ შორის აშშ-ზე დღრე იქნა შემოტანილი. ეს თაოსნობა ეკუთვნობა აგრონომ ი. კლინგენისა და პროფ. ა. კრასნოვის სხელმძღვანელობით მოწყობილ საუფლისწულო უწყება-თა ექსპედიციას, რომელმაც აფრიკისა და აზიის ქვეყნებში იმოგზაურა და 1896 წელს მრავალი სუბტროპიკული მცენარის თესლი და ნერგები ჩამოიტანა.

* * * ტუნგოს პირველი ნარგავები გაშენდა ჩაქვის საუფლისწულო შამულში — ხეივნების სახით, ცალკე ძირები კი მახლობელ კერძო მეურნეობებშიც გაახარეს.

ხელსაყრელი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მიუხედავად, მეცნის მთავრობა არცერი დაინტერესებულა საქართველოში ტუნგოს კულტურის განვითარებით. მეცნის რუსეთში, საერთოდ, ლაქ-სალებავების წარმოება ჩამორჩებოდა. ამის გამო ეს პროდუქცია დიდი რაოდენობით საზღვარგარეთიდან შემოჰკნდათ. სოციალისტური მშენებლობის პირველ პერიოდში საბჭოთა კავშირიც იძულებული იყო ტუნგოს ზეთი საზღვარგარეთიდან შემოეტანა. ასე, მაგალითად, 1920 წელს შემოტანილ იქნა 111 ტონა, 1930 წელს — 72 ტონა, ხოლო 1931 წელს — 199 ტონა. სახელმწიფო 1 ტონა ზეთზე ოქროს კურსით 790 მანეთს იხდიდა, ხოლო ბარისა და სხვა ხარჯების ჩათვლით 1 ტ ზეთის შემოტანა 1000 მანეთზე მეტი ჯდებოდა³.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის შედეგად, ტუნგოს მრეწველური პლანტაციების გაშენება და ტუნგოს წარმოება წვეში მიმდინარე საუკუნის ოცდაათიან წლებში დაიწყო. პირველი სამეცნიერო-საცდელი მუშაობა ტუნგოს კულტურის შესასწავლად ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა ჩაატარა. ამ მიზნით ტუნგოს პლანტაცია გაშენდა 1 ჰექტარზე. 1930 წელს ქობულეთის რაიონში ლაქ-სალებავი მრეწველობის საკავშირო ტრესტმა — „ლაკორასკამ“ წარმოებრივი მიზნით გამშენა 15 ჰექტარი იაპონური ტუნგოს პლანტაცია, ხოლო ერთი წლის შემდეგ აჭარის ასსრ-ში ტუნგოს პლანტაციებმა 180 ჰექტარს მიაღწია⁴.

იაპონური ტუნგოს დანერგვასთან ერთად დაიწყო ჩინური ტუნგოს გავრცელება. აჭარაში ჩინური ტუნგოს საცდელი პლანტაცია გაშენდა 1932 წელს. შემდეგში ჩინური ტუნგო ჩვენს ქვეყანაში იაპონურზე მეტად გავრცელდა, რაღაც ეს ჯიში ზეთის ხარისხს, მოსავლიანობისა და ყინვაგამძლეობის მნიშვნელობის მიხედვით. მას შემდეგ ყოველწლიურად იზრდებოდა მოსავალი და 1940 წელს 1962 ტონას მიაღწია.

³ გ. ს ვ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

⁴ შ. ჭ ა ფ ა რ ი ძ ე, სუპტროპიკული კულტურების განვითარება აჭარაში, თბ., 1967.

ეს საქმეს ხელი იმითაც შეეწყო, რომ 1934 წელს ბათუმში ჩამოყალიბდა ტუნგოს საკავშირო კანტორა, რომელსაც დაევალა ტუნგოს სანიმუშო (საბჭოთა) მეურნეობების, აგრეთვე სანერგე მეურნეობების მოწყობა. დაისახა კოლეფურნეობებში ტუნგოს ნარგავების მასობრივად გაშენების ღონისძიებანი: კოლეფურნეობებს ყოველი პერტარი ტუნგოს პლანტაციის გაშენებისათვის 10.580 მან. კრედიტი ეძლეოდა. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, ტუნგოს ნარგავთა ფართობი ჩქარი ტემპით გაიზარდა და უკვე 1939 წლისათვის 16 ათას ჰექტარს მიაღწია. 1939 წლის ბოლოსათვის ექსპლოატაციაში შევიდა ქობულეთის ტუნგოს ზეთსახდელი ქარხანა და, ამრიგად, საბჭოთა კავშირმა მიიღო საყუთარი წარმოების ტუნგოს ზეთი.

ტუნგოს კულტურას საქართველოში, 1939-1940 წლებში, დიდი ზიანი შეიყვნა ე. წ. ტუნგოს „შემმოსავმა“, რამაც გამოიწვია მცენარის ტოტების განმობა. ამან და შემდეგში კი დიდი სამამულო ომით გამოწვეულმა სინერგებმა ტუნგოს მეურნეობა ჩვენს რესპუბლიკაში საგრძნობლად დაკვეითა.

ტექნიკურ კულტურათა შორის ზეთოვან კულტურებს საბატიო ადგილი ეთმობა; საერთოდ, ზეთოვან კულტურებს სახალხო მეურნეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მრეწველობის მთელ რიგ მნიშვნელოვან დარგებში ცხიმოვანი ზეთები ფართოდ გამოიყენება.

ზეთების ტექნოლოგიის სადღეისო მიღწევებითა პირობებში მცენარეული ზეთების მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია. ზეთის მრავალი სახეობა საკვებადაც იხმარება. ტუნგოს ზეთი გამოიყენება საპნის, ოლიფის დასამზადებლად, ხმარობენ მედიცინაშიც. ცხიმებისაგან ამზადებენ სტეარინისა და ოლინის მჟავას. მისგან ვლებულობთ, აგრეთვე, ძვირფას თანააწარმს — გლიცერინის, რომელსაც ქიმიურ-ფარმაცევტულ, საფეიქრო, ტყავეულისა და კოსმეტიკურ წარმოებაში იყენებენ. მაგრამ ტუნგოს ზეთს ყველაზე მნიშვნელოვანი გამოყენება აქვს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, თვითმფრინავებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებათა მშენებლობაში. ტუნგოს ლაქ-საღებავი საუკეთესოდ იცავს ლითონების კოროზისაგან, რომელსაც მრავალი მილიონი მანეთის ზარალის მოტან შეუძლია ყოველწლიურად.

სოფლის მეურნეობაში გამოიყენება ზეთის წარმოების ანარჩენები: გარენაყი, თესლის ნაცუჭი, კოლტონი კი საქონლის საკვებად იხმარება, ამ დანიშნულებისათვის გამოუსადეგარი კობტონი სასუქად და საწვავ მასალადაც გამოიყენება.

რა თქმა უნდა, ზეთოვან მცენარეთა ჯგუფში შემავალ სხვადასხვა ბოტანიკური ოჯახის წარმომადგენელ კულტურებს ერთნაირი მრეწველური მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მრეწველური მნიშვნელობის მქონე მცენარეთა შორის, ზეთის გამოსავლიანობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით გამოიჩინევა ზოგიერთი კულტურა. აი, კერძოდ, ასეთია მრეწველური მნიშვნელობის მქონე მცენარეთა ზეთიანობა პროცენტობით (იხ. ცხრილი 1).

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ტუნგოს კულტურა, ზეთის სიუხვის თვალსაზრისით, ყველა სხვა კულტურას შორის პირველ ადგილზე დგას. სახალხო მეურნეობისათვის მისი ესოდენ დიდი მნიშვნელობა განაპირობებს ასა, რომ

⁵ მ. ხარებავა, კ. ჩხერელი, ზ. ჩანტლაძე, ტუნგოს მეურნეობის რეაბილიტაციის საკითხისთვის (იხ. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის შრომები, IX-X, სოხუმი, 1965, გვ. 33-37.

ტუნგოს მრეწველურ პლანტაციებს საბჭოთა სუბტროპიკულ ზონაში ათასობით ჰექტარი ფართობი აქვს დათმობილი.

ცხრილი 1

	მრეწველური მინშვნელობის შექმნები	ზეთიანობა
1	ბ ა შ ბ ა	19-21 %
2	მ ზ ე ს უ მ ზ ი რ ა	19-49 %
3	ს ე ლ ი	38-43 %
4	ა ბ უ ს ა ლ ა თ ი ნ ი	58-70 %
5	კ ა ნ ა ფ ი	30-33 %
6	ტ უ ნ გ ა	48-57 %
7	ს ო ი ა	14-25 %
8	ზ ე თ ი ს ხ ი ლ ი	12,5-22 %

საქართველოს სსრ-ში 1940 წლისათვის ტუნგოს მრეწველურმა ფართობი 16 ათას ჰექტარს გადააჭარბა. სამამულო ომის წლებში მოუვლელობის გამო პლანტაციების საგრძნობი ნაწილი დაიღუპა და ნარგავთა საერთო ფართობი დაახლოებით 12 ათას ჰექტარმდე შემცირდა. ამასთან ალსანიშნავია ისიც, რომ ტუნგოს კულტურისადმი ყურადღება ომის შემდგომ პერიოდში შესუსტდა. ამას მოწმობს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ჩატარებული პასპორტიზაციის მასალები, რომელთა შიხედვით, ტუნგოს ნარგავთა საერთო ფართობი საქართველოში 1958 წლისათვის 8675 ჰექტარს არ აღმატებოდა. როგორც ირკვევა, აფხაზეთის ასსრ-ში, მახარაძის, ზუგდიდისა და ზოგ სხვა რაიონში ტუნგოს ნარგავთა ფართობის საგრძნობ შემცირებას პასპორტიზაციის შემდეგაც ჰქონდა ადგილი. ბუნებრივია, რომ შესაბამისად ტუნგოს ნაყოფის დამზადებაც შემცირდებოდა.

1958 წლს 8675 ჰექტარი ტუნგოს მრეწველური ნარგავები სახეობების მიხედვით სექტორებსა და მეურნეობათა კატეგორიებში შემდეგნაირად ნაწილდებოდა (იხ. ცხრილი 2);

ცხრილი 2

ტუნგოს ნარგავები საქართველოში მეურნეობათა კატეგორიებისა და სახეობათა მიხედვით
(1958 წლის 1 ანგრისათვის)⁶

მეურნეობათა კატეგორია	ტუნგოს პლანტაციების ფართობი ჰექტარით	ტუნგოს ხეთა (ძირების) რაოდენობა				
		ს უ ლ	გათ შორის		ს უ ლ	
			ფორდი	კორდატა		
საბჭოთა მეურნეობებში სხვა სახელმწიფო ფორდებრივ ორგანიზაციებში კოლმეურნებობებში კოლმეურნებუთა საკარმილამონ ნაკვეთებში	1751 15 6821 88 8675	1490 10 5735 87 7322	261 5 1086 1 1353	409800 3745 1653569 31617 2098731	336422 2156 1389550 31281 1759409	73378 1589 264019 336 339322

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მაღალი ხევდროწონა ტუნგოს საერთო ნარგავებში უჭირავს კოლმეურნეობებს, შემდეგ მოლის საჭოთა მეურ-

⁶ უზრ. «სუბტროპიკული კულტურები», მახარაძე-ანასეული, 1963, № 4, გვ. 54.

ნეობები. ამავე წლისათვის ტუნგოს ნაყოფის საერთო დამზადება შეაღენდა 15544,5 ტონას, მათ შორის ტუნგო „ფორდი“ — 14407,3, ხოლო „კორდატა“ კი 1137,2 ტონა იყო⁷.

საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ტუნგოს ფართობი 1961-1966 წლებში 1284 ჰექტარით, ანუ თითქმის 19 პროცენტით შემცირდა, ძირითადად საბჭოთა მეურნეობებში.

საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ტუნგოს კულტურის ფართობის დინამიკის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოტანილი ცხრილი (3):

ცხრილი 3
ტუნგოს ფართობი საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში (მოსავლიანი ნარგავები)⁸

წლები	სულ (ჰექტარით)	მ ა თ შორის			
		კოლმეურნეობებში		საბჭოთა მეურნეობებში	პროცენტობით მთლიანის მიმართ
		აბსოლუტური	პროცენტობით მთლიანის მიმართ		
1961	7073	5701	80,6	1372	19,4
1962	6684	5500	82,2	1184	17,8
1963	6780	5617	82,8	1163	17,2
1964	6716	5636	84,0	1080	16,0
1965	5681	4797	84,4	884	15,6
1966	5789	4886	84,4	903	15,6

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1961 წელს კოლმეურნეობების ხვედრიწონა მთელ განსაზოგადოებულ ფართობში შეაღენდა 90,6 პროცენტს, ხოლო საბჭოთა მეურნეობებისა — 19,4 პროცენტს. მომდევნო წლებში საბჭოთა მეურნეობების ხვედრიწონა შემცირდა, ხოლო კოლმეურნეობების ხვედრიწონა 84,4

ცხრილი 4

ტუნგოს ნაყოფის საერთო მოსავალი საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში⁹

წლები	სულ მოსავალი (ცენტრული რობით) ¹⁰	მ ა თ შორის			
		კოლმეურნეობებში		საბჭოთა მეურნეობებში	პროცენტობით მთლიანის მიმართ
		აბსოლუტური	პროცენტობით მთლიანის მიმართ		
1961	130607	96412	73,8	34195	26,2
1962	33029	24377	73,8	8652	26,2
1963	35041	21801	61,9	13540	38,1
1964	67712	52406	77,3	15306	22,7
1965	11917	12765	80,0	3252	20,0
1966	40610	28640	70,5	11970	29,5

⁷ ქურნ. «სუბტროპიკული კულტურები», მახარაძე-ანასეული, 1963, 4, გვ. 54.

⁸ გაანგარიშებულია სსაქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წლიური კრებისითი ანგარიშებების საფუძველზე.

⁹ გაანგარიშებულია საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წლიური კრებისითი ანგარიშებების საფუძველზე.

¹⁰ შენიშვნა: ტუნგოს ნაყოფი აღებულია ნედლი წონით.

პროცენტით გაიზარდა, მაგრამ ფართობის აბსოლუტური სიდიდე კოლმეურნეობებში 815 ჰექტარით შემცირდა.

შესაბამისად შემცირდა აგრეთვე ტუნგოს ნაყოფის საერთო მოსავალიც. (იხ. ცხრილი 4):

როგორც მონაცემების ანალიზით ირკვევა, 1966 წელს, 1961 წელთან შედარებით, ტუნგოს ნაყოფის საერთო მოსავალი თითქმის 60 პროცენტით შემცირდა. მათ შორის: კოლმეურნეობებში თითქმის 70 პროცენტით, ხოლო საბჭოთა შეურნეობებში კი დაახლოებით 55 პროცენტით. ამასთანავე, თუ მეორე და მესამე ცხრილის მონაცემებს შევადარებთ, დაიწინახავთ ერთ საინტერესო შომენტს: საბჭოთა შეურნეობების ხვედრიწონა ტუნგოს საერთო ფართობში 1961-1966 წლებში შემცირდა (3,8%), კოლმეურნეობებისა კი გაიზიდა (3,8%), მაშინ, როცა საერთო მოსავალში ხაწინააღმდევო პროცესს ჰქონდა აღვილი. კერძოდ, საერთო მოსავალში შესაბამის წლებში გაიზარდა საბჭოთა შეურნეობების ხვედრიწონა (3,8%), ხოლო კოლმეურნეობებისა შემცირდა (3,8%). აյ რამდენადმე ჩანს სახელმწიფოებრივი მეურნეობების — საბჭოთა მეურნეობების უპირატესობა.

საბჭოთა შეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მოსავლიანობა წლების განმავლობაში მკვეთრად მერყეობს, რაც ნათლად ჩანს შემდეგი ცხრილიდან: (იხ. ცხრილი 5):

ცხრილი 5

ტუნგოს ნაყოფის მოსავლიანობა საქართველოს საბჭოთა შეურნეობებსა და კოლმეურნეობებში (ნაყოფის მომცემი ფართობიდან ცენტრურობით)¹¹

წლები	კოლმეურნეობებში	საბჭოთა შეურნეობებში	
		აბსოლუტური	პროცენტით კოლმეურნეობების მიმართ
1961	17,0	85,1	500,3
1962	4,4	7,3	166,0
1963	3,9	5,7	146,1
1964	10,2	14,2	139,2
1965	4,6	3,7	80,4
1966	5,9	13,2	223,7

ტუნგოს ნაყოფის სახელმწიფოებრივი დამზადების დონისა და დინამიკის შესახებ ნათელ წარმოდგენას შემდეგი მონაცემები გვაძლევს (იხ. ცხრილი 6):

საერთოდ, ტუნგოს ნაყოფის დამზადება როგორც ცალკეულ მეურნეობააში, ასევე თითოეულ ჰექტარზე ძლიერ მერყეობს და ხშირ შემთხვევაში ძალზე დაბალია. სხვადასხვა მეურნეობის ცალკეული ფართობისა და მოწინავე მეურნეობების მაღალი მაჩვენებლები კი იმას მოწმობს, რომ საქართველოში უდიდესი შესაძლებლობანი არსებობს ტუნგოს ნაყოფის წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის.

ტუნგოს ნარგავებისადმი ამ ბოლო ხანებში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ყურადღება მეტად შეასუსტეს, სისტემატურად აღარ ხორციელდება აგროლონისძიებათა კომპლექსი, არ ტარდება პლანტაციების რემონტი, აღარა ხდება ძლიერ გამეჩერებული ტუნგოს პლანტაციების აღდგენა, პირიქით — ფართობი სხვა კულტურებს ეთმობა. თუკი ზემოხსენებული ღო-

¹¹ გააანგარიშებულია საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა შეურნეობების წლიური კებასითი ანგარიშებების შიხედვით.

ნისძიებები სისტემატურად განხორციელდება, შევძლებთ აღვადგინოთ ტუნგოს ნარგავები, გავაუმჯობესოთ ხეების ხარისხობრივი შემაღენლობა, გავაახალ-გაზრდავოთ ნარგავები და თითოეულ ნაკვეთზე შევქმნათ სხვადასხვა ასაკის ნარგავები, რომლებიც მომავალში მთლიანად აღმოფხვრიან მსხმოიარობის მკეთრ პერიოდულობას.

ცხრილი 6

ტუნგოს ნაყოფის სახელმწიფოებრივი დამზადება და შესყიდვა მეურნეობის ყველა კატეგორიაში (ტუნგოსთვის 12¹²)

წლები	აბსოლუტური	პ რ ი ც ე ნ ტ ი ბ ი თ		
		1941 წ-ის მიმართ	1950 წ-ის მიმართ	1960 წ-ის მიმართ
1941	3100	—	—	—
1950	4500	145,1	—	—
1951	11800	380,0	262,2	—
1952	11200	361,2	248,9	—
1953	11200	361,2	248,9	—
1954	17000	548,4	377,5	—
1955	16200	522,5	360	—
1956	3500	112,9	77,7	—
1957	2300	74,1	51,1	—
1958	14200	461,2	317,7	—
1959	8300	267,7	184,4	—
1960	7800	251,2	173,3	—
1961	22800	735,4	506,6	292,3
1962	1700	54,8	37,7	21,7
1963	7200	232,2	160,0	92,3
1964	11200	361,2	248,8	143,5
1965	3300	106,9	73,3	42,3
1966	12200	396,7	273,3	157,6

ტუნგოს მეურნეობისაღმი ყურადღების შესუსტების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, როგორც ამას სავსებით სწორად აღნიშნავენ სხვა ავტორებიც¹³, ის არის, რომ ზოგიერთი მუშავი ამტკიცებს, თითქოს ტუნგო არარენტაბელური იყოს, — მისი ზეთის თვითონირებულება დიდია და უმნიშვნელია ტუნგოს ზეთის შემოტანა საზღვარგარეთიდან.

ასეთი მოსაზრება არ არის დასაბუთებული, იგი ეკონომიკური გაანგარიშების ნაცვლად ზერელ ანალიზს ემყარება. იმის თქმა, რომ ტუნგო არარენტაბელური კულტურაა, სწორი არა და თუ კულტურა მეურნეობას ზარალს აყენებს, ეს უპირველეს ყოვლისა, იმავე მეურნეობის გაძლილის ნაკლოვანებებით უნდა აიხსნას. ტუნგოს წარმოების რენტაბელობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი შეიძლება იყოს მოსავლიანობის გადიდება შრომის უმცირესი დანახარჯების პირობებში. ტუნგოს დაბალი მოსავლიანობა აიხსნება არა მარტო აგროტექნიკურ ღონისძიებათა ჩაუტარებლობით, არამედ დიდი დანაკარგებითაც. ხშირად ტუნგოს ნაყოფს ჩამოცვენისთანავე არ აგროვებენ, ამასთანავე, პლანტაციებს მოუვლელობის გამო ეკალ-ბარდები ედება და თითქმის შეუძლია გადამზადება და განვითარება.

¹² გაანგარიშებულია საქართველოს სრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მურნეობების წლიური კრებისთვის ანგარიშგებების მიხედვით.

¹³ გრ. ჭარ ჩავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 36; გ. ხარებავა, კ. ჩხერიძე ლი, ზ. ჩანა ბლა ძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 33—37.

9. „მაცნე“, № 3, 1969.

ლებელია ნაყოფის შეგროვება. დადი ხნით მინდვრად დატოვებული ნაყოფი კი ლპება, ამიტომ აუცილებელია მისი დროულად შეგროვება, გაშრობა და დანიშნულებისამებრ ჩაბარება.

საერთოდ, საქართველოს კოლმეურნეობებში ტუნგოს ნაყოფის წარმოების შედეგები და რენტაბელობის დონე დიდად არის დამოუკიდებული წმინდა შემოსავლის სიდიდეზე.

ტუნგოს ნაყოფის წარმოება საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მთლიანად რენტაბელური იყო 1965 და 1966 წლებში. რენტაბელობის ნორმაში შესაბამისად შეადგინა 26,8% და 3%. ტუნგოს ნაყოფის წარმოება განსაკუთრებით რებით რენტაბელური იყო 1965 წელს აფხაზეთის ასსრ-ის (65,4%), აჭარის ასსრ-ის (92,2%), ჩოხატაურის (82%), ჩხოროწყუს (120%), წალენჯიხის (87%) და სხვა რაიონის კოლმეურნეობებში.

მაღალი რენტაბელობით ხასიათდებოდნენ 1966 წელს ხობის (60%), მახარაძის (16,6%), ჩხოროწყუს (28,6%), ლანჩხუთის (24,7%) რაიონის კოლმეურნეობები. დანარჩენი რაიონის კოლმეურნეობებმა კი (აჭარის ასსრ გამოკლებით) იზარალეს ტუნგოს ნაყოფის წარმოებაში.

ტუნგოს ნაყოფის წარმოება ექვსი წლიდან რენტაბელური იყო სამ წელი-წადს: 1961 წელს რენტაბელობის ნორმა უდრიდა 39,6%-ს, 1963 წელს — 12,9%-ს და 1964 წელს — 12,40%-ს; დანარჩენ წლებში ტუნგოს ნაყოფის წარმოება საბჭოთა მეურნეობებისათვის ზარალიანი იყო. საერთოდ, საქართველოს კოლმეურნეობებში ტუნგოს წარმოება რენტაბელურია, ასევე, ზოგიერთ წელს, რენტაბელურია საბჭოთა მეურნეობებშიც. ე. ი. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არსებითად ტუნგოს ნაყოფი წარმოება ჩვენს რესპუბლიკაში რენტაბელურია არა, როგორც ჩაი, ციტრუსები, თამბაქო და სხვა კულტურები. რაც შეეხება იმას, რომ შრომის დანახარჯი მის წარმოებაზე დღემდე დიდია, ეს იმით აისხება, რომ ისეთი სამუშაოებიც კი, რომელთა მექანიზაცია დიდ ტექნიკურ სიძნელეებთან არაა დაკავშირებული (ნიადაგის რიგთაშორისი დამუშავება, სასუქების შეტანა, გამზიდვა და სხვა), ხელით ტარდება. განსაკუთრებით დიდია შრომის დანახარჯი თანანყოფისაგან თესლის გამორჩევაზე. ამ სამუშაოზე მოღის მთლიანად ამ კულტურის წარმოებაზე გაწეული შრომის წლიური დანახარჯის 45-50%. ამ სამუშაოს მექანიზაცია დიდად შეამცირებდა ტუნგოს კულტურის წარმოების შრომის დანახარჯს და ხელს შეუწყობდა რენტაბელობის ამაღლებას.

ტუნგოს ნედლეულის წარმოება განსაზღვრავს მისი მრეწველური წარმოების ეკონომიკის მიმართულებას, რამდენადაც ტუნგოს ნაყოფის ოვითლირებულების დონე ძირითადად განსაზღვრავს ტუნგოს ზეთის ოვითლირებულების დონეს.

განსაკუთრებული შინიშვნელობა ენიჭება ტუნგოს როგორც ნედლეულის, ისე ზეთის ოვითლირებულების შემცირებას. როგორც მონაცემებიდან ირკვე-

ვა, უკახასკნელი ათი წლის განმავლობაში ტუნგოს ზეთის თვითონირებულება უშეტეს შემთხვევაში გასაცემ ფასზე მაღალი იყო. სხვაობა ტუნგოს ზეთის თვითონირებულებასა და ფასს შორის საგრძნობლად დიდია. ასე, მაგალითად, 1964 წელს ერთი ტონა ტუნგოს ზეთის თვითონირებულება შეაღენდა 5925 მანეტს, გასაცემი ფასი კი იყო მხოლოდ 2240 მანეტი, ანუ ქარხანაში ერთეული პრიდუქციის წარმოებაზე იზარალა 3675 მანეტი და ამოილო დანახარჯის მხოლოდ 37,8%, 1965 წელს — 35,2%, 1966 წელს — 33,6% და 1967 წელს — 40,6%. ქობულეთის ტუნგოს ქარხნის მონაცემებიდან ირკვევა, რომ ტონა ზეთის გეგმურ და ფაქტიურ თვითონირებულებას შორის დიდი განსხვავება არ არის, თანაც ფაქტიური თვითონირებულება უშეტეს შემთხვევაში ნაკლებია გეგმურთან შედარებით. აქედან კი ნათელია, რომ ქარხანაში წარმოება ზარალით იგეგმება.

როგორც აღვნიშნეთ, სხვაობა ტუნგოს ზეთის როგორც ფაქტიურ, ისე გეგმურ თვითონირებულებასა და გასაცემ ფასს შორის საგრძნობლად დიდია, მაგრამ ჩევნ არ გვაქვს საფუძველი ტუნგოს ზეთის წარმოებას წმინდა კომერციული თვალსაზრისით მივყდგეთ. საჭითხი უნდა განვიხილოთ არა მარტი ზეთის უშუალო თვითონირებულების, არამედ საერთო სახალხო ინტერესების თვალსაზრისით.

ტუნგოს ზეთის მაღალი თვითონირებულება ძირითადად გაპირობებულია შესი სანედლეულო ბაზის — ნედლეულის მაღალი თვითონირებულებით. ერთი ტონა ზეთის მისაღებად, როგორც წესი, საჭიროა გადამუშავდეს 17-26 ტონა ნედლეული (ტუნგოს ნაყოფი), რომლის ღირებულება 3400-5200 მანეტის, ანუ ზეთის თვითონირებულების 75-95 პროცენტს შეაღენს. ერთი ტონა ტუნგოს ზეთის მისაღებად, თუ 1965-1967 წლებში ამდენი ნედლეული იქნა დახარჯული, ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას შემდეგი მონაცემები გვაძლევს (ცხრილი 6):

ცხრილი 7

ერთი ტონა ტუნგოს ზეთის მისაღებად დაიხარჯა ნედლეული
(ტუნგოს ნაყოფი) ქობულეთის ქარხანაში (ტონობით)¹⁴

მაჩვენებლები	წლები		
	1965	1966	1967
გეგმით—აბს.	14,1	21,3	24,0
—% %	100,0	151,0	171,3
ფაქტიურად —აბს.	21,0	24,8	22,1
—% %	100,0	118,0	105,2
ეკონომია	—	—	1,9
გადახარჯვა	6,9	3,5	—

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ერთი ტონა ზეთის წარმოებაზე დაიხარჯა ტუნგოს ნაყოფი: 1965 წელს 21 ტონა, ანუ გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით 6,9 ტონით მეტი, 1966 წელს — 24,8 ტონა, ანუ გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით 3,5 ტონით მეტი, ხოლო 1965 წელთან შედარებით 18,1%-ით მეტი; 1957 წელს — 22,1 ტონა, ანუ გეგმით გათვალისწი-

¹⁴ გაანგარიშებულია ქარხნის ბუღალტრული მონაცემების საფუძველზე.

ნებულთან შედარებით 1,9 ტონის ნაკლები, ხოლო 1965 წელთან 5,2%-ით მეტი.

როგორც ჩანს, ტუნგოს ზეთის მისაღებად ბევრი ნედლეული იხარჯება. ამიტომ, ღონისძიებანი პირველ რიგში მიმართული უნდა იქნეს პროდუქციას ერთეულზე ნედლეულის ხარჯვის შემცირებისაკენ. ამ მიზნით აუცილებელია როგორც ნედლეულის წარმოების, ისე მისი გადამუშავების სფეროში კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელება. ამ ღონისძიებათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ნაყოფიდან (თესლიდან) ზეთის ფაქტიური გამოსავლიანობის გადიდება. ცნობილია, რომ ჩვენში ტენიან, ბუნებრივ პირობებში თესლიდან ზეზის გამოსავლიანობა იშვიათად თუ მიაღწევს 15%-ს, ხშირად კი 8-9 პროცენტად ეცემა. გამოსავლიანობის თუნდაც ერთი პროცენტით გადიდება ტონა ზეთზე ნედლეულის ხარჯვას 1-1,7 ტონით ამცირებს. აქედან ჩანს, თუ რამდენად აქტუალურია ეს საკითხი. პროდუქციის თვითლირებულების შემცირება უპირველესად ზეთის გამოსავლიანობის გადიდებით მიიღწევა. ამისათვის კადიდი მნიშვნელობა აქვს, სხვა ფაქტორებთან ერთად, უბემოსავლიანი, მეტი რაოდენობისა და საუკეთესო ხარისხის ზეთის შემცველი ჯიშების გამოყვანას. მაგრამ თვითლირებულების შემცირების რეზერვები მოიპოვება თვით ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიაშიც. ასეთი რეზერვია, მაგალითად, კოპტონის ზეთიანობის მინიმუმდე დაყვანა. ჩვენში ჯერ კიდევ ვერ ხერხდება ფესლიდან ზეთის მთლიანად გამოწერება. ასე, მაგალითად, 1966 წელს ქობულეთის ქარხანაში ზეთის დანაკარგი კოპტონში შეაღგენდა 2,46 პროცენტს. აქედან ნათელია, თუ რაოდენ აქტუალურია მოქმედი დანაღვარების მუშაობის გაუმჯობესებისა და მოწინავე ტექნოლოგიური მეთოდების დანერგვის გზით კოპტონში ზეთიანობის მინიმუმამდე დაყვანა.

ტუნგოს ზეთის თვითლირებულების შემცირებისათვის, ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა აქვს ძირითადი ფონდების ეფექტურ გამოყენებას, რაც დიდად ზრდის შრომის მწარმოებლურობას. 1965 წელთან შედარებით 1967 წელს ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტურობა გადიდდა 16,6%-ით, ხოლო პროდუქციის წარმოება, ერთ მუშავზე გაანგარიშებით, კი — 34,6%-ით. შრომის მწარმოებლურობის გადიდების რეზერვები ქარხანაში კვლავაც ბევრია, რის გამონახვა და ამოქმედება დიდად შეუწყობს ხელს ქარხნის მეურნეობრივი საქმიანობის გაუმჯობესების და რენტაბელურ მუშაობას.

* * *

როგორც ზემოთ განხილული მასალებიდან ჩანს, ტუნგოს კულტურას დადი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს, ამასთან მისი წარმოება ნორმალური მეურნეობრივი საქმიანობის პირობებში საკსებით რენტაბელურია და ამ შხრივაც ამართლებს მისი გაშენების საჭიროებას; ამასთანავე, ტუნგოს სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა მარტო მრეწველობისათვის მაღალხარისხოვანი ზეთის მიღებით არ განისაზღვრება. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის რაციონალური ორგანიზაციისა და დარგთა სწორი შეთანაწყობის თვალსაზრისითაც. ტუნგოს სამუშაოთა 70%-ზე მეტი (ნაყოფის შეგროვება, გარჩევა და სხვა) შემოღვიმა-ზამთრის პერიოდში მიმდინარეობს, როდესაც ჩანს ფოთლის კრეფა და ერთწლიან კულტურათა (სიმინდი, თამბაკი) მოსავლის აღება დამთავრებულია. ეს საშუალებას იძლევა მუშახელი და

წარმოების საშუალებანი დავსაქმოთ ტუნგოს სამუშაოებზე. გარდა ამისა, ტუნგო შეიძლება გაშენებულ იქნეს ისეთ ნაკვეთებზე, სადაც სხვა კულტურა ვერ გაისარებს ან მათი გაშენება ეკონომიკურად გაუმართლებელია. მიჩიგად, სუპტროპიკულ სოფლის მეურნეობაში ტუნგოს კულტურა, გარდა პირდაპირი მეურნეობრივი ეფექტისა, იძლევა მთელი წლის განმავლობაში შრომითი რესურსებისა და საშუალებების თანაბრად გამოყენების შესაძლებლობას, რაც მეურნეობებზე მიმაგრებული მიწების მთლიანად და მაღალნაყოფიერად გამოყენების საწინდარია.

აღნიშნულიდან ნათელია, რომ ტუნგოს დიდი სახალხომეურნეოპრივი მნიშვნელობა აქვს, რის გამოც აუცილებელი და მიზანშეწონილია მისი წარმოების შემდგომი გაფართოება. ეს აუცილებლობა გამოწვეულია შემდეგი ვარემოებებითაც: ცნობილია, რომ ჩინეთი ერთ დროს დიდი რაოდენობით ხდიდა ტუნგოს ზეთს და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მოთხოვნილებასაც თითქმის მთლიანად აქმაყოფილებდა. მაგრამ, შემდგომში, როცა ბევრ ქვეყანაში ტუნგოს ზეთის მომხმარებელი დარგები სწრაფად განვითარდა, ტუნგოს ზეთზე მოთხოვნილება დიდად გაიზარდა.

სწორედ ამიტომა განსაზღვრული პარტიისა და მთავრობის მიერ საქართველოს რესპუბლიკაში ტუნგოს წარმოების მნიშვნელოვანი გაფართოება პერსპექტიული გეგმით. ტუნგოს წარმოების, კერძოდ მისი ფართობების, გადიდება დაიწყება 1970 წლიდან და გაგრძელდება ძირითადად 1975 წლამდე.

საქართველოში ტუნგოს კულტურის ფართობი 1975 წელს, 1965 წელთან შედარებით, გაიზრდება თითქმის 2,4-ჯერ და მიაღწევს 16,3 ათას ჰექტარს, ნაცვლად 6,8 ათასი ჰექტარისა. ამასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ არსებითად იცვლება მეურნეობათა კატეგორიების ხვედრი-წონა ტუნგოს საერთო ფართობში საბჭოთა მეურნეობების სასარგებლოდ. კერძოდ, საბჭოთა მეურნეობების სკედრიწონა აღნიშნულ წლებში დიდდება 23,5 პროცენტიდან 60,1 პროცენტამდე. ეს ბუნებრივია, რამდენადაც საბჭოთა მეურნეობებში, რომელთა პროდუქცია თითქმის მთლიანად საქონლურია, ყველა პირობა არსებობს ტუნგოს კულტურის გაფართოებული აღწარმოებისათვის.

ქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ტუნგოს კულტურის ფართობების გადიდება გათვალისწინებულია არა მარტო უკვე არსებულ საბჭოთა მეურნეობებში, არა მედ განხრახულია ახალი სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობების შექმნა. ზოგი მეურნეობა სულ ახლად შეიქმნება, ზოგ შემთხვევაში კი კოლმეურნეობები, სადაც ტუნგოს კულტურას დიდი ხვედრიწონა უჭირავს ეკონომიკაში, გადაეკეთდება საბჭოთა მეურნეობებად. საბჭოთა მეურნეობები (დაახლოებით 14-15) შეიქმნება უმთავრესად ზუგდიდის, მახარაძის, ლანჩხუთის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და სხვა რაიონებში.

ამ წლებში ყველა კატეგორიის მეურნეობაში რამდენადმე გაიზრდება ტუნგოს მთლიანი მოსავალიც, საერთო მოსავალი გადიდდება 3,3 ათასი ტონი-დან (1965 წ.) 15 ათას ტონამდე (1975 წ.). მათ შორის: კოლმეურნეობებში 445,8 %-ით, საბჭოთა მეურნეობებში — 660%-ით, მოსახლეობის საკარითა-მო მეურნეობაში — 250%-ით. მეურნეობის ყველა კატეგორიაში მოსავლიანობის გადიდება, 1965 წელთან შედარებით, 1975 წელს გათვალისწინებულია 475,4 %-ით; მათ შორის: საბჭოთა მეურნეობებში — 757,5%-ით; ხოლო კოლ-

შეურნეობებში კი — 476,4%-ით, ე. ი. პირველში მაღალი იქნება მოსავლიანობა 281,1%-ით, ეს კი, ფართობის გადიდებასთან ერთად, იმის ძირითადი საჭიროა იქნება, რომ საბჭოთა შეურნეობები უფრო მეტ ხვედრიშონას დაიკავებენ ტუნგოს მთლიან წარმოებაში, ვიდრე კოლმეურნეობები.

ამრიგად, მიღებულია პერსპექტიული გეგმა, რომლის მიხედვითაც დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ყოველი ღონისძიებით უნდა გაადიდონ ტუნგოს პლანტაციების ფართობი და მოსავლიანობა, ქვეყანას მისცენ სულ უფრო მეტი ტუნგოს ნაყოფი საბჭოთა კავშირის მრეწველობის მრავალი დიდმნიშვნელოვანი დარგისათვის აუცილებელი მაღალხარისხოვანი ზეთის მისაღებად და ამით ჩვენი ქვეყანა საგსებით გაათავისუფლონ ას სახის ნედლეულის ყოველწლიური ძვირადლირებული იმპორტისაგან.

ლილა ცუკიჩაძე

ნ. გიორგის 1651 წლის ხაზი იღობიდან

(ჭარმალებინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების
ისტორიის ინსტიტუტში)

ქართული ჭედურობის იმ დიდი და მრავალფეროვანი კოლექციიდან, რომელიც სამეცნიერო მთავრის, ლევან II დადიანის სახელთანა დაკავშირებულია, უთუოდ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ილორის 1651 წლის ხატი. ამ ხატის ვრცელ ჭარწერას, რომელიც მდიდარ ისტორიულ მასალას შეიცავს, თავის დროზე სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა კ. გრიგოლიაში¹. ჭინამდებარე წერილში განხილულია ძეგლის მხატვრულ-კომპოზიციური და იკონოგრაფიული საკითხები.

სამწუხაროდ, ხატი დღეს აღარ არსებობს: იგი დაიღუპა 30-იან წლებში, ილორის ეკლესიის გაძარცვის დროს. ხატის გადარჩენილი ფრაგმენტი — ჩარჩოსქვედა არშია — ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (Q 927). ფრაგმენტი ვერცხლისა; მისი ზომებია — 19×85 სმ. ჭარწერა, რომელიც ამ ფრაგმენტზეა, შეიცავს 13 სტრიქონს. იგი ნაწილია იმ ტექსტისა, რომელიც განაწილებული იყო ხატის ჩედა და ქვედა არშიებზე. ჭარწერაში მოთხრობილია იმ გამარჯვებათა შესახებ, რომლებიც ლევან II დაღუანს მოუპოვებია შე. გიორგის შეწევნით; მოხსენიებულია 1624 და 1647 წლების ბრძოლები იმერეთის მეფებთან, მამუკა ბატონიშვილის ტყვედ ჩავარდნის ამბავი, აფხაზებთან ბრძოლა და გამარჯვება და, დასასრულ, „... კიდევ ძალითა შეწევნითა შენითა მიუხედით მეფესა ალექსანდრესა, რიონს გაღმა, ქუთათს ქალაქი დაგსწვით და ავაოხრეთ, და შემოვადექით გვინაყალს, და ავიღეთ სწორზედა, ორმოცის თავადითა და აზნაურიშვილითა, სხვისა მრავლისა მეთოფითა, მისის საქონლითა და ალაფითა ავსებულნი მშვიდობით გმიარჯვებულნი შინ მოვედით, და ვიწყეთ ამის შემქობა, და მოჰედვა, სრული იქმნა ხატი ესე ჭარწერა სამასოცდათცხრმეტსა“. ე. ი. იმერეთის მეფეს, ალექსანდრეს. დადიანი თავს დასხმია 1651 წელს. მაშინვე დაუკვეთია მას ილორის წმ. გიორგის სასწაულების ხატის მოჭედვა.

როგორც ვხედავთ, ხატის ჭარწერა მნიშვნელოვანია ისტორიული ფაქტების მოხსენიებით — იგი თითქოს აკადემის XVII საუკუნის ერთ-ერთი უძლიერესი მთავრის მიერ ჭარმოებულ იმ მთავარ ბრძოლებს, რომლებიც განსაზღვრავს მის საშინაო პოლიტიკას. გარდა ამისა, ჭარწერა საინტერესოა ცალკეული მნიშვნელოვანი ფაქტების აღნიშვნით:

ა) ქ. რუხის, როგორც საგაჭრო პუნქტის, დარსება,

ბ) ხატის ოქრომჭედლის სახელის მოხსენიება — „... ამ ხატისა გამომყვანელსა ოქრომჭედლისა, ტყავძულიძეს ბეჟის, შეუნდოს ღმერთმან. ამინ“.

¹ კ. გ. გ. გ. თ. ლ. ი. ა., ილორის წმ. გიორგის ხატის ჭარწერა, «ენიმქის მომბე», XIII, ტფილისი, 1942, გვ. 145-148.

გ) ილორის ექლესის „გადაბურვა“, ე. ი. სახურავის შეკეთება, და ეკლესის დასავლეთის ორთავე კარის „ვერცხლით მოჭედვა“.

ილორის წმ. გიორგის სასწაულების ხატი დიდი ზომისა ყოფილა: 100×85 სმ². ხატის ცენტრალური ნაწილი შედგება ოთხი ვერცხლის ფირფიტისაგან, რომელთა კომპოზიციებს თან ახლავს განმმარტავი მხედრული წარწერები. წარწერების თანამდა, ილორის ხატზე შემდეგი სცენებია გამოსახული (მარცხნიდან მარჯვნივ)³:

1. „წმიდა გიორგი ვეშაპი მოქლა და მეფის ასული დაიხსნა“. ფირფიტის მარჯვენა კუთხეში გამოსახულ ღმრთის მაკურთხებელ მარჯვენას ასეთი წარწერა აქვს — „ეს არს ხელი უფლისა“.

2. „წმიდა გიორგი ხორასნიდამ ტყვე გამოიხსნა“⁴.

3. „მეფემან კერპთმისახურმან საწამლავი გაუგზავნა ამ კაცის ხელით. საწამლავი სვა წმიდამა გიორგი და წმიდასა მიმრთმელი მოქუდა“.

4. „აქა წმიდა გიორგი მისი მწამლველი კაცი აღუდგინა“.

5. „აქა წმიდა გიორგი ხარი მყუდარი აუყენა მაგნენტიოზს“.

6. ქვედა მარჯვენა ფირფიტაზე წარმოდგენილი ყოფილა საერო ტანსაცმელში მდიდრულად გამოწყობილი მუხლმოყრილი ლევან დადიანი, რომელიც ვედრებას სწირავს წმ. გიორგის. გამოსახულების ორსავე მხარეს მოთავსებულია გრძელი მხედრული წარწერა, რომელშიც მოხსენებულია ხატის მოჭედვის მთავარი მიზეზი — „... სუდისა ნადირობაში ცხენი წრამასა ჩამიგარდა და წაშექცა. იპრიანა წყალობამა ღვთისამან და მოვრჩი, შეწევნითა შენითა, წმიდაო გიორგი ... აშ ეს ხატი დღისა მის ბოროტისაგან მორჩენისათვის მოვაჭედინე... ეს მიქნია უკუნისამდე, სახსენებლად სახელისა შენისათვის და სასარგებლოდ სულისათვის...“⁵

ილორის წმ. გიორგის ხატს ფართო ჩარჩო აქვს. ჩარჩოს ზედა და ქვედა არშეიბი, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მხედრული წარწერითაა დაფარული; გვერდითი არშეიბი კი შემკულია მცენარეული ორთამენტით.

ილორის წმ. გიორგის ხატის ოთხივე ფირფიტა დახსლოებით ერთი ზომისაა. მაგრამ ზედა ორი ფირფიტის კომპოზიციური გადაწყვეტა განსხვავებულია ქვედა ორი ფირფიტისაგან. თუ ზედა კომპოზიციებში გამოსახულება მთლიანად ავსებს სასურათო არეს, ქვედა ფირფიტებზე გამოსახულებები ორ რევისტრადაა განლაგებული. ფირფიტების ერთნაირი მასშტაბის გამო ილორის ხატის მთლიანი კომპოზიცია თითქოს მოწესრიგებულია. მისი სიმეტრიული აგება კი კომპოზიციურად მსგავსი სცენების დაპირისპირებაში გამოიხატა. მიუხედავად ამისა ხატის საერთო აგებულება ვერაა გამართული: ქვედა ფირფიტების მცარე ზომის ფიგურები ვერ უძლებს ზედა კომპოზიციების დიდი ზომის გამოსახულებებს.

ილორის ხატის ცენტრალურ არეს კიდეებზე ძვირფასი თვლების მწყრივი დაუყვება. თვლები აქვთ აგრეთვე ფირფიტებს შორის ზღვარის გამოშატველ

² ილორის ამ ხატის აღწერას ვიძლევით MAK-ში გამოქვეყნებულ ფოტოსურათის მიხედვით — იხ. MAK, ვეპ. III, მოსკვა, 1893, სტ. 20, ტ. X. იხ. აგრეთვე, M. Brossset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, St.-Petersburg, 1851, VIII, p. 97-104.

³ წარწერებს ვაძლევით გროსეს მიხედვით — იხ. M. Brossset, Ibid, VIII, p. 98. ცალკეული სიტყვების, ზოგჯერ წინადადებების, გარჩევა ფოტოს მიხედვითაც ხერხდება.

⁴ კ. გრიგორიანის ეს სცენა გამორჩენია — იხ. კ. გრიგორიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 146.

⁵ M. Brossset, Ibid, VIII, p. 98; კ. გრიგორიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 146.

ხაზს. გამოსახულებების თავების ირგვლივაც, უმეტეს შემთხვევაში, ძვირფა-
სი თვლებია განლაგებული.

ილორის ხატის ცალკეული სცენა წარმოადგენს დასრულებულ, თავისთვ-
ში ჩაეტილ, გაწონასწორებულ კომპოზიციას. პირველი სცენა წარმოგვიღენს
ცნობილ ეპიზოდს წმ. გიორგის ცხოვრებიდან: მხედარი შუბით გმირაქს ვეშაპს
და ათავისუფლებს მეფის ასულს. კომპოზიციის ცენტრალური ნაწილი სწორედ
შხედას უჭირავს. ქვემოთ, მის ფერხთ ქვეშ, უზარმაზარი ვეშაპია განრთხმუ-
ლი, მარჯვნივ კი გამოსახულია მეფის ასული. ზემოთ, ასულის თავზე, ღმერთის
მაკურთხებელი მარჯვენა გაირჩევა. საწინააღმდეგო მხარეს კი, ზედა მარცხენა
კუთხეში, ამჟრილია სწორკუთხა სანაწილე, რომლის ზედაპირიც დაფარულია
შხედრული წარწერით. მხედრული წარწერები ახლავს აგრეთვე მთავარ გამო-
სახულებას და ღმერთის მაკურთხებელ მარჯვენას⁷. წმინდანის ფიგურა, ოღნავ
მარჯვნივ გადასრილი, დაძაბულ პოზაშია წარმოდგენილი. მხედრის, უზანგში
გაყრილ, დაჭიმულ ფეხს უპირისპირდება ვეშაპის განსაგმირავად აღმართული
შუბი. მარცხენა ხელში წმ. გიორგის ცხენის სადაცე უცყრია, მკერდთან ფიბუ-
ლით შეკრული მოსახამის ბოლო აფრიალებია, მოსახამის ქვეშ კი გაირჩევა
ჯაჭვის პერანგი. წმინდანის თავს წერილი ზოლით შემკული შარავანდი აღგას:
შარავანდს გარს უკლის ძვირფასი თვლები.

წმ. გიორგის სახის ოვალი მოვრძოა, ნაკვთები — თხელი: წვრილი, წუში-
სებრი თვალები, გრძელი და სწორი ცხვირი, ოღნავ მოკუმული ბაგები, ხუჭუ-
ჭია თმები.

ცხენის უკანა ფეხები ვეშაპის კულითაა მჭიდროდ შექრული. ურჩებულის
ქერცლოვანი სხეული ორ სქელ თათს დაყრდნობა — თავი ზეაუწევია: დაბჩე-
ნილი ხახიდან მოუჩანს ხშირი კბილები და გრძელი წვეტიანი ენა. უკვე და-
შორჩილებულ ურჩეულს კისერზე სადაცე აქვს შებმული — მისი ბოლო მე-
ფის ასულს უჭირავს. ასულის ფრონტალურ ფიგურას ლორონთ გაწყობილი
სამეფო ტანსაცმელი და გვირგვინი ამშვენებს. სახის ნაკვთები — ფართოდ გა-
ხელილი დიდი თვალები, მოკლე ცხვირი, რომლის ხაზი უშუალოდ ურთდება
წარბებს, თხელი ბაგები — ამ შემთხვევაში უფრო დაუდევრადა შესრუ-
ლებული.

ეს სცენა ქართულ იკონოგრაფიაში საქმაოდ ფართოდაა გავრცელებული.
ილორის ხატზე ივი ახალს არაფერს გვაძლევს გვიანი დროის სხვა ძეგლებთან
შედარებით.

შემდეგი სცენა, რომელიც ილორის ხატზეა გამოსახული, ისევ წმ. გიორ-
გის სასწაულს ეხება — ესაა ყრმის ტყვეობილან განთავისუფლება. კომპოზი-
ცია უპირისპირდება ზემოგანხილულ სცენას⁸. მხედარი წმ. გიორგი წარმოდგე-

⁶ წარწერის გარჩევა ფოტოსურათის მიხედვით ორ ხერხდება.

⁷ ამ წარწერებზე საუბარი ზემოთ გვქვნდა.

⁸ სცენათა ანალოგიურ (ე. ი. მათს დაპირისპირებას) ვხვდებით ზოგჯერ ქართულ ფრეს-
კებშიც, მაგ., აღიშში, ბოჭორმაში, იკვსა და ფავნისში, ნაკურალებშია მხატვრობაში. ლეგენდის
მიხედვით, წმ. გიორგის მიერ მეფის ასულის განთავისუფლება და ხორასნელთა ტყვეობიდან
ყრმის დახსნა უშუალოდ როდი მისდევს ერთმანეთს. ე. პრივალოვას მიაჩნია, რომ ამ ორი
სასწაულის დაპირისპირებაში უდიდესი როდი შეასრულა წმინდა ფორმალურმა ფაქტორმა,
კერძოდ, იმ ფაქტმა, რომ ორივე სცენაში გვაქვს ამხედრებული წმ. გიორგის მსგავსი გამოსა-
ხულებაო—იხ. ე. პრივალოვა, О взаимосвязи светской и церковной живописи в
грузинских росписях на примере Павници и других памятников XI-XII вв. (диссер-
тационная работа, машинопись), Тбилиси, 1964, стр. 158.

ნილია ყრმასთან ერთად. გამოსახულება თითქმის მთლიანად ავსებს ფირფიტას; ფონი აქაც სრულიად გლუვია, მხოლოდ მარჯვენა კუთხეშია მოთავსებული, წარწერიანი სანაწილე, pendant წინა სცენის სანაწილისა. ცხენის თავს ზემოთ გამოყვანილია მთელი სცენის განმმარტავი მხედრული წარწერა — „წმიდა გიორგი ხორასნიდამ ტყვე გამოიხსნა“. მეორე წარწერა — კომპოზიციის ქვედა ნაწილში — ეკვთენის ამ კომპოზიციის ქვემოთ მოთავსებულ ფირფიტას: იგი ამ ფირფიტაზე წარმოდგენილ სცენას გვაცნობს. ილორის ხატის ზედა ორ სცენაში — ვეშავზე გამარჯვებისა და ყრმის ტყვეობიდან განთავისუფლების კომპოზიციები — მხედრები პირისპირ არიან წარმოდგენილი და ისინი თითქმის ერთნაირად არიან გამოსახული. განსხვავება იმაშია, რომ მეორე სცენის ცხენი შშვიდად მიაბიჯებს და მხედრიც არ არის ისე დაძაბული. ერთ ხელში წმ. გაორგის ცხენის აღვარი უჭირავს, ხოლო მეორე მშვიდად უსვენია ხმალზე. მხედრის ქერცლოვანი ჯავშნის პერანგი, დეზების აქცენტირება, აფრიალებული მოსასხმი (რომელსაც სოკოსებრი ფორმის ბოლო აქვს), სახის მოყვანილობა და ნაკვთები, ორნამენტითა და თვლებით მორთული შარავანდი — ყოველივე ეს ამ სცენის წმინდანს დიდად ისეგავსებს წინა სცენის გამოსახულებას. წმ. გიორგის უკან, მოსასხმის ქვეშ, მარჯვედაა ჩაწერილი ყრმის პატარა ფიგურა (მისი ზომა თითქმის ორჯერ უფრო მცირეა მხედრის ფიგურასთან შედარებით). ყრმას გრძელი, ტანზე მომჯდარი, კაბა შორთულია ხშირი შესაკრავებით. თავზე მას სპარსული ყაიდის მაღალი წვეტიანი ქუდი ხურავს. სწორი გრძელი თმები მხედრზე ეფინება. ყრმის სახის ნაკვთები — მეტად მცირე ზომისა, ნაკლებად გაირჩევა. მარჯვენა ხელში ყრმას სახელურიანი სურა უჭირავს — გამობერილი მუცლითა და გრძელი ყელით⁹, მეორე ხელში კი რაღაც გაურკვეველი საგანი აქვს.

იკონოგრაფიულად ყრმის ტყვეობიდან ღასნის სასწაული ძალზე საინტერესოა. ასებობს წმ. გიორგის ამ სასწაულის ორი ვარიანტი. ილორის ხატზე ასახული სცენა მეორე ვერსიას უკავშირდება. მისი შინაარსი დაახლოებით ამგვარია¹⁰: ერთ-ერთი ქრისტიანი ოჯახის შვილი ტყვედ ჩავარდნია წარმართ ბატონს. ბატონი მოხიბლულა ყრმის სილამაზითა და სათნოებით და იგი თავისთან წაუყვანია მსახურად. ყრმის სასოწარკვეთილი მშობლები მხურვალე ლოცვებს სწირავენ წმ. გიორგის (მის სახელს ატარებდა მათი შვილიც). და სწორედ მაშინ, როდესაც მშობლებმა წმ. გიორგის სახელობის დღის აღსანიშნავად გაშალეს სუფრა და სტუმრებიც მოიწვიეს, საწყალი ტყვე-ბიჭი მორჩილად ემსახურებოდა თავის ბატონს — ღვინის განსაზავებლად აღუღებული წყლით სავეს სურა მიჰქინდა ბატონისათვის. ყრმა, ჩაფიქრებული, ნელა აღიოდა კიბეებზე და ცხარე ცრემლებით იხსენებდა სამშობლოსა და მშობლებს. უცებ მას გამოეცხადა წმინდა მხედრი და მოტაცა. ბიჭუნა ისე სწრაფად აღმოჩნდა მშობლების სახლში, გაშლილ მაგიდასთან, რომ წყალი ჭერ ისევ დუღდა სურაში. ამ წყლით ყრმის მშობლებმა ღვინო გააზავეს და ადლეგრძელეა წმინდა გიორგი. სასწაულმოქმედი სურა კი წმ. გიორგის ტაძარს შესწირეს.

ილორის ხატზე გამოსახული სცენა გაღმოგვცემს ამ ლეგენდის მოქლერედაქციის¹¹. აქ წარმოდგენილია წმ. გიორგის მიერ ყრმის მოტაცების მომენ-

⁹ ქართული ტექსტების (რედაქციების) მიხედვით ამ სურას «კურკუმაი» ეწოდება — იხ. პრივალოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 167.

¹⁰ ე. პ. ი. ვ. ა. ლ. ი. ვ. ა., დასახ. ნაშრ., გვ. 159—160.

¹¹ გაურცობილი ვარიანტით ამ სცენაში გამოსახულია აგრეთვე მშობლები და გაშლილი სუფრაც; მაგ., იკვისა და ფავნისის მხატვრობა.

ტი. საერთოდ ყრმის ტყვეობიდან განთავისუფლების სცენა მეტად იშვიათად შეუა საუკუნეთა ხელოვნებაში¹². ამ სიუჟეტის ამსახველი სცენების უმეტესი ნაწილი კი ქართულია: მხატვრობიდან — იკვისა და ბოჭორმის (XI—XII სს.)¹³ და ნაკურალების (XVII ს.)¹⁴ ფრესკები; ჭედური ხელოვნებიდან — უბისის წმ. გიორგის ხატი (XIV ს.)¹⁵, სადგერის საკურთხევლისწინა ჯვარი (XVI ს.), შესრულებული ოქრომჭედელ მპინეს მიერ, ჩხახის წმ. გიორგის მეტაფრასის ყდა (XVII ს.), მოჭედილი ლევან II დადიანის დის, მარიამის, დაკვეთით¹⁶. ახლა ამ სიას ილორის ხატის ზემოაღწერილი გამოსახულებაც ემატება.

ილორის ხატის მომდევნო ფირფაიტა ასახავს წმ. გიორგის მიერ შხამის შესქმასთან დაკავშირებულ სასწაულს. კომპოზიცია ორ რეგისტრადაა გაყოფილი — პირველი რეგისტრი წარმოგვიდგენს წმ. გიორგის მიერ შხამის შესქმას და შხამის მიმტანის სიკვდილს, მეორე რეგისტრში კი მოცემულია მისი გაცოცხლების ეპიზოდი. მთელი კომპოზიციის ორივე რეგისტრი კარგად იკითხება როგორც მთლიანობაში, ისე ცალ-ცალკე. ზედა სცენა სამი ფიგურისაგან შედგება. კომპოზიცია ფრიზისებურადაა გაშლილი და მარტინიდან მარჯვნივ იყითხება. მარტინივ, არქიტექტურული ნაგებობის ფონზე, წარმოდგენილია შეფის ფიგურა. მეფე ტახტზე ზის, იგი თითქოს ინტერიერშია — შენობის სახურავი ფანქატურივით ადგას თავზე; მაგრამ სიღრმის ილუზია მაინც არ იქმნება — აյ ყველაფერი ერთას სიბრტყეს ემორჩილება. ილორის ოსტატმა ისიც ვერ შეძლო, რომ მეფის ფიგურა ტახტის სიღრმეში მჯდომარედ წარმოდგინა — ამის გამო, რომ ტახტის ზურგი ჩამოჭრილია, ხოლო მეფის ფიგურა წინა პლანზეა წამოწეული, სივრცითი აღქმის შთაბეჭდილება საბოლოოდ ისპობა. მეფე სახას სამ მეოთხედში მიბრუნებითა და წინ გაწვდილი ხელის უესტით ცენტრისკენა მიმართული. ცენტრში მოთავსებულ, სრულიად ბრტყელი ფორმის, სწორკუთხა მაგიდას უზის მოხუცი. მარჯვენა ხელში მას „კურულმაი“ უჭირავს. მოხუცი სახით მიბრუნებულია მეფისაკენ, ხოლო მარტენა ხელის მოძრაობით იგი მარჯვნივ წარმოდგენილ წმ. გიორგის უკავშირდება. თვავის მხრივ, წმ. გიორგი მოძრაობით, სახისა და სხეულის სამ მეოთხედში დაყენებით ცენტრისკენა შიშართული. ასე ოსტატურადაა დაკავშირებული ერთმანეთთან კომპოზიციის ცალკეული კომპონენტები. აგების მთლიანობას ხელს უწყობს აგრეთვე გვერდითი გამოსახულებების ჩამკეტი ვერტიკალური.

თვით ფიგურები ბრტყელი ფორმებითა გადმოცემული, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული მოცულობები აღნიშნულია. ტანსაცმელი არ ემსახურება სხეულის ფორმების გამოვლენას. მოხუცისა და მეფის სახის ნაკვთები ძირითადად ერთგვაროვანია: ორივეგან — დიდი ზომის, ნუშისებრი თვალები, ჩავარდნილი ღაწვები, მოქლე ცხვირი, გრძელი წვერ-ულვაში; არავითარი ინდივიდუალური ნიშნები. მათგან განსხვავებით, წმ. გიორგი სახის სხვა ტიპით გამოიჩინა: პირისახე — მომრგვალებული, თვალები — ოდნავ პატარა, ღაწვე-

¹² ამაზე მეტყობენ მეტყველებს საქართველოს გარე ქრისტიანულ ხელოვნებაში ამ სცენის გამოყენების ის მცირებირიცხვით მაგალითები, რომელიც მოყვანილი აქვს პრივალევას. — იხ. ე. პ. რ. ი. ვ. ა. ლ. ო. ვ. ა., დასახ. ნაშრ., გვ. 158.

¹³ ე. პ. რ. ი. ვ. ა. ლ. ო. ვ. ა., იქვე, გვ. 219.

¹⁴ ი. ქ. ვ. ვ., გვ. 222.

¹⁵ ი. ქ. ვ. ვ., გვ. 221.

¹⁶ ამ ორ უკანასკნელ ძეგლზე ყრმის ტყვეობიდან განთავისუფლების ამბავი შერწყმულია ვეზაბე წმ. გიორგის გამარჯვების სასწაულთან. ამ სასწაულების განხრას შეერთება, ისევე როგორც მთი pendant გამოსახვა, ამ სცენების დიდი პოპულარობით აისხება. იხ. ე. პ. რ. ი. ვ. ა. ლ. ო. ვ. ა., დასახ. ნაშრ., გვ. 184.

ბი — მოვსებული; ხუჭუჭა თების განლაგება ხაზს უსვამს თავის მომრგვალებულ ფორმას. წმ. გიორგის შარავანდის კიდეები წერტილებითაა მოჩათული. წმინდანის ტანსაცმელს გრძელი ქიტონი და მოსასხამი შეადგენს. ქიტონს მოკლე ნაჟვები აქვს. მოსასხამი წინ ფიბულითაა შეკრული, ხოლო მის კიდეებს ორ მწყრივად დაუყვება გეომეტრიული ორნამენტის ხატოვანი ზოლი.

ფირფიტის ქვედა რეგისტრი, როგორც ითქვა, შხამის მიმტანის გაცოცხლების სცენას უკავია. კომპოზიცია თრი ფიგურისაგან შედგება — მარტხნი შხამის მიმტანია გამოსახული, მარჯვენივ — წმ. გიორგი. ფიგურები ისეა განლაგებული და ისეთი მანძილითაა დაშორებული ერთიმეორისაგან, რომ ისინი ზედა რეგისტრის გამოსახულებების მიერ შექმნილ რიტმს იმეორებენ. გარდა ამისა, ეს ფიგურები მთელი ფირფიტის კომპოზიციის სიმყარესაც უწყობს ხელს.

შხამის მიმტანი გახვეულია სულარაში, მის ფერხთით კი კუბოს ფიცარი გდია. წმ. გიორგის მაკურათხებელი მარჯვენა შხამის მიმტანის გასაცოცხლებლადაა გაწვდილი წინ. ილორის ხატის ეს სცენა იმეორებს ლაზარეს აღდგინების კომპოზიციას. როგორც ჩანს, ოსტატს არ ჰქონდა ამ სცენის გამოსახვის ტრადიციული სქემა და ამიტომ მან შექანიურად გამოიყენა მსგავსი სიუკეტის კომპოზიცია. ოსტატის შეზღუდულობა იმაშიაც გამოვლინდა, რომ იგი არ ანდენს გამოსახულებათა დიფერენციაციას, იგი არ იცავს სრულიად ელემენტორულ წესს, რომლის მიხედვითაც წმინდანი როგორდაც უნდა გვთირჩეოდეს ჩვეულებრივი მყვდავისაგან და, მით უფრო, თავისი მოწინააღმდეგისაგან — შხამის მიმტანისა და წმ. გიორგის სახეები მსგავსია და არაფრით არ გამოირჩევა ერთმანეთისაგან. უფრო ბუნებრივი იქნებოდა, რომ ამ კომპოზიციის წმ. გიორგი ზედა რეგისტრის იმავე გამოსახულების ანალოგურად ყოფილყო გადაშოცემული. მაგრამ ისინი სრულიად განსხვავებულნი არიან. ეს ერთნაირად ეხება როგორც იქონოგრაფიულ ტიპს, ისე ფიგურის დამუშავებას და გამოსახულების შესრულების დონესაც. ქვედა კომპოზიციის წმ. გიორგის იქონოგრაფიული ტიპი — სამკუთხა მოყვანილობის სახის ოვალი, ფართოდ გახელილი, დიდი თვალები, მყლე ცხვირი — მკვეთრად განსხვავდება ზედა გამოსახულებისაგან. რაც შეეხება ჩატულობას, ორივეგან ერთნაირი ქიტონი და მოსახამია, ოლონდ ქვედა რეგისტრის ფიგურის მოსასხამის კვდები არ არის შემკული ორნამენტული ზოლით. შესრულების მხრივ, ქვედა რეგისტრის წმ. გიორგი ბევრად უფრო გულგრილადაა დამუშავებული. განსაკუთრებით ეს იგრძნობა სახის ნაკვებას გამოვანაში — პირისახე ნაჩერარევად, თითქოს ხელის ერთი მოსმითაა შესრულებული. წმ. გიორგის ზედა რეგისტრის გამოსახულება გამოირჩევა გულმოვანებინე დამუშავებით — არა მარტო ქვედა ფიგურისაგან განსხვავებით, არამედ საერთოდ ამ ფირფიტის ყველა გამოსახულებასთან შედარებით.

ილორის ხატის ზემოგანხილული ფირფიტა კომპოზიციური აგებისა თუ ცალკეული ფიგურების დამუშავების მხრივ ახალს არაფერს იძლევა. მისი შესრულების დონეც საკმაოდ დაბალია. მაგრამ თავისი შინაარსით ეს ფირფიტა, უდავოდ, უნიკალურია; იგი შეიცავს ქართული იქონოგრაფიისათვის სრულიად უცნობ სცენას წმ. გიორგის ცხოვრებიდან¹⁷. საკითხი — საიდან გაჩნდა ილო-

¹⁷ წმ. გიორგის შხამის შესახსათან დაკავშირებული სასწაული არ უნდა ავრითო მკვდრის აღდგინების სასწაულთან, მიუხედავად იმისა, რომ თავისი შინაარსით ორივე ეს ეპიზოდი მკვდრის აღდგინების სასწაულს გამოივალება და მთავ შესატყვისი გამოსახულებებიც არსებითად ერთნაირია. განსხვავება იმაშია, რომ პირველი სცენის ამ გამოსახულებას წინ უძლვის. თხრინბა წმ. გიორგის მოწამვლის ცდის შესახებ, შხამის მიმტანის სიკვდილი და შექმნებისა.

რის ხატზე ეს გამოსახულება — თავის დროზე ხახანაშვილმა დასვა¹⁸. მან აღნიშნა, რომ წმ. გიორგის შხამის შესმასთან დაკავშირებული სასწაული არსად იხსენიება ქართულ ლიტერატურულ წყაროებში. არ არის იგი მოთხრობილი არც წმ. გიორგის ცხოვრების ლიპომანის რედაქციაში (პერძული ტექსტი). აშიომ ხახანაშვილი ამ სასწაულს უკავშარებს ხალხურ თქმულებებს, რომლებიც უფრო დაწვრილებით ამჟებენ წმინდანის ცხოვრების სხვადასხვა ფაქტებს. გარდა ამისა, ხახანაშვილს ნოჰყავს კიდევ ერთი საყურადღებო ცნობა: ბოლანდისტების¹⁹ (ე. ი. დასავლური) რედაქციის მიხედვით, ათანასე ჯადოქარი სასწაულავს აძლევს წმ. გიორგის, მაგრამ შხამიანი სასმელი არ მოქმედებს წმინდანზე²⁰. ამგვარად, დასავლური ოკონოგრაფიის ამსახველმა ტექსტებმა შემოინახა წმ. გიორგის შხამის შესმასთან დაკავშირებული სასწაული; დასავლეთის ხელოვნებაშიც მოიპოვება (მართალია, მეტად იშვიათად) მაგალითები, რომელებიც წარმოგვიდგენს წმ. გიორგის ცხოვრებიდან აღებულ ამ ეპიზოდს — პაღუას სან ჭორჭოს კაპელის ფრესკები, XVII საუკუნის ფრესკა Sucevitsa-ს ეკლესიიდან, ბუკოვინაში²¹. ორივე შემთხვევაში წარმოდგენილია ის მომენტი, როდესაც წმ. გიორგი ჯადოქარის მიერ მიწოდებულ შხამს სვამს. დასავლურმა იკონოგრაფიამ ეს სიუჟეტი უთუოდ აღმოსავლეთიდან მოისესხა, იმ სამყაროდან, სადაც ჩაეყარა საფუძველი ქრისტიანულ იკონოგრაფიას. მაგრამ დღესდღეობით ჩვენ სამისო მაგალითები აღმოსავლეთში არ გავიხსნია. მიორიმ ილორის ხატზე წარმოდგენილი წმ. გიორგის ეს სასწაული უფრო დასავლური ხელოვნების გავლენით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი, ვინაიდან ამ სცენის ასახვის ადგილობრივი ტრადიცია შას არ გააჩნდა. გზა დასავლური ნაკადისათვის სამეგრელოში კი უნდა დავუკავშიროთ მისიონერებს, რომლებიც განსაკუთრებული პატივით სარგებლობდნენ ლევან დადანის კარზე.

ილორის ხატის შემდეგი ფრენიტა, pendant ზემომყვანილი ფრენიტისა, ორ რეგისტრადაა გაყოფილი, ოღონდ აქ ზედა რეგისტრში მოცემულ სამ ფიგურას შეესატყვისება ქვედა რეგისტრის, ცენტრიდან ოღონდ მარგვნივ მოთავსებული, ლევან დადანის გამოსახულება — ოსტატი მკაფიოდ გვიყოფს ხატის დამკვეთის, ქტიორის, ფიგურას.

აღდგინება წმ. გიორგის მიერ. მეორე სცენა ეძღვნება წმ. გიორგის სასწაულმოქმედი ძალის დემონსტრაციას მეფე დიოკლეტიანესა და მისი ვეზირის, მაგნენტიონის წინაშე — მათ თვალწინ იგი აღადგენ მევდარს — იხ. საბინინი, «საქართველოს სამთხე» (სრული აღწერა ღუაწლთა და ვნებათა საქართულოს წმიდათა), პეტერბური, 1882, გვ. 54-55.

უნდა აღინიშნოს, რომ მკვდრის აღდგინების კომპოზიციაც მეტად იშვიათია ქართულ ხელოვნებაში (უბისის XIV ს. ხატი, საღვრის გვრი, უბისის წმ. გიორგის ეკლესიის ფრესკები — იხ. ე. პ. რ. ვ. ლ. ო. ვ. ა., დასახ. ნაშრ., გვ. 217, 221).

¹⁸ А. Хаханов, Грузинский извод сказания о св. Георгии, Москва, 1892, стр. 12-13.

¹⁹ ბოლანდისტებად იწოდებოდნენ იქზუატთა ორლენის ბერები, რომლებიც ამუშავებდნენ მასალებს Acta Sanctorum-ის გარშემო (1643-1794). ამ მასალების შეგროვება დაწყებული იქნა გერბერტ როსვეისა და ბოლანდის მიერ — იხ. ფ. Брокгауз, И. Ефрон. Энциклопедический словарь, т. IV, С. Петербург, 1891, стр. 296.

²⁰ იგივე მამოთხობილი ყოფილა წმ. გიორგის ცხოვრების მეორე (550-700 წწ.) ერთ-ერთი გარიანტის მიხედვით — იხ. ე. პ. რ. ვ. ლ. ო. ვ. ა., დასახ. ნაშრ., გვ. 125.

როგორც კირპაჩნიკოვი აღნიშნავს, ამ ლეგენდის ავტორისათვის აუცილებლად ცნობილი იქნებოდა ზორასტრის ბიოგრაფია, რომელიც შეიცავს ანალოგიურ მმავრებლებს ამით ცდის შესახებ — იხ. А. Кирпичников, Святой Георгий и Егорий Храбрый, ЖМНПР, Петербург, 1879, стр. 205.

²¹ L. R é a u, Iconographie de l'art chrétien, t. 3, Paris, 1956, p. 575.

ზედა რეგისტრში წარმოდგენილი სცენა ასახავს წმ. გიორგის მიერ ზა-
რის გაცოცხლების სასწაულს. კომპოზიცია მარტივია: პირობითად გადმოცე-
მული აქტივურული ნაეგბობის ფონზე წარმოდგენილია წმ. გიორგის ფი-
გურა, საპირისპირო მხარეს კი — ლეგენდის ორი სტა პერსონაჟი — გლიცერი
თავისი ხარით. კომპოზიციაში მკვეთრადაა აქცენტირებული წმინდანი: საპყრო-
ბილის წინ, საფეხურებზე მჯდომი მისი ფიგურა, პირველ რიგში, ზომებით გა-
შორისჩევა — იგი მოიცავს სასურათო სიბრტყის მეტ ნაწილს. გლიცერი, წინ
გაწვდილი ხელით, და ხარის გამოსახულება წმ. გიორგისკენაა მიმართული.
წმინდანს შარვენა ხელი გაუწევდენა საკურთხებლად, მისი მარცხენა ხელი კი
მშვიდად ასევენა მუხლზე. წმ. გიორგის სახე გამოიჩინება ამავე ზატის სხვა
ფირფიტებზე წარმოდგენილი წმ. გიორგის სახეებისაგან: პროპორციები უკე-
თაა დაცული. სახის ძერწვისას ამ ფირფიტის ასტატი უფრო მეტად ცდილობს
გამოავლინოს მოცულობა. თავის მომრგვალუბული ლამაზი ფორმა ხაზებს მუ-
ლია გულდასმით დაწყობილი ხუცჭა თმებით. წმ. გიორგის ტანსაცმელი სა-
დაა — ფართო ქიტონი და წინ ფიბულით შეკრული მოსასხამი. მთლიანად
წმ. გიორგის გამოსახულება გამოიჩინება აგრეთვე შესრულების უფრო მაღალი
ხარისხით.

გლიკერის საბის გარჩევა ფოტოს მიხედვით ძალზე ჭირს. გლიკერის ტან-
საცმელი — ტანზე მომჯდარი, ქამრით გადაჭერილი, ვიწრო პერანგი, რომე-
ლიც მკერდთან შესაკრავებითაა მორთული, დაბალი, ყელთან მომდგარი
საყელოთი, მაღალყელიანი ვიწრო ჩექმები ფეხზე და სამკუთხა ფორმის სპარ-
სული ყაიდის ქუდი ფართო გადანაცეცით — იმდროინდელი ჩაცმულობის ამ-
სახველია. გლიკერის ფიგურა მოთავსებულია ხარის უკან — ფიგურის სივრცე-
ში გაშლის ილუზიის შესაქმნელად. მაგრამ იმის გამო, რომ ხარის და გლიკერის
გაქოსახულებები შესრულებულია ერთ სიბრტყეში, ისინი არ ემორჩილებიან
სივრცის აგებას. ასევე სრულიად ბრტყელი ფორმისა შენობაც, რომლის წინ
სიბრტყობრივ ასპექტში წარმოდგენილი წმ. გიორგის ფიგურაა.

ამ სცენის განმმარტავი მხედრული წარწერა მოთავსებულია მის ზემოთ მდებარე ფირფიტაზე — „აქა წმიდამა გიორგი ხარი მკუდარი აუყენა მაგნენ-ლიონშ“²².

ხარის გაცოცელების ლეგენდის შინაარსი ასეთია²³: იყო ერთი ვინწმე არა-ქრისტიანი მიწათმოქმედი გლიკერი²⁴, რომელსაც მოუკვდა ოჯახის მარჩენალი ხარი. სასოწარკვეთილმა გლიკერიმ შეურვალე ლოცვებით მიმართა წმ. ვიორგის, რომელიც ამ დროს საპყრობილებში იმყოფებოდა. წმინდანმა ისმინა გლი-

²² ეს წარწერა, მართალია, ძალიან ძნელდა, მაგრამ მაინც გაიჩინება ფოტოზე. იგრევს ვკითხულობთ ბრისესთან; იხ. M. Grosset, *Ibid*, VIII, p. 98; ხანაგურითან—იხ. ა. ბახონი, დასახ. ნაშრ., გვ. 12—«ც. გეორგიй оживил быка Магнентиозу», უვაროვას შაკითხვა—«ც. გეორგий оживляет быка Мачиментиозу»—აჩ არის ზუსტი, როგორც ჩანს, შეკვეთითა თაბუარითა;

²³ საბინაშვილი, დამოუკიდებელი სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ. 111, გრ. 26.

²⁴ როგორც გ. ჩუბინაშვილი აღინიშნავს, შტ. გიორგის ცხოვრების უძველეს დადგინდებულ ვერსაზი ხარი ეკუთვნოდა სქოლასტიკას და არა გლიკერის; იხ. გ. ჩ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, რასახ. ნაშრომი, გვ. 467.

კერის ველრება და გაუცოცხლა მას ხარი, გლიცერიმ კი თავი ქრისტიანად გამოაცხადა.

ამგვარად, მაგნენტიოზს არავითარი კავშირი ამ ეპიზოდთან არა აქვს. მაგნენტიოზი იყო მეფე დიოკლეტიანეს დაახლოებული პირი — „მეფობარი ერთგული რომელსა ერქუა მაგნეტიოს²⁵ და იყო იგი, მეორედ მეფობისა მისისა რომელცა დაიწვებოდა ქრისტიანეთა მიმართ სიბორგილითა და კერპთშესახურებისა უღუთოებისათა“²⁶. მაგნენტიოზი, წმ. გიორგის დიდი მოწინააღმდეგა, ვერ ურიგდება წმინდანის სასწაულმოქმედ ძალას. იგი მოითხოვს საპყრობილები მყოფი წმ. გიორგისაგან რამე სასწაულის დემონსტრირებას. მის თვალზე წმ. გიორგი აღადგენს მკვდარს²⁷, მაგრამ ხარის გაცოცხლების სასწაული არ მომხდარა მაგნენტიოზის თანდასწრებით. როგორც ჩანს, ილორის ხატის უსტატმა გაიაზრა ეს ეპიზოდი მაგნენტიოზის მონაწილეობით, რადგანაც ორუე სასწაული წმ. გიორგის საპყრობილები ყოფნის დროს მოხდა. უთუოდ, ასე გაჩნდა ამ სცენის წარწერაში სიტყვა „მაგნენტიოზ“.

წმ. გიორგის მიერ ხარის გაცოცხლების ეპიზოდიც მეტად იშვიათია ქართული იქნოგრაფიისათვის. ცნობილია სულ რამდენიმე ძეგლი, რომლებზედაც ეს კომპოზიცია გამოსახული: მესტიისა (X I საუკ.) და გორისჭვრის (X VI საუკ. ბოლო) საკურთხევლისწინა ჯვრები, უბისის წმ. გიორგის ეკლესიის ფრესკა (X IV საუკ.). მათ რიცხვს ემატება ილორის ხატიც.

წმ. გიორგის ხარის სასწაულის სცენის ქვემოთ, სრულიად განცალკევებულად, წარმოდგენილია ლევან დადიანის ფიგურა, ვედრების პოზაში. იგი თავაქოს ფონის სიღრმიდან გამოდის, წინ გაწვდილი ხელებით, და ლოცვებს სწრავს თავის მფარველს — წმ. გიორგის. გამოსახულების ფონი მთლიანად დაფარულია მხედრული წარწერით, რომელიც განაწილებულია ორ სტრიქონად, დათანის ფიგურის ორივე მხარეს. წარწერის ასეთი განაწილება სიმყარეს მატებს ფირფიტის კომპოზიციურ გეგებას.

ილორის ხატის ქტიორი მუხლებზეა დაყრდნობილი. მუხლშოცრის ასეთი პოზა დაღიანის სხვა ძეგლებზეც ფვებდება, მაგ., კორცხელის „წინაწიარმეტყველთა“ ხატზე (1640 წლისა). ქტიორის ფიგურა, ისევე როგორც ამ უკანასკნელზე, ზოგადი ფორმებითაა დამუშავებული და გადაწყვეტილია სიბრტყობრივ პლაზი. მთავრის ჩაცულობაც დიდ მსგავსებას ამჟღავნებს დაღიანისეული კოლექციის სხვა ხატების ქტიორთა ჩაცულობასთან. კონუსისებრი გვირგვინი კბილანებით მორთული ფართო გადანაკეცითა და თვლებანი წვერით გვაქვს აგრეთვე კორცხელის მაცხოვრის ხატზე; ხოლო ქათიბი, წინ ვაკვანძული ფართო სარტყელით გადაჭერილი, დიდად ემსგავსება მარტვილის ღვთისმშობლის ხატის გამოსახულებას. მთავარს მხებებზე შოთურული აქვს მოსასხამი. მოსასხამის კიდევები მორთულია გეომეტრიული ორნამენტით — ასეთსავე მოსასხამშია გამოწყობილი წინა ფირფიტის წმ. გიორგი „შხამის შესმის“ სცენიდან. დაღიანს ფეხზე ქუსლიანი ფეხსაცმელი აცვია. ასეთივე ქუსლიანი ფეხსაცმელი აცვია ლევანს წარჩეს მთავარანგელოზთა ხატზე. ასეთი ფეხსაც-

²⁵ ზოგჯერ ტექსტში «მაგნენტიოზ» არის ნახმარი—იხ. ს ა ბ ი ნ ი ნ, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

²⁶ ს ა ბ ი ნ ი ნ, დასახ. ნაშრ. გვ. 48.

²⁷ ი ქ ვ ე, გვ. 54—55.

შელი საერთოდ მშირად გვხვდება XVI-XVII საუკუნეების ქტიტორთა გამოსახულებებში, რაც, ალბათ, იმდროინდელი მოდის გამოძახილს წარმოადგენს.

ამგვარად, ილორის ხატის ქტიტორის გამოსახულება გადმოცემულია და-დიანის ასტატებისათვის ჩვეული მანერით და ამასთან ერთად გამოირჩევა შესრულების შედარებით მაღალი დონით, ისევე როგორც საერთოდ ამ წრის სხვა ქტიტორული ფიგურები.

როგორც ვნახეთ, ილორის წმ. გიორგის სასწაულების ხატი შედგენილია ცალკეული ფირფიტებისაგან, მაგრამ ყველა ისინი კომპოზიციურად ერთ შელიანობაშია გაერთიანებული — ზედა და ქვედა რეგისტრს თრ-ორი ფირფიტის დაპირისპირება და მათი შიმართვა ცენტრისაკენ, ყველა ამ ფირფიტის გათანაბრება საერთო მასშტაბის მქონე სწორკუთხა ჩარჩოებით, ერთნაირად გლუვი ფონით, რომელზედაც გამოყოფილია კომპოზიციების განმმარტავი შხედრული წარწერები და, ბოლოს, ოთხივე ფირფიტის საერთო ორნამენტული მოჩარჩოებით შეკვრა ერთ დიდ ხატად. ილორის ხატი შესრულებული უნდა იყოს რამდენიმე ასტატის მიერ, მაგრამ ისე, რომ თითოეული მათგანი უთუოდ ანგარიშს უწევს ხატის ამ საერთო აგებულებას. ზედა ორი ფირფიტა — წმ. გიორგის თითქმის სტერეოტიპული გამოსახულებებით — ერთ ხელს უნდა მივაწეროთ. აშეარად სხვა ასტატის მიერაა შესრულებული მესამე ფირფიტა სრულიად განსხვავებული ტიპაჟითა და განსხვავებული კომპოზიციური აგებულებით. უნდა გამოყოფილი კიდევ მესამე ასტატი — მეტად დახელოვნებული ხელით, ავტორი მეოთხე ფირფიტისა, რომელიც მკვეთრად გამოირჩევა დანარჩენ სამთავან. ვფიქრობთ, რომ „შხამის შესმის“ სცენიდან (ე. ი. მესამე ფირფიტის) წმ. გიორგის ფიგურაც ამ ასტატის მიერაა შესრულებული. ამაზე მიუთითებს წმ. გიორგის სახის ძერშვის მანერა, მოსახვამის დამუშავება, რომელიც დიდ მსგავსებას ავლენს მთავრის ფიგურასთან. წმ. გიორგის ტიპაჟის გადმოცემა (განსაკუთრებით, მისი მოკლე ცხვირი), რაც მას მესამე ფირფიტის სხვა გიმოსახულებებთან აკავშირებს, უფიქრობთ, ნაკარნახევია ამ ფირფიტის საერთო სტილის შენარჩუნების სურვილით.

სრულიად განცალკევებით უნდა აღინიშნოს ილორის ხატზე მთავრის გამოსახულება, რომელიც მესამე ასტატის მიერ უნდა იყოს შესრულებული. დახვეწილობითა და სინატიფით იგი გამოირჩევა არა მარტო ილორის ხატის გამოსახულებებისაგან, არამედ საერთოდ დაღიანისეული ხატების სხვა ფიგურებისაგანაც. ლევან დადიანის ეს გამოსახულება, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი საუკეთესო ქტიტორული პორტრეტია ქართული ჭედური ხატების ქტიტორებს შორის.

ამგვარად, ილორის 1651 წლის ხატი ქართული ჭედური ხელოვნების მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი ძეგლია. იგი მკაფიოდ და ნათლად გვიჩვენებს იმ ძირითად შხატვრულ „კონცეფციას“, რომელიც დამახასიათებელია დადიანისეული ხატების მთელი კოლექციისათვის, საერთოდ XVII საუკუნის მთელი ჭედურობისათვის ჩვენში. თავისი იკონოგრაფიით კი, არ შეძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს, ილორის ხატი სრულიად ორიგინალურ ნაწარმოებს წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტი

სპარსელი ისტორიული აღმანის სათავეებთან

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აღმოსავლეთმცოდნების ინსტიტუტმა)

სპარსული ლიტერატურის ისტორიაში საგანგებო ყურადღების ღირსია XX საუკუნე, — ის დრო, როცა ლიტერატურაში გაბატონდა პროზა, ხოლო ერთ-ერთ ძირითად შესატვრულ ჟანრად ისტორიული რომანი მოგვევლინა.

ეპოქის სპეციფიკას, რომელიც მქვეთრად განასხვავებდა XX საუკუნეს წინამორბედი საუკუნეებისაგან, თავისი ასახვა უთუოდ უნდა ეპოვნა ლიტერატურაში და ირაში მომწიფება რომანის ჩამოყალიბების პირობები.

ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც დაინტერესდა აღნიშნული ჟანრით და ხელი მიჰყო ფართო ეპიკური ტილოების შექმნას, იყო ქერმანშაპელი მწერალი მოპამედ ბაყერ ხოსროვი¹.

ქერმანშაპელის შესახებ პირველ და ზედაპირულ ცნობებს გვაწვდის ქ. ჩაიკინი; იგი აღნიშნავს, რომ პოეტმა მირზა ბაყერ ხოსროვიმ დაწერა რამდენიმე ისტორიული შინაარსის რომანი, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა „შამსი და თოღრა“².

ცოტა უფრო გვიან, 1932 წელს, ე. ბერტელის ბეჭდავს სტატიას სპარსული ისტორიული რომანის შესახებ, სადაც მოცემულია ხსენებული რომანის მეცნიერული ანალიზი³. აი, რას წერს იგი: „მხატვრულად ეს ნაწარმოები გაცილებით მნიშვნელოვანია პირველ რომანთან⁴ შედარებით და შეიცავს საკმაოდ ბევრ საინტერესო აღვილს“⁵.

¹ დაიბადა 1850 წლის 18 თებერვალს ქ. ქერმანშაპელი. მწერლის მამა, მოპამედ რაპიმ დოვლეთშაპი თავისი დროისათვის ცნობილი მწიგნობარი და განათლებული პიროვნება ყოფილი. ხოსროვიმ ჩინებული აღზრდა მიიღო; განსკუთრებული გავლენა მოუხდენა მასზე მასწავლებელს პოსეინ ყულიანს, რომელსაც მომავალი მწერლისითვის ლიტ. ფსევდონიმიც უეურჩევია. ხოსროვიმ ცხოვრების უმეტესი ნაწილი ქერმანშაპი გაატარა. 1909 წელს აქ ჩამოყალიბებული ერგუმენისა წევრი იყო და ირანის რევოლუციის ერთგული დარჩენილა ბოლომდე. გარდა ისტორიული რომანისა „შამსი და თოღრა“ ხოსროვის ეკუთვნის ყაზალებისა და ყასიდების კრებული, ისტორიული რომანი პოსეინ ყულიანზე, არაბული ლიტ-ის ისტორია სათაურით «ღიბაი ხოსროვი» და სხვა.

² К. Чайкин, Краткий очерк новейшей персидской литературы, Москва, 1928, стр. 144.

³ Е. Бертельс, Персидский исторический роман, сб. Проблемы литературы востока, I, Ленинград, 1932, стр. 111-126.

⁴ იგულისხმება სანათი-ზაღე ქერმანის რომანი.

⁵ ე. ბერტელის, იქვე, გვ. 118.

10. „გაცნე“, № 3, 1969.

ერთი წლის შემდეგ კი, 1933 წელს, „უურნალ აზიატიკის“ ფურცლებზე ბ. ნიკიაზინმა სპარსული ლიტერატურის მიმოხილვისას სიტყვასიტყვით გაი- მეორა ბერტელის მოსაზრებანი⁶.

ხოსროვის შემოქმედებით და, კერძოდ. მისი ისტორიული რომანის ბეღლი საგანგებოდ დაინტერესებული იური მარი. ამის დამდასტურებელია მისი სა-გულისხმო წერილი: „ხოსროვის რომანი „შაში და თოლრა“⁷.

ი. მარი სინაცულით აღნიშვნავს, რომ ამ რომანს ორი-სამი წენადადებით დახასიათება საკმარისი არ არის, იგი გულმოდვინედ შესწავლისა და ფართო შესჭელობის სავნად უნდა იქცესომ⁸.

Սանցերկյալ, օմազգ օ. մարտ արքունի աղմոհենունո, Յ. Ճ. Քահովասահմունքունունո թարունո, հոմելու 1927 թվուա տարունքեա: „... если хотите прочитать хороший современный роман, прочтите **شمس و طفرا**! Этот роман написан Хосреви, поэтом и писателем керманшахцем, умершим ^в лет 6—7 тому назад. Шамс о Тогра ^и еще два романа, ^{изданные} в одном томе, прекрасный образец лучшего современного персидского вкуса литературного. Эти романы относятся к эпохе фаресских Атабеков, а особенно к правлению принцессы Абеш-Хатун правившей ок. 24 лет⁹. Օրբելյան, հոմ օ. մարտ շաբաթութեավ հոմանուն թեունուն Տօրմո, յութեան ձիրուլուն օլունըսեավ Մյոնշենդօ, Մյուջենօ լոյվոյոնո, մոմնագեցուն շոյրո և գոյնանուն գվազուսատուն, մաշրամ, հոգուր ինս, մոննուն ծոլումոց մուզան օլուր ջաւալուն¹⁰.

o. მარის დებულებას, რომ ხოსროვის ისტორიულ რომანს რაც შეიძლება მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს, ასევე გადა ემთხვევა პოლონელი ირანისტის ფ. მახალსკის შეხედულებაც. მან 1959 წელს სპეციალური წერილი უძრვნა ხოსროვის აღნიშნულ რომანს და შეიძლება კარატესტერ დაბრუნებია მას¹¹.

მიუსხედავად ამისა, მკვლევართა აღნიშნულ ნაშრომებს ზოგადი ხასიათი აქვს და „შამსი და თოლრას“, — რომელიც სპარსული პრიზის ისტორიაში დიდმნიშვნელოვან ფაქტად გვევლინება, საბოლოოდ შესწავლილად ვერ ჩაეთვლით.

რომანის წერა ხოსროვის დაუწყია 1907 წელს, ხოლო დაუმთავრება იმის წლის შემდეგ — 1909 წელს. როგორც წიგნის წინასიტყვაობაშია აღნიშნული, ხოსროვი ბახთიართა ცნობილი ოჯანყების დროს, ქერმანშაჰზე მოსალოდნელი თავდასხმისა და მთავრობის რეპრესიების შიშით ოჯახიანად პროვინციაში გაზინდულა და ხელი მიუყვაი თბზულების წერისათვის¹².

⁶ *Gournal Asiatique*, tcc XXIII, Paris, 1933, 83. 314.

⁷ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შრომები, 108, თბილისი, 1964 წ., 83. 205-217.

8 o 13 23. 23. 206.

⁹ წერილი მოგვაწოდა ა. გვახარიამ, რისთვისაც დიდ მაღლობას მოგახსენებთ.

რომანი დაიბეჭდა ქერმანშაჲში 1910-11 წელს, ხოლო 1950-51 წელს იგი თეირანში განმეორებით გამოიცა¹³.

ნაწარმოების შესავლიდან ვიგებთ, რომ აღნიშნულ რომანში უხვად არას წარმოდგენილი ისტორიული და გეოგრაფიული მიმოხილვები, ზეობრივი ნორმების ელემენტები, შესავალმივე აღნუსხულია იმ ისტორიულ-გეოგრაფიული წყაროებისა და დოკუმენტების სია, როთაც სარგებლობდა ავტორი. ეს წყაროებია: ხონდემირი, იბნ ალ ბალხის „ფარს-ნამე“, „ჯამე ჯამი“, იბნ-ბატუტას მოგზაურობის წიგნი, საადას „ქოლიათი“.

ხოსროვის საქმაოდ ფართო ეპიკური ნაწარმოები სამი ნაწილისაგან შედგება; თითოეულ მათგანს ავტორი დამოუკიდებელ სახელწოდებას აძლევს. პირველი ტომი „შამსი და თოლრა“, რომლის სათაური შემდგომში მთელ მხატვრულ ნაწარმოებზე გავრცელდა, შეიცავს 240 გვერდს, მთელი ტრილოგიის თითქმის ნახევარს. მომდევნო ნაწილებია „მარიამ ვენეციელი“ და „თოლრელი და ჰამაი“. ნაწარმოების თემად ავტორი იღებს ირანის ისტორიის ერთ-ერთ კრიტიკულ შომენტს — XIII საუკუნეს, მონღოლთა შემოსევებსა და მონღოლური დინასტიის — ილხანთა პოზიციების განმტკიცებას ირანში.

რომანში მოქმედება იწყება ილხანთა მონღოლური დინასტიის წარმომადგენლის ათაბაგ აბეშ ხათუნის. (1264-86 წწ.) მეფობის მესამე წელს, შირაზში, ფარსის დედაქალაქში.

ახალგაზრდა შამსი ედ-დინ ჰასანი, ვაჟი ფირუზაბადადელი ფეოდალის — ხოგა ფახრედინ აბულქასანისა — ოჯახს შევრებთან ერთად შირაზში ჩამორის. როგორც ირკვევა, ჩამოსვლის მიზანია თახოეკემშიდში შეეგებონ ფარსის ახალ მონღოლ გამგებელს — ილხან აბალა ხანის მიერ დაიმშნულ — ამირა ანგიანუს (იგვე ვანგვანუს).

შამსი ავადმყოფობას მოიმიზეზებს, ჩამოშორდება შამის ამალას და შირაზში რჩება. შვილის უგუნებობით შეშფოთებული მამა, ახალ ამირასთან ხან-მოკლე დარბაზობის შემდეგ, უკან დაბრუნებას განიზრახავს, მაგრამ დიდებულები წინააღლუდებიან მის სურვილს. შამსი შამის ჯანმრთელობის გასაგებად თავისისავე ყმასა და ვაჟის აღმზრდელს ქაქა ხორამს გაგზავნის. ხორამისა და შამის დიალოგი განსაკუთრებითაა აქცენტირებული და ნაწარმოების ძირითადი იდეური გასაღებიც აქ უნდა ვეძიოთ.

შამსისა და ხორამის საუბრიდან იჩვევა, რომ შამსმა განგებ მოიმიზეზა ავადმყოფობა, რათა არ წასულიყო „ურჯულო“ და „ქალაქების შემმუსკრელ“ მონღოლთა შესახვედრად. „ვფიცავ ღმერთს, — ეუბნება შამსი ხორამს, — შირაზენია, მოკვდე, ვიდრე ურწმუნო, მოხეტიალე მონღოლებს ქედი მოკუხარო“. ხორამი შთააგონებს, რომ ამგვარი თავგამოდება, სარწმუნოებისათვის წუხილი, რასაც შამსი ამჟღავნებს, ჰეშმარიტად სასურველია, კეთილშობილ აღაშიანებსა თუ ძველისძველ ოჯახიშვილებს სწორედ ეს შეშვენით. მაგრამ ახალგაზრდამ ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ყოველ სიტყვას და აზრს თავისი დრო აქვს. ბევრი რამეა ისეთი, რაც მოწონებას არ ისახურებს, მაგრამ შისი გამომუღავნება სახითათოა და დამღლუბველი. შამსმაც ძნელი სიტუაცია უნდა აწონ-დაწონოს და ისე მოიქცეს, როგორც დანარჩენი ფეოდალები იქცე-

¹³ როგორც ამ ბოლო დროს გახდა ცნობილი, რომანი მასამედ გამოუციათ თეირანში 1964 წელს.

ვიან: მასზე დიდებსა და ძლიერებს ეფარისევლის, ხოლო ხელქვეითებს თავისი ძალა უჩვენოს...

როცა შამსი გულისწყრომას გამოთქვამს, თუ არტომ უნდა ბატონობდნენ მათზე „უდაბნოს ველური ურდოები“, ხორამი დამშვიდებით უპასუხებს: არც შენი წინაპრები იყვნენო ბუნებით შაპინშაჲებად დაბადებულნი, ისინა გილანის დეილამიანთა სამუალო ფერს ეკუთვნილენ, ერთი ხანი აღზევდნენ, თავზე გვირგვინი დაიდგეს და საჭმე ისე წარიართეს, რომ მუსლიმიანური სამყაროს უდიდესი და უძლიერესი სულთნები გახდნენ და მუსლიმანი ხალიფები მორჩილების ქვეშ ჰყავდათ, ახლა კი მდგომარეობა შეტრიალდათ. შემდეგ ხორამი განუმარტავს, რომ მთავარი მიზეზი, რამაც განაპირობა მონღოლთა წარმატება, არა მარტო მონღოლთა ძლიერებაა, არამედ დიდებულთა მიერ თანამდებობის გამოდევნება, რაც მათ რწმენასა და რელიგიაზე მაღლა დააყენეს. ამის გამო ლმერთმა საკადრისად დასაჯა მუსლიმები და ურწმუნოთა მორჩილ მონებად აქციათ.

ამ საუბრის დროს ისინი შემთხვევით გაიგებენ, რომ ალთაჯუ ბაჰადორის სახლს ცეცხლი წაპკიდებია და იწვის.

ალთაჯუ თავის დროზე მონღოლთა მიერ სელჯუკ შაპის აჯანყების ჩასაჭრობად იყო გამოგზავნილი, შემდეგ კი წესრიგის დაცვა ევალებოდა ფარსში.

ალმოდებულ სახლში ორი ქალი ებრძოდა სიკვდილს. ერთი იყო თვით ალთაჯუს ქალიშვილი თოლრა, მეორე კი მისი ძიძა — თუმანი. შამისი და ხორამი დიდი თავგანწრიპვის შედეგად ქალებს დალუპვისაგან იხსნიან.

აქედან ვითარდება ირანელი შამის ედ-დინისა და მონღოლ ამირის ქალი-შვილის თოლრას რომანი, რომელიც ძროითად კონფლიქტს ქმნის ნაწარმოებში.

შამისა და თოლრას მრავალი დაბრკოლების გადაღახვა მოუხდებათ მიზნის მისაღწევად. პირველი და ასევე თითო დაბრკოლება არის ის, რომ „მონღოლებს წესად არა აქვთ ქალიშვილის „ტაჯიზზე“ გათხოვება“.

შამის ედ-დინი ხანძრის დროს გამოჩენილი გულადობის შემდეგ ამირების — ალთაჯუ ბაჰადორისა და ანგიანუს კარზე ერთბაშად მოიხვევს სახელს, ხოლო „შაპის ბაღში“ მონღოლთა პატიგსაცემად გამართულ დღესასწაულზე საბოლოოდ მოხიბლავს ფარსის დედოფალს ათაბაგ აბეშ ხათუმს, რას გამო სერიოზულ წინააღმდეგობას წაატყდება დედოფლის ეჭვიანი ვეზირის ქალიჯს მხრივ. შამისა და ქლიფას შარის ურთიერთობა მწვავდება. ქლიფა ცდილობს მის შეპყრობასა და დასჯას. აქ მწერალს შამისის დამხმარედ გამოჰყავს ფალავანი მოპამედ ნაჯერი, რომელიც შამის დროზე შეატყობინებს ქლიფას მხლებლების მოსალონელ თავდასხმას და შენობიდან მიწისქვეშა საიდუმლო გასასვლელით გაპარებს. შესი კოშკას ლაპირინთებში შემთხვევით წაატყდება დაც განძს. ირკვევა, რომ ეს განძი შამისის კანონიერი კუთვნილებაა, რამდენადც იგი მის წინაპარს აზად დღოვლეს დაუტოვებია. ნაპოვნი სიმდიდრე გააღადებს შამის და იგი ქალაქის დიდყაცობაში გაერევა.

ამას მოსდევს ვიზიტი ცნობილ პოეტ საადი შირაზელთან, მიჯნურთა საიდუმლო შეხვედრები, სიყვარულის ახსნა, ერთგულების პირობის მიცემა და ა. შ.

ამასობაში, შექმნილი სიტუაციის გამო, ალთაჯუ ბაჰადორი სთხოვს შამის მონღოლთა ურდომდე მეგზურობა გაუწიოს თოლაი ხათუმს, თოლრასა და მათს უძალას. თვითონ კი, ილაპარის ბრძანებით, ყივჩალთა წინააღმდეგ სალაშქროდ მი-

დის. მგზავრობისთვის ალთაჯუს ფული სჭირდება და აქაც შამსი გაუმართავს ხელს.

შემდეგ აღწერილია შამსისა და ალთაჯუს სახლეულის გამგზავრება ურდოში და მათი საინტერესო თავგადასავალი. გზად მოგზაურები გაივლიან ქალაქ საფავანს, საკიდაც შამსი პირისპირ შეხვდება ქალაქის ახალგაზრდა „ვალის“-ბეჭა ედ-დინს და დაუმეგობრდება.

იმავე ღამეს შამსი, სრულიად შემთხვევით, გადაურჩება მოსყიდული ჭალათის ხელით სიკვდილს. ჯალათი ლული შაბეგერდია, ხოლო მისი დამტკირავებელი — ქოლიჯას ძმისმგილი მირუყაში. ბეჭა ედ-დინს არ გამოეპარება ეს ამბავი და ორივე დამინაშველს გაასამართლებს.

შამსი და მისი თანამგზავრები დატოვებენ ისფაპანს და განაგრძობენ გზას. აბალა ხანის ურდოში მათ აუწყებენ სამწუხარო ამბავს — თოლრას მამის ომში დაღუპვას. ალთაჯუ ტოვებს ანდერძს, რომლის თანახმად, მისი ქალიშვილი თოლრა შამსის მეუღლე უნდა გახდეს. მაგრამ მოულოდნელად მიჭნუროთა წინაშე კვლავ წამოიჭრება დაბრკოლება. აბალა ხანი მოიხიბლა თოლრას სილამაზით და სურს, რომ მას თავის პარამ-ხანაში მიუჩინოს ადგილი.

ილხანი შამს ედ-დინს გაუზავნის ეგვიპტეში ჯარის სარიდლებდ, სადაც მან ხმლით უნდა დაიცვას მონღოლთა ინტერესები; ბრძოლაში მონღოლები შარცხდებიან. შამსი ტყვედ ჩავარდება. აბალა ხანის აღალიდან გაქცევაში თოლრას შაძისის ძიძიშვილი ომიდვარი ესმარება. დატყვევებულ შამსს ბერძნები ათენში წაიყვანენ. შამსი იძულებული ხდება შეიცვალოს რჯული; თოლრას კი შეიფარებს ეგვიპტის სულთნის მეუღლე ჯამილა ბანუ. აქ თოლრას გაუმიჯნურდება სულთნის ოცდაორი წლის ვაჟი მოპამედი.

ეგვიპტის სულთანი მიაგნებს შამსის ადგილსამყოფელს და ზრუნავს მისი დრახსნისათვის. მოპამედი, რომელსაც შამსი თოლრას ძმა ჰგონია, იხმობს ვაჭარ მონიასს; ჰპირდება დიდალ თანხას და სთხოვს შამსის გამოსყიდვას. მოიასი პირადად არ იცნობს შამსს და ხორამს გაიყოლიებს, რომ უფრო ადვილად მოძებნოს იგი.

გაქრისტიანებული შამსი ათენში რომელიღაც ეკლესიას ემსახურება. ხორამი და მონიასი მალე მიაგნებენ მის კვალს. ამის შემდეგ სამივენი ხომალუ „სფინქსით“ ალექსანდრიაში ჩამოვლენ. მოპამედი მოუთმენლად ელის შამსის დაბრუნებას იმ იმედით, რომ შამსი დააჩქარებს თოლრასა და მეფისწულის ქორწინებას.

ბოლოს, როგორც იქნება, გაარყვევენ, რომ შამსი ფაქტიურად თოლრას ქმარია და ამის დამართასტურებელი საბუთიც აქვს საჭირო მიერ დამტკიცებული. შამსი და თოლრა გადაწყვეტინ ფარსში დაბრუნებას. ეგვიპტის სულთანი შათოვის დადალ საბოძვარს გაიღებს. ხოლო ჯამილა ბანუ თოლრას თავის მხევალს — მარიაშ ვენეციელს აჩუქებს.

ამით მთავრდება ტრილოგია „შამსი და თოლრას“ პირველი წიგნი.

როგორც ვხედავთ, რომანის ცენტრალური ფიგურაა შამს ედ-დინ პისანი. შამსის გარევნობას რომანის პირველსავე ფურცელებზე ვეცნობით. ხოსროვის სიტყვით, მას სულ ახლახან შეუსრულდა თვრამეტი წელი და მეცხრამეტეშია გადამდგარი. სამუალო ტანისაა, შავი თვალწარმიტობით დამშვენებული, გიშრისფერი ხევული ზილფი მხრებზე ჩამოშლია, შუბლი მარგალიტივით თეთრი აქვს და მზესავით უბრწყინავს.

გარეგნობის აღწერის შემდეგ ავტორი გმირის ჩატმულობაზე გადაღის. ხოსროვი ერთგვარი სიამაყის გრძნობით შენიშვნავს: „შამსის ბრწყინვალე ტანი-სამოსი და აღჭურვილობა ადამტურებდა, რომ იგი კეთილშეიბილი და შექლებული ოჯახიდან იყო წარმოშობილი, შემდეგშიც, რომანში არა ერთხელ არის მითითებული, რომ დედით შამსი შაბანქარელია, მამით კი დეილამიანთა და ბუ-ვეიანთა შთამომავალი.

შირაზში ჩამოსკლამდე შამსს ათვისებული აქვს გრამატიკა, ლოგიკა, პო-ეტიკა, ისტორია, მათემატიკა, ასტრონომია. ბეჭითობა, ვულკეთილობა და გულწრფელობა შამსის ხასიათის ორგანული თვისებებია. განძის პოვნის შემდეგ იგი საჩუქარს მიართმევს აბეშხათუნს, აბალა ხანს, თოლაი ხათუნს, ალა ფირუზს.

შამსს არც გონიერება, ზრდილობა და თავაზიანობა აკლია. მისი დაკვირვებული, მოკლე და დინჭი პასუხებით არა ერთხელ მოხიბლულან მონალოლთა აშირები, ათაბაგები აბეშ ხათუნი, ფალავანი მოჰამედ ნაჯერი, საპიბ დივანი და თვით აბალა ხანიც. შამსის გონიერებას ხოტბას ასხამს რომანის ავტორი და ხშირად დასკვნის სახით შენიშვნავს: „შამსმა ისეთი მტკიცე და მოსაწონი პასუხი გასცა, როგორსაც ვერავინ გასცემდა“.

შამსი შამასთან ურთიერთობაში მეტად მოკრძალებულია, მაგრამ თოლრას-თან გამიჯნურების შემდეგ ნებისყოფას კარგავს და მამასა და შვილს შორის თავს იჩენს სერიოზული უთანხმოება.

აბულჰასანია ამირა ანგიანუს გაცნობის შემდეგ მოათავა თავისი საქმე შირაზში და ფირუზზაბაღში გამგზავრებას ჩეარობს. შამსისათვის კი შირაზის დატოვება სიკვდილს უდრის. შამსი საადის სთხოვს მამასთან შუამდგომლობას. ნაწარმოების მიხედვით, მგოსანი დაახლოებულია ფირუზზაბაღელი ფეოდალის ოჯახთან. შამსმა კარგად იცის, თუ ვინმე დაეხმარება ამ საქმეში, უპირველეს ყოვლისა, საადი, რომლის ავტორიტეტსაც მამამისი წინ ვერ აღუდგება.

ის თავები, საადაც აღწერილია საადისა და შამსის შეკამათება, აბულჰასანისა და დიდი პოეტის საუბარი, ხორამის ჩარევა მისი აღზრდილის სამიჯნურო აქტებში, მამის შიში და ორჟოფობა შვილის უეცარი გარდაქმნის გამო, ჩვენი აზრით, რომანში უცელაზე სრულყოფილად არის წარმოდგენილი.

ხოსროვი ჩინებულად იჭერს ფსიქოლოგიურ მომენტს, როცა ერთას მხრივ, საადი ურჩევს შამს — მამას ნუ გაუჯიუტდები, დაჲყევი მის ნებასო და მეორე მხრივ, ბრძენი მოხუცი უფრო შორის იხედება, ალღო მას სხვა რაიმეს კარნაზობს: „შამსი მიხვდა, რომ ასეთ აღამიანთან, რომელმაც მისი გულის საიდუმლო მისსავე შუბლზე ამოიკითხა და ჭეშმარიტი და ყალბი სიტყვების სუნი უმალიყნოსა და განასხვავა — სიმართლის გარდა არაფრის თქმა არ შეიძლება“¹⁴.

შაინც ერიდება სიმართლის გამუღავნება, შამსი უცხერსულ მრგომარეობა-შია ჩავარდნილი, მოხუცი კი კითხვის კითხვაზე აყრის: „ახლა ეს მითხარი, და-კუშვათ მამაშენს ვთხოვე, ცოტა ხნით შირაზში დარჩენის ნება მოგცეს, მან კი შიზეზი (საბაბი) მკითხოს, მეც წავუყენო ის მიზეზ-საბუთები, რომლებიც შენ შეთხზე, მან კი არც ერთი ეს საბაბი არ მოიწონა და უარი გითხრა დარჩენაზე — შენ რა ნაბიჯს გადადგამ? დაემორჩილები მის სურვეალს და წაჰყვები, ოუშენსას გაიტან?..

¹⁴ შამსი და თოლრა, გვ. 64.

— ვერ შოგატყუებთ, შირაზში დავრჩები; ამ მხარეს რომ მოვშორდე, ან მოვკვდები ანდა გონებიდან გადავალ“¹⁵.

შეოსნისათვის ამ აღიარებამდეც გასაგები იყო ყოველივე. მაგრამ აქ მეორე ამბავმა იჩინა თავი. სააღის მიხედვით, „გრძნობის თვალ-მარგალიტს“ გაფრთხილება და პატივისცემა ესაჭიროება. ეს ახალგაზრდა ვაჟი არის კი მომზადებული ამისათვის: წუთიერი და წარმაგალი ხომ არ არის მისი გრძნობა? ამიტომაცაა, რომ დიდხანს უტრიალებს სააღი ამ საკითხს.

მაგრამ შამსი დაარწმუნებს მოხუცს, რომ მისგან ასეთი საშიშროება არ არის მოსალილნელი, რომ იგი წესიერების საზღვარს არ გადავა.

ავტორი თავგამოდებით ცდილობს დაგვიხატოს შამსი, როგორც ყოველშერივ იდეალური ასინდი, მაგრამ ზოგ შემთხვევაში მიზანს ვერ აღწევს: ზოგჯერ შამსის პიროვნება გაორებულია და მკითხველის თვალშიც იგი ერთგვარად მცირდება. შამსში ხშირად იმარჯვებს პირადი „მე“...

ნაწარმოების მეორე მთავარი მოქმედი პირია თოლრა. თხუთმეტ-თექვსმეტი წლის თოლრა არაჩვეულებრივად ლამაზია. „მისი სახის სინათლე მთვარეს მეტოქეობას უწევს“.

თოლრა მგრძნობიარე, სათნო და კეთილი ბუნებისაა. ის პირველი ნახვის-თანავე მოიხიბლება ახალგაზრდა შამსით და მასთან ერთად იბრძვის დაბრკოლებათა გადასალახავად.

თოლრას გაუმიჯნურდებიან მონლოლთა მხედართმთავრის ილქან ბაჰადორის ვაჟი — ბუღაი, ევგიპტის სულთნის მალექ ზაჰერის მემკვიდრე — მოპამედი და თვით აბაღა ხანიც. მაგრამ თოლრა პატიოსნების განსახიერებაა. იგი არ დალატობს შამსს და მუდამ მისი ერთგული რჩება.

რომანის ერთ-ერთი საინტერესო პერსონაჟია მოხუცი ქაქა ხორამი. ამ გძირის შემოყვანით ნაწარმოების ზემოქმედებითი ძალა ძლიერდება და იდეური მხარეც უფრო გამჭვირვალე და თვალსაჩინო ხდება.

ხორამი დაბალი სოციალური წრის პირმშოთ. იგი ფირუზაბადადელი ფეოდალის ხელქვეთი და თანაც მისი ვაჟის აღმზრდელია. რომანში ხორამი შამსთან ერთად მოქმედებს და დიდ სამსახურსაც უწევს მას.

წარმოსადევსა და ახოვანი აგებულების ხორამს კვლავ შემორჩენია ახალგაზრდული ენერგია: იგი ცხენოსნობასა და ნაღირობაში არანაკლებ გაწაფულია, ვიღრე მისი თანამედროვე რაინდები.

ხორამი ჩინებულად იცის თავისი ქვეყნის ისტორია და, ნაწილობრივ, სწორ დასკვერებს აყეთებს მონლოლთა დაპყრობითი ომების შესახებ. მისი საქმიანი მსჯელობანი რომანში, ერთი მხრივ, შემპარავი ირონია ანგარებით მოსილ პატივმოყვარე ფეოდალთა მისამართით, ხოლო, მეორე მხრივ, აბეშ ხათუნის სამეფო კარის დაუნდობელი კრიტიკა, ნაწარმოების ქვაეუთხედია. ხორამს კარგად ესმის, რომ „შიშველი“ ხელებით მრისხანე მტერთან ბრძოლა უშედეგოა და საფუძველს მოკლებული; აქ ხორამი ისტატურად იშველიებს სააღის: „ვინც ფოლადმკლავას შეეხო, მან თავისი ვერცხლის მხარი დააზიანა“. ხორამს თავისი კუთხე-ეუნტეული ურჩევნია აბეშ ხათუნის თვალისმომშერელ სასახლეში ნებიერ ცხოვრებას: „ფირუზაბადის სუთთა პერს, — ეუბნება იგი შამს, ყალყე-მუქის ერთ პერზ წყალს, რომელიც მკვდარსაც გააცოცხლებს, სანადირო

¹⁵ იქვე, გვ. 65.

ადგილებს, ატეხილ ჭალებსა და მთა-გორებს წუთითაც არ გავცვლი აბეშ ხათუნის მეფებაზე“.

შეიძლება ითქვას, რომ ხორამის უფრო მეტი წვლილი მიუძღვის შამსის აღზრდაში, ვიდრე სხვა ვინმეს და თუ მას რამე კარგი და მოსაწონი აქვს, ესეც ხორამის წყალობაა. ხორამი ყოველთვის ინტელექტის ძალით მოქმედებს და შამსსაც აიძულებს, ასე მოიქცეს.

ნაწარმოების მიხედვით, ხორამი ყველაზე მეტად არის დაინტერესებული პოლიტიკური საკითხებით. ქვეყნისა და ხალხის ტკივილები — მისი საკუთარი ტკივილებია. ამიტომა, რომ შამსს ეუბნება: „არ გეგონოს, მარტო შენ გაწუხებდეს ეს სატყივარი, სხვას კი ღვთისა და მამულის სიყვარულა არა ჰქონდეს, მაგრამ ჭყუით, სიფრთხილითა და დაფვირვებით იქცევიან“.

ნაწარმოებში გამოყენილია აგრეთვე მოპამედ ნაჯერი — ქეთილი და კაცომოყვარე რაინდი. იგი ვერ შეჩინებია მონღოლთა პარპაში ირანში და სელჩუკ შაპის დროს აჯანყება წამოუწყია.

მოპამედ ნაჯერის ანტიმონლოლური და ანტიფეოდალური ტენდენციები მკვეთრად იგრძნებოდა რომანში. მოპამედი მზად არის „თავი გაუშევყოს მტერს“. მაგრამ ქალაქის არისტოკრატია ურთიერთ ქიშიპითა და მტრობით არის გამსჭვალული; მეფე, რომელიც ორიენტაციის მისცემდა ხალხს, გარდაცვლილია, ძველი, ცნობილი საგვარეულოები ამომწყდარია. ისევ ხელოსნები და შირაზელი ახალგაზრდები ცდილობენ წინალუდგრენ მტერს, მაგრამ ზედა ფენიდან მათ მხარს არავინ უჭერს.

რომანს ფერ-ხორცის მატებს დიდი ირანელი მგოსნის საადი შირაზელის კოლორიტული სახე.

შამსის მამა ხოჯა ფახრედინ აბულჰასანი თავისი ხასიათით ძალიან უახლოვდება საადის. ფირუზაბადადელი ფერდალიც შორსმჭვრეტელი, აუჩქარებელი. დინჯი და დაუკირვებული მოხუცია. სიბრძნითა და სწავლა-განათლებით ფარსში მისი ბადალი ძნელად მოიძებნება. ქვეყნის მართვა-გამგეობაში ნაკლებად ერევა და უმთავრესად ფირუზაბადში კერძო მამულის მოვლა-პატრონობით იფარგლება. მამა შამსის კეთილდღეობისათვის პირად მწუხარებას ადვილად იტანს. ვაჟს კი მხოლოდ ერთ რამეს სთხოვს: ოჯახის სახელი არ შეარცხვინოს.

ხორქთან ერთად შამსისა და თოლრას სიყვარულის ხელის შემწყობად გვევლინება ბიბი ფერდოუსი, რომელიც დაახლოებით იგივეა თოლრასათვის, რაც შამსისათვის ქაქა ხორამია, ოლონდ იმ განსსვავებით, რომ ფერდოუსის სამოქმედო არე შედარებით უფრო შექვეცილია. იგი სოციალური წარმოშობითაც ხორამზე მაღლა დგას. მის დასახასიათებლად ხოსროვი ხმარობს ასეთი მსატვრულ სახეს: ეს ქალი იმდენად წმიდა და ღვთისმოსავია, რომ მამალი ბელურისაც კი ერიდებაო.

როგორც შევრიშნეთ, რომანში თოლრას ანტიპოდად გვევლინება ფარსის ნომინალური მეფე აბეშ ხათუნი. ხორამის სიტყვით, მას მხოლოდ ტიტული აქვს მეფისა, თორემ ისე მოქმედების ასპარეზი არ გააჩნია. აბეში საერთოდ უსუსურია და ფარსის ფაქტიური ბატონ-პატრონები მონღოლები არიან. ეს შეგნებული აქვს დედოფლას, როცა ამბობს: „არც აშენების ძალა მაქვს და არც ნგრევისათ“. აბეში და მისი ხელქვეითები უმეტესად თავს არიდებენ მონღოლებთან ურთიერთობის გაუარესებას, მტრის წინააღმდეგ აგრესულად განწყობილ მოპამედს ურჩევენ: „კრაზანას წვრილმანების გამო ჯოხით ნუ გავალიზი ანებთო“.

ავტორს ნაკლებად აინტერესებს აბეში, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, მისი მსოფლიმებრველობა და იდეალები. იგი ძირითადად დედოფლის ზეობრივ-მორალურ მხარეზე ამახვილებს ყურადღებას. აბეშ ხათუნი არ ერიდება თავის ხელვეეითებთან ინტიმური ქსელის გაბმას. მას შამსის გარეგნობა მაღვე გამოიყვანს წინასწორობიდან. აბეშ ხათუნს, როგორც ჩანს, საეჭვო კაუშირა აქვს თავის ვეზირ ქოლიჯასთანაც, რაზეც ოდნავ მიგვანიშნებს ავტორი.

ვეზირი ქოლიჯა ნაწარმოებში თითქოსდა უაოყოფით პერსონაჟად არის გააჩრებული. ავტორი არ იშურებს საღებავებს, რათა დაგვიხატოს ქოლიჯა, როგორც ჭირვებული, უკეთესი და მეღილური აღამიანი. ხოსროვის სიტყვით, ქოლიჯა გაცნობისთანავე შტრულად განეწყობა შამსისადმი. მაგრამ ქოლიჯას სახე რომანში შედარებით ეპიზოდურია და ბოლომდე არ არის გახსნილი, თითქოს საწინააღმდეგო მოსაზრებებიც გამოდება. ანგიანუს მიერ ქოლიჯას დატყვევებას დაბალი ფერების აჯანყება მოჰყვება. თვით ქოლიჯა ხშირად ეკამათება მონღლო ამირებს, რომლებიც გაურბიან ქოლიჯასთან შეტაკებას. ქოლიჯა ზოგჯერ ებრძების კიდეც მონღლოლთა ხელისუფლებას.

გარდა საკუთრივ სპარსელებისა, ავტორს ნაწარმოებში უცხოელებიც გამოჰყავს. ესენი არიან მონღლოლები — ფარსის ამირა ანგიანუ და მხედარომთავარი ალთაჭუ ბაპარორი. ავტორის თქმით, ანგიანუ თავაზიანი კაცია, ოლონდ დიდ ლტოლვას იჩენს ფულისა და მსუბუქი ყოფაქცევის ქალებისაღმი. ანგიანუ თავისი უფლებებით ფარსში შეიძლება მონღლოლ ამირაზე მაღლა დგას და ფაქტიურად სრულუფლებიანი გამებელია.

საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ამ მონღლოლი ხელისუფლები — ალთაჭუ ბაპარორისა და ამირა ანგიანუს ინტერესები და მოღვაწეობის სფეროები მეტად ზერელედ არის მოხაზული რომანში.

ილხანი აბალა ხანი (1265-1284) დასატულია, როგორც უსაქმეური, ნადირობით გატაცებული და პირადი განცხრომის მაძიებელი აღამიანი. ავტორი ზოვგერ მას კომიკურ სიტუაციაში აყენებს.

ხანი მორალურად დაცემული და გადაგვარებული აღამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. შამსის ხალას გრძნობას უპირისპირდება აბალა ხანის ხორციელი ვერებანი.

აბალა ხანის კონტრასტული ტიპია ეგვიპტის სულთანი მალექ ზაპერი. ნაწარმოებაში იგი დაბალ სოციალურ ფენას განეკუთვნება. ჯერ ყმა იყო, შემდეგ — მამლუქი, ბოლოს გვიპტის მბრძანებელი გახდა. არც მისი მეუღლე — ჯამილა ბანუა არისტოკრატთა ჩამომავალი. არაბ ხელისუფალთ ავტორი სიყვარულით გვიხატავს.

ნაწარმოებში ორჯერ გვხვდება ვაჭართა კლასის წარმომადგენელი: მუსლიმანი მაპეტუდ ჯავაპერი და ქრისტიანი მონიასი. ორივენი ტიპიური ვაჭრები არიან, ოქრო ფეტიშად გაუხდიათ, ფულია მათი ცხოვრების მიზანი

ეკლესიის მსახურნი რომანში მუქი ფერებით არიან წარმოიღენილი, ავტორი მათ დასცინის და აბუჩად იგდებს. მღვდელი თავის მრევლს მყაცრად უკრძალავს სიცრუეს, ქურდობასა და ქალებთან სიახლოეს, თვითონ კი ზეობრივი ურთიერთობის ნორმებს ფეხქვეშ თელავს. დანაშაულს ჩადიან აგრეთვე მონაზვნებიც.

რომანში ხშირად გვხვდება ირნის, საბერძნეთის, ინდოეთისა და არაბეთის შემდეგი ქალაქები: შირაზი, ისფაჰანი, ფირუზაბაღი, ისთახრი, ჰამაღანი, მარა-

ღა, სამარყანლი, ათენი, კალკუტა, ალეპო, ბაღდადი, ბასრა, დამჩსკო, მედინა, ალექსანდრია, მექა.

რომანის მოქმედი პირები თრ ჯუფთად იყოფიან; მათი უმრავლესობა ისტორიული პიროვნებაა. ასეთებია: აბეშ ხათუნი, აბალა ზანი, შამს ეღ-დინ, მოკაშედ ჭუვეინი, საჰიბ დივანი, ბეჭა ედ-ლინ მოკაშედი, ამირა ანგიანუ, ამირა ალ-თაჯუ, საადი შირაზელი, ალა ედ-ლინ ათა მალექი.

ორიოდე სიტყვით გვინდა შეცეხოთ რომანის მხატვრულ მხარეს. განსაკუთრებით გვხვდება ოვალში სასახლის ნაგრევების, ციხე-სიმაგრეების, წმიდანთა საფლავების, მეჩეთების, მღვიმეებისა თუ გამოქვაბულების დეტალური პლატერი¹⁶.

ჩვეულებრივ, ქალაქების, მხარეებისა და ციტადელთა აღწერა მოცემულია ახალი თავების დასაწყისში, რაც თითქოს შესავლის როლს ასრულებს. აღწერას თან ერთვის მათივე დაარსებისა თუ წარმოშობის ისტორია ხან ისტორიულ წყაროებზე, ხანაც ხალხურ გადმოცემებზე დაყრდნობით; აგტორი ბევრის ამოგზაურებს თავის გმირს და სიტყვასიტყვით გვისურათებს ყოველ დეტალს, რომელსაც გმირი აღიქვამს. რომანის მოქმედი პირები, როგორც წესი, სიამაყით ისტყვალებიან ამა თუ იმ ისტორიული ძეგლის ხილვისას, რაც აშეარავებს აკტორის სურვილს — გააღვიძოს თანამემამულებში მიმქრალი ეროვნული ჯრძნობები.

შეიძლება ითქვას, რომ კომპოზიციურად ნაწარმოები არ არის რთული. ავტორი არც სიტუაციების გამწვევებას ცდილობს; ის, არც შემდეგ თავში უნდა მოხდეს, ხშირად წინა თავშია მინიშნებული.

„შაში და თოლრა“ ორმოცდაექვსი თავისაგან შედგება. მათი დასათაურებისას ხოსროვი ზოგჯერ იყენებს შეტაფორულ, ორაზროვან გამოთქმებს, მაგ „ალთაჯუმ დუმა მგელს ჩააბარა“, ანდა „ქოლიგას ისარი ქვას მოხვდა“. ხშირად ამა თუ იმ ეპიზოდის კომენტარი მისიავე სათაურშია გახსნილი. ხოსროვი ხშირად იყენებს ლიტერატურისათვის კარგად ცნობილ ე. წ. „მოლაპარაკე სახელებს“, რაც ჩინებულად გამოხატავს მწერლის მიზანსა და ტენიანკისას.

მთელ რომანს თავიდან ბოლომდე გასტევს დიდაქტიკაც. ხოსროვისთან ლიალოგებს განსაკუთრებული ადგილი ენიჭება გმირის ვინაობის აღწერისას. თვით ავტორი ამა თუ იმ პერსონაჟის ზურგსუյანაა ამოფარებული, მოქმედი კირები თვითონვე ახასიათებინ ერთმანეთს.

¹⁶ ڦڻر. ڇوڻو ڇڳوڻا ٻو ڪوما ٻڳ ڦ (ء. ڇ. ڏار ڦل، ڏيردجي ڙيٽان و ڦابس-
ڪي ڦistorical ڦoman، M، 1967).

რომანში გვხვდება გაჭიანურებული პასაუები და ეპიზოდები, შეინიშნება ე. წ. სიუჟეტური გამეორებანიც. ზოგჯერ ავტორი მიმართავს ლექსჩიართვას, რითაც ხარქს უჩდის ტრადიციას.

ისტორიზმის მომენტის წინ წამოსაწევად ხოსროვის შეგნებულად მოჰყავს ვრცელი ციტატი ამა თუ იმ წყაროდან. ეს ამონაწერები უაღრესად დიდია და მოქმედი ცვერი. მათ ხშირად წიგნის რამდენიმე გვერდი ეთმობა ხოლმე. ისტორიკოსის სტატიური თხრობიდან მოქმედ პირთა დიალოგებზე უეცარი გადასცლით ნაწარმოების საერთო მხატვრული ქსოვილი ირდვევა და ემოციურობა იყარება.

ხოსროვი ხშირად მიმართავს შედარებებს, ეპითეტებს, ფიგურალურ თქმებს. უნდა შევნიშნოთ, რომ აქ მწერალი ნაკლებ თრიგინალურია. მისი მხატვრული სახეები უმეტესად ტრადიციულია.

ხოსროვის გამოყენებული აქვს ყურანული და ბიბლიური ფრაზეოლოგია, ზოგჯერ თქმულებანიც. რომანს ახასიათებს პერსონაჟთა ნაირფერობა და სიუხვე.

აღსანიშნავია ნაწარმოების ენობრივი მხარე. ხოსროვის ენა უაღრესად სადაა, მყაფიო და ნათელი. მარტივი სტილი რომანს საინტერესო საკითხებად აქცევს.

ავტორის დამსახურებად მიგვაჩნია ის ფაქტიც, რომ იგი სიფრთხილეს იჩენს ისტორიული მოვლენებისაღმი და ცდილობს ეპოქის ზუსტი სურათის მოცემას.

ხოსროვიმ სანათი-ზადე ქერმანისთან ერთად შექმნა სპარსული ისტორიული რომანი (თანამედროვე გავებით), რომელიც მანამდე არ არსებობდა და ჯერ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია სპარსულ ლიტერატურას.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხოსროვის რომანში „შამსი და თოლრა“ იგრძნობა დიუმას რომანების „გრაფ მონტე-კრისტოსა“ და „სამი მუშკეტერის“ გავლენა, რაც ნაწარმოების ნაკლად არის მიჩნეული. ი. მარი კი ამის შესახებ წერს: „Это не только исторический роман, это образцовый и технически блестяще исполненный авантюристический роман, написанный вне каких-либо европейских влияний“¹⁷.

ჩვენი აზრით, ეპიზოდებისა თუ ელემენტების დამთხვევა (მაგ. განძის პოვნა) სრულებითაც არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ შამს ედ-დინი და არტანიანის ან გრაფ მონტე-კრისტოს კომბინირებულ სახედ წარმოვიდგინოთ. ნაწარმოების ეროვნულ ხასიათზე მიუთითებს, პირველ რიგში, მისი საერთო ეროვნული სული, სპარსული კლასიკური ლიტერატურიდან ნასესხები სტილისტური ხერხები, აღმოსავლური მწერლობისათვის დამსახასიათებელი დიდაქტიკა, მორალიზმი, კეთილისა და ბოროტის დაპირისპირება, პიპერბოლიზაცია, გადაჭარბებული სენტიმენტალიზმი, გამიჭურება პირველსავე დანახვაზე, ძიძის იმსტიტუტი და ა. შ. რომანის გმირი შამსი არის წმიდა სპარსული ხასიათი, წმიდა სპარსული სულის მატარებელი პირვენება, რომელსაც ჰყავს ძალიან შორეული წინაპარი გმირი როსტომის სახით.

¹⁷ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 108, გვ. 206.

ნაწარმოები საინტერესოა მდიდარი გეოგრაფიული და ისტორიულ-არქეოლოგიური ფაქტოგრაფიით.

ცნობილი ირანელი ნოველისტი ჯამალ-ზადე აღნიშნული ნაწარმოების შესახებ მიიუთითებს: „შამსი და თოლრა“ უბადლო და შეუდარებელი წიგნია და უდავოდ ერთადერთი ნიმუში ახალი სპარსული ლიტერატურისა, რომელიც ღირსია ითარგმნოს უცხო ენაზე¹⁸.

ირანში ისტორიული რომანის ჩამოყალიბებისა და პოპულარიზაციის საქმეში, უდავოდ, თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ამ უანრის მამამთავარს — მოჰამედ მირზა ბაყერ ქერმანშაჰი-ხოსროვის.

¹⁸ როქნ-ზადეის აღამიათ. დელირანე თანგესთანი, თეირანი, 1934, გვ. 16.

ზოგა მიზანები

ესახური საგჭრო ესთეტიკური ეზესი ისტორია

(20-იანი წლები)

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახ.
ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში)

20-იანი წლების ქართულ მწერლობაში არსებული ძირითადი დაჯგუფებებისათვის (ცკადებიური ასოციაცია, ცისფერი ყანწები, ფუტურისტები, პროლეტარული მწერლობა) დამახასიათებელია ერთი საერთო ნიშანი: ისინი თავიანთ ესთეტიკურ პოზიციას უფრო სრულად და უფრო კონკრეტულადაც გამოხატავდნენ უპირატესად თეორიულსა და კრიტიკულ წერილებში, ვიდრე თავიანთ მხატვრულ ნაწარმოებებში. ამასთან ისინი უფრო მეტად საკუთარი ესთეტიკური პოზიციის თეორიული დასაბუთებებსა და სხვა მიმღინარეობათა შეხედულებების უარყოფისათვის იღწვოდნენ, ვადრე ახალი ცხოვრების შესაუქრისი მხატვრული ნაწარმოებებს შემონისათვის. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყოველი ზემომოხსენებული დაჯგუფება ცდილობდა თავისი თვალსაზრისი და შემოქმედებითი კრედო ახალ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებასთან დაეკავშირებინა და მასთან თავისი ასეთი თუ ისეთი დამოკიდებულება ამ ვითარების ავკარგიანობის ჩვენებით გაემართლებინა.

20-იანი წლების ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში საერთოდ, და სალიტერატურო კრიტიკაში, კერძოდ, პრინციპული წინააღმდეგობა არსებობს შემოქმედებითი მეთოდის რაობის გაებაში. ყველა გრძნობს, რომ ახალი დრო, საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი პირობები, სინამდვილის ასახვის ახალ შეთოვას შოთოვას, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ შეუმუშავებიათ ერთიანი, მწყობრი წარმოდგენა ამ ახალ შეთოვაზე, რაც საფუძვლად უნდა დაედოს როგორც მხატვრულ შემოქმედებას, ასევე სალიტერატურო კრიტიკას. ხშირად ამგვარ წინააღმდეგობას ადგილი აქვს ერთსა და იმავე ლიტერატურულ დაჯგუფებაში გაერთიანებულ ლიტერატორებს შორის. როდესაც 20-იანი წლების ლიტერატურათმცოდნეობას, მისი ზოგადი კრიტიკული პრინციპების მიხედვით, კრიტიკულად ვაფასებთ, ვრწმუნდებით: თვით ისეთი ლიტერატურული დაჯგუფებაც კი, როგორიც იყო „პროლეტარული მწერლობა“ (რომელიც თავისი პოლიტიკური მრჩამისით ყველაზე ახლო იდგა საბჭოთა სინამდვილესთან), საფუძვლიანად ვერ ერკვეოდა მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ძირითად საკითხებში და ხშირად მცდარი პოზიციიდან აფასებდა მხატვრული შემოქმედების პრინციპულ საკითხებს. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სწორად აფასებდნენ შექმნილ მდგომარეობას ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში, ღრმად აანალიზებდნენ ასეთი შდგომარეობის სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზებს. პარტია ყოველხაირად ხელს უწყობდა ყოველივე დაღებითსა

და პროგრესულს, ხოლო უარყოფითსა და მიუღებელს ბრძოლას უცხადებდა. ამით ყოველგვარ პირობებს ქმნიდა მხატვრული ინტელიგენციის სწორ შემოქმედებითს გზაზე დასაყენებლად. საამისოდ პარტია იყენებდა არა აღმინისტრიარების, არამედ ახსნა-განმარტებისა და დარწმუნების ნაცად მეთოდს.

აღნიშნულ შძაფრ თეორიულ და შემოქმედებითს ბრძოლებში თანდათანობით განმტკიცდა ჭეშმარიტი შემოქმედებითი მეთოდი — სოციალისტური რეალიზმი, რომელიც საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების წინსვლის მთავარი ფაქტორი გახდა. ეს მეთოდი 20-იანი წლების ბოლოს ორგანულად მიიღო ყველა მოწინავე საბჭოთა მწერალმა, რის გამოც 20-იანი წლების და-საწყისში გაუქმდა სხვადასხვა ესთეტიკურ პოზიციებზე დამყარებული ლიტერატურული დაგუფებები და შეიქმნა ერთიანი საბჭოთა მწერლების კავშირი.

ამ პერიოდში გვაოცებს დაძაბული და ენერგიული მხატვრული ძიების სიფართოვე. ეს ძიებანი დაკავშირებული იყო სრულიად ახალი და მრავალფეროვანი ამოცანების შეცნობასთან, რომელიც მსოფლიოში პირველმა, ახალი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნამ და მისგან განპირობებულმა სოციალურმა და ეკონომიკურმა ძრებმა გამოიწვია. ამ პერიოდში ასეთი ძიების გარეშე არ შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო ახალი ქართული საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება.

ახალმა ესთეტიკურმა აზრმა თავისი მოწინავე იდეებით მხატვრული სიტყვის ოსტატებს გაუწია უდიდესი სამსახური რევოლუციური ხელოვნების ღარებულების შემცნებისა და მისი გააზრების შემდგომი განვითარების პროცესში. მარქსისტული კრიტიკა, წყვეტდა რა ესთეტიკის თეორიის კარღინალურ საკითხებს, ამით გზას უხსნიდა სოციალისტური ნოვატორული ხელოვნების თავისებურების პრობლემათა გადაწყვეტას.

მართალია, 20-იანი წლებიდან მოხდა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ძირებული განახლება, ხელოვნება ჩადგა ახალი ცხოვრების შექმნებელთა რიგებში, აღიგვის ეპოქის შესაფერი დიდი იდეებითა და ტენდენციებით, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარება არ ყოფილა სწორხაზობრივი და ერთიანი. ამ პერიოდში აღვილი აქვს მძაფრ შინაგან წინააღმდეგობებს სხვადასხვა იდეურ-ესთეტიკურ პოზიციებზე შდგომ ლიტერატურულ ჯგუფებსა და მიმდინარეობებში. ამ პერიოდისათვის დაძახასიათებელი კლასობრივი ბრძოლა და დაპირისპირება იყო მიზეზი მხატვრულ ლიტერატურაში არსებული იდეური ბრძოლისა და დაპირისპირებისა, რადგანაც გააფთრებული იდეოლოგიური ხასიათის ბრძოლაში უკანა პლანზე ვერც მხატვრული აზროვნება დადგებოდა.

პარტიის მიერ დასახული სამხატვრო-სალიტერატურო პოლიტიკის თან-შიმდევრული დაცვის თვალსაზრისით წინა პლანზე წამოიწია ლიტერატურულმა კრიტიკამ, რომელმაც თავისში გაართიანა ესთეტიკური აზროვნების სხვადასხვა მხარე და ამით ერთ-ერთი ცენტრალური აღგილი დაწირის იდეოლოგიური ბრძოლის ფრონტზე.

ლიტერატურული კრიტიკის მოწინავე წარმომადგენლები გადაჭრით მოიხოვდნენ, ძველი შემკვიდრეობის კრიტიკულ ათვისებასთან ერთად, ლიტერატურული ცხოვრების საფუძვლიან გარდამნას, ახალი, ეპოქის შესაფერი შექმნას. მკაცრად იცავდნენ ლიტერატურის კლასობრიობის მოთხოვნას. თანმიმდევრულად ატარებდნენ ესთეტიკური აზროვნების დიალექტიკურ პრინციპს.

თუკი საქართველოში (ისევე, როგორც რუსეთში) საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მწერალთა ერთ ნაწილს თანმიმდევრული რევოლუციური პოზიცია ეკავა, სამაგიეროდ შემოქმედთა დიდი უმრავლესობა თავიდანვე; მტრულ პოზიციაზე იდგა და აშკარად უპირისისპირდებოდა სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს, მარქსისტულ იდეოლოგიას და მსოფლიშედველობას. საბჭუნაროდ, ამ უკანასკნელთა რიგში რევოლუციამდელი ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლებიც იდგნენ. უფრო მეტიც, ისინი ყოველგვარი შენიდბების გარეშე ქადაგებდნენ ანტისაბჭოურ, ანტიკომუნისტურ იდეებს.

თითოეული დაჯუფება იბრძოდა შემოქმედებითი ჰეგემონისათვის და თავიანთი დეკლარაციებით (რომელშიაც გაღმოცემული იყო ცალკეულ დაჯუფებათა მსოფლიშედველობრივი კრედიტი) ზოგი მათგანი აშკარად უარყოფზა ლიტერატურისა და ხელოვნების ორგანულ კავშირს საზოგადოებრივ ცხოვრებასთან.

ახალი, მარქსისტული ესთეტიკური აზროვნების განვითარებაში ააეტაპონ ნაბიჯი იყო რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის ისტორიული რეზოლუცია „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში“, რომელშიც სრული მეცნიერული სიზუსტით იყო განაალიზებული ლიტერატურასა და ხელოვნებაში არსებული შდგომარეობა და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები. მხედველობაში ჰქონდა რა არსებული კლასობრივი ბრძოლის სიმწვავე, რაც დიდ გამჭვენას ახდენდა იდეოლოგიის ყოველ დარგზე, ამ რეზოლუციაში პარტია უდიდეს პოცანებს სახავდა არა მარტო მხატვრული ლიტერატურის, არამედ ლიტერატურის თეორიის, მთელი ესთეტიკური აზროვნების წინაშეც. მით უფრო, რომ ამ ჰერიონდში ნათლად იგრძნობოდა ფართო, თეორიულად გამაზოგადებელი მონოგრაფიული ნაშრომების კრიზისი (მეთოდისა და სტილის, ფორმისა და შინაარსის და სხვ. საკითხებზე). კერ კადევ არ არსებობდა საბჭოთა ლიტერატურის საკუთარი ერთიანი მიმდინარეობა და დამახასიათებელი სტილიური თავისებურებანი ახალი შემოქმედებითი მეთოდი. სწორედ ამის შესახებ იყო ხაზგასმით ნათქვამი რეზოლუციაში: მიუხედავად იმისა, რომ პროლეტარიატს ამჟამად მზადა აქვს საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის შეუმცდარი კრიტერიუმები, მას ჭერ მზად არა აქვს ასეთივე გარკვეული პასუხი მხატვრული ფორმის ყველა საკითხზე.

ეს პრობლემა ვერც საქართველოს მწერალთა I (1926) და II (1928) ყრილობებმა გადაჭრეს დადებითად და იგი კვლავ მომავლის გადაუდებელ საქმედ იქნა შინებული.

ესთეტიკური აზროვნების დარგში, ისევე როგორც იდეოლოგიის სხვა ფორმებში, არ არსებობდა აზრთა ერთიანობა „მხატვრული შემოქმედების კარდინალურ საკითხებზე“, აშკარად ექმნებოდა საფრთხე ახალი რევოლუციური მეთოდის — სოციალისტური რეალიზმის შემდგომ წინსკლას და განვითარებას.

მარქსისტული ლიტერატურათმცოდნეობის უპირველეს ამოცანას შეადგენდა — საბოლოოდ დაეძლია ყოველგვარი ფორმალისტური გადახვევა, ნატურალისტური მიმდინარეობა და ესთეტიკური აზროვნება დაეყენებინა რეალისტური ხელოვნების ფართო გზაზე.

„ღირებულებათა გადაფასება“ და ხელოვნების არსი

რევოლუციის გამარჯვებამ მხატვრულ ღირებულებათა ახალი შემფასებელი მთავრინა მშრომელთა უალრესად ფართო წრების სახით. ეს იყო ახალი რევოლუციური ინტელიგენცია, რომელმაც თავის თავზე აიღო ახალი ხელოვნებისათვის ბრძოლის მთელი სიმძიმე — სამართლიანად წერდა უურნალი „არიფიონი“: „თანამედროვე დიდმა ეპოქამ ახალი ადამიანი წარმოშვა და ახალი მსოფლიშედველობა, შეგრძნობა, მორალი და გემოვნება მისცა“¹. ახალმა ეპოქამ პროლეტარიატი გამოიყვანა ახალი ცხოვრების ორგანიზატორად და შემოქმედდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ სფეროში. მაგრამ „სამხედრო კომუნიზმის“ დამთავრებამ და „ნეპის“ შემოღებამ კიდევ ერთხელ გაუუღვიძა სურვილი ბურჟუაზიული ხელოვნების უკანასკნელ მოპიკანებს; კულტურის ფრონტზე შემოტევისა. „ნეპმანთა“ ეკონომიური გაძლიერების შედეგად უფრო მკვეთრად მოიკიდა ფეხი „ნეპმანურმა“ ხელოვნებამ. ამავე დროს ძველი ხელოვნების წარმომადგენლები „ინერციის ძალით განაგრძობენ „მხატვრულ ღირებულებათა“ შექმნას, აავისი კლასის დაცემულ ფსიქიკისა მიხედვით“².

უურნალი „ახალგაზრდა ლენინელი“ თავის ერთ-ერთ სტატიაში — „მუშათა ინტელიგენცია და ხელოვნება“ — ეხება სპეციალურ საკითხს: „თანამედროვე ნეორეალიზმი და ნეოუტილიტარიზმი“, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „ნეპმანიზმით“ წელში გამართული ბურჟუაზიული ხელოვნება განაგრძობს „ლამაზ ღირებულებათა“ შექმნას. წერილის აზრით, ესაა „ნეპმანურ-ძიებიტნურ-შანტანური გემოვნება“. მაგრამ რადგანაც დეკლასიური ინტელიგენცია ვერ პოულობს დასაყრდენს თანამედროვეობაში — განწირულია დასალუბად. იგი ჩატვირთვისა შიშველ ესთეტიკას, ფსიქოლოგიზმს, მისტიკას.

ასეთი „შიშველი ესთეტიკისა“ და „მისტიკის“ თვალსაჩინო ნიმუშს ჩვენში წარმომადგენდა გრიგოლ რობაქიძის ესთეტიკური მსოფლმხედველობა. უურნალ „კავკასიონში“ გამოქვეყნებულ მის წერილში „ექსპრესიონიზმი“ ავტორი ავითარებს მისტიკურ თვალსაზრისს ხელოვნების არსებ, იზიარებს რეებუნებრივინის ცნობილ შეხედულებას ხელოვნების რაობის შესახებ³. გრიგოლ რობაქიძე საგანგებოდ სკომას კითხებს: „არის თუ არა ახალი ექსპრესიონიზმი როგორც მიმართულება?“ და იქვე არაორმოფულ პასუხს იძლევა. „ჩემს საჯარო მოხსენებაზე მე განვაცხადე, არა... მაგრამ როგორც „ტონისი განცდისა“ ექსპრესიონიზმი უთუოდ ახალია“.

მაგრამ ეს ძველი მიმართულება სრულიად ვერ შეედრება ახალ მიმართულებას (სიმბოლიზმს), რომელმაც შეუდარებელ სიმაღლეებს შიაღწია პოეტიკის თვალსაზრისით. „ლირიკაში ექსპრესიონიზმი ვერ შეედრება სიმბოლიზმს: ვერც საფრანგეთისას და ვერც რუსეთისას. დრამაში კი მისი გამარგვება დიდია“⁴.

გრ. რობაქიძის აზრით, ღმერთის ხილვა და „ტრანსცენის“ ექსტაზით გარღვევა განსაკუთრებული სულის მქონე, ღვთიური ნიჭით დაჯილდოებულ შემოქმედთ შეუძლიათ, ამატომ ხელოვნების განვითარება მხოლოდ სუბიექ-

¹ უურნ. „არიფიონი“, № 1, 1928 წ.

² უურნ. „ახალგაზრდა ლენინელი“ № 2 (21), 1924 წ., გვ. 30.

³ „კავკასიონი“, 1924, № 1—2, გვ. 132.

⁴ იქვე, გვ. 133.

ტურ ფაქტორთანაა დაკავშირებული. ასეთი თვალსაზრისი კანტის იდეალის-ტური მსოფლიხედველობისა და მისი ესთეტიკური მოძღვრების ქვაკუთხედს წარმოადგენდა და ხელოვნებაში ისტორიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული. კანტის მოძღვრება აბსოლუტურად სთიშავდა ხელოვნებას საზოგადოებრივა ცხოვრებისაგან და შემოქმედებითი პროცესი ხელოვნის სუბიექტურ შესაძლებლობათა გამოვლენამდე დაყავდა. ისევე, როგორც ობიექტური იდეალიზმის წარმომადგენელს — ჰეგელს ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარება აბსოლუტური სულის თვითგამოვლენის პირველ, ანუ დაბალ საფეხურად შიაჩნდა, ხოლო მისი შინაარსობრივი მხარე გრძნობად-კონკრეტულ, სახეობრივ ფორმაში გამოვლენილ იდეალ.

გრიგოლ რობაქიძის ასეთი თვალსაზრისი — ხელოვნების განვითარებაში სუბიექტური ფაქტორის გააბსოლუტების შესახებ — არ წარმოადგენდა ახალ სირყეს ე. წ. ხელოვნების ერთიანი ნაციონალური სტილის რასისტულ-ფორმალისტურ თეორიაში. საკმარისია, გავეცნოთ ცნობილი გერმანელი ესთეტიკონის ველფლინის ნაშრომს — „იტალიური რენესანსის ხელოვნება და ფორმის გერმანული გრძნობა“, რომელშიც ხელოვნების განვითარების ნიცხესეული თვალსაზრისია გატარებული (და რომელსაც ასე თვალნათლივ იზიარებდა გრ. რობაქიძე). ამ ნაშრომის მიხედვით, მხატვრული სტილის განვითარება წაშინდა რასიული მოვლენაა და მისი განმასაზღვრელი ფაქტორი მხატვრულ სტილთა კონკრეტულ-ისტორიული ფორმის გამოვლენა კი არაა, სადაც მხატვრული შიმდინარების, სტილის საერთო კანონზომიერება წინა პლანზეა წარმოშევალი, — არაერთ მხატვრული ფორმების ეროვნული, რასიული შეგრძნებებია, რითაც ხელოვნების სტილი, ერთი მხრივ, ერთიანდება მოცემული ერის ფარგლებში, ხოლო, მეორე მხრივ, ეთიშება სხვა ერის ხელოვნებას. ხელოვნების ეს თეორია, არსებოთად, ხელოვნების განვითარების ნამდვილი ობიექტური ფაქტორების ზოგადი და საყოველთაოდ მოქმედი კანონების უარყოფას წარმოადგენდა.

ასეთ მხატვრულ მეთოდს თვით ცხოვრება უარყოფდა; ახალი ყოფა თვალსაზრინოს ხდიდა, რომ აბსტრაქტული, მოდერნისტული ხელოვნების დაშახინჯებული ფორმებით შეუძლებელი იყო ცხოვრებაში (ხალხის ყოფაში). შომხდარი რევოლუციური გარდაქმნების ასახვა. ა. ლუნაარსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც მუნჯს არ შეუძლია რევოლუციური სიტყვის წარმოთქმა, ასევე აბსტრაქტულ ხელოვნებას არ შეუძლია მოგვცეს იდეოლოგიურად გამართული, რევოლუციის შესაფერი კულტურა.

შრომის აბოლოგია, — წერდა უურნალი „ახალგაზრდა ლენინელი“, — არის უპირველესი ობიექტი შემოქმედებისათვის ესთეტიკა თვითმიზანი არ არის. ამიტომ შეუთავსებელია მისოვის სასოწარკვეთილებისა და დაცუშის აბოლოგია. „ახალი კლასი, რომელიც ყოველივეს მიზანშეწონილად ასრულებს, საჭიროებს მხოლოდ საზოგადოებრივად სასარგებლო ხელოვნებას“⁵.

რადგანაც ადამიანი თავისუფლდება სამყაროსა და ისტორიის მონობისაგან და იგი თავისი თავის და გარემო პირობების ბატონ-პატრონი ხდება, ხელოვნებაც აღარ უნდა ემორჩილებოდეს კლასობრივ შეზღუდულობას, „მან უნდა ამოილოს რეალობა მისივე რევოლუციონურ ცხოვრებიდან“ და დამუშა-

⁵ „ახალგაზრდა ლენინელი“ № 2 (21), გვ. 32.

11. „მაცნე“, № 3, 1959.

ვის იგი მიზანშეწონილად სწორედ ისე, ორგორც ცხოვრების სხვა სფეროში პროლეტარიატი არ ემორჩილება არსებულს და აშენებს არსებულიდან მაზანშეწონილად ახალს.

პოვზის, პროზისა და დრამატურგიის განვითარებასთან შედარებით, ლიტერატურული კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა დასაწყის პერიოდში ვერ უპასუხებდა ახალ, გაზრდილ შოთხოვნებს და, მიუხედავად სახელმოვანი ქართული კრიტიკული აზროვნების ტრადიციისა, დაბნეულობისა და ირრეალური აზროვნების ბურუსში იყო გახვეული. მაგალითად, უურნალმა „თეატრმა და ცხოვრებამ“ თავისი ფურცლები დაუთმო ხელოვნებაში ექსპრესიონიზმის შექმნის საკითხს. წერილში გადმოცემულია ექსპრესიონიზმის (რომელიც თავისი არსით უპირისპირდება იმპრესიონიზმს) წარმოშობის მიზეზები. ლიტერატურისა და ხელოვნებაში ექსპრესიონიზმი, ამ წერილის აზრით, წინააღმდეგია ბუნების: ის სცნობს მას, როგორც ძალას, მაგრამ არ სწამს მისი ჭეშმარიტება და გარდუვალობა. ამიტომ, წერილის ავტორის აზრით, „ყურადღების ცენტრი ექსპრესიონიზმი აღამიანია“. ადამიანი უნდა ბატონობდეს ბუნებაზე და არა პირიქით. რადგან ექსპრესიონიზმისათვის აღამიანია ერთადერთი მიზანი, ამიტომ ლიტერატურასა და ხელოვნებაში ექსპრესიონიზმი ემსახურება აღამიანის გრძნობას, განცდათა და სულიერი შეობის გამომზეურებას. სწორედ ექსპრესიონიზმია ის ერთადერთი და ახალი მიმდინარეობა, რომელიც „ცდილობს დაუბრუნს აღამიანს დაკარგული აღამიანური ლირსება...“⁶

აღამიანი საკაცობრიო მოვლენაა... და რადგანაც ექსპრესიონიზმი ეძიებს აღამიანს, მისთვის არ არსებობს არავითარი სახელმწიფოებრივი საზღვრები — ის ინტერნაციონალურია. აღრმავებს რა თავის შეხელულებებს ექსპრესიონიზმის ყოვლის შექმნლეობის შესახებ, წერილის ავტორი დაასკვნის, რომ „ექსპრესიონიზმი ჩვენი ეპოქის შვილია, ის დაბადა მანქანების და გამურილა ქარხნების ღრიანცემა და ამ ქარხნებში დამარხული აღამიანების ძიების სურვილშა... მე ვნახე ადამიანი, მე მინდა და დავიცვა ის თავის თავის თავის აგან“ (ხაზი ავტორისა — შ. ე.).

თავისუფალი აღამიანი, მისი სრულყოფა, მისი გრძნობისა და განცდის სხვისთვის გადაცემა მხატვრული ნაწარმოების საშუალებით და მისი დაცვა ყველაფერი იმისაგან, რაც ამცირებს აღამიანურ ღირსებას და აღამიანობას, — აი, ქვაკუთხედი ექსპრესიონიზმის „გარდასახვისა ხელოვნებაში, ლიტერატურაში და პრაქტიკულ პოლიტიკში“.

უკეთესი შდგომარეობა ამ შხრივ არც ლიტერატურის თეორიის საკითხების გაგებაში არსებობდა. პირიქით, ფორმალისტური ესთეტიკის წარმომალენები აღრმავებდნენ იმ შეცდომებს, რაც ამ პერიოდის ესთეტიკური აზროვნებისათვის იყო დამახასიათებელი.

ფორმალისტების აზრით, ლიტერატურის თეორიაში ფორმალიზმის პრინციპების განმტკიცებაში შესცვალა ლიტერატურის ისტორიის მიმართულებაც. იგი თავისი მეთოდოლოგიით ემყარება ე. წ. მორფოლოგიურ მეთოდს.

როგორც ვხედავთ, ფორმალიზმა ლიტერატურათმცოდნებაში შემოიტანა კიდევ ერთი ახალი მეთოდი — „მორფოლოგიური მეთოდი“⁷ რატომ იქცა

⁶ „თეატრი და ცხოვრება“ 1923, № 2-3 (ავტორი — შ. სპანიო ლ. ი).

⁷ ფ ვ ვ, გვ. 162.

საქართველოში ეს შეთოდი წამყვან მეთოდად? ოურმე ჩვენში ლიტერატურული აზროვნების დაბალი დონე და ქართული კრიტიკის კუსტარული მდგომარეობა ვერ უსწორდებოდა ახალი პოეზიის მიღწევებს. ამიტომ საქართველოში ფორმალიზმის განსაკუთრებული ბედი ეწია, რადგან თვით პოეტები გახდნენ ამ „თეორიული შეოლის“ პროცეს პოლოგეტებად⁸.

აძრიგად, ფორმალიზმი, როგორც მეთოდი, თანამედროვე ლიტერატურისათვის „ხდება გენერალური მნიშვნელობის პრობლემად“⁹. ასეთია ფორმალისტური ესთეტიკის არსი; იგი ამიღას ფორმალისტური თეორიის ტრადიციული გაეგებიან, რომლის მიხედვითაც, ლიტერატურა არის მხოლოდ ფორმა და არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან, მთელი გარესამყაროსაგან და-შოუკიდებლად, თვით ფორმა კი წარმოადგენს მწერლის ესთეტიკური გრძნობის, წარმოსახვის თვითმიზნურ განსახიერებას. აქედან გამომდინარე, მხატვრული შემოქმედების პროცესი არსებითად ხელოვანის ესთეტიკური თვით-შემცნების პროცესს წარმოადგენს.

ფორმალიზმი, როგორც მიმღინარეობამ, ლიტერატურათმცოდნეობასა და ესთეტიკაში ფართოდ გაიღგა ფესვები ჩვენი საუკუნის დასაწყისში და, ამრიგად, 20-იან წლებში ერთ-ერთ ძლიერ მიმღინარეობად ითვლებოდა. იგი მხატვრულ შემოქმედებაში გვევლინებოდა, როგორც უკიდურეს დეკადენტურ-მოდერნისტულ მიმღინარეობათა ერთობლიობა. მაშინაც და ახლაც, თანამედროვე პირობებში, მისი, როგორც ლიტერატურული მიმღინარეობის, ფალოსოფიური საფუძველია სუბიექტური იდეალიზმი, რომელიც ერთადერთ სინაზდვილედ და ყოველგვარი არსებობის საფუძვლად სუბიექტურ შეგრძნებასა და წარმოდგენებს აღიარებს. ფორმალიზმში პოულობს თავის საყრდენს თახაქედროვე აბსტრაქციონისტული და სხვა ულტრა-ბურჟუაზიული მიმღინარეობანი, რაც ობიექტურად ხელოვნებისა და ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნების დაკნინების, მისი დაცემის გამოხატულებას წარმოადგენს.

მხატვრული ფორმა — ხელოვნებაში ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის პრობლემა

ეხებოდა რა ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის საკითხს 20-იან წლების ქართული ფორმალისტური სკოლის წარმომადგენელი. ამჟამად ცნობილი კრიტიკოსი ბ. ულენტი გამოთქვამდა მოსაზრებას, თითქოს შეუძლებელია პოეზიაში ერთმანეთისაგან გაირჩეს ფორმა და შინაარსი. ამ მოსაზრების ნათელსაყოფად ამტკიცებდა: „ამის მაგიერ ახალმა პოეტიკამ იცის მასალა და ხერხი“¹⁰. ე. ი. პოეტიკის ახალმა ოერტომ (სინამდვილეში ფორმალიზმა — შ. მ.) ფორმისა და შინაარსის ცნებები შეცვალა მასალისა და ხერხის ემპირიული თვისებებით. აქედან მიღებული იქნა ფორმულა: „ხელოვნება არის ჯაში სტილისტურ ხერხებისა“¹¹. აძრიგად, სიუჟეტის გადამწყვეტი ფუნქცია ხელოვნებაში არ არსებობს, არც მხატვრული ფაქტი იზომება სიუჟეტის მიხედვით. ყოველი მხატვრული ფაქტის ღირსება „მისი კონსტრუქციის თვისებრიობაშია“. აქედან ცხადია ფორმის გადამწყვეტი ბუნება, როგორც გან-

⁸ იქვე.

⁹ იქვე.

10 1924 წელი ქართულ ლიტერატურაში, „მნათობი“, 1925 წ. № 2 (10).

¹¹ იქვე.

საზღვრული დანიშნულების მხატვრული მოვლენისა. ამიტომ ზედმეტია, ვე-ძირით პოეზიაში „ორი საწყისი ფორმისა და შინაარსის სახით და მით უფრო ვილაპარაკოთ მათ შორის რაიმე ურთიერთობაზე“¹².

ასე უარყო ფორმალური ესთეტიკის ლოგიკაში პომეროსისა და გოეთეს, რუსთაველისა და შექსპირის მხატვრული სიუჟეტები.

აგრეთვე აზრია გამოთქმული 1926 წელს გამოცემულ პ. ქიქოძის წიგნში „შემოქმედება თუ თვითმკვლელობა“, რომელშიც ჩვენი ლიტერატურულა სინამდევილე გავებულია ყალბად და ფორმალურად: ავტორი ცდილობს შე-ებრძოლოს სხვადასხვა ფორმალისტურ მიმღინარეობებს, მაგრამ ისეთი შთა-ბეჭდილება რჩება, თითქოს მას არ ესმის, ან უფრო სწორად, ვერ გაუგია ნა-შრომში აღძრული პრობლემების მნიშვნელობა. წიგნში ფორმალისტურად არის ინტერპრეტირებული მხატვრული შემოქმედების ღირებულებების, ფორ-მისა და შინაარსის ურთიერთობის საჭითხი, თუმცა ავტორი ხშირად მოიშვე-ლიებს ხოლმე მარქსიზმის კლასიკოსთა დებულებებს.

საერთოდ, პ. ქიქოძე ხელოვნებას უდგება „პრაქტიკიზმის“ თვალსაზრი-სით. რადგან, მისი აზრით, კლასობრივ საზოგადოებაში არა თუ ხელოვნე-ბის, არამედ თვით მარქსისტული თეორიაც მხოლოდ პრაქტიკიზმით არის შე-მოსაზღვრული. „გამწვავებულ კლასთა ბრძოლის (ბრძოლა კი ღლებდე მწვა-ვეა) პროცესში მარქსიზმი ხშირად მხოლოდ პრაქტიკიზმის იერით იმოსე-ბა“¹³, — წერდა იგი და ლიტერატურასაც და ლიტერატურის თეორიასაც ასეთ ამოცანას უსახავდა. ასე ესმოდა ბრძოლა ახალი ლიტერატურისათვის, ახალ მხატვრულ ღირებულებათა შესაქმნელად. ცნობილია, რომ ხელოვნების „პრაქტიკიზმით“ შემოსაზღვრა პროლეტკულტურა ლიტერატურულ თეო-რიაში ფორმალიზმის შეზავებით იყო გამოწვეული. 20-იანი წლების ქართულ-მა ესთეტიკურმა აზროვნებამ სასტიკად გაიღამერა ხელოვნებასა და ლიტე-რატურაში მძაფრად შემოჭრილი ფორმალიზმის წინააღმდეგ. ამას ადასტუ-რებს ის მრავალი წერილი, რომლებიც გამოქვეყნდა ამ პერიოდის პრესაში და სხვა ცალკეულ გამოცემებში. ამ ბრძოლას რეალისტურ და დეკადენტურ-ფორმალისტურ ლიტერატურულ მიმღინარეობათა შორის მწვავე ხასიათი ჰქონდა.

ა. დუღუჩივა ფორმალიზმისა და სხვა ლიტერატურულ მიმღინარეობათა სიმრავლეს გარდამავალი ხანის არსებობით ხსნის¹⁴. მისი აზრით, ყოველ მხა-ტვრულ მიმართულებას საკუთარი მხატვრული სტილი გააჩნია. წინააღმდევ შემთხვევაში გაუმართლებელია მხატვრულ მიმღინარეობათა არსებობა.

ებრძვის რა ფორმალისტური თეორიის მიმღევრებს, ა. დუღუჩივა ახა-სიათებს ექსპრესიონისტულ ხელოვნებას, როგორც რევოლუციური შუშათა კლასისათვის პრიციპულად მიუღებელს.

ექსპრესიონისტებს, რომელნიც წარმოგვიღენენ მექანიზებულ („გამე-ქანიკებულ“) სიცოცხლეს, ახასიათებთ კონსტრუქტივიზმის იდეა. აქედან მა-თი სტილიც უსიცოცხლო სქემატიზმია. როგორც ა. ვ. ლუნაჩარსკი ამბობდა.

¹² ი 3 ვ.

¹³ „ახალგაზრდა ლენინელი“, მუშათა ინტელიგენცია და ხელოვნება 1924, № 2 (21).

¹⁴ 30.

¹⁴ ა. დუღუჩივა, „ისევ ფორმალისტური პოეტიკის შესახებ“, „მნათობი“, 1925. № 4 (24).

მათს შემოქმედებაში მოცემულია არა ტიპი, უ. ი. ფართო საზოგადოებრივი მოვლენა, მხატვრულად განხორციელებული ინდივიდუალობაში, — არამედ სქემა.

დ. რონდელი თავის ვრცელ გამოკვლევაში — „ფორმალური მეთოდი და მარქსიზმი“ ეკამათება ფორმალისტებს, რომლებმაც მეთოდოლოგიურად მოვლენა, მხატვრულად განხორციელებული ინდივიდუალობაში, — არამედ სქემა.

დ. რონდელი დიალექტიკურ-მატერიალისტური მეთოდის გამოყენებით დაწერილებით არჩევს ფორმალისტი თეორეტიკოსების — უირმუნსკის, იაკობ-სონის, შელოვსკის, პოტებნიას და სხვათა ყალბ თვალსაზრისებს პოტიკის შესახებ და ამასთან დაკავშირებით ამხელს ქართველ ფორმალისტთა შეცდომებსაც. თუმცა ავტორი თვითონაც არაა დაზღვეული აშკარა უზუსტობათაგან ლიტერატურის მთელი რიგი პრობლემების გარჩევის დროს.

ფორმალიზის მეთოდოლოგიური სივიწროვე, დ. რონდელის აზრით, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ლიტერატურისა და მეცნიერების მეთოდის დანიშნულებას საზოგადოებრივი ურთიერთობით გამოვლენილი ყოველგვარი მსოფლმხედველობრივი მოვლენისაგან მიჯნავს. ფორმალიზმს, როგორც მეთოდს (თუ საერთოდ შეიძლება ასე ვუწოდოთ მას), მეტაფიზიკური სარჩული უდევს და თავისი არსით ჩაქციულია. ეს მაშინ, როდესაც თვით ფორმალიზმის მეთოდოლოგიური ძიება, შეიძლება შეუგნებლადაც, ე. წ. ფორმალისტურ მსოფლმხედველობას ავითარებს, რომელიც მიმავალი კლასის, ბურჟუაზიის რეაქციული აზროვნების და მისწრაფების ეკვივალენტია¹⁵.

ამრიგად, ფორმალური მეთოდი არ გამოდგება არც „თეორეტიული პოეტიკის“ ამოცანების გარჩევის დროს და არც მხატვრული ეკოლუციის ასახსნელად.

მაგრამ თავის წერილში დ. რონდელი დასჭერდა მხოლოდ ფორმალისტური მეთოდების მიმბილვას და პასუხი ვერ გასცა ძირითად კითხვებზე, რაც ნაშრომშია დასმული, სახელდობრი: ჩა იწვევს ლიტერატურულ ცვლილებებს. რაც ძირეულად დაკავშირებულია სოციალურ-კულტურულ ცვლილებაზე, ეკონომიკურ ფაქტორებსა და საწარმოო ძალთა განვითარების დონეზე.

ვასტანგ კოტეტიშვილი თავის „ქართული სიტყვიერების ისტორიაში“ უშვებს ფორმისა და შინაარსის გათიშულობის შესაძლებლობას და გამოთქვამს მოსაზრებას — ხელოვნებაში „შინაარსი ფორმას ექცესო“¹⁷. აქედან ხელოვნებაში სილამაზე და მხატვრულობა ინტერესის გარეშე დგას (1). დასამტკიცებლად მოპყავს კანტის სიტყვები: ლამაზია ის, რაც აუცილებლად ყველას მოსწონს თავისი წმინდა ფორმით. ვ. კოტეტიშვილი დასძენს, რომ „ეს არის სილამაზის თუ ესთეტიურის ერთად-ერთი პოზიცია“. მიუხედავად ამისა, ავტორს გადაწყვეტილად მიაჩნია საკითხი, თუ რომელი ნაწარმოები უნდა იქნეს მიჩნეული მხატვრულად... ვ. კოტეტიშვილის მიხედვით, შესაძლებელია უშინაარსო ფორმის წარმოდგენა. მისთვის მხოლოდ ფორმა არის „თვითმიზანი“ და სხვა მიზანი შემოქმედებას არა აქვს, ასეთი პრინციპის და-

¹⁵ დ. რონდელი, „ფორმალური მეთოდი და მარქსიზმი“, „მნათობი“, 1925 წ., № 4 (24)

¹⁶ იქვე, გვ. 189.

¹⁷ იქვე, გვ. 184.

სახვა მეცნიერული კვლევისათვის შეუწყნარებელი და მეტისმეტად სახიფათოა. ეს არის ფსევდოჭლასიკური შეხედულების აღდგენა (ბუალო, გოტ-ჟედი).

ვ. კოტეტიშვილის მიერ შერჩეული მეთოდი, განიხილოს ნაწარმოები „სრულიად და მოუკიდებლად, როგორც ერთადერთი მხატვრული მოვლენა“, შეუძლებელია და მეთოდოლოგიურად დაუშვებელი. ამიტომაა, რომ ავტორს მხედველობიდან ჩეხება შემოქმედების სოციალური მხარე და სუბიექტივიზმით არის შებოჭილი.

„ევოლუციონური ესთეტიკა“, რომელსაც თავის შრომაში ეხება ვ. კოტეტიშვილი, არ შეესაბამება მარქსისტულ ესთეტიკას. მართალია, ესთეტიკურმა კრიტიკამ დარგინისტული მოძღვრების დიდი გავლენა განიცადა და ამ ნიადაგზე ევოლუციური ესთეტიკა შეიქმნა (ბრიუნეტიერი და სხვ.), მაგრამ ამ თეორიას ვერ გამოვიყენებოთ რეალისტური ხელოვნების საჩომად. არც ის დებულება მართალი, თითქოს ესთეტიკოსებისათვის სილამაზე, სიკეთე, ჭეშმარიტება (ტრიადა) მხოლოდ სუბიექტური ცნება იყოს; პირიქით, მათთვის უფრო ობიექტურიზმია დამახასიათებელი, რადგან საერთოდ იდეალისტური მისტიკიზმი ობიექტური თვალსაზრისიდან უფრო ვითარდება. საკმაოა მოვიკონოთ პლატონის, შელინგის, ჭეგელის შეხედულება ამ ტრიადის შესახებ. პლატონის თქმით, სილამაზის იდეა მარადიული და აბსტრაქტულია; კერძო მოვლენები კი წარმავალია... სილამაზის იდეა განყენებულად არსებობს, მას არავითარი დროული თვისებები არ მიეწერება: იდამიანის თვალშინი იშლება უშრეტი ზღვა სილამაზისა; ეს სილამაზე ობიექტური სილამაზის იდეის მკრთალი ანაზეკლია. შემდგომში პლატონის შეხედულება გაიზიარეს შელინგმა, ჭეგელმა, შოპენპაუერმა, მილერმა და მრავალმა სხვამ. მაგალითად, ჭეგელი, ისე როგორც შოპენპაუერი, ფიქრობს, რომ მხატვრული შემოქმედება არის იდეის ნათელყოფა ფორმის საშუალებით; ხელოვნებაც ობიექტური იდეის სორცებს ხმაა. ჭეგელისათვის ესთეტიკური თეზისი — ბუნების სილამაზეა, ე. ი. სილამაზე აღებული ობიექტური სუბიექტური სილამაზე მხოლოდ მისი ანტითეზისია.

არ შეიძლება იმის მტკიცება (როგორც ამას ვ. კოტეტიშვილთან აქვთ ადგილი), თათქოს ყოველ ესთეტიკოსს სწამდა ცნობილი ტრიადის (სილამაზის, სიკეთის, ჭეშმარიტების) განუყოფელობა. მაგალითად, ვინკელმანი — „ეს ცნობილი ელინისტი სილამაზეს მხოლოდ გარეგნობ პლატიკურ სიმშვენიერებში ხედავდა და მას ზენობრივ სიკეთეს არ უკავშირდება“¹⁸.

ფორმალისტების საწინააღმდეგოდაა მიმართული ი. გელევანიშვილის წერილი „საუბარი ხელოვნებაზე“, რომელშიც დასმულია ხელოვნებაში ფორმის ძიების საკითხი. „შეიძლება ითქვას, — წერს ი. გელევანიშვილი, — რომ თანამედროვე ლიტერატურა და საზოგადოდ ხელოვნება მთელი თავისი მისწრაფებით, ყოველი თავისი ცდებით წარმოადგენს ფორმის ძიებას“¹⁹. მისი აზრით, თანამედროვე რევოლუციურ-პროლეტარულ ხელოვნებას უსაუკიდ მასიური ხასიათი უნდა ჰქონდეს. იგი მისაწვდომი და გასაგები უნდა იყოს მასიათვის. და ამ საქმეში მხატვრული წაწარმოების ფორმას დიდი მნიშვნელობა აქვს.

¹⁸ გური. „ხელოვნების დროშა“, 1924, № 2.

¹⁹ იქვე, 83. 6.

ეგრეთწოდებული „თავისუფალი ხელოვნების“ აპოლოგეტად 20-იან წლებში გვევლინება კრიტიკოსი ს. ღევდარიანი. მისი აზრით, ხელოვნება, მართალია, არა თავისუფალი საზოგადოებრივი ურთიერთობის გავლენიდან, მაგრამ ხელოვნებას თავისი კანონები აქვს. „ხელოვნურად ვერ შევქმნით ხელოვნებას. ძალა-უფლების ჩამოგდება, მის ხელში ადება შესაძლებელია და, მაიც მუშა-გლეხი უნდა იქნეს პოეტი, მხატვარი, ეს შეუძლებელია“²⁰.

ბევრს ეგონებოდა და ეგონა კიდეც, რომ ოქტომბრის გადატრიალებას შაშინვე თან მოჰყვებოდა გადატრიალება ხელოვნებაში. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ხელოვნების ქმნილება არ შეიძლება შეიქმნას „სააგიტაციო მიზნით, პარტიის პოლიტიკის გამოსახატავად“. ასეთი ლექსი, ან მხატვრული ტილო შოკლებული იქნება ხელოვნების მაღალ თვისებას. ჭეშმარიტი მხატვარი ბუნებრივად ქმნის ესთეტიურ ღირებულებას. ამიტომ მარქსი ბევრ რამე-ში არ დაეთანხმებოდა ახლანდელ მარქსისტებს, რომლებიც „ხელოვნების საკითხებს უყურებენ ძალაუფლების სამრეკლოდან“²¹.

ს. ღევდარიანის წერილში წამოჭრილია, აგრეთვე, ესთეტიკური თეორიის ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც არა თუ ოციან წლებში, არა-შედ ჩვენს სინამდვილეშიც დავის საგნადაა გამხდარი და აზრთა სხვადასხვაობას ბადებს. ესაა მარადიულობის პრობლემა ხელოვნებაში. „არის ხელოვნება-ში ისეთი ღირებულება, — წერს ს. ღევდარიანი, — რასაც აქვს მნიშვნელობა ხანგრძლივი, მუდმივი, საკაცობრიო“²². ავტორი მართებულად ამბობს, რომ საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები, პოლიტიკური გადატრიალებანი და სხვ. არ იწვევს იმის შეცვლას, რაც ხელოვნებაში მარადიულია: „მისწრავება შეძეცნებისაკენ“ („ფაუსტი“) და მშვენიერებისაკენ („ვეფხისტყაოსანი“). მაგრამ ავტორი, ამ წერილის მიხედვითაც, ფსიქოლოგიზმის თვალსაზრისხე დგას, რაც აგრერივად უშლის ხელს საკითხის სწორად დაყენებასა და მართებულად გადაჭრაში (მაგალითად, ს. ღევდარიანის მარადიულად ხელოვნებაში მიაჩნია უშიშროება, თავგანწირვა, მერყეობა, გაუბედაობა და სხვა მისთანები). „დონ-კიხოტისთანა გამბედავი ან ჰამლეტისთანა გაუბედავი შეიძლება იყოს დღეს, ან რამდენიმე საუკუნის შემდგე, ბურუუაც და პროლეტარიც, თავაღიც და გლეხიც“. ჩა თქმა უნდა, ასეთი არგუმენტაციით შეიძლება განისაზღვროს ხელოვნების მარადიულობის ბუნება, მაგრამ, ჩვენი აზრით, ს. ღევდარიანის შთელი თეორიული შეცდომები, რომლებსაც იგი პრაქტიკულად თავის სტატიებში გამოხატავდა, მდგომარეობდა მის მცდარ პოლიტიკურ თვალსაზრისში, რომელიც მან ერთი წინადადებით გამოხატა: „ხელოვნებას არ არგია პოლიტიკური ფეხის ხშირი აყოლა“.

ჩვენს მიერ აღებულ საკვლევ პერიოდში უურადღებას იმსახურებს ხანგრძლივი პოლემიკა ლიტერატურის ოეორიის მტკიცნეულ საკითხებზე: ფორმისა და შინაარსის ურთიერთობაზე, ხელოვნების კლასიზმის ბუნებაზე, ხელოვნებაში იდეოლოგიურ შეხედულებათა გამოვლენის ფორმებზე და სხვა. ამ შხრივ ლიტერატურის თეორიისათვის საქართველოში არც კონსტანტინე კაპანელის ე. წ. „ორგანოტრიკპიზმის სისტემას“ მოუცია რაიმე ახალი. მის-თვის „ქართული ლიტერატურა ქართული კულტურის რეფლექსოლოგიაა“; ორგანოტრიკპიზმი სოციოლოგიის საფუძველი „მდგომარეობასა და იდეო-

²⁰ იქ ვ. გვ. 11.

²¹ ს. ღევდარიანი, „მარქსიზმი და ხელოვნება“, „მნათობი“, 1925, № 1.

²² იქ ვ. გვ. 20.

ლოგიას შორის შემოქმედებითი ურთიერთობაა“. მწერალი ფაქტიურად მსხვერპლია თავისი ტემპერამენტისა და შემოქმედებითი ფანტაზიის, რადგანაც ამ მსხვერპლს „თხოულობს ის ურთიერთობა იდეოლოგიისა და მდგრმარეობის, რომელშიაც ცხვრობს იგი“. მიტომ თვით ესთეტიკა კ. კაბანელისათვის, მთელი თავისი შინაარსით წყობისა და აგებულების მეცნიერებაა. მისთვის ყოველი სრულყოფილი მოვლენა — ესთეტიურია. „ყაჩალი, რომელიც განასახიერებს ყაჩალობის ყველა თვისებას და ყაჩალური სულის ზრახვებს, ისეთივე ესთეტიკური ფენომენია, როგორც სიქსტის მაღონა ან ვენერა მილოსელი“. აქედან, ავტორის მეთოდოლოგიური მსოფლმხედველობის მთავარი პრინციპი — ბიოლოგიზმის და სოციოლოგიურ მოძღვრებათა სინთეტური ფორმაა. უფრო მეტიც, თურმე ორგანოტროპიული სოციოლოგია მარქსიზმთან ერთად ვითარდება და ერთად ირკვევენ იდეოლოგიისა და ხელოვნების ფორმებს. თურმე არ არის მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებში არსად ისეთი ადგილი, რომელიც „... ორგანოტროპიულ ურთიერთობას არ იღებდეს მთლად“²³.

თავიანთი ესთეტიკური პოზიცია არც 20-იან წლებში შექმნილ ე. შ. აკადემიურ ასოციაციას მოუცია და თუმცა ასოციაციის წევრები სიტყვიერად რეალიზმის პრინციპების ერთგულნი რჩებოდნენ, თავიანთ შემოქმედებაში პოლიტიკური მრწველის თვალსაზრისით თავისებურ წინააღმდეგობას ამჟღავნებდნენ.

ახალი შემოქმედებითი მეთოდის დამკვიდრების აუცილებლობა

აღნიშნულ პერიოდში ყოველი ლიტერატურული დაჯგუფება ეძებდა თავის შესატყვის შემოქმედებითს მეთოდს, რაც თავისთავად იწვევდა სხვადასხვა ესთეტიკური პრინციპების სიჭარებს, რომელთაც ასე უხვად აყენებდნენ თავიანთ პრაქტიკულ შემოქმედებაში მწერლები და ხელოვნების დარგის მუშაკები. ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია პირველი რიგის ამოცანად იდგა ერთიანი იდეურ-მხატვრული პრინციპის, ერთიანი მეთოდის შემუშავება და პარტიამ თავისი პოლიტიკა სწორედ ამ გზით წარმართა. პარტიულ დოკუმენტებში ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე განსაკუთრებულად არის მიუთებული ჭეშმარიტი მხატვრული შემოქმედებითი მეთოდის განმტკიცების აუცილებლობაზე.

პარტიის სამხატვრო-სალიტერატურო პოლიტიკის სულისკვეთების გატარებას ცდილობდნენ თავიანთ თეორიულ შეხედულებებში პროლეტარული მწერლობის პირველი თაობის წარმომადგენლები. მათი თეორიული შერილები გამსჭვალული იყო რეალიზმის დაცვის პრინციპით და ეს უკანასკნელი იყო სწორედ მიჩნეული ერთადერთი ჭეშმარიტ შემოქმედებით მეთოდად. რევოლუციური რომანტიზმის შემდგომ გაღმრავებასა და განვითარებას, პროლეტარული ლიტერატურის შექმნის აუცილებელ პირობას ამ მეთოდის განმტკიცებაში ხედავდნენ. მაგრამ, მიუხედავად სწორი გეზის არჩევისა, თავიანთ მოღვაწეობაში ზოგიერთი კონკრეტული პრობლემის გაშუქებისას ხშირ შემთხვევაში არასწორ ესთეტიკურ თვალსაზრისს ავითარებდნენ.

²³ კ. კანელი, ქართული სული ესთეტიკურ სახეებში, წიგნი პირველი ტფილი, 1926 წ., გვ. 23.

შაგალითისათვის ავიღოთ მარადიულობის პრობლემა ხელოვნებაში, რაც ესთეტიკასა და ხელოვნების თეორიაში მეტად მტკიცნეულ და გადაუჭრელ საკითხად ითვლებოდა. ამ მხრივ ჩვენთვის საინტერესო მოსაზრებას ვხვდებით ა. დუდუჩავას წერილში „მარქსიზმი და ხელოვნება“, სადაც იგი ეკამათება ს. დევდარიანის ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას მარადიულობის პრობლემის „შესახებ ხელოვნებაში. ა. დუდუჩავა წერს, რომ ს. დევდარიანმა „აღმოაჩინა“ ხელოვნებაში „ისეთი ღირებულება, რომელიც არ ემორჩილება განსაზღვრულ საზღვადოებრივ ურთიერთობის წარმავლობას“²⁴. ა. დუდუჩავას აზრით, ს. დევდარიანს პასუხი უნდა გაეცა ამ „ღირებულების“ ადგილზე ხელოვნებაში. სად არის ეს ღირებულება: ფორმისა თუ იდეაში? ხელოვნების ყოველ დარგს გააჩნია მარადიული ღირებულება და ბოლოს, რაში მდგომარეობს საზომი მარადიული ღირებულების ახსნისა?! ასეთი საზომი, ს. დევდარიანმა დროისა და სივრცის გარემონფად გამოაცხადა და ამით, ძალაუნებურად, ზემპირიული ქვეყანა აღიარა. ემპირეა დროულ ვრცელებული კანონზომიერების ხასიათდება, ხოლო ამ კანონების უარყოფით ემპირეაც ისპობა და მის ნაცვლად იქნება ტრანსცენდენტული ქვეყანა, სადაც სუბიექტის პრიმატი თავის უაღრესობას აღწევს. ეს კი, მეტი რომ არა ვთქვათ, იდეალიზმის აშკარა გამოვლენაა, არა მარტო ესთეტიკურ თეორიაში, არამედ საერთოდ გნოსეოლოგიაში. „ლოლიკურად და არსებითადაც — შენიშნავს ა. დუდუჩავა, — დრო და სივრცის კანონების უარყოფა მოვლენათა შემეცნებაში ნიშნავს ულტრა-იდეალისტურ თვალსაზრისში დგომას“²⁵.

მარტი იმის აღიარება, რომ ხელოვნება „იდეოლოგიის ერთ-ერთი დარგია“, არ ქმარა იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ დამულ კითხვაზე „მარადიულობის“ არსის გარკვევისას. ამ შემთხვევაში საჭიროა, ჯერ გაირკვეს, რა არის ხელოვნება საზოგადოდ, რა მნიშვნელობა აქვს მას? მაგრამ, სამუშაორიდ, ამ ძირითად კითხვაზე არა მარტო დევდარიანი, არამედ მასთან პოლემიკაში ა. დუდუჩავაც არ იძლევა პასუხს აღნიშნულ წერილში.

ა. დუდუჩავა ეხება ფორმისა და შინაარსის საკითხს ხელოვნებაში და ავითარებს არისტოტელიდან მომდინარე ზოგად დებულებას ფორმისა და შინაარსის ორგანული მთლიანობის შესახებ, სადაც პირველის განვითარება ლოგიკურად იწვევს მეორის განვითარებასაც. ხელოვნების ფორმა არის სტილი. მაგრამ ეს უკანასკნელი არ არის მუდმივი და „საუკუნეების გამძლე“ მნიშვნელობისა. ეს რომ ასე იყოს, შეუძლებელი იქნებოდა, ახსნილიყო სტილის ისტორია. „ბაროკო, როკოკო, გოტიკა“ რა არის თუ არა სტილის ე. ი. ხელოვნების ფორმის ისტორია“. ანდა ავიღოთ თანამედროვე მიმდინარეობანი: ფუტურიზმი, ექსპრესიონიზმი, სიმბოლიზმი... რას წარმოადგენენ ისინი ფორმის შერით? თუ ფორმა ხელოვნებაში „საუკუნეებით გამძლე“ მნიშვნელობისაა, შაშინ ექსპერისონისტული შემოქმედება ფორმის მხრივ უნდა თავსდებოდეს, ვთქვათ, იმპრესიონიზმში, გირდ ფუტურიზმში, სიმბოლიზმში და სხვ., მაგრამ თუ ფორმა მრავალგვარია, მაშინ ის მუდმივიც არ ყოფილა (1), ვინაიდან მრავალგვარობა განვითარების ნაყოფია.

ა. დუდუჩავა იღებს ისეთ მაგალითებს ფუტურისტული და ექსპრესიონისტული შემოქმედებიდან, რომელთა თემა ერთი და იგივეა — ქალაქი. მაგ-

²⁴ ა. დუდუჩავა, „მარქსიზმი და ხელოვნება“, „მნათობი“, 1924, № 7-8.

²⁵ იქვე.

რამ, აღარებს რა მათ მიერ აღებული თემის (შინაარსის) გამოსახვის უნარს, ერთი და იგივე ემპირიული ფაქტის სხვადასხვაგვარ განცდას, ამჟღავნებს ფორმისეულ სხვაობას, სწორედ ფორმის ისტორიული ხასიათის გამო.

ფორმა არ არის მარადიული!

მაგრამ აქ გასარკვევი ხდება, რა კავშირია ფორმასა და იდეას შორის? და რომელი მათგანი ინარჩუნებს მარადიულობის „უფლებას“.

ფორმა არ არის მარადიული!

მაგრამ რა არის ფორმაში ისეთი, რომელიც მარადიულობის სურნელითაა გაუღენილი! ესაა იდეას ესთეტიკურ ფორმებში გადმოცემა, რომელზე-დაც ვერცერთმა ჩვენმა ავტორმა ცერ შესძლო პასუხის გაცემა.

ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართების რეალური არსი ქართული საბჭოთა ლიტერატურის სინამდვილეში ყველაზე აღრე და ყველაზე მკაფიოდ გამოხატა ჩვენი ეპოქის უდიდესმა პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ. იდგა რა სწორ ესთეტიკურ თვალსაზრისშე, გ. ტაბიძე მოელი ასებით გრძნობდა ახალი ყოფის მაჯისცემას. იგი ქართული ხელოვნების მუშავებს მოუწოდებდა, რათა ჩამდგრადიყვენენ ახალი ხელოვნების შემქმნელთა რიგებში და ახალი ფორმებითა და სახეებით გადმოეცათ ახალი ყოფის გრანდიოზულობა. „მოვიდა ახალი ცხოვრება, ახალ ცხოვრებას ს ჭირდება ახალი ფორმებს კი ახალი სიტყვა“²⁶, რაც მთავარია, ამ ახალ ფორმებში“ გალაკტიონი სრულიადაც ^{*} არ გულისხმობდა ფორმალისტურ ძიებებს ხელოვნებში.

20-იანი წლების ქართულ ესთეტიკურ აზროვნებაში, სრულიად თავისებური კონცეფცია წამოაყენეს ქართველმა სიმბოლისტებმა. ეს ახალი, ანტირეალისტური მიმართულება უკიდურესი ინდივიდუალიზმის, მისტიციზმის, დაკადებტურ განწყობილებათა და სიმახინჯის ესთეტიკას წარმოადგენდა. ქართველ სიმბოლისტთა მიერ აღიარებული სამოქმედო პროგრამა ქან მორეასის სიმბოლიზმის მანიფესტის (1886 წ.) ნაგვიანები გამოძახილია.

სიმბოლისტების მიერ აღიარებული „მეთოდი“, უპირველეს ყოვლისა, შათს შემოქმედებითს პრაქტიკაში მეღავნდებოდა. როგორც ცნობილია, სიმბოლისტებმა ზურგი შეაქციეს რეალურ სინამდვილეს და მისტიური ხილვებით იყვნენ გართულნი. მაგალითად, ქართველი სიმბოლისტი პოეტის ვალერიას გაზრინდაშვილის ამ პერიოდის მხატვრული აზროვნებისათვის, პირველ ყოვლისა, ნიშანდობლივია ის, რომ იგი მხატვრული წარმოსახვის ობიექტია რეალურ სინამდვილეს კი არ იღებს, არამედ თავის შინაარ სულიერ სფეროზე. ცექმნილ ხელოვნურ სამყაროს. პოეტი ირეალურ სინამდვილეს ნამდვილ რეალობად წარმოადგენს და თვითონ პროცესს ამ მისტიფიკისას „რეალურიდან უფრო რეალურისაკენ სწრაფვას უწოდებს“²⁷.

სიმბოლისტების აზრით, ხელოვნება მასების კუთვნილება კი არ არის, არამედ ის რჩეულთ ხვედრია. ლირიკის „ზედმიწევნითი არისტოკრატიულობა“ მაუწყებელი იყო ხელოვნების კარჩაკეტილობისა, მისი მიუწვდომლობისა, ლირიკით „ნებივრობენ ბელნიები“ და თვით „კულტურა კონუ-

²⁶ „პოეზის დღე“, 1922, II.

²⁷ „ქართული საბჭოთა პოეზის საკითხები“ (სტატიების კრებული), თბილისი, 1964 წ., გვ. 28.

სით შენდება მეტი მაღალი, მეტი ვიწრო და მწვერვალებზე დგომა შეუძლია მარტო ერთეულებს“²⁸.

ალბათ, ეს „„ბედნიერი ლანდები“ ჰქონდა მხედველობაში ჩვენს სასიქა-ლულო მწერალს კომსტანტინე გამსახურდის, როდესაც უურნალ „ილიონის“ ფურცლებზე წერდა: „მილიონებმა რომ ბუნებაში და ხელოვნებაში დაცული საადუმლობანი გაიგონ, ქვეყანა საგიუთად გადაიქცეოდა“²⁹. ამ ასპექტში ერთმანეთს ავსებდნენ აკადემიური ჯგუფი და ცისფერყანწელები.

ქართული ესთეტიკური აზროვნების წინაშე იდგა ფრიად საპასუხისმგებ-ლო ამოცანა — მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან შეეფასებინა ქართველ კლასიკოსთა მდიდარი მემკვიდრეობა, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ მშობლიურ ხალხს დაუბრუნა. ამას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ნაციონალური კულტურის შემდგომი განვითარების საქმეში.

მართლაც, ახალი თაობის ესთეტიკოსები და ლიტერატორები გადაჭრით იდგნენ ახალი სოციალისტური კულტურის სადარაჭოზე, თანმიმდევრულად იბრძოდნენ კლასიკური მემკვიდრეობის მიმართ ყოველგვარი ანტირეალისტური გამოხდომების წინააღმდეგ და ექვეთებდნენ კლასიკოსთა საუკეთესო ნაწარ-მოებების პროპაგანდას. ისინი საბჭოთა პრესის ფურცლებზე და ცალკეულ გამოცემებში სისტემატურად იქვეყნებდნენ წერილებს კლასიკურ მემკვიდრეობაზე, რეალიზმის პრობლემებზე და აქტიურად ილაშქრებდნენ სხვადასხვა რეაქციულ თეორიათა წინააღმდეგ. ყოველგვარ ანტიმარქსისტულ პოზიციას უპირისპირებდნენ ლიტერატურის პარტიულობის პრინციპით გამსჭვალულ თავიანთ თვალსაზრისს.

როგორც აღვნიშნეთ, 20-იანი წლების ქართულ ესთეტიკურ აზროვნებაში ერთ-ერთი დიდი საპოლემიკო საგანი ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის გარკვევა იყო.

მთელ რიგ ნაშრომებში ეს საკითხი მართებულად იყო გადაჭრილი და აკტორთა უმრავლესობას სწორად ესმოდა პარტიულობის პრობლემის მნიშვნელობა. მაგალითად, უურნალი „ხელოვნების ღროშა“ თავის მოწინავე სტატიაში, წერდა რა უურნალის ამოცანების შესახებ, განსაკუთრებით უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ ხელოვნება ახალ საზოგადოებრივ წყობილებაში ყოფილიყო უაღრესად მასობრივი და ხალხური: „ჩვენ არ გვწამს და ვერ ვიწამებთ ხელოვნებას ხელოვნებისათვის... ჩვენ არ გვწამს და ვერც ვიწამებთ „ხელოვნებას ზექლასიურს“. უურნალი მთელი ხმით აკხადებდა: „ჩვენ ვცხოვ-რობთ პროლეტარული დიქტატურის ხანაში. პროლეტარიატს, როგორც კლასს. ხელოვნება დღეს სახელმწიფო ობიექტის მმართველობის საჭე. ის სჭედს ახალ ცხოვრებას ძველის ნანგრევებზე.“

ხელოვნებაც, როგორც ერთი საუკეთესო იარაღთაგანი ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების შესაქმნელად პროლეტარიატს ესაჭიროება.

ჩვენი ვალია ამ იარაღის ხმარება მოხდენილად“³⁰.

ამ საინტერესო საკითხის გადაჭრას ცდილობს ს. ამაღლობელი უურნალ „მნათობში“ გამოკვეყნებული წერილით „კლასობრივი, ეროვნული და საკაცობრიო მოტივები კულტურაში“³¹. წერილში მართებულადაა აღნიშნული, რომ

²⁸ „მეოცნებე ნიამორები“, 1923, № 9.

²⁹ „ილიონი“, 1922, № 2.

³⁰ „ხელოვნების ღროშა“, 1924, № 2.

³¹ „მნათობი“, 1925, № 16.

კლასობრივი, ეროვნული და საკაცობრიო მოტივების გარკვევა ხელოვნებაში უაღრესად პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, რომ კულტურის საკითხები განსაკუთრებული სიძლიერით ისმის რევოლუციის პროცესში, როდესაც იშლება მთელი სასიცოცხლო ძალები და იმართება გიგანტური შეტაკებანი ძველსა და ახალ საზოგადოებას შორის. მაშინ, როდესაც ბურუჟაზია ამტკიცებს საკუთარი კულტურის ზექლასიურობას და ჩქმალავს ხელოვნების კლასობრივ ხსიათს, ამით ხელოვნებას თავისი იდეური ბრძოლის იარაღად ხდის. „კლასობრივი ფსიქოლოგია განსაზღვრულ ესთეტიკურ კრიტერიას“³². ეს მომენტი ხელოვნების კლასობრიობისა განსაკუთრებით მულავნდება მშვენიერების კატეგორიის გარკვევის დროს.

ავტორის აზრით, მშვენიერება კლასობრივია, მაგრამ მას აუხსელი დარჩა ესთეტიკურ კატეგორიათა (ამ შემთხვევაში მშვენიერების კატეგორიის) ის ზოგადი ბუნება, რომელიც საერთოს ხდის მშვენიერებას ყოველი კლასისათვის. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან „კლასობრივ ფსიქოლოგიაზე“ დაყრდნობილი ესთეტიკური მსოფლმხედველობა უძლურია, ასენას „შემოქმედებითი ფსიქოლოგიის“ ძირეული მომენტი და მარტო იმის აღიარება, რომ „კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში კლასობრივი კულტურაა“, ვერ განაზოგადებდა ემსირიული მასალის ფილოსოფიურ არს.

უკამათება რა ს. დევდარიანს, ამ საკითხზე ვერც ა. ლუდურიავა იძლევა მართებულ პასუხს.

ა. ლუდურიავა მართალია, როდესაც ერთმანეთისაგან განასხვავებს ხელოვნებას და პუბლიცისტიკას. ხელოვნების ქმნილებას მაშინ აქვს დიდი ღირებულება, როდესაც ნაწარმოები იწვევს ესთეტიკურ სიამოვნებას და მხატვრულად გამართლებულია და რასაც არავითარი კავშირი არა აქვს მშრალ. ფსიცოცხლო პუბლიცისტიკასთან. ვერც მარტო იდეოლოგია ქმნის ხელოვნებას. „წმ და უწმუნ ყოვლად უშნოთ პროლეტარიატის სახელის ძახილი, გამორილი ფრაზები ორი ქვეყნის ბრძოლაზე როდი ჰქმნის რევოლუციონურ ხელოვნებას... რევოლუციონურ ხელოვნებისათვის საჭიროა... ესთეტიკურად გამოკვეთილი ფორმები... მხატვრული განცდა“³³, მაგრამ ჩვენთვის გაუგებარა ხდება, „იდეოლოგიურად აბსოლუტურად მიუღებელი“ ნაწარმოები რატომ არის ესთეტიკურად მისაღები და მოწონებული.

უარყოფს რა „მარადი მომენტების“ არსებობას ხელოვნებაში, ა. ლუდურიავა უშვებს ერთი მარადიული მომენტის არსებობას — მშვენიერების არსებობას. „ხელოვნებაში ერთი რამ მართლაც რომ უცვლელი და მარადია: ეს არის ზოგადი იდეა — მისწრაფება მშვენიერებისაკენ“³⁴. მაგრამ ეს, „მშვენიერება“ იმდენად ზოგადია, რომ მას ერთნაირ მნიშვნელობას ანიჭებს ყოველი მხატვრული ნაწარმოებისათვის. „იყვეს რევოლუციონური თუ რეაქციონური მხატვრული ნაწარმოები აუცილებლად იტევს მოვლენათა მშვენიერებაში განცდას“³⁵. განა შეიძლება რეაქციონური მხატვრული ნაწარმოების გამართლება იმით, რომ მასში, „მშვენიერება არის, ის რაც ჰქმნის ნაწარმოებს მხა-

³² იქ 3 გ, გვ. 2.

³³ იქ 3 გ, გვ. 245.

³⁴ იქ 3 გ, გვ. 248.

³⁵ იქ 3 გ.

ტვრულ ნაწარმოებად“³⁶. ჩვენთვის ახლა გაუგებარია, როგორ შეათავსა ავტორმა იდეის მშვენიერება და ნაწარმოების რეაქციონური ბუნება, ან, პირი-ქით — ფორმის მშვენიერება და იდეის რეაქციონურობა(!!).

ცნობილია, რევოლუციამ ვერ შესძლო და არც შეეძლო მოესწრო ყოველივეს ერთი ხელის მოსმით მოგვარება. უმთავრესი, რითაც ხასიათდებოდა აღნიშნული ეპოქა, იყო უკიდურესი ანტაგონიზმი საზოგადოებრივი ცხოვრების ძველსა და ახალ ფორმებს შორის. ეს მომენტი თავისებურ გავლენას ახდენდა ესთეტიკურ აზროვნებაზე და უშუალოდ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე.

ხელოვნების პარტიულობის პრინციპს შარქსისტულ-ლენინურ თეორიაში ღრმად აქვს ფესვები გადგმული, რაც უშუალოდ დაკავშირებულია კკონდიურად და პოლიტიკურად გაბატონებული და დამორჩილებული კლასების ინტერესთა დაპირისპირებასა და შეჯახებასთან. როდესაც ხელოვნება თავისუფლდება მწარმოებლური შრომისადმი უშუალო დამოკიდებულებისაგან, აქედან იღებს სათავეს მარქსიზმის ცნობილი დებულება კლასობრივ საზოგადოებაში ხელოვნების კლასობრიობის შესახებ, რომ ხელოვნებაც, როგორც იდეოლოგიის ერთი დარგი, კლასთა ბრძოლის იარაღია. სწორედ ამ მარქსისტულ თვალსაზრისშეა დაფუძნებული ლენინური მოძღვრება ხელოვნების პარტიულობის შესახებ, რადგან კლასთა ბრძოლის შემდგომი, უფრო განვითარებული საფეხური საზოგადოებაში პარტიათა ბრძოლაში აისახება.

ხელოვნების პარტიულობის პრინციპი დაედო საფუძვლად შექმდგომში ქართული ესთეტიკური აზროვნების განვითარებას და 20-იანი წლების ქართულმა საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობამ სამართლიანად მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება.

1. როდესაც ვეცნობით 20-იანი წლების ესთეტიკური აზროვნების ისტორიას, რომელიც საფუძვლად დაედო მთელი შემდგომი ძერიოდის საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას, გაოცებას იწვევს თეორიული ძიების სითაროვე და დაძაბულობა. ესთეტიკური ძიებანი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებული იყო ახალი ამოცანების მრავალმხრივ შეცნობასთან, რომელიც ხელოვნების წინაშე დააყენა შეოფლიობი პირველმა სოციალისტურმა რევოლუციამ, გამარჯვებულმა პროლეტარიატმა.

ჩვენთვის ახლა ცხადია, რომ ესთეტიკურ ძიებათა ასეთი პერიოდის გავლის გარეშე თითქმის შეუძლებელი იქნებოდა შექმნილიყო ახალი საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება, რევოლუციური პათოსით აღჭურვილი ახალი მეთოდი — სოციალისტური რეალიზმი.

2. მართალია, ახალი საბჭოური ლიტერატურათმცოდნეობა ამ წლებში ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ განვითარებული, მაგრამ ახალგაზრდა რევოლუციური კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა ძალებს იქრებდა და მტკიცდებოდა ბურჟუაზიულ იდეოლოგიასა და სხვადასხვა რეაქციულ მიმდინარეობებთან ბრძოლებში, ყველაზე სერიოზულ დაბრკოლებად საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების გზაზე შეიძლება ჩავთვალოთ ლიტერატურათმცოდნეთა და კრიტიკოსთა თეორიული მომზადების უკმარისობა, რომელებსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მთელი სერიოზულობით ათვისებულ შარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ფუძემდებლური პრინციპები.

3. ახალმა ესთეტიკურმა აზროვნებამ თავისი მოწინავე მარქსისტულ-ლენინური იდეალებით უდიდესი დახმარება გაუწია მხატვრული კულტურის მუმაკებს რევოლუციური ხელოვნების განვითარების საქმეში.

სწორედ მთელი 20-იანი წლების მანძილზე, იდეური ჭიდილისა და ხან-გრძლივი „ბრძოლის“ პირობებში მოხდა ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების იდეურ-ესთეტიკური გაერთიანება, სოციალისტური რეალიზმის, როგორც თვისობრივად ახალი შემოქმედებითი მეთოდის, აღიარება და განმტკიცება.

4. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ქმედით ღონისძიებათა შედეგად 20-იანი წლების დასასრულისა და 30-იანი წლების დასაწყისში მიღებული იქნა ახალი, 1932 წლის 23 აპრილის დადგენილება — „სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქშინის შესახებ“. აღნიშნულმა დადგენილებამ საბოლოოდ განსაზღვრა, რომ ეპოქის შესაფერი რევოლუციური შემოქმედებითი მეთოდი, როგორც სოციალისტური ხელოვნების ერთადერთი შემოქმედებითი მეთოდი, არის სოციალისტური რეალიზმი — გრანდიოზული პერსპექტივებისა და შთაგონების უმრეტი წყარო.

გრივარ ვარუაშვილი

მხატვარი ვარუაშვილი და შინაგანი ხილვა ქართურ კავშირისაში

(ჭარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის
ქართული ლატერატურის ისტორიის ინსტიტუტის)

ის სინამდვილე, რომელშიც მხატვრულ ნაწარმოებს შეეყავართ, ემპირიულ რეალობასთან ადამიანის ესთეტიკური მიმართების პროცესის. ერთი სინამდვილის შეორედ გარდაქმნა-სახეცვლის აქტი ფანტაზიისა და გამონაგონის გზით ხორციელდება. პოეზიის „ნამდვილ მასალას ჭარმოადგენს თვით ფანტაზია, ხელოვნების ყველა კერძო ფორმისა და ცალკეულ ხელოვნებათა ეს საერთო საფუძველი“¹.

ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობას სახეში ჰყავს კონკრეტული პიროვნება; ნაწარმოების ფაბულა ისტორიულია, მწერლობის თემად გამოცხადებულია რეალური ან ასეთად მიჩნეული ფაქტები. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების ფორმირებაში მხატვრული ფანტაზია არ მონაწილეობს.

მხოლოდ ჰაგიოგრაფია როდი იღებს თემად კონკრეტულ-ისტორიულ (ან ასეთად მიჩნეულ) ფაქტებს. შეგავსი ტენდენცია საერთოდ დამახასიათებელია ძველ ეპოქათა მხატვრული შემოქმედებისათვის. ძველი ბერძნული მითოლოგია, როგორც ცნობილია, კვებავდა ანტიკურ ლიტერატურას. მხატვრულ პრაქტიკაში გამოყვეთილი ეს ტენდენცია თეორიულად გაიძრა არისტოტელები. როცა ხელოვანი ისტორიას მიმართავს, „გადმოცემული მითების გასწორება არ არის საჭირო“², — განაცხადა მან. არისტოტელეს თეზისის კვალობაზე ჭარი-მართა ძირითადად ანტიკური და მთელი შუა საუკუნეების ლიტერატურული განვითარება. ჩოვითონ ფაბულის განსაკუთრებული მნიშვნელობით იყო განპირობებული ეს. ფაბულა, არისტოტელეს განმარტებით, არის „ტრაგედიის საჭყისი და, ასე ვთქვათ, მისი სული“ (§ 6), ხოლო ხასიათები მას მიჰყვებიან კვალში. დღეს უკვე გარკვეულია, რომ ფაბულისა და ხასიათის არისტოტელესეულ ცნებებში ჩადებული შინაარსი არ უდრის მათს თანამედროვე მნიშვნელობას. იქ ფაბულა უფრო მეტს ნიშნავს, — იგი იდეასაც განსაზღვრავს, სიუჟეტსაც და ნაწარმოების მთლიანობასაც. „ანტიკურ პოეზიაში „ერთეულს“ მოიცავს, უპირველეს ყოვლისა, ფაბულა; ხასიათი კი, რომელსაც ფაბულა ქმნის, — ეს რაღაც ზოგადია“³. ესაა შებრუნვებული გაეგება ამ ცნებების თანამედროვე აზრისა.

¹ Гегель, Лекции по эстетике. Сочинения, т. XIV, М., 1958, стр. 164.

² ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე, პოეტიკა, §14. შემდგომ ტექსტში პარაგრაფით // აღნიშნული ყველა ციტირება ამ წიგნს გულისხმობს.

³ Теория литературы, Основные проблемы в историческом освещении, кн. II (Роды и жанры литературы). М., 1964, стр. 442. შემდგომ დაგასახელებთ შემოკლებით-Теория литературы, к...

ისტორიული თუ მითოლოგიური წყარო, რაც საფუძვლად ედება ნაწარმოების ფაბულას, ხელოვანს აძლევს კონკრეტულს, ინდივიდუალურს, სინამდვილის უშუალობითა და მთლიანობით აღმეცდილ მოვლენათა წყებას. ხელოვანის ამოცანაა, იგი ზოგადის დონეზე აქვალოს და გააცოცხლოს, იმანირად შეაკავშიროს ერთმანეთთან ფაქტები, რომ ერთი მოვლენა მეორეს უბრალოდ, დროული თანმიმდევრობით კი არ მოსდევდეს, არამედ ისინი „ალბათობის ან აუცილებლობის“ ძალით, მიზეზ-შედეგობრივად გამომდინარეობდნენ ერთმანეთიდან: „დღიდი განსხვავებაა ხომ, ჩნდება ერთი მოვლენა მეორის გამო თუ შეორის შემდეგ“ (§ 10). კონკრეტულ-ისტორიულ მოვლენებში ამ ზოგადის განკვრეტითა თუ შეტანით „პოეზია უფრო ფილოსოფიურია და უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ისტორია. პოეზიას უფრო მეტად მხედველობაში აქვს ზოგადი, ისტორიას კი უფრო მეტად მხედველობაში აქვს ცალკეული“ (§ 9).

აუცილებლობისა და შესაძლებლობის მომენტით გაუღენთვა აქცევს მხოლოდ ისტორიულ ფაქტს ხელვნების ფაქტად, ემპირიულ საგანს — სახედ ამ საგნისა, გვაძლევს ასახვას. არისტოტელე გახაზავს, რომ პოეტი სწორედ „ასახვის გაზი არის პოეტი“, რომ მან კონკრეტული ზოგადით უნდა განმსჭვალოს, ვინაიდან „არათერი არ უშლის ხომ ხელს, რათა ზოგი რამ იმისაგან, რაც ნამდვილად მოხდა, ისეთი იყოს, როგორიც დასაჯერებელია და შესაძლებელია, რომ ხდებოდეს, რის მიხედვითაც ასეთი მწერალი ამ მომს დარის შემოქმედი მეტებით არ არის“ (ხაზი ჩენი, — გ. ფ.). ფილოსოფოსი გვეუბნება: რამდენადაც ნამდვილად მომხდარი შესაძლებლისა და დასაჯერებლის მიხედვით განზოგიდდება, ამდენად და ამის მიხედვით არის მწერალი ამ „მომხდარის შემოქმედი“, თორემ ისე „მომხდარი“ ვიღაცამ მოახდინა სინამდვილეში და მისი არც აღწერა ჩაითვლება შემოქმედებად.

ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში შემოქმედებითს აქტს ბიძგს აძლევს არა მხატვრული იდეა თუ ხასიათი, როგორც დღეს. ეკერმანთან საუბარში გოეთეს უთქვამს: „სოფოკლე თავის პიესებში სულაც არ გამოდიოდა იდეიდან, არამედ ჩვეულებრივ იღებდა თავისი ხალხის რომელიმე უპევე დიდი ხნის მზამზარეულ საგანს, სადაც, რ. თ. უ., უკვე მოიპოვებოდა გარკვეული იდეა, მისი საზრუნავი კი იყო, რაც შეიძლება უკეთ და ზემოქმედად განესახიერებინა იგო“⁴.

ქველ ეპოქათა ხელოვანი ფაქტიდან ამოდის, სინამდვილედ გაგებული ისტორიული თუ მითოლოგიური გაღმოყენება მისი შთაგონების წყარო და მწერალი ცდილობს „განასახიეროს იგი, რაც შეიძლება უკეთ და ზემოქმედად“, „რომ ყველაფერი რაც შეიძლება უფრო ცოცხლად იყოს თვალების წინაშე დაყენებული“ (§ 17). ფაბულურ ჩონჩხს ხორცი ესხმება სიუჟეტში, რის მიხედვითაც გამოვლინდება ხასიათი და იდეა. ესაა შებრუნებული სახე თანამედროვე შემოქმედებითი პროცესისა, როცა მწერალს მხატვრული „იდეა უნდა ჰქონდეს აღრიდანვე“⁵.

ქართული ჰავიოგრაფიისათვის თვალის გადევნება გვიდასტურებს, რომ აღნიშნული კანონზომიერება აქაც ძალაშია. ისტორიული ფაქტი გამხდარა მთლიანად იაკობ ხუცესის შთაგონების წყარო. სენაკში შეფარებულ შუშანიკს იაკობი უთვალისწინებს: „ღუაწლსა დიდსა შესლვად ხარ, დედოფალო...“ ამ

⁴ И. П. Экerman, Разговоры с Гете..., М.-Л., 1934, стр. 688.

⁵ Н. Гартман, Эстетика, М. 1958, стр. 430.

ღვაწლის წარმოლგენით მიმართავს მწერალი მომავალ გმირს: „ვითარ გეგულების, მითხარ მე, რათა უწყოდი და აღწერო შრომად შენი“. შემოქმედებითი სტილული ღვაწლის სიღიადის გათვალისწინებასაც კი წარმოუშვია. რაც შეეხება იმანე საბანისძეს, მისთვის შთავონება სხვებს მოუცია. აბომ რომ „იმარტიკლა მეოხად ქრისტის მიმართ ჩუენდა და ყოვლისა ამის სოფლისა ჩუენისა ქართლისათვს“⁶, — ისტორიული ფაქტის ეს მნიშვნელოვანება აძლევს სათავეს შემოქმედებითს აქტს. ანალოგიურად წარმოგვიღება თითქმის ყველა სხვა ჰეგიოგრაფიული ძეგლის შექმნის ისტორია.

დამახასიათებელია გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების შემოქმედებითი ისტორია. გ. მერჩულე გვაუწყებს: „ვპგონებდ ცხორებისა ამის დაწერად ბრძენთავან და სრულთა მამათა, რომელიც იყვნეს უამთა ჩუენთა...“ ეს მწერლები ყოფილან: სოფტონ შატბერდელი, ილარიონ პარეხელი, გიორგი მაწყვერელი და სტეფანე მტბევარი. „და ვითარცა მათ ნეტართა დაიძინეს, მაშინდა რეცა გამშეღვიძა უცეპსა და ფრიად ცოდვილსა კელყოფად და აღწერად ცხორებად ესე“⁷. გრიგოლის ცხოვრების სახვის სურვილი მერჩულეს ადრევე აღმვრია, მაგრამ ვერ გაუბედავს წინ გადაესწრო უფროსი თაობის ცნობილ მწერალთათვის, რომელთაგანაც თანამედროვენ გამოელოდნენ ასეთი ნაწარმოების დაწერას. რას ეკრძალებოდა მერჩულე? ხომ იწერება მსგავს ფაბულაზე მხატვრული იდეითა და ხასიათებით ურთიერთსაპირისპირო ნაწარმოებიც კი. მაგრამ ეს თანამედროვე ლიტერატურული ნორმაა, როცა ფაბულას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს და მოსავალია მხატვრული იდეა ხასიათებისა; ფაბულა „წარმოებულია“ ხასიათებისაგან. თანამედროვე ნაწარმოები ისტორიულ სინამდვილეს ხასიათებით გვაცნობს. „ძველი ხელოვანისათვის მისი ქმნილება, უპირველეს ყოვლისა, ფაბულითა დაკავშირებული ისტორიასთან, სინამდვილესთან“⁸. მერჩულის თანაღროული ლიტერატურული აზროვნებისათვის ნაწარმოები სწორედ ფაბულითა დაკავშირებული სინამდვილესთან, ფაბულიდანა „წარმოებული“ ხასიათიც, სიუჟეტიც, მხატვრული იდეაც, მთლიანობა თხზულებისა. და თუ მერჩულე ადრევე დაწერდა თავის თხზულებას, იგი მოხსენიებულ მწერლებს თემასა და ფაბულას კი არ შეეზიარებოდა მხოლოდ, არაშედ შემოქმედებითი აქტის საყრდენსა და ამოსავალ პრინციპს ართმევდა ფაქტიურად. ი. რას ეკრძალებოდა მერჩულე. |

განსაკუთრებით საყრდენი უნდა იყოს იმანე ზედაზნელის ცხოვრების დასაწყისი, სადაც ისტორიული ფაქტის, ფაბულური წყაროს პირველადობა შემოქმედებითს პროცესში თეორიულად ჩანს გააზრებული. ავტორი ასე იწყებს ნაწარმოებს: „მიზეზნი არიან აღმძრელ სიტყვას და სიტყუად არს მიმთხრობელ მიზეზთა“⁹. სულხან-საბას განმარტებული აქვს: „დაწყებასა ერთისა საქმისასა მიზეზი ეწოდების“. საქმე, ნამოქმედარი, ფაქტი, განმარტავს ჰეგიოგრაფი, არის ბიძგის მიმცემი, მოსავალი, „აღმძრელ სიტყვას“ ლიტერატურულ შემოქმედებაში.

როცა ჰეგიოგრაფი ასასხავი ამბის მომსწრე არ არის, ზეპირსა თუ წერილობით გაღმოცემებს ემყარება, რომელთაც, როგორც წესი, ყოველთვის ასა-

⁶ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი 1. 1964, გვ. 13-14, გვ. 46. შემდგომ დავასახელებთ შემოქლებით—ძეგლები. 1...

⁷ ი ვ ე, გვ. 294.

⁸ Теория литературы, книга I (1962), стр. 348.

⁹ ძეგლები, 1, გვ. 191.

12. „მაცნე“, № 3, 1969.

ხელებს, დარწმუნებულია და მკითხველსაც არწმუნებს მათს სისწორეში. რითაც ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ შემოქმედებითი აქტის საფუძველი და განმსაზღველი მომენტი (რაზედაც აშენებული იაბულია) მყარია, უცილოა, ისაც, რაც უნდა იყოს. მკითხველისათვის ისტორიული სინამდვილის გამათვალისწინებელ ამ ფენაში (ფაბულა) გასწორება და შეცვლა ისტორიის ძირითადი სახის შეცვლისა და დამახინჯების ტრალფასად აღიქმება. ამისდაცვალად, ნაწარმოების ორგანიზაციის ამ ფაზაზე ფანტაზია და გამონაგონი ძირითადად გამოითხოვს ქართულ ჰა-გიოგრაფიაში.

ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების კონსტრუქციის სხვა შრეებში ფანტაზიის შომენტი ჩაირთვება, და ზოგან ძალიან აქტიურად.

ქრისტიანული ხელოვნების ნაწარმოების ორგანიზაციაში მონაწილეობს და ერთმანეთისაგან უნდა გვაპრჩიოთ ორგვარი ფანტაზია. პირველი — ფანტაზია დამოუკიდებელი მნიშვნელობის პრეტენზიით, ფანტაზია — ხილვა ახალი სამყაროსი, როცა იგი მოითხოვს, მისი ნაყოფი სინამდვილედ ვცნოთ. ასევე წარმოსახვაში მიზანი და შედეგი მთლიანობაშია. ხელოვნება აქ თავს იხენს, როგორც საშუალება მიზნის განსახორციელებლად. ესაა ფანტაზია — დემიურ-გი სინამდვილისა. მეორე — ფანტაზია არა როგორც მიზანი, არამედ საშუალება, როცა იგი პრეტენზიას არ აქტადებს ნამდვილობაზე, არამედ ხელს უწყობს მოვლენის ღრმასა და შთამბეჭდავ წვდომას. ესაა წმინდა მხატვრული ფანტაზია.

შევეხოთ ჯერ პირველს, ფანტაზია-ხილვას. ასეთი წარმოსახვისას ფანტაზია დემიურგია, იგი ბატონობს ხელოვნებაზე.

დავიწყოთ იმით, რომ ანტიკურის საპირისპიროდ ქრისტიანული ხელოვნების განმსაზღვრელი იდეური „შინაარსი არ გამოვლენს თავის თავს, როგორც რაღაც ხილვას ხელოვნების გზით, არამედ ხილვაა თავისთავად, უკანასკნელისაგან დამოუკიდებლად... ღვთაებრივი, თვით ღმერთი, განსხეულდა, იშვა, იცხოვრა, ეწამა, მოჟვდა და აღდგა. ეს — ისეთი შინაარსია, რომელიც არ გამოიუგონებია ხელოვნებას“¹⁰. იგი ფანტაზი-დემიურგის ნაყოფია, ხილვაა თავისთავად.

რეალურისა და იდეალურის ანტიკურ წონასწორობაში რეალურია საფუძველი იგივეობისა. ასეთ მსოფლალქმას მშვენიერის კონსტრუირებისათვის ფანტაზიისა და შინაგანი ხილვის განსაკუთრებული ღამძვა არ სჭირდება. რაც უცილობელია ქრისტიანულ ესთეტიკურ აქტმაში, რომელიც გრძნობადი სამყაროს მიღმა იყურება. „ანტიკური რაციონალიზმის კრახის ხანაში ქრისტიანობა ააღორძინებს სერიოზულ დამოკიდებულებას ფანტაზიის, წარმოსახვის სფეროს მიმართ. ასეთი დამოკიდებულება სახეობრივი შემოქმედებისადმი, ცნობილი აზრით და განხილვრულ პერიოდში, ხელს უწყობდა მხატვრულ ცნობიერებას. ... მხატვრული ნაწარმოები აქ ინდივიდუალური ფანტაზიით სამყაროს თავისუფალი გარდაქმნის ნაყოფად წარმოდგება. თავისი შინაგანი სამყაროდან ხელვანი სამყაროს მთლიანი სახეობრივი კონცეფციის კონსტრუირებას აღდენს. ალბათ, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ყველაზე უფრო გავრცელებული უარი შუა საუკუნეებში — ხილვაა“¹¹.

¹⁰ Гегель, Лекции по эстетике. Соч., т. XIII, М., 1940, стр. 76.

¹¹ Теория литературы, кн. I, стр. 215, 218.

ხილვა, აქტივიზირებული შინაგანი ჭვრეტა შეიქნა მსოფლაღქმის პრინციპი. გამოცხადდა რა ღმერთი „ერთადერთ და ხელთუშემნელ სილამაზედ“ (ნიკე-ის კრება), უმაღლეს ხელოვნებად ბუნებრივად იქცა მჭვრეტელობითი ხელოვნება, როცა ღვთისაკენ მიმსწრაფი ადამიანი გონებრივი ეგზალტაციის გზით შეერწყმის უზენაესს. „უმაღლესი ხელოვნება — ეს მჭვრეტელობითი ხელოვნებაა, როცა სული ჭვრეტს ღმერთს, არეკლილს გონების შინაგან სარეაში“¹², — პლოტინის ამ თეზისის მიხედვით (რომელიც ქრისტიანობაში შეიათვისა), სული მაშინ ასრულებს თავის დანიშნულებას, როცა შემმეცნებელი მთლიანობაშია შესამეცნებელთან (სუბსტანციასთან). ღვთაებრიობით ეს შინაგანი ავსება შინაგანიც ხილვის, მჭვრეტელობითი შემძლების ერთადერთი გზა და შეართა.

ბასილი ზარზმელის თხზულებაში ასეთი ეპიზოდია: სერაპიონმა სტუმრებს, „სწავლათა საღმრთოთა“ მიხედვით, ღვთაებრივი სამყაროს საოცარი სურათი წარმოუსახა. ეს კი იმით გახდა შესაძლებელი, რომ „სანატრელი სერაპიონ აღიგსო სულითა წმიდითა“¹³. გიორგი მერჩულე კი გვაუწყებს, რომ გრიგოლ ზანძთელი „ხედვიდა საღმრთოთა ჩილვათა მაღლითა სულისა წმიდი-სახთა“¹⁴. სულიერი განწმედა იქცევა ძალად, რომლითაც კაცი თანაეზიარების ღვთაებას, — ნაცერწკლად, რომლის სხივები სწვდება იქამდე, სადაც ყველა მოკვდავის შზერა ვერ აღწევს.

რაღაც ბოროტებითა და ეშმაკებით სავსე ქვეყანა ქრისტიანულ იდეალს უფრო ფანტასტიკურად ესახება, ვიდრე სახარებისეული სამყარო ოცნებისა. მწერალი ფართოდ უხსნის გზას საკუთარ შინაგან ხილვას მოვლენისა ან ლეგენდურ გადმოცემებს, იმავე გზით შობილო. სახარებაა მისოვის ამოსავალი, ბიბლიის თვალით აღივამს და გარდასახავს იგი ყველაფერს. ბუნების კანონებზე ამაღლება, დეფორმაცია სინამდვილისა, ზოგჯერ შებრუნება ემპირიულ პროპორციათა ბუნებრივია „იმ ქვეყნისაკენ“ მზირალი ხელოვანისათვის ამ „ნამდვილ სინამდვილესთან“ მისასვლელი გზა შინაგანი ჭვრეტაა, ვინაიდან გრძნობადი აღქმა გრძნობადივე ფორმით მოცემულ საგნებს სწვდება მხოლოდ. და საგანი ისე „გადატრიალდება“ ხელოვანის წარმოდგენაში ემპირიული მდგომარეობიდან იდეალური სამყაროსათვის შესაფერის მდგომარეობაში, რომ ხშირად თვით შემოქმედისთვის არაა სუკვო, რომ ხილვით შიღებული სასურველი ფორმა საგნისა ესაა ჭეშმარიტი ფორმა მისი. „შუა საუკუნეების აღამიანმა მოახდინა სასწაული სახეცვლილებისა. მან გრძნობადი სამყარო მოქვენებითაღ გაღდააქცია“¹⁵.

ამიტომ ირწუნებიან ქართველი ჰაგიოგრაფები, ჭეშმარიტებას ვწერთ, მაშინაც კი, როცა იგონებენ, ფანტაზიით თხზავენ. „შუა საუკუნეთა ისტორიკოსი, — წერს ო. ვაინშტეინი, — ვერ ხედავდა არსებით განსხვავებას ჭეშმარიტ ფექტსა და საკუთარი თუ სხვისი ფანტაზიის გამონაგონაა შორის“¹⁶. თუ ეს ითქმის ისტორიკოსზე, კადევ უფრო შეეფერება იგი ხელოვანი მწერ-

¹² მოგვაძვს წიგნიდან — К. Гильтерт, Г. Кун, История эстетики, М., 1960, стр. 179.

¹³ ძეგლები, 1, გვ. 326.

¹⁴ ი ქ ვ ე, გვ. 305.

¹⁵ К. Гилберт, Г. Кун, История эстетики, стр. 169.

¹⁶ О. Л. Вайнштейн, Западноевропейская средневековая историография, М.-Л., 1964, стр. 102.

ლის აზროვნებას, რომელსაც გამოცხადების სიბრძნისა არანაკლებ სჯერა, ვიდრე იმისა, რაც გრძნობადი ორგანოებით შემოდის ცნობიერებაში: ითანა საბანისძე აცხადებს: „უფროის-და საცნობელი ეგე ყურნი გულისა და გონიერისა“¹⁷ არიან ჭეშმარიტების მიმკვლევნიო. აბიბოს ნეკრესელის მარტვილობის ავტორის სიტყვით, სწორედ „გონებითა იხილვების შორეული, ვითარცა მახლობელი“¹⁸.

ნეტარი ავგუსტინე ჭეშმარიტი სილამაზის აღმქმელს ახასიათებს, როგორც „შინაგანი ხელვის შფლობელს და უხილავად მხილველს... ხორციელი მზერით შენ ხომ მხოლოდ ხორციელს ხელავ. ამისდაცვალად, ჩვენ ვხედავთ ამ მთლიანობას (სამყაროსი, — გ. ფ.) აზრის საშუალებით“¹⁹. ავგუსტინეს, თეზისს პირდაპირ ეხმატურება გიორგი მცირე: „ქორციელითა თუაღმითა ყოვლადვე ქუცანად ხელავნ. ხოლო თუაღმითა სულისანი მარადის უხილავსა მას დიდებასა ღმრთისასა უხილავად განიცდიან“²⁰. ანალოგიურად მსჯელობენ გ. მერჩულე და შიოსა და ევაგრეს ცხოვრების ავტორი.

პლოტინი „ენეადებში“ განმარტავს, რომ მშვენიერების აღსაქმელად არ ასეუბობს გზა, გარდა შინაგანი ჭვრეტისა. როცა ხელოვანი გრძნობადი სამყაროს სილამაზეს ჭვრეტს, „ამ შემთხვევაში ხილვა სხვა არა უნდა იყოს, თუ არ იგივეობრივი იმისა, რაც სახილავია“, პირველსახისა, უმაღლესი, ულამაზესი იდეისა. ქანდაკების სილამაზე წარმოდგება იქედან, თუ რა გზით (შინაგანი ჭვრეტისა თუ ფიზიკურ შეგრძნებათა დახმარებით) ქმნის მას ხელოვანი, ვიდრე ნაწილებისა და ფერების გრძნობად-გარეგნული შეხამებისაგან²¹.

საუკეთესო მაგალითს შინაგანი ხილვისას, რომელიც მშვენიერ პოეტურ ხატებს ემყარება, წარმოადგენს ფსალმუნთა წიგნის 103-ე თავი. ესაა ამაღლებულის გრძნობაზე დაფუძნებული პოეტური ხილვა, სადაც რათინირებული სული თავის საყოველთაობას ზეიმობს გრძნობად-რეალურ სამყაროზე.

ახლა განვიხილოთ ქართული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების ხილვათა ის პასაუები, სადაც ფანტაზია-დემიურები ბატონობს მხატვრულ ფანტაზიაზე და პოეტური სახეებით აშენებს თავის სამყაროს.

როგორც სხვაგან, ისე აქაც ჭართული ჰაგიოგრაფიის მხატვრულ ასენალს ბიბლიურ სახეთა გავლენის ბეჭედი აზის ხშირად. უფრო ძალუმია აპოკალიპსის, მეორედ მოსვლისა და განკითხვის დღის სურათების ზეგავლენა. პირველად მოვიტანთ ნაწყვეტს ნინოს ცხოვრებიდან, რომელსაც ფსალმუნთა დასახელებული მონაცემთს მხატვრული სახეებით შთაგონება ეტყობა. ნინოს მიმართვა მირიან მეფისადმი ღვთაების კოსმიური შემოქმედების პოეტურ ხილვას წარმოადგენს: „მოავლინენ შენ ზედა ღმერთმან, ცისა და ქუცანისა შემოქმედან, დამბადებელმან ყოვლისა დაბადებულისამან, დიდისა დიდებისა მისისაგან, ვითარცა საჯუმილისაგან ნაბერწყალი ერთი მაღლისა მისისაც, რამთა ცვნა და გულისხმა-ჰყო სიმართლე ცისაც და სინათლეც მზისაც, სიღრმეც ზღვისაც და საძირკველი მისნი, სივრცე ქუცანისაც და საფუძველი მისნი, და რამთა უწყებულ იყო შენ, მეფე, თუ ვინ შემოსნა ცანი ღრუბლითა და ქუხილნი ქმითა ჰა-

¹⁷ ძეგლები, 1, გვ. 49.

¹⁸ ი ქ ვ ე, გვ. 242.

¹⁹ История эстетики. Памятники мировой эстетической мысли, т. I, М. 1962, стр. 268-269.

²⁰ ძეგლები, II, 1967, გვ. 125.

²¹ История эстетики. Памятники... т. I, стр. 225.

ერისაძეა და იძრვინ ჸუეყანად სიმძაფრითა მისითა და რბილდიან მეხის-ტეხან, კუალსა შისა ეგზებინ ცეცხლი გულის წყრომითა მისითა, ანუ ოდეს შეიძრის ვეშაპი იგი დიდი, რომელი არს ზღუასა შინა, და შეიძრის ყოველი ჸუეყანად, ვიდრემდის დაირღვან მთანი მყარნი და კლდენი²². ესაა ამალებულის სპეცი-ფიცური გამოხატულება ქრისტიანულ მსოფლალქმაში. უხილვაისაგან ხილული სინამდვილის თვით ქმნადობა არის უაღრესად შემინდა, ჰაეროვანი აქტი. აზრი და ჰერეტია ღვთაებისა იჯცევა მისავე იდეალურ ძალმოსილებად.

შეგვესი სურათია დახატული უწინარეს ამისა: „... აპა ესერა ცად ჸუხდა და ჸუეყანად იძრვოდა, მთანი ჰყორებოდეს, ბორცუნი იმღერდეს, ზღუად დგა, წყალნი აღმართ დიოდეს“²³. ამ ჩვენების ფონზე გვეცხადება მესია.

პოეტურ წილვათა ერთ ციკლს შეადგენს შეორედ მოსვლისა და განკითხვის დრამატული სცენები. გ. მერქულე მოვგითხრობს: გრიგოლი მოწაფეების თან-ხლებით მოვიდა ხანძთას, სადაც მონასტრის აშენება ღმერთმა გამოუცხადა. იქაურობა უდაბური იყო. ბერებს ენთუზიაზმის გარდა არაფერი მოჰყოლიათ. მათს ცნობიერებაში ბუნებრივად გაიელვა შიშმა, — შეძლებენ თუ არა მონას-ტრის აშენებას. ამიტომ იყო, რომ „შემიღამან გრიგოლ გონებითა შემუშვრილი-თა ლოცვად ესე ცრემლით ჰელგანძყრობით წართქუა“. რას წარმოადგენს „ლოცვად ესე“? ეს არის შეშმარიტი დრამატიზმით შესრულებული ხილვა მსოფლიო განსჯის უამისა და ამასთან დაკავშირებული შიშმისა. შიშის ერთი გრძნობის გვერდით სრულიად მიზანდასახულად მოხმობილია მეორე: „უამსა ამას უცხოებისა და უპოვარებისა ჩუენისასა, ქრისტე, არა შემეშინოს ჩუენ ბოროტისაგან, რამეთუ შენ, უფალი, ჩუენ თანა ხარ განმზადებული ჩუენთვეს ადგილსა ამას კეთილსა განსასუენებელსა ნებისა შენისასა, რომელსა შინა მა-რადის ვედრებასა შეესწირავთ. მოსალოდემელისა მისთვეს დღისა დიღებით მეო-რედ მოსვლისა შენისასა, ღმერთო! ჩაუამს-იყო საშინელებათა ზარი და საყვრი-სა თხრად შეაძრწუნებდეს დაბადებულთა ყოველთა, რამეთუ, უქადაგებდეს ცოდვილთა სატანჯველთა მათ დაუსრულებულთა, ხოლო მართალთა ახარებდეს ცხორებასა დაუსრულებელსა. მაშინ იტყებდეს ყოველი ტომნი ქუეყანისანი აშისთვეს, რამეთუ მიეცემოდიან ყოველი ბრალეულნი გუემათა და საარებათა. ხოლო მართალნი მათთვეს იგლოვდენ, რამეთუ არს უბიშოთაცა შეძრწუნება ზა-რი შენი, რომლისაგან მე ვძრწი, რამეთუ განუმზადებელ ვარ არათუ უმეცრე-ბისა აჩრდილსა შეყენებული, არამედ უდებებისა შედგრობათაგან ძლეულ-შა გმირის შეგნებაში დაუპირისპირა მეორე შიში, რას უნდა მოელოდეს „უდე-ბებისა მედგრობათაგან ძლეული“ განკითხვის უამს, თუ ეს ბრძანება არ იქნება განხორციელებული. მცირე ვნებას აძევებს დიდი ვნება; ერთი შიში მოხსნა შეორებმ. უფრო დიდმა, „გონების შემმუსვრელმა“ შიშმა. შეერლის ფსიქოლო-გიური ალლო თვალსაჩინოა. განკითხვის ზარისა და აქედან მომდინარე შინაგა-

²² ქეგლები, 1, გვ. 132-133.

²³ ი ქ ვ ე, გვ. 127.

²⁴ ი ქ ვ ე, გვ. 256.

ნი ძრწოლის ასე დახვეწილი პოეტური განსხვეულება მკითხველის წარმოდგენას მწერლის შინაგანი ხილვის თანამგზავრად ხდის და თან გაიყოლიებს იმ უსიერ ტევრში, საღაც პოეტურსა და შისტკიურს შორის ზღვარი ქრება. მერჩულის ამ ხილვას შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ ფინალური სურათი: „უამი რაა წუხილთა და ავთა აღმოფშვათა და წარმოდგეს, ზარი მეფობისა წარქვეს და ლილებად დაშრტეს, შუებანი უქმ იქმნენ, ყვავილოვნებად დაჭნეს, სხუამან მიიღოს სკატრად, სხუარა შეუდ გენ სპანი, — მაშინ შემიწყალე, მსაჭულო ჩემო! გან-რად-ეღოს წიგნი დღესა შინა სასკელისასა და მე ქედდადრეკილი წარმოგიდგე განკითხვად, მსაჭული ძართლ სკიდეს, მსახურთა რისხუად ქროდის, მართალნი ნეტარებდენ, ცოდვილ-თა პგუემდეს ცეცხლი, — მაშინ შემიწყალე, იესუ ჩემო!“²⁵.

იგივე მოტივი განკითხვის ზარისა ნამდვილი ხელოვნებითაა ხორციელებული აგრეთვე შიოსა და ევაგრეს ცხოვრების ტექსტშიც²⁶.

ჰავიოგრაფიულ ქეგლებში შეიძლება გამოვყოთ მთელი ციკლი იმ გამოცხადებათა, როცა წმინდანი ამ ქვეყანის ტოვებს და „ცად ადის“. წმინდა ნინო მოგვითხოვბს: „(1) რითსიმე დედოფალი და გაიანე დედამშუქრ და ორშეოც და ათი სული წარმოვემართენით თთუესა პირველსა ათხუთმეტსა და გამოვედით არეთა სომხითისათა, სამოთხესა მას თრდატ მეფისასა. იგინი მოიკლნეს მუნ... ხოლო მე დავშთი ეკალთა შინა ვარდისათა, რამეთუ ვარდი და ნუში ყუავოდა მას უამსა. (2) და ოდეს-იგი აღმოპევიდოდეს სულნი წმიდათა მათ, ვიხილე ზე-ცით სამოსლის მსგავსად ჩამომავალი დიაკონი ოლარითა ნათლისახთა. და ქელთა მისთა აქუნდა სასაკუმევლო, რომლისაგან გამოვიდოდა კუამლი სულნე-ლებისაჲ, რომელი ცათა დაპფარვიდა, და მის თანა სიმრავლო ერთა ცისათად. და შეიერთნეს წმიდანი იგი სულნი ერთა მათ ზეცისათა და დიდებით აღმაღლდეს ცად. (3) ხოლო მე ვლადად-ყავ: „უფალო, უფალო, რად დამიტევე მე შორის ასპიტთა და იქედნეთა“? ქმად მესმა მე მუნით, რომელი მეტყოდა მე: „ესრტოვე იყოს წარყვანებად შენი, ოდეს ეგე ეკალი, რომელი შენსა გარემოხს არს, ყოველივე იქმნეს ვარდ მეწამულ, სულნელ შენ მიერ“²⁷.

ეს სურათი მთლიანად ერთს საყურადღებო შრატვრულ სახეს წარმოადგენს მოცულობით და შემადგენელ ელემენტთა შინაგანი ბუნებით. პირობითად ავ სურათში შეიძლება სამი მონაკვეთი გამოვყოთ, როგორც ეს ტექსტში ჩვენი სახელდაბელი ჩარევიდან ჩანს. სახის მთლიანი კონსტრუქციის პირველი მონაკვეთი რეალურ სინამდვილეს მიემართება და ხილვის შემდგომ სიტუაციასთან მას კავშირი თითქოს არც იქვს. მონაკვეთს სურავს თრდატ მეფის ვარდთა სამოთხეში მარტოლშთენილი ნინოს პლასტიკური ხატი: „მე დავშთი ეკალთა შინა ვარდისათა, რამეთუ ვარდი და ნუში ყუავოდა მას უამსა“. ამას მოპყვება ჩაშოქნილი სპირიტუალისტური მანერით შესრულებული ხილვა მეორე ნაწილისა. მესამე ნაწილში კვლავ ჩვენებაა, — ზეციური ქმედება ახლა უშუალოდ ნინოს შეეხება. მაგრამ აქ უაღრესად საყველთაო-სულიერი შინაარსი პლასტიკური სახე-სიმბოლოებითა მოწოდებული ჯერ ნინოს ღაღადისში: „უფალო, უფალო, რად დამიტევე მე შორის ასპიტთა და იქედნეთა?“ — ხოლო მეტე პასუხში ზეციდან: „ესრტოვე იყოს წარყვანებად შენი, ოდეს ეგე ეკალი, რომე-

²⁵ ჩვენი საუნდე, 1, გვ. 520-521.

²⁶ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ქველი რედაქციები, გვ. 137.

²⁷ ქეგლები, 1, 115.

ლი შენსა გარემოს არს, ყოველივე იქმნეს ვარდ მეწამულ, სულნელ შენ მიერ“. აქ უკვე არც ეყალი და არც ვარდი თავიანთი საგნობრივი მნიშვნელობით არ იგულისხმება. ამ შინაარსის მნიშვნელობა, როგორც სახის საშენი მასალისა, არ არის უფლებელყოფილი, მაგრამ იგი მაინც კარგავს იმ თავისთავადობას, რაც პირველ მონაცემში ჰქონდა, და უმაღლესი მხატვრული იდეის სამსახურში დგება. წარმართთა (ეკალი) შორის მოსულმა ქალმა ისინი უნდა გააჩრისტიანოს („იქმნეს ვარდ მეწამულ, სულნელ შენ მიერ“). მაგრამ ერთგან სწორედ ყოფითი სინამდვილის წარმოსადგენად მოხმობილი „ეყალთა შინა ვარდისათა“, ხდის მეორეგან (ხილვის დასასრულ) სახე-სიმბოლოდ მის ტრანსფორმაციას განსაკუთრებით შთამბეჭდავს. ძნელი არ არის მივუხვდეთ მწერლის ნაგულებებს; ვარდთა და ნუშთა ყვავილობის უამს ეყალთა შორის მარტოვ-შთენილობის ხატი ჩაფიქრებულია, რათა გრძნობად სინამდვილეზე მიმთითებლიდან ხილვის დასასრულს ზეგრძნობად-სულიერ ღვაწლზე მიმანიშნებელი მეწამული და სულნელოვანი ვარდის მშვენიერ სახე-სიმბოლოდ გადაიქცეს.

ბერი მატოის ცად „აღყვანების“ ასევე გამოყვეთილი სპირიტუალისტური სურათია დაზატული გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში. ანატოლე დაყუდაბულს გამოეცხადება „კაცი ბრწყინვალედ შემქობილი“ და წაიყვანს „ხილვაღ დიდებით მიცვალებასა მისსა ამიერ სოფლით ზეცისა სასუფეველსა“. ანატოლე უყვება თემესტია დეკანოზის: „ხოლო შე შეუდევ და მიმიყვანა ბორცუსა მახლობელად ბერთისა და მრჯუა მე: მიხედვ ბერთას ზედა და იხილე დიდებული ხილვაც. და მე ვხედევდ სუეტსა ნათლისასა, რომელი შთამოიწეოდა ზეცით ზედა მონასტერსა მას და სიმრავლე წმიდათა ანგელოზთა სუეტსა მას თანა გარდამომავალი. და ერთი ვინმე დიაკონის სახედ ოლარითა მათ თანა, რომელნი უგალობდეს ღმერთსა ბრწყინვალითა ჭმითა. და კუალად ვიზილე კრებული იგი წმიდათა ანგელოზთა, ეგრეთვე სახედ აღმავალი ზეცად და საშუალ მათსა წმიდაც მატოი ქელ-ცყრობით აღჰყვანდა ნათლითა შემქობილთა მათ უჯორცოთა დიდებითა გამოიყენელითა გალ ობით მაღალთა შინა“²⁸. ცად ამაღლების, ამ სურათებში ესთეტიკურ ფორმებს წარმოეული აქვს ყველაფერი, რაც აღამიანის გრძნობადი არსებობის მხატვრულ აპოთეოზის ქმნის სურათი რაღაც უსხეულო სხეულს წარმოგვიღებულ და ჰეროინი ლივლივებს დროისა და სივრცის განზომილებათა მიღმა. ამიტომ მოქმედების ფონი ზილულ სამყაროს სცილდება და უსაზღვროებაში იკარგება. საგნები მოკლებულია სიმბიმეს, ფიგურები მოცულობას. ისინი გამოიყურებიან, როგორც ჰეროვანი ქმნილებები და ღვთაებრიობის მყრთალი შუქით არიან განათებული. სურათის სწორედ ისე წარმოსახვა, რომ ხილული სინამდვილე მციობელის წარმოსახვაში შეიძლება უსაზღვროებამდე განივრცოს, იყო წყარო ამაღლებულის განცდისა, რაც, თავის მხრივ, ღვთასებრ მიმშრაფი ადამიანის სუბსტანციასთან მიახლოების ნიზანს ემსახურებოდა.

ჰაგიოგრაფი უგულებელყოფს ობიექტურ პრაქტიკას. ღვთაებრივი ძალის დემონსტრაციის ამოცანა კარნახობს მწერალს ხასიათს და კომპოზიციას ხილული სურათისა. ზღვარი „შესაძლებლობისა“ შინაგანი ხილვისათვის ფაქტიურად არ არსებობს.

ნინოს ცხოვრება მოგვითხრობს, რომ „იხილეს სასწაული დიდი და საშენელი“ იქანის დაკავშირებით, რომ ქართლი მოიქცა. და იქმნა „აღმართებად პატიოსნისა ჯუარისა მცხეთისაც“: „აპა ესერა სუეტი ნათლისაც სახედ ჯუარისა

²⁸ ქეგლები, 1, გვ. 285.

დგა ზედა ჯუარსა მას და ათორმეტნი ანგელოზნი დაგვრგვნებულ იყვნეს გარე-მოხს მისა, ეგრევე სახედ ათორმეტნი ვარსკულავნი დაგვრგვნებულ იყვნეს. ხოლო ბორცვ იგი ჯუარისად ერთ-სახედ კუმოდა სულნელად. ... კუალად იხილეს სხუად სასწაული პატიოსნისა ჯუარისად; ვითარცა ცეცხლი დგა და ვითარცა ალი ეგზებოდა ზედა თავსა ჯუარისასა სამგზის მზისა უბრწყინვალესი, და ვითარცა საკუმშილისა რაც ნაბერწყალი აღვალნ ძლიერად, ეგრეს სახედ იყო: აღვიდოდეს ანგელოზნი და გარდამოვიდოდეს ზედა პატიოსნისა ჯუარსა. ხოლო ბორცვ იგი ჯუარისად იხარებდა ძლიერად და ყოველი ქვეყანად იძრვოდა, და მთათა და ბორცუთა და ლელეთა არმური სულნელებისა აღვიდოდა ცამდე, და კლდენი შეიმუსვროდეს...”²⁹.

შინაგან ხილვაზე ერთიანად ორიენტირებული მზერა უაღრესად გამსჭვალვია. „თუ სულიერი თვალი განხმულია, მიწა ვაჭვირვალე სულისათვის“³⁰. „საღმრთო მით სლვითა გონებისათა“ მწერალი ზეცად აღწეული სულის თანამგზავრი ხდება. გიორგი მთაწმიდლის დატირების დახვეწილი ინტიმით გაძობარ ეპიზოდს ასე ამთავრებს გიორგი მცირე: „....განთვისუფლებულ იქმნა საკრველთაგან ქორცთავსა, საბრეე შეიმუსრა, ხოლო სირი აღფრინდა, დაუტევა ეგვატე, რომელ არს ცხორებად ესე ნივთიერი, და წიაღ-ვლო არა თუ ზღუად იგი მეწამული, არამედ შავი ესე და წყუდიადი ზღუად ამის საწუთროისად, შევიდა ქვეყანასა მას აღთქმუმისასა... წარიქადა ჭამლი სულისად, რამთა საღმრთო მით სლვითა გონებისათა წმიდასა მას ქვეყანასა შინა უნივერსალი იმოთხვიდეს“³¹. ზოგადი არის „საკრველთაგან ქორცთავსა“ განტევებული სულისა თავისუფალი ფრინველის ცად აფრენის ხატშია დანახული. ბინდის-გვარი ამ ქვეყნიდან რომ თვალშეულგამი მზით განათებულ აღთქმულ ქვეყანაში მიეღწია, სულმა „წიაღვლო არა თუ ზღუად იგი მეწამული, არამედ შავი ესე და წყუდიადი ზღუად ამის საწუთროისად“. საწუთროს წყვდიად სამყოფელს განრიდებული სული მიწიერი საფარველისაგან იძარცვება, რათა თავის თავს დაუბრუნდეს და უსხეულოდ შეერთოს მარადიულ ნათელს ლოთაებისა, ასევე უნივერსალის. ეს არის „ქამლ-წარჯდილი“ სულის ლივლივი მატერიალური სამყაროს ზემოთ, როცა ხილულ საგნებში ოდნავ აირექლება მშვენიერება უხილვავისა.

რა არის ზოგადი ნიშანი ამ ხილვათა და გამოცხადებათა? პასუხი ნათელია: ხილვის შინაარსის შესაგნებად აუცილებელი იყო, რომ მწერლის წარმოსახვის სუბიექტივიზმის პირდაპირ პროცენტული ყოფილიყო სუბიექტივიზმი მყითბეველის წარმოსახვისა. უაღრესად დიდია მასშტაბი და შინაგანი ძალა იმ მოქმედებათა, რომლებიც ჩვენებებშია ასახული. მაგრამ ეს მოქმედებათან ადამიანიდან არ წარმოდგება. მათ საყოველთაო სუბსტანციური ძალები გაითამაშებენ ხოლმე. ამიტომ „არავინ მოითხოვს მთხოობელისაგან დამაჯერებლობას, მსგავსებას, არ ამოქმედს მას რეალურად დანახულ ფაქტებთან შესატყვისობის თვალსაზრისით. პირიქით, მსმენელთა შორის გამოფენებულია ნდობა ინდივიდუალური ცნობიერების წმინდა ქმედებისადმი, იმ სამყაროსადმი, რომელიც აღამიანის შინაგან მზერას წარმოუდგა. ის, რომ ეს სრულდება, როგორც ჩვენება, ხილვა, ინდივიდუალურ ცნობიერებაში ყოვლისშემძლე ძალის მიერ შე-

²⁹ ძეგლები, I, გვ. 155.

³⁰ რ. შტანერის სიტყვები მოგვაძვს მ. გიგინე შვილის ნაშრომიდან 『მზიანი ღმე』, ვეფხისტყაოსნისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ზოგი საკითხი. კრებული ქართული მწერლობის საკითხები, III, გვ. 53.

³¹ ძეგლები, II, გვ. 194.

ტანილი, თითქოს მეტაფორაა ინდივიდუალური ფანტაზიის ძალისა, ხაზომია მისი სიმძლავრისა³². ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ხილვათა ჭეშმარიტი შინაარსის წვდომა გულისხმობდა მოქმედებულ მკითხველს, სულიერად ამაღლებულს, ხილვის საგანთან მიახლოებულს, „მღვიძარეთა სულითა“. გიორგი მცირე ამბობდა: „თუ ალნი სულისანი მარადის უხილვესა მას დიდებასა ღმრთისას უხილვად განიცდიან, რომელ ესე მცირეთა მიერ მოსაპოვნებელ არიან“³³.

ხილვათა სფეროში ფანტაზია თვითმიზანია. მხატვრული ფანტაზია სხვა ბუნებისაა. იგი საშუალებაა მხატვრული სიმართლის შესაქმნელად, მასალა სახისა. ანტიკურ სცენარიში უკვე გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ ასლგადალება არა ხელოვნების საქმე. ჰესიოდეს („თეოგონია“) ეკუთვნის უძველესი შითითება, რომ მხატვრული ნაწარმოები გამონაგონის, ნამდვილთან დამსხავსების გზით იქმნება. ამ უბრალო განმარტებაში საქმაოდ როული და წინააღმდეგობრივი აზრია ჩადებული: ის, რასაც მრატვრული სახე გვაძლევს, გმონაგონია, მაგრამ გამონაგონია ნამდვილთან დამსხავსების გზით. ე. ი. მხატვრული ფანტაზია არაა წმინდა ფანტაზია, მაგრამ იგი არც ობიექტური რეალობის განშეორებაა. არისტოტელე ამბობს, რომ „პოეტის საქმეა, თქვას არა ის, თუ რა მოხდა, არამედ ის, თუ რა მოხდებოდა“ (§ 9). ბალზაკის სიტყვებია: ხელოვნების ასტატინი „გამოიგონებენ სიმართლეს ანალოგიის მიხედვით“³⁴.

ლიტერატურის ისტორია სავსეა მაგალითებით, როცა პოეტური ფანტაზია ძალიან შორდება განსახიერების საგანს. რათა სრულად გვაზიაროს საგნის არს-სა და მშვენიერებას, სწოდეს ჩის სულბა და ფარულ შინაგან კავშირებს, ხელოვნის წარმოსახვა ხშირად მიმართავს, როგორც საშუალებას, უაღრესად ფანტასტიკურ სურათებს. ისმება კითხვა: სადაა საზღვარი ფანტაზიის გაფრენისა? პასუხი ასეთი შეიძლება იყოს: ხელოვანის სუბიექტურ წარმოსახვას, დანიშნულს ობიექტური საგნის შესაცნობად, უფლება აქვს დასცილდეს ცხოვრებისეულ სინამდვილეს ისეთ მანძილზე, საიდანაც ცნობიერებას კვლავ ძალუძს დაუტრუნდეს განსახიერების საგანს, რომელსაც ამ აქტის შედეგად ვჭვრეტი არა უბრალო ემპირიულ საგნად, არამედ როგორც ჭეშმარიტებასა და სილამაზეს ერთად³⁵ საჭიროა დიდი აღლო ესთეტიკურად მოზომილი ჰარმონიისა, რათა „მსგავს“ საგანში (სახეში) ხელიდან არ გაგვიქრეს შეგრძნობა იმ საგნისა, რისი მსგავსიც იგია. თუ ხელოვანში ეს შეძლო, უაღრესად ფანტასტიკურ სახეშიც კი შევიცნობთ ცხოვრებისეულ შინაარსს და მკითხველს სჯერა მწერლისა. მაგალითად, მკითხველს სჯერა ოდისევსის ბედის ფანტასტიკურ უკუღმართობათა ჰომეროსთან, ქაჯებისა რუსთაველთან, გველის ბუნების კაცომოვარებით აღვსებისა ვაჟა-ფშაველასთან... ამ შემთხვევაში სინამდვილის ტრანსფორმაცია დანიშნულია აღმიანური არსებობის ისეთი შინაარსის შესაცნობად, რაც ადვილად აღსაქმელი არაა, ღრმა და ფარულია. მოქვენებითი, ფანტასტიკური გარეგნობა საგნებისა აქ ღრმა ცხოვრებისეულ ჭეშმარიტებას გვაზიარებს (მაგალითად, თვით გველური ბუნების გამლებობ შშვენიერებას მამულისათვის დაცემული გაუკაცობისა — გავას „ბახტრიონში“).

ამგვარად, მწერლის წარმოსახვა იმისთვის სცილდება საგანს, რომ უფრო დაუსახლო დაცემული გავას მარტივი მას. მხატვრული სახე ყო-

³² Теория литературы, кн. I, стр. 218.

³³ ქეგლები, II, გვ. 125.

³⁴ «Бальзак об искусстве». М.-Л., 1941, стр. 183.

ველოვის დგას საღლაც შუაში მსგავსსა და არამსგავსს შორის. ზედმეტაჯ მსგავსი ნატურალიზმის ნიშნავს, ნაკლებად მსგავსი — იგნორირებას სინამდვილისა. მხატვრული სახე მეტს ძლევს მის აღმქმელს, ვიდრე უშუალო ცეკვას იმ საგნისა, განსახიერებას რომ დაედო საფუძვლად. მართალია, ხელოვანი ინდივიდუალური ფორმით ჭრეტს ჭრშმარიტებას, მაგრამ ინდივიდუალური არ უდრის აქ ერთეულს; სინთეზისა და ტიპიზაციის გზით მასში შეტანილია მსგავს საგანთა არსებითი ნიშნები, ე. ი. განსახიერებას ობიექტი „გაზრდილია“ (ამიტომა საჭირო გარეგნული ტრანსფორმაცია). ხელოვნება ყოველოვის „უმატებს“ არსებულს (ხელოვნება არის გადაჭეარების ერთ-ერთი სახეო, — უთქვამს ოსკარ უაილდს), მაგრამ მიმატება ნებისმიერი არ არის; იგი უნდა მოთავსდეს შესაძლებლის ფარგლებში. მიბაძვის თეორიის საფუძველი სწორედ ესაა — განსახიერება არსებულისა, როგორც შესაძლებლისა, არსებულის შესაძლებელი სილამაზის რანგში აყვანა. ასე შევდივართ ესთეტიკური იდეალის სფეროში, რომელიც არსებული სინამდვილის პოტენციალური შესაძლებლობებითაა ნაკვები.

ასეთია მხატვრული ფანტაზიის დიალექტიკური ბუნება. მხატვრული სახის აღნიშვნული ანტინომია ასე გამოკვეთილად ყველაზე ადრე ქრისტიანული ეს-თეტრიკის ფუძემდებელს — ავგუსტინეს აქვს გათვალისწინებული. ხელოვნების ნაწარმოებს, გვეუბნება იგი, აქვს მიღრეკილება იყოს ის, რადაც მთლიანად ვერასოდეს იქცევა. დაზრტული ადამიანი ვერასოდეს იქნება სრული აღამიახური არსება, რისკენაც ის, ერთი შეხედვით, მიისწრავვის. მაგრამ გამონავონის ავტორის ნება სიმართლის წვდომისყვენა მიმართული და მოჩვენებითი გარეგნობა აქ მართალი განსახიერების უცილობელი პირობაა. ჩვენს წინაშეა მსახიობის ფენომენი: ავტორის ნება აქცევს მსახიობ როსკიუსს ცრუ ჰეკუბად. მაგრამ იგივე ხდის მას ჭრშმარიტ ტრაგიკულ მსახიობად. რჩება რა იმად, რაც არის (როსკიუსად), მსახიობი უნდა იქცეს სრულიად სხვად (ჰეკუბად). აქედან გამომდინარე, ასკვნის ავგუსტინე, ხელოვნების ნაწარმოები მართალია მისთვის ნიშანდობლივი სიცრუს წყალობით²⁵. ამგვარად, გაცნობიერებულია, რომ მხატვრული სიმართლე არის ცხოვრებისეული სიმართლე, რეალიზებული ხელოვნების საშუალებებით.

ქართველ ჰაგიოგრაფთა ნაწერებში ვერ ვპოულობთ რაიმე მითითებას მხატვრული სიმართლის თაობაზე. გამონავონ თემას (ფაბულას) და გმირს, როგორც ითქვა, ქართული ჰაგიოგრაფია არ იცნობს და იმდროინდელი მხატვრული პზროვნება არ სცნობს. თემის მიღმა კი მხატვრული ფანტაზია საგრძნობლად მონაწილეობს ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების ორგანიზაციაში. ქართველ ჰაგიოგრაფთა ყურადღება მთლიანად მიპყრობილია ისტორიული სახელებისადმი, ამბებისადმი (ფაბულა), ცდილობენ ზუსტიდ მიჰყვნენ გარეგნულ მონაცემებს. მაგრამ ისტორია აქ მაიც საშუალებაა ლიტერატურული სახის შესაქმნელად. უნარჩუნებს რა გმირს ისტორიულ სახელსა და ძირითად ქარგას ამბისას, ამ მონაცემებზე დამყარებით მწერალი იწყებს განხივადებას გარკვეულა რელიგიურ-ესთეტიკური იდეალის კვალობაზე. იმისდა მიხედვით, თუ რა გააკეთა ისტორიულად გმირმა, ჰაგიოგრაფი უმატებს დეტალებსა და ამბებს, რაც შეიძლებოდა ან უნდა გაეკეთებინა მას. ის, რასაც ამბობს ამის თაობაზე ძველი რუსული მწერლობის შესახებ დ. ლიხაჩოვი, შეიძლებოდა გაგვემორებინა

²⁵ მოგვაქვს წიგნიდან — К. Гильтер, Г. Кун, История эстетики, стр. 144.

ქართული ჰაგიოგრაფიის მისამართით: „ყოველი ლიტერატურული გმირის სახელის ისტორიულობის მიუხედავად, ლიტერატურა სრულიად არ ასახავდა მხოლოდ ისტორიულ ფაქტებს. ყოველ განსასახიერებელ ისტორიულ პიროვნებაში ავტორები ცდილობდნენ ხორცი შეესხათ ეპოქის იდეალებისათვის...“ ამა თუ ინ ისტორიული პიროვნების სახეში „ავტორები იმდენად არ ასახიერებდნენ იმ ნიშნებს, რომლებიც ამ ჩეალურ პირებს ახასიათებდათ (თუმცა რეალური ნიშნები მეტნაკლებად შენარჩუნებული იყო), რამდენადც მაინცდამაცნც იმ თვისებებს, რომლებიც უნდა ჰქონოდათ მათ, როგორც გარკვეული სოციალური ჯგუფის თუ წმინდანთა გარკვეული კატეგორიის წარმომადგენლებს“. სავალდებულოსა თუ აუცილებლის რაგში გმირის აყვანა კი იდეალიზაციის გზით ხდებოდა. „ამ იდეალიზაციაში გამოიხატება შუა საუკუნეთა მხატვრული განზოგადება“³⁶. განზოგადება კი მხატვრული ფანტაზიის და გამონაგონის ფაქტია უკვე.

მხატვრული გამონაგონის მომენტი თვალსაჩინოა პირველივე ქართული ჰაგიოგრაფიული ნაშარმოების გმირთა სახეებში ისევე, როგორც ნაშარმოების მთელ დანარჩენ სახეობრივ სტრუქტურაში.

ისტორიული ფაქტია ვარსკენის სარწმუნოებრივ-ეროვნული ღალატი, მასთან შეშანიერი დაპირისპირება და ამ უკანასკნელის ტრაგიული სველრი ექვსი წლის მანძილზე. ეს ისტორია ეგებ უფრო დრამატულიც იყო, ისევე როგორც ცხოვრება ზოგჯერ უფრო მშვენიერია, ვიდრე რომელიმე ფერწერულ ტილოზე მოჩანს იგი. არსებულის (მომსდარის) დრამატული ტონუსიდან გამომდინარე, იყობი ამუქებს სალებავებს, ქმნის ფანტასტიკურ სურათს, რათა სიტუაციის რეალურ, მაგრამ მასფრ სინამდვილეში ჩაგვახედოს. სხვა დეტალებს რომ თავა გავანებოთ, გავიხსენოთ ეს სურათი: წამების მეშვიდე წელს უკვე შუშანიკის „წყლულებანი დიდ-დიდნი იყვნეს და მატლიცა დასხმულ იყო წყლულო მათ, რომელ-იგი აღიღო ქელითა თვისითა და მიჩურნებდა მე და ჰმადლობდა ღმერჩა. და თეუა: „ხუცეს, ნუ მძიმე გიჩნ ესე, რამეთუ მუნი იგი მატლი უდადშე არს და არა მოუდების“. და მე, ვითარცა ვიხილე მატლი იგი, მოუგონებელად დიდად მწუხარე ვიყავ და ვტიროდე ფრიად. კუალად მრქუა მე რისხვით: „ხუცეს, რად მწუხარე ხარ: ვიდრე უკუდავთა მათ მატლთა შეჭმასა, უმჯობეს იყავნ ამათ მოკუდავთა შეჭმა აქავე ამას ცხორებასა“. და მე მიუგე და ვარქუ: „ქადისა სამოსელი შცირედ-და შეგერაცხა საგუემელად, და აწ მატლთა მაგათავს მხიარულ ხარ?“³⁷ აყად. კ. კეკელიძეს გარკვეული აქეს ლიტერატურული წყაროც, რომლის გავლენითაც ეს სურათი უნდა იყოს შეთხტული: „უნდა უიყიქროთ, — მებობს იგი, — ეს ეპიზოდი იკობმა შეთხზა სვიმეონის ცხოვრების მიხედვით“³⁸ (იგულისხმება სვიმეონ მესვეტე — უფროსი)

ასე „უმატებენ“ ხშირად ქართველი ჰაგიოგრაფები ისტორიულ სინამდვილეს, აფართოვებენ ჩეალური პირის მოქმედების დაპაზონს, ემპირიული სინამდვილიდან მხატვრულში გადავყავართ. ამ ტრანსფორმაციისას მწერალი გმირს იმას „აკეთებინებს“, რაც მას „შეიძლებოდა გაეკეთებინა“ ან „უნდა გაეკეთებინა“ (გარკვეული იდეალის კვალობაზე) იმისდა მიხედვით, რაც ამ გმირის შესახებ ისტორიულად იყო ცნობილი. შემოქმედის ფანტაზია მასალის არაიშვიათად ლიტერატურული სესხების გზით ქრებდა.

³⁶ Д. С. Лихачев, Человек в литературе древней Руси. М.-Л., 1958, стр. 121.

³⁷ ქეგლები, I, 25.

³⁸ ეტიულები, 2, 103.

ერთი დიდი ადამიანური პრობლემა, რომელსაც კაცობრიობის ფილოსოფიური და მხატვრული აზრი დასტრიალებს, არის მსოფლიო ჰარმონიის, სიკეთის განუყოფელი სუფევის ოქმა. ას საუკუნეობრივ ოცნებას გარევეული პასუხი გასცა ქრისტიანობამ, რომლის მიხედვით, სამყაროს თავდაპირველი სრული ჰარმონია დაირღვა ცოდვის გზით, გაჩნდა ბოროტება. „მთელი ისტორიის აზრი მას შემდეგ იმაში მდგომარეობს, რომ აღდგენილ იქნას ეს პირველყოფილი ჰარმონია, თითოეული მოქალაქე „ღმერთის სუფევისა“ მოწოდებულია ხელი შეუწყოს ამას. განსაკუთრებით თავს იჩენენ ამ მიმართულებით ე. შ. „წმინდანები“ და „მართალი“, რომელთაც შესძლეს ასეთი ჰარმონიის აღდგენა და დამყარება არამარტო თავის საკუთარ პიროვნებაში, — სულსა და ხორცის შირის, — არამედ გარეშე ფიზიკურ ბუნებაშიც“³⁹. ქრისტიანულ მწერლობაში პოპულარულ ამ მოტივს თავი უჩენია ქართულ ჰაგიოგრაფიაშიც. შიო მღვიმელის ცხოვრებაში მოთხობილია, თუ როგორ განაწევსა შიომ მგელი სახელართა მწყემსად. კ. კველიძესვე აქვს მითითებული, რომ ეს ეპიზოდი ავტორს გერასიმე წიაღიორდანელის ცხოვრების ანალოგით გაუმართავს⁴⁰. უაღრესად ადაბიანური შინაარსი — ბუნებასთან ადამიანის მთლიანობისა, ჰარმონიისა სამყაროში, ფანტასტიკურ-რელიგიურ ასპექტშია გაფორმებული.

ჩვენს წინაშეა ადამიანური შინაარსის მხატვრულ სინამდვილედ ტრანსფორმაციის აქტი შემოქმედებითი ფანტაზიის გზით. მოვუსმინოთ პ. პალიევჭკის მსჯელობას: დაუშვათ, რომელიც ისტორიკოსმა გადაწყვიტა თავისი გმირი რაც შეიძლება დიდებულად წარმოგვისახოს და საამისოდ რყენებს „ნათელ ხატოვან ენას“. მივიღებთ თუ არა ხელოვნების ნიმუშს? მკვლევარი უარყოფითად უპასუხებს ამ კითხვას და განაცრობს: „მაგრამ, აი, გატაცებულმა, მან გადააბიჯა დასაშვებ მიჯნას და შეთხსა ორი-სამი გმირობა, ხოლო შემდეგ — კიდევ და კიდევ. გმირს რაღაც საოცარი მოსდის; თითქოს ეს ისაა, მაგრამ ასევე დროს, არაა ის. გმირობანი, რომლებიც მიეწერება, მას არ ჩაუდენია, მაგრამ თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რაც მის შესახებაა ცნობილი, შეეძლო კიდევ მათი ჩადენა. გამორიცხული არაა, რომ ისინი ვიღაც სხვამ ჩაიღინა, მაგრამ ახლა შოექცენ ირბიტაში, ოდნავ შეცვალეს და გააფართოვეს რა მისი გაქანება, მაშინ... მოხდება ხარისხობრივი ძერა. ძევლი სახელით წარმოგვიდგენა ახალი პიროვნება. რეალური პირისაგან განცალკევდება სახე“⁴¹. შემოქმედებითი ფანტაზიის ჩარევით ასე არიან განცალკევებული თავიანთი ისტორიული პროტოპებისაგან შუშანიკი და აბო, გობრონი და კოსტანტი, სერაპიონ ზარზელი, გრიგოლ ხანძთელი და სხვები.

ჩ. ბარამიძე ამბობს: ქართველი ჰაგიოგრაფები „შემოქმედებითი ფანტაზიის საშუალებით ქმნიან მთელ რიგ სცენებს და სურათებს, გადმოვცემენ პერსონაჟის განცდებს, რის შედეგადაც ახდენენ მოქმედების მოტივაციას და რეალობის სრულ ილუზიას ქმნიან, რაც განსაკუთრებულ დამაჯერებლობას ანიჭებს მათ ნაწარმოებებს. მაგალითად, იყობ ცურტაველი არა იშვიათად აღწერს შუშანიკის ციხეში ყოფნის განცდებს და ფიზიკურ მდგომარეობასაც იმ შემთხვევაში, როდესაც ის იქ არ არის და ვერც ხედავს“⁴². მსგავსი სიტუაციები მრავლად შეიძლება მოვიგონოთ ყველა ჰაგიოგრაფიული ტექსტიდან. მაგალი-

³⁹ კ. კველიძე, ეტიუდები, 2, გვ. 103—104.

⁴⁰ ი ქვე, გვ. 106.

⁴¹ Теория литературы, кн. I, стр. 86.

⁴² ჩ. ბარამიძე, ნაწარმოები მხატვრული პროზის ისტორიიდან, გვ. 147.

თად, საპყრობილები აბოსთან შედიან „ცრუ-მოძღვარნი და შემასმენელნი“. განა „მშვენიერი სიცრუე“ (ასე უწოდებდა მხატვრულ გამონაგონს სტენდალი)⁴³ არ არის ის სიტყვები, რომლითაც ისინი აბოს მიმართავენ: „შვილო, ნუ განიშირავ თავსა შენსა, ნუცა სიჭაბუტესა შენსა განპევარი ქრისტეანედ და ნუ-ცა ძმათა და ნათესავთა შენთა განეშორები, რადთა არა შეამთხვო ძრი თავსა შენსა და შეგუაწუხნე ჩუენ ყოველნი“⁴⁴. შოგაზენილთა სიტყვების ზუსტად ფაქსაციის მოჩვენებითობაა აյ „სიცრუე“, მაგრამ ეს არის შესაძლებლიდან ამოსული წარმოსახვა, რომელიც ქმნის მშვენიერ ხატს იმ ადამიანთა სულიერი სინამდვილისა, რომლებიც ამ სიტყვებს წარმოთქვამენ. სახეობრივი აზრი, რომელიც ამ სიტყვების საგნობრივი შინაარსის იქეთ იკვეთება, ჩვენს წინ აშენვლებს სულს ფარისეველთა და ვერაგთა. თუ იმასაც გვითვალისწინებთ, რომ ცრუ-მოძღვართა ლიტერატურაში მოწმის წინაშე უმრავლეს მარტვილოლოგიურ ძეგლებში იჩენს თავს, გამოდის, რომ საქმე გვაქვს წმინდა ლიტერატურულ მოტივთან და წარმოდგენილი სცენა, საერთოდ, თავიდან ბოლომდე მხატვრული გამომგონებლობის ნაყოფად შეიძლება ვიგულვოთ. ეს სიტუაცია მხატვრული სახეა იმ გარემოებისა, რომელშიც აბოს ხსიათი აირეკლება, ხოლო მოწმის რეაგირება, თავის მხრივ, შუქს ჰფენს იმ გარემოებას, რომელშიც ხსიათია მოქცეული.

ისტორიკოსი ვერ შეცვლის ისტორიული პირის „პროზაულ“ (ფაქტობრივი რეალობიდან მომდინარე) ნიშან-თვისებებს. ჰეგელი ამბობს, რომ „ისტორიკოსს უფლება არა აქვს ჩააქროს ეს პროზაული დამახასიათებელი ნიშნები... ან გადააქციოს ისინი სხვად — პოეტურად; ის ვალდებულია მოგვითხროს ის, რაც მის თვალშინ არის და როგორც იგი მას ეძლევა, არ გადაასხვანაიროს და არა-ფერი შემოიტანოს პოეტური“⁴⁵. იაკობ სუცესი კი „ასხვანაირებს“ ისტორიულ რეალისა, როცა ეს უკანასკნელი შემთხვევითა და არ შეესაბამება მოვლენის სიღრმესისულ არს. მხედველობაში გვაქვს შუშანიკის მიმართვა ვარსკენისადმი, სადაც არშუშა პიტიახშის პიროვნებაა წარმოჩინებული: „მამამან შენმან აღ-პმართნა სამარტვლენი და ეკლესიანი აღაშცნნა და შენ მამისა შენისა საქმენი განპრეუნენ და სხუად გარდააქციენ კეთილნი მისნი; მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახიდ თვისა, ხოლო შენ დევნი შემოიხუნე; მან ღმერთი ცათად და ქუეყანისად აღიარა და პრშენა, ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უვარ-ჰყავ და ცეცხლსა თაყუანის-ეც“⁴⁶.

როგორც ჩისტორიო მწერლობის მონაცემებიდანაა ცნობილი, ვარსკენის მამამ — არშუშა პიტიახშმა უარყო ქრისტიანობა და მაზდეანობა მიიღო. მაგრამ იმავე წყაროდანვე აშკარაა, რომ ეს იყო იძულებითი და ფორმალური აქტი, ისტორიული შემთხვევითობის ნაყოფი, რითაც სამშობლოს თავისუფლები-სათვის შედგარი და ჭევიანი მებრძოლი ცდილობდა თავისი ხალხი ეხსნა ავრე-სიულად შემართული სპასერთის მახვილისაგან. არშუშას დიპლომატიური ნაბიჯი შექმნილ მძიმე სიტუაციაში საუკეთესო გამოსავალი აღმოჩნდა ქართველი ხალხისათვის⁴⁷. თუ საისტორიო ჟანრის თხზულებაში არშუშა პიტიახშის გამაზ-

⁴³ «Литературные манифести французских реалистов». Л., 1935, გვ. 41.

⁴⁴ ძეგლები, I, გვ. 66.

⁴⁵ Г е г е л ь . ლექции об искусстве. Сочинения, т. XIV, стр. 183.

⁴⁶ ძეგლები, I, გვ. 15.

⁴⁷ ლ. -ნ. გ. ა ნ ა შ ი ა, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 109-136, 223-243.

დეანება საგანგებო ყურადღების საგანია, იყობ ხუცესი მთლიანად მომაგდებს განსახიერებიდან ისტორიულად საგულისხმო ამ რეალიას და არშუშის თანა-ძიშვერულ და უკომპრომისო ქრისტიან მოღვაწედ წარმოგვიდგენს. აյ „ჩა-აქრო“ ხელოვანმა ისტორიული პირის პრაქტიკული საქმიანობისათვის დამა-სიათებელი ერთი ნიშანი, იგი პოეზიის შესაბამის თარგზე გადაასხვანირა. ამ ცვლილების არს ზუსტად უდგება და ამომწურავად გვაეგბინებს ჰეგელის მსჯე-ლობა: „ეს გარდაქმნა არს პოეზიის მთავარი დანიშნულება, როცა იგი თავისი მასალით ისტორიული თხრობის სფეროში შედის. ამ შემთხვევაში მან უნდა გახსნას შინაგანი მარცვალი და აზრი მომხდარისა, ქცევისა, ნაციონალური ხა-სიათისა, გამოჩენილი ისტორიული პიროვნებისა, აიცილებს რა შემთხვევითო-ბათა თამაშს, მნიშვნელობის არჩევნე თანმხლებ გარემოებებს, უმნიშვნელო ამ-ბებს და ნიშნებს ხასიათისა“⁴⁸. იყობ ხუცესი, ვითარცა ხელოვანი, უფლებას იტყვებს თავისუფლად მოექცეს ისტორიულ მასალს, რათა იგი გარეგნულადაც ესატყვისებოდეს შინაგან ჭეშმარიტებას, არს პიროვნებისა.

იმავე თხზულებაში მეორეგანც შეგვიძლია დავიდასტუროთ მწერლის თა-ვისუფალი მიმართება ფაქტობრივი რეალობისადმი. იყობი ხატავს იმ გარე-მოს სურათს, სადაც შუშანიკი იტანჯებოდა: „უამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწულელი იგი მეურვალება მზისაა, ქარნი ხორშავნი და წყალნი მაგნებელნა; რომლისა მკვიდრნიცა მის ადგილისანი საესენი სენითა, წყლითა განსივებული და განცვალებული, დაწერტილნი და დამჭინარნი და დამლირებული, ჩარა-დოვანნი, პირ-მსივანნი და დღემოკლედ ცხორებულნი; და მოხუცებული არ-ვინ არს მათ ქუცავათა“⁴⁹. სურს რა დაამტკიცოს, რომ ჰაგიოგრაფია საისტო-რიო მწერლობის უანრია, მ. ლორთქითანიდე იყობის თხზულების ამ მონაკვეთის შესახებ წერს: „უაღრესად კონკრეტული და მრავალმხრივია იმ გოგრაფიული გარემოს აღწერილობა, სადაც მიმდინარეობს მოქმედება. შუშანიკის საბყრობი-ლეში ყოთნის აღწერისას იყობ ხუცესი იძლევა იმ მხარის შძიმე ბუნებრივი პირობების დახასიათებას“⁵⁰. ვერ დავვთანხმებით ამ სტრიქონების ავტორს. „უაღრესად კონკრეტული“ კი არა, ნაკლებ კონკრეტულია მოტანილი სურათი, თუ მას ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით მივუდებით და მოვინდო-შებთ იგი ფაქტობრივი სიზუსტით მივუსაღავოთ ჰერეთის თუ საქართველოს სხვა რომელიმე კუთხის გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებს. რას მისცემს ამ მონაკვეთის ისტორიული ინტერპრეტაცია მკითხველს? ვერაცერს. სად ვე-ძიოთ საქართველოში ის აღვილი, რომლის მკვიდრნიც ყოფილია „საესენი სე-ნითა, წყლითა განსივებული და განცვალებული, დაწერტილნი და დამჭინარ-ნი და დამლირებული, ჩარადოვანნი, პირ-მსივანნი...“ და სადაც მოხუცებული არავინ ყოფილა.

მხატვრული სახის სიტყვასიტყვით „შავითხვას“ უმეტესად გაუგებრობა— დე მივყავართ. ჩვენს წარაშეა მხატვრული სახე გარემოსი, გმირის წარმოსაჩე-ნად კონსტრუირებული წრინდა პოეტური ფანტაზიის გზით. ავტორს სულაც არ აინტერესებდა ჰერეთის ბუნების სურათი შეექმნა. მისი მიზანი იყო შუშანიკის იდეალიზაცია, „კაცთაგან მიუთხოვებელი“ მისი ღვაწლისა და გმირობის წარ-მოსახვა. რწმენისათვის თავდადებული დედოფლის ხვედრის განსაკუთრებულ

⁴⁸ დასახელებული ტომი, გვ. 188.

⁴⁹ ქეგლები, I, გვ. 25.

⁵⁰ მ. ლორთქითა ქიფა ნიკე, ადრეცენდალური ხანის ქართული საისტორიო მწერ-ლობა, გვ. 22.

ტრაგიზმს მწერალმა იმითაც გაუსვა ხაზი, რომ იგი ადამიანისთვის ფანტასტიკურად უტანელ გეოგრაფიულ გარემოში წარმოვისახა. სურათი ამ გარემოსი საგანგებოდ გამუქებული საღებავებითა შესრულებული. პოეტური წარმოსახვა უაღრესად გაბედულ ტრანსფორმაციას ახდენს ფაქტობრივი რეალობისა. მოჩვენებითი გარეგნული ფორმა, კონკრეტული გარემოს საგნობრივ რეალობას დაცილებული, დანიშნულია, რათა პერსონაჟის ზეადამიანურ სულიერ და ფიზიკურ ტკივილებს დაუახლოვოს მყითხველის აღქმა.

თუმცა გრიგოლ სანძთელის ცხოვრება ძვირფას ისტორიულ წყაროდ ითვლება, მისი ავტორიც არ ერიდება ისტორიული რეალობის მხატვრული იდეალის კვალობაზე შეცვლას. მერჩულეს არაბთაგან მოოხებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ცხოვრების გამოცოცხლების შოთავედ გრიგოლი და მისი მოწაფეები გამოყავს. სწორედ მ. ლორთქიფანიძის დამსახურებაა იმის გარკვევა, რომ ამ „მხარის კოლონიზაცია ცარიელ აფგილზე არ დაწყებულა. აგრეთვე წინააღმდეგ მერაბულეს თხობისა, ამ კოლონიზაციის პიონერები სასულიერო პირები არ იყვნენ“⁵¹.

მაგრამ უმეტესად ჰავიოგრაფი არაფერს ცვლის ისტორიულ მონაცემთაგან, არ „უმატებს“ რეალურ პირს რაიმეს. მხატვრული წარმოსახვის თავისებურება ჰავიოგრაფიულ მწერლობაში განზოგადების სპეციფიკური მეთოდით — იდეალიზაციითა განსაზღვრული. ამიტომ ისტორიული მონაცემებზე მხატვრულ ორგანიზმი გარკვეული „გაცხრილების“ და გამორჩევის ნიადაგზე შეიტანება. განუმეორებელი და ღრმა ინდივიდუალობის ნიშნები, რაც დაარღვევს იდეალის საბოლოო მთლიანობას, ისტორიული პირის მხატვრულ სახე-ში მწერალს არ შეაქვს. ისტორიულ მონაცემთაგან ჰავიოგრაფი ტოვებს იმას, რაც შეესატყვისება რელიგიურ-ესთეტიკურ იდეალს ქრისტიანული პოეზიისა. ასე შერჩეულ შტრიხებს კი ქრისტიანული ხელოვნების აღიარებულ გმირთა ნიშან-თევისებებს მიუსადავებს. ამისდაცვალად, ისტორიული პირისაგან კვლავ განცალკევდება სახე, იდეალიზირებული ხასიათი. მსგავს შემთხვევაში, როგორც იტყოდა პ. პალიევსკი, „გამოგონება ჩატულია მხოლოდ ერთის შეხედვით: მისი ფარული მუშაობა არაა შეწყვეტილი“⁵². მხატვრული წარმოსახვის ასეთი თავისებური „მუშაობითა“ აღბეჭდილი ქართული ჰავიოგრაფიის გმირთა ლიტერატურული პორტრეტები. ამ პორტრეტებში უმეტესად ისტორიულა რეალიები თითქმის ზუსტადაა შეტანილი, მაგრაც ისინი აღნიშნული პრინციპითაა გამოწვლილური, მსოფლიო ჰავიოგრაფიის პოპულარულ გმირთა თარგზეა „გამოწრილი“, შეფერილი და ამგვარად განზოგადებული. მაგალითად, კ. ჯველიძე სრულიად ცხად ანალოგიათა და პარალელთა საფუძველზე აჩვენებს, რომ „გრიგოლის ცხოვრების“ დაწერისა და გაფორმებისას გიორგი მერჩულს მისაბად მაგალითად უეჭველად საბას „ცხოვრებაც“ ჰქონდა⁵³. ლიტერატურული დასესხების მაგალითები ჩვენ ზევითაც მოვიტანეთ.

წმინდა მხატვრული ფანტაზია მძღვრი კონსტრუქციული ძალაა სიტუაციათა და მოქმედებათა სახეებში. აი, სურათი სტეფანე შტბევარის ნაწარმოებიდან: აბულ-კასიმი და მისი ჯარი „მოვიდეს და მოადგეს ციხესა მას ყველისასა, საბა პალესტინელისა“.

⁵¹ დასახელებული ნაშრომი, გვ. 86—87.

⁵² Теория литературы, кн. I, გვ. 86.

⁵³ კიმენი, ტ. 2, გვ. 128. იგულისხმება კირილე სკვითოპოლელის თხზულება—«ცხოვრება საბა პალესტინელისა».

ჩვენც: ჩვენც... ვებრძოდით. იქვე, 244,31; ჩვენც ისე დავიწყოთ. იქვე, 124,6; ჩვენც გვემის ეგენი. იქვე, 146,12.

თქვენც: თქვენც წამოდით. იქვე, 212,21; თქვენც რომ ეგრე ჰქონა. იქვე, 157,26; თქვენც და და პატიოსანი ნათესაობა გყავს. იქვე, 182,15.

ასეთივე სურათს გვიჩვენებს -და და -ვა ნაწილაკიანი პირის ნაცვალსახელები: მეღა, შენღა, ჩვენღა, თქვენღა; მევე, შენვე, ჩვენვე, თქვენვე.

-ც(ა) ნაწილაკი ბრუნებად ნაცვალსახელებსაც დაერთვის. აქ უკვე არ დაიშის ბრუნების სახეობის საკითხი. **-ც(ა)** ნაწილაკი, როგორც წესი, ყოველთვის ბრუნვის ნიშნის შემდეგა. იგი არასოდეს არაა შეზრდილი ფუძესთან, არასოდეს არ უსწრებს წინ ბრუნვის ნიშანს.

ამანაც: იმ სადილზედ ამანაც გადუსო ოროოდ ჭიქა. ილია, 217,15.

ამასაც: ამასაც გამოეღვიძა. იქვე, 203,22.

იმანაც: ეგეები იმანაც იცოდა. იქვე, 270,21.

იმასაც: ჭანი იმასაც გავარდნია. იქვე, 177,8.

ვისაც: ვისაც თავში ტვინი აქვს. იქვე, 159,25.

რასაც: რასაც თვალით ჰქონდავდა. იქვე, 121,2.

ასევეა: რომელმაც, რომელსაც; რამდენმაც, რამდენსაც; სხვამაც, სხვასაც; ზოგმაც, ზოგსაც.

როგორც ჩანს, გვაქვს ბრუნების ერთი სახეობა. იქმნება წესი, რომელმაც გამონაკლისი არ იცის — **-ც(ა)** ნაწილაკი ყველა ნაცვალსახელთან ყველა ბრუნვაში ყოველთვის ბოლოკიდურია. ნაცვალსახელთა ნებისმიერი შეცვლა — პირის ნაცვალსახელი + **-ც(ა)**, ჩვენებითი ნაცვალსახელი + **-ც(ა)**, კითხვითი ნაცვალსახელი + **-ც(ა)** არაფერს არ ცვლის. ეს იმასაც ნიშნავს, რომ წესს ქმნის მხოლოდ ნაწილაკი. ყველა იმ წესის განმსაზღვრელი, რომელიც დადგინდება ნაწილაკდართულ ნაცვალსახელთა ბრუნებასთან დაკავშირებით, არ შეიძლება იყოს მხოლოდ ნაწილაკი. ნაწილაკდართულ ნაცვალსახელთა ზოგიერთი ტიპიური შემთხვევის განხილვა წესის განმსაზღვრელად იმ ნაცვლსახელს ვარაუდობს, რომელსაც დაერთვის ნაწილაკი. ამის შესახებ ქვემოთ.

ისმის კითხვა: რატომაა შეუძლებელი **-ც(ა)** ნაწილაკის შეხორცება ფუძესთან. რატომ არ გვაქვს, მაგალითად, ასეთი ფორმები:

ვინ-ცა-მ, შდრ. ვინ-მე-მ

ვინ-ცა-ს, შდრ. ვინ-მე-ს

ვინ-ცა-თი, შდრ. ვინ-მე-თი

ვინ-ცა-დ, შდრ. ვინ-მე-დ

ასეთი ფორმების შეუძლებლობა **-ც(ა)** ნაწილაკს უპირისპირებს ყველა სხვა ნაწილაკს, რომელიც კი შეიძლება დაერთოს ნაცვალსახელს საერთოდ და ერთხელ კიდევ ადასტურებს **-ც(ა)** ნაწილაკის შესახებ გამოთქმულ შოსაზრებას: **-ც(ა)** ნაწილაკი „ჩვენებითი ნაცვალსახელის ერთ-ერთი სახეობა უნდა იყოს“².

აქვე უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება: სხვა ნაწილაკებიც შეიძლება მომდინარეობდეს დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვებიდან, მაგრამ ისინი მაინც ერწყმინდ ფუძეს — წინ უსწრებენ ბრუნვის ნიშანს. საგულისხმოა, რომ ყველა ეს ნაწილაკი (**-ვა**, **-და**, **-მე**) უძველესი დროიდან

² გ. როგავა, ჰიპოტეზის საკითხისათვის ქართულში, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948, გვ. 377.

გვაქვს ენაში, -ცა(ა) ნაწილაკი კი თავის სამოქმედო არეს შედარებით გვიან ითვართოებს³. ამ ასპექტით, -ცა(ა) ნაწილაკში ჩამარხული ცოცხალი წარმოდგენა — დამოუკიდებელი სიტყვისათვის დამახასიათებელი ტოლფარდი მნიშვნელობისა — შეიძლება უფრო ძლიერი იყოს ვიდრე -ვე, -ღა, -მე ნაწილაკებში და ეს იყოს მიზეზი მისი ფუძესთან შეზრდის შეუძლებლობისა.

ბრუნების სახეობის საყითხი ისმის -მე, -ვე, -ღა, -ღაცა ნაწილაკდართულ ნაცვალსახელთა ბრუნებისას.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია ნაწილაკიან ნაცვალსახელთა ბრუნების სამგვარი სახეობა. შეუზრდებო ი (ძველი), შეუზრდილი (ახალი) და ნარევი⁴. „შეუხორცებელი ბრუნებისას იცვლება სახელი, ხოლო ნაწილაკი დაერთვის ბრუნების ფორმას... შეხორცებული ბრუნებისას ბრუნვის ნიშანი ნაწილაკის შემდეგ მოდის, ნაწილაკი ფუძესაა შეხორცებული და სახელი ნაწილაკთან ერთად იბრუნვის როგორც ბოლოხმოვნიანი სახელი... ნარევი სახეობა მიღებულია შეუხორცებელი სახეობის ხელახლა გაფორმებით, ე. ი. ბრუნვის ნიშანი დაერთვის სახელს ნაწილაკის წინაც და ნაწილაკის შემდეგაც”⁵.

დავასახელებთ შაგალითებს:

ნაწილაკი -მე, ნაცვალსახელი ვინმე .

ა. ნაწილაკ შეუხორცებელი სახეობა.

ვინმე: შეუტყვია ვისმე. ილია 187,24; ასევეა: 235,20; 236,19; 61,13; 81,11; ვისმე დაგაცადოთ. აკაკი, 236,31⁶; ასევეა: 158,14; 122,28; 73,11; 55,22; ეძახდა ვისმე. ვაჟა, 28,5⁷; ასევეა: 10,15; 343,5; 238,11; 195,1; 169,4; 156,19; 105,26; ვისმე გაეტარებინოს. გოგებ. 64,11⁸.

ბ. ნაწილაკ შეუხორცებული სახეობა.

ნაცვალსახელი ვინმე მოთხოვნით ბრუნვაში მხოლოდ ერთი ფორმით შეიძლება შეგვხვდეს ვინმე. მას საპირისპირო ფორმები — ნაწილაკშეუხორცებელი და ნარევი წარმოებისა არ მოეპოვება. ეს ფორმა ჩვენ არ გვჭირდება არც რაიმე სხვა ფორმასთან შესაღარებლად, არც მისი ხმარების სიხშირის განსასაზღრავად საპირისპირო ფორმათა უქონლობის გამო. ამიტომ მაგალითებს ტიქსტებიდან არ დავასახელებთ⁹.

ვინმეს: ვინმე ს ვიცნობ. აკაკი, 328,1.

გ. ნარევი სახეობა.

ვინმეს: ვისმე ს მოეშალა. ილია, 131,28; ვისმე ს უნდოდეს. აკაკი, 102,33; ასევეა: 114,19; 143,22; 294,3; 300,11.

³ ა. მარტიროსო, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბილისი, 1964, გვ. 201.

⁴ ა. შარიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1953, გვ. 104.

⁵ ვ. თოფურია, -მე, -ვე, -ღაცა ნაწილაკიან სახელთა ბრუნება, კრებული «სახელის ბრუნების ისტორიისთვის ქართველურ ენებში», თბილისი, 1956, გვ. 131.

⁶ ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. VII, თბილისი, 1958.

⁷ ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. V, თბილისი, 1964.

⁸ ა. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. IX, თბილისი, 1962.

⁹ იგივე უნდა ითქვას «რამე» ნაცვალსახელის მოთხოვნითი ბრუნვის შესახებ.

ვინმე ნაცვალსახელის ბრუნების ნარევი წარმოება გულისხმობს მხოლოდ მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებს. ეს გასაგებიცაა: ვინმე ნაცვალსახელი ნაწილაკშეუხორცებელი ბრუნებისას გვაძლევს მხოლოდ ორი ბრუნვის — მიცემითისა და ნათესაობითის ფორმებს. ამდენად, არ აჩვებობს სხვა ბრუნვის ფორმა, რომლის ხელმეორედ ბრუნება მოგვცემდა ნარევ წარმოებას.

ნაცვალსახელი რამე

ა. ნაწილაკშეუხორცებელი სახეობა.

რასმე: გიშვრუბლიდა რასმე: ილია, 255,10; ასევეა: 296,7; სწერს რასმე აკაკი, 147,21; ასევეა: 48,17; 37,11; 53,1; 213,30; 250,32; 112,4; რასმე ეუბ-ნება ვაჟა, 65,21; ასევეა: 67,8; 68,14; 323,26; 272,21; 180,15; 160,22; 156,30; 143,38.

ვაჟასთან ნაცვალსახელი რამე სხვა ფორმითაც გვხვდება. რაიშ და რაიშა: ჩემთან მოიდა ისი და სხვა რაიშ ეტანა... თავმამწონ არა რაიშა, გაბოზილა, ქველი ქუდის ჩაჩა ეჭურა. ვაჟა, 57,22; შესაბამისად გვაქვს: რა-ს ამ და რას ამა: დედა საღა გყავოთ, ვკითხე, კაცს რას ამ გაჰყვა. 54,31. აქ კაკლები მეყარა და დაუთხევავ რას ამა. 174,21.

რასმე: რასმე ჩაიდენდა. გოგებ., 157,11;

რითომე: რითიმე არ გაეკითხა. ილია, 254,23; რითიმე გარგოთ. ვაჟა, 109,7.

ბ. ნაწილაკშეუხორცებული სახეობა.

რამეს: რამეს მკითხავდა. აკაკი, 62,31; ასევეა: 333,5; 328,32; 328,30; 320,23; 330,18; 163,25; 148,13; 91,26; 66,20; რამეს მოუმატებდა. ვაჟა, 310,26.

რამესი: გაგვიძნელდებოდა გაგება რამესი. აკაკი, 74,20.

გ. ნარევი სახეობა:

რასმეს: გიშველის რასმეს. ილია, 52,13; ასევეა: 221,4; რასმეს გე-ტყოდით. აკაკი, 209,18; ასევეა: 223,6; 267,27.

რასმის: მეც მინდოდა ერთი რასმის თქმა. ილია, 93,16.

რათმედა: მაგის ტყვიის ზუზუნი ერთ რათმედა ჰლირს. იქვე, 260,27.

ასევე პარალელურ ფორმებს წარმოგვიდგენს ნაცვალსახელები: რამდენიმე, რომელიმე, რამოდენიმე: რამდენსამე//რამდენიმეს; რომელსამე//რომელი-მეს; რამოდენსამე//რამოდენიმეს... და -ვე ნაწილაკდართული ნაცვალსახელებიც: ამასვე//იგივეს//იმავეს; ყოველსავე//ყოველივეს; ისეთსავე//ისეთივეს; ჩვენ-სავე//ჩვენივეს...

ნაწილაკი -და, ნაცვალსახელი ვინდა

ა. ნაწილაკშეუხორცებელი სახეობა.

ვისლა: ვისლა შეუძლია. აკაკი, 236,5; ასევეა 236,5; ვისლა ჰქონდა. ვაჟა, 239,2; ასევეა: 160,19; 123,22.

ბ. ნაწილაკშეუხორცებული სახეობა.

ვილას: შენ ვიღას მეტიჩარა ხარ; ილია, 310,33, ვიღას ახსოეს. აკაკი, 285,25; ვიღას მოაგონდებოდა. ი. გოგებ. 34,33.

ნაცვალსახელი რაღა

ა. ნაწილაკშეუხორცებელი სახეობა.

რამდა: რამდა მოგაგონა. ვაჟა, 49,28.

რასლა: რასლა ამბობენ. ვაჟა, 12,4.

რისალა: რისალა გეშინია. აკაკი, 198,16.

რადღა: რადღა გავიწყდებათ. ვაჟა, 180,29.

ბ. ნაწილაკშეუხორცებული სახეობა.

რაღას: ხალხი რაღას პხარხორებდა. ილია, 238,9; ქსევეა: 233,26; რაღას ოტყვი. აკაკი, 142,19; 236,34; 236,35; 322,18; რაღას ამბობ. ვაჟა, 56,28; ასევეა: 8,15; 340,16; 317,38; 190,8; 169,1; 140,24; რაღას გააწყობდნენ. გოგებ. 87,19.

რაღად(ა): რაღად გივირს. ილია, 314,6 მე ცოცხალი რაღადა ვარ. ილია, 168,22; რაღად გაუშვითმეოქი. ვაჟა, 62,23; რაღად მოგეწონათ. გოგებ. 15,27.

-ღა ნაწილაკი ჩვენებით ნაცვალსახელებსაც დაერთვის. აქ იგი ყოველთვის ბრუნვის ნიშნის შემდეგაა: ამანღა, ამასღა, ამისღა, ამითღა; იმანღა, იმასღა, იმისღა, იმითღა...

ნაწილაკი -ღაც(ა), ნაცვალსახელი ვიღაცა

ა. ნაწილაკშეუხორცებელი სახეობა.

პროფ. ვ. თოფურიას ნაშრომში „-მე, -ვე, -ღა, -ღაც(ა) ნაწილაკიან სახელთა ბრუნება“ დასახელებულია ასეთი ფორმა ვისღაც¹⁰.

ბ. ნაწილაკშეუხორცებული სახეობა.

ვიღაცამ: ვიღაცამა სთქვა. ილია, 192,26; ვიღაცამ გაიხმაურა. იქ-ვე, 231,8; ქსევეა: 168,6; 304,31; 236,13; ვიღაცამ დაახველა. აკაკი, 20,6; ასევეა: 41,2; ვიღაცამ დაარაკუნა. გოგებ. 16,23.

ვიღაცას: „ვიღაცას“ წარმოლევნა... აღარ შემეძლო. აკაკი, 312,28; ვიღაცას ემუქრება. ვაჟა, 202,15; ვიღაცას უთქვამს. ილია, 319,18.

ვიღაცის(ა): იჯდა ვიღაცის საფლავზედ. ილია, 324,10; ხელი ვიღაცისა პხედებოდა ბურღოს. ვაჟა, 178,8.

გ. ნაწილაკებულა ჩართულია ბრუნვის ნიშანი.

ვიღამაცა: ვიღამაცა სთქვა. ილია, 243,26; ხელი მოჰკრა ვიღამაც. ვაჟა, 126,37.

ვიღასაც: ვიღასაც ულერებდა. ილია, 292,4; მიუბრუნდა ვიღასაც მღვდელი. იქვე, 71,6; ვიღასაც ექებს იქვე. 309,25. ვიღასაც მიეწვია. იქვე, 86,5; ვიღასაც წაეხურა. ვაჟა, 129,11; ვიღასაც ყეფა დაუწყო. ვაჟა, 69,26.

ნაცვალსახელი რაღაცა

ა. ნაწილაკშეუხორცებელი სახეობა.

რასლაც: არღალამაც დაუწყო რასლაც ქებნა. ვაჟა, 171,18.

¹⁰ კრებული «სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში», თბილისი, 88. 136.

ბ. ნაწილაკშე ხორცებული სახეობა.

რაღაცამ: რაღაცამ გამოაფენიშლა. აყავი, 150,2. თითქო შეაშინა რაღაცამი. ილია, 312,6.

რაღაცას: რაღაცას მიამზობდა. ილია, 80,9; ასევეა: 240,15; 225,18; რაღაცას ბუტბუტებდა. აყავი, 254,6; ასევეა: 114,25. რაღაცას მოსოფელის. ვაჟა, 303,3; ასევეა: 174,16; 38,20. რაღაცას იგონებდა. გოგებ. 61,11.

რაღაცის: რაღაცის თქმა უნდაო. აყავი, 315,8.

გ. ნაწილაკებშუა ჩართულია ბრუნვის ნიშანი.

რაღამაც: რაღამაც გრიალი დაწყუო. აყავი, 24,9.

რაღასაც: რაღასაც ველოდი. ილია, 105,18; რაღასაც იგონებსო. იქვე 121,1; რაღასაც ეუბნება. იქვე, 234,1; რაღასაც მიაგნოვო. იქვე, 279,18; ჰეიქრობდა რაღასაც. აყავი. 219,20; რაღასაც ლაპარაკობდნენ. იქვე, 108,1; რაღასაც ელაპარაკებოდა. ვაჟა, 73,25. დაუშებულ რაღასაც ძებნა. ვაჟა, 170,17; რაღასაც ფეიქრობენ. ვაჟა, 201,13; ფეხი რაღასაც წამოვკარ. ვაჟა, 241,2; რაღასაც ანგარიშობდა. ვაჟა, 66,7.

-ლაც(ა) ნაწილაკდართული ნაცვალსახელები მიცემით ბრუნვაში სამ განსხვავებულ ფორმას გვიჩვენებს: ვისლაც(ა), ვიღაცას, ვიღასაც, რასლაც(ა), რაღაცას, რაღასაც. პირველია ნაწილაკშეუხორცებელი წარმოების ნიშანი, მეორე კი შეხორცებულისა. ვიღასაც მიჩნეულია ნარევი ანუ გარდამავალი წარმოების ნიმუშად. ა. მარტიროსოვი ნაშრომში „ნაცვალსახელი ქართველურ ენებში“ წერს „ცნობილია -ლაც(ა) ნაწილაკიან განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა ბრუნების სამი სახე: ნაწილაკშეუზრდელი, შეზრდილი და ნარევი. პირველ შემთხვევაში ნაწილაკი უშუალოდ ბრუნვის ფორმას დაერთვის ბოლოში. მეორე შემთხვევაში იგი მთლიანად ფუძესაა შეზრდილი და ბრუნვის ნიშანი მას მოსდევს, ხოლო ნარევ ანუ გარდამავალ ფორმაში ორი -ლა-ცა ნაწილაკიდან პირველი ფუძეს არის შეზრდილი, მეორე კი ბრუნვის ფორმას დაერთვის ბოლოში“¹¹.

მაგრამ როგორ წარმოებას ეწოდება ნარევი ანუ გარდამავალი?

იმავე ნაშრომში ვკითხულობთ: „წარმოების მიხედვით არასწორ და ამდენად არალიტერატურულ ნორმად ითვლება განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა მესამე ე. წ. ნარევი ანუ გარდამავალი სახეობა, რომელიც მიღებულია ნაწილაკშეუზრდელი ფორმების ხელახლა ბრუნებით. ასეთ შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი სახელს დაერთვის ნაწილაკის წინაც და მის შემდეგაც“¹². ნიმუშებად დასახელებულია ვისმეს, რასმეს...

ისმის კითხვა: არის თუ არა ასეთივე ნარევი ანუ გარდამავალი წარმოების ნიმუში ვი-ლა-სა-ც?

პროფ. ვ. თოფურია ნარევი წარმოების შესახებ წერს: „ნარევი სახეობა მიღებულია შეუხორცებელი სახეობის ხელახლა გაფორმებით, ე. ი. ბრუნვის ნიშანი დაერთვის სახელს ნაწილაკის წინაც და ნაწილაკის შემდეგაც (სახელს ფუძე + ბრუნვის ნიშანი + ნაწილაკი + ბრუნვის ნიშანი)¹³. იქვეა

¹¹ ა. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბთბ., 1964, გვ. 380.

¹² ი ქ ე, გვ. 378.

¹³ ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, დასახ. კრებული, გვ. 137.

15. „მაცნე“, № 3, 1969.

აღნიშნული: „ნარევი სახეობა გარდამავალია: იგი გაჩენილია ძველიდან ახალ-ზე გაღმოსვლისას...“¹⁴.

პროფ. ვ. თოფურია ვი-ლა-სა-ც ტიპის წარმოებას გარდამავალს უწოდებს, მაგრამ არა ნარევს და აღნიშნავს: „გარდამავალი სახეობა ხასიათდება ბრუნვის ნიშნების ჩართვით ნაწილაკებს შორის“¹⁵.

გამოდის, რომ გარდამავალი ერთ შემთხვევაში გულისხმობს ძველიდან ახალზე გაღმოსვლისას გაჩენილ ფორმას, რომელიც წარმოების მიხედვით ნარევია (ვისმეს), შეორე შემთხვევაში კი — ბრუნვის დამოუკიდებელი სახეობის — ნაწილაკებს შორის ბრუნვის ნიშანჩართული წარმოების ეფვივალენტია (ვილასაც).

ნარევი სხვა არაფერია, თუ არა ერთი წარმოების — შეუხორცებელის, ხელმეორედ ბრუნების შედეგად მიღებული ფორმა. მისთვის დამახასიათებელია ორი ბრუნვის ნიშნის ერთდროულად წარმოდგენა. ვი-ლა-სა-ც არ არის ნარევი წარმოება. ნარევის ნიმუშად გამოვგადგებოდა თეორიულად შესაძლებელი ფორმა: ვის-დაცა-ს (შდრ. ვის-მე-ს). ვი-ლა-სა-ც ნაწილაკდართულ ნაცვალსახელთა ბრუნების მე-4 სახეობას — ნაწილაკებშუა მოქცეულ ბრუნვისნიშნიან წარმოებას გულისხმობს და თავის მხრივ უპირისპირდება ნაწილაკშეუხორცებელსა და შეხორცებულ წარმოებას. ბრუნების ეს სახეობა გვაქვს მხოლოდ -ლაცა ნაწილაკიან ნაცვალსახელებთან.

ქართულისათვის დამახასიათებელი აღმოჩნდა ნაწილაკდართულ ნაცვალსახელთა ბრუნების ოთხი სახეობა. სურათი ასეთია:

ნაცვალსახელი	ნაწილაკშეუხორცებელი სახეობა	ნაწილაკშეხორცებული სახეობა	ნარევი სახეობა	ნაწილაკებშუა ბრუნვის ნიშანჩართული საერთა
ვინე რამე	ვისმე რასმე	ვინეს რამეს	ვისმეს რასმეს	—
ვინდა რალა	ვისლა რასლა	ვილას რალას	—	—
ვილაც ა რალაც ა	ვისლაც ა რასლაც ა	ვილაცას რალაცას	—	ვილასაც რალასაც

თიოეული ნაცვალსახელი გვიჩვენებს ბრუნების არა უმეტეს სამ სახეობას. ირკვევა, რომ ბრუნების თავისებურებას განაპირობებს ნაცვალსახელიც და ის ნაწილაკიც, რომელიც დაერთვის ნაცვალსახელს. იმის მიხედვით, თუ რომელ ნაცვალსახელს დაერთვის ესა თუ ის ნაწილაკი, აგრეთვე იმის მიხედვით, თუ რომელი ნაწილაკი დაერთვის ამა თუ იმ ნაცვალსახელს, გვაქვს განსხვავებული სურათი. ასე მაგალითად: -ლა ნაწილაკი ჩვენებით ნაცვალსახელებთან ყოველთვის, როგორც წესი, მოსდევს ბრუნვის ნიშანს (ამანდა, ამასლა, ამისლა, ამითლა), კითხვით ნაცვალსახელებთან კი გვაწვდის ნაწილაკშეუხორცებელსა და ნაწილაკშეხორცებულ ფორმებს (ვისლა||ვილას, რასლა||რალას...)

ჩანს, -ლა + ჩვენებითი ნაცვალსახელები კითხვითი ნაცვალსახელები გვაძლევს ბრუნების სხვადასხვა

¹⁴ ვ ქ ვ, 131.

¹⁵ ვ ქ ვ, 83. 133.

სახეობას, ნაწილაკი ერთია, ნაცვალსახელი სხვადასხვა, შესაბამისად განსხვავებულია ბრუნების სახეობაც.

ერთი და იგივე ნაცვალსახელი რომ განსხვავებულ სურათს გვაძლევდეს სხვადასხვა ნაწილაკთან, ასეთი შემთხვევაც გვაქვს.

მაგალითად, ნაცვალსახელი ვინ + -და ბრუნების ორ სახეობას გვიჩვენებს. მაგრამ იგივე ნაცვალსახელი -მე ნაწილაკის დართვისას სამი შესაძლებელი ფორმით გვხვდება. ნაცვალსახელი ერთია, ნაწილაკი სხვადასხვა, შესაბამისად განსხვავებულია ბრუნების სახეობაც.

ზოგიერთი ნაწილაკი გამორიცხავს ბრუნების ამა თუ იმ სახეობას და ბრუნების წესის განმსაზღვრელიცაა. მაგალითად, -დაცა ნაწილაკდართული ნაცვალსახელისათვის უცხოა ბრუნების ნარევი წარმოება. ამავე დროს, ბრუნების ნარევი სახეობა დამახსიათებელია მხოლოდ -მე ნაწილაკიანი ნაცვალსახელებისათვის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რილასი, რილათი ფორმებს, საღაც ნაწილაკის წინ ბრუნვის ნიშანი არ გვაქვს.

ზურაბ საჩიჩიშვილი

-6 სევიქსით გამოხატულ მარტოგით აისხვი ჩასხული სახელის ზმანასთან
შეუთანხმებელობის შემთხვევები ძველ ეაგთები

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კაკალიძის სახელობის
სელნაჭერთა ინსტიტუტმა)

ძველ ქართულში სახელი, რომლის მრავლობითობა -6 სუფიქსითაა ნა-
წარმოები, ჩვეულებრივ ითანხმებს ზმანას მრავლობით რიცხვში:

წიგნნი დაწერნა იაკობ (პირდაპირი ობიექტი) წიგნნი აჩენს -6-ს
ზმის ფორმაში: დაწერნა). წიგნნი დაიწერნეს (სუბიექტი წიგნ-
ნი აჩენს 6-ს ზმანაში: დაიწერნეს).

ეს სინტაქსური წესი ძველი ქართულისათვის ნორმადაა მიჩნეული¹.

ირკვევა, რომ ძველი ქართული ენის ძეგლებში საკმაოდ ტშირია ამ წესის
დარღვევის შემთხვევები: სახელის მრავლობითობა გამოხატულია -6 სუფიქ-
სით, მაგრამ შესაბამისი -6/-ენ- ფორმანტი ზმანში წარმოდგენილი არაა. ეს
ეხება როგორც პირდაპირი ობიექტის მრავლობითობას, ისე სუბიექტისას. გან-
ვიხილოთ ორივე შემთხვევა ცალ-ცალქე.

• -6 სუფიქსით გამოხატული მრავლობითი რიცხვი პირდაპირი ობიექტისა
ვერ აჩენს ზმანში -6/-ენ ნიშანს:

წევთილი:

რამეთუ აწ მას ხოლო მიუტევე მე შეცოდებანი მამისანი, სინ. მრავალ
27,28;

ყოველნი ვაკურთხე, მოღრ. იადგ. 27r, 9;

აღვწერე კუალად სხეულა წიგნსა საქმენი და განგებანი წმიდასა საბან-
ნი, ეფთვე 137r, 9-11;

და ვინილე პირისაგან ვეშაპისა და პირისაგან მპეცისა და პირისაგან ცრუწინაწარ-
შეტყუელისა სამნი სულნი არაწმიდანი, A-397, 88v, 4-6;

და წარსცა ებისტოლენი აღმოშოდებად მათა, ეკატირინა 433, 23-24;

მოსცა მათ უფალმან თრნი შვილნი, ლიტ. ურთ. 178, 14;

აღიპყრა თრნი იგი ფრთენი, მარჯულ და მარცხლ, შატბ. კრებ. 191v, 1-2d;

ღმერმიან ვამოუცხადა მონათა თვისთა ან გელოზნი დაცვად გზასა ზედა, სვან. მრავალთ. 147, 7-9a;

¹ აჩნ. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული
მორთოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში. ტფილისის უნივერსიტეტის მომბე, IX, 1929,
გვ. 107-119, ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები I, 1953, გვ. 186—187,
ი. იმაიშვილი, სახელა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957,
გვ. 270, ანტონ კიზირია, მარტივი წინადების შედგენილობა ძველ ქართულში, 1963, გვ. 147.

შეთლები და საზღვარნი მისნი ვითარცა ცეცხლმან დაწუა და დაამტურია, A-4084 v, 1-3;

რამეთუ ყო ჩემდომ დი დ-დი დნი ძლიერმან, ლ. 1,49c;

არა მოიმკო მან შრომათა მათ თვითაგან ნაკოფნი დიდნი, A-35 66r, 16-18;

და ვითარცა იხილეს ყოველთა სასწაულნი ესე დიდებულნი პატიოსნისა ჭუარისამ², შატბ. კრებ. 245v, 17-19a;

ხოლო მათ მეყენეულად დაუტევეს ბადენი მათნი, A-1699 34r, 22-24b;

ძალითა ღმრთისათა სიბრძნით შემუსრეს ბჟენი ჯოჯოხეთის სანი, შატბ. კრებ., 274r, 15-17a;

განხრწნად იქნენს და მაშინდა შობეს ნაშობნი, იქვე 280r, 2-3a.

ზოგჯერ მრავლობითი რიცხვი პირდაპირი აბიეტტისა შერწყმული წინა-დადების ერთ ზმნა-შემასმენელს ითანხმებს, მეორეს კი არა:

ვითარ იგი შევიდა ტაძრად ღმრთისა და პურნი იგი შესაწირავთანი შეკამ-ნა და სცა მისთანათაცა, რომელთა არა ჯერ-იყო ჭამად, ლ. 6,4c, შლრ. 3 სცა DE.

ერთსა და იმავე კონტაქსტში ადიშის ოთხთავი „დარღვევას“ გამოავლენს ჭრუჭ-პარხლის „სწორი“ ფორმის საპირისპიროდ:

ხოლო მან მიუგო და პრექუა მათ: არა აღმოგიითხავსა, რამეთუ რომელმან დაპატიჟა დასაბამსა, მამალად და დედალად შექმნა იგინი, მთ. 19,4c, შლრ. დაპატადნა DE.

II ბრძანებითი:

იხილეთ, ჭ კაცნ, მართალთა მათ შესხმანი, შატბ. კრებ. 165v, 25-26b;

ის შინეო პირველნიცა წინატარმეტყულთა სულისა მიერ წმიდისა შენთვს ჭადაგებანი და ახალნიცა ესე მშიბელთა შენთა თხრობანი, A-40 13r, 4-8.

ჭრუჭისა და პარხლის ოთხთავის ტექსტში ერთსა და იმავე წინადადებაში ერთი და იმავე სინტაქსური დამოკიდებულებისას ზმნის ფორმის ერთ შემთხვევაში შეთანხმებულია პირდ. ობიექტის მრავლობით რიცხვთან, მეორე შემთხვევაში კი არა:

ხოლო მან მიუგო და პრექუა მათ: კაცსა რომელსა პრექვან იესუ, ოპაჲ შექმნა და მცხოთუალთა ჩემთა და მრექუა შე: წარვედ სილოამდ და დაიბანე, და მივედ და დავიბანენ და აღეიხილენ, ი. 9,11 DE.

აღიშის ოთხთავში ეს ადგილი ასეა გადმოცემული:

მან მიუგო: რომელსა-იგი იესუ პრექვან, ოპაჲ ქმნა და მომგოზა თუალთა ჩემთა და მრექუა შე: მივედ სილოამდ და მოიბანე, მივედ და მოვიბანე და კედელი, ი. 9,11c.

არის შემთხვევები, როცა II ბრძანებითის მხ. რიცხვის მესამე პირში მოსალოდნელი -ენ-ინ დაბოლოების ნაცვლად -ენ გვაქენს:

რამთა ღირს ვიქმნეთ მარჯუენით ჭრისტისა დღესა მასს საშელისასა და თქუნცა უფალმან შეგიწყალენ, სინ. სამოციქ. ფრაგმ. 12r, 19-20;

ჩემნი ბრალნი მისაგან იძიებენ და რა რთმან, სიგ. მიჯნაძორ. 94, 30-31;

აღიდენ და დაამყარენ ღმერთმან მეფენი ჩუენნი დავით და თამარ და ქემთი გიორგი, სიგ. თამარ მეფისა 9,4-5.

² აქ ისიც იქცევს ყურადღებას, რომ დარღვეულია სახელის სახელთან შეთანხმების წესი: უნდა იყოს: ჭუარისანი (სასწაულნი ჭუარისანი)

³ შობეს თავისთავად ნეოლითიზმია. ძველი ქართულის ნორმალური წარმოება წყვეტილისა ამგვარია: ვ შევ, შევ, შვა, შვნეს...

II ხოლმეობითი:

განხეთქის ღვნომან თხიერნი იგი, მრკ. 2,22c;

განანათლის სიუკარულმან ბრწყინვალებითა თვისთა ზრახვანი თვისნი, სვან. მრავალთ. 454, 2-4b;

ვითარცა-სახედ გამოსტაციის მწყემსმან პირისაგან ლომისა ორნი კირნი, ამოს 3, 12 0, შდრ. გამოსტაციის J;

III კავშირებითი:

მაშინ მიგცე თქუენ ჭირსა და მოგწყვდნენ თქუენ, მთ. 24, 9c;

ტრეუ მას პეტრე: არა დამბანენ ფერწნი ჩემნი უკუნისამდე⁴, მიუგო იესუ: თუ არა დაგბანო, არა გაქუნდეს ჩემ თანა ნაწილი, მ. 13,18c, შდრ. დაგბანენ DE.

არა-მე დაუტეოს თოხმეოც და ცხრამეტნი იგი მთასა ზედა, მთ. 18,12c;

და აჩუენოს უფალმან ცხორებისამან გაჭრილ საკრველნი სულთანი ძალითა თვისითა, შატბ. კერძ. 96r, 9-12a;

უკუეთუ უდებ-კუოთ პირველნიცა იგი, სვან. მრავალთ. 264, 2-3a;

რამთა შეჭამოთ პორცნი მეფეთანი, H-1346 50v, 14;

არა მიშიშუას ჩუენ შეერთებად ურთიერთას, სვან. მრავალთ. 322, 7-8a.

მსგავს არს ძაღლთა სამზარულომათა, რომელნა უკუეთუ ვინმე განდევნენ ს სი-ტყვთა ოდენ, განიდევნებიან, უკუეთუ კულა მიუშუას განდიდებიან, A-35 78v, 20-79r, 5;

არა პოვოს ჰელმან მისმან წყვილნი გურიტნი, ლევიტ. 5,11;

რომელიმე უკუანასკუნვილისა უამისა თქუმულნი პირველი იპოვნენ და ზემო-კერძოცა დაიწერებეს და რომელნიმე პირველისა უამისა თქუმულნი უკუანასკუნველ იპოვნენ და შემდგომად აღგიღას დაწერებენ, ხოლო ესრევე ყოფილად პირო სხუათა შორის წინაშარმეტყუელთა, A-38 21v, 17-22r, 3;

შეწიროს მათ უფალმან ორნი შვილნი, ლევიტ. 7,2.

დაიცვას არათუოდენ პირუტყვანი, ცხორ. სტეფანე ახლ. 33,27-28a.

I თურმეობითი:

რომელთა არა ვიცნობიერ სიღრმენი ეშმაკისანი, A-397 50v, 10-11;

არა დაკვიცყებია საულს უკეთურებანი იგი, 1 მეფ; 23,9J.

III კავშირებითი:

ვიღირედა მშობელი ნი მათნი არღა გეპოვნოს, A-35 83r, 2-3.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ დასტურდება ე.წ. რიცხვნაკლ ზენათა ძირეული მორფემების მონაცვლეობის დარღვევის შემთხვევები:

ა) ღ-ხუ:

რამთა აღვიღო სელნი კუალსა მათსა, ესე იგი არს სავარძელი რკინისად, A-397 149r, 14-15.

ბ) დვ-სხ:

ჩუენ არა თავს-ვიდვათ საქმენი ესე უწესონი, იოანე ოქროპ. ცხორ. 15v, 2-3;

დადვა მათ ზედა ჟელნი თვისნი, მთ. 19, 15D;

მან თვით დადვა კანონი თავსა ზედა თვისსაგარდასლვისათვს მცნებათა ღმრთისათა, A-35 115v, 20-116r 2;

ხოლო მარიამს დაემარხნეს სიტყუანი ესე და დადვა გულსა თვისსა, სვან. მრავალთ. 209, 8-9b, A-40 66v, 11-12;

⁴ გამოცემაშია: უკუნისადმდე (უკუნისამდე ფორმის კანონზომიერების დასაბუთება იხ. ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ს მონოგრაფიაში: სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქცია ძველ ქართულში, 1957, გვ. 334-337).

ესე ვითარნი ესე გამოუთქუმელნი და მიუწოდელნი საკრატე-
ლებანი და ემზრხნეს ყოვლად წმიდასა მარიამს, და ედვა გულსა თვესა, A-40 68r,
10-13.

არას ვამბობთ — ხედ-/ხედნ-, ღიმ-/ღიმნ- ფორმათა მოაცვლეობა-
ზე, აგრეთვე არ განვიხილავთ ისეთ შემთხვევებს, როცა ზმნის ფუძისეულ -ნ-ს
უნდა დარჩოდა პირდაპირი ობიექტის მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი -ნ
და ორი ნ უნდა გვქონოდა (ქმნნ-, ყვანნ-, კურნნ...), მაგრამ ხშირად ერ-
თია წარმოდგენილი. აქ ძნელი გასარკვევია ეს ცალი ნ ფუძისეულია, თუ პირდ.
ობიექტის მრავლობითი რიცხვის გამოშეატველი.

ძველ ქართულში შეინიშნება მერყეობა შერწყმული წინადადების ზმნა-
შემასმენელისა და პირდაპირი ობიექტების რიცხვში შეთანხმების საკითხში. აქ
ორი რიგის ფაქტებს განვიხილავთ: პირველი, როცა ზმნა-შემასმენელს უქავ-
შირდება რამდენიმე მხოლობით რიცხვში ღასმული ობიექტი, ზმნაში პირდ.
ობიექტის მრავლობითობის ნიშანი ხან იქნება წარმოდგენილი, ხან კი არა.

შეფე და მთავარებისკოპოსი არად შეჰრაცხენ, A-397 210v, 19-20;
პეტრე და ანდრეა, იაკობ და იოვანე პირველვე შეეწყნარნეს, A-40
136r, 11-12;

შდრ.: იხილა სიმონ და ანდრეა, ძმად მისი, მრკ. 1,16CD, შდრ.: იხილნა E.

ამგვარადვე ხან ვაკეს შეთანხმება, ხან არა, როცა პირდაპირობიექტებიან
შერწყმულ წინადადებაში ზმნასთან უახლოესი ობიექტი (ან ობიექტები) მხო-
ლობით რიცხვშია, სხვა კი მრავლობითი რიცხვის ფორმით გვევლინება:

პირველადვე წარეგზავნნეს მას დედამ და ცოლი და შვილნი, სვან. მრა-
ვალთ. 414, 31a—414, 1b;

შდრ.: ვითარცა იხილა ნერსე დედოფალი, დედამ თვე, და ცოლი, და ქნი
თვესნი, იქვე, 414, 23-25b;

რომელმან აღალოს წიგნი იგდ და შვდნი ბეჭედნი მისნი, A-397 58r, 21-22.

2. სუბიექტი, -ნ სუფიქსიანი მრავლობითით გადმოცემული, ვერ აჩენს
ზმნაში მრავლობითი რიცხვის ნიშანს:

აშშყო:

და მისთვი დაგდების ალაგნი იგი გარჩევოსანი, H-622 92v, 9-10;
იგინი არა ესევითართა ბრძოლათაგან თდენ არამედ შმისაგანცა ფურცელთა ხეთასა
უეშინ დების და შეფფოთ ნების და ცოლი და შვილნი, A-35 32r, 6-9.

წევეტილი:

შენ მიერ მოკის თულეთ ჩუენ, მოდრ. იადგ. 107r, 31.

ესმა პერიდეს მეოთხედ მთავარსა საქმენი იგი, ლ, 9,7 D;

ხოლო მას ვითარცა ესმა ესევითარნი სიტყუანი, სვან. მრავალთ. 391, 10-11a;
შერმე კულად მეჩუენა მე, ლუკიანეს, სამნი ცხედარნი ოქროხსანი,
უნ. მრავალთ. 68, 33-34;

და მიერ მათ შვდნი საყვრნი, A-397 66v, 13;

შეწევნითა ქებისათ იდიდა, რომელნი სიწრფოებით ვლენან, შატბ. ქრებ. 279r, 18-20a;

და აწურთინ მას შეგინებულთა გულისსიტყუათა, რათამცა დაუტკბნა გულის-
სიტყუანი იგი, A-35 28v, 14-17.

5 ამგვარ ფაქტებს ეხებიან: არნ. ჩი ქობავა, რით არის წარმოდგენილი.....83.
114-115, ი. იმნა იშვილი, სახელთა ბრუნება..... 270.

ზმნაში ნეს ნიშნის ნაცვლად „ნ- ნაკლული“ -ეს არის წარმოდგენილი:

ეს შეს ჩემნი სიტყუანი და უბრძანა ქალაქისა მთავარსა განტევებად ჩემი, სვან. მრავალთ. 214, 20-22b;

ეს შეს სიტყუანი ესე უფლისანი ნათლისმცემელსა, იქვე 375, 23-24a.

II ბრძანებითი:

შონანი თვალთა და ემორჩილება, სინ. პავლ. ეპისტ. 29v, 12-14a.

მრავლობით რიცხვში დასმული სუბიექტი პირველი და მეორე ბრძანებითი გვით III პირში ვერ ითანხმებს ჰმნას⁶:

იხარებდინ ცანი და გალობდინ ქუეყანად, სინ. მრავალთ. 83,3;

იხარებდინ ცანი და იშუებდინ ქუეყანად, უდაბნ. მრავალთ. 96r, 18-19a, სვან. მრავალთ. 381, 1-2b;

სახედ გაქუნდინ ცოცხლებით სიტყუანი იგი, რომელ ჩემგან გესმეს, სინ. პავლ. ეპისტ. 23v, 9-11;

და სიმღაბლით ჰქონდინ გულის სიტყუანი თვალი, A-35 306r, 2-4;

მოაკლდინ მფრინველნი ცისანი, სოფონია 1,3G; შდრ.: მოაკლდედ J.

II კავშირებითი:

არლარა ისმენ მერმე საქმენი შენენი, ნაუმ 2,13 O, შდრ.: ისმენ J;

რახთა არა იყოს ურვანი სოფლივნი ამის ქუეყანისანი დანერგულ მას შანა, H-622, 79r, 14-16.

რიცხვში ძირეულ მორთემათა მონაცვლეობა აქაც დარღვეულია:

ლ/ხუ

და შენ თან აღლებულ ცინი და ქუეყანად, A-38, 12v, 3-4.

ლ/სხ:

ცხენენი ნუ არა გიდგანა, Sin-62 44v, 19-20a.

ყურადღებას იქცევს ის, რომ სუბიექტის მრავლობითი რიცხვის ზმნასთან შეუთანხმებლობას ჩვეულებრივ გარდაუვალ (უმთავრესად რელატიური აგებულების მქონე) ზმნებთან აქვს ადგილი.

გარდამავალ ზმნებთან ეს მოვლენა არ გვხვდება. გარდაუვალ ზმნასთან სუბიექტის მრავლობითი რიცხვი ვერ ითანხმებს ზმნას ვნებითი და ორპირისანი საშუალო გვარის ზმნებთან. რელატიური აგებულების (ობიექტური წყობის) საშუალო გვარის ზმნებთან, როგორც ჩანს, მეტყველისათვის მრავლობითის სახელობითში დასმული სახელი არა სუბიექტად, არამედ ობიექტადაა გააზრებული (ლფალსა უქმს ეგენი, ეგენი ობიექტადაა მიჩნეული). ამდენად მისა მრავლობითობა არაა აღნიშნული.

ვნებითი გვარის ზმნები, როგორც ცნობილია, წარმოადგენენ მოქმედებითის შემარტინებულ (კონვერსიაქმნილ) სახეს, ის, რაც პირდაპირი ობიექტია მოქმედებითი გვარის ზმნასთან, ვნებით გვარში ზმნის გადაყვანისას სუბიექტად გადაიქცევა. ამდენად, სავარაუდოა, რომ მოქმედებითი გვარის პირდ. ობიექტის ზმნასთან რიცხვში შეუთანხმებლობას უშუალო კავშირი ჰქონდეს ვნებითი გვარის სუბიექტის ზმნასთან რიცხვში შეუთანხმებლობასთან. აქ არსებითად ერთა და იგივე მოვლენაა.

⁶ ამ რიგის ფაქტებს, როგორც ჩანს, კავშირი აქვს ბრძანებითი კილს ძველი ქართული-სათვის ნორმად მიჩნეული სისტემის რღვევასთან.

- 6 სუფიქსით გამოხატული პირდაპირი ობიექტის მრავლობითი რიცხვის ზნისთან შეუთანხმებლობის ფაქტებზე მიუთითებდნენ არ ნ. ჩ ი ქ თ ბ ა ვ ა⁷ და ა ნ ტ ო ნ კ ი ზ ი რ ი ა⁸. ამ მკვლევართა აზრით, ეს „უმართებულო“ ფორმები შემთხვევითი ჩანან⁹, ისინი ძველი ქართულისათვის დამახასიათებლად ვერ ჩაითვლებიან¹⁰.

ჩვენს შეირ მოტანილი ფაქტები (საკმაოდ მრავალრიცხოვანი, ამასთან გამორიცხულია შემთხვევითობა) მიუთითებენ იმაზე, რომ სალიტერატურო ენაში ხდება გარკვეული სინტაქსური წესის მოშლა: - 6 სუფიქსიან მრავლობით რიცხვში დასმული სახელი ვეღარ აჩენს ზმნის ფორმაში სათანადო ნიშანს. ეს პროცესი IX საუკუნიდან იჩენს თავს (პირველად იგი დასტურდება 864 წელს გადაწერილ „სინურ მრავალთავში“). შემდგომში ამგვარი ფაქტები თანდათან შატულობს (საკმაოდ ხშირია სახელის ზმნასთან შეუთანხმებლობის შემთხვევაბი ისეთ ძეგლებში, როგორიცაა ადიშის ოთხთავი, 897 წლისა, შატბერდის კრებული, 973-976 წლებისა, სვანური მრავალთავი, X საუკუნისა და სხვ.).

მიუხედავად ამისა, ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმად, რათქმა უნდა, უნდა მივიჩნიოთ სახელობითში დასმული პირდაპირი ობიექტის (და სუბიექტის) - 6-სუფიქსიანი მრავლობითის ზმნასთან შეთანხმება. ამ შემთხვევაში, ისე როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში, სალიტერატურო ენის ნორმა განსხვავდება ენის (გრამატიკულ წესთა ერთობლიობა, რომელიც ცოცხალ შეტყველებაში ჩატარდება) ნორმისაგან. იმ დიალექტებში, რომელთაც ასახვა პოვეს IX—XI საუკუნეთა სალიტერატურო ენაში, პირდ. ობიექტი (ზოგჯერ სუბიექტიც) ვეღარ ითანხმებდა ზმნას მრავლობით რიცხვში. ის, რომ სალიტერატურო ენა შემთხვევათა უმრავლესობაში „სწორ“ ფორმებს გამოვლენს, აიხსნება იმით, რომ მწერლები (გადამწერები) ცდილობენ, რაც შეიძლება ზედმიწევნით დაიცვან ძველი ქართულის უკვე მკვდარი ნორმები, წერონ „სწორად“. ბუნებრივია, სალიტერატურო ენისა და ცოცხალი მეტყველების დაცილების პირობებში თავი იჩინოს (შწერალთა, გადამწერთა სურვილის წინააღმდეგ) სიჭ-

⁷ არნ. ჩ ი ქ თ ბ ა ვ ა, რით არის წარმოდგენილი....გვ. 114-115. ავტორს დასახელებული აქვს 11 ნიმუში, აქედან 6 ისეთია, რომ ზმნის ფუძისეულ ნ-ს უნდა დართვილა პირდ. ობიექტის მრ. რიცხვის 6 და ორი 6 უნდა გვექნოდა, გვაქვს კი ერთი. ამგვარი შემთხვევები არ გამოდგება ამ დარღვევის საილუსტრაციოდ, როგორც თვით არნ. ჩ ი ქ თ ბ ა ვ ა მიუთითებს. 2 შემთხვევა: განიძებელს თავინი მათნიუწყის დაფარულნი... დამოწმებულია კიმნის 1 ტომის მიხედვით (კ. კეკელიძის გამოცემა, 1918 წ), როგორც შესაბამისი ადგილების ხელნაწერებთან შეფერებამ გამოარკვია, აქ გამომცემლის უნებლივ შეცდომებთან გატაქს საქმე (სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ არნ. ჩ ი ქ თ ბ ა ვ ა ამგვარ შესაძლებლობასაც ითვალისწინებს), 2 შემთხვევა დამოწმებულია „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებიდან“, რომელიც დართულია ათონის 1074 წლის ქრებულის მ. განაცვილისეულ გამოცემაზე. ტექსტი ამ თხზულებისა დაბეჭდილია A-170-ის (XVIII ს.) მიხედვით. შესაბამის ადგილებში, მართლაც გვაქვს «დარღვევა»: პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია, ზმნაში კი ნიშანს ვერ აჩენს. მაგრამ XVIII საუკუნის ხელნაწერის ჩვენება ვერ გამოდგება ძველი ქართული ენის ამგვარ საკითხებზე მსჯელობისა. ერთადერთი უდავო მაგალითი, რომელსაც არნ. ჩიქობავა ამ «დარღვევათა» საილუსტრაციოდ იმოწმებს, ადშის თოხთავიდანაა: განხეთქის ღვინომან თხიერნი ივი.

⁸ ა ნ ტ ო ნ კ ი ზ ი რ ი ა, მარტივი წინადაღების შედგენილობა.....გვ. 155. დამოწმებულია 4 მაგალითი (ყველა გამოცემული ტექსტის მიხედვით).

⁹ არნ. ჩ ი ქ თ ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 115.

¹⁰ ა ნ ტ ო ნ კ ი ზ ი რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 155.

ოელემ სალიტერატურო ენაში. ენის ისტორიისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ხშირად „უმართებულო“¹¹ ფორმებს აქვს.

დამოწმებული წყაროები:

1. ა მ ა ს: ნ. წიგნი ძუელისა აღთქუმისანი.
2. ე კ ა ტ ი რ ი ნ ი ს: წმიდისა ეკატირინასი, რომელი იყო ასული კოსტო მეფისამ, Sin.-6 (982 წ.), გვ. 425-442.
3. ე ფ თ ვ მ ი ს: ცხორებად და განგებად წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთვმისი, Sin.-43 (X ს.), 1r-138r.
4. ი, ნ. ქართ. ოთხ.
5. ი თ ა ნ ე ო ქ რ ი პ. ცხორ.: ცხორებად წმიდისა და ნეტარისა და მოძღვურისა ყოვლისა სოფ-ლისა და ვარსკულავისა განთადისამ მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისა კოსტანტინე-პოვლელ მამადმთავრისამ H-2124 (968 წ.), 2r-256v.
6. ლ. ნ. ქართ. ოთხ.
7. ლ ე ვ ი ტ. ნ. წიგნი ძუელისა აღთქუმისანი.
8. ლ ი ტ. უ რ თ.: ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, 1944.
9. 1 მ ე ფ. ნ. წიგნი ძუელისა აღთქუმისანი.
10. მ თ. ნ. ქართ. ოთხ.
11. მ ო დ ჩ. ი ი დ გ: მიქაელ მოდრეკილი, იადგარი, S-425 (978-988 წწ.), 1r-272v.
12. მ რ კ. ნ. ქართ. ოთხ.
13. ნ ა უ მ. ნ. წიგნი ძუელისა აღთქუმისანი.
14. ს ვ ა ნ. მ რ ა ვ ა ლ თ: სვანეთის მრავალთავი, A-19 (X ს.).
15. ს ი გ. თ ა მ ა რ მ ე ფ ი ს ა: სიგელი თამარ მეფისა (1201-1202 წწ.) ს. კაკაბაძე, შიომღვიმეს სამი სიგელი, 1912, გვ. 7-10.
16. ს ი გ. მ ი გ ნ ა ძ რ ი: სიგელი მიჯნაძოროლელთა და აბიზართა, (1027-1072 წწ.), გამოსცა ა. შანიძემ: ძველი ქართულის ქრესტომთა, 1935, გვ. 95-96.
17. ს ი ნ. მ რ ა ვ ა ლ თ: სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, 1959.
18. ა ი ნ. პ ა ვ ლ. ე პ ი ს ტ: სინური ბავლეს ეპისტოლენი, Sin.-31 (X ს.), 1r-46v.
19. ს ი ნ. ს ა მ ო ც ი ქ. ფ რ ა გ მ: სინური სამოციქულოს ფრაგმენტები, Sin.-60 (977 წ.), 1r-12v.
20. ს ო ფ რ ი ნ ი ა. ნ. წიგნი ძუელისა აღთქუმისანი.
21. უ დ ა ბ ნ. მ რ ა ვ ა ლ თ: უდაბნოს მრავალთავი, A-1109 (IX-X სს.), 1r-179v.
22. ქ ა რ თ. ო თ ხ თ.: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელ-ნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძე მ, 1945, C-ადიშის ნუსხა, 897 წლისა, D-ჭრუ-ჭის ოთხთავი, 936 წ. E-პარხლისა, 973 წლისა.
23. შ ა ტ ბ. კ რ ე ბ: შატბერდის კრბული, S-1141 (973-976 წწ.), 1r-286v.
24. ც ხ ო რ. ს ტ ე ფ ა ნ ე ა ხ ლ.: ცხორებად და ღუაწლი და აღსარებად წმიდისა მამისა ჩუენი-სა სტეფანე ახლისამ, რომელი იწამა კოსტანტის ზე უსჯულომსა, წმიდათა ხატთა თა-ყუანისცემისათვე, A-90 (XIII ს.) გვ. 26-90.
25. წიგნი ძუელისა აღთქუმისანი: O-ოშების ბიბლია, 978 წლისა, J-იერუსალიმური ნუსხა — XI ს. G-გელათისა XII ს.
26. A-1699 X ს.
27. Sin.-62 X ს.
28. S-1398 930-940 წწ.
29. H-622 X ს.
30. H-1346 978 წ.
31. A-36 X ს.
32. A-38 1016 წ.
33. A-40 X-XI სს.
34. A-397 X ს.

¹¹ ხშირად ეს ფორმები „უმართებულო“ სალიტერატურო ენის თვალსაზრისით, ენის თვალსაზრისით კი სალიტერატურო ენის ნორმა იქნება „უმართებულო“.

ვერბალუ და უკნიშვანები

ვასილ ცისკარიშვილი

გაღმის ნაჩერა

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ჭანაშიას სახ.
საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში)

1966 წლის დამლევს აკად. ს. ჭანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში სამსონ
ჭიოეგმა მოიტანა ზნაურის რაიონის სოფელ ბალთაში სასაფლაოს გაჭრის დროს ნაპოვნი განძი.

განძი შედგება ორი ვერცხლის კვრის რამდენიმე ფრაგმენტისაგან: ერთი კვარი „საწინაშემდღრო“ ტიპისაა, ჩვეულებრივზე დიდი, ხოლო მეორე საკურთხევლის წინ აღსამართავი უნდა ყოფილიყო. ორივე კვარი შემკულია ნაწილობრივ მოძქროებით რელიეფით. მეორე კვარზე წმ. კვირიკეს რელიეფური გამოსახულების მარჯვნივ მოთავსებულია პრგლოვანით შესრულებული თექვსმეტსტრიქონიანი წარწერა ერთ სვეტად.

წარწერა ქანტილით იწყება. მე-44 სტრიქონის ბოლო ასო მთლიანად მოტეხილია, ხოლო მე-12 სტრიქონის ბოლო ასო — ნაწილობრივ. ალაგ-ალაგ განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორი წერტილი.

წარწერა ასე იკითხება:

1. ჩა. ხე ბ2

გრაფი: ბ

2 კარა

ზრა. რ+ჭ/ნ/

5 ჭა. ბ678

2 გრა 2

ახა 4

გრაც. ბ2:

გრაცა:

10 ბ2: ბ1827:

ჭა. ბ2:

ჭა. ბ2:

15 2: ბ428 7

ბ2: ბ2. ბ17:

ბ102:

ქარაგმების გახსნის შემდეგ ტექსტი ასე უნდა იქნეს შეკითხული:

„ქ. წმინდაო კრიკე, დაიცვენ და მფარველ ექმენ ერისთავთ-ერისთავსა სულას, ბეგასა და ივანეს და დედასა შათსა შეუდარსა ხუაშასა მეონ ეყავ წანშე ღმრთისა“.

„ხუაშა“ შემოკლებული „ხუაშაქი“ არის. მასი გამოთქმა შეიძლება ასეთი იყო „ხოშა“. სახისტერესოა, რომ მა საკუთარ სახელს, ისევე როგორც „ბეგას“, მიცემითში დართული აქვა, ა, საზოგადო სახელთა მსგავსად: ხუაშასა (ხოშა), ბეგასა.

საკირველია, რომ ქართლის ერისთავთ-ერისთავი სულა იხსენიებს თავის ორ ძმას (ბეგასა და ივანეს) და გარდაცალებულ დედას ხუაშას (ან ხოშას), მაგრამ მამსა არა.

ქალის სახელი „ხუაშა“ გვხვდება აბუსერიძეთა სავარეულო მატიანეში. ხუაშა იყო ცოლი ვრიგოლ II-ისა (1130-1180 წწ.). ამას გარდა, იგვე სახელი გვხვდება იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ერთ აღაში, რომლის დათარილება ჰუაშტად არ ხერხდება. ვარაუდით იგი X-XIII საუკუნეებისა უნდა იყოს².

პალეოგრაფიული თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ც, რომელსაც შაღალი ყელი აქვს და ბოლო ისრისებრი ორნამენტით თავდება. ამის გარდა, დამახასიათებელია აგრეთვე ლიკა-ტურა: ზ ასოს რკალში მომდევნო ასო (ც ან ზ) რის ჩასმული.

პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა X საუკუნეზე აღრინდელი არ ჩანს. ამას გვაფიქრებინებს პირველ რიგში ც ასოს ზემოაღნიშნული მოყვანილობა, რაც ჭედური ხელოვნების ძეგლებში სწორედ X საუკუნიდან გვხვდება. მაგალითად: X ს-ის მღვიმევის ხატის³, XI ს-ის სამთავისის ხატისა⁴ და თამარ მეფის ყელსაკიდი ჯვრის წარწერებში.

როგორც ვხედავთ, მხოლოდ პალეოგრაფიული ნიშნების მხედვით წარწერის ზუსტად და-თარიღება ვკრ ხერხდება; ამიტომ საჭიროა, მის შინაარსსაც მიყმართოთ.

წარწერაში, როგორც აღვნიშნეთ, მოხსენებულია ერისთავთ-ერისთავი სულა და მისი ძეგლი: ბეგა და ივანე. X-XIII საუკუნეებში ქართლის ერისთავობა ეპყრათ შემდეგ ცეოდალთა გვარებს: ტბელებს, ბარუშისებს, აბაზასებებს, ბაღაშებს და სულამელებს.

ერევის 906 წლის წარწერაში მოხსენებულია ივანე ტბელი, „რომელიც უფლობდა ქართლსა შინა“⁵, ხოლო სოფ. დოლოთის ცხრაკარის ეკლესიის X საუკუნის წარწერაში მოხსენიებულია ერისთავი ივანე ტბელი (ცხადია, იგი ქართლის ერისთავია)⁶.

X საუკუნის 70-იან წლებში ქართლის ერისთავად იხსენიება ივანე მარუშის ძე⁷, XI საუკუნის 30-იან წლებში — ივანე აბაზას ძე⁸. ივანე აბაზას ძის შემდეგ ქართლის ერისთავობას ბაგრატ IV აღდეს კლდეკარის ერისთავის ლიპარიტ ბაღვაში⁹. ბაგრატ IV-ის შემდეგ გორგი ბესაშემდე, თოქმის მთელი ერთი საუკუნის მანძილზე, ქართლის ერისთავთა ვინაობა წყაროებში ჯერჯერობით არ ჩანს. გორგი III-ის დროს ქართლის ერისთავად იხსენიება „სუმბატის ძე ლიპარიტ“ ორბელთა გვარიდან¹¹.

ორბელების შემდეგ ქართლის ერისთავები არიან სურამელები. დემა უფლისწულის ამბოხების გამო თრბელთა დასხის შემდეგ მეფეს, როგორც ჩანს, მათთვის მიუცია ქართლის ერისთავობა.

¹ ა ბ უ ს ე რ ი ძ ე ტ ბ ე ლ ი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატიანე, ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, 1941, გვ. 69.

² ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 1962 გვ. 74, №43.

³ Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство (Иллюстрации), Тбилиси, 1959, № 157.

⁴ იქვე, № 291.

⁵ გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ოქრომჭედლობა (ალბომი), 1957, ტაბ. II 57.

⁶ რ. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი, ერევის ჭმ. გორგის ეკლესიის სააღმშენებლო წარწერა; საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. V, № 10, 1944, გვ. 1044.

⁷ ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი, ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, სოფელ დოდოთის ცხრაკარის ეკლესიის წარწერა; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 92.

⁸ მატიანე ქართლისა (ქართლის ცხოვრება), I, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, 1955, გვ. 272.

⁹ ი ქ 3 ე, გვ. 296.

¹⁰ ი ქ 3 ე, გვ. 298.

¹¹ ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი, რეონის დაწერილი, როგორც საისტორიო წყარო (საკანდიდატო დისერტაცია; დაცულია თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში), 1952, გვ. 37.

სურამელთა გვარის ისტორია შესწავლილი აქვს ნ. შოშიაშვილს თავის სადისერტაციო ნა-
შრომში „რკონის დაწერილი როგორც საისტორიო წყარო“. მა ნაშრომში დადგენილია სურა-
მელთა ფეოდალური სახლის 6 თაობა შემდეგი თანამიღლევრობით:

ბეგა (გიორგი III-ის დროს);

რატი (ალბათ, ბეგას შვილი, გიორგი III-ისა და თამარის დროს);

სულა (რატის ძე, ლაშა გიორგის დროს);

გრიგოლი, ივანე (სულას შვილები, ულუ დავითის დროს);

ბეგა (გრიგოლის ძე, XIII საუკუნის II ნახევარში);

პამადა, რატი, მაქელ (ბეგას შვილები, XIII ს-ის ბოლოს).

სურამელთა გვარში ცნობალია ორი ქალი და ორივეს ჰქვია ხუშავი. ერთი მათგანი იყო
ვიორგი III-ისა და თამარის დროინდელი რატი სურამელის დედა („ხუშავი ცოქალი“), ხოლო
მეორე XIII ს-ის II ნახევარში ბეგა სურამელის შვილი (და პამადასი, რატისა და მიქელისა).

ბეგა I-ის გარდა, ჩამოთვლილი სურამელები (უკანასკნელი თაობიდან ჰპადა) ყველანი
შოხსენიებული არიან ქართლის ერისთავებად. XIII ს-ის 50-იანი წლებიდან მსახუროულებე-
სობაც სურამელებს უჭირავთ (გრიგოლი, ბეგა და პამადა). XIII ს-ის შემდეგ სურამელები სა-
ძალის შემდეგ სახელის შემდეგ აღარ იხსენიებან¹².

ქართლის ერისთავთა დანიშნულ გვარებში გვხვდება შემდეგი სახელები:

ტბელებში — ივანე, დავით, ოქროპირ, ქავთარ¹³;

ბალვაშებში — ლიპარიტ. რატი, ივანე;

ორბელებში — სუმბატ, ლიპარიტ, ივანე, ტარსაიჭ, ელიგუმ;

სურამელებში — ბეგა, სულა, გრიგოლ, პამადა, მიქელ, ივანე.

როგორც გვხდავთ, ჩვენს წარწერაში მოხსენიებული სამივე სახელი: სულა, ბეგა და ივანე
გვხვდება სურამელთა გვარში, რომელსაც უბყრია ქართლის ერისთავის XII საუკუნის II ნა-
ხევარსა და XIII საუკუნის მთელ სიგრძეზე. ქართლის ერისთავთა სხვა სახლებში, წარწერა-
ში მოხსენიებულ სახელთაგან გვხვდება მხოლოდ ივანე.

სახელი „სულა“ ადრიდნავ არაერთგზის გვხვდება წერილობით წყაროებში: ცნობილი
ფერიცვალების ხარის 886 წლის წარწერაში¹⁴; ხელმისის 895-898 წლის წარწერაში¹⁵; ათონის
1074 წლის ხელნაწერზე მოთავსებულ აღაში¹⁶; სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში¹⁷. სულა
ერქვა აგრეთვე ბაგრატ IV-ის დროს მოხსენიებულ კალმახის ერისთავის¹⁸. ეს სახელი იშვიათი
არა მომდევნო ხანის ძეგლებშიაც. მაგრამ არც ერთი მისი პატრონი ქართლის ერისთავად არა
ჩანს.

რაც შეეხება „ბეგას“, ეს სახელი, თუ არა ვცდები, პირველად ქართულ წერილობით
წყაროებში მხოლოდ სურამელებში გვხვდება; ხოლო შემდეგ, „ბექას“ ფორმით, — ჯაელებ-
რიც.

„ივანე“ შედარებით უფრო გავრცელებული სახელია და ის გვხვდება სურამელთა გვარ-
შიც (გრიგოლის ქამა, XIII საუკუნის II ნახევარში).

ყველივე ზემოთქმულის შემდეგ, მოსაზრების სახით მინდა იღვნიშნო, რომ სოფელ
ბალთის წარწერაში მოხსენიებული პირები სურამელები უნდა იყვნენ.

ქართლის ერისთავი სულა სურამელი, როგორც უკვე აღნიშნება, ლაშა გიორგის თან-
მედროვე იყო. წარწერაში მოხსენიებული სულას ძმები — ბეგა და ივანე სხვა წყაროებში არ
ჩანა.

თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, მაშინ ბალთის წარწერა XIII საუკუნის პირველი ნახევ-
რით უნდა დათარიღდეს. ასეთ დათარიღებას, როგორც უკვე ითქვა, პალეოგრაფიული თავი-
სებურებებიც არ ეწინააღმდეგება.

¹² ი ქ 3.

¹³ 6. შ ა შ ი ა შ ვ ი ლ ი, ვ. ვ ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93-98.

¹⁴ Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство (Текст), Тбилиси, 1959, стр. 28.

¹⁵ А. Г. Шанидзе, К разъяснению Хунамисской надписи; საქართველოს სსრ
მეცნიერებათა აკადემიის მომბეჭ, ტ. VII, № 4, 1946, გვ. 223—230.

¹⁶ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაშით, საიუბილეო გამოცემა
საქართველოს მუზეუმისა, 1910, გვ. 225.

¹⁷ ძველი ქართული აგიორბაფიული ლიტერატურის ძეგლები, ი. ა ბ უ ლ ა ძ ი ს რედაქ-
ციით, 1964, გვ. 339.

¹⁸ მატიანე ქართლისა, 1955, გვ. 301.

МАГАЛИ ТОДУА

К ПОНИМАНИЮ ОДНОГО БАЙТА ДАҚИҚИ

(Представлено академиком АН СССР Г. Церетели)

Одно известное стихотворение Дақиқи (— 977 г.) начинается так:

در افکنوای صنم ابر بهشتی
 زمین را خلعت ارد بیهشتی
 زمین برسان خون الوده دلیبا
 هوا برسان نیل اندوده مشتی
 بطعم نوش گشته چشمها آب
 برنگ دیده آهوی دشته
 بهشت عدن را گلزار ماند
 درخت آراسته حور بهشتی
 چنان گردد جان هزمان که در دشت
 پلنگ آهو نگیرد جز بکشته

«Райское облако, о, красавица, накрыло
 Землю весенним (ордибехештским) халатом.
 Земля похожа на окровавленную дибу
 Воздух подобен синему мешти¹.
 Родник сталnectаром по вкусу,
 А по цвету — глазом степной газели.
 Цветник подобен райскому саду,
 Дерево — разукрашенной райской красавице.
 Так вращается этот мир (такой он есть)»...

¹ «گنج باز یافته»، دقیقی و اشعار او، گرد آورده محمد دیبر سیاقی، стр. 74، ۱۳۳۴ (‘вид ткани’), а не ‘красивый’ (‘красивый’). Последняя форма встречается у Шеблӣ Но‘мāнӣ (стр. 42, ۱۳۳۵) (‘شعر العجم’، Хӯшанг Мостоуфӣ (стр. 56, ۱۳۳۶) (‘شعرای بزرگ’). А. Мирзоева (Рудаки и развитие газели. Сталинабад, 1958, стр. 28. Далее: А. Мирзоев, Ш. Хусейнзода (Адабиёми Тоҷик. Сталинобод, 1954, стр. 91. Далее: Ш. Хусейнзода). Но таким чтением нарушается гармония компонентов байта (خون الوده، برسان — برسان، زمین — هوا نیل اند وده، دلیبا — مشتی).

Е. Э. Бертельс понимает как то štī: „Воздух—словно рука напоенная мускусом“ (Е. Э. Бертельс, История персидско-таджикской литературы. М., 1960, стр. 163. Далее: Е. Э. Бертельс, История), что, конечно, неверно.

Последнюю строку этого фрагмента читают и толкуют по разному². Е. Э. Бертельс, видимо, здесь читает *kūštī* ('борьба'):

«Таким становится мир с каждым мгновением, что в степи
Леопард хватает газель только, чтобы поиграть с ней»³:
Так понят этот байт и во французском переводе:

„Le monde se fait chaque jour plus aimable et l'on dirait que la panthere saisit que par jeu la biche“⁴;

А. Челидзе:

одѓаර ӮҶијбда დღეს ქვეყანა, հոმ მინდო՞-ველ՞შ
ვეფხეს ახლა მხოლოდ საჭიდოდ თუ უნდა შველ⁵.

(Таким стал мир, что в поле ныне леопадру только для того нужна газель, чтобы бороться с нею);

А. Е. Бертельс, С. Шервинский:

«Вступит и газель в поединок с барсом,
Так прекрасен мир, так цветы манят»⁶,

Н. Османов:

«Каждый миг мир становится таким, что кажется,
Барс не хватает газель, кроме как убить»⁷.

А. Мирзоев *کشتی* читает как *кушти*⁸ и понимает его как зороастринский зонар⁹:

کشتی значит 'борьба, единоборство' (М. А. Гаффаров, стр. 658). Это действие, в котором два человека пристают друг к другу и один хочет сбить с ног другого': *دو کس بر هم چسپند و خو اهند یکدیگر را بر زمین زنند* (стр. 1649 'два человека црастают друг к другу и один хочет сбить с ног другого'. *و بهم چسپیدن دو پهلوان*: *دو یکدیگر و کو فتن و افکنندن یکدیگر را بر زمین* (стр. 2803) 'борьба, сражение; состязание. Пристать двум пахлаваном друг к другу и сбить противника с ног'. „Борьба, единоборство; *کشتی گرفتن* 'бороться, мериться силой' (Б. В. Миллер, стр. 401). Поэтому

² Этот байт вообще не читается в некоторых текстах (См.: Рудаки. Составление, примечания и редакция И. С. Брагинского, переводы В. В. Державина и В. В. Левика. Сталинабад, 1949, стр. 127; Рудаки. Вступительный очерк, составление и примечания И. С. Брагинского, переводы В. В. Державина и В. В. Левика. Сталинабад, 1955 г., стр. 123).

³ Е. Э. Бертельс, История, стр. 163.

⁴ Z. Safâ, Antologie de la poesie persane tekstes choisis par Z. Safâ. Traduits par G. Lazard, R. Lescot et H. Massé. 1964, стр. 50.

⁵ оରାବ୍ଲୋ ଲୋରୋଜଟ୍ୟେଦ୍ବୋ. ତାରଗଢାନୀ ଏରାବ୍ଲୁଲୋଡାବ ଅ. ଫୁଲିଂଡାର୍ ମୋର, ତବ୍ଲୋଲୋର୍, 1936, стр. 250.

⁶ Антология таджикской поэзии—под редакцией А. Бертельса и С. Шервинского М., 1957, стр. 50. Ср. Ш. Хусейнзода, стр. 91 (гӯштӣ—'борьба').

⁷ А. М. Мирзоев, стр. 39.

⁸ Ашъори хамасрони Рӯдакӣ. Сталиноабд, 1958, стр. 282.

⁹ Там же, стр. 395.

толкование Е. Э. Бертельса и французской антологии опирается скорее на интуиции, чем на содержание текста. Не кажется убедительным понимание и А. Челидзе,—Леопард не занимается борьбой, тем более с газелью. У А. Е. Бертельса и С. Шервинского передано настроение стиха, не опираясь на данные текста (в предложении подлежащим является не „газель“, а „леопард“).

В толковании Н. Османова не учтены грамматические особенности языка. Если *كشتى* считать глаголом, как это делает исследователь, то перед нами форма, образованная *حکایت*, *بای*, которая исключает употребление предлога *جز.*. Не убедительным кажется нам чтение и толкование А. Мирзоева, — зороастринский зонар даже в метафорах не может иметь ничего общего с барсом и газелью.

По нашему мнению, здесь имеется слово گشتی (gaštī), значения которого такие: پسپان و نگهبان و پاسبان شب و خوشی و شادی و صحت و ندرستی (стр. 2905—‘сторож’, караульщик: ночной сторож; мир, веселье, здоровье, благополучие; радостный; радующийся, веселый’. у Борхāн-а گشت тоже самое, что سیر (‘прогулка, гуляние’; стр. 1819) (برهان قاطع، قاطع)

Дакики хочет сказать: всем известно, что леопард хватает газель, но сейчас прекрасный весенний день умиротворил даже хищного леопарда, он не хватает газель, а, наоборот, гуляет с ней.

Такой поэтический образ часто встречается в восточной поэзии. В поэме „Віс-о Рамін“ Фаҳр ад-Діна Горганій (XI в.) читаем:

¹⁰ „—که میشان را شبان بودند گرگان“ — Что овец пасут волки”.

¹¹ —“Онагр со свирепым львом пил воду”; **گور آپ** با شیئر دیشہ خورد **— همی** 1121: У Моизи (1048—

¹²—«Тои дешти Аман یابد ز شیر مرغزار»—Степная газель мирно существует со львом»;

У Руставели:

„თხა და მგელი ერთად სძოვდეს“¹³— „Паслись вместе волк и коза“.

По-видимому, слово گشتى у Дақый неправильно было истолковано еще в средние века, иногда его читали и понимали как گشتى ('корабль, судно'). Это видно из одного байта „Вайс-о Рамын“:

¹⁴ „نگیردیوز آهوی شکاری“ — Гепард не может поймать дикую газель“, особенно из одного варианта этого байта:

ویس ورامین فخر الدین گرگانی، به اهتمام محمد جعفر^{۱۰} стр. 234، ۱۹۰۹
محبوب، تهران، ۱۹۵۹

¹¹ Там же, стр. 237.

¹² علی اکبر دهخدا، امثال و حکم، جلد سوم، ص 1303.

¹³ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყიოსანი, თბ., 1968, 1582.4.

¹⁴ Ctr. 121، ورامین، ویس

¹⁵ „نَجَّيْرِدْ پُوزْ آهُو بِي سَمَارِي“ — Гепард не может поймать газель без лодки” и его дословного грузинского перевода: „„ვაზა უნდა მოვალია მხასა ვერ შეიძურობს“¹⁶.

Этот вариант и следует восстановить в тексте „Віс-о Рамін“ несмотря на то, что он, по нашему мнению, возник в результате недоразумения¹⁷.

مَثْنَوْيٌ وَيَسٌ وَرَامِينٌ تَصْنِيفُ فِيْخِرِ الدِّينِ اسْعَادِ الْأَسْتَراِ بَادِي الفَخْرِي الْكَرْكَانِي ، ¹⁵
بِتَصْحِيحِ كَيْتَانٍ وَلِيمٍ نَاسُولِيوسٍ صَاحِبٍ وَمَنْشِى اَحْمَدٍ عَلَى صَاحِبٍ، بِهِ اهْتِمَامٌ كَيْتَانٌ
صَاحِبٌ، كَلِكتَهُ، ۱۸۶۸ ، str. 111

¹⁶ ვის რამინ თარიღი გამოსაცემად მომზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაუტოვეს
ალექსანდრე გვარიაშვილი და მაგილი თოდუაშ. რედაქტორი გიორგი წერეთელი. თბ., 1962, გვ. 102.

¹⁷ С. Иорданишвили также показалась лодка для барса неподходящей: „Из-за полноводья мы вынуждены перевозить ловчего барса в лодке, чтобы поохотиться на козла“ (Висрамиани, Перевод С. Иорданишвили. Тб., [1966 г.], стр. 78.

პრიზიპა და ბიბლიოგრაფია

ნოდარ ნათაძე

„ისტორიათა და აზმათა“ აჩვენებს საკითხებისათვის

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა
ს. ყაუხჩიშვილმა)

„მაცნეს“ 1967 წლის მე-2 ნომერში, სათაურით — „რუსთაველის საისტორიო თხზულების გამო“, გამოქვეყნებულია ივ. ლოლაშვილის პასუხი ჩვენს კრიტიკულ რეცენზიაზე („მნათობი“, 1966 № 2), რომელიც შეხება მის წიგნს „რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა“, თბილისი, 1961. ჩვენი წერილი შეიცავდა ორ მტკიცებას: ა. — რომ ავტორის ჰიპოთეზა, თითქოს რუსთაველი „ისტორიათა და აზმათა“ ავტორია, მოკლებულია საბუთიანობას. ბ. — რომ კვლევა-ძიებას ძველი ქართული ლიტერატურის დარგში ესაჭიროება ლინგვისტური მომზადების სხვა დონე, სხვა მოცულობის ინფორმაცია ძველი ქართული ენის ლექსიკისა და გრამატიკული სტრუქტურის შესახებ, ვიდრე ის, რომელიც ივ. ლოლაშვილის სარეცენზიონ წიგნში ჩანს. ვინაიდან ივ. ლოლაშვილი ორივე ამ მტკიცებას საღავოდ ხდის, შევეცდებით მათს ცალკალ დასაბუთებას.

პ.

1. აუცილებელ რგოლს ავტორის (ივ. ლოლაშვილის) არგუმენტაციის გაჭვში წარმოადგენს დებულება, რომ ე. წ. „ბოლოსიტყვა“, რომელიც დამკვიდრებული ტრადიციით თამარის ე. წ. შეორე ისტორიას ანუ ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებას მიეკუთვნება, ნამდვილად „ისტორიათა და აზმათა“ ნაწილია. ჩვენი მტკიცების თანახმად, „ბოლოსიტყვა“ არ არს და არ შეიძლება ციხს „ისტორიათა და აზმათა“ ნაწილი. ამ მტკიცების უფლებას გვაძლევს შევეთრი ენობრივი სხვაობა „ისტორიათა და აზმათა“ და „ბოლოსიტყვის“ ტექსტებს შორის: „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი სისტემატურად ხმარობს ქართული ენისთვის უცხო, ბერძნულიდან კალკირების შედეგად მიღებულ ისეთ სინტაქსურ კონსტრუქციას, რომელსაც „ბოლოსიტყვის“ ავტორი არ იცნობს, სახელმომართო მოქმედებით გვარის მიმღებას „აბსოლუტივის“ ფუნქციით („დაშერელთა ყოვლისა სანოა გისათა... განვლეს წყალი ეკლეციისა“...). ივ. ლოლაშვილი ამტკიცებს, თითქოს აღნიშნული სინტაქსური კონსტრუქცია არ ახასიათებს „ისტორიათა და აზმათა“ მთელ ტექსტს და, ამგვარად, გასაკვირი არაა, რომ „ბოლოსიტყვაშიც“, რომელიც, მისი აზრით, „ისტორიათა და აზმათა“ ნაწილია, იგი არ მოიპოვებოდეს. იგი წერს: „(„ისტორიათა და აზმათა“ ნ. ნ.) იმ ნაწილში, სადაც ავტორი თამარის პიროვნებას ახასიათებს (გვ. 68-81) ეს კონსტრუქცია სრულებით არ მოიპოვება“ („მაცნე“, 1967, II, გვ. 303). მაგრამ ივ. ლოლაშვილის ეს ცნობა ფაქტებს ეწინააღმდეგება: სინამდვილეში ავტორის მიერ დამოწმებულ გვერდებზე ეს კონსტრუქცია

რა მ დ ე ნ ი მ ე ა თ ე უ ლ ჭ ე რ გვხვდება (მოგვყავს ნიმუშები პირველივე გვერდებიდან):

და წარეგმართა დავით, წარმაღლუანელი ქელისა ცხოვრებისა და შემყრელი დარღვეულისა სკიანად მოქმედებულისა (გვ. 68)1.

და მ გ დ ე ბ მ ა ნ განძისა და არანისა ჭალათა, მთათა მაგართასა, აჰედა (sic) საფარველი (გვ. 68).

მეფე... შეჯდა ზერდაგსა, რომელი ეყიდა ვახტანგ ხაჩენელისაგან, მბოძებელს ციხესა და სოფლისასა (გვ. 69).

აშირ-შირმან მოყმერან, ამ დებელმან პოროლთამან, შეირტყა მშვილდებარჭი (გვ. 69).

იქნებ ივ. ლოლაშვილის მიერ გვერდების მითითება ლაფუსუსს შეიცავს და შისი მსჯელობა მხოლოდ ტექსტის იმ მონაცემთს ეხება, სადაც მართლაც თამარის პიროვნებაზეა ლაპარაკი (გვ. 78-81)? არა, ვერც ეს „ჰიპოთეზა“ მართლდება: საკუთრივ თამარის პიროვნების დახასიათების დროსაც „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი ამგვარ კონსტრუქციას ხმარობს. შაგ: (თამარ) „ამისმან მ ს მ ე-ნ ე ლ ბ ა ნ და კეთილად გულისქმის მყოფელ მან აღინიშნა თუალნი მაღლისა მიმართ“ (გვ. 79).

ახლა განვიხილოთ საკითხის მეორე მხარე. რამდენად სპეციფიკურია ეს კონსტრუქცია „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტისთვის? მართალია; აღნიშნული კონსტრუქცია მხოლოდ ამ თხზულებაში არ გვხვდება, მაგრამ იგი მაინც არაა ზოგადად ძველი ქართული სალიტერატურო ენის კუთვნილება. შის არსებობას ქართულში აქვთ თავისი დასაწყისი და დასასრული. თუმც ბერძნულიდან თარგმნილ ყოველ ცალკეულ ძეგლში იგი შეიძლება დამოუკიდებლად გაჩნდეს (როგორც ვთქვით, იგი ბერძნულის კალკია), მაგრამ ორიგინალურ ქართულ ტექსტში მისი ხმარება მხოლოდ გარკვეულ სკოლას, გარკვეულ ლიტერატურულ ტრადიციას ეკუთვნის. მისი საწყისი, როგორც ქართული ენის ისტორიის კალევის თანამედროვე დონეზე ჩანს, იმანე პეტრიწის შროშებში და მის ლიტერატურულ გარემოში უნდა ვეძებოთ. მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრებაც „ისტორიათა და აზმათა“ ავტორის კავშირზე პეტრიწის ლიტერატურულ ტრადიციასთან, ძირითადად, სწორედ ამ კონსტრუქციის გაშეყნებას ემყარება „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში. „უამთააღმწერელიც“ ამ კონსტრუქციას იმიტომ მიმართავს, რომ მისი ავტორი „ისტორიათა და აზმათა“ (შესაძლოა, აგრეთვე სხვა თხზულებათა) წყალბით დამკვიდრებული ისტორიულ-ლიტერატურული ტრადიციის ფარვატერში ჩადგომას ცდილობს.

მაგრამ ხსენებული სინტაქსური კონსტრუქცია რომ მართლაც ზოგადად ძველი ქართულისთვის იყოს დამახასიათებელი, ეს მაინც ვერ გამოლევებოდა რეცენზიაში მოტანილი არგუმენტის უარსაყოფად: ჩვენ რომ გვემტკიცებინა, თითქოს ორი სხვადასხვა ნაწარმოები (ვთქვათ, „ისტორიანი და აზმანი“ და „უამთააღმწერელის“ სახელით ცნობილი მატიანე) ერთი ავტორისაა, რადგან ორივეში ზემოხსნებული აბსოლუტივური კონსტრუქცია. გვხვდება, მაშინ ივ. ლოლაშვილს შეეძლო ჩვენი დებულების გასაბათილებლად სხვა ძეგლებიდან ამავე კონსტრუქციის მაგალითები მოეტანა. მაგრამ ჩვენ ხომ სწორედ საწინააღმდეგოს ვამტკიცებთ: რომ „ისტორიანი“ და ე. წ. „ბოლოსიტყვა“ სხვადასხვა ავტორის თხზულებებია, რადგან პირველი ზემოხსნებულ სინტაქსურ კონსტრუქციას სისტემატურად ხმარობს, შეორე კი — არც ერთხელ! ნუთუ ავ-

1 „ქართლის ცხოვრების“ დამოწმება აქ და ქვემოთ ხდება ს. ყაუ ხ ჩ ა შ ვ ი ლ ი ს 1959 წლის გამოცემის მიხედვით.

ტორს ჰელინია, რომ მემატიანებ (მისი აზრით კი — რუსთველმა) შეიძლება ნაწარმოების ერთი ნაწილი (სიოდე გვერდი) ბერძნულიდან ნახესხები სინტაქსური კონსტრუქციებით წეროს, მეორე ნაწილი კი (ათავდე გვერდი) — ბუნებრივი ქართულით?

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ივ. ლოლაშვილის, როვორც ჩანს, ზუსტად ვერ გაუგია, თუ სახელდობრ რომელ სინტაქსურ კონსტრუქციას ეხება მსჯელობა ჩვენს რეცენზიაში. მიმღებებს („მოსული“, „წასული“, „მთქმელი“, „სათქმელი“, „უთქმელი“ და სხვ.) კველა ძეველი და ახალი ქართველი ავტორი ხმარობს. „ისტორიათა და აზმათა“ პეტრიწონული სტილისათვის სპეციფიკურია მხოლოდ მოქმედებითი გვარის მიმღები ბაზარი გამოყენებული არა არამედ ვნებითი გვარის მომღერა. ასეთი კონსტრუქციები არ წარმოადგენს ბერძნულის კალკს, არ არის სპეციფიკური ძეველი ქართული ტექსტების რომელიმე ჯგუფისათვის და ჩვენს მიერ აღძრულ საჭიროა არა მოქმედებითი, არამედ ვნებითი გვარის მომღერა. ასეთი კონსტრუქციები არ წარმოადგენს ბერძნულის კალკს, არ არის სპეციფიკური ძეველი ქართული ტექსტების რომელიმე ჯგუფისათვის და ჩვენს მიერ აღძრულ საჭიროა არავითარი კავშირი არა აქვს (მაგ. „მისრულური კაბეთს, სოფელსა ერთსა, ველისციხესა, იხილა ქალი“; „მგზავრული კაბეთსა, დამდაც აბლა იგი...“ და სხვ.).

ამგვარად, „ბოლოსიტყვისა“ და „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტის ერთი ნაწარმოების ნაწილებად აღიარება შეუძლებელია. ამით საფუძველი ეცლება ანტონ კათალიკოსის ცნობაზე დამყარებულ შემდგომ არგუმენტაციასაც: ეს ცნობა, უბრალოდ რომ ვთქვათ, „ისტორიათა და აზმათ“ არ ეხება.

2. შეიძლება თუ არა ამავე წესით დამტკიცდეს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ერთის მხრივ, „ისტორიანი და აზმანი“ მეორეს მხრივ ერთსა და იმავე ავტორს არ ეკუთვნის? სინტაქსური და სტილისტური შედარების გზით ეს ვერ დამტკიცდება (ერთი პროზაული ნაწარმოებია, მეორე — პოეტური), მაგრამ თუკი ერთსა და იმავე სიტყვას ერთი ტექსტი სხვა მნიშვნელობით ხმარობს, ვიდრე მეორე, ეს ისეთი რეალური საბუთია ავტორთა სხვადასხვაობის მტკიცებისათვის, რომლის უგულებელყოფა შეუძლებელია. არის თუ არა ასეთი სიტყვები „ვტ“-სა და ჩვენი ისტორიკოსის თხზულებაში? ჩვენს რეცენზიაში ერთი ასეთი სიტყვა აღნიშნული: ესაა „ელვა“, რომელსაც რუსთველი „სხივის“ მნიშვნელობით ხმარობს, „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი კი მისი დღევანდელი მნიშვნელობით. „ვეფხისტყაოსანი“ არის რამდენიმე კონტექსტი, სადაც ეს სიტყვა მხოლოდ სხივს შეიძლება ნიშნავდეს („დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთობასა“, „მზისა ელვათა ფენანი“) და არის კონტექსტები, სადაც იგი შეიძლება „სხივსაც“ ნიშნავდეს და „ელვასაც“ სიტყვის დღევანდელი აზრით, ანუ ღრუბლებში წარმოშობილ ნაპერწყალს („შავთეთრი ელვა ჰერთებოდა“, „დაუყვნა თვალი ელვამან, მისთა ღავთაგან კრთომილმან“). შაგრამ პოემაში არ არის არცერთი კონტექსტი, სადაც „ელვა“ შეიძლება მხოლოდ ღრუბლებში წარმოშობილ ნაპერწყალს ნიშნავდეს. განაბუნებრივი და ლოგიკური არ არის, რომ იმ საეჭვო კონტექსტებშიც, საღავაო არივენაირი გაგება შესაძლებელია, „ელვა“ სხივის მნიშვნელობით გავიგოთ? რასაკვირველია, შეიძლება ყოველი დებულება — მათ შორის ზემოთმოყვანილი მსჯელობაც „ელვა“ სიტყვასთან დაკავშირებით — კითხვის ქვეშ დავაყენოთ. შაგრამ შაშინ უნდა კითხვის ქვეშ დავაყენოთ თვით ფაქტი რუსთველთან ამ

სიტყვის სპეციფიკური აზრით („სხივი“) ხმარებისა (ამისთვის ავტორს, როგორც უკვე ითქვა, მასალა არ მოეძებნება) და არა ამ ფაქტის საბუთად გამოყენების შესაძლებლობა. თუკი რეცენზირების შეჯელობა მის ფაქტობრივ ნაწილში მართლია (ე. ი. „ელვა“ მართლაც ორ ტექსტში სხვადასხვა აზრით იხმარება), მაშინ იგი არც ერთ მკითხველში, რომელიც ფილოლოგიურ არგუმენტაციას სიზუსტისა და ობიექტურობის მოთხოვნას უყენებს, „განცვითრებას“ არ გამოიწვევს.

რაც შეეხება ივ. ლოლაშვილის მიერ მოტანილ „ვტ“-ის ტაქტს — „მათ ქესმა, დავინახე ზახილი და სრმალთა ელვა“ — მისი დამოწმება იმის სამტკიცებლად, თითქოს რუსთველი „ელვას“ ღრუბლებში გაქნენილი ნაპერწყლის აღსანიშნავად ხმარობს, უბრალო გაუგებრობაა; „ელვა“ აქ მასდარია ანუ „ინფინიტივაა“ როგორც წარმოშობით, სე ფუნქციით, იმ დროს როცა „ელვა“ — სხივის ან ელექტრული განმუხტვის აღსანიშნავად — თვისი ფუნქციით არსებითი სახელია და პირველ „ელვასთან“ ისტორიული წარმოშობის გარდა საერთო არაფერი აქვს.

იგივე შეიძლება ითქვას ივ. ლოლაშვილის მიერ მოტანილ აღგილებზე „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტიდან: „ელვარება“, რომელიც აქ გვხვდება, აგრეთვე მასდარია. იგი სხვა სიტყვაა, ვიდრე ჩვენს სიერ განხილული „ელვა“ და პირველის მნიშვნელობის მიხედვით მეორის მნიშვნელობაზე დასკვნა ვერ გავეთდება.

3. რაც შეეხება სარეცენზიონ წიგნში მოტანილსა და პასუხში გამეორებულ დანარჩენ საბუთებს, დამყარებულს „ვეფხისტუასნისა“ და „ისტორიათა“ ტექსტის „დამთხვევაზე“, ეს იმ რიგის მსჯელობაა, რომლითაც შეიძლება ნებისმიერი ორი თხზულების ავტორთა იგივეობა დამტკიცდეს. ივ. ლოლაშვილის დაკვირვებანი, რომელთა მიზანია ორი ტექსტის მსგავსება გვიჩვენოს — რომ „ისტორიანი და აზმანი“ დაწერილია „რუსთველური შემოქმედებითი პოტენციით“, რომ „ავტორმა თავის თხზულებაში აღმოშობა ცეცხლი თამარისაღმი სიყვარულისა“ (ეს ფაქტობრივი შეცდომაა, რამდენადაც „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი არ გველაპარაკება თავის სიყვარულზე თამარის მიმართ), რომ ისტორიკოსი ავტორი „მხატვრული სახეებით აზროვნებს“, რომ როგორც „ვეფხისტუასნის“, ისე „აზმათა“ სტილს აზასიათებს „ზმნების უხვი ხმარება“, „ვერბალური ალიტერაცია“, „პოეტური განმეორება (თუმცა „აზმათა“ ტექსტიდან მოყავილ განმეორებებში ძნელია რაიმე „პოეტური“ ფუნქცია დავინახოთ: არცა... არცა, ხუთასი — ხუთასი, შემდგომად — შემდგომად...), ჩამოთვლა(!), რომელსაც ივ. ლოლაშვილი, ატომლაც, „მხატვრულს“ უწოდებს („ოქრო, ვერცხლი და რვალია...“), — ეს „დამთხვევები“ არავითარ შემთხვევაში „ვეფხისტუასნისა“ და „აზმათა“ ავტორის იგივეობას არ მეტყველებენ. განა „პოეტური პოტენცია“ თამარის ეპოქის საქართველოში მარტო რუსთველს შეიძლება ჰქონდა? განა არსებობს დიდი მოცულობის ნაწარმოები — გინდ მხატვრული და გინდ არამხატვრული — რომელშიც ჩამოთვლა და განშეორება არ გვხვდება? განა სხვა ისტორიკოსები, რომელთა თხზულებებისგან შედგენილია „ქართლის ცხოვრება“, „მხატვრული სახეებით არ აზროვნებენ“? ან განა ივ. ლოლაშვილის შეუძლია გავვიმიტოროს, რას ეძახის იგი „ზმნების ხშირ ხმარებას“ (რამდენ სიტყვაზე უნდა მოდიოდეს ერთი ზმნა: ორზე, სამზე, ათზე, რომ ხშირი იყოს?), აღარაფერი რომ ვთქვათ იმაზე, რომ ამგვარი „სტატისტიკური“ დასკვნებისთვის ორიოდე ნაწყვეტის მიხედვით მსჯელობა არ

კმარა და, ამასთან ერთად, სხვა ავტორთა ტექსტებთან შედარებაცაა საჭირო! დანამდვილებით შეიძლება ითქვას: ძველ ქართულ ლიტერატურაში (და, ალბათ, სხვა ხალხებისა და სხვა ეპოქების ლიტერატურაშიც) არ არსებობს ნაწარმოები, რომელსაც არ ახსაითებდეს „ერთ მთლიანობაში აღებული“ (ივ. ლოლაშვილის სიტყვებია. რუსთ. და თამ. ისტ. ვინ. პრ. გვ. 85), ყველა ის ნიშანთვისება, რომელთა მიხედვითაც ის (ივ. ლოლაშვილი), „ვეფხისტყაოსნისა“ და „აზმათა“ ავტორის იგივეობას ამტკიცებს.

რაც შეეხება ნამდვილ დამთხვევას ორ განხილულ ტექსტს შორის, რომელიც ივ. ლოლაშვილს, არსებითად, ყურადღების გარეშე რჩება (ცალკეული „სტანდარტიზებული“, კონვენციონალური სახეებისა და მოტივების გამოყენება: სისხლის ცრემლები, გაჭრა, გახელება და სხვ.) — ეს მს თ ლ ო დ საერთო კულტურულ გარემოსა და საერთო ლიტერატურულ ტრადიციაზე მიუთითებს, რაც სრულებით უდავოდ მოწმდება, სხვათა შორის, ამავე მოტივების გამოყენებით სხვა თანამედროვე თხზულებებში, მაგ. „ვისრამიანში“ და ხოტბებში, რომელთაც ივ. ლოლაშვილი რუსთველის შექმნილად არ მიიჩნევს.

ვფიქრობთ, ზემოთქმული კმარა იმის სილუსტრაციონდ, თუ რაოდენ უსაფუძვლოა „აზმათა“ რუსთველისეულობის ჰიპოთეზის ის დასაბუთება, რომელიც ნაცადია ივ. ლოლაშვილის შრომაში. სხვა საკითხია: შეიძლება თუ არა ეჭვმიუტანლად დატკიცდეს, რომ „ისტორიან და აზმანი“ რუსთველს არ ეკუთვნის? ამგვარი კვლევა-ძიება ჩვენ დღესდღეობით ზედმეტ შრომად გვესახება, რამდენადაც დღესდღეობით არ არსებობს ზემოთ განხილული ჰიპოთეზის სასარგებლო არცერთი სერიოზული საბუთი, რომელიც კრიტიკულ განხილვასა და შეფასებას საჭიროებდეს. მაგრამ თუ მანც დავისახავდით ამ მაზანს, ვფიქრობთ, კვლევა-ძიება პირველ რიგში ორივე ავტორის კულტურული ჰიპოთეზონტრისა და კულტურულ-ისტორიული „სიმპათიების“ შედარების გზით უნდა წაგვემართა: მიუხედავად კულტურულ-ისტორიული ჰიპოთეზონტის დიდი ძალა საგადასისა, თავის პერსონაჟთა განდიდების შიზნით გამოყენებული სახელების შეჩრივ (ანტიკური, ბიბლიური, აღმოსავლური პერსონაჟები) ისტორიკოსი ავტორი შეტ მსგავსებას ამეღლავნებს მეხოტბეებთან, ვადრე რუსთველთან.

8.

ივ. ლოლაშვილი დისკუსიის საგნად ხდის ცნება „პროფესიონალიზმის“ გამოყენების მართებულობას, როცა ძველი ქართული ლიტერატურის საკითხებისადმი მიძღვნილ გამოკვლევას კრიტიკულად ვაფასებთ.

„პროფესიონალიზმი“ ძველი ქართული მწერლობის კვლევაში გულასხმობს, პირველ ყოვლისა, ძველ-ქართული ტექსტის გაგებას ანუ მჯვლევარისთვის ცნობილ რომელიმე სხვა ენაზე — თუნდაც, თანამედროვე ქართულზე თარგმნის უნარს. ეს პირობა, მართალია, საჭმარისი არა კვლევის მინიმალურად დამაკავშირებელ დონეზე წარმოებისათვის, მაგრამ ივი აუცილებელია, მას გარეშე კვლევა არ არსებობს. შემდეგ, მკვლევარს ესაჭიროება ძველი ქართულის გრამატიკული სტრუქტურის სამედონ და მკვიდრი ცოდნა, რათა შეეღლოს მსჯელობა იმაზე, თუ რომელი გრამატიკული ფორმა ბუნებრივია ან დასაშვებია ძველ ქართულში და რომელი არა (ეს გამსაჯუთრებით ტექსტოლოგს სჭირდება). და უკანასკნელი, მკვლევარმა უნდა იცოდეს — მიახლოებით შინც — ენის ისტორია, რათა გრამატიკული ფორმების აღნაფობა ნაწარმოების ან ხელნაწერის დათარიღებისთვის გამოიყენოს. ვერცერთი მჯვლევარი, რა-

საკვირველია, ვერ იქნება დაზღვეული შეცდომისაგან, როცა ტექსტის აღდგენას ან ინტერპრეტაციას ცდილობს. მაგრამ ერთია შეცდომა, ხოლო მეორეა არღაფიქრება, უგულებელყოფა იმ მონაცემებისა — ამ შემთხვევაში, ლინგვისტური მონაცემებისა — რომელთაც ძალური ჩვენთვის საინტერესო საკითხზე გადამწყვეტი მნიშვნელობის ინფორმაცია მოგვცენ. ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარი ვალდებულია, ჰქონდეს საზომი, რომლითაც იგი თვის მიერ აღდგენილი ან ინტერპრეტირებული ტექსტის სისწორეს აფასებს როგორც გრამატიკული, ისე ლექსიკური (სემენტიკური) თვალსაზრისით. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ვიღრე თავს დასკვნის გამოტანის ნებას შისცემდეს, მკვლევარმა მის ხელთ მყოფ მასალას ეს საზომი უნდა მიუყენოს. ამ ზა-სიათის ლინგვისტური კვლევა არა მხოლოდ სასურველია ძველი ქართული მწერლობის მკვლევარისათვის, არამედ აუცილებელიცა.

მსჯელობა განყენებული რომ არ იყოს, შეიძლება თქმულის რამდენიმე მაგალითთ ილუსტრაცია.

„აბდულშესიანის“ ტექსტში ქართველი გვირგვინოსნის ღირსებათა ჩამო-თვლის შემდეგ ნათქვამია:

გვესილო ამით,
ჰგავ სილოამით
შეცდებისა ბიჭთა წარმრღვნელად.

თუ ძ. ქართულის ლექსიკაზე მექანიკურად გადავიტანთ იმ მნიშვნელობას, რომელიც ამ სიტყვებს დღეს აქვთ, და თუ ამავე ღროს ჩვენს ინტერპრეტაციას არ მივუყენებთ მაინცდამაინც მკაცრ მოთხოვნებს გრამატიკული ნორ-მების დაცვის მხრივ, ამ ნაწყვეტის ყველაზე „ადვილი“ გაეხდა ასეთი იქნება: „შენ, სილოამის წყლით გავსილო(!), ჰგავ ხარ (ხაზი ჩვენია. — ნ. ნ.) შეცო-დების უწმინდურებათა წამლეკველს...“ („აბდულმესიანი“, ივ. ლოლაშვილის გამოცემა. გვ. 166).

მაგრამ ძველი ქართული ენის ნორმათა გათვალისწინება ასე სანახევროდ გაგებული აზრით დაქმაყოფილების შესაძლებლობას არ მოგვცემს. კერძოდ, მკვლევრის ყურადღებას მიიქცევს კონსტრუქცია „ჰგავ... წარმრღვნელად“, რო-შელიც გრამატიკულად შეუძლებელია, თუ სიტყვა „ჰგავ“ მართლაც „გვანებას“, „მსგავსებას“ ნიშნავს (ჰგავხარ „რას“ და არა „რად“!). მართლაც, სიტყვა „ჰგავ“ ძველ ქართულში მხოლოდ „მსგავსებას“ კი არ ნიშნავს, არა-შედ „ვალდებულებასაც“ (შდრ. მაგ. სახარების სიტყვები: „არა შეჰგავს ქორ-წინებად“ — არა წამს, არა ქერ-არს ქორწინება). სპეციალისტი-ლინგვისტი გა-ნაგრძობს „ჰგავს“ ზმის ამ სემანტიკური მრავალგვარობის კვლევას და უთუოდ გაიხსენებს სვანურის მონაცემებს, სადაც ამავე ძირის ზმის („ხახეშ“) ორი ერთ-შეანეთთან ახლოს მდგომი მნიშვნელობა აქვს: „ჰგავს“ და „ღირს“ (← „შეჰგავს“, „ეკუთვნის“). კვლევის ეს გაღრმავება არალინგვისტს, ფილოლოგს არ სჭირ-დება, მაგრამ იმის გამოძიება, თუ რას ნიშნავს ეს ზმია, ახ. ქართულისგან გან-სხვავებით, ძველ ქართულში, მის უმუალო მოვალეობებში შედის. ძ. ქარ-თულის ლექსიკისა და გრამატიკული ნორმების ასეთი გაუვალისწინების შედე-გად აღვილად იხსნება ტაქტის აზრიც: გეკუთვნის, რომ სილოამის საბანელით, ან: სილოამის საბანელივით შეცოდების ბიჭს რეცხდეთ („ჰგავ“ ამ მეორე აზ-რით ბუნებრივად იგუებს ინფინიტივს ანუ მასდარს ვითარებით ბრუნვაში).

მეორე მაგალითი „თამარიანიდან“: სტრიქონის —

მათ ზედა განმხდენ გასახლებულად.

მარისეული გაგება „Двинутыеся семьями на них...“ Тексты и Роз., IV, стр. 37) ეჭვს ოლძრავს მკლევარში და ამ ეჭვს კიდეც იმსახურებს. მკვლევარს, რომელიც ძვ. ქართულის ნორმებს ანგარიშს არ უწევს ან ვერ უწევს, ადვილად მოაგონდება „კონიექტურა“:

მათ ზედა განმხდენ გასაჯრმლებულად

სადაც უკანსაკნელი სიტყვა, თითქოს, „განსაჯრმლობელად“, „ხმალდა-ხმალ შესაბრძოლებლად“ ნიშნავს (თამარიანი, ივ. ლოლაშვილის გამოცემა, გვ. 93-94). მაგრამ ეს ფორმა შეუძლებელი და და ძველი ქართულის გრამატიკული სტრუქტურის მცოდნისთვის ეს ერთი შეხედვით ნათელია, რადგან დაბოლოება -ებულ, როგორც პროდუქტიული მაშარმოებელი, გარდამავალი ზმნის სა-პრეფიქსიან მიმღებას არც ძველ ქართულში და არც ახალ ქართულში არა აქვს. დასკვნა ნათელია: „კონიექტურა“ უსაფუძღლოა. ეს ადგილი ან უნდა იკითხებოდეს ისე, როგორც ნ. მარი კითხულობდა, ან, შესაძლოა, „გასაჯრმლებულად“², რაც ნიშნავს „საჯმილივით მძაფრად“, „გაცეცხლებულად“.

ვიმეორებთ: ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ ძველი ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურისა და ლექსიკის სპეციალური ცოდნა მკვლევარს შეცდო-შისაგან დააზღვევს. ეს შეუძლებელია თუნდაც იმიტომ, რომ თვით ძველი ქართულის გრამატიკული სტრუქტურა და ლექსიკა ჭერჯერობით ბევრ ბუნდოვან მხარეს მოიცავს. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ არ შეიძლება ძველი ქართული ტექსტის აღდგენისა ან გააზრიანების ღროს ყოველ გრამატიკულ ფორმას შევურიგდეთ ისე, რომ ამ ფორმის ბუნებრიობისა და დასაშებობის საკითხი არ დავსვათ, არ შეიძლება ძველი ქართულის ყოველი ლექსიკური ერთეული გავიგოთ მისი თანამედროვე აზრით მანამდე, სანამ არ დავსვამთ საკითხს იმის შესახებ, ამ სიტყვის მნიშვნელობა ძველსა და ახალ ქართულში ერთია თუ განსხვავებული. ამისთვის კი პრატიკულად აუცილებელია, რომ ზოგად ხახებში ვიცნობდეთ ძველი ქართულის ლექსიკასაც და, განსაკუთრებით გრამატიკულ აღნაგობასაც, ე. ი. გათვალისწინებული გვქონდეს ის, რაც ჭერჯერობით გაკეთებულია ამ დარგთა კვლევაში.

ივ. ლოლაშვილის მიერ მოცემული ანალიზი და თარგმანი ძველი ქართული წინადაღებისა „ბოლოსიტყვის“ ტექსტიდან სწორედ კვლევის ამ აუცილებელ პირობებს უგულებელყოფს. მკვლევარის აზრით, სიტყვებში „... რათა მოქცევა თვისი მარტივობით იხილვის გუარსა შინა ანაგისასა შეუყოფელად ვნებათა“ სიტყვა „გვარი“ ბაგრატიონთა გვარეულობას ნიშნავს, ხოლო „ანაგი“ — „(ლოთის მიერ) გაჩენილს“. მთელი ფრაზის აზრი, ამგვარად, ის ყამოიდის, რომ თამარის ცხოვრება („მოქცევი“) უნდა „მარტივად და ვნებათა შეუხებლად“ გამოჩნდეს ბაგრატიონთა გვარში.

დაუკუშვათ ახლა, რომ „გვარი“ აქ მართლაც ბაგრატიონთა მოდგმას აღნიშნავს, ხოლო „მარტივობით“ იგივეა, რაც „მარტივად“ დღევანდელ ქართულში; კი შაგრამ, თუ „ანაგიც“ „აგებულს“, შექმნილს ნიშნავს და, ამგვარად, ზედ-სართავის ფუნქციითაა ნახმარი, მაშინ რატომაა ნათქვაში „გუარსა შინა ანაგი-სასა“ და არა „გუარსა შინა ანაგსა“? განა კონსტრუქცია „გუარსა შინა (ლოთის შეირ) შექმნილისასა“ ქართულია, თუ არ ვაგულისჩმებთ, ვინ არის ან რა

² ხ და ჸ ხელნაწერებში ხშირად აღრეულია.

არის ის „ღვთის მიერ შექმნილი“, ვის ან რის „გვარშიაც“ თამარის „ცხოვრება“ უნდა გამოჩნდეს? ეს „ვიღაც“ ან „რაღაც“ ფრაზაში არც ნახსენებია და არც იგულისხმება. მაშასადამე, მკვლევარი ტექსტის კითხვისა და გააზრიანების პროცესში იმთავითვე ურიგდება მხოლოდ სანახევროდ გაგებულ, გრამატიკულად გაუმართავ, ბუნდოვან ფრაზას და ასეთ გაგებაზე თავისი შემდგომი დასკვნების დაშვარებას არ ერიდება. რატომ ხდება ეს, ძალიან აღვილი მისახვედრია: იმიტომ, რომ მკვლევარისთვის, როგორც ჩანს, „ძველი ქართული“ და „ბოლომდე გაუგებარი ქართული“ სინონიმებია, რომ მისთვის ძველი ქართული ენის რიგითი ფრაზა ამდენადვე ბუნდოვანია თავის გრამატიკულ ნაწილში, რომ მას არ აქვს ხელთ რამე ხაზომი, რომელიც მას უეჭველსა და საეჭვოს ერთიმეორისგან გაარჩევინებს.

სინამდვილეში ეს ფრაზა, როგორც უკვე ვთქვით რეცენზიაში, ძალიან ადვილად აზრიანდება. „ანაგი“ აქ ნიშნავს „შექმნილს“ „ქვეყნიერს“ (შდრ. პეტრიშვის „ანაგები“) და ანარეკლია ქრისტიანობაში ჩვეული დაპირისპირებისა „შეუქმნელსა და შექმნილს ანუ ღვთაებრივსა და ქვეყნისეულს შორის. „გვარი“, მაშასადამე, აქ მს ო ლოდ თავისი ფილოსოფიური აზრით — მოვლენათა კატეგორიის, ჯვაფის აზრით შეიძლება იხმარებოდეს. რატომ „მხოლოდ“? იმიტომ, რომ სიტყვის მხოლოდ ეს ტერმინოლოგიური აზრი იძლევა საშუალებას ფრაზა ისე გავიგოთ, როგორც მისი შევრების გრამატიკულ ფორმას შეესაბაშება: „გუარსა შინა ანაგისასა“ ნიშნავს • „გვარსა შინა შექმნილისასა“, „შექმნილ, ანუ მიწიერ საგანთა და მოვლენათა კატეგორიაში“.

ეხლა რაც შეეხება ამავე ფრაზის მონაკვეთს — „დამდაბლებულმან გონიერისა გონებისაგან“. ივ. ლოლაშვილი საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებას იმეორებს, როცა ამტკიცებს, რომ სიტყვის „გონიერი“, სევე როგორც სიტყვის „გვარი“, ძველ ქართულში, გარდა ფილოსოფიური მნიშვნელობისა, რომელზეც მე ვლაპარაკობ, კონკრეტული საგნობრივი მნიშვნელობაც აქვს. ასეთი მნიშვნელობა აქვს ყველა ფილოსოფიურ ტერმინს, ყოველ შემთხვევაში, ანტიკური ფილოსოფიისთვის ცნობილ ყველა ტერმინს, თუკი იგი, უბრალოდ, სხვა ენიდან ნახესხები არ არის (მაგ. თეორია — ჭვრეტა, თეორემა — საჭვრეტელი, თეზისი — დადება, „დებულება“, თეზა — დასადებელი და სხვა). მაგრამ ძველი ქართული ლიტერატურის ტექსტთა შესწავლისას მაინც ტერმინის ორივე მნიშვნელობა უნდა გვქონდეს მხედველობაში — საყოფაცხოვრებოცა და ფილოსოფიურიც — და არა მხოლოდ პირველი. ამათ შორის უნდა ავირჩიოთ ის, რომელიც კონტექსტის მიხედვით უფრო ბუნებრივი ჩანს. „გვარის“ შეძოხვევაში, როგორც დავინახეთ ზემოთ, ფილოსოფიური გაგება უფრო ბუნებრივი აღმოჩნდა. ვნახოთ, რომელია უფრო ბუნებრივი „გონიერის“ შემთხვევაში.

ინტერპრეტაცია: „მიღმურ ანუ იდეათა სამყაროზე ფიქრით დამდაბლებული“ გამართულია ენობრივადაც და აზრობრივადაც. „გონიერი“ ძვ. ქართულ ფილოსოფიურსა და თეოლოგიურ ლიტერატურაში საქმიანდ ხშირად ხსარებული ტერმინია. „გონებაც“ ფიქრს ნიშნავს და მას ობიექტი ეწყობა ნათესაობით ბრუნვებში (შდრ. „თინათინის გონება“ — თინათინზე ფიქრი — „ვტ“. „შენმა გონებამ მიმამსჯავსა მიღეულ მოვარეს“ — ბესიკი). იდეათა სამყაროზე ფიქრი რომ ერთ-ერთი ძირითადი სათნოების — სიმდაბლის მიზეზა შეიძლება იყოს, ესეც სავსებით ბუნებრივია ქრისტიანული თვალსაზრისიდან ამოსვლით.

როგორც ვხედავთ, ტექსტის აშვარ გაგებას შინ არაფერი უდგას და თუ შეორე უ ფრთხილი გაგება უნდა მივიღოთ. რაც შეეხება მეორე ინტერ-პრეტაციას — „ჭკვიანი გონებისაგან დამზადებული“ — იგი ეჭვს იწვევს ორი მიმართულებით მაინც: ერთი, რომ „გონებისაგან“ დღევანდელი აზრით ანუ „რაციოსაგან“ დამზადება ძნელი წარმოსადგენია ქრისტიანული თვალსაზ-რისით. უკიდურეს შემთხვევაში, აქ შეიძლება იყოს „გონივრული ფიქრისაგან დამზადებული“. მეორეც, ცნებათ კავშირი „ჭკვიანი გონება“ მაინც ცუდი სტილის ტავტოლოგიად ჩერება, თუნდა იგი ეკ. ქართულის მრავალ ტექსტში იყოს ნახმარი. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ „ტავტოლოგიას“ ის-ტორიკოსი ვერ იხმარდა: მაგრამ როცა არსებობს მეორე, უფრო ბუნებრივი ისტერპრეტაცია, უპირატესობა ამ უკანასკნელს უნდა მივანიჭოთ, მით უმეტეს, რომ ივ. ლოლაშვილის მიერ ციტირებულ ადგილთა შორის ამ უხეირო ცნებათ-კავშირს ნამდვილად მხოლოდ ერთი შეიცავს, დანარჩენ შემთხვევებში კა მკვლევარს ტექსტი არასწორად აქვს გაგებული.

1. ერნო ღმერთ-შემოსილნო, განვიშმიდნეთ საცნობელნი სულთა ჩუენთანა და გონებითა გონიერითა (ბრძნული გონებით. ივ. ლოლაშვილის შენიშვნა) მივიშინეთ იერუსალემს (სას. პ. 345).

„გონება“ აქ არ ნიშნავს „ჭკუას“ ანუ გონებას დღევანდელი აზრით: აქ ნათქვამა, „ფიქრი ით მივიდეთ იერუსალიმშიონ“ და არა „ფიზიკურად მივი-დეთ, ჭკვიანი გონების მქონენიონ“.

2. იოვანე... იყო... ბრძენი და გონიერი გონებითა (ცხ. იოვ. და ეფთ.).

აქაც ისევ გაუგებრობა: „გონიერი“ აქ ეკუთვნის „იოვანეს“ (ეს შედგენი-ლი შემასქენლის ნაწილია). იოანე იყო გონიერი და არა მისი გონება. აქ „გო-ნებითა“ განსაზღვრავს „გონიერს“ და არა პირიქით, როგორც ივ. ლოლაშვილს ჰგონია.

3. ივ. ლოლაშვილის მიერ მოტანილ ი. პეტრიშვილის ციტატში რომ „გო-ნიერი“ გონითს, ინტელიგიის ნიშნავს, ამის საჩვენებლად საკმარისია კონტექსტის ნახვა, რომელსაც ადგილის ეკონომისისთვის აქ აღარ ვიშერთ.

როგორც ვხედავთ, ორი ინტერპრეტაციის შედარება პირველის სასარ-გებლოდ მეტყველებს. თუ სარეცენზიონ წიგნის ავტორმა ეს შედარება ჩაატა-რა და შეორე გაგებას უპირატესობა მიანიჭა, მაშინ ჩვენ მისი აზრი, პოლემიკა-ში მიღებული ევფემიზმი რომ ვიხმაროთ, „სადაც ინტერპრეტაციად“ უნდა ვცნოთ. მაგრამ თუ მას ეს შედარება არ ჩაუტარებია, არამედ პირდაპირ, წინას-წარი ანალიზის გარეშე შიაწერა სიტყვებს არატერმინოლოგიური, დღევანდე-ლი მნიშვნელობა, როგორც ერთადერთი მისთვის ცნობილი, მაშინ რეცენზიაში მოცემული კვალიფიკაციაც — რომ ეს არის შეცდომა — სამწუხაროდ, ძალა-ში უნდა დარჩეს.

თუ უკანასკნელი დაშვება სწორია, მაშინ აეტორის შეცდომათა რაოდენო-ბა (4 შეცდომა) განხილულ ფრაზაში უცვლელი რჩება და კვალიფიკაციაც, სამწუხაროდ, უცვლელი უნდა დარჩეს. მხოლოდ უნდა დავუმატოთ, რომ ტექსტის კეთილსინდისიერი კვლევა — რავიღა აეტორმა მიზნად დაისახა, რომ მოყვანილი წინადადების აზრი ეძია და მისი თარგმანიც მოეცა — აუცილებ-ლად გულისხმობდა სხვა სიტყვათა მნიშვნელობის გახსნასაც, რომელთაც ეს წინადადება შეიცავს და სხვა ლიტერატურულ-ისტორიულ მინიშნებათა ში-ნარსის გაშიფრასაც. სახელდობრ, ავტორი ვალდებული იყო გაეხსნა ში-

ნარსი სიტყვისა „მარტიობით“: იგი მთლად ნათელი არ არის (სახარებაში „განმარტებული“ გახსნილს, ნათელს ნიშნავს, მაგრამ ეს მნიშვნელობა ჩვენს კონტექსტს სავსებით ვერ აქმაყოფილებს). თუმცა ეს კი ამთავითვე ცხალია, რომ ეს სიტყვა დღევანდელი მნიშვნელობით არ არის ნახმარი. ავტორი ვალდებული იყო აგრეთვე გაეხსნა შინაარსი გამოთქმისა „არცა მოაკლდა შთაზიდვასა შინა საბლისასაც“. რომელიც, სრულებით აშკარაა, რაღაც მინიშნებას შეიცავს. თუ ამას ვერ მოახერხდა, ავტორი ვალდებული იყო აღნიშნა, რაა ცნობილი მისთვის ამ საკითხებზე და რაა კიდევ საკვლევი. ამ პირობის შეუსრულებლად წინადადება განუმარტავი ან, უკეთეს შემთხვევაში, ნახვრად განმარტებული რჩება. მაგრამ, სამწუხაროდ, ტექსტის ასეთი სანახევრო გაგებით კვლევის ამოცანა ხშირად გადაწყვეტილად ითვლება.

დასასრულს, ორიოდე სიტყვა ივ. ლოლაშვილის რეპლიკაში აღძრულ კითხვაზე იმის შესახებ, თუ რაღაში მდგომარეობს ჩვენის აზრით მისი შრომის პოზიტიური მხარე. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა აღვილია: განხილული წიგნის პოზიტიური ღირებულება იმაშია, რომ ავტორმა დაქებნა ანტონ კათალიკოსის მიერ მოყვნილი ციტატების წყაროები და დაგვინა ანტონის ყველა ცნობის სისწორე, გარდა ერთისა — კერძოდ, იმისა, რომელიც რუსთველის ციტატს შეეხება. ეს კმარა საკითხის დასასმელად — ხომ არ არის სწორი ანტონის ეს უკანასკნელი ცნობაც? მაგრამ ეს სრულებით უკმარია იმისთვის, რომ ამ კითხვას დადებითი პასუხი გაეცეს. ყოველ შემთხვევაში, ივ. ლოლაშვილის მცერ ნაცადი არგუმენტაცია ამ ცნობის სისწორის სასარგებლოდ არც ერთ ანგარიშგასაწევ საბუთს არ შეიცავს: ეს არგუმენტაცია „აზმათა“ და „ვეფხისტყაოსნის“ „მსგავსებას“ ეხება, მოყვანილ ციტატს კი, როგორც უკვე ითქვა, „აზმათა“ ტექსტთან საერთო არაფერი აქვს.

რეცენზიანი და გამოსაზრებაი

ტიტო სიახლოვის ჩამაღლები უკოიათობა

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის
სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი)

ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ურთიერთობის ინტენსიური განვითარება დაიწყო მეცხრამეტე საუკუნის დასწყისიდან. ამ კავშირის შეცნიერული შესწავლა ძეტულური საკითხია. დღემდე მკვლევრები აღნიშნულ პრობლემას ცალმხრივად აშუქებდნენ, განიხილავდნენ რა მნილოდ რუსული კულტურის წარმომადგვენლთა დამოკიდებულებას საქართველოსთან. ამ პრობლემის მეორე მხარეს კი, — ქართველი ხალხის მოწინავე ადამიანების დამკიდებულებას რუსეთთან, ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა. მართალია, ბოლო ხანგში ყურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა ცალკეული წერილები, რომლებშიც ავტორები მეტ-ნაკლებად აშუქებდნენ ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის მთელ რიგ საკითხებს, მაგრამ ეს საყარისი არ იყო; ღლემდე არ გვქინდა ცალკე მონოგრაფიული გამოკლევა, სადაც მეცნიერული ინალიზის საფუძვლზე განხილული იქნებოდა ქართული ლიტერატურის წარმომადგენელთა საზოგადოებრივ-კულტურული კავშირები რუსეთთან.

ამ ნაკლ ავსებს ი. ბოგომილოვი, რომელიც თავის მონოგრაფიულ ნაშრომში მიზნად ისახავს, გაშუქოს ქართველი და რუსი ხალხების ლიტერატურული ურთიერთობის მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები მეცნიერებები საუკუნის პირველ ნახევარში. დღემდე უცნობი მეცნიერები მიზნად ისახავს ერთ-ერთ ადგინიანებულ საზოგადოებრივ-კულტურული ურთიერთობის ცალკეულ ეტაპებს, რომლიბიც დღემდე ნაკლებად, ან სრულებით არ იყო შესწავლილი.

შევნიშვნი წარმოდგენილია ნარკევები ნ. ბარათაშვილის, ვ. ორბელიანის, ს. რაჭმაძის, მ. თუმანიშვილის, დ. მაჩაბლის, დ. ერისთავის, გ. სჩეულიშვილისა და გ. ერისთავის ლიტერატურულ ურთიერთობაზე რუს მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან აღნიშნულ პერიოდში. ვკი-

ტორი ცალ-ცალკე განიხილავს ქართველი მწერლების შემოქმედებას რუსული ლიტერატურის განვითარების პროცესებთან მჰილრო კავშირში. ავტორი ხას უსამს ქართულ-რუსულ ლიტერატურულ კაშირს, რომელმაც დაი როლი შეასრულა მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარის ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში.

როგორც სამართლანად შენიშნავს ავტორი, ქართულ-რუსული საზოგადოებრივ-ლიტერატურული ურთიერთობის შემდგომი განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულეს მეფის მთავრობის მიერ კავკასიაში გამდმოსახლებულმა დეკაბრისტებმა, ა. ბუშინმა, მ. ლერმონტოვმა, ლ. ტოლსტოი, ი. პოლონესიმ და სხვაბმა. აგრეთვე იმ ქართველებმაც, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო რუსეთში იმყოფებოდნენ.

როგორც მონოგრაფიიდან ჩანს, მკვლევარს დიდი ხას განმავლობაში უმუშავნია არქივებში, ბიბლიოთეკებშა და სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებში. რის შედეგად თავი მოუყრია დიდალი სანტერესო მასალისათვის, მათ შორის იღმოავენია ბევრი დღემდე უცნობი მასალაც და დაუწერია საყურადღებო ნაკვებები ზემოაღნიშნულ მწერალთა შემოქმედებაში.

მკვლევარი პირველ რიგში ჩერდება ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებაზე და წერს: „ქართველი რომანტიკოსები განსაკუთრებულ მნიშვნელობას აღლევდნენ რუსული ხელოვნების კეთილშოთებულ ზემოქმედებას ეროვნული კულტურის განვითარებაზე. ამიტომ მათ შემოქმედებაში შეიძლება მოიძებნოს ბევრი მსგავსი იმ გარების რუსული საზოგადოებრივი აზრის მოწინავე იდეალებისათვის“ (გვ. 11).

მონოგრაფიის პირველი ნარკევები ეხება ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებით მემკვიდრეობის საზოგადოებრივ-ლიტერატურულ კავშირს რუსეთთან. მიუხედვად იმისა, რომ ნ. ბარათაშვილი რუსეთში არ ყოფილა, იგი

* ი. ბ ო გ ო მ თ ლ თ ვ ი, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (მე-19 ს-ის პირველი ნახევარი), რედაქტორი გ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, თბილის, 1958, გამომცემლობა „მეცნიერება“.

კარგად იცნობდა რუსი ხალხის ისტორიას, მის ლატერატურას. პეტერის სახლში ხშირად და-დიოდნენ რუსეთის პროგრესული ინტელიგენ-ციის წარმომადგენლები. მკვლევარი ჩერდება ს. ღოძაშვილზე, რომელმაც ნ. ბარათაშვილს გაცნო რუსული კულტურა.

ნ. ბარათაშვილი მხარს უჭერდა საქართველოს რუსეთთან შეერთებას, ეს ფაქტი პოეტს მიაჩინი პროგრესულ მოვლენად ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მის შემოქმედებაში ჯევდებით სტრიქონებს, რომელიც მიძღვნილია რუსი ხალხისადმი. ნ. ბარათაშვილის უყვარს პუშკინის ლექსები, მაღალ შეფასებას აძლევს მის ლექსს „ღვთაებრივ მუზას“, მის შემოქმედებაში ეხვდებოთ პუშკინის ლექსების მოტივებს. ამ დებულების საილუსტრაციოდ მკვლევარი აღარებს პუშკინის ლექსს „მევობრებს“. ნ. ბარათაშვილის ლექსს „ჩემს მევობრებს“. აეტორი განსაკუთრებულ ხას უსვამს იმ გარემოებას, რომ ნ. ბარათაშვილმა შექლო შეერთოს ეკვინი რუსული რევოლუციური რომანტიზმის სული. კეშმარიტად მის ეროვნულ პოეზიში ბევრი რამ არის საერთო დეკაბრისტების პოეზიასთან.

შემდეგ მკვლევარი განიხილავს ნ. ბარათაშვილის რუსულ ფოლკლორთან დამოკიდებულების საკითხებს. ამ მიმერთულებით მოტანილი დიდაღალი მასალის საფუძველზე ვიგებთ, რომ ნ. ბარათაშვილი კარგად იცნობდა რუსულ ფოლკლორს, მის წერილებში გვხვდება რუსული ხალხური გამოთქმები.

მკვლევარი, ეყრდნობა რა აყალ. გიორგი ჭიბლიძის კონცეფციას ნ. ბარათაშვილისა და მ. ლერმონტოვის ურთიერთდამკიდებულების საკითხებზე, დასკვნის, რომ მათი პოეზია ერთმანეთთან ახლოს დგას, რაღაც როივე პოეტი იყო რევოლუციური რომანტიზმის წარმომადგენლი. ორივემ გადმოსცა ამ ლიტერატურული მიმართულების ძირითადი მოტივები.

აეტორი დიდ ადგილს უთმობს ნ. ბარათაშვილისა და ა. პოლონესკის ურთიერთობის საკითხებს. ი. პოლონესკი განიცდის ნ. ბარათაშვილის პოეზიის გავლენას, იგი გატაცებულია „მერანით“. მკვლევარი ნ. ბარათაშვილის „მერანს“ ადარებს პოლონესკის „ფრთხოების პეგასს“. ეს გავლენა გამოიხატა არა უბრალო სიუჟეტებისა და სახეების სესხებაში, არამედ მოძვე ქართული ლიტერატურის მიღწევების შემოქმედებით ათვისებაში. როგორც სამართლო-ანად მიუთითებს მკვლევარი, ნ. ბარათაშვილი არა მარტო ითვისებდა რუსული ლიტერატურის მიღწევებს, არამედ თვითონ ახდენდა გავლენას ამ ლიტერატურის ცალენულ წარმომადგენლებზე.

ავტორს მოაქვს ბევრი საინტერესო მასალა, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ როგორ მაღალ შეფასებას აძლევდა რუსული პრესა. ბარათაშვილის შემოქმედებას, ჩერდება აგრეთვე ბარათაშვილის ლექსების რუსული თარგმანების გარჩევაზე. იგი თხორევესკის თარგმანებს უდარებს ორიგინალს და დასკვნის, რომ ეს თარგმანები ზოგ შემთხვევაში ახლოს დგას დედანთან, მაგრამ გახვდება შეცდომები, მათ აკლია დინამიურობა. აეტორი განიხილავს ბარათაშვილის ლექსების რევოლუციამდელ თარგმანებს, კერძოდ, მკვლევარი აკრიტიკებს ვ. ველიჩენსა და ტ. ბერენსოვას. მავე დროს ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა პოეტებს: ბ. პასტერნაკს, ნ. ტიხონოვს, პ. ანტონოვილის, ს. დერეკინისა და სხვებს, რომელთაც ისტატურად თარგმნებს ნ. ბარათაშვილის ლექსები. მომდევნო თავში ავტორი ეხება ვახტანგ ორბელიანის მოღვაწეობას, არეკე მის ლექსებსა და თარგმანებს. პეტერბურგში ყოფნისას ვახტანგ ორბელიანი გატაცებით სწავლობდა რუსი ხალხისა და დასავლეთ ევროპის ლიტერატურას, პუშკინისა და პიუგოს მიბაძეთ წერს ლექსებს. პოეტი თბილისში დაბრუნების შემდეგ უახლოვდება სოლომონ ღოძაშვილს, დიმიტრი ყიფაინს, ს. რაზმაძესა და გ. ერისთავს. პოეტი განაგრძობს რა რუსული ლიტერატურის შესწავლას, პოპულარიზაციას უწევს მას თავის სამშობლოში. პოეტს რუსულიდნ უთარებენია კარატივინის კომედია „ნაცნობი უცნობი“, ნ. ბარათაშვილის პოემის „ბედი ქართლისა“ გავლენით დაუწერია პოემა ერეკლე მეორეზე „ირაკლი და მისი დრო“. პოემაში პოეტი ამართლებს ერეკლე მეორის პოლიტიკურ ორიენტაციას, იგი მომხრეა საქართველოს რუსეთან შეერთებისა.

მესამე თავში ავტორი ვრცლად ახასიათებს სოლომონ აზამაძის ლიტერატურულ საქმიანობას პეზარიში, სადაც იგი 1853 წლამდე მუშაობდა ბიბლიოთეკარიად. იგი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ს. აზამაძე დ. ბაგრატიონისა და თ. ბატონიშვილის გავლენით თარგმნიდა უმთავრესად სასულიერო და ფილოსოფიური ხასიათის ტრაქტატებსა და თხზულებებს, ისტორიულ და სოციალურ-პოლიტიკურ ნაწარმოებებს, რომლებითაც ილაშერებდა მეფის თვითმეყრბელობის წინამდევ 1831 წელს ს. აზამაძემ თარგმნა საფრანგეთის რევოლუციური მოძრაობის მონაწილის იდილონ ბარის წიგნი „ფენელონის წერილი ლუდოვიკ მე-14-სადმი“, რომელიც ცენტრის მიერ აკრძალულ იქნა. მან შესანიშნავად თარგმნა აგრეთვე ა. პუშკინის „მხარული ლრეობა“ და „ესპანეთის

რომანისი”, რომლებიც დაიბეჭდა ჭირ კიდევ პუშკინის სიცოცხლეში. მკვლევარი მაღალ შეფასებას აძლევს ს. რაზმაძის მიერ შესრულებულ ა. პუშკინის „წინასწარმეტყველსა“ და „მშები ყაჩაღების“ თარგმანებს.

„ს. რაზმაძის თარგმანებმა, — წერს ავტორი, — ვანსაზღვრული როლი შესრულა ეროვნული, სულიერი კულტურის განვითარების საქმეში. რა თქმა უნდა, საქმე მარტო ის როდია, რომ პოეტი იყო პირველი „აღმომჩენელი“ მოწინავე რუსული ლიტერატურის მთელი რიგი შესანიშნავი სახეებისა ქართველთათვის (ამას იგი აკეთებდა შეგნებულად, მიზნად ისახვდა ესწავლებინა ხალხისოფას „სკიფების დესპოტათან ბრძოლა“, ე. ი. თვითმშერბელობის ტირანისათან), არამედ საქმე ისაა, რომ ცალკეულ შემთხვევაში ეს თარგმანები ემსახურებოდა ქართული პოეტიკის გმილიდრების საქმეს“ (გვ. 97).

„წინასწარმეტყველი“ უთარგმნია აგრეთვე მ. თუმანიშვილს, მცვევარი მის თარგმანს ადარებს ს. რაზმაძის თარგმანთან და სამართლიანად დაასკვნის, რომ ს. რაზმაძის თარგმანი უფრო პოეტურია და ახლოა ორიგინალთან. ეს ლექსი შემდეგ უთარგმნია დიდ ქართველ პოეტის ილა ჭავჭავაძეს.

მომდევნო თავში უპირობო ექცევა მიხეილ თუმანიშვილის პოეზიას, პუბლიცისტიკასა და მთარგმნელობითს საქმიანობას, რამაც დიდი როლი შესრულა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების საქმეში. მ. თუმანიშვილი ს სპეციალური წერილი მიუძღვნა გრიბოედოვის შემოქმედებას, გააჩინა მისი კომედია „ვაი ჰეკუსიანან“, მიუთითა იმ დიდ დამსახურებაზე, რომელიც მიუძღვის გრიბოედოვს ქართველი და რუსი ხალხების საზოგადოებრივ-ლიტერატურული თანამეგობრობის განვითარების საქმეში. ასევე აფასებდა მ. თუმანიშვილი ბესტუე-მარლინსკის შემოქმედებასაც.

უნდა შეენიშნოთ, რომ გარდა ლევან ასათიანის პატარა წერილისა, მიხეილ თუმანიშვილზე არ მოგვეპოვებოდა არც ერთი წერილი რუსულ ენაზე. ამ ნაკვევეთი ი. ბოგომოლოვი მეტ-ნაკლებად ივეგბს ამ ხარვეზს.

მცველეარი ბოლო თავებში ექცება დავით მაჩიბლის პროგრესულ შესეღულებებს საქართველოს რუსეთან შეერთების რივ საკითხებზე. იგი ამ მიზნით მიმართავს დ. მაჩიბლის ორი პოემის — „ქართლოსის“ და „მთიელის“ ლიტერატურულ-კრიტიკულ ანალიზს. დ. მაჩიბლი „ქართლოსში“ ამეღავნებს ბესტუე-მარლინსკის გავლენას. ერთ-ერთ გმირად პოემაში გამოიყვანილია თვით ბესტუე-მარლინს-

კი — „უშიშარი ადამიანი“ და „შესანიშნავი მწერალი“.

„მაჩიბლის პოემა „მთიელი“, — წერს ავტორი, — ეჭვს გარეშეა, წარმოადგენს საინტერესო ფურცლებს. ქართულ-რუსული საზოგადოებრივ-ლიტერატურულ თანამეგობრობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. პოემა მოწმობს იმ სიყვარულზე, რომელსაც იჩენდან ქართველი ხალხის მოწინავე შვილები რუსეთისა და მისი სულიერი კულტურისადმი“ (გვ. 150).

ავტორის საარტივო მასალების საფუძველზე ასკვნის, რომ დიმიტრი ერისთავი ყოფილა პოეტიც, მაგრამ მისმა ლექსებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, თუმცა მის ლექსებს იცნობდნენ რუსული კულტურის მოღვწენი, მათ შორის პუშკინიც. ა. პუშკინი თავის წერილში ა. დელვიგისადმით, რომელიც დაწერილია 1825 წელს, იხსენიებს დიმიტრი ერისთავის ლექსებს.

შემდეგ ავტორი გადაღის გ. რჩეულიშვილის „შემოქმედების გარჩევაზე, არჩევს მის პროზაულ ნაწარმოებებს. სამართლიანად მიუთითებს, რომ მისი ლირიკული ლექსების ძირითადი მოტივები ებინინება ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის პოეზიას.

მონოგრაფია მთავრდება გიორგი ერისთავის „შემოქმედების მიმხილვით. იგი როგორც პოეტი, დრამატურგი, შეიძლოდ იყო დაკავშირდული რუსულ და დასავლეთ ევროპის ლიტერატურასთან.

უნდა შეენიშნოთ, რომ ავტორს მონოგრაფიაში ცალკე თავებად არ შეუტანია ნაკვევები ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანზე, რადგან მის ამ ორ მწერალზე მაშრომები ცალკე აქვს გამოქვეყნებული. წიგნი გაგრძელება ავტორის მიერ დიდ ხნის წინათ დაწყებული ნაშრომისა, ამიტომ მისი ახალი წიგნი ამომწურავად არ აშექვებს რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიას გეცხამეტე საუკუნის პირველ ნახევრში. ამ მიმართულებით ავტორი კვლავ განაგრძობს მუშაობას, მას კიდევ ბევრი რამ დარჩა გასარკვევი, მაგრამ წარმოდგენილი წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს მკითხველს არა მარტო იმით, რომ გააცნობს ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებს საზოგადოდ, არამედ მისცემს გარკვეულ წარმოდგენას ქართველ და რუს ხალხებს შორის საზოგადოებრივ-კულტურული თანამეგობრობის თაობაზე მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრში..

სერგო თურნივა
ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი

შინაგანი

ტერიტორია

5.	მეტრიკული, ჰეგელის ფილოსოფიის ინტეიტივისტური გაგების ქრიტიკისათვის	
8.	მერაბიშვილი, მართვის სისტემაში მცენატორის მოქმედების ფიქოლოგიური ანალიზი	19
10.	უთურავილი, სამრეწველო მეთამბაქოეობის განვითარება აღმოსავლეთ საქართვე- ლოში	31
11.	სილაგაძე, ერაყის ქართველი ქულემენების დინასტიის ისტორიდან	48
12.	ონიანი, სვანური მურყყამობა-კვირიაობა	63
13.	ორისიძე, გესარიონ გაბაშვილის ელჩობა რუსეთში	80
14.	თევზაპი, გ. ფაჯავილი, ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა ისტორიდან	97
15.	გაურილაშვილი, ავტომობილის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სისტე- მის განვითარების ეტაპები	111
16.	ჯულაია, ტუნგოს ჭეთის ნედლეულის საყითხები	122
17.	ხუსკივაძე, ჭმ. გორგავის 1651 წლის ხატი ილორიდან	135
18.	ივანიშვილი, სპარსული ისტორიული რომანის სათავეებთან	145
19.	მიმართული, სამართლის სამართლო ესთეტიკური აზრის ისტორიდან	157
20.	ფარულავაძე, მხატვრული ფანტაზია და შინაგანი ხილვა ქართულ ჰაგიოგრაფიაში	175
21.	წერებიძე, ი. სულაგაძე, რუდაქისა და დაყიყის ლექსიკის სტატისტიკური ანალი- ზის ცდა	194
22.	მოსონელიძე, ემციური შეფასების ლექსიკური საშუალებანი დიდი სამამულო ომის პერიოდის რუსულ პოეზიაში	209
23.	კიბიშვილი, ნაწილაკდართულ ნაცვალსახელთა ზოგიერთი თავისებურება ქართულში სასრულიანობაში, -6 სუფიქსით გამოხატულ მრავლობით რიცხვში დამული სახელის ზრდასთან შეუთანხმებლობის შემთხვევები ძველ ქართულში	222
24.	ცენგვიძე, დაყიყის ერთი ბეითის გაგებისათვის	223
ცენოგრადი და შენიშვნები		
25.	ცისკარიშვილი, ბალთის წარწერა	235
26.	თოლია, დაყიყის ერთი ბეითის გაგებისათვის	238
ქრიტიკა და ბიბლიოგრაფია		
27.	ნათაძე, „ისტორია და აზმათა“ ავტორის საყითხისათვის	242
რეცენზიები და გამოხმაურებანი		
28.	თურნავა, დიდი სიახლოების დამადასტურებელი ურთიერთობა	252

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

К. Метревели, К критике интуитивистической понятии философии Гегеля	5
Г. Мерабишвили, Психологический анализ действия оператора в системе управления	19
И. Утурашвили, Развитие промышленного табаководства в Восточной Грузии	31
Б. Силагадзе, Из истории династии грузинских кулеменов Ирака	48
Дж. Ониани, Сванский народный стародавний праздник	63
В. Коридзе, Б. Габашвили на посту посла в России	80
Г. Тевзадзе, М. Пашаев, Из истории железнодорожников Закавказья	97
Г. Гаприндашвили, Этапы развития системы ремонта и технического обслуживания автомобиля	111
К. Цулая, Вопросы сырья тунгового масла	122
Л. Хускивадзе, Икона св. Георгия из Илори	135
М. Иванишвили, У истоков персидского исторического романа	145
Ш. Микашавидзе, Из истории грузинской советской эстетической мысли	157
Г. Парулава, Художественная фантазия и внутреннее видение в грузинской агиографии	175
М. Нуцубидзе, И. Сулакадзе, Из опыта статистического анализа лексики Рудаки и Дакики	194
Н. Чохонелидзе, Лексические средства эмоциональной оценки в русской поэзии периода Великой Отечественной войны	209
М. Дзидзишвили, Некоторые особенности местоименния с частицами в грузинском языке	220
З. Сарджвеладзе, О случаях отклонения от правила согласования в числе имени с глаголом в древнегрузинском языке	228

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

В. Цискаришвили, Надпись из сел. Балта	235
М. Тодуа, К пониманию одного байта Дакики	238

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Н. Натадзе, К вопросу об авторстве одного древнегрузинского исторического памятника	242
Рецензии и отзывы	
С. Турнава, Книга о больших взаимосвязях	252

რედაქციის მისამართი: თბილისი, 60, კუტუზოვის ქ. № 15

ტელეფონი: 37-24-07

შეჯ. 1603

სუ 01317

ტირაჟი 1500

გადაეცა წარმოებას 9.4.69; ხელმოწერლია დასაბეჭდად 11.8.6 9;
ქაღალდის ზომა $70 \times 108^1/16$; ნაბეჭდი თაბაზი 22.40;
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 19.67;
ფასი 1 გან.

გამოცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

ფასი 1 მან.

6 76/163

Индекс 76183

